

თბილისის ურომის წითელი ღროზის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმოთა გავოზიქე

თავისუფალი სიტყვის ნაკვერწყლები

XIX საუკუნის ქართული ხელნაწერი პრესის
ისტორიიდან



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1978

05(C41)09-002(C41)

05/07 (47.922) „18“

გ 142

წიგნში გაშუქებულია XIX საუკუნის ქართული ცენზურა-გაუქვლელი პრესის ისტორიის საკითხები. ნაჩვენებია, რომ პირველმა მუშათა ხელნაწერმა ჟურნალ-გაზეთებმა გარკვეული როლი შეასრულეს არა მარტო პროლეტარიატის გათვითცნობიერებისა და კლასობრივი შგგნების ამაღლებაში, არამედ მათ ნიადაგი მოამზადეს პირველი ქართული არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთების გამოცემისათვისაც.

ნაშრომში ბევრი საინტერესო მასალა პირველად ქვეყნდება. იგი განკუთვნილია ჟურნალისტების, ფილოლოგებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი მ. ებრაღიძე

შესავალი

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა კომუნისტური პარტიის მძლავრი იარაღია. პრესის მეშვეობით პარტია ყოველდღიურად ეცნობა საბჭოთა ადამიანების შეხედულებებს, ხალხის კოლექტიურ აზრს და ამასთან ერთად მიზანმიმსწრად გავლენას ახდენს მშრომელთა ფართო მასების შეგნებაზე მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, თავისი მეცნიერული პოლიტიკით, რაზმავს მათ უმნიშვნელოვანესი, საარსებო ამოცანების გადასაწყვეტად, კომუნიზმის მშენებლობისათვის.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი და ბრძოლებში განოწრთობილი ბოლშევიკური პრესის წარმატებანი, მასებზე მისი იდეური და ორგანიზატორული ზემოქმედების ძალა პირველ რიგში განპირობებულია ჩვენი პრესის მარქსისტულ-ლენინური იდეურობით, ღრმა პარტიულობით, პრინციპულობით, სიმართლისმოყვარეობით, ნაკლოვანებათა გამოვლინებისა და მათი გამოსწორებისათვის შეუწყობელი ზრუნვით, მისი მუდმივი კავშირით მშრომელთა ფართო მასებთან.

კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა და დგას ბეჭდვითი სიტყვის განვითარების, მისი შემდგომი სრულყოფის საკითხები. „საანგარიშო პერიოდში, — თქვა სკკპ XXV ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, — ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში დიდი ადგილი დაიკავა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა მუშაობის იდეური დონის, კოორდინაციისა და ოპერატიულობის ამაღლების საკითხებმა. ამის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა მათი ზემოქმედება ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე, ზთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე“¹.

სკკპ XXV ყრილობამ, რომელმაც აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლების მანძილზე გადიდდა საბჭოთა პრესის ტირაჟები და გაიზარდა ახალ გამოცემათა რაოდენობა, უმნიშვნელოვანესი ამოცანები დასახა პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შენდგომი გაძლიერებისათვის.

¹ სკკპ XXV ყრილობის მასალები. 1976, გვ. 106-107.

დღეს, როდესაც საქართველოს ეშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, მარქსისტულ-ლენინური იდეებით შეიარაღებული ჩვენი რესპუბლიკის პრესა — საბჭოთა პრესის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — ძალების დაუზოგავად ემსახურება პარტიას, ხალხს, კომუნისმის მშენებლობის დიად ამოცანებს.

ქართული საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა მტკიცედ აგრძელებს ბოლშევიკური პრესის სახელოვან ტრადიციებს, პრესისა, რომელიც თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის ბატონობის შავბნელ დროს აღანთებდა პროლეტარიატის გულს სოციალური განთავისუფლებისათვის, სოციალისტური რევოლუციისათვის საბრძოლველად.

ჩვენს ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში კარგად არის შესწავლილი როგორც ოქტომბრის რევოლუციამდელი ბოლშევიკური პრესის, ისე საბჭოთა პერიოდის ბეჭდვითი სიტყვის ისტორიის საკითხები. მაგრამ ერთი კია — შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა მუშათა პრესის წინაისტორიას. ამ პრობლემის გადაჭრის იგნორირება იწვევს იმას, რომ ძნელდება მთლიანობაში გავიანზროთ ქართული სოციალ-დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ჩამოყალიბების პროცესი. გარდა ამისა, თითქმის ყველა მკვლევარს, ვინც ქართული ბოლშევიკური პრესის ისტორიის საკითხებზე მუშაობს, ერთი არსებითი მეთოდოლოგიური ხარვეზი გააჩნია — მათი მსჯელობიდან გამოდის, რომ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პრესა მზამზარეულად იშვა ვითარცა ათინა ზევსის თავიდან და თითქოს მას არ გააჩნდა საკუთარი წინაისტორია, არ ჰყოლია უშუალო წინამორბედები, რაც, რა თქნა უნდა, ეწინააღმდეგება ისტორიულ სიმართლეს.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის მიერ 1914 წელს გამოთქმული შემდეგი მოსაზრება: „მუშათა ბეჭდვითს სიტყვას რუსეთში თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს — ჯერ მოსამზადებელი, ვ. ი. ისტორია არა მუშური, არა პროლეტარული, არამედ „საერთო-დემოკრატიული“, ვ. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განმათავისუფლებელი მოძრაობისა, — ხოლო შემდეგ — თავისი საკუთარი, ოცწლიანი ისტორია პროლეტარული მოძრაობისა, პროლეტარული დემოკრატიისა ანუ სოციალ-დემოკრატიისა“¹.

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია რუსეთში, ხაზგასწოთ აღ-

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 301.

ნიშნავდა ვ. ი. ლენინი, განუწყრელად დაკავშირებულია დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობის ისტორიასთან. ამის გამო ნამდვილად მხოლოდ მაშინ შექძლებთ გავიგოთ, რატომ მიდიოდა ბექდვითი სიტყვის მომზადება და აღწოცენებს ასეთი და არა რომელიმე სხვა გზით, თუ გვეცოდინება განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ეტაპები¹.

ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, ამ მოძრაობამ განვლო სამი მთავარი ეტაპი, შესაბამისად რუსეთის საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებმაც მას თავიანთი ბექქედი დაასვეს. ეს იყო: პირველი — თავადაზნაურული პერიოდი, რომელიც მოიცავდა მონაკვეთს 1825-დან 1861 წლამდე; მეორე — რაზნოჩინული, ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პერიოდი — დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე და მესამე — პროლეტარული — 1895 წლიდან. ანგვარად, რუსეთში მუშათა პრესის წარმოშობა მოამზადა რუსული საზოგადოებრივი აზრის მთელმა ადრინდელმა განვითარებაში, მუშათა მოძრაობის აღმავლობაში. ხოლო რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა რევოლუციურ-დემოკრატიულმა გამოცემებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ბ. ბელონსკი, ა. გერცენი, ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლინოვი და სხვები, განსაკუთრებით კი ცენზურაგაუვლელმა პრესამ. რევოლუციურ-დემოკრატიული ჟურნალისტიკის, განსაკუთრებით კი ისეთი ჟურნალების ტრადიციებმა, როგორც იყო „კოლოკოლი“, „სოვრემენნიკი“, „ოტჩენსტვენნიე ზაპისკი“, თავისი განსახიერება და შემდგომი განვითარება პოვა რუსეთის მუშათა პრესაში. ამასთანავე რუსეთის მუშათა ბექდვითმა სიტყვამ შეითვისა დასავლეთევროპული მარქსისტული პრესის საბრძოლო ტრადიციები, პირველ ყოვლისა კი, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ხელმძღვანელობით გამოცემული ორგანოების — „ახალი რაინის გაზეთისა“ და „სოციალ-დემოკრატიას“ გამოცდილება.

რუსეთში მუშებისათვის განკუთვნილი გაზეთების გამოცემის პირველი ნაბიჯები ხალხოსნებმა გადადგეს. ნაგრამ ასეთი ხასიათის პერიოდულ გამოცემებს (1875-1876 წლების „რაბოტნიკი“, 1880-1881 წლების „რაბოჩაია გაზეთა“ და „ზერნო“ და სხვ.) მუშათა შორის სინამდვილეში არავითარი წარმატება არ ჰქონიათ, რადგან მათთვის უცხო იყო ამ ორგანოების ტერორისტული იდეები და ბუნტარული ქადაგებანი. ხალხოსნური პრესის მესვეურნი, რომელთაც არ ესმოდათ მუშათა კლასის ისტორიული როლი, ხელს უშლიდნენ რუსეთში მარქსისტული იდეების გავრცელებას,

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 292.

აბრკოლებდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელი პარტიის შექმნას. მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენლებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ის ზიანი, რასაც ხალხოსნური ბეჭდვითი სიტყვა აყენებდა მუშათა მოძრაობას. მათ დაიწყეს რუსეთში პირველი მუშათა ორგანიზაციების, თავიანთი მუშური პრესის შექმნა. ასეთი ორგანიზაციები გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდა („სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირი“ ე. ზასლავსკის ხელმძღვანელობით და „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირი“, რომელსაც სათავეში ედგნენ მუშა-რევოლუციონერები ს. ხალტურინი და ვ. ობნორსკი). ს. ხალტურინი 1880 წელს შეუდგა გაზეთ „რაბოჩაია ზარიას“ გამოცემას. გაზეთის არსებობა ხანმოკლე გამოდგა — გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი: მეფის ხელისუფლებამ მოახერხა სტამბის აღმოჩენა და განადგურება, რედაქცია კი დააპატიმრეს. მართალია, გაზეთი არ იყო თავისუფალი ხალხოსნური გავლენისაგან, მაგრამ იგი გაცილებით უფრო მალა იდგა ხალხოსნების მიერ მუშებისათვის გამოცემულ ზემოაღნიშნულ ორგანოებზე, კერძოდ, მასში უფრო მკვეთრად იყო გამოხატული პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები.

რუსეთის მუშათა პრესის მომზადების საქმეში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ გ. პლენხანოვის მიერ 1883 წელს საზღვარგარეთ შექმნილმა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა. მან თვალსაჩინო როლი შეასრულა რუს მუშებს შორის გეცნიერული სოციალიზმის იდეების გავრცელებაში. „ამ ჯგუფის ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომლებიც უცენზუროდ იბეჭდებოდა საზღვარგარეთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — პირველად იყო გადმოცემული სისტემატურად და ყველა პრაქტიკული დასკვნით მარქსიზმის იდეები, რა იდეებიც, როგორც მთელი მსოფლიოს გამოცდილებამ გვიჩვენა, ერთადერთი გამოხატავენ სწორად მუშათა მოძრაობის დედაარსს და მის ამოცანებს“¹.

1883 წლის სექტემბრიდან აღნიშნული ჯგუფი შეუდგა „თანამედროვე სოციალიზმის ბიბლიოთეკის“ გამოცემას. ამ სერიით გამოვიდა და რუსეთში გავრცელდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის უმნიშვნელოვანესი ნაშრომები. აღსანიშნავია, რომ თავიანთი წიგნების ზოგიერთი რუსული გამოცემისათვის კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა სპეციალური წინასიტყვაობა დაწერეს. 1888 წლიდან „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი შეუდგა ლიტერატურულ-პოლიტიკურ და ჟურნალის „სოციალ-დემოკრატიის“ გამოცემას. იგი პირველ რუსულ მარქსისტულ პერიოდულ გამოცემას წარმოადგენდა.

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 295.

თვით რუსეთშიც ამის პარალელურად არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ერთ-ერთი ნათვანი იყო 1883-1884 წლების ზამთარში პეტერბურგში შექმნილი წრე „რუსი სოციალ-დემოკრატების პარტია“, რომელსაც ხელმძღვანელობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ბულგარელი დ. ბლაგოვევი. აღსანიშნავია, რომ ბლაგოვევის ჯგუფმა 1885 წლის იანვრის ბოლოს გამოსცა არალეგალური გაზეთი „რაბოჩი“ (სულ გამოვიდა ორი ნომერი, რის შემდეგაც მეფის ხელისუფლების ორგანოებმა სტამბა გაანადგურეს და ჯგუფის მრავალი წევრი დააპატიმრეს).

რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „რაბოჩის“ და ყურნალ „სოციალ-დემოკრატის“ საქმიანობა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ნუშათა ცხოვრებაში, რადგან ისინი გვევლინებიან პირველ ტრიბუნად, რომლის შემწეობითაც რუსი მარქსისტები ქადაგებდნენ მეცნიერული სოციალიზმის დიად იდეებს. მაგრამ ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი და ბლაგოვევის ჯგუფი ჯერ კიდევ არ იყვნენ პრაქტიკულად დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან და ამიტომ, ცხადია, მუშათა პრესა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით რუსეთში გამოჩნდა მხოლოდ 1895-1896 წლებში, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა ახალი საზოგადოებრივი ძალა — რუსეთის მუშათა კლასი. სწორედ ამ პერიოდის დაიწყო პროლეტარული ეტაპი განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ნუშათა მასობრივი მოძრაობის შეერთება მეცნიერული სოციალიზმის თეორიასთან. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის მიერ 1895 წელს შექმნილმა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“, რომელიც წარმოადგენდა რუსეთში პროლეტარიატის პარტიის ჩანასახს. „კავშირის“ გავლენით ანალოგიური მარქსისტული ორგანიზაციები შეიქმნა ქვეყნის სხვა ქალაქებშიც — მოსკოვში, კიევში, ივანოვო-ვოზნესენსკში, თბილისში...

ასეთია მოკლედ რუსეთის მუშათა პრესის ჩასახვისა და განვითარების მთავარი ნიშანსვეტები, რომელთა შესახებ ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში ვრცლად არის ლაპარაკი¹.

¹ იხ.: История Коммунистической партии Советского Союза, т. I, М., 1964; Большевистская печать. Краткие очерки истории. М., 1962; Н. А. Владимирский. Подготовка и возникновение рабочей печати в России. М., 1948; Ю. З. Полевой. Из истории рабочей печати. М., 1962; И. Кузнецов, А. Шумаков. Большеви́стская печать Москвы. М., 1968; Б. П. Балуйев. Политическая реакция 80-х годов XIX века и русская журналистика. М., 1971; И. В. Кузнецов, А. Л. Мишуриц. История партийно-советской печати, М., 1972; Р. П. Овсепян. Многонациональная печать большевиков. М., 1972 и др.

ახლა გავაჩვენოთ, თუ რა წინაპირობები არსებობდა საქართველოში მუშათა პრესის წარმოშობისათვის. მაგრამ სანამ ამ საკითხს განვიხილავდეთ, საჭირო იქნება მოკლედ დავახასიათოთ შესაბამისი ეპოქა. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დამდეგს საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთება რუსეთთან ნეტად პროგრესული მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. რუსეთის მძლავრი სახელმწიფოს მფარველობამ საქართველოს თავიდან ააცილა ის უდიდესი საფრთხე, რაც მას ემუქრებოდა აგრესიული მეზობლებისაგან — თურქი და ირანელი დამპყრობლებისაგან. სწორედ ამ დროიდან დაიწყო საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის საკმაოდ სწრაფი აღმავლობა. დრომოკმეული ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა 60-იან წლებში ბატონყმობის გაუქმებამ. მაგრამ ამ რეფორმის „ზემოდან“ განხორციელებან გლეხებს მხოლოდ პირადი თავისუფლება მოუტანა. რაც შეეხება მათ ეკონომიურ მდგომარეობას, იგი კვლავინდებურად მძიმეზე მძიმე რჩებოდა. რეფორმის ბატონყმური ხასიათი საგრძნობლად აფერხებდა საწარმოო ძალეზის, კაპიტალისტური მრეწველობის ფართოდ განვითარებას. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საქართველოში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწიფებას კიდევ უფრო მეტად აბრკოლებდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა.

ფეოდალური განცალკევებულობის ლიკვიდაციის, საქართველოს სხვადასხვა რაიონებს შორის მჭიდრო ეკონომიური კავშირის დამყარებისა და ხალხის კულტურული ერთობის განმტკიცების შედეგად XIX საუკუნის ნეორე ნახევარში ძირითადად დამთავრდა ქართული ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბება. ახალ ისტორიულ პირობებში წარმოიშენენ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები და მიმდინარეობანი, რომლებიც გამოხატავდენ ახალი საზოგადოებრივი კლასების თვალსაზრისს. მწვავედებოდა სოციალური წინააღმდეგობანი, ჩაღდებოდა კლასობრივი ბრძოლა¹.

რუსეთის იმპერიის შშრომელი მოსახლეობა ცარიზმის პირობებში მწვავე პოლიტიკურ ჩაგვრას განიცდიდა. ეს ჩაგვრა განსაკუთრებით მძიმე იყო განაპირა ეროვნულ მხარეებში, მათ შორის ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში. აქ მუშებისა და გლეხების პოლიტიკურ უუფლებობასა და აღვირახსნილ ექსპლოატაციას ეროვნული ჩაგვრაც ემატებოდა, რადგან მეფის მთავრობა რუსიფიკატორულ პოლიტიკას ახორციელებდა, ყოველმხრივ დევნიდა ქართულ ენასა და კულტურას.

¹ შდრ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნაკვეყევი, 1971, გვ. 25.

თავისუფლებისმთავარე ქართველი ხალხი, რომელიც მადლიერი იყო „საკუთარი“ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი რუსი ხალხის დახმარებისა, არასოდეს შერიგებია მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას და აქტიურად იბრძოდა მის წინააღმდეგ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩვენში განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეოლოგიური ზეგავლენით. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს მოძრაობა საქართველოში რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა და მისი მეშვეობით იმდროინდელი მსოფლიო-რევოლუციური პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო¹.

1 საქართველოში XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ფართოდ გავრცელდა განმანათლებლური და დემოკრატიული იდეოლოგია, ახალი ძალით გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მეთაურებად თერგდალეულები გამოვიდნენ და, როგორც სამართლიანად შენიშნავს ა. სურგულაძე, „მათი მოძღვრება მარქსამდელი დემოკრატიული იდეოლოგიის საუკეთესო მონაპოვართა შემოქმედებითად ათვისების საფუძველზე ქართული სინამდვილიდან ამოდიოდა და ქართული საზოგადოების პროგრესს ემსახურებოდა“². 80-90-იანი წლები ნიშანდობლივია კაპიტალიზმის შედარებით სწრაფი განვითარებითა და ახალი კლასების ჩამოყალიბების პროცესის შემდგომი გაძლიერებით. საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან სოციალ-დემოკრატები („ნესამე დასი“). XX საუკუნის დამდეგს შეიქმნა ქართული ეროვნული ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის პარტიები, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ საქართველოში დაიწყო ეროვნული და კლასობრივი ბრძოლის ახალი, პროლეტარული პერიოდი³.

ბუნებრივია, რომ იმდროინდელ ქართულ პრესაში შესაძლებლობის ფარგლებში აისახებოდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ეს ეტაპები. ამ მხრივ განსაკუთრებით პროგრესული როლი შეასრულეს დემოკრატიულმა გაზეთებმა და ჟურნალებმა: „საქართველოს მოამბემ“ (1863), „დროებამ“ (1865-1885), „ივერია“ (1877-1906), „კრებულმა“ (1871-1873), „სასოფლო გაზეთმა“ (1868-1880), „გუთნის დედამ“ (1862-1876), „მნათობმა“

¹ იხ. ნ. ნიკოლაძე. თხზულებანი, ტ. 1, 1962, გვ. 259.

² ა. სურგულაძე. ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის საქართველოში, 1973, გვ. 430.

³ იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, გვ. 476.

(1869-1872), „მოაზბემ“ (1894-1905) და სხვებმა¹. როგორც აღვნიშნეთ, გასულ საუკუნეში ეპოქის მოწინავე იდეებს გამოხატავდნენ ქართველი სამოციანელები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვები, რომლებიც იცავდნენ მატერიალისტური ფილოსოფიისა და ესთეტიკის პრინციპებს, ებრძოდნენ ყოველივე დრომოჭმულსა და რეაქციულს; მათ შემოქმედებაში აისახა მოწინავე ქართველი ინტელიგენციისა და ზოგი ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული მისწრაფებანი, ბატონობისა და მეფის თვითმპყრობელობის დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება, რეფორმის შემდგომ პერიოდში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად გამწვავებული კლასობრივი ურთიერთობანი და სხვ.

აქვე დავძენთ, რომ ქართველ სამოციანელთა მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერების: ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის, ა. გერცენის იდეური ზეგავლენით. ქართული ლიტერატურა განვითარების ახალ გზას დაადგა. კრიტიკული რეალიზმი გაბატონებულ მიმართულებად იქცა.

ცალკე უნდა გამოვყოთ საკითხი მარქსიზმისადმი საქართველოს პრესის დამოკიდებულების შესახებ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ 70-80-იან წლებში ჩვენში მარქსიზმის გავრცელებას უკვე ჰქონდა თავისი წინაისტორია, ხოლო 90-იანი წლებიდან მისი ნამდვილი ისტორია დაიწყო. ეს პრობლემა საკმაოდ ფართოდ არის გაშუქებული ჩვენს ისტორიულ და ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში და ამიტომ მასზე დაწვრილებით აღარ ვილაპარაკებთ. დავასახელებთ მხოლოდ ძირითად, არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებსა და მოვლენებს მოწინავე ქართველ ნოაზროვნეთა და პუბლიცისტთა მოღვაწეობიდან ამ მიმართულებით.

1871 წლის 15 აპრილს „დროება“ გამოაქვეყნა ცნობა იძის შესახებ, რომ პარიზის რევოლუციის (კომუნის) გეგმა შეიმუშავა კარლ ნარქსმა და ლონდონის მუშათა საერთაშორისო ლიგის სხვა წევრებმა.

ნახევარი წლის შემდეგ „დროების“ 41-ე ნომერში დაიბეჭდა მასალა პირველ ინტერნაციონალზე, რომელსაც კ. მარქსი მეთაურობდა.

დ. მიქელაძის კორესპონდენციაში „საფრანგეთი“ („დროება“, 1873, № 6), სადაც მოთხრობილია დასავლეთ ევროპის კაპიტალის-

¹ პრესის ეს ორგანოები საკმაოდ ვრცლად არის შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში. წიგნის სათანადო თავებში მხოლოდ კონკრეტულად იქნება საუბარი ცენტრალურად პრესასთან მათ ურთიერთობაზე.

ტურ საწარმოებში მუშათა კლასის სასტიკი ექსპლოატაციის შესახებ, მოყვანილია კ. მარქსის სიტყვები და თანაც წითითებულია წყარო¹.

მრავალი ცნობაა შემონახული იმის შესახებ, თუ ამ ხანებში როგორ შემოქმონდათ საქართველოში მარქსისტული ლიტერატურა რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან და რა ინტერესს იჩენდნენ მასში როგორც ინტელიგენციის, ისე მშრომელთა მოწინავე წარმომადგენლები.

80-იანი წლების დასაწყისიდან მრავალი პუბლიცისტი იმდროინდელ ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობებს ეკუთვნიდნენ, ბევრჯერ იმოწმებდნენ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებებს, ცდილობდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ გამოეყენებინათ მათი გამოხატვამები. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ხალხობნური ბანაკის იდეოლოგიები, რომლებიც გაბატონებული იყვნენ იმდროინდელ პრესაში, ამას მარქსიზმის სასარგებლოდ აკეთებდნენ. პირიქით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში არ არის ნიადაგი კაპიტალიზმისა და მუშათა კლასის განვითარებისათვის და, მაშასადამე, მარქსიზმის გავრცელებისთვის.

მიუხედავად ამისა, მარქსის ავტორიტეტი, როგორც უდიდესი მეცნიერისა, სოციოლოგისა და ეკონომისტისა, განუწყვეტლივ იზრდებოდა ქართულ საზოგადოებრიობაში და, უნდოდათ თუ არა ეს მარქსიზმის მოწინააღმდეგეებს, იქმნებოდა წინაპირობები მეცნიერული სოციალიზმის პროპაგანდისათვის².

საქართველოში მარქსიზმის გავრცელება სინამდვილეში დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებიდან, რაშიაც დიდი როლი შეასრულეს პირველმა მარქსისტულმა ორგანიზაციამ ჩვენში — „მესამე დასმა“ და აქ გადმოსაჩლებულმა რუსმა მარქსისტებმა. ჩვენი გამოკვლევის საგანს არ შეადგენს დაწერილებით შევჩერდეთ ამ საკითხზე. მოკლედ შევეხებით მხოლოდ გაზეთ „კვალის“ (1893-1904) საქმიანობას, რომელიც 1898 წლის დამდეგიდან „მესამე დასის“ ხელში გადავიდა. „კვალის“ ფურცლებზე მესამედასელები აღნიშნავდნენ, რომ რუსეთი დაადგა კაპიტალიზმის გზას, როცა ამ გზით მიდის აგრეთვე საქართველოც, სადაც საზოგადოება გაიმიჯნა ურთიერთმტრულ კლასებად და სადაც, ისევე როგორც ევროპასა და რუსეთში, კლასობრივი ბრძოლა წარმოადგენს საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელ ძალას. საქართველოს

¹ იხ. პ. გუგუშვილი. კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში. 1971, გვ. 152-170.

² საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია. 1971, გვ. 35-37.

სინამდვილიდან აღებული მრავალი ფაქტობრივი მხსალის საფუძველზე „კვალის“ პუბლიცისტები ცხადყოფდნენ, რომ აქაც ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებას შეენაცვლა ახალი, ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობანი, ჩამოყალიბდა ახალი კლასები — ბურჟუაზია და პროლეტარიატი, რომელთა შორის ფართოდ ჩაღებოდა კლასობრივი ბრძოლა. ანაშთანავე „კვალში“ იბეჭდებოდა ნაწყვეტები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებებიდან და, რაც ფრიად საყურადღებოა, გაზეთი უკვე ეწეოდა ვ. ი. ლენინის ნაშრომების პოპულარიზაციას.

როგორც ცნობილია, „მესამე დასში“ იყო მემარჯვენე, ოპორტუნისტული ფრთა, რომლის წარმომადგენლები პირველ ხანებში ამკარად იბრებოდნენ „ლეგალური მარქსიზმისაკენ“, ხოლო შემდგომ „ეკონომიზმისა“ და მენშევიზმის მომხრეები გახდნენ; იყო აგრეთვე ფრთა (ე. ნინოშვილი, მ. ცხაკაია, ა. წულუკიძე, ლ. კეცხოველი, ფ. მახარაძე, ი. სტალინი), რომელიც თავიდანვე ეწეოდა ბრძოლას ოპორტუნისტების წინააღმდეგ და თანდათან დგებოდა რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებზე. |

ობიექტურად ყოველივე ზემოთქმული, ბუნებრივია, შეიძლება საქართველოში მუშათა პრესის წარმოშობის მოსამზადებელ ეტაპად ჩაითვალოს. მაგრამ ეს საკმარისი როდია, რადგან ამ შენთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ ცენზურასდაქვემდებარებულ ბეჭდვით სიტყვასთან. ხოლო მუშათა პრესის ჩასახვა-განვითარებისათვის ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ დიდ როლს, რაც აღნიშნულ საქმეში ცენზურაგაუვლელმა პრესამ შეასრულა.

როგორი ნდგომარეობა იყო ამ მხრივ საქართველოში? გამოდიოდა აქაც თუ არა ცენზურაგაუვლელი ჟურნალ-გაზეთები? ამ ფაქტის დადგენის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ეს საკითხი მთლიანობაში გადაგვეჭრა.

მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში აქა-იქ გვხვდება ცალკეული ცნობები, რომლებიც ადასტურებენ საქართველოში სინამდვილეშიც ცენზურაგაუვლელი პრესის არსებობას, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი სისრულით ეს პრობლემა არა მარტო არ გადაწყვეტილა, არამედ არც დასმულა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჭფროვანი სისრულით ვერ გავიაზრებთ საქართველოს პროლეტარიატის ბეჭდვითი სიტყვის ისტორიას, თუ ვ. ი. ლენინის ფუძემდებლური თეზისის მიხედვით სათანადოდ არ შევაფასებთ იმ არალეგალურ საგამომცემლო საქმიანობას, რაც განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა ეტაპზე წარმოებდა სოციალ-დემოკრატიული, ლენინურ-მკრული ქართული პრესის ჩასახვამდე.

✓ რა სოციალურ-პოლიტიკურმა მიზეზებმა გამოიწვია საქართველოში

ველოშიც ცენზურაგაუვლელი პრესის წარმოშობა? ჩვენ ხელთ არსებული მასალის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ საქმიანობას, პირველ ყოვლისა, ბიძგი მისცა რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ. ეს იყო ყველაზე მთავარი და განმსაზღვრელი. ანგარიშგასაწევია სხვა მიზეზებიც:

1) XIX საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესული მიმართულების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მიუხედავად რედაქციების თანამშრომელთა დიდი სურვილისა და ნონდომებისა, მწვავე სოციალურ თუ ეროვნულ საკითხებზე პირდაპირ და აშკარად წერა შეუძლებელი იყო. პრესას განსაკუთრებით უძნელდებოდა მუშათა მდგომარეობის შესახებ მასალების გამოქვეყნება ცენზურული პირობების გამო. ცენზურის სისასტიკე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ამ თემაზე ხშირად თვით წმინდა ინფორმაციული ცნობებიც იკრძალებოდა. ასე, მაგალითად, ცენზორმა „ივერიაში“ 1887 წლის 28 იანვარს აკრძალა აწყობილი ცნობა თბილისის რკინიგზის მუშათა გაფიცვის შესახებ, ხოლო 1893 წლის 9 ივლისს — კორესპონდენცია ბათუმში როტშილდის ქარხნის მუშათა საგაფიცო ბრძოლაზე¹. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება როგორც „ივერიის“, ისე საქართველოს სხვა ჟურნალ-გაზეთების პრაქტიკიდანაც.

ანრივად, მკაცრი ცენზურა, რომელიც ცერბერივით თავს ადგა ბეჭდურ პრესას, ყოველგვარ პროგრესულ აზრს ახშობდა და ეს გარემოება, ბუნებრივია, განაპირობებდა საზოგადოების მოწინავე ნაწილის მისწრაფებას თავისუფლად გამოეთქვა აზრი ცხოვრების საპირობოროტო საკითხებზე რაღაც სხვა, ცენზურაგაუვლელი გზით. შექმნილი პოლიტიკური ვითარება ხელს უწყობდა არალეგალური ხელნაწერი პრესის ფართოდ გავრცელებას.

2) გასულ საუკუნეში საქართველოში პრესის განვითარებას უთანაბრო ხასიათი ჰქონდა. მართალია, სტამბები თბილისს გარდა სხვა ქალაქებშიც არსებობდა, მაგრამ პერიოდული გამოცენების საქმე მაინც ძირითადად მოუგვარებელი რჩებოდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მეფის მთავრობა, სწორედ, ახალი ჟურნალებისა და გაზეთების გამოცენას (განსაკუთრებით ეროვნულ ენებზე) ყოველნაირად აფერხებდა, არ იყო დაინტერესებული მათი რიცხვის ზრდით (თავსატყუნი ნაკლები ექნებოდათ!), ყოველნაირად უქმნიდა მათ სიძნელეებს. და ეს გარემოებაც ერთგვარად ხელს უწყობდა ცენზურაგაუვლელი ხელნაწერი პრესის მომრავლებას.

¹ იხ. პ. გუგუშვილი. კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში. 1971, გვ. 53.

ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ არალეგალური ქართული ხელნაწერა ჟურნალ-გაზეთების რიცხვი, როგორც ეს ჩვენ დავადგინეთ, ან პერიოდში 70-ს აკარბებდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბეჭდური ორგანოების რაოდენობას.

ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო მუშათა პირველმა ხელნაწერმა თუ ჰექტოგრაფიულმა ჟურნალ-გაზეთებმა, რომლებიც საქართველოში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან არალეგალურად გამოდიოდა. მათი ისტორია მკვიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს მუშათა ნაძრაობის ისტორიასთან. რამდენადაც ამ მოძრაობას 90-იანი წლების დასასრულამდე ფართო და მასობრივი ხასიათი არა ჰქონია და მუშები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაუფლებული მეცნიერული სოციალიზმის იდეებს. ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ ნათ პირველ არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს არ გააჩნდათ მკვეთრად გამოხატული კლასობრივი სიმძაფრე (ეს შედარებით ნაკლებად ითქმის „ნაპერწყალსა“ და „მუშაზე“, ხოლო მეტად ეხება „სხივს“, „განთიადსა“ და სხვ.). ჰიუზნედავად ამისა, აღნიშნული ჟურნალ-გაზეთების გამოსვლა მაინც ნოასწავებდა მუშათა თვითშეგნების გამოცოცხლებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხელნაწერა ორგანოების თანამშრომელთა ერთი ნაწილი ზოგიერთ საკითხში ხალხოსნური იდეოლოგიის გავლენას განიცდიდა.

ვ. ი. ლენინი წერდა: „ბატონყმობის გადავარდნამ წარმოშვა რაზნოჩინეცი, როგორც მთავარი, მასობრივი მოღვაწე საერთოდ განმათავისუფლებელი ნაძრაობისაც და, კერძოდ, ცენზურაგაუფლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვისაც. რაზნოჩინეცის თვალაზრისის შესატყვისი გაბატონებული მიმართულება ნაროდნიკობა გახდა“¹.

რეფორმის შემდგომ პერიოდში კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში საკმაოდ სწრაფი ტემპით დაიწყო, თუმცა ბატონყმობის ნაშთები ჯერ კიდევ აბრკოლებდნენ მის აღმავლობას. კაპიტალიზმის ხრდასთან ერთად იზრდებოდა და ყალიბდებოდა სამრეწველო პროლეტარიატი, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდებოდა ბატონყმობის პერიოდის ფაბრიკა-ქარხნების მუშებისაგან. სრული უუფლებობა, მძიმე მატერიალური მდგომარეობა, აღვირახსნილი ექსპლოატაცია მუშებს ბიძგს აძლევდა თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მაგრამ 70-80-იან წლებში მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში, რა თქმა უნდა, ბევრი იყო სტიქიურობა. მუშებს კარგად არ ესმოდათ მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფოდნენ.

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 293.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომელთაც სოციალისტური შეგნებულობა უნდა შეეცანათ მუშათა კლასის რიგებში, ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი.

როგორც ცნობილია, ხალხოსნური შეხედულებანი გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ფესვგადგმული იყო არა მარტო რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციაში, არამედ მოწინავე მუშებშიც. ამ გარემოებამ უდავოდ ძლიერი კვალი დაამჩნია იმ პერიოდის ეურნალისტიკას საერთოდ და მუშათა პრესის ორგანოების საქმიანობას კერძოდ. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს მუშათა პირველ არალეგალურ გაზეთებსა და ეურნალებზე, რომლის მიზეზებიც წიგნის მესამე თავშია გარკვეული.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ძველი მუშა-რევოლუციონერის ზრაქელ ოქუაშვილის მოგონება: „დავარსეთ ჩვენი ხელით ნაწერი ეურნალი „მუშა“. გოლა ჩიტაძე გვიკითხავდა რუსულ ენაზე ნაროდნიკულ ნაწარმოებებს, ანტონ ფურცელაძესთანაც გვიხდებოდა სიარული, რომელიც გვესაუბრებოდა ხოლმე ნაროდნიკულ იდეებზე“¹.

ფ. მახარაძეც ანალოგიურ აზრს გადმოგვცემს: „...აქ დრო არა გვაქვს დაწვრილებით გავარჩიოთ და დავაფასოთ ეს ეურნალები (ლაპარაკია „მუშაზე“, „განთიადზე“, „სხივზე“ — შ. გ.). შინაარსის მხრივ, ვიტყვი მხოლოდ აი რას: აქ ჩვენ ვხედავთ, უწინარეს ყოვლისა, ქართველი მუშების შემოქმედებას. ქმასთან ერთად ჩვენ აქ ვხედავთ, რომ იმათ იმ დროს ვერ აკმაყოფილებდა არსებული ლეგალური ეურნალ-გაზეთობა, და სწორედ ამიტომ იმათ მოუნდომებიათ თავისი საკუთარი ეურნალის გამოცემა. რა ნაკლოვანებაც არ უნდა ჰქონებოდა მუშების საკუთარ გამოცემას, ეს მაინც დიდ წინადადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. არ უნდა დავივიწყოთ ამასთანავე ის, რომ თბილისის მუშებს ამ საქმეში არ ჰყოლიათ გარედან ხელმძღვანელები, ყველაფერი მათი საკუთარი ძალით და თაოსნობით კეთდებოდა. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ მუშებზე და ხელოსნებზე მაშინ არ ახდენდნენ გავლენას ის ნაროდნიკულ-სოციალისტური იდეები, რომლებიც მაშინ ტრიალებდნენ ჩვენში, როგორც ადგილობრივ მოსწავლე-ახალგაზრდობაში, ისე რუს-გადმოსახლებულებში“².

ამრიგად, ფაქტები ცხადყოფენ, რომ საქართველოში მუშათა მოძრაობასა და, ბუნებრივია, მათ პრესაზედაც გასული საუკუნის 80-იან წლებში, ისევე როგორც თავის დროზე რუსეთშიც, ხალ-

¹ ეურნ. „რევოლუციის მატინე“, 1923, № 3, გვ. 224.

² ფ. მახარაძე. თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა. 1923, გვ. 11.

ხოსნების აშკარა გავლენა თვალსაჩინოა. და ჩვენ ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდებით, როდესაც ქვემოთ მუშათა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების შინაარსს გავეცნობით.

ახლა განვიხილოთ ზოგიერთი შკვლევების მოსაზრება მუშათა ხელნაწერ პრესაზე. რ. კლაძე ჟურნალ „მუშასთან“ დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჩვენს მუშებს ჯერ თავის თავი კიდევ ვერ უცვნიათ და გლახს ესარჩლებიან როგორც მუშას და ჰგონიათ, რომ, თუ მუშა-გლახმა სწავლა-განათლება მიიღო, მაშინ ის თავისუფლებასაც მოიპოვებს და თავის ნაშრომს თვითონვე დაისაჯუტრებს. მათი აზრით, დაჩაგრულს იხსნის სწავლა-განათლება. თუ როგორი სწავლა-განათლებაა საჭირო, ან როგორ უნდა ებრძოლონ დამჩაგრელებს თავისუფლებისა და „ნაწვავ-ნადაგის“ შესანარჩუნებლად, ამაზე ვერაფერს ამბობენ“¹.

ამ საკითხზე საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს ს. ხუნდაძე, რომელიც წერს: „არალეგალურ მუშურ ჟურნალებს, რომელნიც გამოდიოდნენ 1889-1892 წლებში, ნათლად ატყვია ამ ღრმანშიშენელოვანი ეკონომიური და სოციალური პროცესის გავლენა (ავტორს მხედველობაში აქვს ხელოსანთა ფენის დაშლა და მათი დიდი ნაწილის გადასვლა პროლეტარიატის რიგებში. — შ. გ.). ამ ჟურნალების თანამშრომლები მოსთქვამდნენ იმაზე, თუ როგორ კარგავდა ხელოსანი დამოუკიდებლობას და როგორ მრავლდებოდნენ ქალაქში უმუშევარ-მოხეტიალე პირები. ჩვენი პროლეტარიატის განვითარების ისტორიის შესწავლას ძლიერ დიდ დახმარებას გაუწევს ეს არალეგალური ჟურნალები“².

ზ. გეგეშიძე მართებულად მსჯელობს ამ ჟურნალების დიდ მნიშვნელობაზე: „მუშათა პირველი წრეები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ თვითგანათლებას, 1889-1892 წლებში უშვებდნენ მუშათა პირველ არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალებს — „მუშას“, „სხივს“, „განთიადს“. ამ ჟურნალებში მოთავსებული სტატიები აშკარად ლაპარაკობდნენ ნუშათა მძიმე მდგომარეობაზე, გამობდნენ სოციალურ უთანასწორობას. არალეგალური მუშათა პრესის ამ პირველ ჩანასახს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ისინი აჩვენებდნენ მუშებს არალეგალური რევოლუციური მუშაობის ორგანიზაციას“³.

უადრესად საინტერესოა ამ პერიოდის მუშათა პრესის შეფასება, რომელიც მოცემული აქვს ლ. გორგილაძეს: „ეს ხელნაწერი

¹ ჟურნ. „რევოლუციის მატთან“, 1923, № 2, გვ. 15.

² ს. ხუნდაძე. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. ტ. 2, 1927, გვ. 106-107.

³ ზ. გეგეშიძე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბები. 1965, გვ. 9.

ჯურნალები გვიჩვენებენ მოწინავე ქართველი მუშების შეგნების შედარებით მაღალ დონეს. ნათში ჩანასახის სახით ის აზრია გამოთქმული, რომ მშრომელთა განთავისუფლება თვით მათივე საქმეა და რომ მისი მიღწევა შესაძლებელია არა თხოვნა-მუდარით, არამედ ბრძოლით. ამასთან მუშა-კორესპონდენტებს ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ როგორც ბრძოლის საშუალებებზე, ისე ბრძოლის ამოცანებსა და მიზნებზე... ჟურნალები ასახავენ მუშათა სტიქიურ მოძრაობას, როცა საქართველოს მოწინავე მუშებმა გამოიმუშავეს გაერთიანებისა და მეპატრონეთა წინააღმდეგ ბრძოლის იდეა, ნაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეგნებული თავიანთი კლასობრივი ინტერესები და ისტორიული როლი, არ გააჩნდათ რევოლუციური, სოციალისტური შეგნება... ჟურნალები ასახავდნენ მუშათა მოძრაობის იმეტაქსს, როცა მუშათა მოძრაობა სოციალიზმის გარეშე არსებობდა... როგორც „მუშა“, ისე „განთიადი“ და „სხივი“ არსებითად პატრიოტულ-დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტური შინაარსის ჟურნალებია. იმ დროს ბურჟუაზიული დემოკრატიიდან მუშათა კლასის გამოყოფა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და პროლეტარულ-დემოკრატიული ნაკადი ნაროდნიკულ-დემოკრატიულ საერთო მდინარებაში შედიოდა... „მუშა“ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პრესის წინამორბედი იყო. იგივე შეიძლება ითქვას „განთიადისა“ და „სხივის“ შესახებ“¹.

დასასრულ, „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში“ მუშათა პირველი ხელნაწერი ჟურნალები ასეა შეფასებული: „მათი გამოცემა მოწმობდა, რომ იზრდებოდა მუშათა შეგნებულობა, რომ მუშებს ლეგალური პრესა არ აკმაყოფილებდა. ხელნაწერი ჟურნალების ფურცლები მოგვითხრობდნენ მუშათა გაჭირვებას, გმობდნენ სოციალურ უთანასწორობას და ექსპლოატაციას. არალეგალური პრესის ჩანასახების განსაკუთრებული მნიშვნელობა ის იყო, რომ ისინი უნერგავდნენ მუშებს იატაკქვეშა რევოლუციური მუშაობის ჩვევებს“².

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ დამოწმებული ავტორები, სამწუხაროდ, იფარგლებიან მუშათა არალეგალური ხელნაწერი პრესის მხოლოდ ზედაპირული აღწერით, ვერ გვაძლევენ მის საფუძვლიან მიმოხილვას. ამას თავისი ობიექტური ნიზეზები აქვს: ჯერ

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V, 1970, გვ. 731-732.

² საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. 1971, გვ. 31. სამწუხაროდ, ამ წიგნში მოხსენიებულია მხოლოდ „მუშა“, „სხივი“ და „განთიადი“ და არაფერია ნათქვამი მუშათა დანარჩენ არალეგალურ ხელნაწერულ ნაგავებზე: „ნაპერწყალზე“, „სინათლეზე“ და სხვ.

ერთი, ის, რომ მრავალი ამ ორგანოთაგანი მათთვის სრულიად უცნობი იყო (ი. მკედლიშვილია „ნაპერწყალს“, ი. სულხანიშვილის „განთიადს“ და ზოგიერთ სხვას პირველად ჩვენ მივაქციეთ ყურადღება); მეორეც, როდესაც ეს ავტორები საუბრობენ მუშათა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების შინაარსზე, ისინი უმთავრესად ემყარებიან ადრე განოქვეყნებულ მათ მოკლე აღწერილობებს, ხოლო უშუალოდ ორიგინალები ხშირ შემთხვევაში მათთვის მიუწვდომელი იყო (მაგალითად, ლონდონში დაცული „მუშა“). ამგვარად, ამ ავტორთა შეხედულებები უფრო დეკლარაციული ხასიათისაა. ჩვენი ნაშრომის მიზანი სწორედ ის არის, რომ ერთგვარად შევაგსოთ აღნიშნული ხარვეზი.

ცხადია, პირველმა არალეგალურმა მუშათა ხელნაწერმა ჟურნალ-გაზეთებმა გარკვეული როლი შეასრულეს არა მარტო მუშების გათვითცნობიერებასა და კლასობრივი შეგნების ამალღებაში, არამედ მათ ნიადაგი მოამზადეს პირველი ქართული არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთების გამოცემისათვისაც. ამ ეზრივ მათ მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია მუშათა ხელნაწერი ორგანოების ადგილი ქართული ბოლშევიკური პრესის ისტორიაში.

ამ მთავარი, კარდინალური საკითხის გადაწყვეტასთან ერთად აუცილებელია აგრეთვე მოსწავლეთა და კერძო პირების ნიერ გამოშვებული ცენზურაგაუფლელი ჟურნალ-გაზეთების შინაარსის ანალიზიც. მათაც ფასდაუღებელი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ქართული ჟურნალისტიკის, არამედ XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც. მთავარი კი, ჩვენი ფიქრით, ის არის, რომ შეუძლებელია სრულყოფილად გავიანზროთ საკვლევი ეპოქის სოციალური პროცესები, განვსაზღვროთ განმათავისუფლებელი მოძრაობის, ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის განვითარების გზები, თუ ანგარიშს არ გავუწევთ არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალებსა და გაზეთებს, რადგან გასაგები მიზეზის გამო მათში უფრო ნეტად გვხვდება თავისუფალი, გულახდილი მსჯელობა მრავალ ეტიკინეულ პრობლემაზე. ამას უნდა დავუმატოთ ის საყურადღებო ფაქტიც, რომ ხელნაწერ პრესაში აიდგა ფეხი და მიიღო პირველი წრთობა მრავალმა შემდგომ ისეთმა გამოჩენილმა მოღვაწემ, როგორც იყვენენ მეცნიერები და მწერლები: შალვა დადიანი, ნიკო მარი, გიორგი ლასხიშვილი, სილოვან ხუნდაძე, პეტრე მირიანაშვილი, არტენ ანზაზაროვი, ანდრია ბენაშვილი და სხვები; პროფესიონალ-რევიოლუციონერები: ლადო კეცხოველი, ფილიპე მახარაძე, მიხეილ ბოჭორიძე, არაქელ ოქუაშვილი და ა. შ. არალეგალურ ხელნაწერ პრესაში მუშაობა მო-

სამზადებელი პერიოდი იყო მათ გამოსასვლელად საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე.

ამას ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავთ. რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ცენზურაგაუვლელი ხელნაწერი პრესა თითქმის იგნორირებულია — მის შესახებ მოგვეპოვება მხოლოდ რამდენიმე სპეციალური სტატია და ზოგიერთი ავტორის მცირეოდენი ცნობები, რომლებიც სხვადასხვა განოცემებშია გაბნეული.

იმ ფაქტზე, რომ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევრები ერთგვარად უგულებელყოფენ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების მნიშვნელობას, მკაფიოდ მეტყველებს ბიბლიოგრაფიული გამოკვლევებიც. ასე, მაგალითად, გ. ბაქრაძის მიერ შედგენილ ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში, რომელშიც შესულია 1819-1945 წლებში განოცემული ქართული პრესის ორგანოები, აღწერილია მხოლოდ 8 ხელნაწერი ჟურნალი¹. ჯერ ერთი, ეს ციფრი მიახლოებითაც კი ვერ ასახავს სინამდვილეს (ხელნაწერი ჟურნალები გაცილებით მეტი იყო) და მეორეც, ბიბლიოგრაფიაში სრულიად გამორჩენილია ხელნაწერი გაზეთები.

ასეთ ვითარებაში, როდესაც პრობლემა არსებითად სრულიად შეუსწავლელია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველწყაროების მაქსიმალურად გამოვლინებასა და გამოყენებას. ცხადია, რაც უფრო მეტი რაოდენობითა და მეტი სისრულით განვიხილავთ ცენზურაგაუვლელი ჟურნალ-გაზეთების ნომრების მასალებს ჩვენს გამოკვლევაში, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება თავიდან ავიცილოთ შემთხვევითობის ელემენტი ამა თუ იმ შეხედულებათა შეფასებისას, რომლებიც დამახასიათებელია შესაბამისი პერიოდის რევოლუციური ნოქარაობისათვის და რომლებმაც ასახვა პოვეს ამ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. აღნიშნულმა გარემოებამ გვიკარნახა შესაძლებლობის ფარგლებში დაგვედგინა რაც შეიძლება სრული სია საანალიზო ხელნაწერი ორგანოებისა, დაგვეჭებნა დღემდე შემონახული მათი ყველა ნომერი, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ზოგიერთი მათგანი დაკარგული აღმოჩნდებოდა, მიგვეკვლია არაპირდაპირი მონაცემებისათვის მაინც, რაც დაგვეხმარებოდა მათი შინაარსის ნაწილობრივად აღდგენაში.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცენზურაგაუვლელი ხელნაწერი პრესის განვითარების გზა, მოვახდინოთ განცალ-

¹ ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1819-1945. შედგენილი გ. ბაქრაძის მიერ. 1947, გვ. 205.

კვებული მონაცემების სისტემატიზაცია. ეს წიგნი წარმოადგენს ცენტურაგაუვლელი ჟურნალ-გაზეთების ისტორიის სწორედ ასეთი განხილვის პირველ ცდას ზოგიერთი მისი ძირითადი ასპექტის მიხედვით.

ჩვენი გამოკვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ფუძემდებლური შეხედულებანი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, კომუნისტური პარტიის ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილება მუშათა პრესის მაღალი იდეურობისა და პოლიტიკური პრინციპულობისათვის.

პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის განვითარება მიწინააღმდეგობს საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი ობიექტური კანონების, კლასობრივი ბრძოლის კანონების უშუალო ზემოქმედებით; იგი უცილობლად განიცდის საზოგადოების სხვადასხვა ფენის ამა თუ იმ გავლენას. არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება არსებობდეს პრესა, რომელიც ნთელი თავისი ფესვებითა და სულისკვეთებით დაკავშირებული არ იქნება გარკვეულ კლასებთან, ე. ი. ბეჭდვითი სიტყვა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამო — მკვეთრად გამოხატული კლასობრივი მოვლენაა. ვ. ი. ლენინი პრესის თითოეული ორგანოს ადგილსა და როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაზღვრავდა იმისდა მიხედვით, თუ იგი რომელი კლასის ინტერესებს იცავდა და გამოხატავდა. ვ. ი. ლენინის მუშაობის მეთოდები ან სფეროში ჟურნალისტიკის ისტორიის ყველა მკვლევარისათვის უძვირფასესი მაგალითია. ვ. ი. ლენინი ყოველთვის ღრმად წვდებოდა თითოეული პერიოდული ორგანოს შინაარსს, გვიჩვენებდა მის ჰუმანიტარულ კლასობრივ ხასიათს და პირდაპირ სვამდა მის წინაშე კითხვას: რომელი კლასის მხარეზე იბრძვი?

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „მარქსიზმის მთელი არსი, ნთელი მისი სისტემა მოითხოვს, რომ ყოველი დებულება განვიხილოთ მხოლოდ (A) ისტორიულად; (B) მხოლოდ სხვა დებულებებთან დაკავშირებით; (C) მხოლოდ ისტორიის კონკრეტულ გამოცდილებასთან დაკავშირებით“¹. სწორედ ასეთ დიალექტიკურ-ისტორიულ მიდგომას ამჟღავნებდა ვ. ი. ლენინი პრესის ანალიზის დროსაც, რის შედეგადაც ყველა მისი შენიშვნა და შეფასება, რაც პრესის ორგანოებს ეხებოდა, ყოველთვის კონკრეტული იყო, ითვისლისწინებდა ისტორიულ ვითარებას და განსაზღვრავდა თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე გაჩაღებულ კლასთა ბრძოლაში. ვ. ი. ლენინი გულმოდგინედ ანალიზებდა ჟურნალებისა და გაზეთების საქმიანობისათვის და

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 35, გვ. 256.

მახასიათებელ ყველა ობიექტურ მონაცენსა და ფაქტს. მხოლოდ ფაქტიური მასალის მეცნიერულ-ობიექტური შესწავლის შედეგად გამოჰქონდა ვ. ი. ლენინს პრინციპული დასკვნები იმ როლის შესახებ, რასაც მოცემული პერიოდული ორგანო ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში კონკრეტული ისტორიული ვითარების შესაბამისად.

ამგვარად, მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში ბეჭდვითი სიტყვის შესახებ განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ პრესის ორგანოების საქმიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმია მათი კლასობრივი არსის განსაზღვრა. ამ ფუძემდებლური პრინციპის გათვალისწინებით ცხადი ხდება თუ რა გზა განვლო ქართულმა ცენზურაგაუვლელმა ხელნაწერმა პრესამ „საერთო-დემოკრატიული“ ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნიმართულებიდან პროლეტარული, სოციალ-დემოკრატიული მიმართულებისაკენ. არალეგალური ხელნაწერი პრესა უფრო აშკარად და მოუერიდებლად ეწეოდა ეპოქის მოწინავე, პროგრესული იდეების პროპაგანდას, ვიდრე ამას ახერხებდნენ ბეჭდური პერიოდული ორგანოები, და იგი უფრო მწვავედ და თავისუფლად ილაშქრებდა მეფის თვითმპყრობელობის, სოციალური უსამართლობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ამასთანავე მის საქმიანობაში ისეთივე კანონზომიერებანი შეიმჩნევა, როგორც ბეჭდურ პრესაში, სახელდობრ, საქმე გვაქვს მათ კლასობრივ დიფერენციაციასთან: გვხვდება როგორც განმანათლებლური, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, აგრეთვე ხალხოსნური მიმართულებისა და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის — მუშათა არალეგალური ხელნაწერი პრესაც. ეს კი ცხადყოფს, რომ სხვადასხვა იყო კლასები, რომლებიც ცალკეულ ისტორიულ ეტაპებზე გამოდიოდნენ როგორც განმათავისუფლებელი მოძრაობის ეთავარი ძალები. მათ სხვადასხვა მიზნები ამოძრავებდათ და შეცვლილი პირობების შესაბამისად იცვლებოდა ბრძოლის ხერხებიც, რაც ხელს უწყობდა ასალი სოციალური ძალების გამოსვლას საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე, ეპოქის შესაბამისი იდეების გამომუშავებას, იდეებისა, რომლებიც მეტი სისრულით გამოხატავდნენ ყველაზე უფრო პროგრესული ფენებისა და კლასების საარსებო ინტერესებს. ცენზურაგაუვლელ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდური პროგრესული პრესის პარალელურად, როგორც სარკეში, ისე აისახა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალური განვითარების, კლასთა ბრძოლის რთული და მრავალფეროვანი კალეიდოსკოპი.

ამასთან დაკავშირებით, წიგნის შესაბამის თავებში, განმეორე-

ბათა თავიდან ასაცილებლად, კლასობრივი შეფასებანი მოცემულია როგორც მთლიანად, ე. ი. ცენზურაგაუვლელი ჟურნალ-გაზეთების თითოეული ჯგუფის მიხედვით, ისე საჭიროების შემთხვევაში ნაჩვენებია კლასობრივი არსი ცალკეული ორგანოებისა, რომლებსაც გააჩნიათ დამახასიათებელი თავისებურებანი, რაც ნიშანდობლივია სხვა მსგავსი გამოცემებისათვის.

გარდა ზენოთქმულისა, წიგნში ყურადღება გამახვილებულია ქართული ცენზურაგაუვლელი ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების წარმოქმნისა და განვითარების ძირითად პირობებსა და მიზეზებზე. მათი მუშაობის მეთოდებსა და ფორმებზე, მათ როლზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.

თითოეულ ხელნაწერ ჟურნალსა და გაზეთს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შესაბამისი ადგილი უჭირავს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში და თავისი წვლილი აქვს შეტანილი იმ რევოლუციურ ბრძოლებში, რასაც ქართველი ხალხი მეფის თვითნებობისა და ექსპლოატატორთა ბატონობის წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად ეწეოდა.

მოსწავლეთა ხელნაწერი პრესა

შესავალში უკვე აღვნიშნეთ ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლები ხასიათდება განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობით, რაც მთელს რუსეთის იმპერიაში იყო გაშლილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეური ხელმძღვანელობით და რომლის ეთავარი შინაარსი იყო ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, პოლიტიკური თავისუფლებისა და პროგრესისათვის. დავუმატებთ მხოლოდ, რომ ამ ბრძოლაში რევოლუციურად განწყობილმა ახალგაზრდობამ თვალსაჩინო როლი შეასრულა. სტუდენტები და ნათთან დაკავშირებული მოსწავლეები ყველგან აქტიურად მონაწილეობდნენ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში, ქმნიდნენ არალეგალურ წრეებსა და ორგანიზაციებს, აწყობდნენ გამოსვლებს და ა. შ. რევოლუციური სულისკვეთება ეუფლებოდა აგრეთვე საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ვინებასაც.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს 60-იანი წლების ცნობილი მოღვაწის ნ. ნიკოლაძის მიერ ნ. პ. ოგარიოვისადმი 1865 წლის 14 მაისის თარიღით გაგზავნილი წერილი, რომელიც გამოყენებულ იქნა „კოლოკოლში“. აღნიშნული ვაზეთის განყოფილებაში „ნარევი“ დაიბეჭდა წერილი „მიხეილები და მიხეილ ნიკოლოზის ძენი“. მასში ნათქვამია, რომ მეფისნაცვალმა კავკასიაში მიხეილ ნიკოლოზის ძემ თითქოს დიდი „საგმირო“ საქმე ჩაიდინა იმით, რომ «недавно... отвратил страшную беду, висевшую над головой России, он открыл двух-трех гимназистов, составивших тайное общество «Молодой Грузии и молодой Армении», и затем были арестованы какие-то грузинские студенты. Что было бы с нами, если б не его бдительность!»¹.

¹ «Колокол», лист 197, от 25 мая 1865 года. Цит. по факсимильному изданию. М., 1963, вып. VIII, стр. 1619.

სამწუხაროდ, ამ ფაქტის თაობაზე სხვა ცნობები არ ნიშნავენ: არც სამეცნიერო ლიტერატურაში და არც შესაბამის საარქივო მასალებში არ გვხვდება დამატებითი მონაცემები ამგვარი ორგანიზაციის ან შეთქმულების შესახებ. მაგრამ, ნიუხედავად ამისა, ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ, ალბათ, ახალგაზრდობაში გაშლილმა რევოლუციურმა მოძრაობამ (როგორც მთელს რუსეთში, ისე საქართველოში) არცთუ ისე უსაფუძვლოდ შეაშფოთა ქვეყნის მმართველები.

60-იან წლებში მოსწავლეთა განწყობილების შესახებ ბევრი რან ნათელი ხდება გ. თუმანიშვილის საარქივო მასალებიდან. მისი სიტყვებით, ახალგაზრდობის ინტერესი საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი, მისწრაფება მათი შეფასებისადმი დამახასიათებელი იყო არა მარტო თბილისის გიმნაზიის, არამედ კერძო პანსიონების მოსწავლეებისათვისაც. როდესაც იგი ეხებოდა დ. ყიფიანის პანსიონში გატარებულ წლებს (სადაც იგი სწავლობდა 1867 წლამდე — გიმნაზიაში შესვლამდე), აღნიშნავდა, რომ მოსწავლეებმა იგი ჩაითრიეს არალეგალურ მოძრაობაში, ხშირად იკრიბებოდნენ ერთად და გამოთქვამდნენ კრიტიკულ შენიშვნებს არა მარტო არსებული წყობილების მიმართ რუსეთის მასშტაბით, არამედ მსჯელობდნენ კიდევაც ევროპის რევოლუციურ მოვლენებზე, კერძოდ, გარბალდიელთა ბრძოლაზე ავსტრიის ბატონობისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის¹.

მოსწავლეები ცუდად როდი ერკვეოდნენ აგრეთვე საფრანგეთის პოლიტიკურ ვითარებაში. მათ განსაკუთრებით აღაშფოთებდათ ნაპოლეონ III-ის მოქმედება, რომელმაც რუსეთის მეფის მსგავსად ქვეყანაში დაამყარა მკაცრი დიქტატურა და პოლიციური ტერორი. იგივე გ. თუმანიშვილი თავის რუსულ ხელნაწერ ორგანოში „კავკაზსკაია სირენა“ (1868, № 1; წერილის სათაურია: „პოლიტიკური ნიმობილვა“) წერს პარიზის ამბების შესახებ, როდესაც პოლიციელთა თვითნებობით აღშფოთებულმა ხალხმა ჩაამსხვრია ყაზარმების ფანჯრები და „მარსელიოზას“ მღეროდა. ავტორი იტყობინება, რომ ამბოხებელი მოქალაქენი ხიშტებით გარეკეს და ბევრი მათგანი დააპატიმრეს, ნაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი გაბედულად გაჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს რესპუბლიკას, თავისუფლებას!“ გ. თუმანიშვილი, რომელიც კომენტარს უკეთებს ამ მოვლენას, სტატიის ბოლოს წერს: „ჩვენ ამას დიდი ხანია რაც მოველოდით და კიდევ ბევრი ასეთი გამოსვლის მოწმენი ვიქნებით, მიუ-

¹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 440.

ხედავად ნაპოლეონის ყოველგვარი ცდისა... იგი ყოველ წუთს თავის აღსასრულს უნდა მოელოდეს და საფრანგეთს დიდი ღრო აღარ უწერია იმპერიად იწოდებოდეს".¹ ამ სიტყვებში არ შეიძლება არ დავინახოთ ავტორის ღრმა სიმპათია საფრანგეთის რევოლუციური ტრადიციებისადმი. საერთოდ, იგი ყოველმხრივ ცდილობს განადიდოს განმათავისუფლებელი ბრძოლა ხალხებისა, სადაც კი არ უნდა წარმოებდეს იგი — იტალიასა თუ საფრანგეთში. ბუნებრივია, რომ ამასთანავე მას მხედველობაში ჰქონდა რუსეთიც, სადაც ხელისუფლების ძალადობა და თვითნებობა არა მარტო ჩამორჩებოდა, არამედ, ალბათ, აღემატებოდა კიდევაც რეაქციულ პოლიტიკას, რასაც ატარებდა როგორც მონარქიული ავსტრია, ისე ლუიბონაპარტი.

უკანასკნელი ორი ფაქტი უკვე გიმნაზიელთა ცხოვრებას განეკუთვნება, კერძოდ, ისინი მიუთითებენ თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა განწყობილებაზე, სადაც მოსწავლეთა გონებრივი გამოფხიზლების პროცესს უფრო ღრმა ხასიათი ჰქონდა. თანამედროვეთა გადმოცემით, გიმნაზიელები უფროსებისაგან მალულად თავდავიწყებით კითხულობდნენ ოუენის, მილსის, დარვინის, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების (ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვისა და სხვ.) ნაწარმოებებს, ხარბად ეწაფებოდნენ ეპოქის პროგრესული იდეებს². და სავსებით კანონზომიერია ის, რომ ისინი მალე სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ინციდენტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში 1868 წლის 6 დეკემბერს. მოსწავლეთა მღელვარების უშუალო მიზეზი გახდა ის, რომ ან სასწავლებლის დირექტორმა ვ. ჟელიხოვსკიმ შემოიღო ახალი, ბავშვებისათვის დამამკირებელი წესები და გიმნაზიიდან გააძევა პროგრესული და ჰუმანური მასწავლებელი ლავრენკო. მოსწავლეებმა სცემეს დირექტორს. აღსანიშნავია, რომ ამ აქციას ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა: მასში მონაწილეობდნენ მე-7 კლასის როგორც ქართველი, ისე რუსი და სომეხი მოსწავლეები. ამის შედეგად დამნაშავე კლასი საერთოდ დაკეტეს ერთი წლით, ხოლო რამდენიმე ათეული მოსწავლე გარიცხეს გიმნაზიიდან.

ამავე პერიოდში მოსწავლეთა ფარული წრე არსებობდა აგრეთვე ქუთაისის გიმნაზიაშიც. მასში შედიოდნენ გ. მაჭავარიანი, ი. თავზადაშვილი, ნ. წულუკიძე და სხვ. 1865 წლის 14 მაისს გიმნაზიაში მღელვარება დაიწყო, ხოლო ერთ-ერთმა მოსწავლემ —

¹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 434.

² იქვე, დოკ. № 440.

გ. მაჭავარიანმა სილა გააწნა გეოგრაფიის მასწავლებელს, რეაქციონერ ოლშანსკის. მღელვარების მონაწილენი მკაცრად დასაჯეს, პირველ რიგში გ. მაჭავარიანი, რომელიც რამდენიმე თვით ციხეში ჩასვეს¹.

მაგრამ არავითარ რეპრესიებს არ შეეძლო ჩაეხშო მოსწავლეთა პროტესტისა და შეურიგებლობის სულისკვეთება. ისინი კვლავინდებურად განაგრძობდნენ არალეგალურ მუშაობას, კითხულობდნენ აკრძალულ ლიტერატურას და სხვ.

რევოლუციური სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს პროგრესულ მოღვაწეთა მეცადინეობით შექმნილმა ბიბლიოთეკებმა. სახელდობრ, ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს „ივანოვის ბიბლიოთეკის“ საქმიანობა. მისი შექმნის ინიციატორი ნ. ნიკოლაძე იყო. მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვ. ბიბლიოთეკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოსწავლეებთან და ამბარაგებდა მათ პროგრესული ლიტერატურით. ანდა ავიღოთ, მაგალითად, თბილისის რეალური სასწავლებლის მოსწავლის ი. ჯაბადარისა და მისი ამხანაგების მიერ მოწყობილი საშინაო ბიბლიოთეკა, რომელშიც სხვა წიგნებთან ერთად იყო ლუი ბლანის ნაწარმოებები, მილის თხზულებანი ნ. ჩერნიშევსკის შენიშვნებით, ა. გერცენის „კოლოკოლის“ კომპლექტები და სხვ². უნდა აღინიშნოს, რომ გიმნაზისტებმა შექმნეს ფარული წრე, რომელშიც გარეშე პირებიც შედიოდნენ: ყოფილი სტუდენტები (რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო უმაღლესი სასწავლებლებიდან გამორიცხულები) და თბილისის სხვა სასწავლებლების მოსწავლეები. წრის წევრები ეცნობოდნენ ლასალის ნაწარმოებებს, კ. მარქსის „კაპიტალს“ და ა. შ. ამ წიგნებს ისინი ღებულობდნენ თავიანთი ნაცნობებისაგან — პეტერბურგელი სტუდენტებისაგან. შემდგომში ზოგიერთი მათგანი „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციის“ აქტიური წევრი გახდა და რეპრესიები განიცადა (ი. ჯაბადარი, მ. ჩიქოვანი, ა. ციციშვილი და სხვ.)³.

ბუნებრივია, რომ წლითწლილობით საქართველოს მოსწავლეთა რევოლუციური განწყობილებანი სულ უფრო ძლიერდებოდა. მრავ-

¹ ზ. შველიძე. რევოლუციურ ხალხსურ მიძრაობის ისტორიიდან აზერბაიჯანში. 1964, გვ. 157.

² Г. Мегрелишвили. Грузинская общественно-экономическая мысль второй половины XIX в. и начала XX века, т. I, ч. 2, Тб., 1962, с. 352.

³ ზ. შველიძე. ამიერკავკასიელები „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციაში“. 1974, გვ. 44.

ვალი ფაქტის მოყვანა შეიძლება განმათავისუფლებელ მოძრაობაში მათი აქტიური მონაწილეობის შესახებ მომდევნო წლებში. ახალგაზრდობის გათვითცნობიერებაში დიდი როლი ეკუთვნის მოსწავლეთა საგამომცემლო საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები ყველაზე მრავალრიცხოვანია. ეს სავსებით ლოგიკურ მოვლენას წარმოადგენს, რამდენადაც პროგრესულად მოაზროვნე მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ საკუთარი ხელნაწერი ორგანოების გამოშვება ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტური და რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ქმედითი ფორმა იყო. მოსწავლეები განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდნენ ქართული ენის სწავლების განდევნას სკოლებიდან და პროტესტს აცხადებდნენ ამ შავრაზმული აქციის გამო. შემთხვევითი არ არის ის, რომ სკოლებში გამოსული ყველა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთის ერთ-ერთ ნთავარ დანიშნულებად აღიარებულია მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესწავლა. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად მოსწავლეთა ცენსურაგაუქვლელი პრესა, როგორც ანა შემდგომ დავინახავთ, მრავალ საჭირბოროტო საკითხსაც განიხილავდა: მოსწავლეები თამამად გამოთქვამდნენ საკუთარ აზრებს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე, ლიტერატურისა და ხელოვნების, ისტორიის, ეთნოგრაფიისა თუ სხვა პრობლემებზე. და რაც მეტად მნიშვნელოვანია, უკვე 900-იანი წლების დასაწყისისათვის. როდესაც მოწინავე მუშებთან ერთად მოსწავლე ახალგაზრდობაც ხარბად დაეწაფა ნარქსისტულ იდეებს, მათი ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ ამ ფაქტს. „ერთი ჩვენი ორგანო, — წერს ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე ლ. თუმანიშვილი, ხელნაწერ ალმანახ „კრებულში“ (1889 წ.), — ყველააგან მარქსის ნაწარმოების კითხვას თხოულობს“. ამასთანავე ავტორი აღნიშნავს, რომ ნარქსის ღრმა აზრებს ადამიანი ჩასწვდება მხოლოდ მაშინ, თუ იგი დიდ მოსამზადებელ სამუშაოს ჩაატარებს. ლ. თუმანიშვილი ურჩევს თავის ამხანაგებს წინასწარ ბევრი რამ წაიკითხონ; შეისწავლონ, ე. ი. სათანადოდ მოეწადონ და შემდეგ შეუდგნენ მარქსის ნაწარმოების გაცნობას. „მარქსის კითხვისათვის, — წერს იგი, — საჭიროა არა კითხვის ცოდნა, არამედ ბევრი რამის ცოდნა, ბევრის თვალგაწინავება, მრავალი ნაწარმის წაკითხვა. საჭიროა ფართო შეხედულებების გამომუშავება, რომ გაიგო მარქსის ნაზრევი...“¹ აი, ასე სერიო-

¹ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი 2-15-ა, გვ. 132; შტრ. პ. ვაკარიძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა (კრებულში: „ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები“, თბ., 1968, გვ. 78).

ზულად უდგებოდა პროგრესულად მოაზროვნე მოსწავლე ახალგაზრდობა ნარქსიზმის შესწავლას.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ თვით ამ პერიოდის მოსწავლეთა არაღლეგალური გამოცემები მარქსისტული იყო. რაკლასობრივი სახე გააჩნდა მოსწავლე ახალგაზრდობის პრესას XIX საუკუნის მეორე ნახევარში? ამ მხრივ ჩვენს წინაშე საკმაოდ რთული სურათია, რაშიც საჭიროა სათანადოდ გავერკვიოთ. მოსწავლეთა არაღლეგალურ ჟურნალ-გაზეთებზე პირველ ხანებში განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა და ქართველ სამოციანელთა — „თერგდალეულთა“ იდეოლოგია, ხოლო XX საუკუნის დასაწყისისათვის — მარქსიზმი. მოსწავლეთა პრესა პროპაგანდას უწევდა ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვისა და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატთა ნაწარმოებებსა და სოციალურ-პოლიტიკურ იდეებს, ასევე დასავლეთ ევროპის გამოჩენილ პროგრესულ მოაზროვნეთა შეხედულებებს, შუქდებოდა აგრეთვე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებიც. მაშასადამე, ნოსწავლეთა პრესა თავისებურად ასახავდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში მიმდინარე პროცესებს და განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ წლითიწლობით იგი სულ უფრო რადიკალური მიმართულებისა ხდებოდა. რით იყო გაპირობებული ამგვარი გადაზრა „მარქსნიე“? ეს, პირველ ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ მუდმივად იცვლებოდა მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობა, შეინიშნებოდა მისი თანდათანობითი დემოკრატიზაცია. თუ 60-70-იან წლებში საქართველოს საშუალო სასწავლებლებში ძირითადად სწავლობდნენ თავადაზნაურთა და ზასულიერო წოდების წარმომადგენელთა შვილები, შემდგომ პერიოდში მდგომარეობა ან მხრივ მნიშვნელოვნად შეიცვალა. შედარებისთვის მოვიტანთ სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების, რეალური სასწავლებლების მოსწავლეთა სოციალურ შემადგენლობაზე 1887-სა¹ და 1902 წლებში².

¹ Отчет попечителя Кавказского Учебного Округа о состоянии учебных заведений за 1887 год. Тифлис, 1888, с. 40—41, 106—107, 190—191.

² Отчет о состоянии учебных заведений Кавказского Учебного Округа за 1902 год. Тифлис, 1903, с. 60—63, 138, 214—215.

საქართველოს მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობა

(პროცენტობით)

წლები	ვაჟთა გიმნაზიები და პროგიმნაზიები		რეალური სასწავლებლები		ქალთა გიმნაზიები და პროგიმნაზიები	
	პრივილეგ. წოდებანი	არაპრივილეგ. წოდებანი	პრივილეგ. წოდებანი	არაპრივილეგ. წოდებანი	პრივილეგ. წოდებანი	არაპრივილეგ. წოდებანი
1887	69,9	30,1	55,5	44,5	82,5	17,5
1902	45,1	54,9	42,8	57,2	44,8	55,2

ამ ცხრილიდან ცხადი ხდება, რომ თვით საშუალო სასწავლებლებშიც კი (რომ არაფერი ვთქვათ სასოფლო სკოლებზე) იზრდებოდა მოსწავლეთა დემოკრატიული ფენა, დაბალი წოდების წრიდან გამოსული ბავშვების რიცხვი, ხოლო მცირდებოდა თავადაზნაურთა წარმომადგენლების რაოდენობა.

ამგვარად, ასეთი ხასიათის ცვლილებანი მოსწავლეთა სოციალურ სტრუქტურაში მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობდა იმას, რომ მოსწავლეები არა მარტო გატაცებით ეუფლებოდნენ ეპოქის მოწინავე, პროგრესულ იდეებს, არამედ ბევრი მათგანი უშუალოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, შემდგომში ცნობილი რევოლუციონერი გახდა. მოსწავლეთა შემადგენლობის დემოკრატიზაცია, ჩვენი აზრით, წარმოადგენდა იმ გადამწყვეტ ფაქტორს, რამაც არსებითად განსაზღვრა მოსწავლეთა ცენზურაგაუვლელი ჟურნალ-გაზეთების რადიკალური მიმართულება. ამასთანავე, თუმცა ისინი ხშირ შემთხვევაში გამსჭვალული არიან მებრძოლი, რევოლუციური სულისკვეთებით, ნაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი თვით XX საუკუნის დასაწყისისთვისაც კი, ჩვენთვის გასაგები მიზეზების გამო, ვერ ამალღდა მარქსიზმის სწორ გაგებამდე. მაშასადამე, თუ მთლიანად ვიმსჯელებთ მოსწავლეთა ცენზურაგაუვლელი პრესის კლასობრივ ხასიათზე, შევნიშნავთ, რომ იგი არ გამოდიოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეების ჩარჩოებიდან, რაშიც ერთხელ კიდევ დავრწმუნდებით მისი შინაარსის ანალიზისას.

მეფის ხელისუფლების ორგანოებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მოსწავლეთა გატაცება არალეგალური ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოცემით, რაც სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებდა. ამ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთებით გაქდენთილი მასალები მოხვეწებდას უკარგავდა მათ. მოსწავლეთა არალეგალურ გამოცემებს ისეთი ფართო მასშტაბი ჰქონდა, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა, უკიდურესმა რეაქციონერმა კ. იანოვსკიმ 1882 წლის 5 აპრილს სპე-

ციალური ცირკულიარიც კი (№ 1654) დაუგზავნა გიმნაზიების, პროგიმნაზიების, რეალური სასწავლებლებისა და სემინარიების უფროსებს. ცირკულიარში. კერძოდ, ნათქვამია:

«До моего сведения дошло, что в некоторых средних учебных заведениях учащиеся занимаются изданием рукописных, а иногда гектографированных периодических листков, без ведома начальства и руководства со стороны учителей. В этих листках нередко подвергаются порицанию поступки, совершенно не заслуживающие порицания не только учащихся, но и лиц взрослых.

Находя издание листков учениками с отрицательным направлением вообще вредным в воспитательном отношении, я прошу Вас покорнейше допускать издание периодических рукописных листков с большой осторожностью, с одобрения Педагогического Совета и под руководством лица, избранного Советом и притом допускать издание в таком случае, если подобные издания не будут служить в ущерб учебным занятиям вообще, и с тем, чтобы статьи, помещенные в изданиях, служили развитию в учащихся уважения к человеческой личности и стремления к добру и истине»¹.

თავის მხრივ. სასწავლებლების ხელმძღვანელებიც იფრთხილებდნენ მოსწავლეებს, რომ თავი დაენებებინათ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოშვებისათვის, მაგრამ ეს უკანასკნელნი არაფრად აგდებდნენ უფროსების რისხვას და უშიშრად განაგრძობდნენ არალეგალური პრესის ორგანოების გამოცემას.

როგორც კი სასწავლებელთა მესვეურნი ჩაეროდნენ ხოლმე ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეში, მოსწავლეები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ მათგან მალულად გამოეშვათ თავიანთი ორგანოები, რადგან უფროსთა მეთვალყურეობა მათ ხელს არ აძლევდათ. სინამდვილეში ეს ცენზურის შემოღების ცდა იყო სასწავლებლების ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების მიმართ, რაც მოსწავლეებს კარგად ესმოდათ.

სხვათა შორის. ამ ფაქტზე არაპირდაპირ მითითებულია გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ერთ მასალაში („კავკასიის სამასწავლებლო მაზრის ცირკულიარი“)². კერძოდ, აქ ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორის ა. სტოიანოვის ანგარიშია გადმოცემული, რომელშიც ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „შაგირდებმა ხელთნაწერი ჟურნალის გამოცემა დაიწყეს, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ, როცა ამის ნება მიეცათ, აუცრუვდათ გული“. მოსწავლეებს რომ ამ საქმეზე საერთოდ გული არ ასცრუებიათ, ეს დასტურდება იმ ფაქტით, რომ ხელნა-

¹ საქართველოს სსრ ცსია, ფონდი 422, საქმე 1611, გვ. 1-15. ამ ცირკულიარის შინაარსი დაიბეჭდა „დროების“ 1882 წლის 12 ივნისის ნომერში.

² „დროება“, 1882, № 31.

წერი უურნალ-გაზეთების გამოცემას ქუთაისში ამ პერიოდში და შენდგომაც საკმაოდ ინტენსიურად მისდევდნენ. რაც შეეხება გულის აცრუებას, ეს მართებულია ითქვას მხოლოდ ნებადართული, მასწავლებლების მეთვალყურეობით გამოცემული ორგანოების მიმართ, რომლებშიც მოსწავლეები უხალისოდ მონაწილეობდნენ.

ვინაიდან მომდევნო წლებშიც ოფიციალური პირები სასტიკად დევნიდნენ სასწავლებლების არალეგალურ განოცემებს, მოსწავლეები ზოგჯერ იძულებული იყვნენ ხელნაწერი უურნალ-გაზეთების გამოშვების ნებართვა ეთხოვათ, მაგრამ ამაოდ. დავიმოწმებთ ერთ მაგალითს. ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს 1907 წლის 3 ნოემბრის სხდომის ამონაწერი გვამცნობს: ნასწავლებელ ვ. ე. ჩერნიაევს მოუხსენებია, რომ მეშვიდე კლასის მოსწავლეები ხელნაწერი უურნალის გამოცემას თხოულობენო. პედაგოგიურ საბჭოს გადაწყვეტილება მიუღია ეს საკითხი დაესვა ოლქის მზრუნველის წინაშე, რომელსაც თავის 10 დეკემბრის პასუხში აუკრძალავს გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ ხელნაწერი უურნალის გამოშვება¹.

მოსწავლეთა ცენზურაგაუვლელი უურნალ-გაზეთები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გამოდიოდა. თბილისისა და ქუთაისის სასწავლებლებში გამოცემულ არალეგალურ პრესას ჩვენ ცალკე ქვეთავებში განვიხილავთ. ამჯერად კი შევჩერდებით მხოლოდ გორისა და ხონის მოსწავლეთა ხელნაწერ ორგანოებზე.

ცნობილი ქართველი ბელეტრისტის სოფრომ მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით გორის სასულიერო სასწავლებლის მეოთხე-კლასელი მოსწავლეები ხელნაწერ უურნალ „შრომას“ სცემდნენ². „რედაქტორ-გამომცემელი თვით მოსწავლენი იყვნენ. — წერს ს. მგალობლიშვილი, — ამგვარ რედაქტორად „შრომისა“ 1885-1886 სამოსწავლო წელში იყო შიოც³ და გამომცემლად დათიკა დავითაშვილი...“⁴ უურნალი რეგულარულად, მშვენიერი ხელით დაწერილი და ლამაზად აკინძული გამოდიოდა. ამ ორს გარდა მასში თანამშრომლობდნენ აგრეთვე იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე), ნილა კასრაძე და სხვები. ს. მგალობლიშვილი, სამწუხაროდ, მცირე ცნობებს გვაწვდის „შრომის“ შინაარსზე. იგი ცალკე იხსენიებს მხოლოდ

¹ საქართველოს სსრ ცსია, ფონდი 422, საქმე 9449, გვ. 25.

² ს. მგალობლიშვილი ამ დროს ხსენებული სასწავლებლის მასწავლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში, 1871 წელს, ასეთვე სათაურით გამოცემულ ხელნაწერ უურნალში თანამშრომლობდა (იხ. ამ თავის პარაგრაფი: „თბილისის სემინარიაელთა არალეგალური ხელნაწერი ორგანოები“).

³ შიო ჩიტაძე.

⁴ ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი. 1938, გვ. 85, 226-227.

შიო ჩიტაძის პატარა მოთხრობას „ტყის დარაჯი ანტონა“, რომელიც შესანიშნავ ნაწარმოებად მიაჩნია.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც გორის სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარიაში ქართულ ენას ა. ქუთათელაძე ასწავლიდა, მოსწავლე ლადო აღნიაშვილის ინიციატივით დაარსდა ხელნაწერი ჟურნალი „რიყრაყი“, რომლის რედაქტორი იყო შემდგომში ცნობილი სახალხო მასწავლებელი ა. ნათაძე (1864-1916). მასში თანამშრომლობდნენ ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, თ. ხუსკივაძე და სხვ.¹ ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ს. რაზიკაშვილი: „ბაჩანა სემინარიაში ყოფნის დროს დაუახლოვდა იქაურ მოწინავე რევოლუციურ მოსწავლეებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლადო აღნიაშვილის მიერ დაარსებულ ხელნაწერ ჟურნალ „რიყრაყში“, ამ ჟურნალის პოეზიის ნაწილის ხელმძღვანელი ვაჟა ყოფილა, ხოლო გადამწერად ბაჩანა, რადგან მას მშვენიერი ხელი ჰქონდა“².

გორის სამასწავლებლო სემინარიაში შემდგომ წლებშიც გამოდიოდა მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალები, კერძოდ, „ცდა“ (1901 წ.) და „ჩუხჩუხი“ (1903 წ.)³, რომელთა რედაქტორი იყო ილია რუხაძე. ამ გამოცემებში მონაწილეობდა ა. კინწურაშვილიც (იასამანი) — ათავსებდა ლექსებს.

გორის სამასწავლებლო სემინარიაში ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოშვების ფაქტი ცნობილი გახდა ნეფის მთავრობის წარმომადგენლებისათვის, რომლებმაც მკაცრად დაგმეს მოსწავლეთა არალეგალური საქმიანობა, რადგან ისინი ამაში სამართლიანად ხედავდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ გამოლაშქრებას. 1902 წლის 15 იანვარს განათლების სანინისტროს დაწყებითი სასწავლებლების დეპარტამენტი სწერდა კავკასიის ოლქის მზრუნველს:

«Среди воспитанников семинарии существовало сообщество лиц, которое поставило целью развивать в своих товарищах недовольство существующим строем общественной и государственной жизни, внушать им противорелигиозные и противоправительственные идеи. Это сообщество образовало свою библиотеку... издавало... газету, в которой воспроизводились запрещенные произведения Л. Толстого и помещались статьи

¹ სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. კრებული მეორე, 1955, გვ. 84.

² ს. რაზიკაშვილი. მოგონება ბაჩანაზე. ლიტერატურის მათიანე, წიგნი 5, ნაკვეთი პირველი, 1949, გვ. 52.

³ გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის № 25283 და 25285 ხელნაწერები.

собственного изготовления крайне предосудительного направления»¹.

რაც შეეხება ხონის მოსწავლეთა საგამომცემლო მოღვაწეობას, შემონახულია სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარიაში 1895-1896 წლებში გამოსული ხელნაწერი გაზეთი „პირველი ნაბიჯი“, რომლის რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: სამსონ ბახტაძე, ნიკოლოზ კითავა და თორნიკე გეგეშიძე². ამ ხელნაწერი გაზეთის გამოცემის თაობაზე თ. გეგეშიძე წერდა: „მახსოვს მეორე კლასში ყოფნის დროს გამოვეცით ხელნაწერი გაზეთი „პირველი ნაბიჯი“... გაზეთი გამოდიოდა ფრიად საიდუმლოდ როგორც სემინარიის მთავრობისა, ისე სხვა კლასებისაგან“. შემდეგ თ. გეგეშიძე აღნიშნავს, რომ განოუციათ სულ 13 ნომერი. ხელნაწერი გაზეთის ამბავი ერთ-ერთ მასწავლებელს გიორგი უთურგაულს შეუტყვია, რომელიც იმდენად მხდალი ყოფილა, რომ მოსწავლეებისათვის მისი გამოშვება აუკრძალავს, უკანასკნელი ნომერი წაუღია, მაგრამ მაინც იმდენი სულგრძელობა გამოუჩინია, რომ დირექტორისათვის ამ საქმის თაობაზე არაფერი უთქვამს³.

ხელნაწერი ჟურნალი გამოდიოდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაშიც 1895 წელს „განთიადის“ სახელწოდებით (რედაქტორი თ. მეგრელიშვილი იყო, თანამშრომლობდნენ ნ. კალანდაძე, გ. ნახუცრიშვილი და ს. ხუნდაძე)⁴.

როგორც ვხედავთ, თბილისსა და ქუთაისს გარდა მოსწავლეები სხვა ქალაქებშიც უშვებდნენ თავიანთ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც გამსკვეალული იყო თავისუფლებისმოყვარე კეთილშობილური იდეებით.

1. ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები თბილისის სასწავლებლებში

თბილისის სასწავლებლების მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენდნენ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოშვებასადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კლასიკური გიმნაზიის აღსაზრდელების საქმიანობა. ცნობილია, მაგალითად, რომ ჭერ კიდეც გასული საუკუნის 20-იან წლებში ამ სასწავლებლის მოსწავლეებმა გამოუშვეს თავდაპირველად ორიგინალური და ნათარგმნი ლექსების

¹ საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი. გორის სამასწავლებლო სემინარიის ფონდი, საქმე 290, გვ. 173.

² იქვე. ფონდი 5, საქმე 9. სხვათა შორის, გაზეთი რუსულ და ქართულ ენებზე გამოდიოდა.

³ იქვე. ფონდი 5, საქმე 9.

⁴ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 9079.

ხელნაწერი ანთოლოგია (1833 წ.), ხოლო ცოტა მოგვიანებით (1835-1836 წწ.) სცემდნენ ხელნაწერ ჟურნალს „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ (რუსულ ენაზე). ლიტერატურაში ანის შესახებ დიდძალი მასალა მოიპოვება და აქ სიტყვას აღარ ვაგავრძელებთ. ამას ისიც უნდა დაემატოთ, რომ ჩვენი საკვლევით თემის ქრონოლოგიური საზღვრები XIX საუკუნის 50-იანი წლებით იწყება. უფრო აღრინდელი ეს გამოცემები კი მხოლოდ იმიტომ მოვისხენინეთ, რომ უურადღება გაგვენახვილებინა თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა ტრადიციებზე ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეში.

პირველ ყოვლისა, უნდა შევხვთ ნიკო ყიფიანის (1847-1905) — ცნობილი ქართველი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ვაჟის ხელნაწერ ჟურნალ „თაიგულს“, რომელსაც იგი 1862-1863 წლებში უშვებდა. სამწუხაროდ, ეს ჟურნალი ჩვენამდე არ შემონახულა. მის შესახებ ცნობები მოიპოვება ნიკო ყიფიანის კერძო წერილებში¹, საიდანაც ცხადი ხდება, რომ „თაიგული“ რეგულარულად გამოდიოდა და იგი დასურათებულიც კი ყოფილა. მაშინადმი 1862 წლის 25 დეკემბერს გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ რამდენიმე გიმნაზისტს ჟურნალისათვის ერთ-ერთი ინგლისური გამოცემიდან დაპირილი გარიბალდის სურათი გადმოუხატავთ². ამავე წლის 18 დეკემბერს კი ნიკო მამას ატყობინებდა: „«თაიგული» наш выходит. Я доволен этим номером»³.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „თაიგულს“ თბილისის გიმნაზისტების გარდა ქუთაისელი მოსწავლეებიც კითხულობდნენ, როგორც ამას მოწმობს ნ. ყიფიანის მიერ 1862 წლის 30 ნოემბერს მამისადმი გაგზავნილი წერილის ერთი ადგილი: «Ты спрашиваешь о нашем журнале. Я очень рад, что он тебя интересует. Вторым номер не вышел еще.. К сожалению, из Кутаиси ничего не пишут; послать им экземпляры или нет?»⁴.

როგორც ირკვევა, ანტონ ფურცელაძეც მონაწილეობდა „თაი-

¹ გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის № 14960, 14962, 14963, 15149, 15152, 15153, 15154, 15158 და სხვა ხელნაწერები.

² შტრ. ა. კალანდაძე. ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 1965, გვ. 47-48.

³ გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 14962.

⁴ ა. კალანდაძე. ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, გვ. 54; იხ. აგრეთვე: პ. ვაჭროძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა (მასალები, 1968, გვ. 58).

გულში“, სანამ იგი „ცისკარში“ დაიწყებდა თანამშრომლობას. სხვა ავტორების შესახებ ცნობები არ ნოგვეპოვება.

ა. კალანდაძე ბევრი ჰაყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ნიკო ყიფიანის „თაიგულის“ შესახებ. მაგრამ ვერ დავეთანხმებით ერთ საკითხში. სახელდობრ, იგი ფიქრობს, რომ „თაიგული“ თითქოს „საცენზურო კომიტეტის მკაცრი მსჯელობის საგნადაც გამხდარა“¹ და რომ „ნიკ. ყიფიანს თავისი ხელნაწერი ჟურნალისათვის ისეთი მინართულება მიუცია, რომ საცენზურო კომიტეტს ჯერ შეუჩერებია, ხოლო შემდეგ კატეგორიულად აუკრძალავს მისი გამოცემა“². ჩანს, ეს გაუგებრობის შედეგია. „თაიგული“ ნაბეჭდი ჟურნალი არ ყოფილა, რომ იგი საცენზურო კომიტეტში წარედგინათ. ნიკო ყიფიანის წერილებში ლაპარაკია სულ სხვა რამეზე, სახელდობრ, იმაზე, რომ საცენზურო კომიტეტი ზოგჯერ აჩერებდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ზოგიერთ სტატიას. რაც შეეხება „თაიგულს“, ნ. ყიფიანი მხოლოდ იმაზე ჩივის თავის წერილებში, რომ გიმნაზიაში გამეფებული სასტიკი რეჟიმი ყოველგვარ თავისუფალ აზრს დევნიდა და ამდენად ხელნაწერ ჟურნალსაც გარკვეული საფრთხე ექმნებოდა. იგი წერს: «Нам сказали, что тут (მხედველობაშია გიმნაზია — შ. გ.) крепко следят за проявлением какой-нибудь более или менее либеральной идеи»³.

შემდეგ წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ მეორე ნომერში გამოთქმული იყო ორიოდ პროგრესული აზრი და თითქოს ისინი საშიში. არ უნდა ყოფილიყო გიმნაზიის ხელმძღვანელობისათვის, მაგრამ, დასძენს ნ. ყიფიანი, შიშს დიდი თვალები აქვსო. ყოველ შემთხვევაში, ნ. ყიფიანი არ შეუშინებია ასეთ ვითარებას და განაგრძობდა ჟურნალის გამოცემას. აქი იგი ამის შესახებ ამბობს:

«Чтоб прекратить совсем издание журнала, я нахожусь слишком жалким, слишком трусливым поступком»⁴.

ნ. ყიფიანის წერილებიდან ვიკვებ, რომ გიმნაზისტებს „თაიგულის“ მიბაძვით დაუწყიათ სხვა ხელნაწერი ჟურნალის „ბუმბულის“ განოშვება. მასში თურმე ფრანგულიდან თარგმნილი ბევრი მასალა ყოფილა მოთავსებული და აგრეთვე ორიგინალური პუბლიცისტური სტატიებიც. ერთ-ერთი მათგანი, როგორც ჩანს, „თაი-

1 ა. კალანდაძე. დასახელებული წიგნი, გვ. 47.

2 იქვე, გვ. 54.

3 გ. ლონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის № 14060 და 14962 ხელნაწერები; ა. კალანდაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 54.

4 გ. ლონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის № 14060 და 14962 ხელნაწერები.

გულის“ ჩედაქტორს ნ. ყიფიანსაც აკრიტიკებდა ჟურნალში მოთაგ-
სებული ზოგიერთი მასალის გამო.

არის ცნობები, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში ხელნა-
წერი ჟურნალები თბილისის რეალურ სასწავლებელშიც გამოდიო-
და ქართულ („ერთობა“) და რუსულ («Юношеские ведомости»)
ენებზე, რომლებშიც კარიკატურებს ოსკარ შმერლინგი ხატავდა და
რომლებშიც სხვა მოსწავლეებთან ერთად ცნობილი ქართველი მსა-
ხიობი ვალერიან გუნიაც მონაწილეობდა¹.

თვით ისეთი მკაცრი რეჟიმის სასწავლებლებშიც კი, როგორც
თბილისის კადეტთა კორპუსი იყო, ქართველი მოსწავლეები ხელ-
ნაწერ ჟურნალს სცემდნენ მშობლიურ ენაზე (ანდრია ბენაშვილის
„შრომა“, 1882-1884 წწ.). ამ ჟურნალმა და აგრეთვე ძმების
გიორგი, კოტე და ვასილ თუმანიშვილების ხელნაწერმა ორგანობ-
მა, რომლებსაც ისინი ჯერ ნ. ყიფიანის პანსიონში, ხოლო შემდეგ
სხვა სასწავლებლებში სწავლის დროს — გასული საუკუნის 60-70-
იან წლებში უშვებდნენ, ჩვენანდე მოაღწიეს. ამიტომ მათ შესახებ
ცალ-ცალკე გვექნება საუბარი.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ხელნაწერი პრესის შეს-
წავლა გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა შორის შეინიშნება რუსეთის
60-იანი წლების რევოლუციურ განწყობილებათა დიდი გავლენა-
შემდგომ დავინახავთ, რომ ეს ახალგაზრდობა იზიარებდა რუსი რე-
ვოლუციონერ-დემოკრატების შეხედულებებს, განსაკუთრებით ბა-
ტონყმობის საკითხში, მხარს უჭერდა განმათავისუფლებელ, რევო-
ლუციურ მოძრაობას, აწუხებდა სამშობლო ქვეყნის ძძიმე მდგო-
მარეობა და, რაც მთავარია, გარდაუვალად და აუცილებლად თვლი-
და მის რევოლუციურ გარდაქმნას. თბილისელი მოსწავლეები ამით
არ კმაყოფილდებოდნენ — მოითხოვდნენ რესპუბლიკის დაარსე-
ბას. მართალია, მათ ესჯელობებში ბევრია უტოპიზმი, ჯერ კიდევ
ჩამოუყალიბებელია რევოლუციური იდეალი, მაგრამ, როგორც სა-
მართლიანად აღნიშნავს ნ. პაპაევ², არ უნდა დავივიწყოთ არც მათი
ასაკი და არც ეპოქა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ თბილისის
მოსწავლე ახალგაზრდობაში ფართოდ გაიკვალა გზა ეპოქის პროგ-
რესულმა, რევოლუციურ-დემოკრატიულმა განწყობილებებმა და
მოწინავე, განმათავისუფლებელი იდეებით შეიარაღებული ეს ახალ-
გაზრდობა აქტიურად ჩაება რუსეთის რევოლუციური ძალების

¹ ა. ბურთიკაშვილი. რანდი უშიშარი და გულმართალი, 1965, გვ. 25-26.

² ნ. პაპაევა. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის განწყობილებანი
მე-19 ს. 60-70-იან წლებში. კრებულში: „საქართველოს ისტორიის საკითხები“,
1971, გვ. 121.

ბრძოლაში თვითმპყრობელობის დამხობისა და თავისუფლების მოპოვებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ მოსწავლეთა ხელნაწერ ქუჩანალ-გაზეთებს არსებული უსამართლო წყობილების შეცვლა მხოლოდ ძალის გამოყენებით, რევოლუციის გზით ჰქონდათ წარმოდგენილი. უნდა დავეთანხნეთ აგრეთვე ი. ანთელავას იმაში, რომ მოსწავლეთათვის „არც პრიმიტიულად გაგებული სოციალიზმის იდეა ყოფილა უცხო, თუმცა კონკრეტულად ამაზე ბევრი არაფერი დაუწერიათ“¹.

თვითმპყრობელური მონარქიის მოსპობისა და სახალხო მმართველობის შემოღების, ბატონყმური ურთიერთობის სრული ლიკვიდაციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეებთან ერთად თბილისის მოსწავლეთა არალეგალური ხელნაწერი ქუჩანალების ფურცლებზე გაშუქებულია ინდროინდელი საზოგადოების ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: ბეკდვითი სიტყვის თავისუფლება, სწავლა-განათლების დემოკრატიზაცია, ქალების მამაკაცებთან გათანაბრება უფლებრივად, ეროვნული ჩაგვრის მოსპობა და მრავალი სხვა.

ა) გიორგი, კოტე და ვასილ თუმანიშვილების დვანლი ხელნაწერი ქუჩანალ-გაზეთების გამოშვებაში

როგორც უკვე ვთქვით, თბილისის გიმნაზიის მოსწავლეებს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოუციათ ხელნაწერი ანთოლოგია და ქუჩანალი „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“. ამ საქმის ხელმძღვანელი იყო მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი (1818-1875). მისი ვაჟიშვილები გიორგი (1854-1920), კოტე (1859-1921) და ვასილ (1857-1912) თუმანიშვილები აგრძელებდნენ მამისეულ ტრადიციას და სრულიად ახალგაზრდები ენერგიულად იღვწოდნენ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ხელნაწერი ქუჩანალ-გაზეთების გამოშვებისათვის როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. ცნობილია, რომ შემდგომ სამივე ძმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გაზეთ «Новое обозрение»-ს (1891-1903 წწ.).

¹ ი. ანთელავა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში, 1967, გვ. 53.

აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით გ. თუმანიშვილი თავის ქუჩანალ „შრომაში“ (1870, № 11): „დიახ, ახლა დრო გამოიკვალა, თბილისი... აღარ სჯერდება თეატრს, ახლა ბევრი სხვა ცივილიზიური მიზნები აქვს იმას, ახლა სულ მსწავლულებად, სოციალისტებად გადაიქცნენ ჩვენი ახალგაზრდა კაცები“ (გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის № 25160 ხელნაწერი).

საბედნიეროდ, ძმები თუმანიშვილების ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები საკმაოდ ფართოდ არის განხილული ი. ანთელავას¹, ზ. შველიძის², ნ. პაპავას³ შრომებში. ოლონდ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა ჩვენებულ მკვლევართა მიწართ.

გიორგი, კოტე და ვასილ თუმანიშვილების მიერ გამოშვებულ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს ი. ანთელავა რატომღაც გიმნაზიის ორგანოებად მიიჩნევს⁴. თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა მხოლოდ გიორგი 1867 წლიდან. კოტე ჯერ თბილისის რეალურ სასწავლებელში იყო, შემდეგ კი ტულაში გადავიდა ამავე ტიპის სასწავლებელში. ვასოც თბილისის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა. ორივენი თბილისის ან სასწავლებელში 1871 წელს შევიდნენ (კოტე — მეორე კლასში, ვასო — მესამე კლასში), მას შემდეგ, რაც გიორგი ოდესაში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მიხედვად. მაშასადამე, 1867 წლამდე გამოშვებული ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები „გიმნაზიის ორგანოებად“ ვერ ჩაითვლება. ან დრომდე გიორგი ნ. ყიფიანის პანსიონში სწავლობდა⁵. ამგვარად, ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები: „ხიზაბარელი“ (1863-1864), „ეხლანდელი დრო“ (1864), „კონა ყვავილი“ (1863), „ტფილისის მოამბე“ (1864), „საქართველოს მოამბე“ (1864-1867), „სამშობლოს მოამბე“ (1866) განეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც გიორგი პანსიონში სწავლობდა, ხოლო გიმნაზიის პერიოდისაა შემდეგი ქართული და რუსული განოცემები: „შრომა“ (1870), „გადასაქრელი საგნები“ (1871-1873); «Тифлисский вестник» (1867), «Кавказская сирена» (1868), «Литературный мир» (1868). რაც შეეხება „კოკორას“ (1868-1969), ვერც ის ჩაითვლება გიმნაზიის ორგანოდ, რადგან მისი რედაქტორი იყო არა გიორგი, არამედ კოტე თუმანიშვილი, რომელიც იმ დროს პანსიონში იყო. გარდა ამისა, ყველა მკვლევარი განიხილავს მხოლოდ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს, მაშინ როცა თუმანიშვილების

¹ ი. ანთელავა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში. გვ. 45-54.

² ზ. შველიძე. რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში, 1964, გვ. 116-117.

³ ნ. პაპავა. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის განწყობილებანი მე-19 ს. 60-70-იან წლებში. კრებულში: „საქართველოს ისტორიის საკითხები“, 1971, გვ. 107-129.

⁴ ი. ანთელავა. დასახელებული წიგნი, გვ. 45.

⁵ აქ მისი ერთ-ერთი მოსწავლელი გ. წერეთელი იყო, რომელიც დახმარებას უწევდა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოშვებაში (შდრ. Г. М. Туманов. Характеристики и воспоминания. Тифлис, 1913, стр. 8—9).

ამ ორგანოების ზოგიერთი ნომერი სხვა მუზეუმებშიც მოიპოვება (საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმსა და სათეატრო მუზეუმში). ამიტომ ქვევით ჩვენ ასეთი ნომრების შინაარსზე შედარებით ვრცლად გვექნება მსჯელობა, რადგან ლიტერატურაში ცნობები მათ შესახებ არ გვხვდება.

უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე მ. ხელთუბნელის მონოგრაფია მიხეილ თუმანიშვილზე, რომელშიც გიორგი თუმანიშვილის ხელნაწერ ორგანოებზეც გვხვდება ცნობები¹.

ახლა მოკლედ დავახსიათოთ თუმანიშვილების ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები:

1. „ხიზაბარელი“ (1863-1864)². ძნელი დასადგენია, ამ ჟურნალის რამდენი ნომერი გამოვიდა. საერთოდ მას ნუმერაცია არ გააჩნია. ბოლო გამოცემები 1864 წლითაა დათარიღებული. ჟურნალი წარმოადგენს ერთად აკინძულ 4 რვეულს, შეიცავს 48 ფურცელს (ზომა 17 სმ X 22 სმ). მასში მხოლოდ გ. თუმანიშვილის ნაწერებია: ლექსები, პატარ-პატარა მოთხრობები, კომედიები, წერილები და სხვ. მხატვრული ნაწარმოებები ყურადღებას არ იმსახურებენ, ერთგვარ ინტერესს იწვევს მხოლოდ წერილები, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ აისახა ახალგაზრდა გ. თუმანიშვილის შეგნებაში უფროსების სჯა-ბაასი ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებზე. მაგალითად, წერილში „კრიტიკა კერესელიძეზე“ („ცისკარის“ რედაქტორზე)³ ნათქვამია, რომ „ცისკარი“ არის „საქართველოს მოამბის“ უფროსი ძმა, მაგრამ მათ შორის დიდი სხვაობაა. „ცისკარი“ თავიდანვე ნოწონებას ვერ იმსახურებდა, „საქართველოს მოამბე“ კი, მართალია, ახალდაბადებულია, ერთი წლისაც არ არის, მაგრამ ახლავე ეტყობა, რომ იგი „ცისკარზე“ უკეთესიაო, დაასკვნის გ. თუმანიშვილი და პათეტიკურად აცხადებს: „ეს ილია ჭავჭავაძე რა ყოჩალი რამ არის!“

2. „კონა ყვავილი“ (1863)⁴. გ. თუმანიშვილი მას გაზეთს უწოდებს (იგი ორგვერდიანია, ზომა 35 სმ X 21 სმ). მასში მოთავსებულია ერთი ლექსი და პატარა არაკები. ეს ნაწარმოებებიც „ხიზაბარელის“ დონეზეა ავრეთვე დაწერილი.

3. „ეხლანდელი დრო“ (1864)⁵. დატულია სულ 6 ნომერი.

¹ მ. ხელთუბნელი. წარსულიდან, 1938, გვ. 207-208.

² კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 426.

³ ცნობილია, რომ გიორგის მამას, მიხეილ თუმანიშვილს, ამ პერიოდში უთანხმოება ჰქონდა ივ. კერესელიძესთან.

⁴ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 466.

⁵ იგივე ფონდი, დოკ. № 428.

ნომრები პირობითად არის დასმული ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ, მაგრამ არცთუ სავსებით შესაფერისად. მაგალითად, №-5 და №-6 ნომერი, რომლებიც შესაბამისად 9 და 11 მაისს არის გამოშვებული, ამ ნუმერაციით მოსდევს ოქტომბერში გამოცემულ ნომრებს, რაც არასწორია.

გ. თუმანიშვილი „ეზლანდელ დროს“ სალიტერატურო ჟურნალად წარმოგვიდგენს (ზომა 10,5 სმ×17,5 სმ). იგიც საერთოდ პრინტივულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მაშინ გიორგი ჯერ კიდევ 10 წლისა იყო. მიუხედავად ამისა, ჟურნალში გვხვდება საინტერესო ცნობები. აი როგორ აღწერს ახალგაზრდა გ. თუმანიშვილი ბატონყმობის გადაყარდნის ამბავს: „კვირას, 8 ნოემბერს... გუნაბის პროსპექტზე გამოცხადდა ბარონისაგან და ივანე მუხრანსკისაგან განთავისუფლება ყმებისა ბატონებისაგან. შეიყარა საშინელი დიდი ხალხი — ყმები თავიანთი ბატონებით. როცა უ. ბარონმა დაიწყო კითხვა უკაზისა, მაშინ, თავდაზნაურებს ზელთ კანკალი აუტყდათ და გულთ — ცახცახი. მაგრამ როცა ესენი ამ საქმეში იყვნენ, გლეხები სიხარულით მოუთმენლად ხტოდნენ“. ამავე ჟურნალში გ. თუმანიშვილი კვლავ აკრიტიკებს ივ. კერესელიძეს: „ეგეც ამბობს მწერალი ვარო და ი. ჭავჭავაძეც ამბობს მწერალი ვარო, ეგ იმას რას ებძება. ის კნიაზი ჭკუით სავსეა“. მართალია, ილია ჭავჭავაძე, როგორც მწერალი, ივ. კერესელიძისათვის მიუწვდომელ სიმაღლეზე იდგა, მაგრამ ახალგაზრდა გიორგის ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ივ. კერესელიძე თითქოს გონებრივად ჩამორჩენილია და მან კალამი ხელში არ უნდა აიღოსო. ივ. კერესელიძე, როგორც ცნობილია, საკნაოდ განათლებული ადამიანი იყო და კალამიც კარგად უჭრიდა, ასე რომ იგი გ. თუმანიშვილის ამგვარი ნიჰილისტური შეფასების ღირსი არ იყო¹.

აქვე მოთავსებულია აჯრეთვე საკნაოდ სარკასტული და დამცინავი შენიშვნები რუსეთის მეფისა და მისი საგვარეულოს წარმომადგენელთა წინაშე.

4. „ტფილისის მოამბე“ (1864)². სულ დაცულია 6 ნომერი, რომელთაგან პირველ ოთხს ნუმერაცია არ ახლავს. ჟურნალი დაწერილია ფანქრით (ზომაა 11 სმ×18 სმ). მასში ვხვდებით ძირითადად არაკებსა და ლექსებს. გ. თუმანიშვილი ბაძავს ნაბეჭდ ორგანოებს:

¹ ივ. კერესელიძეზე გ. თუმანიშვილი ასეთივე ტენდენციური აზრისა იყო შემდგომაც, მაგალითად, ერთგან იგი წერს «Журнал (ოჯულისხმება „ცისკარი“ — შ. გ.) перешел к И. Кереселидзе, который, как человек мало образованный и малодаровитый (?!), не имеет никакого влияния на общество» (Характеристики и воспоминания. Тифлис, 1913, стр. 6).

² კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 429.

ათავსებს „კომერციულ“ განცხადებებს სახლებისა და ბინების გაქირავების, ნივთების გაყიდვის შესახებ და სხვ.

5. „საქართველოს მოამბე“ (1864-1865, 1867)¹. აღსანიშნავია, რომ თავისი ახალი ჟურნალის სათაური გ. თუმანიშვილმა ილიასეული ორგანოსაგან აიღო, რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს ახალგაზრდა გიორგისა და საერთოდ თუმანიშვილების ოჯახის დიდ სიმპათიებზე ილია ჭავჭავაძისადმი.

1864—1865 წლების ნომრები ძირითადად შედგება ლექსებისა და მოთხრობებისაგან. მოთავსებულია წერილიც „ცერემონია“ (1864 წლის ნომერში), რომელიც ბატონყმობის გადავარდნასთან დაკავშირებით თბილისში მომხდარ ამბებს ეხება: ბარონმა ნიკოლაიმ როგორ წაიკითხა რუსულად მეფის მანიფესტი და გენერალ-ლეიტენანტმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ როგორ თარგმნა ქართულად, აღწერილია ამ ნოვლენასთან დაკავშირებით მოწყობილი ცერემონიები და სხვ.

მეტად საინტერესოა ბოლო — 1867 წლის ნომერი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გ. თუმანიშვილის (ფსევდონიმი Pronom) წერილი „ბატონ-ყმობა“, რომელშიც ავტორი აღფრთოვანებას გამოთქვამს გლეხთა განთავისუფლების გამო: „მადლობა ღმერთსა! ძლივსა ვხედავ საქართველოში თავისუფალ დაბალ ხალხსა... აღარ ვხედავ საწყალი გლეხი კვდებოდეს ბატონის დაჩაგვრით“. ბუნებრივია, ახალგაზრდა ავტორის წერილში წოცემული არ არის ბატონყმობის მოსპობის ნამდვილი არსის ღრმა ანალიზი, მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ის სიძულელი, რასაც გ. თუმანიშვილი ამჟღავნებს სოციალური უთანასწორობისადმი, თავად-აზნაურთა კლასისადმი. ავტორის სიმპათიები გლეხობის მხარეზეა, საწარცხვინო ბოძზე აკრავს მებატონეთა სივერაგეს, მხეცურ ექსპლოატაციურ ბუნებას.

ამავე ნომერში გვხვდება აგრეთვე მოთხრობა „ავაზაკური ცხოვრება“, რომლის პირველ თავში (ავტორია ალ. ტერ-მარკუშაშვილი) მოთხრობილია ყაჩაღ ჭაფარ-ოღლის თავგადასავალი, ბოლო მეორე თავში (ავტორია გ. თუმანიშვილი) გიგო ყაჩაღის ცხოვრებაა დახატული. აქვეა მოთავსებული გ. თუმანიშვილის „მგზავრის წერილები“. მასში აღწერილია მოგზაურობა თბილისიდან ბორჯომამდე, სად რა შეემთხვათ, აქა-იქ ისტორიული ცნობები და თქმულებებიც არის გამოყენებული, დაწერილია ცოცხალი ენით.

¹ იგივე ფონდი, დოკ. № 429. დაცულია თითო წლის თითო ნომერი. 1864 წლის ნომერი ორსვეტიანია, დანარჩენი წლებისა — თითოსვეტიანი, ზომებიც სხვადასხვაა; ორი ნომერი დაწერილია ფანქრით, ერთი (ბოლო) კი — მელნით. 1865 წლის ნომერი გამოშვებულია კოჭორში, დანარჩენები — თბილისში.

6. „სამშობლოს მოამბე“ (1866)¹. დაცულია მხოლოდ ერთი ნომერი. ამ „სალიტერატურო ჟურნალის“ (ასეა მოხსენიებული სათაურის მინაწერში) გამომცემლებად და რედაქტორებად გამოცხადებული არიან ლ. ერისთავი და გ. თუმანიშვილი. ჟურნალი უფრო გაზეთსა ჰგავს (ზომაა 22 სმ X 35,5 სმ). შედგება ოთხი გვერდისაგან და ორჯერტანია. მასში მოთავსებულია ა. ჭიშმარიტოვის (გ. თუმანიშვილის) მოთხრობა „მამისაგან დაკარგული შვილები“, მიხაკო შუბაშოვისადმი მიძღვნილი ლექსი (ავტორი ს. ს.), წერილი „ბოდიშის ნოხდა ლეგურისა“ (ა. რამნიევისა) და პ. ჯინჯილაძის პიესა „ჯავრის ამოყრა და სიყვარული, ანუ თავი გაბმული მახეში“. მათ ჩვენ არ განვიხილავთ, რადგან რაიმე ყურადღებას არ იმსახურებენ არც ფორმითა და არც შინაარსით.

7. „კოკორი“ (1868—1869)² „სალიტერატურო ჟურნალად“ არის აღიარებული. გამოდიოდა კ. თუმანიშვილის რედაქტორობით. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებს კი იგი რატომღაც გ. თუმანიშვილისეულად ნიუჩნევიათ, თუმცა ყველა ნომერზე გარკვევით კოტეა აღნიშნული ამ ორგანოს ხელმძღვანელად. ხოლო რაც შეეხება გიორგის, იგი მასში მონაწილეობდა როგორც ერთ-ერთი ავტორი და, გარდა ამისა, „ცენზორის“ მოვალეობაც ჰქონდა დაკისრებული. ნაბეჭდი ორგანოების მიბაძვით გარეკანზე ზოგჯერ მიწერილია: „დაშვებულია ცენზურის (ე. ი. გ. თუმანიშვილის) მიერ“.

დაცულია „კოკორის“ 1868 წლის 7 ნომერი (1, 4, 6, 8, 9, 10 და უნომრო) და 1869 წლის 6 ნომერი (1, 2, 3, 4-5, 6 და უნომრო); ე. ი. სულ ცამეტი³. ჟურნალის 1869 წლის ნომრები გარეგნულად მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა წლის ნომრებისაგან, კერძოდ, შეცვლილია ფორმატი (უფრო გადიდებულია)⁴.

„კოკორში“ მოთავსებული მასალებიდან აღსანიშნავია ვასილ თუმანიშვილის მოთხრობა „ივანე“⁵, რომელშიც გადმოცემულია მაღალი წოდების წარმომადგენელთა სიზარმაცე და უქნარობა. ხაზგას-

¹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 996.

² იქვე, დოკ. № 433, 435, 997.

³ ი. ანთელავა ზემოხსენებულ წიგნში (გვ. 45) აღნიშნავს, რომ „კოკორის“ 12 ნომერი გამოვიდა. მას, ალბათ, მხედველობიდან გამოორჩა „კოკორის“ 1868 წლის მე-9 ნომერი, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის გ. თუმანიშვილის დონდის ცალკე საქაღალდეში (დოკ. № 997) დევს.

⁴ 1868 წელს გამოშვებული ჟურნალების ზომაა 11 სმ X 18 სმ, ხოლო 1869 წელს გამოშვებულისა — 17,5 სმ X 22 სმ.

⁵ „კოკორი“, 1869, № 5. იგი ვრცლად აქვს გარჩეული ი. ანთელავას (იხ. მისი ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 45-46).

მულია, რომ ისინი თავიანთ შვილებს ცუდად ზრდიან, არ უნერგავენ შრომისადმი სიყვარულს, რის გამოც თავად-აზნაურთა ნაშვირნი არ სწავლობენ, ბანქოს თამაშისა და გართობის გარდა არაფერს აკეთებენ და საზოგადოებას ზედმეტ ტვირთად აწვებიან.

იაკობ მიქელაძის მოთხრობებში „ვირი სუყველგან ვირია“, „ბატონები და ყმები“ გაშარკებულია თავადაზნაურობის უვიცობა და გონებრივი სიჩლუნგე, ხოლო ალექსანდრე ტერ-შარკუშოვის „მემგზავრეში“ — შეძლებული, მდიდარი ხალხის სიძუნწე და ავადმყოფური სწრაფვა გამდიდრებასაკენ. გ. თუმანიშვილის ლექსში „გლახაკი“ („კოკორი“, 1869, № 5) გამოთქმულია აზრი, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხის მდგონარობა არსებითად არ შეცვლილა, არისტოკრატია კვლავ ექსპლოატაციას უწევს მას. ავტორი თანაუგრძნობს ღატაკ, მძიმე შრომით ილაჯგაწყვეტილ გლეხაკობას.

როგორც ვხედავთ, „კოკორის“ ფურცლებზე პოციალური უთანასწორობის, პრივილეგიური წოდებისა და შეძლებულთა კლასის გახრწნისა და დაქვეითების ცოცხალი სურათებია დახატული და, რაც მთავარია, ხაზგასმულია, რომ ბატონყმობის გაუქმებით გლეხთა მძიმე მდგომარეობა კვლავ უცვლელი დარჩა, არავითარი გაუმჯობესება არ ყოფილა. გ. თუმანიშვილის ეს პროგრესული აზრები არსებითად უახლოვდება რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებებს ამ საკითხზე.

მეტად ნიშანდობლივია, რომ „კოკორი“ მკაცრად აკრტიკებს გიმნაზიაში გამეფებულ რეჟიმსა და სწავლა-აღზრდის ნაკლოვანებებს. გ. თუმანიშვილი „მიმოხილვაში“, რომლის ქვესათაურია „მამა-პაპური კანონების კონედია“¹, განსაკუთრებით თავს ესხმის თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორს ჟელიხოვსკის, ახანიათებს მას როგორც უკიდურეს რეაქციონერსა და ბრიყვს, რომელსაც „ცხვირის მოხოცვის თავისუფლებისაც კი ეშინია“. მოსწავლეთა სიძულვილი ჟელიხოვსკისადმი იმიტაც იყო გამოწვეული, რომ იგი ადგილობრივი მოსახლეობისადმი შავრანშულ, დიდნპყრობელურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. გ. თუმანიშვილი ჟელიხოვსკის რეგვენს უწოდებს და შენიშნავს: „უეჭველად ჟელიხოვსკის ტვინში ერთია სალდათები და ღიმნაზისტები“. წერილში მიწასთან არის გასწორებული ჟელიხოვსკის მიერ შედგენილი «Памятная книжка для учеников классической гимназии», რომელიც გიმნაზიაში სამხედრო წესების შემოღებას ქადაგებდა. როგორც ცნო-

¹ „კოკორი“, 1869, № 5. ამ წერილზე დაწვრილებით მსჯელობს ნ. პაპავა (იხ. მისი წერილი ზემოთ დასახელებულ წიგნში, გვ. 126-128).

ბილია, ამის გამო გიმნაზისტებმა ეელიზოვსკის სცემეს და თავზე გადაახიეს ეს დრაკონული „წესები“.

„კოკორში“ მოთავსებული სხვა მასალებიდან აღსანიშნავია ს. ბუზოვის წერილი „სხვადასხვა ამბები“. მასში გადმოცემულია თბილისისა და პეტერბურგის თეატრალური ცხოვრების სიახლენი, კერძოდ, ვრცლად მსჯელობს ავტორი იტალიური ოპერის სპექტაკლებზე. გვხვდება აგრეთვე ცნობები სტუდენტთა გამოსვლებზე: „...ახალი ამბავი გავიგეთ, სტუდენტების არეულობაა, ჩვენები შერეულნი არიან“¹. გ. თუმანიშვილი ამბობს, რომ ქართველი ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ რუსი სტუდენტების რევოლუციურ მოძრაობაში.

საინტერესოა აქვე მოთავსებული ლექსიც (ავტორი — გ. თუმანიშვილი), რომელიც უჩრნალ „ცისკარს“ შეეხება. იგი დილოგის სახითაა დაწერილი — ივ. კერესელიძე ნაწყენია ავალიშვილზე, რომ ამ უკანასკნელმა უჩრნალი მიატოვა. ავალიშვილი ნუგეშს აძლევს რედაქტორს, რომ იგი „ცისკარს“ დაუბრუნდება და ა. შ.

„კოკორი“ ხალხური შემოქმედების ნიმუშებსაც აქვეყნებდა, თანაც საამისოდ არჩევდა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებსაც სოციალური ჟღერადობა ჰქონდათ. მაგალითად, 1869 წლის ბოლო, უნომრო ეგზემპლარში მოთავსებულია „არსენა (სახალხო პოემა)“, რომელიც რედაქციას ზ. ხმალაძემ მიაწოდა. ყურადღებას იმსახურებს პოემის ბოლოს მოთავსებული გ. თუმანიშვილის შენიშვნა: „არსენა ნართლა ძლიერ კეთილმოქმედი კაცი იყო, მასთანვე თავის ძმა გლეხის მოყვარე, მართებლობას კი ეგონა, რომ ის ავაზაკია, ამიტომაც ბევრჯერ იჭერდა... სირცხვილი არის ამისთანა კაცის დაძახება ავაზაკად. ეს არის ერთი უპირველესი გმირი ქართლისა“². როგორც ვხედავთ, აქ გამოთქმულია რადიკალური აზრები არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც მშრომელი ხალხის წოსარჩლე არსენას ღეგნიდა.

8. „შრომა“ (1870)³. გ. თუმანიშვილის ეს ხელნაწერი უჩრნალი, ისევე როგორც მისი მომდევნო უჩრნალი — „გადასაჭრელი საგნები“, გამოირჩევა მაღალი პროფესიული დონით. გარეგნულად იგი ნამდვილ უჩრნალს წააგავს: აქვს ტიტული, სადაც გამოტანილია

¹ „კოკორი“, 1869, № 4.

² პირველად „არსენას ლექსს“ ამ უჩრნალში მიაკვლია ზ. შევლიძემ (იხ. მისი „რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში“, 1960, გვ. 111-113); შდრ. აგრეთვე ი. ანთელავას ზემოხსენებული წიგნი, გვ. 54.

³ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 999, 438 (აქ დაცულია უჩრნალის შემდეგი ნომრები: 2-3, 6 და 7); ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 25160 (აქ ინახება უჩრნალის მე-10, მე-11 და მე-12 ნომრები).

ნონრის შინაარსი, შემოღებულია სისტემატური რუბრიკები და სხვ. შინაარსის მიხედვითაც უურნალი მრავალფეროვანია, მასში ბევრი მწვავე, საპირბოროტო საკითხია აღძრული.

დასაწყისში უნდა შევჩერდეთ ავტობიოგრაფიულ წერილზე „ჩემი სიცილი და ტირილი“¹. იგი გვამცნობს გ. თუმანიშვილის ცხოვრების საინტერესო მომენტს — როგორ იზრდებოდა ძიძის ხელში, რომელმაც შრომას მიაჩვია. გიორგის შვიდი წლის ასაკში შეუსწავლია წერა-კითხვა („ოსტატ მდივანოვთან“), ძალზე შეპყვარებია წიგნი. მამამისს გამოწერილი ჰქონდა და სისტემატურად მოსდიოდა რუსული უურნალები, მის ბიბლიოთეკაში მრავლად იყო გამოჩენილი მწერლების—პუშკინის, ლერმონტოვის და სხვათა თხზულებები. წიგნების კითხვით ბავშვს დაებადა სურვილი თვითონაც ეცადა კალამი. დის რჩევით, იგი გულმოდგინედ აღწერდა თავის ყოველდღიურ ცხოვრებას, მისივე დხმარებით შეუსწავლია პატარა გიორგის რუსული ენა. ბავშვზე დიდი გავლენა მოუხდენია ილია ჭავჭავაძეს. გ. თუმანიშვილი ნართებულად შენიშნავს, რომ ი. ჭავჭავაძის უურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემით „გამოვიდა ახალი თაობა 'სალიტერატურო ასპარეზზე'“. გიორგის ჩამოთვლილი აქვს ის ნაწარმოებები, რომლებიც ამ უურნალში წაიკითხა. განსაკუთრებით მოსწონებია ყმაწვილს ილიას პოეტური ქმნილებები, რომელთა მიბაძვით თვითონაც დაუწყია ლექსების თხზვა. ხალხისადმი ი. ჭავჭავაძის რაინდულ სიყვარულს ჩემზე დიდი გავლენა ჰქონდაო, წერს ერთგან გიორგი.

გ. თუმანიშვილი შემდეგ აღნიშნავს, რომ 1864 წელს შესდგომა თავისი პირველი ხელნაწერი უურნალის „ხიზაბარელის“ გამოშვებას. ამავე წელს მშობლებს ნისთვის დაუქირავებიათ რუსი მასწავლებელი ნაეოზოვი, რომელსაც ჯარგი ცოდნა და საქციელი ჰქონდა, მაგრამ როგორც კი გიორგის მამა, მიხეილი, პეტერბურგში წასულა, მასწავლებელს ლოთობისთვის მიუყვია ხელი, გაკვეთილებზე ხშირადაც აგვიანებდა. ყმაწვილს გული გასტეხია და გაჰკვირვებია ან ადამიანის ასეთი გაორება — სიტყვით პატიოსნებასა და წესიერებას უქადაგებდა, საქმით კი საწინააღმდეგოს აკეთებდა, ცუდ მაგალითს უჩვენებდა. უკვე ამის შემდეგ გიორგის კრიტიკულად დაუწყია ადამიანების შეფასება. ამავე პერიოდში გამოუცია თავისი მეორე ხელნაწერი უურნალი „ეხლანდელი დრო“.

მეტად საინტერესოა „შრომის“ პუბლიცისტიკა. მწვავედ არის დასმული თაობათა წინააღმდეგობისა და ახალი თაობის ისტორიული მოწოდების საკითხი წერილში „მიმართულება საზოგადოე-

1 „შრომა“, 1870, № 10 და 11; ხელს აწერს ა. (პოლონ) ჰ. (ფშარიტაძე) — გ. თუმანიშვილის ფსევდონიმა.

ბისა“. ავტორი აკრიტიკებს ძველი თაობის — მეზატონეთა, ჩინოვნიკთა და არისტოკრატთა რეაქციულობას, დასცინის „ადრინდელ ლიბერალებსაც“ ფილისტერული სიბეცის გამო: ისინი, მიუხედავად თავიანთი ქადაგებისა, საქმით ისევ ძველ თაობას კულში მისჩანჩალებენ. ავტორი იმედს ამყარებს იმაზე, რომ ახალი თაობა კრიტიკული თვალთ შეხედავს ცხოვრებას და იბრძოლებს საზოგადოების ძირფესვიანად გარდაქმნისათვისო.

წერილში „პოლიტიკო-ეკონომიური ლეკური“¹ გ. თუმანიშვილი აცხადებს, რომ, მართალია, მას ჯერ ადამ სმიტისა და ჯონ სტიუარტ მილის თხზულებები არ წაუკითხავს, მაგრამ იგი თავისებურად განიხილავს საკითხს მდიდრებსა და ღარიბებზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ავტორის მსჯელობა ამ წერილში პრიმიტიული და ეკლექტიკურია. მაინც დავიმოწმებთ ორიოდ სანტერესო მოსაზრებას. ერთგან იქ ნათქვამია, რომ განათლებულ ქვეყნებშიც კი სიღარიბის პრობლემა გადაუჭრელი რჩება და მოყვანილია გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ცნობები იმის თაობაზე, რომ ლონდონში, პარიზსა და სხვა ქალაქებში დიდი რაოდენობით არიან ლატა-გლახაკნი, ბევრი ადამიანი სამუშაოს ვერ შოულობს, რათა თავი ირჩინოს. ამავე წერილში შინაურ ამბებზედაცაა მოთხრობილი. თურმე იმ დროს ხმა გავრცელებულა, რომ საქართველოში ხელმწიფე ჩამოიღო. ავტორი დასცინის მაღალი საზოგადოების ფუსფუსს მონარქის შესახვედრად და აღშფოთებით წერს: „როგორც გავიგეთ, სადილები, ვანშემები და სხვ. ჩვენ ხალხს იმპერატორის წოსვლის დროს დაუჭდება რამდენიმე ათასი თუმანი. რამდენიმე ათასი თუმნით მშვენიერი სახლი იყიდებოდა უნივერსიტეტისათვის და... რამდენამე პროფესორი დაიბარებოდა“.

ხოლო წერილში „ჩვენი ბედი“² დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლაიზის ძე არის გამათრახებული. ავტორი გვირგვინოსანთა ოჯახის ამ წარმომადგენლის ასეთ დახაიათებას იძლევა:

„ I ნ ი შ ა ნ ი — ჯერ არ დაბადებულყო ჩვენი მთავარი, მაგრამ მას უკვე ჰქონდა ჩინი, ის ჩინი. რომელამდინაც უბრალო კაცი ოცი წლას შრომით, ოხვრით, წუწუნით და ოფლით მიაღწევს ხოლმე...“

II ნ ი შ ა ნ ი — ის შთელ სიცოცხლეს ჩვენ [ისტანა] უბრალო კაცების ოფლის ნაყოფებზედ ცხოვრობს, ხელში საქმე არ აუღრია... იმან ჟუნდა ჩვენი სისხლით ოიამოვნოს.

I I I ნ ი შ ა ნ ი — იმის ნება კანონია, პოლიცია არის.

¹ „შრომა“, 1870, № 6 (რუბრიკა „შტვირი“).

² „შრომა“, 1870, № 10 (რუბრიკა „შტვირი“).

IV ნიშანი — რადგანაც ის ჩვენ აშკარად გვცარცვავს, იმას პატივსა ვცემთ... და ძალიან გვეშინიან კიდეც, უფრო არ გაგვცარცვოს.

V ნიშანი — რომ არავინ დაინახოს იმის აყროლებული გული, იფარავს იმას ჯვრებითა და ვარსკვლავებით“.

როგორც ვხედავთ, ყოველივე ეს მეტად გაბედული ტონითაა დაწერილი. აქი უგრძნია კიდეც ეს ავტორს და ამბობს: „მაგრამ, სუ! წამკრა აქ ცენზორმა კისერში: ჩვენ იმისათვის არა ვართ დაბადებული, რომ ვიფიქროთ“.

ნომდევნო ნომერში მოთავსებულ წერილში „ჩემი ახალი ხელობა“¹ გ. თუმანიშვილი აცხადებს, რომ თავის ჟურნალში იგი თავს ესხმის „მართებლობას, საზოგადოებას და ლიტერატურას... მეტი განა იქნება?“ იგი ასე ამთავრებს წერილს: „ას თუმანიანი ბალი იყო გუშინწინ ველჯი კნიაზის სახლში... ეს ფული იყო აღებული იმ კაცებისაგან, რომლებსაც სახლები არა აქვთ... ჰყრიან ქუჩებში... ხის ქვეშ და ათასობით კვდებიან. ჰა, ჰა, ჰა, ვიტანცაოთ მაზურკა“. „შრომის“ ეს ნომრები რომ მმართებლობას ჩავარდნოდა ხელში, ცხადია, გ. თუმანიშვილს ციმბირი არ ასცდებოდა „მათი უდიდებულესობის“ და საერთოდ მთავრობის შეურაცხყოფისათვის.

არსებულ უსამართლობასა და სოციალურ უთანასწორობას ეხება გ. თუმანიშვილის წერილი „კაცი და საზოგადოება“². ამ წერილის დედააზრი ის არის, რომ ქვეყნად გამეფებულია ძალნომრეობა — ძლიერი სუსტს ჩაგრავს და იმონებს. მეფე თავადებს იმორჩილებს, თავადები — გლეხკაცებს ყმად იხდიან. მილიონობით კაცი იმისათვის მუშაობს, რომ გააბედნიეროს ერთი — ხელმწიფე. საქართველოშიცო ასი-ორასი წლის წინ „ამდენ მილიონ ხალხს ნარტო ერთი-ორი მინუტი, საათი, დღე, ბევრი-ბევრი თვე და წელიწადი ჰქონიათ ტკბილი და არასოდეს მთელი სიცოცხლემას ასე, საზოგადოებას თავისუფლება, ე. ი. სიცოცხლე არა ჰქონდა, მარტო ხელმწიფე იყო ბედნიერი“. შემდეგ ავტორს მოჰყავს რომის მაგალითი, ლაპარაკობს მონებისა და პლებეების აუტანელ მდგომარეობაზე, დამცირებულ, პირუტყვეულ ყოფაზე და დაასკვნის, რომ სოციალური ჩაგვრა ყველა ქვეყნისათვის არის დამანასიათებელი.

ჯერ ჩუმაღ, მერე თანდათან უფრო გაბედულად საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა ხმა აღიმალლა უსამართლობის წინააღმდეგო, ამბობს ავტორი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კაცობ-

¹ „შრომა“, 1870, № 11.

² „შრომა“, 1870, № 12 (რუბრიკა „მტერი“).

როიის იდეალია — ყველამ იბრძოლოს საზოგადოების სიკეთისათვის და არ იფიქროს თავის პირად სარგებლობაზე.

გ. თუმანიშვილი დასცინის იმ ადამიანებს, ვინც მაღალ იდეალებს მხოლოდ სიტყვით აღიარებს, საქმით კი ეგოისტური მიზნების განხორციელებისათვის ზრუნავს:

„ეხლა ჩვენ გვინდა ბედნიერი ვიყოთ... ჩვენ ვყვირით: საზოგადო სიკეთისათვის უნდა ვიშრომოთ! ვხდებით აღვოკატები, გვინდა პალხი უკანონობისაგან გავანთავისუფლოთ, როდესაც გულში მარტო ის გვიძევს, რომ ჩქარა ფული ავიღოთ და სიამოვნებაში გავატაროთ ჩვენი სიცოცხლე“.

ავტორის სატირული მახვილი არც გვირგვინოსნებს ინდობს. იგი წერს, რომ, როცა ერთ რომელიმე ხელმწიფეს სურს განდიდება და შტატუობს, მეორე ხელმწიფე სუსტიაო, ომს უცხადებს მას და მრლილობით ხალხის სისხლის ფასად ახალ მიწებს იპყრობს. მაგრამ იგი არასოდეს არ იტყვის სიმართლეს, თუ რატომ შესწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე. ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ უფრო განდიდდეს და მეტ ფუფუნებაში იცხოვროს. იგი, როგორც წესი, ფარისევლურად თავს იმართლებს ხოლმე: „იმიტომ ვიომე, რომ მთელი საზოგადოება დავიცვა გარეშე მტრისაგანო“. ავტორის აზრით, ეს არის ნიღაბი, რომელიც ჩამოფარებული აქვთ ძლიერთა ამა ქვეყნისა. ხოლო ეს ნიღაბი ზშირად ჩამოუგლეჯიათ ნიჭიერ მწერლებს. შენდგე ავტორი ლაპარაკობს იმ დიდ დამსახურებაზე, რაც მსოფლიოს კლასიკოს მწერლებს მიუძღვით კაცობრიობის ხელის გამომქადვებაში. კერძოდ მიუთითებს, რომ სერვანტესს, დიკენსს, თეკერისს, გოგოლს და ბევრ სხვას უჩვენებიათ ქვეყნისათვის, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი მარტო თავის თავზე ფიქრობს და მხოლოდ ფორმალურად აღიარებს ჰუმანურ აზრებს. ანის მაგალითი გ. თუმანიშვილს თავისი თანამედროვე ცხოვრებიდანაც მოჰყავს. ზოგიერთი დიდი მწერალი თურმე იმ ქურნალში იბეჭდებდა, სადაც უფრო მეტ ფულს ალევენ, თუნდაც იგი რეაქციული მიმართულებისა იყოსო. ავტორი განსაკუთრებით აღუშფოთებია „რუსეთის დიდი რომანისტის“ ი. ტურგენევის საქციელს იმის გამო, რომ იგი კატკოვის შავრაზმულ ორგანოში აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს.

წერილის ბოლოს ავტორი არკვევს საკითხს, თუ რა არის ბედნიერება, და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ბედნიერება მხოლოდ საზოგადოებისათვის სარგებლო შრომაშია.

წერილში „მინოხილვა. ომის ფილოსოფოსები“! საინტერესო

1 „შრომა“, 1870, № 12.

მსჯელობა საფრანგეთ-პრუსიის ომთან დაკავშირებით. ავტორი ლაპარაკობს მოლტკესა და ბისმარკის პოლიტიკის შესახებ, მას მათრახი აქვს გადაკრული რუსეთის პოლიტიკანებისათვისაც, რომლებიც დამარცხებამდე საფრანგეთს არ უჭერდნენ მხარს, ხოლო შემდეგ პრუსიის წინააღმდეგ გაილაშქრეს ინის შიშით, რომ იგი უფრო არ გაძლიერდეს და რუსეთის ინტერესებს ხიანი არ მიაყენოს. წერილის შინაარსი პაციფისტურია, ახალგაზრდა ავტორი ილაშქრებს სისხლისმღვრელი ომების წინააღმდეგ, მოითხოვს მშვიდობიანობას ხალხთა შორის. გ. თუმანიშვილი აკრიტიკებს ზოგიერთ ევროპელ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, რომლებიც ვითომ მშვიდობიანობას მოითხოვდნენ, მაგრამ სინამდვილეში მათი საქმიანობა სისხლის ღვრის გაჩაღების ინტერესებს ემორჩილებოდა: მათი ნუ გჯერათ, მკითხველნო, ისინი ხომ მსოფლიო ხალხების ომის ქარცეცხლში ჩათრევას ეტრფიანო.

საფრანგეთ-პრუსიის ომზე საუბარი აგრეთვე წერილში „ტკბილ ცხოვრების მოყვარენი“¹, სადაც მოკლედ და სხარტად არის გადმოცემული ნაპოლეონ ნესამის ისტორია და იგი მიწასთან არის გასწორებული:

„იმან ჯერ თავისუფლება გამოაცხადა, მერმე პროგრამა... შეავიწროვა და თავის თავი რესპუბლიკის თავად გახადა, ბევრი გააძლო სამ წელიწადში და ბოლოს ამ გამაძლარ ხალხის იარაღით ხალხი დაიმონავა. ეს კაცი იყო ნაპოლეონი ...იმან [ხალხი] გახადა პირუტყვად, შკოლებში ნართო ხელმწიფეზედ ლოცვები აწავლებინა, გაზეთებს ხმა ჩააწყვეტინა... [პროგრესულად მოაზროვნენი] სამშობლოს მოაშორა, იმათ არ ჩაპბერონ ხალხში თავისუფლების სიყვარულიო, გაიჩინა შპიონები, ათასნაირი პოლიციები. უნივერსიტეტებში, რედაქციებში, ასოციაციებში და ერთი სიტყვით სუყველგან გაიჩინა პოლიციის აგენტები. ნაპოლეონი ჰყვლეფდა ხალხს და ვინც ამ ყვლეფაში ხელს უმართავდა, იმასთან იყოფდა ნაყვლეფავს...“

ეს, რა თქმა უნდა, ნაპოლეონზეა ნათქვამი, მაგრამ ძნელი არ იყო ნკითხველს ამაში დაენახა აგრეთვე რუსეთის სინამდვილე: მშრომელი ხალხის ჩაგვრა და პოლიტიკური უუფლებობა, ქვეყანაში პოლიციური რეჟიმის სისასტიკე და სხვ.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე გ. თუმანიშვილის სტატია „მიმოხილვა. მეცნიერების გზა“². მასში ავტორი განმარტავს პროგრესის არსს და თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა. ავტორის

¹ „შრომა“, 1870, № 12 (რუბრიკა „შტერი“).

² იქვე.

თქმით, ხალხს ბევრი რამ აკლია, იტანჯება სხეულითაც, ზნეობითაც და გონებითაც, ანიტომ საჭიროა ზრუნვა მისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. რა დროს პოეზიაა, როცა ხალხი ასეთ შიშვე მდგომარეობაშია.

მოგვეციოთ ჩვენ ისეთი მეცნიერება, რომელიც მოგვაწვდის საკვებს „სხეულისათვისაც, ზნეობისათვისაც და ჰქულისათვისაც“, — აცხადებს გ. თუმანიშვილი.

ავტორი საზოგადოებას ორ ჯგუფად ყოფს. ამათგან პირველს უწოდებს „რეალურ, მშეერთა პარტიას“. მას უპირისპირებს ე. წ. „მაძღართა პარტიას“, რომელსაც საზოგადოებისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, სასაცილოა თავის ცხოვრებაში ჩაუხედაობით და იგი მოისპობა. გ. თუმანიშვილი დაასკვნის, რომ „წინ წამსვლელი, პროგრესისტური პარტია მშეერთა პარტიაა“.

მართალია, აქ კლასთა და პარტიათა ბრძოლის საკითხის პრიმიტიულ გაგებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ გ. თუმანიშვილი ასეთ მწვავე სოციალურ პრობლემებს აყენებს.

აღნიშნულ წერილში ლაპარაკია აგრეთვე ბატონყმობის გადავარდნაზე, მის შედეგებზე, იმაზე, რომ უსაქმური ბატონები ისევ უსაქმურები დარჩნენ, „მართებლობის შტვირზე“ ცეკვავენ, უზრუნველი ფრინველებივით ნავარდობენ, და ეს გამოყოფს, განაცალკევებს მათ მშრომელებისაგან, რომელთა მდგომარეობა კვლავ მძიმეა. ეს მართო საქართველოში კი არ ხდება, არამედ მთელ ევროპაშიცო. შემდეგ ავტორი გვესაუბრება საფრანგეთის რევოლუციის შესახებ: „ნუთუ ფრანციის დიდკაცობა მალღა იდგა დაბალ ხალხზედ. პირველი სხვის პურსა სჭამდა და უსაქმობასა და ქურდობას ოქროს ფარდას აფარებდა... ფრანციული არისტოკრატია იყო მიწეზი ფრანცუზების დაღუპვისა“. საინტერესოა გ. თუმანიშვილის ნოსაზრება, რომ საფრანგეთის რევოლუციამ დიდი გარდატეხა შეიტანა ევროპის ცხოვრებაში და მრავალი ფილოსოფიური სკოლა შეიქმნა: პოზიტივიზმი, ჰეგელიანობა, მატერიალიზმი, კომუნიზმი და მრავალი სხვა მიმართულებაო. ასეთი სიმრავლე არასოდეს ყოფილაო, შენიშნავს ავტორი. იგი აკრიტიკებს ჰაინეს სოფიზმს, განსაკუთრებით მის განოხდომებს მატერიალიზმის წინააღმდეგ და, დასასრულ, წერს, რომ საფრანგეთის რევოლუციას რუსეთშიც ჰქონდა გამოხმაურება, და მაგალითად მოჰყავს 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატი ბრძოლა რეაქციისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

„შრომაში“ საკმაოდ გვხვდება მასალები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, რომელთა შესახებ იქ ბევრი ორიგინალ-

ლური ნოსაზრებაა გამოთქმული. ერთ-ერთი სტატია „სატირა და ხუმრობა“¹ მიძღვნილია გ. ერისთავის შემოქმედებისადმი. ავტორის აზრით, „გაყრაში“ გამოყვანილი გმირები ვორონცოვის პერიოდის ტიპური ადამიანები არიან, რომლებმაც შვილები განათლების მისაღებად რუსეთში გაგზავნეს, რათა ისინი ევროპის კულტურას ზიარებოდნენ. მაგრამო, აღნიშნავს ავტორი, შვილები, როგორც კი განათლებულნი უკან ბრუნდებიან, ნარტო სიტყვიერად გამოთქვამენ პროტესტს საზოგადოებაში გავრცელებული ძალადობის, მოტყუებისა და ფარისევლობის გამო, ნამდვილად კი „თვითონ დაეშენენ იმ ავ საქმეებში, რომლებზედაც აქამდინ ყვიროდნენ“. ამის საილუსტრაციოდ სტატიაში დამოწმებულია „გაყრის“ ერთ-ერთი გმირის თავად ივანე დიდებულის საქციელი: მალაფარდოვანი სიტყვების ნიუხედავად ივანემ საქმე იმით დაამთავრა, რომ ვალის გასასტუმრებლად შეირთო მიკირტუმ გასპარიჩის მდიდარი ქალი, რომელიც ქორწილამდე არც კი ენახა.

ავტორის თქმით, ვორონცოვს დროინდელი ადამიანები მხოლოდ მოლაყბები იყვნენ, საქმით კი — ყოვლად უსუსურები. მაგრამ არც ახლანდელი თაობა, ნიცირე გამოწაკლისის გარდა, დგას მოწოდების სიმალეზეო, ამბობს გ. თუმანიშვილი, სიმართლე ორ მანეთად იყიდება, პატიოსანი შრომის მაგიერად ქურდობაა და ა. შ. მარტო სწავლა-განათლების მიღება არ შველის საქმესო, შენიშნავს იგი და მართებულად დაასკვნის: „ნაშ ესე სიმართლე, თავისუფლება და პატიოსანი შრომა მანამ არ ჩაინერგება ჩვენს საზოგადოებაში, სანამ იმისი რიგიანი განათლება მარტო ბურჟსით სასუე მეტაფიზიკა იქნება“.

ამავე სტატიაში გადმოცემულია აგრეთვე ოგიუსტ კონტის მსოფლმხედველობა, ლაპარაკია პოზიტივიზმის ძარგებლობაზე მივლენების შეფასებისას. რა თქმა უნდა, ძნელია მოვთხოვოთ ახალგაზრდა გ. თუმანიშვილს, თუ რატომ იზიარებდა ოგიუსტ კონტის მოღურ იდეალისტურ კონცეფციებს. მისთვის ეს ძიების პერიოდი იყო და შეცდომებიც ბევრი მოსდიოდა. ეს რომ ასეა, ჩანს შემდეგი ფაქტიდანაც.

აღნიშნულ წერილში ავტორი შენიშნებს გამოთქვამს გ. ერისთავის შემოქმედებაზე. მისი აზრით, მართალაა, გ. ერისთავმა სატირიკოსის თვალთ შეხედა საზოგადოებას და მაშინვე შეამჩნია არსებითი ნაკლოვანებანი, მაგრამ მისი კეთილშობილური განზრახვა, რომ „გაეწყვიტა საზოგადოებაში წუნები“, განუხორციელებელი დარჩა, რადგანაც გ. ერისთავს ეს უნდოდა მოეხდინა უშრონლად

¹ „შრომა“, 1870, № 6

და უმსხვერპლოდ. ხოლო საზოგადოებრივი ნაკლის გამოსწორება ასეთი გზით არ შეიძლება: საჭიროა საქმისადმი თავდადება და მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაო, საჭიროა „კაცი ისე იყოს შეკავშირებული თავის აზრთან, რომ მზად იყოს იმისათვის მოკვდეს“.

შემდეგ გ. თუმანიშვილი აკრიტიკებს კონედიებს „ძუნწა“ და „ძალად ექიმს“ და ამბობს (განსაკუთრებით უკანასკნელ პიესაზე), რომ გ. ერისთავმა ისინი გადმოაკეთა ფრანგულიდან, მაგრამ მოლაერის პიესასაც გემო მოაკლო და ქართულ ზნე-ჩვეულებებსაც ბუნებრივად ვერ დაუკავშირაო. განსაკუთრებით თავს ესხნის კრიტიკოსი კომედიებს: „უჩინ-მაჩინის ქუდსა“ და „მოჯადოებულ მოარშიყეს“ და ფიქრობს, რომ ისინი უაღრესად სუსტი ვოდევილებია. ავტორი პიესებს სახუმარო კომედიებს უწოდებს, მსგავსად ლენსკის, ოფენბახისა და სხვების ოპერეტებისა (ამ ავტორებს გ. თუმანიშვილი „ევროპის კლოუნებად“ ნათლავს). ჩვენ კი ხუმრობის დრო არა გვაქვსო, დასძენს იგი და დაასკვნის: „ხუმრობა შეგვიძლიან ჩვენს ანხანაგებში, სადილს უკან... თორემ ნიჭმა გაიხადოს საქმედ ხუმრობა საზოგადოებასთან, რომელიც მოელის იმისაგან შეველას თავის გაჭირვებულ საქმეში, არ ვიცი, რა არის ღმერთმანი“.

ცხადია, გ. თუმანიშვილი რამდენადმე აჭარბებს და მიკერძოებით ნსჯელობს. იგი ყურადღებას ამახვილებს გ. ერისთავის მეორეხარისხოვან პიესებზე, მაშინ როცა ისინი დრამატურგის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი არ არიან. ახალგაზრდა გ. თუმანიშვილმა ვერ გაიგო, რომ გ. ერისთავის მთავარი ნაწარმოებები — „დავა“ და „გაყრა“ — გვაძლევს იმის ნათელ სურათს, თუ როგორ დაეცა გონებრივად, ზნეობრივად და ეკონომიურად თავდაზნაურთა კლასი, რომ ფეოდალური არისტოკრატია განწირულია დასაღუპავად. გ. თუმანიშვილმა ვერ დაინახა ან კომედიების სხვა მეტად მნიშვნელოვანი მხარეებიც: სამოღვაწეო ასპარეზზე ბურჟუაზიის გამოხვლას, მისი ანგარებისა და გაუმაძღრობის ჩვენება, შეფის მოხელეების მკაცრი კრიტიკა და სხვ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გ. თუმანიშვილმა შემდგომ უარყო გ. ერისთავის შემოქმედების ეს არასწორი გაგება¹. საერთოდ კი, ცნობილია, რომ გ. ერისთავის კომედიები XIX საუკუნის ზოგიერთ მოღვაწეს არასწორად ესმოდა (იხ. გ. წერეთლის წერილი „ვნახე და მეწყინა“)².

მეტად მკაცრად მსჯელობს ავტორი გ. ერისთავის პოეზიაზე. იგი ხაზს უსვამს მისი ლექსების სისუსტეს და ბრალს ჯდება ეპი-

¹ „თემი“, 1912, № 58. წერილი: „პირველ ქართულ პიესაზე“ (ხელმოწერილია: „მკითხველი“).

² „დროება“, 1873, № 9.

გონობაში: „გ. ერისთავს ვხედავთ ბაირონის, მიცკევიჩისა და ბარათოვის (ნიკოლოზ ბარათაშვილის. — შ. გ.) მიმბაძვად, არა თვითმოქმედ პოეტსა“.

წერილის დასასრულს ავტორი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ უახლოეს ხანებში თბილისში იქმნება მუდმივი ქართული თეატრი, და გამოთქვამს სურვილს — განოჩნდნენ ახალი, ნიჭიერი დრამატურგები, რომლებიც მოეძსახურებიან მას.

რეცენზიაში „მოგონილი ხალხი“¹ გ. თუმანიშვილი არჩევს ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“. მართალია, ამ რეცენზიაში იგი მრავალ არასწორ დასკვნას აკეთებს, მაგრამ ერთგვარ ყურადღებას იმსახურებს ავტორის სოციალური შეხედულებანი. მას მოხსენიებული აქვს ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?“, გ. ერისთავის პიესები და ამბობს, რომ ამ თხზულებებში „მხოლოდ არის ნათქვამი თავადებზედ და ვაჭრებზედ. საწყალი, მშიერი, დაჩაგრული გლეხი არსად არ არის სწორედ და ნიჭიერად გამოყვანილი“. ავტორს განსაკუთრებით არ მოსწონს ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში“ დახატული მღვდლის სახე. იგი არარეალისტურად მიაჩნია — გამოგონილი ტიპია, ცხოვრებაში სრულიად საწინააღმდეგო ხდებაო: „მღვდელი... ყველგან, ყველას სცარცვავს“, გლეხი კი ყველგან და ყველასთან კვნისსო; „ჭავჭავაძის მღვდელი ყველას ფულით ეზმარება, მართალი მღვდელი კი ყველას სცარცვავს; ჭავჭავაძის მღვდელი ქადაგებს კითხვის სარგებლობაზედ, კეთილშობილ შრომაზედ, მართალი მღვდელი კი ქადაგებს ღმერთის, ე. ი. მღვდელთა პატივისცემაზედ; ჭავჭავაძის მღვდელი იხსნის დახრჩობისაგან წყალში კაცს, მართალი მღვდელი კი თვითონვე ახრჩობს თუ წყალში არა, სიღარიბეში მაინც“. ავტორის აზრით, ერთი მსგავსი ნიშანია ი. ჭავჭავაძის და ნამდვილ მღვდელს შორის: „ორივენი ვირულ მოთინებზედ და ლოცვაზედ ლაპარაკობენ“. ცხადია, მღვდლის სახის გაგებაში გ. თუმანიშვილი სცოდავს. ილიას იდეალური ეკლესიის მსახური ჰყავს გამოყვანილი. როგორც სამართლიანად აღნიშნავს გ. ჯიბლაძე, ი. ჭავჭავაძის მღვდელი ზოგადი სახეა, იგი უფრო ნამაინი წლების განმანათლებლების წინამორბედი, ვიდრე რელიგიური ფანატიკოსი. გ. ჯიბლაძე იმასაც ვარაუდობს, რომ ცენზურის თვალის ასახვევად პროგრესული იდეები ავტორმა ანაფორიან მღვდელს გამოათქმევინაო². შესაძლოა ეს ასეც იყოს.

წერილის დასასრულს გ. თუმანიშვილი აცხადებს: „ეხლაც გლეხკაცი ჰკვნესის აღრინდელივით: გარჩევა ის არის, რომ ბატონ-ყმობის დროს გლეხს ერთი ბატონი სტანჯავდა, ეხლა კი სტანჯავს

¹ „შრომა“, 1870, № 10.

² გ. ჯიბლაძე. ილია ჭავჭავაძე, 1966, გვ. 388-389.

მართებლობა და ფულიანი აღა“. აქედან ცხადია, რომ ავტორი სწორ შეფასებას აძლევს ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ შექმნილ ვითარებას. სახელდობრ, იგი სამართლიანად მიუთითებს, რომ გლეხის მდგომარეობა სრულიადაც არ გაუმჯობესებულა, იგი ჰველებურადვე დატანჯული და დაბეჩავებული, ეკონომიურად შევიწროებულია. გ. თუმანიშვილმა სოფლად კაპიტალიზმის შექრასაც კარგად აუღო ალლო. შემდეგ ავტორი სვამს კითხვას: ნუთუ კენესიდან, ოხვრიდან და სისხლისღვრიდან არ შეიძლება გამოსავალი ვიპოვოთ? და გამოაქვს უტოპიური დასკვნები — ამას მივალწვეთ გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებითა და მართებლობის ამალღებითო. ძნელია, რომ ახალგაზრდა გ. თუმანიშვილს აქ მოვთხოვოთ კლასობრივი ბრძოლის საჭიროების გაგებადღე ამალღება. ისიც დიდი საქმე იყო, რომ იგი გრძნობდა არსებული სოციალური წყობილღების უსამართლობასა და უკუღმართობას და მკაცრად ამხილღბდა მათ.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ. რომ გ. თუმანიშვილმა თავის ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებში გამოთქმული ზოგიერთი აზრი გაიმეორა „აღმანახში“ (1879 წ.), სადაც მან გააკრიტიკა „ივერია“, ასევე — ილია და აკაკი სოციალური საკითხების თითქოსდა უგულღებელყოფისა და ისტორიული თემატიკით. პატრიოტულ-გმირული მოტივეებით გატაცების გამო. ი. ბოცვაძე¹ და ნ. ტაბიძე² სწორად აღნიშნავენ, რომ ეს კრიტიკა ერთგვარად ცალმხრივია და მაშინ არ შეიძღებოდა სოციალური და ეროვნული საკითხების ურთიერთდაპირისპირება და, საერთოდ, გ. თუმანიშვილის საყვეღურები სრულიად უსაფუძღლოა, რადგან, როგორც ცნობილია, სოციალური პრობლემები ყოველთვის იღღა ილიასა და აკაკის ყურადღების ცენტრში.

ზოგადი ხასიათის მიმოხილღვაში — „1870 წლის ლიტერატურა“³ — გ. თუმანიშვილი აღფრთოვანებით წერს სკანდღლის (ნ. ნიკოლაძის) ფელეტონებზე, აქებს მათ, თუმცა ენას უწუნებს, რთულად წერსო. შემდეგ ჩამოთვლის 1870 წღლს ქართულ ენაზე გამოცემულ წიღნებს, ნოკლედ, თითო-ორღლა ფრაზით იძღვევა მათ ორიგინალურ შეფასებას. მაგალითად, როდღსაც იგი ასახელღბს გ. სკანდაროვის წიღნს „სალხინო საზანღარი“, შენიშნაღს, რომ იგი დაბალი გემოვნების მქონე უსაქმო ხალხის გასართობად არის გათვალისწინღებულიო. გ. თუმანიშვილი მიწოიხილღავს ასევე „ღროების“

¹ ილია ჰავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, I. 1957, გვ. 65.

² ნ. ტაბიძე. ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 1968, გვ. 214-215.

³ „შრომა“, 1870, № 12.

მიერ მკითხველებისადმი უფასოდ გაგზავნილ წიგნს „კრებულს“. იგი ახსენებს გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ და აღნიშნავს, რომ პოეტი ამ ლექსით წარმოვედგება როგორც რომანტიკოსი და ნ. ბარათაშვილის მიმბაძველი. ხოლო ი. ჭავჭავაძის ერთი ლექსის შესახებ, რომელიც 1860 წელს არის დაწერილი თავისუფლების თემაზე (გ. თუმანიშვილს მხედველობაში აქვს ილიას ლექსი „მესმის, მესმის სანატრელი...“) გამოთქვამს აზრს, რომ თავის დროზე იგი, ალბათ, ცენზურამ დააკავა და მხოლოდ ახლა გამოქვეყნდაო, და აღშფოთებით დასძენს: „ღიახ, ჩვენში ლიტერატურა მართებლობის მაიმუნია ცენზორების გამო!“¹

ავტორი „კრებულის“ მიმართ ამბობს, გაურკვეველია, იგი წიგნია თუ ჟურნალიო. მასში ნაწარმოებები ვაგრძელებით იბეჭდება, დასრულებული არ არის და ამიტომო „ეს წიგნი ბევრად ეგვიანება ჟურნალს“. გ. თუმანიშვილის ეს დასკვნა, რა თქმა უნდა, დღეისათვის დიდ აღმოჩენად ვერ უღერს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ როდის არის ეს ნათქვამი.

გ. თუმანიშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს სწავლა-აღზრდის საკითხებსაც. კერძოდ, წერილში „ჰაერი შკოლაში“ („შრომა“, 1870, № 7) ხაზგასმულია, რომ ბავშვებს სწავლისათვის ნორმალური პირობები არა აქვთ შექმნილი, პატარა საკლასო ოთახებში რამდენიმე ათეული მოსწავლე ზის, ცუდ ჰაერს სუნთქავს, საშინელი სივიწროვია, საწყალ მოზარდებს შესვენების დროსაც საშუალება არა აქვთ, რომ ითამაშონ და დასუთული კიდურები გაავარჯიშონ. რაც შეეხება „ორდენოსან ღირექტორებს“, ავტორის თქმით, მათ მოსწავლეთა ასეთი მდგომარეობა არაფრად მიაჩნათ, მათი მიზანი თურმე მხოლოდ ორდენების მიღება ყოფილა.

„შრომაში“ თავსდებოდა აგრეთვე მოთხრობები, ლექსები, თეატრალური რეცენზიები, სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები და ა. შ.

¹ ილიას ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა 1871 წელს „კრებულის“ პირველ ნომერში (ფაქტიურად, როგორც ცნობილია, „კრებული“ 1870 წლის დეკემბერში დაისტამბა და გ. თუმანიშვილი მას უმაღლეს გაცნობიდა, წინააღმდეგ შემთხვევაში „შრომის“ მეთორმეტე ნომერში იქ მოთავსებულ ნაწარმოებებს ვერ გააჩვენდა). მას ასეთი შენიშვნა აქვს დართული: „...ეს ლექსი გლეხების განთავისუფლების დროს ეკუთვნის“. „კრებულის“ გამომცემლის ნ. ნიკოლაძის ცნობით, ნაწარმოები შიძენილია გარიბალდისადმი, მაგრამ ცენზურის თვალის ასახვევად მას ეს მინაწერი გაუკეთებია (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული; ტ. 1, 1951, გვ. 381-382). როგორც ჩანს, გ. თუმანიშვილიც შეცდომით ფიქრობდა, რომ ლექსი გლეხთა განთავისუფლებას ეხება და აღრე ცენზურამ არ გაუშვაო.

9. „გადასაჭრელი საგნები“ (1871-1873)¹. ამ ხელნაწერ ჟურნალს გ. თუმანიშვილი უშვებდა ჯერ თბილისში, შემდეგ ოდესაში (ნოვოროსიის უნივერსიტეტში სწავლის დროს). „გადასაჭრელ საგნებში“ მოთავსებული მასალებიც ცხადყოფენ გ. თუმანიშვილის კრიტიკულ დამოკიდებულებას არსებული წყობილების მიმართ. იგი თავს ესხმის მეფის რუსეთში დამკვიდრებულ სწავლა-აღზრდის სისტემას, აღშფოთებას გამოთქვამს სასწავლებლებში მოსწავლეთა ფიზიკური დასჯის გამო, აკრიტიკებს ცენზურის, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, „სალიტერატურო პოლიცემისტერების“ მძვინვარებას, გადაჭრით მოითხოვს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას. უფრო მეტიც, გ. თუმანიშვილი აყენებს დესპოტიზმის მოპოებისა და რესპუბლიკური წყობის შემოღების საკითხს, მისი გაბედულება იქამდე მიდის, რომ სამარცხვინო ბოძზე აკრავს რუსეთის მეფის მთელ საგვარეულოს, უწოდებს მას გარყვნილსა და არანორმალურს. აქ ჩამოთვლილი საკითხები საკმაოდ ვრცლად აქვთ გარჩეული ი. ანთელავას და ნ. პაპავას² და ამიტომ მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. შევეხებით მხოლოდ „გადასაჭრელი საგნების“ ორ ნომერს — მე-3 და მე-7-ს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმშია დაცული.

„გადასაჭრელი საგნების“ 1871 წლის მესამე ნომერი უურადღებას იქცევს იმით, რომ გ. თუმანიშვილს ჟურნალის შინაარსის ქვეშ (მეორე გვერდზე) მიწერილი აქვს: „პატივცემულ კაცის» უკან ვთხოვ შეითხველს წაიკითხოს ჩემი ორი სტატია: ჯერ «მომართვით!» და მერე «ცენზურა»“. სამწუხაროდ, არც ერთი დასახელებული მასალა ნომერში არ გვხვდება სათანადო ფურცლების დაკარგვის გამო. მათ შორის, ალბათ, ყველაზე საინტერესო იქნებოდა უკანასკნელი წერილი („ცენზურა“). შემორჩენილია მხოლოდ ორი წერილი — „თბილისის თეატრი“ (ავტორა მასში აკრიტიკებს ერთმოქმედებიანი პიესების მოზღვავებას სცენაზე) და „სხვადასხვა ცნობები“, რომელშიც ავტორი კვლავ დასცინის რუსეთის მეფეს: „ამ ზაფხულს თბილისში ხელმწიფე მობრძანდება და ეს მობრძანება ჩვენ, ქალაქელებს არ ვიცი რამდენ ას თუმნად დაგვიჯდება: მაშ კაცების და ღმერთების შუა არსების ნახვა მუქთად ხომ არ იქნება“.

„გადასაჭრელი საგნების“ 1873 წლის მეშვიდე ნომერში ორი

¹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 440, 1005 (აქ დაცულია 1871 წ. № 1, 2; 1872 წ. № 1, 2; 1873 წ. № 2, 3, 4, 5, 6); საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ფონდი 3, № 5296 (1871 წ. № 3); № 5295 (1873 წ. № 7).

² იხ. ამ ავტორთა ზემოხსენებული ნაშრომები.

წერილია აღსანიშნავი — „პეპელა“ და „ახალი სარწმუნოება და ფრთხილი ხალხი“.

პირველში მოთხრობილია ავტორის გამომგზავრება ოდესიდან. დადებითად არის შეფასებული იქ გატარებული დრო. გ. თუმანიშვილი წერს, რომ ადრე ცხოვრებას მარტოოდენ წიგნებიდან ვიცნობდი, იდეალისტი ვიყავი და მხოლოდ ოდესაში ამეხილა თვალი — დავინახე ცხოვრება იმ სახით, როგორც ის სინამდვილეში არის: „ჩემი თვალებით ვნახე საბაკევიჩები, ჩიჩიკოვები და სხვა ტიპები...“ ავტორი დასძენს, რომ მთლიანად შევიცვალე და ის რდეალები, რაც ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მქონდა, ცხოვრებამ თავდაყირა დააყენა: „გამიტაცა ცხოვრების ტალღამ, ღლე და ღამ ვიყავ ხალხში, იმას ვადევნებდი თვალს, ის გახდა ჩემი შკოლა, აქ ვიცანი კაცი, აქ ვიცანი ქვეყანა“. ყოველივე ამის ნაყოფი ის იყო, ამბობს გ. თუმანიშვილი, რომ ჩემში სულ სხვა ხასიათი, ჩვეულება დამკვიდრდა და სხვა ჭკუა-გონებაზე დავდექიო.

„პეპელაში“ გაშუქებული სხვა საკითხებიდან ყურადღებას იპყრობს ჟურნალ „ოტენესტვენნიე ზაპისკის“ 1873 წელს გამოსული ბოლო ნომრების მიმოხილვა. მიმოხილველს, ახალგაზრდა გ. თუმანიშვილს განსაკუთრებით მოსწონებია ჟურნალის პირველი ნომრის სალიტერატურო ქრონიკა, რომელშიც ლიტერატურის დაცემის მიზეზებია ახსნილი. „ზოგიერთები ამბობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა დაეცაო ლიტერატურული ტალანტების უარარაობითაო“, — წერს ქრონიკის ავტორი და ეს აზრი ნას არასწორად მიაჩნია. ნამდვილი მიზეზი კი ის არის, რომ ლიტერატურის მიმართულება ისცდა მაგიტრალურ ხაზს, იგი მოსწყდა ხალხს, არ გამოხატავს ის მისწრაფებებსო. გ. თუმანიშვილი ეთანხმება ავტორის შეხედულებას და დასძენს, რომ „60-იან წლებში ლიტერატურა თვალს ადევნებდა წიელ ხალხს და ამიტომაც ის ასე აცოცხლებული იყო, როგორც არას დროს. პოლიტიკური ეკონომიის შემუშავება ჩერნიშევსკისაგან (იხილე მისი სტატიები შრომასა და კაპიტალზე), ცხარე ლექსები გლეხების თავისუფლებაზე ნეკრასოვისა, შჩედრინის დაუნდობელი სატირიკული სტატიები ჩინოვნიკების ქრთამობაზე, მიხაილოვსკის აღტაცებული ეტიუდები ქალების მამაკაცებთან შესწორებაზე, დობროლიუბოვისა და პიროგოვის კვიელი ყმაწვილების აღზრდაზე — ეს სულ ეკუთვნის 60-იან წლებს“.

შემდეგ გ. თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ ლიტერატურა ამის შემდეგ დაქვეითების გზით წავიდა, რადგან დიდი მიზანი აღარ ჰქონდაო, და ამ პროცესს პრიმიტიულად ახსნის: ბატონყმობის გადავარდნამდე იყო ეს დიდი მიზანი (გლეხთა განთავისუფლება). გადავარდნის შემდეგ კი აღარაო. მისი აზრით, გამონაკლისა წარმოად-

გენს მხოლოდ რამდენიმე ნიჭიერად დაწერილი თხზულება — ნ. ჩერნიშევის „რა ვაკეთოთ?“ და დ. პისარევის სტატიები. გ. თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ ასეთივე შეხედულებისაა („ლატერატურის დაცემის შესახებ“) კრიტიკოსი პ. ტაჩოვიც, და დასძინს, განსაკუთრებით მომწონს ნ. მიხაილოვსკის აზრები ამ საკითხთან დაკავშირებით. ავტორს ვრცელი ამონაწერი მოჰყავს აგრეთვე მ. სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებებიდან და „ოტჩენსტვენნიე ზაპისკის“ სხვადასხვა ნომერში გამოქვეყნებულ ცალკეულ სტატიებსაც ეხება.

გ. თუმანიშვილის მეორე წერილი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, წარმოადგენს რეცენზიას ლუი ბლანის ნაშრომის „საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის“ პირველ ტომზე¹. დასაწყისში ავტორი აცხადებს, რომ მას თურმე წაუკითხავს რამდენიმე ბროშურა მუშათა ცხოვრებასა და სოციალისტურ თეორიებზე და მათ შესახებ გამოუთქვამს კიდევ თავისი აზრი „გადასაჭრელი საგნების“ ფურცლებზე (საწიფხაროდ, ჟურნალის ეს ნომრები არ არის შემონახული). შემდეგ იგი განიხილავს ზემოხსენებულ წიგნს და ხაზს უსვამს, რომ ლუი ბლანი „გულითადად ესარჩლება სოციალიზმსა და კომუნიზმს“, ყველას, ვინც ამ მოძღვრებას მხარს უჭერს. გ. თუმანიშვილს წიგნი ლუი ბლანის წიგნი იმიტომ, რომ იგი წერს „მუშა-ხალხის ამადლებზე, ძმობაზე, ბურჟუაზიის მავნეობაზე... რა ალტაცებით და სიყვარულით არის დაწერილი წიგნი, ხედავ, რომ მართლა ალტაცებულია და უყვარს მართლის გულით სოციალიზმი და ეჯავრება ბურჟუაზია და მისი ლიბერალიზმი“. ავტორს სჯერა, რომ ხალხი საბოლოოდ სოციალისტურ იდეებს გაიზიარებს, რომ „მართა გამაძლარი ბურჟუა, უზრუნველი კაცი არ დაეთანხმება“ ლუი ბლანის შეხედულებებს.

გ. თუმანიშვილი აღშფოთებით წერს იმ რეპრესიებზე, რაც ხსენებულმა წიგნმა განიცადა მეფის რუსეთის მოხელეების მხრივ: „ერთს კი ვწუხვარ, რომ ამ წიგნს ძნელად იშოვნით რუსულ ენაზე. ის, მაშინვე, გამოცემის უკან, დასწვეს რუსის ენადარმებმა, როგორც მართებულობის საძირკველის დამანგრეველი წიგნი“.

ძმები თუმანიშვილების ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებზე საუბარი სრული არ იქნება, თუ არ შევეხებით აგრეთვე მათ მიერ რუსულ ენაზე გამოშვებულ ორგანოებს, რის შესახებაც ზემოთ გაკვირით აღვნიშნეთ. გ. თუმანიშვილის რედაქტორობით 1867 წელს გამოდი-

¹ ამ ნაშრომის თორმეტტომეული გამოვიდა მხოლოდ 1907-1909 წლებში.. ამგვარად, გ. თუმანიშვილი სარგებლობდა ლუი ბლანის თხზულების აღრეული თარგმანით.

ოდა «Тифлисский вестник»¹, 1868 წელს — «Литературный мир»², «Кавказская сирена»³; კ. თუმანიშვილის რედაქტორობით 1873 წელს — «Фанар»⁴, მათში იგივე აზრებია გამოთქმული, რაც ჩვენ მიერ განხილულ ქართულ ორგანოებში⁵. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ რუსული გამოცემების ცნობით, გიმნაზისტები 1868 წელს ორ „პარტიად“ გათიშულან: ერთნი სცემდნენ ქართულ ხელნაწერ გაზეთს „ზარს“, ხოლო მეორენი — რუსულ «Заря»-ს⁶, აქვე დავძენთ შემდეგს: ამ გამოცემებში გაშიფრულია, რომ გ. თუმანიშვილი ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებში იყენებდა შემდეგ ფსევდონიმებს: მ. ანდრონიკოვი, მხედაროვი, აბ. კეშმარიტაძე, კეშმარიტოვი, Пронин და სხვ.⁷

ბ) ანდრია ბენაშვილის „შრომა“

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, რომ ხელნაწერ ორგანოებს მოსწავლეები უშვებდნენ თბილისის კადეტთა კორპუსშიც კი. 1882-1884 წლებში აქ ქართულ ენაზე გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“, რომლის რედაქტორი იყო შემდგომში ცნობილი ქართველი გეოდეზისტი ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი (1868—1941). კადეტთა კორპუსში იგი 1878—1885 წლებში სწავლობდა. მან 1887 წელს დაამთავრა მოსკოვის ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი, ხოლო 1899 წელს — გენერალური შტაბის აკადემია. სამხედრო სამსახურში მან გენერალ-ლეიტენანტის წოდებამდე მიაღწია. რაც მთავარია, ა. ბენაშვილი დიდ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა — გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი გეოდეზიასა და ასტრონომიაში. სხვადასხვა დროს გეოდეზიას ასწავლიდა პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტსა და სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში. როდესაც თბილისის უნივერსიტეტი გაიხსნა, იგი ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრის გამგედ აირჩიეს. ამის შემდეგ ა. ბენაშვილი საქართველს სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას, შექმნა მრავალი სახელმძღვანელო.

ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ა. ბენაშვილი ლიტე-

¹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 432.

² იქვე, დოკ. № 434.

³ იქვე, დოკ. № 431.

⁴ ჩვენამდე არ არის მოღწეული. არ ჩანს აგრეთვე მისი ქართული ხელნაწერი ჟურნალი „ეპალი“.

⁵ უფრო მეტიც, მასალების გარკვეული ნაწილი ერთდროულად თავსდება როგორც ქართულ, ისე რუსულ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებში.

⁶ «Литературный мир», 1868, № 11.

⁷ იქვე.

რატურულ სარბიელზედაც მოღვაწეობდა: კერძოდ, მის კალამს ეკუთვნის თავის დროზე გახმაურებული პიესები „დაუსრულებელი ამბავი ანუ თელაველი ოტელო“¹ და „დროთა ბრუნვა“², აგრეთვე მოთხრობა „ღვთის საჩუქარი“³ და სხვ.

ა. ბენაშვილის ხელნაწერ ჟურნალზე ლიტერატურაში ცნობებზე თითქმის არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბ. ტოგონიძის წერილს „გამოჩენილი ასტრონომი, ლიტერატორი“⁴, რომელიც, სამწუხაროდ, ზოგიერთ უზუსტობას შეიცავს. წერილში ერთ ადგილას ნათქვამია: „სამეცნიერო-პედაგოგიურ და სამხედრო მოღვაწეობასთან ერთად ა. ბენაშვილი პეტერბურგში თვალსაჩინო საზოგადოებრივ-სალიტერატურო მუშაობასაც ეწეოდა. მისი რედაქტორობით აქ ქართულ ენაზე გამოდიოდა ყოველთვიური ხელნაწერი სალიტერატურო ჟურნალი „შრომა“, რომელშიც მონაწილეობდა პეტერბურგის მოწინავე ახალგაზრდობა... იგი მიზნად ისახავდა... პეტერბურგში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდობის მიერ მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხს“⁵.

ა. ბენაშვილი პეტერბურგში 1896 წელს ჩავიდა (სამხედრო აკადემიაში სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით), ხოლო 1882-1884 წლებში, როდესაც „შრომა“ გამოდიოდა, იგი, როგორც ვთქვით, თბილისის კადეტთა კორპუსში სწავლობდა. ამიტომ შეცდომა იქნებოდა ეს ჟურნალი პეტერბურგში გამოსულად მიგვეჩინა.

„შრომის“ მხოლოდ რამდენიმე ნომერია დაცული⁶. გარეგნულად იგი ნაბეჭდ ჟურნალს ჰგავს — აქვს ტიტული, შინაარსი და სხვ. მასში გვხვდება ილუსტრაციებიც, მაგალითად, 1883 წლის მეექვსე ნომერში მოთავსებულია შოთა რუსთაველის შესანიშნავი პორტრეტი, რომლის მხატვრობა ეკუთვნის ა. სარაჯიშვილს. აქვეა ა. ბენაშვილის გულმოდგინედ შესრულებული ნახაზი: „რუქა საქართველოისა თარგამოსიანთ ხელში“. უნდა ვივარაუდოთ, რომ „შრომა“ 1882 წლის ოქტომბრიდან იწყებს გამოსვლას (ამაზე მიუთითებს-

¹ „ივერია“, 1890, № 86 და შემდგომში.

² „ივერია“, 1890, № 181 და შემდგომში.

³ „ივერია“, 1892, № 275.

⁴ ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 12, გვ. 68-70. აქვე, სხვათა შორის, დაბეჭდილია „შრომის“ 1883 წლის მეექვსე ნომრის გარეკანის ფოტოპირი.

⁵ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 12.

⁶ გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერები: № 11 110 (1882, № 3); 11 111 (1883, № 4); № 11 112 (1883, № 5); № 11 113 (1883, № 6); № 11 114 (1884, № 1) № 11 115 (1884, № 2).

ქართლის ფსევდონიმით დაწერილი ერთი უსათაურო წერილი-რომელიც 1882 წლის მესამე ნომერშია მოთავსებული).

როგორია „შრომის“ შინაარსი? პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ჟურნალში მთავარი ადგილი პუბლიცისტიკას უჭირავს. თითქმის ყველა წერილის დედააზრი ის არის, რომ უნდა გვიყვარდეს ქართული ენა, ჩვენი სამშობლო, მისი ისტორია და კულტურა, რომ თითოეული ადამიანი თავისი ქვეყნის პატრიოტი უნდა იყოს და ყველაფერს აკეთებდეს მისი ბედნიერებისათვის. ავტორები აღშფოთებას გამოთქვამენ იმ მშობლების მიმართ, რომლებიც თავიანთ შვილებს არ უნერგავენ მამულის სიყვარულს, უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი სრულიად არ ასწავლის მათ მშობლიურ ენას. ამის საილუსტრაციოდ მოჰყავთ მაგალითები კადეტთა კორპუსის სინამდვილიდან: აქ მოსწავლე ქართველ ბავშვთა დიდმა უმრავლესობამ მშობლიური ენა არ იცისო. სტატიებში ის აზრია ჩაქსოვილი, რომ ქართული ენის დავიწყება მხოლოდ საზოგადოების პრივილეგიურ ფენებში გვხვდებაო: „ეხლანდელი დედ-მამა, ქართველები (რასაკვირველია, უმალლესი საზოგადოება, ესე იგი არისტოკრატია) იმასა სცილობენ, რომ როგორმე ჩქარა შეაძულონ ყმაწვილებს დედაენა და კარგად გაავითარონ იგინი რუსულ, ფრანკუზულ და სხვა ენებში“¹. ავტორთა თქმით, მშობლიურ ენას მხოლოდ ინტელიგენცია იფიქვებს. და ისინი გამოხატავენ თავიანთ გულისწყრომას, ნუთუ მას მხოლოდ გლეხები უნდა ინახავდნენო. წერილში „ორიოდე სიტყვა ქართველების საყურადღებოდ“² აღნიშნულია, რომ რუსეთშიც, როცა იქ „პირველად განათლება შემოიღეს“, არისტოკრატამ დედაენად ფრანგული აღიარა და რუსულად არც კი კადრულობდა ლაპარაკს, ახლა კი ანალოგიურ სურათს ვხედავთ საქართველოშიცო.

მრავალი წერილია მიძღვნილი „შრომის“ გამოსვლისადმი. ერთხმად აღიარებულია მისი დიდი მნიშვნელობა კადეტთა კორპუსის მოსწავლეთათვის: ჟურნალის მიზანია გააღვიძოს მათ გულში ქართული ენის სიყვარული, აღუძრას ყველას მისი შესწავლის სურვილიო. მაგრამ ჟურნალს მართო ეს არ მიაჩნია საკმარისად: საჭიროა ახალგაზრდობა მოემზადოს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსასვლელადო: „გონების გახსნა და განათლება საჭიროა ჩვენთვის, რომ მოვემზადოთ ხალხისათვის სარგებლობის მოსატანად, თორემ ქართველი საზოგადოება ძალიან დაცემულია ზნეობით და განათლებითაც დაბალ ხარისხზე დგას, მატერიალური მდგომარეობა ხომ პირით გამოსათქმელი არ არის“³.

¹ „შრომა“, 1883, № 4.

² „შრომა“, 1884, № 1.

³ იქვე.

„შრომის“ ავტორები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ გავლენას განიცდიან. უურნალის მასალებში ხშირად შევხვდებით ცნებებს „ნაციონალური ერთობის“ შესახებ, მაგრამ მათთვის უცხო არ არის სოციალური პრობლემებიც, რომლებიც დაუყოვნებელ გადაჭრას მოითხოვენ. აი, ერთი ადგილი ამავე წერილიდან: „რას ვხედავთ ჩვენ საქართველოში? პირუტყვისავით მხოლოდ ჭამა და სმა... ქეიფი... ღიბის გაზრდა. უმნიშვნელო ცხოვრება ერთის მხრივ და მეორე მხრივ შიმშილი, სიტიტველე, მთელი სიცოცხლე ტანჯვა-წვალება... აი, ნამდვილი სურათი საქართველოს მდგომარეობისა...“¹. უეჭველია, რომ აქ დახატულია იმდროინდელი საზოგადოების სოციალური სურათი: ექსპლოატატორთა უზრუნველი, ფუქსავატური ცხოვრება და მშრომელი ხალხის გაჭირვება და სიღატაკე. ავტორი მკაცრად აკრიტიკებს საზოგადოების პრივილეგიურებულ ფენას. „უმადლესი საზოგადოების ყურს, — წერს იგი, — არც კი სმენია ეს დიდმნიშვნელოვანი სიტყვები — ძმობა, ერთობა, თავისუფლება და თანასწორობა. იმათი დევიზი არის: ბატონი და მოსამსახურე, თავად-აზნაურობა და გლეხი, ჭამა-სმა და ძილი, კარგად ჩაცმა და დაუსრულებელი ტლინკვა. — აი, მათი სიცოცხლე“².

შემდეგ ავტორი გვთავაზობს განმანათლებლურ იდეებს. მშრომელი ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესების გზას იგი ხედავს მისი განათლების ამადლებაში: „ხალხში მწიფდება ის აზრი, რომ იგი დაბრკიყვებული და დამცირებულია და სწყურს განათლება, მაგრამ განმანათლებლები კი ცოტანი არიან. ამიტომ უნდა მოვემზადნეთ იმ დიდი თანამდებობისათვის, რომლის საგანს შეადგენს— შრომა საზოგადო კეთილდღეობისათვის, უნდა გავიგოთ თანასწორუფლებიანობის აზრი და იგივე ჩავაგონოთ დავრდომილ კლასს ჩვენი ხალხისას“³.

რა თქმა უნდა, ეს წმინდა წყლის უტოპისტური მსჯელობაა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ კადეტთა კორპუსის აღსაზრდელებიც თავისებურად ერკვეოდნენ კლასთა ბრძოლის საკითხებში. მართალია, მათ ჯეროვანი წარმოდგენა არ ჰქონდათ ამ პრობლემაზე, მაგრამ მაინც გრძნობდნენ, რომ არსებული ვითარება აუცილებელივ უნდა შეცვლილიყო. და ეს არის მთავარი, რადგან მათ პროგრესულობაზე მეტყველებს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებია გამოხა-

¹ „შრომა“, 1884, № 1.

² იქვე.

³ იქვე.

ტული ვ. ს. იმერლის¹ ერთ საინტერესო წერილში „ისტორიის შესწავლაზე“². ავტორის აზრით, ისტორია იმიტომ უნდა შევისწავლოთ, რომ კარგად გავეცნოთ ჩვენი სახელოვანი წინაპრების გმირულ ცხოვრებას: როგორ იგერიებდნენ მრავალრიცხოვანი მტრების შემოტევებს მამა-პაპანი და თავს სწირავდნენ სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, როგორ გადაარჩინეს მათ საქართველო. „ამას რომ შეიტყობს კაცი, — ამბობს შემდეგ ავტორი, — მას აენტება გულში პატრიოტული გრძნობა და ეს გრძნობა ეტყვის მას, რომ ყოველ კაცს უნდა უყვარდეს თავისი მამული, როგორც უყვარდათ წინაპრებს, და უნდა შესწიროს თავისი სიცოცხლე მამულს“. ავტორი მკითხველებს დაბეჭილებით მოუწოდებს — შევისწავლოთ ქართველი ერის ისტორია, რათა შევიტყოთ, რანი ვართ და რა მოვალეობა გვაძევსო. მაგრამ ესეც არ კმარა: საჭიროა აგრეთვე სხვა ხალხების ისტორიასაც გავეცნოთ იმისათვის, რომ ჩვენი ცხოვრება სხვისას შევადაროთ, დავინახოთ, წინ მივდივართ, თუ უკან განათლებისა და პროგრესის დარგში, და ამის შედეგად ხალხი ეცდება მიბაძოს მოწინავე, განათლებულ ერებსო.

დაახლოებით ასეთივე აზრებია გამოთქმული იმავე ავტორის მეორე წერილში „ქართველ ქალებს“³. იგი ურჩევს ქართველ ქალებს გადახედონ თავისი ქვეყნის ისტორიას და შეიტყონ, თუ რა როლს ასრულებდნენ დედისამშობლოს კეთილდღეობისათვის მათი წინაპრები, და თავიანთ შვილებსაც „მისცენ უმჯობესი მიმართულება, რომელიც ეხლა არის საჭირო საქართველოსთვის“, შთააგონონ მათ მამულის, მშობლიური ენის სიყვარული და სხვ. ავტორი თავს ესხმის უმაღლესი საზოგადოების ქალებს, რომლებიც ფუქსავატურად ატარებენ დროს: მხოლოდ ჩაცმა-დახურვაზე, გართობასა და სეირნობაზე ფიქრობენ, არ ზრუნავენ განათლების მიღებისათვის და, რაც მთავარია, არ ემზადებიან იმისათვის, რომ ნამდვილი დედები გახდნენ, აღუზარდონ სამშობლოს ღირსეული შვილები.

„შრომაში“ ეჭვდებით აგრეთვე ცნობებს ნოსწავლეთა ზრუნვაზე კაფეტოა კორპუსში ქართული ბიბლიოთეკების შექმნისათვის⁴.

რაც შეეხება მხატვრულ ნაწარმოებებს. ისინი „შრომაში“ შედარებით ცოტაა. გვხვდება პატარა მოთხრობები, სცენები და ლექსები, რომელთა ძირითადი თემატიკაა სამშობლოს სიყვარული.

¹ ვარლამ ბურჯანაძის ფსევდონიმია, როგორც ეს გვაცნობა პროფ. ი. ბოცვაძემ.

² „შრომა“, 1883, № 5.

³ „შრომა“, 1883, № 6.

⁴ „შრომა“, 1883, № 6 (ვ. კვინიხიძის უსათაურო წერილი).

ისანი მკითხველებს მოუწოდებენ, რომ თავდადებით იბრძოლონ საქართველოს განთავისუფლებისათვის, ამ მიზნის მიღწევისათვის თავი გასწირონ. ზოგიერთი ლექსი სოციალური საკითხებისადმიც არის მიძღვნილი (გურულის — „ღარიბი“¹, უავტორო — „გლეხის გაკვირვება“² და სხვ.). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ნაწარმოებები არ გამოირჩევიან კლასობრივი სიმკვეთრით. ავტორები, მართალია, აღწერენ წმრომელთა დაჩაგრულ მდგომარეობას, მაგრამ უტოპისტურ დასკვნებს აკეთებენ, ქადაგებენ კლასობრივ ზავს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ „შრომაში“ მოთავსებული პროზაული თუ პოეტური თხზულებები მხატვრულობის თვალსაზრისით დაბალ დონეზე დგას.

ამრიგად, კადეტთა კორპუსში გამოსული ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“ ეპოქის მოწინავე, პროგრესულ იდეებს ქადაგებდა და მკითხველებს უნერგავდა თავისუფლებისმოყვარეობის, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის კეთილშობილურ იდეებს.

გ) თბილისის სემინარიელთა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები

ჩვენში მოსწავლეთა ხელნაწერი პრესის საქმიანობის მიმოხილვა სრული არ იქნება, თუ მოკლედ მაინც არ შევეხეთ თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა არალეგალურ ჟურნალ-გაზეთებსაც. საქმე ისაა, რომ სემინარიელები წკიდროდ იყვნენ დაკავშირებული მოწინავე მუშებთან (განსაკუთრებით ეს ითქმის გასული საუკუნის 90-იან წლებზე) და აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ მოძრაობაში, და, რაც მეტად საყურადღებოა, სწორედ მათი წრიდან გამოვიდნენ ცნობილი პროფესიონალ-რევოლუციონერები, სოციალ-დემოკრატიული, ბოლშევიკური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები (ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ფ. მახარაძე და სხვ.). ბუნებრივია, რომ ის არალეგალური ნუშაობის წრეობა, რაც ხელნაწერი პრესის გამოშვებისას მიიღეს, მათ შემდგომ გამოადგათ არალეგალური მარქსისტული გაზეთების გამოცემაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, დღემდე არ მოუღწევია თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა არც ერთ ხელნაწერ ჟურნალსა თუ გაზეთს და, ანდენად, ძნელია მათი შინაარსის შესახებ სათანადო წარმოდგენა ვიქონიოთ. არსებობს მხოლოდ

¹ „შრომა“, 1883, № 5.

² „შრომა“, 1884, № 2.

ზოგიერთი მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრება ამის თაობაზე და მცირეოდენი საარქივო მასალა.

ერთ-ერთი პირველი ხელნაწერი ჟურნალი, რომელსაც სემინარიელები XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში სცემდნენ, იყო „შრომა“. მის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სოფრომ მგალობლიშვილი, იგი წერს:

„ან დროს თვით შეგირდებმა დავიწყეთ ხელთნაწერი ჟურნალის გამოცემა, რომელსაც სახელად „შრომა“ ერქვა. ამ ჟურნალში მონაწილეობას იღებდნენ: გ. უთურგაული, რომელიც რედაქტორობდა ჟურნალსა, ნ. ლომოური, ი. ბაქრაძე, მ. სანებლიძე, ვკონებ ი. მეუნარგიაც, მე, ამ სტრიქონების დამწერიც, შ. შიუკაშვილი და სხვ. ჟურნალი გამოდიოდა 1871 წლის მარტამდე (ანაზე ცნობები შემჩნა ერთ რეველში). პირველი ნომრისათვის მივეცი თარგმანი, პირველი მოქმედება შილერის „ორლენის ქალწულია“. შემდეგ დავწერე მოთხრობა: „რა მიზეზია?“ გადავეცი ჯერ წასაკითხად გ. იოსელიანს, რომელმაც მომიწონა და დაწარიგა ამომეჭრა ჟურნალიდან და შემემუშავებინა. შემდეგ იმ მოთხრობიდან გავაკეთე „ღედა მათა“ და იმ მოთხრობამვე მომცა აზრი „ღამის ნებრე ცეცოსი“. ნ. ლომოური და იოსებ ბაქრაძე იძლეოდნენ ლექსებსა, თუ არ ვცდები ნ. ლ-რმა „შრომისათვის“ სთარგმნა „შილიონის პატიმარი“, რომელიც შემდეგ ჟურნალ „მნათობში“ დაისტამბა“¹.

როგორი იყო ან ხელნაწერი ჟურნალის პერიოდულობა ან მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად მასში რა პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა, ჩვენთვის უცნობია.

მეორე ხელნაწერ ჟურნალს, რომლის შესახებაც ცნობები მოიპოვება, ეწოდებოდა „ყვავილი“. ამ ჟურნალს სემინარიელები 1885 წელს უშვებდნენ. ეს ფაქტი ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც სასულიერო სემინარიის რექტორის პ. ჩუდეცის მკვლევლობის გამო დააპატიმრეს იოსებ ლალიაშვილი. საგამომცემლო მასალებში ერთგან წერია: „ამასთანავე ინსპექტორმა სტეფანოვმა წარუდგინა გამომცემელს ლალიაშვილისაგან ჩამორთმეული „დღიური“. ეს „დღიური“ გამომცემელს თბილისის სასამართლო პალატის ბრალმდებლისათვის უჩვენებია, ხოლო მას „დღიური“ საქმეში არ ჩაურთავს. ოქმში მხოლოდ შემდეგი შენიშვნაა:

„დღიურის“ პირველი ფურცლის მეორე გვერდზე რაღაც მცო-

¹ ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი. 1938, გვ. 47-48. შდრ.: გ. თავიშვილი. სოფრომ მგალობლიშვილი. 1956, გვ. 6-7; ზ. შველიძე. რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიიდან ამიერკავკასიაში. 1964, გვ. 118; ა. თოფურიძე. ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების ისტორია. 1969, გვ. 221-229.

რე მხატვრობა არის წარწერით — „ყვავილი“... „დღიურში“ შემდეგ წინადადებებს შეხვდებით: „3 ოქტომბერს 1885 წელსა სემინარიის მე-3 კლასის მოწაფეებმა დააარსეს ქართული ჟურნალი „ყვავილი“... საყვარელო ძმად დავით¹, გთხოვ, რომ შენი შრომა ჟურნალ „ყვავილში“ არ შესწყვიტოთ“².

როგორც საბრალდებო ოქმშია აღნიშნული, „დღიური“ ძირითადად დაწერილი ყოფილა რუსულად, შიგ თურმე ზოგიერთი ქართული სიტყვაც ერია. ერთ ადგილას დაშიფრული ციფრები ყოფილა მოთავსებული, ხოლო მეშვიდე გვერდზე — მისი გასაღებიც.

3. ჩუღუტის მკვლევლობის შემდეგ სემინარიიდან ბევრი მოსწავლე გაირიცხა. ზოგიერთმა მათგანმა აღდგენის თაობაზე განცხადება შეიტანა. ინსპექტორ სტეფანოვს თითოეულ მათგანზე დახასიათება დაუწერია და აღუნიშნავს მათ მიერ ჩადენილი „დანაშაული“. ჩვენთვის საინტერესოა ორი ფაქტი: 1) დავით გიუნაშვილის შესახებ სტეფანოვი წერს, რომ იგი იყო არალეგალური გაზეთის (?) „ყვავილის“ რედაქტორ-გამომცემელი, რომლის ერთ-ერთ ჩამორთმეულ ნომერში მოთავსებული ყოფილა ასეთი შინაარსის მოწოდება ახალგაზრდობისადმი: ბევლმა თაობამ დრო მოჰამა, დალბა და ყოვლად უვარგისიაო³. 2) მათე გორდენიანი შემჩნეული ყოფილა არსებული წყობილების გაკიცხვაში, ამასთან ამხანაგების წრეში „ყვავილის“ ნომრების კითხვაში⁴.

გრ. გიორგაძე თავდაპირველად ფიქრობდა, რომ „ყვავილის“ ხელმძღვანელი იყო იოსებ ლალიაშვილი⁵. შემდგომ მან აზრი შეიცვალა და აღნიშნავდა, რომ იოსებ ლალიაშვილი „მონაწილეობას იღებდა ხელთნაწერ გაზეთში (sic), რომელსაც ქართულად სწერდნენ და რომელსაც სახელად ერქვა „ყვავილი“⁶.

როგორც ვნახეთ, ზოგიერთი ცნობით „ყვავილი“ ხელნაწერ გაზეთად არის მიჩნეული (ინსპექტორი სტეფანოვი, მკვლევარი გრ. გიორგაძე), ხოლო ი. ლალიაშვილის „დღიურის“ ჩანაწერის მიხედვით იგი ხელნაწერი ჟურნალი უნდა ყოფილიყო.

¹ ტ. ხუნდაძის აზრით, აქ იგულისხმება იოსებ ლალიაშვილის ამხანაგი დავით გიუნაშვილი, მესამე კლასის მოსწავლე (ტ. ხუნდაძე. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში. 1951, გვ. 249).

² გ. ჩიქვინიძე. ტფილისის სასულიერო სემინარია გასული საუკუნის მე-80 წლებში. ჟურნ. „რევოლუციის მატრიანე“, 1924, № 4-5 (9-10), გვ. 117.

³ საქართველოს სსრ ცსია, ფონდი 440, საქმე 954, გვ. 20.

⁴ იქვე, გვ. 25.

⁵ გრ. გიორგაძე. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. თბ., 1928, გვ. 498.

⁶ გრ. გიორგაძე. თვითმპყრობელობა და რევოლუცია. წიგნი პირველი, თბ., 1929, გვ. 77.

საარქივო მასალებში სხვა რაიმე დამატებითი ცხობები „წვავილის“ შესახებ არ გვხვდება.

იპოლიტე ვართაგავა, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიის 1888-1895 წლებში სწავლობდა, თავის „მოგონებებში“ ადასტურებს სემინარიელთა მიერ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ფაქტს და აღნიშნავს, რომ თითოეულ კლასში გამოდიოდა ერთი ან ორი ორგანო და რომ მათ ჰყავდათ საკუთარი (კლასის) რედაქტორები, რომელთაც მოსწავლეები წარუდგენდნენ ხოლმე თავიანთ ნაწერებსო. რედაქტორი კითხულობდა და ასწორებდა მასალებს და გამზადებულ ნომერს გადასცემდა სემინარიის ყველა კლასის საერთო ჟურნალის ხელმძღვანელსო. ეს უკანასკნელი მათგან შეარჩევდა საუკეთესო ნაწარმოებებს და შეადგენდა ერთ ნომერს, რომელიც მთელი სემინარიის ორგანოდ ითვლებოდაო. საერთო-სემინარიულ ჟურნალში მოთავსებული ნაწარმოებების — ლექსებისა და მოთხრობების მალალ ღირსებაზე ისიც მეტყველებს, რომ ისინი ზოგჯერ ბეჭდურ ორგანოებშიც ქვეყნდებოდაო. ი. ვართაგავა ამასთან დაკავშირებით დასძენს, რომ „სემინარიელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სერიოზულად ვარჯიშობდა წერაში... შემდეგში ქართულ ლიტერატურაში ცნობილმა პოეტებმა, მწერლებმა და ჟურნალისტებმა პირველად სემინარიის ხელნაწერი ჟურნალებში სცადეს თავისი ნიჭი, ძალა (შ. არაგვისპირელი, ირ. ევდოშვილი, ია ეკალაძე, ნარ-კანი¹, ინ-ანი² და სხვ.)“³.

სემინარიაში არალეგალური ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოშვებისას მკაცრ კონსპირაციას იცავდნენ. ამაზე არის გაძახვილებული ყურადღება, კერძოდ, საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ ერთ ხელნაწერ მასალაში „მოგონება სემინარიელის წარსული ცხოვრებიდან“, რომელშიც ნათქვამია: „...ამასთან სემინარიელები უშვებდნენ ხელთნაწერ ჟურნალს. ვის შემოქონდა ლიტერატურა, ვინ უშვებდა ჟურნალს, ყველა ეს ჩვენთვის საიდუმლოებით იყო მოცული. ვიცოდით მხოლოდ, რომ სადღაც სასადილო ოთახის კუნძულში გაკეთებული იყო ფარული უჯრა, რაშიაც ჟურნალის თანამშრომლები ჩაყრიდნენ თავიანთ წერილებს, რომ შემდეგ რედაქციის წევრებს საშუალება მისცემოდათ წერილები უჯრიდან თავისთვის ერთ მიჩნეულ ბინაზე წაეღოთ“⁴.

1 ლაპარაკია ნიკო კურდღელაშვილზე. — შ. გ.

2 ლაპარაკია ივანე ახალშენიშვილზე. — შ. გ.

3 ი. პ. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა. მოგონებები. ნაწილი პირველი. 1956, გვ. 120-121.

4 საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 2432. წერილს ხელს აწერს: დ. ა-ძე.

ი. ვართაგავას ცნობით, საერთო-სასემინარიო ჟურნალის ერთ-ერთი რედაქტორი ილია აგლაძე ყოფილა. იმის შესახებ, თუ რა ფართო ჩასიათი მიუღია სემინარიაში მოსწავლეთა მიერ არალეგალური ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოცემას, საყურადღებო ცნობას გვაწვდის იბ. ვართაგავას „მოგონებების“ შემდეგი აღგილი: „ერთ დღეს, — მოგონა ილომ¹, — მე გამოვალე ყუთი და თერთმეტი ახალი ჟურნალ-გაზეთი ვნახე“².

დ. გამეზარდაშვილს ხომლეღის (რომანოზ ფანცხავას) რჩეული ნაწერების წინასიტყვაობაში აღნიშნული აქვს, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში ხომლეღს დაუარსებია წრე და რომ ეს „წრე უშვებდა ხელნაწერ ჟურნალსაც, რომელსაც რომანოზ ფანცხავა რედაქტორობდა“³.

თბილისის სასულიერო სემინარიაში შემდგომ სხვა ხელნაწერი ჟურნალებიც გამოდიოდა, კერძოდ, 1887 წელს ფ. მახარაძის უშუალო ხელმძღვანელობით — „ლაპარაკი“⁴. ანავე პერიოდში ასეთსავე საქმიანობას ეწეოდა ს. ჯუღელი (1874-1909). მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ერთ წერილში ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს (ლაპარაკია 1891 წელზე. — შ. გ.) სემინარიაში სასტიკი რეჟიმი იყო, მოწაფეებმა მაინც მოახერხეს და გამოსცეს ქართული ჟურნალი. სევერიანე ამ ჟურნალის სულისჩამდგმელი შეიქნა. მის გონიერ წერილებს არა ერთ და ორ მოწაფისათვის გაუხელია თვალები“⁵.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მასალები ლადო კეცხოველის ჟურნალისტურ საქმიანობაზე თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამის თაობაზე ზ. გეგეშიძე წერს: „1892 წელს ლემინარიის მოსწავლეთა წრემ ლ. კეცხოველის ხელმძღვანელობით გამოუშვა არალეგალური ჟურნალი „განთიადი“, რომელიც ამხილებდა სწავლა-აღზრდის იეზუიტურ რეჟიმს. ლ. კეცხოველი ფარულად ახერხებდა ჟურნალის გავრცელებას მოსწავლეთა შორის“⁶.

როგორი იყო „განთიადის“ გარეგნული სახე? ვანო კეცხოველი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ ეს ჟურნალი 6-8 გვერდისაგან შედგებოდა. დაწერილი ყოფილა ლადოს მიერ ლამაზი, მრგვა-

¹ ლაპარაკია ილია აგლაძეზე. — შ. გ.

² იბ. ვართაგავა. მოგონებები. ნაწილი პირველი. 1956, გვ. 121.

³ ხომლეღი. რჩეული ნაწერები. 1963, გვ. 94. რ. ფანცხავა 1883 წელს გარიცხეს სემინარიიდან. სავარაუდოა, რომ ჟურნალს იგი 1882-1883 წლებში უშვებდა.

⁴ იხ. ფ. მახარაძე. როგორ გავხდი მარქსისტი. ტურნ. „რევოლუციის მატთან“, 1923, № 1, გვ. 15; აგრეთვე ტურნ. „მომავალი“, 1922, გვ. 8.

⁵ ტურნ. „მათრახი და სალამური“, 1909, № 9.

⁶ ზ. გეგეშიძე. ლადო კეცხოველი. 1956, გვ. 9.

ლი ასობით. „განთიადი“ ვანოს იმიტომ უფრო დახსომებია, რომ ნაშინ იგი პატარა იყო და ძალიან უყვარდა ნახატები, ამ უურნალის უდა კი შთამბეჭდავად ყოფილა დასურათებული. ლადოს თურმე კარგად ეხერხებოდა ხატვა. „სურათი, — იგონებს ვანო კეცხოველი, — წარმოადგენდა მთის ხაზებს, მის კალთებზე იყო გამოსახული ტყე, უფრო დაბლა — ნახნავ-ნათესი, ველზე — ნახირი, მოშორებით — მომუშავე გლეხები. თვითონ წარწერა „განთიადი“ ჩართული იყო ამოსასვლელად მოწეულ მზის სხივებში“¹.

„განთიადის“ შინაარსზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ისილორე კოსტავა, რომელიც თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ ლადო კეცხოველი „ძლიერ სხარტად, მკაფიოდ წერდა ანტირელიგიურ თემებზე და... ადმინისტრაციის შესახებ. უურნალში წერდა შოვინიზმის კაციჭამია პოლიტიკაზე (ლადოს სიტყვებია), რომელსაც სემინარიის ბერები აწარმოებდნენ. უურნალში ლადო უყურადღებოდ არ ტოვებდა მოწაფეთა ყოფაცხოვრების საკითხებს. იგი სასტიკად ილაშქრებდა ზოგიერთ ჯამუშ მოწაფეთა წინააღმდეგ. ამხელდა ზოგიერთების უმსგავსო საქციელს“².

ი. კოსტავას თქმით, ლადო მაშინაც საუცხოო კონსპირატორი ყოფილა. „განთიადს“ ისე ოსტატურად ავრცელებდა წოსწავლეებში, რომ ვერავინ გაიგებდა, თუ ვინ იყო ამ საქმის ინიციატორი. იგი თურმე სანდო მოსწავლის ბალიშის ქვეშ ამოდებდა ხოლმე უურნალს წარწერთ: „გადაეცი შემდეგს“. უურნალის გავრცელების ყველა წერილმანს, რაც ლადოს მიერ იყო შემუშავებული, ზედმიწევნით იცავდნენ მასთან დაახლოებული ამხანაგებები.

ლადო კეცხოველის თანაკლასელები ზაქარია ფორაქიშვილი³ და ივანე პოლუმორდვინოვი⁴ თავიანთ გამოუქვეყნებელ მოგონებებში აღწერენ ამ უურნალთან დაკავშირებულ ერთ საინტერესო ეპიზოდს. ერთხელ გაკვეთილების დაწყების წინ ლადოს მორიგი ნომერი უბიდან ამოუღია და ერთ-ერთი მოსწავლისათვის გადაუცია წასაკითხად. კითხვის დროს კლასში შემოპარულა ინსპექტორის თანაშემწე ნიკანდრ პოკროვსკი⁵. როცა დაუნახავს, რომ შეგუფებული მოსწავლეები რაღაცას ქართულად კითხულობ-

¹ მლისფა, ფონდი 8, აღწ., 2, ნაწ. I, შენახვ. ერთ. 24, გვ. 138-139.

² მლისფა, ფონდი 8, აღწ. 2, ნაწ. I, შენახვ. ერთ. 26, გვ. 284-285.

³ მლისფა, ფონდი 8, აღწ. 2, ნაწ. I, შენახვ. ერთ. 40, გვ. 155-161.

⁴ იქვე, გვ. 101-102.

⁵ იე. პოლუმორდვინოვი შეცდომით სოკოლოვის გვარს ასახელებს და ეს პიროვნება რომ ნამდვილად პოკროვსკი იყო, ჩანს თვითონ მისივე ახსნა-განმარტებდან ამ აცოდენტთან დაკავშირებით (იხ. საქართველოს სსრ ცსია, ფონდი 440, საქმე 134ს, ფურტ. 81; შტრ. შ. გოზალიშვილი. ქართული რევოლუციურ-მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის. I, 1963, გვ. 230).

დნენ, მათ მივარდნია და ჟურნალის წართმევა მოუხდომებია. ლადონ თურმე დაასწრო პოკროვსკის — ჟურნალი ნაფლეთებად აქცია და ჯიბეში ჩაიყარა, პოკროვსკის ინსპექტორთან ლადონს წაყვანა ვერ მოუხერხებია, მაშინ იგი საჩივრელად გაქცეულა ლადონს სასწრაფოდ შოუთხოვია ა. ჯაჯანიძის წერილები (ეს ჯაჯანიძე სემინარარის ექიმს გაუთავისუფლებია სწავლისაგან, თავის სოფელში მკურნალობდა და სემინარიელებს ხშირად მოსდიოდათ მისგან წერილები). ჟურნალის ნაფლეთები ლადონს ამხანაგებისათვის გადაუცია ნოსასპობად, ხოლო ჯიბეში ჯაჯანიძის ნაკუწებად ქცეული წერილები ჩაუდვია და, როცა რექტორთან და ინსპექტორთან გამოუძახეს, ჯაჯანიძის წერილებს ეს ნაკუწები დაუწყვია მაგიდაზე — ამას ვკითხულობდით. მართალია, ინციდენტმა შედარებით უძტიუნეულად ჩაიარა, მაგრამ ლადო კეცხოველს ყოფაქცევაში ნაშანი მაინც დაუკლესო.

მიუხედავად ცნობების ასეთი სიმცირისა, მაინც ცხადი ხდება, რომ თბილისის სასულიერო სემინარარის მოსწავლეები, რომლებიც თანდათან ებმებოდნენ რევოლუციურ მოძრაობაში, ინტენსიურად იღვწოდნენ არაღეგალური ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამომგებისათვის და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი ეს საქმიანობა რევოლუციური მუშაობის თავისებური სკოლა იყო. ასე იწრთობოდნენ ისინი მომავალი კლასობრივი ბრძოლებისათვის.

2. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ხელნაწერი პრესა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქუთაისშიც შესდგომიან ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოცემას. ძირითადად ეს საქმე მოსწავლეთა თაოსნობით ხორციელდებოდა. ამ დროს, როგორც ცნობილია, ქუთაისში პერიოდული გამოცემები თითქმის არ არსებობდა¹ და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები ერთგვარად ავსებდნენ ამ ხარვეზს. მით უმეტეს, რომ, როგორც შემდგომ დავინახავთ, მათში აღძრული საკითხების წრე მეტად ფართო იყო, ე. ი. ამ ჟურნალ-გაზეთებს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ მათ გამომცემლები მოსწავლეები იყვნენ.

ქუთაისში გამოსული ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების შესახებ ზოგიერთ ცნობას ვხვდებით ცალკეულ წიგნებსა თუ საარქივო მასალებში და მათ გზადაგზა შევვებით. ცალკე უნდა აღვნიშნოთ

¹ ქუთაისში პირველი პერიოდული გამოცემა (გაზეთი „მრომა“), როგორც ცნობილია, გამოვიდა მხოლოდ 1881 წელს და საერთოდ ეს საქმე შემდგომაც ძალზე ნელი ტემპით ვითარდებოდა.

მკვლევარ პ. ვაჭრიძის დიდი წვლილი ქუთაისის მოსწავლეთა მრავალი ხელნაწერი ორგანოს აღმოჩენასა და გამოკვლევაში¹. ერთი წერილი ჩვენც მიუძღვნენით ქუთაისის მოსწავლეთა 80-იანი წლების ხელნაწერ გაზეთებს². აღსანიშნავია აგრეთვე მკვლევარ ა. თოფურიას ღვაწლი ქუთაისისა და სხვა ქალაქების მოსწავლეთა პრესის შესწავლის საქმეში³.

დავიწყეთ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა ერთ-ერთი პირველი ხელნაწერ ჟურნალ „მსაჯულით“, რომელიც ე. ბებურიშვილის რედაქტორობით 1865 წელს გამოდიოდა. ყველაზე ადრეული ცნობა მის შესახებ გვხვდება ჟურნალ „ცისკარში“ (1865, № 5), რომელშიც გამოქვეყნდა მიხ. ბეთანოვის⁴ წერილი სათაურით „წიგნი მიწერილი „მსაჯულის“ რედაქციაში“. მასში საინტერესო ცნობებია მოცემული ამ ხელნაწერა ჟურნალის გამოცემის თაობაზე:

„— ყმაწვილო, ეს რა მხიარულება არის ამ სახლში.

— ეს ახალი ხელნაწერი ჟურნალი გამოსცეს ჩვენმა ამხანაგებმა და იმაზე შესდგომიათ მხიარულება.

როცა მიუუახლოვდი სასწავლებელ სახლს, მე ვხედავ პირდაპირ გადმოკიდებულ ნიშანს ტილოზედ დაწერილს: „მსაჯული“. ეს მაკვირვებს; მგონია ვინმე ახალი მსაჯული მოაუღლა სასწავლებელში-თქო. აგერ სასწავლებლის ფანჯრიდან ვილაც შუა ტანადი მოწაფე გამოდის. — ეს ვინ მსაჯული მოგსვლიათ ყმაწვილო? პასუხის მაგიერ მიჩვენებს პენციონს (ალბათ, პანსიონს. — შ. გ.). შევალ პენციონში, ვნახო რა არის?!

ვხედავ ერთს დიდ გაშლილ სტოლზე ჰყრია რამოდენიმე ეჭმუშპლარი, გარე მოპხვევიან მოწათფეები: ზოგი ასწორებს და ზოგნი ერთმანეთს შევლიან. ეს სცენა სასიამოვნოდ წარმომიდგა; მაგრამ

¹ პ. ვაჭრიძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა (კრებულში: „ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები“. თბ., 1968, გვ. 66-81); მისივე. ქუთაისელ გიმნაზიელთა ხელნაწერი ჟურნალი ოქსფორდში (ამავე სახელწოდების კრებულის მორიგ ტომში. თბ., 1971. გვ. 108-116); მისივე. ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი „სკლამური“. გაზ. „სტალინელი“ (ქუთაისი), 1959 წლის 5 აპრილი.

² შ. გაგოშიძე. ხელნაწერი გაზეთების ისტორიიდან. ჟურნ. „მნათობი“. 1968, № 2.

³ ა. თოფურია. ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების ისტორია. 1969, გვ. 223-228.

⁴ მიხეილ სტეფანეს ძე ბეთანიშვილი (1849-1907). შტრ. აგრეთვე პ. გუგუშვილი. ქართული ჟურნალისტიკა. 1941, გვ. 177-178. ამ ავტორის თქმით, „მსაჯული“ 1864 წლიდან გამოდიოდა, რაც არაზუსტია.

როგორც კარგ დარს ავდარი მოპყვება, ისე თურნე სიამოვნებას უსიამოვნება მოსდევს. ალბათ ღმერთს ასე უნებებია, ავი და კარგი განუშორებელნი ყოფილან. ეს თვით საქმიდან აღმოჩნდა ჩემს თვალწინ. ერთ კუთხეში შეყრილან რამდენიმე მოწაფენი და დას-
ციინიან ახალ გამოცემულ ჟურნალებს, მაშინ როცა მათი ამხანაგები ოფლში იწურებოდენ შრომით. და როდესაც, გაკვირვებული ამ სახის ნოქცევით მოწაფეთა, ვკითხე ერთ ყმაწვილს, ვინ არიან ის ყმაწვილები, რომელნიც მათ უშლიან და დასციინიან კიდევცა. — იმან მითხრა: მაღალის წოდებისა გახლავან, ცოტა შრომის მაზიზ-
ღარნი...

გულშევიწროებული ამნაირის ყმაწვილების ქცევითა, შინ მივ-
დივარ გაქვავებული, მაგრამ მინდა რამოდენიმე სიტყვა მივწერო
ან ახალ ჟურნალის რედაქტორს.

უფ. რედაქტორო! ვიცი მომიტევებთ, რადგან შენდობას პირ-
ველად მოვითხოვ ამაზედ, რომ მე თქვენ ახალ გამოცემულ თე-
ბერკლს ჟურნალს დავარქვი „საუბედურო მახარობელი“. რასაკ-
ვირველია, მიზეზს იკითხავ, რისთვისაო, რის საუბედურო მახარობე-
ლიო; სასინარულო მახარობელი უნდა დაგერქვაო, რომ ჭერ ქუ-
თაისში ჟურნალი არ გამოცემულა, ნამეტნავად საქართველოშიო,
ჩემთვის ძრიელ სანწუხაროა, ცუდი მახარობელი ვარ, მაგრამ ზო-
გიერთის ყმაწვილების გულგრილობამ შემაგონა აკი მხვედრი თქვე-
ნის ჟურნალისა.

ჩემთვის ეს დიდათ საძწუხაროა, რომ გამოჩნდნენ მრავალნი
ყმაწვილნი, რომელთაც აქვსთ განზრახვა დაარღვიონ რაიმე მხრით
ეს თქვენი კეთილი განზრახულება, რომელიც არის თქვენი ერისა-
თვის სასარგებლო¹.

ამ წერილში, გარდა ჟურნალის გამოცემის საკითხებისა, ზო-
გიერთი სხვა საყურადღებო საკითხიც არის დასმული. როგორც სა-
მართლიანად შენიშნავს ი. მაისურაძე², წერილი ცენზურის თვა-
ლის ასახვევად მიმართულია მოსწავლეთა მშობლებისადმი, რომ-
ლებიც უკმაყოფილონი არიან შეილების მიერ დედაენის დავიწყე-
ბით, სწავლაზე გულაცრუებითა და უყურადღებობით. მიუხედავად
იმისა, რომ ცენზურას საკმაოდ „წაუჩუშავებია“ აღნიშნული წე-
რილის „გასაწმენდად“, მასში ბევრგან გვხვდება გაბედული აზრები,
კერძოდ, სასწავლებლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღე-
ბის აუცილებლობის შესახებ და სხვ.

როგორც ირკვევა, „მსაჯულის“ გამოცემა გიმნაზიის ხელმძღ-
ვანელობას აუკრძალავს და მის მაგიერ მოსწავლეები შესდგომიან

¹ „ცისკარი“, 1865, № 3, გვ. 165.

² ი. მაისურაძე. მიხეილ ბეთანიშვილი. ჟურნ. „მნათობი“, 1970, № 7.

ახალი ჟურნალის—„თაიგულის“ გამოშვებას (მიხეილ ბეთანიშვილის რედაქტორობით), მაგრამ მასაც თავისი წინამორბედის ბედი სწვევია — ერთი წლის შემდეგ გიმნაზიის შესვეურთ მოსწავლეები იძულებული გაუხდიათ მისი გამოცემა შეწყვიტათ. ამის თაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ს. ჭოლოშვილი (ფსევდონიმით „ბედ-კრული“) და ლ. თუმანიშვილი (ფსევდონიმით „პავლიაშვილი“) სტატიაში „ჟურნალობია გიმნაზიაში და ჩისი წარსული და აწმყო მდგომარეობა“, რომელიც მოთავსებულია ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ „კრებულში“¹. ავტორები აღნიშნავენ: „ღიღი ხანი არ გასულა, რაც მსაჯულის გამოცემა შეჩერდა და მოწაფეებს ხელახლა უცდიათ ჟურნალის გამოცემა. მათ ცდას ნაყოფიც ჰქონია. მათ ბ. მიხ. ბეთანოვის რედაქტორობით დაიწყეს მეორე ჟურნალის განცემა სახელწოდებით „თაიგული“. მაგრამ ერთი წლის არსებობის შემდეგ „თაიგულსაც“ ის ბედი ხვდა, რაც „მსაჯულს“. გიმნაზიის მთავრობა ხელახლა ჩაერია საქმეში და ამას ის შედეგა მოჰყვა, რომ „თაიგულის“ რედაქტორი ბ. მიხ. ბეთანოვი გიმნაზიიდან სამუდამოდ დაითხოვეს². „თაიგულის“ ერთი წლის არსებობაში სულ გამოსულა 8-12 ნომრამდე³. ჩვენ სანაწესბაროდ, არც ერთა ნომერი არ მოგვეპოვება და ამიტომ არც შეგვიძლია მტკიცე მსჯელობა ვიქონიოთ მის მიმართულებაზე და შინაარსზე, მაგრამ შეგვიძლია კი ვიფიქროთ, რომ იგივე „მსაჯული“ იყო, მხოლოდ „თაიგულის“ სახელით, რადგანაც „თაიგულის“ გამოცემა თან მოჰყვა „მსაჯულის“ გამოცემის შეწყვეტას. ამასთან, „თაიგულის“ თანამშრომლები ისევ ისინი იყვნენ, ვინც „მსაჯულში“ თანამშრომლობდა“.

ს. ჭოლოშვილი და ლ. თუმანიშვილი ამავე წერილში საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამენ „მსაჯულის“ დახურვის თაობაზე: „ამ ჟურნალის არსებობას ღიღი ხანი არ ჰქონია — სულ ერთი წელიწადი. ამ მოკლე დროში მოუსწრიათ თორმეტი ნომრის გამოცემა. მიზეზი ჟურნალის გამოცემის შეწყვეტისა ის ყოფილა,

¹ „კრებული მოწაფეების შრომებისა“. 1900, რვეული მესამე, გვ. 173-217 (დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, № 15); შდრ. აგრეთვე პ. ვაკრაძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა (ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები. თბ., 1968, გვ. 57).

² ავტორების ეს ცნობა ექვს იწვევს. როგორც ი. მაისურაძე ზემოხსენებულ წერილში აღნიშნავს, მიხეილ ბეთანიშვილს გიმნაზია დაუმთავრებია და პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში გაუგრძელებია სწავლა. ბუნებრივია, რომ გიმნაზიიდან გამორიცხულს უმაღლეს სასწავლებელში არ მიიღებდნენ.

³ ჟურნალის „ტირაჟი“, ავტორების ცნობით, 8-10 ეგზემპლარს ყოფილა.

რომ მთავრობის ყურამდე მისულა ეს საქმე, რის შემდეგ ქურნალის თანამშრომლები იძულებული შექმნილან შეეჩერებინათ“ მისი გამოშვებაო.

შემდეგ ავტორები აღნიშნავენ, თუ რამ განაპირობა მთავრობის რეპრესიები. პირველ ყოვლისა იმან, რომ ქურნალს პანსიონატში მცხოვრები მოსწავლეები სცემდნენ, თვით რედაქტორი ბეზურიშვილი და „უმთავრესი თანამშრომლებიც“ „პანსიონერები“ იყვნენ და გიმნაზიის ხელმძღვანელობას გაუადვილდა მათთვის ანგარიშის გასწორება, რადგან, როდესაც „ერთ მშვენიერ დღეს გიმნაზიის მთავრობამ უეცრად გაჩხრიკა ნთელი პანსიონი, მას ხელში ჰვდა ქურნალის რამდენიმე ეგზემპლარი“, ე. ი. „კრამოლური“ საბუთებიო.

გარდა ამისა, რეპრესიები განაპირობა აგრეთვე იმან, რომ არალეგალური ხელნაწერი ქურნალის თანამშრომლები არ იცავდნენ კონსპირაციას, არ იჩენდნენ სიფრთხილეს. უფრო მეტიცო, აღნიშნავენ ავტორები, „მათი გაუფრთხილებლობა იქამდის მიდიოდა, რომ მოწაფეთა ხელნაწერი ქურნალის თაობაზედ წერილებს საზოგადო (ე. ი. ბეკდურ — შ. გ.) ქურნალებში გზავნიდნენ დასაბეჭდად“. ანასთან დაკავშირებით ავტორებს არასწორად მიაჩნიათ მ. ბეთანიშვილის ნაბიჯი, რომელმაც „ციცკარში“ ზემოაღნიშნული წერილი მოათავსა, რითაც მოსწავლეთა საიდუმლო გაამჟღავნა და არც არის გასაკვირველიო, წერენ ავტორები, რომ „გიმნაზიის მთავრობამ“ გაიგო ეს ამბავი და რადიკალური ზომებიც მიიღო.

ხოლო ყველაზე საინტერესო ის არის, რომ, როგორც ირკვევა „კრებულის“ ზემოაღნიშნულ ავტორებს ხელთა ჰქონიათ ქურნალ „მსაჯულის“ მეოთხე ნომერი და დაპირებას იძლევიან, რომ „ქვევით კიდევ ვეცდებით გავაცნოთ მკითხველებს მისი მიმართულება“. მართლაც, შემდეგ მათ აღწერილი აქვთ ქურნალის ეს ნომერი: მას თურმე საკლასო რეჟულის ფორმატი ჰქონია და 18 გვერდისაგან შედგებოდა. მასში მოთავსებული ყოფილა ოთხი ლექსი, ოთხი წერილი და ერთი ლექსად გაწყობილი კომედია. ქურნალს ასეთი ეპიგრაფი ჰქონია წამძღვარებული: „მცირესა ზედა კმაყოფილ იქენ, რათა უმაღლესზედ დაგადგინოს უფალმან შენმან“. ეს დაახლოებით ამას უნდა ნიშნავდეს — ხელნაწერ ქურნალში თანამშრომლობა პირველი ნაბიჯია ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთვისო, ე. ი. ჯერ ამ მცირე საქმიანობას დავეჭერდეთ პატარა ქურნალში და შემდეგ უფრო დიდი საქმეები ვაკეთოთო.

ს. ჭოლოშვილისა და ლ. თუმანიშვილის აზრით, „მსაჯულა“ „ციცკარის“ იწინააღმდეგე გავლენას განიცდიდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ „მის მკრთალ ლანდს წარმოადგენდა“. ვერ დავეთანხმე-

ბით პ. ვაჭრიძეს, რომელსაც ეპკვი შეაქვეს ავტორების ამ მტკიცე-
ბაში. პ. ვაჭრიძის აზრით, თუ „კრებულში“ მოთავსებული სტატი-
ების ავტორების მიერ „მსაჯულიდან“ მოტანილ ციტატებს დავეყ-
რდნობით, „შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ილიასეული
„საქართველოს მოამბის“ (1863 წ.) ეროვნულ-განმათავისუფლებე-
ლი იდეები უფრო მახლობელი იყო ქუთაისის გიმნაზიელთა ხელნა-
წერი ორგანოსათვის, ვიდრე „ცისკრის“ პროგრამა“¹. საქმე ისაა,
რომ 1865 წელს, როდესაც „მსაჯული“ გამოდიოდა, „საქართველოს
მოამბე“ უკვე დახურული იყო: იგი ამ დროისათვის ბიბლიოგრაფი-
ულ იშვიათობას წარმოადგენდა. ამდენად, საეჭვოა, რომ „მსაჯუ-
ლის“ თანამშრომლები წინ ყველა ნომერს გასცნობოდნენ. „ცის-
კარი“ კი ამ დროსაც გამოდიოდა და დაახლოებით საკითხების იმა-
ვე წრეს განიხილავდა, რასაც „მსაჯული“. განსაკუთრებით ეს ით-
ქმის „ცისკრის“ „სალაყბო ფურცლების“ მიმართ. ეს რომ ასეა, ამას
ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ აღნიშნული ხელნაწერი ჟურნალის
ერთ-ერთი ავტორი „ცისკრის“ მიბაძვით „მოლაყბის“ ფსევდონი-
მით წერდა.

„მსაჯულის“ მეოთხე ნომრის ყოველი წერილი, ყოველი ლექსი
გამსჭვალული ყოფილა მგზნებარე პატრიოტული სულისკვეთებით,
მოსწავლეები თავგამოდებით იცავდნენ ქართულ ენას და თავიანთ
ამხანაგებს უკიჟინებდნენ მშობლიური ენისა და ისტორიის დავიწ-
ყებას. ამ მხრივ ჟურნალის თანამშრომლები უფრო შორსაც მიდი-
ოდნენ. ერთი მათგანი, მაგალითად, მოითხოვდა უპირატესობა მი-
ეცათ ქართული ტანისანოსისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში.
„ვინ აიძულებს ზოგიერთ უნივერსიტეტდამთავრებულებს, —
წერდა იგი, — მიჰბაძონ ევროპელ განათლებულ კაცთა, რაიცვან
ფრაკი და მაღალი კოთხო დაიხურონ. განა ჩვენი ტანისამოსი სათა-
კილოა? სადაური ევროპიელია ჩვენი მიწის შვილი? ან ვინ დაძრა-
ხავს მას ჩოხა ჩაიცვას“².

როგორ წარიმართა ქუთაისის გიმნაზიაში ხელნაწერი ჟურნალ-
გაზეთების გამოცემის საქმე „მსაჯულისა“ და „თაიგულის“ გამოს-
ვლის შეწყვეტის შემდეგ? ს. ჭოდოშვილისა და ლ. თუმანიშვილის
თქმით, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე თითქოს ამ მხრივ არა-
ფერი გაკეთებულა: „რა მოხდა „თაიგულის“ შეჩერების შემდეგ
1890 წლამდე, კიდევ გამოიცა რომელიმე ჟურნალი, თუ აზრადაც
არ მოსვლიათ გიმნაზიელებს ჟურნალის გამოცემა, იყო თუ არა

1 პ. ვაჭრიძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართვე-
ლოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა (ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სა-
ხელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები. თბ., 1968, გვ. 59).

² „კრებული“. ზვეული მესამე, გვ. 92.

გიმნაზიაში რაიმე მოძრაობა, ეს ჩვენთვის ბურუსით არის მოცული და ამ მიზეზით ჩვენ იძულებული ვხდებით ეს დრო სრულებით გამოვტოვოთ“¹. ცოტათი ზევით კი ისინი შენიშნავენ, რომ 80-იან წლებში თითქოს „ეურნალობია და საზოგადოდ ყოველი მოძრაობა შეჩერებულია... სიცოცხლის ნიშან-წყალი გიმნაზიაში ცხოვრებას ეტყობა განმეორებით ოთხმოცდამეათე წლის დამდეგიდან და ამ დროიდანვე იწყება ეურნალობია გიმნაზიაში“.

ქუთაისის მოსწავლეთა ხელნაწერი პრესის ამ პირველი ისტორიკოსების ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, მცდარია. პირიქით, 80-იანი წლები მეტად ინტენსიური პერიოდია ქუთაისის მოსწავლეთა საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, მათ გათვითცნობიერებაში და სწორედ ამ წლებში იყო მაღალ დონეზე დაყენებული ხელნაწერი ეურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეც. გაკვირვებას იწვევს მხოლოდ ის, რომ ს. კოდოშვილი და ლ. თუმანიშვილი 60-იანი წლების მოსწავლეთა ხელნაწერ ეურნალ-გაზეთებზე საკმაოდ თავისუფლად მსჯელობენ, მათ საამისო მასალებიც კი მოვპოვებთ, ხოლო სრულიად არაფერი იციან თავიანთი უშუალო წინამორბედების — 80-იანი წლების მოსწავლეთა საქმიანობაზე.

გასული საუკუნის 70-80-იანი წლები რომ ქუთაისის მოსწავლეთა ახალგაზრდობის ცხოვრებაში დიდი გარდატეხის, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მათი აქტიური მონაწილეობის წლები იყო, ამაზე თვალნათლივ მეტყველებს ცნობილი ეურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ლასხიშვილის (1865-1951) მოგონებები, რომლებიც ამ პერიოდს ეხება. გ. ლასხიშვილი წერს: „იმ დროს, როცა უფროსი კლასის მოსწავლეთა ვიყავი, ქუთაისის ინტელიგენციის ცხოვრებაში ახალმა სიომ დაჰბერა, ქართველ ქალთა ეურნალ „კრებულის“ შემდეგ ქუთაისში პირველად გაჩნდა გაზეთი „შრომა“, ტფილისის მულმივემა დრამატულმა დასმა პირველად გააჩაღა სისტემატური გასტროლები ქუთაისში. დ. ერისთავის „სამშობლო“ თავბრუს გვახვევდა. აქა-იქ გაჩნდა წრეები ქართული ისტორიისა და ლიტერატურის შესასწავლად. ეს სიო ჩვენც მოგვხვდა გიმნაზიაში და აგვადელვდა. დავიწყეთ ხელნაწერი ეურნალების გამოცემა, ქართული გაზეთებისა და წიგნების კითხვა. პატრიოტული ლექსები აკაკისა, ილიასი, რ. ერისთავისა და სხვათა ზეპირად ვიცოდით...“².

ამასვე ადასტურებს დავით მესხი (1860-1942) თავის მოგონებებში. იგი აღწერს იმ აუტანელ პირობებს, რაც ქუთაისის გიმნაზიაში იყო შექმნილი მოსწავლეთათვის, და დასძენს: „...ასეთი

¹ „კრებული“. რვეული მესამე, გვ. 79.

² გ. ლასხიშვილი. მემუარები. 1934, გვ. 5.

მკაცრი რეჟიმი ვერც ჩვენს ქართველობას უშლიდა ხელს. პატრიოტულ გრძნობას აფერხებდნენ, სდევნიდნენ კიდევ, აბუჩათაც იღებდნენ, მაგრამ ეს გრძნობა მით უფრო ღვივდებოდა ქართველ მოწაფეებში. ჩემს დროს გიმნაზიაში ორი (?) ხელნაწერი ქართული გაზეთი გამოდიოდა: უფროსი კლასების მოწაფენი: ნიკო მარი, სილ. ხუნდაძე, პეტრე მირიანაშვილი, მიხ. მღვდლიშვილი და სხვ. ცალკე სცემდნენ გაზეთს¹. ჩვენც უმცროს კლასიანებს ჩვენი ორგანო გვქონდა. ნ. მარი იმ დროს პოეტობდა. ამ ორ გაზეთს შორის კალმით კინკლაობაც ხშირი იყო. მახსოვს ერთხელ პ. მირიანაშვილმა რაღაც დასწერა და წერილში, სხვათა შორის, ასეთი ფრაზა ერია: „ფიქრნი მათი ჩაინთქებოდნენ საკუთარსა ლტოლვილებსა შინა“. ერთმა ჩვენმა ამხანაგმა ეს რომ ამოიკითხა, წამოიძახა: „უპ, უპ, ძან არა სწერს, ბიჭო, ე პეტრე!“ პეტრეს ღრმად წერა უყვარდა. ჩვენს ორგანოში იმის ღრმა ქართველობას კბილი გავკარი და... ატყდა პოლემიკა“².

ის უზუსტობანი, რაც დ. მესხის მოგონებებში გვხვდება, ჩვენი აზრით, იმითაა გამოწვეული, რომ ეს წიგნი მან 70 წლის ასაკში დაწერა და, ალბათ, ზოგიერთი რამ მტკიცედ აღარ ახსოვდა.

ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა შორის ამ დროს რომ ინტენსიური საგამომცემლო საქმიანობა იყო გაჩაღებული, ამის შესახებ გაზეთი „დროებაც“ კი წერდა:

„ჩვენ ვნახეთ ამ დღეებში ქუთაისის საეკლესიო გიმნაზიის უფროს კლასების შეგირდებისაგან გამოცემული „ისტორიისა და ლიტერატურის საკლასო ჟურნალის“ № 1. ეს ჟურნალი გამოდის ნაცვლად იმ კვირეულ გაზეთებისა („ციცინათელასი“, „იასი“ და „სამშობლოსი“), რომელნიც შარშან³ გამოიცემოდა ამავე გიმნაზიის შეგირდებისაგან“.

შემდეგ „დროებაში“ მოყვანილია ციტატა ზენოანისშვილი ხელნაწერი ჟურნალის მოწინავე სტატიიდან: „ჟურნალის სახელმძღვანელო სტატიის სიტყვით «მნიშვნელობა ამ ჟურნალისა ისეთივე დარჩება, როგორც ჰქონდათ ხსენებულ გაზეთებს, ვ. ი. დედა-ენის აღდგენა და კითხვის სიყვარულის გავრცელება, მხოლოდ რომლითავე განსხვავებით: ეს ჟურნალი არ იქნება მარტო ენის სიყ-

¹ სინამდვილეში თითოეული მათგანი აგრეთვე ცალ-ცალკე თავის ჟურნალს ან გაზეთს სცემდა.

² დ. მესხი. მოგონებანი. 1940. გვ. 67-68; შდრ. გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 12865, გვ. 6.

³ აქ უზუსტობაა. აღნიშნული გაზეთები იმავე 1880 წლის დასაწყისში გამოდიოდა.

ვარულის აღმძვრელ იარაღად, გარდა ამისა, მას საზრდოს მიცემაც ქე შეეძლება ჰკუისათვის, ვინაიდან გარდა ორიგინალურის სტატიებისა იქნებიან ჟურნალში აგრეთვე თარგმნილნიც ყოველგვარი ხაწერი, პროზაც და პოეზიაც»¹.

„დროება“ დაასკვნის, რომ „დიდად ზოსაწონია ქუთაისელ გიმნაზიელებისაგან ეს ჩინებული განზრახვა და ჩვენის მხრით სულითა და გულით ვისურვებთ, რომ კიდევ აესრულებინოთ იგი“.

ამას მოსდევს იმის აღნიშვნა, თუ რა და რა ქანრის რამდენ-რამდენი ნაწარმოებია ამ ხელნაწერ ჟურნალში მოთავსებული: „ერთი სუსტი ლექსის გარდა წიგნში არის ორი ზეპირ გადმოცემა ნ. მარისა, განაგონის განხილვა, მისივე, ძველნი გამოცანები ნ. ელიავასაგან შეკრებილთაგანი, ორი შენიშვნა ნ. მარისა, ჟურნალი და ჩვენი ვითარება (სახელმძღვანელო სტატია პ. მირიანაშვილისა) და ქალ-ვაჟიანი, IV მოქმედებიანი (?) კომედია (I და II მოქმედება). ლექსისა და სუსტად გადმოკეთებულს კომედიის გარდა დანარჩენი სტატიები მოსაწონია როგორთაც შინაარსით, აგრეთვე მიმართულებითა და ენით. ...სასურველია მხოლოდ, რომ ამ ჟურნალმა არ მოაცდინოს მისი გამოცემლები მათს პირდაპირ ვალდებულებას. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ისინი არიან უფროს კლასების მოწაფენი და იმდენად გონებაგახსნილნი, რომ თვითონვე შეუდგნენ საყვარლის დედა-ენის შესწავლას, ვიმედოვნებთ, იმდენი ჰკუიაც ექნებათ, რომ ამ ჩვენს შიშს არ გაამართლებენ და ღირსეულად გავლენ იმ გზას, რომელზედაც დღეს ადგანან“.

დასასრულ, „დროებას“ მოჰყავს ჟურნალში მოთავსებული სარედაქციო განცხადების ტექსტი: „მეორე № იქნება რუსულ-ქართული სტატიებით აფერადებული, რადგანაც ბ. დირექტორი გვიჩვენეს“, და იქვე დასძენს: „ვიციოთ რას ნიშნავს ეს რჩევა...“¹.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ, როგორც ჩანს, ჭუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში 1880 წლის მეორე ნახევარში გამოდიოდა „ისტორიისა და ლიტერატურის საკლასო ჟურნალი“, რომელშიც ძირითადად წამყვანი ჟურნალისტი მოსწავლეები, სხვა ხელნაწერი ორგანოების რედაქტორები მონაწილეობდნენ. ამ ჟურნალის შესახებ ცნობები მხოლოდ „დროებას“ შემოუწინაგვს, სხვაგან არ გვხვდება. აღსანიშნავია ისიც, რომ „დროებამ“ ნიწუშის სახით გამოაქვეყნა ამ ხელნაწერ ჟურნალში მოთავსებული ნ. მარის რამდენიმე წერილი, რაზეც დაწვრილებით ვილაპარაკებთ ქვემოთ,

¹ „დროება“, 1880, № 246 (21 ნოემბერი). კორესპონდენცია ხელმოუწერელია და მოთავსებულია „ნარევში“.

ქუთაისის გიმნაზიაში ნ. მარის ჟურნალისტური მოღვაწეობის განხილვისას.

დადგენილად ითვლება, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში გამოდიოდა მოსწავლეთა შემდეგი ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები: ნ. ნარის რედაქტორობით — „ბედი“, გ. ლასხიშვილისა — „სტკირი“, ს. ხუნდაძისა — „სამშობლო“, პ. მირიანაშვილისა — „ია“, ი. ლორთქიფანიძისა — „დროშა“, ა. აბაშიძისა — „კუკური“ და აგრეთვე აღმანახი „სალამური“.

თითოეულ მათგანზე ქვემოთ ცალ-ცალკე გვექნება საუბარი, მაგრამ, როგორც ვხედავთ, უბრალო ჩამოთვლაც კი თვალნათლივ გვიჩვენებს გიმნაზიელთა აქტიურ საქმიანობას არალეგალური ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოცემაში.

ახლა კი უნდა შევეხეთ პროკოფი ჩხენკელის მიერ ხელნაწერი ყოველკვირეული ჟურნალის „განთიადის“ გამოცემას. საქმე ისაა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ხელნაწერი ორგანოების ნომრების გარკვეულმა რაოდენობამ ჩვენამდე მოაღწია და, როგორც ვთქვით, მათ შემდგომ ცალ-ცალკე განვიხილავთ, მაშინ როდესაც „განთიადის“ შესახებ ცნობები მხოლოდ საარქივო მასალებში გვხვდება, ხოლო თვითონ ჟურნალი არ შემონახულა.

1888 წლის 8 ივლისს ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოში აღიძრა საქმე ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლის ვარლან ლოლუას მიმართ იმის გამო, რომ იგი თითქოს საიდუმლო მიწერ-მოწერას აწარმოებდა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში მცხოვრებ სტუდენტებთან და რომ მას წარმოუთქვანს შეურაცხმყოფელი სიტყვები მეფის მიმართ, რომლის ჩამოსვლა კავკასიაში განზრახული იყო ახლო მომავალში. ჟანდარმერიის გამოძიებით ვ. ლოლუასათვის წაყენებული ეს ბრალდება არ დადასტურებულა, მაგრამ ჟანდარმებს მისი ბინის გაჩხრეკისას აღმოუჩინიათ „კრანოლური“ მასალები, მათ შორის მოწაფის რვეული ლექსით, რომელიც იწყებოდა სიტყვებით „მამულიშვილნო“ და შეიცავდა მოწოდებას ადგილობრივი ქართველი მოსახლეობისადმი — იარაღით ხელში მოვიპოვოთ დამოუკიდებლობაო. მეორე რვეულში ყოფილა დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც დ. ყიფიანის მკვლელობა ქ. სტავრაპოლში ბრალდებოდა მეფის რუსეთის მმართველობას. ლექსი პირდაპირ და აშკარად მოუწოდებდა შურისძიებისაკენ. მასში გამოთქმული ყოფილა ის აზრი, რომ დროა ქართველმა ხალხმა უკუაგდოს მარტო სიტყვები და შეუდგეს საქმეს, რათა იარაღით დაამხოს თვითმპყრობელობის ბატონობა და მოიპოვოს თავისუფლებაო. ჟანდარმებს აქვე უნახავთ აგრეთვე ფოტოსურათი, რომელზეც გამონახატული იყო დ. ყიფიანი სასიკვდილო სარეცელზე,

და წერილი სათაურით: „რამდენიმე სიტყვა სტუდენტთა დემონსტრაციის შესახებ“. ამ უკანასკნელში თურმე გამართლებული ყოფილა სტუდენტი გ. ლასხიშვილი (იგი ადრე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა), რომელიც სხვებთან ერთად გარიცხეს ოდესის უნივერსიტეტიდან და გადაასახლეს სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობის მიღების გამო¹.

ამის შემდეგ უანდარმერიას საქმე სასამართლოსათვის გადაუცია. თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის წარდგინებაში იუსტიციის სამინისტროსადმი (1888 წლის 10 სექტემბერი, № 580) ნათქვამია შემდეგი:

«Дальнейшим расследованием обнаружено, что в 6 классе Кутаисской гимназии с февраля месяца 1888 г. издавался рукописный журнал под названием «Рассвет» («Гантиади»), выходявший ежедневно в одном экземпляре и переходивший из рук в руки между экстернами 6 класса. Журнал этот носил №№ с 10 по 17, служа как бы продолжением прежде издававшегося, но прекратившегося издания². Редактором журнала «Гантиади» был гимназист Прокопий Чхенкели, а Варлаам Лолуа переписывал, по поручению Чхенкели, статьи разных лиц, составленные для журнала и подписанные псевдонимами.

Поименованные выше два стихотворения³ и статья о студенческих беспорядках⁴ помещены были в журналс «Гантиади».

Ввиду этих данных Прокопий Чхенкели и Варлаам Лолуа привлечены к дознанию в качестве обвиняемых в преступлении, предусмотренном 251 ст. Улож. о нак.

Обвиняемый Варлаам Лолуа признал, что он переписывал бесплатно по просьбе Чхенкели №№ с 15 по 17 журнала «Гантиади» и они отобраны у него при обыске. Статьи на смерть Кипиანი⁵ и о студенческих беспорядках были в «Ган-

¹ იხ. საქართველოს სსრ ცსია, ფონდი 107, სერია 3, საქმე № 2368; 'მდრ. ტრ. ხუნდაძე. ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, 1940, გვ. 152-154.

² „განთიადი“ რომ ადრეც, კერძოდ, 1887 წელს გამოდიოდა, ეს დასტურდება ი. ფანცხავას მასალებითაც (ამაზე დაწერილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ).

³ საუბარია ლექსზე „მამულიშვილნო“ და დ. ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსზე.

⁴ იგულისხმება სტატია „რამდენიმე სიტყვა სტუდენტთა დემონსტრაციის შესახებ“. პროკურორი განსაკუთრებით აღუშფოთებია სიტყვებს:

«В нашем тленном государстве попирается справедливость и что люди, преданные истинным принципам, должны жертвовать собой, чтобы доставить торжество справедливости».

⁵ თუ ლექსი დ. ყიფიანზე?

თიადი», но стихотворение «К сынам отечества»¹ не было помещено.

Обвиняемый Прокопий Чхенкели признал, что он редактировал журнал «Гантиади» начиная с № 13 и что он писал письмо от 31 марта, относящееся до студенческих беспорядков»².

შემდეგ პროკურორი დაწერილებით გადმოსცემს პ. ჩხენკელის დაკითხვის მსვლელობას. ბრალდებულს უთქვამს, რომ მას თითქოს არ ახსოვს, რომ რედაქტირება გაუწია ნასალებს დ. ყიფიანის მკვლელობაზე და ლექსს „მამულიშვილნო“, თუმცაო, შენიშნავს პროკურორი, ამაჲ ვ. ლოლუას ჩვენება ადასტურებსო. ორივე ბრალდებული ერთხანს დაპატიმრებული ჰყოლიათ (ვარლამ ლოლუა — 10 ივლისიდან 17 აგვისტომდე, ხოლო პროკოფი ჩხენკელი — 20 ივლისიდან 16 აგვისტომდე); ლოლუა განთავისუფლების შემდეგ ზუგდიდის სამაზრო პოლიციის ზედამხედველობაში გადაუციათ, ჩხენკელი კი მამამიას — ბესარიონისა და თავად პავლე ქუთათელაძის თავდებით გამოუშვიათ³.

დასასრულ, პროკურორი წერს, რომ მას მხედველობაში მიუღია ბრალდებულთა მცირეწლოვანება (ლოლუა 16 წლისა ყოფილა, ჩხენკელი — 19-ისა), აგრეთვე ის ფაქტი, რომ ჟურნალი „განთიადი“ ერთ ეგზემპლარად გამოდიოდა და მას ცოტა მკითხველი ჰყავდა, აღარ აღუძრავს მათ წინააღმდეგ სასამართლო საქმე და მოუთხოვია მათი გადასახლება ადმინისტრაციული წესით (სამი წლის ვადით) რუსეთის შიდა გუბერნიებში.

ამრიგად, როგორც აღნიშნული საგამომძიებლო ნასალებიდან ჩანს, ხელნაწერ ჟურნალ „განთიადის“ ავტორები თავიანთ ნაწერებში ეხებოდნენ იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს: საქართველოს ურთიერთობას რუსეთთან, მეფის მთავრობის დაქირავებული აგენტების მიერ დიმიტრი ყიფიანის მკვლელობას, ატლუნტთა მღელვარებას, მოითხოვდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას არა სიტყვით, არამედ საქმით და ა. შ.

როგორც ზემოთ ითქვა, „განთიადის“ პროკოფი ჩხენკელისეული ნომრების შესახებ, საწწუხაროდ, მხოლოდ ჟანდარმერიისა და პროკურატურის ჩანაწერების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. რაც

¹ ლექსი „მამულიშვილნო“.

² საქართველოს სსრ ცსია, ფონდი 422, საქმე 3268, გვ. 37-38. მაშასადამე, გამოდის, რომ „განთიადის“ პირველი თორმეტი ნომრის რედაქტორი სხვა პირი ყოფილა..

³ საქართველოს სსრ ცსია, ფონდი 422, საქმე 3268, გვ. 39.

შეეხება „განთიადის“ ადრინდელ, პირველ ცხრა ნომერს, მართალია, არც ისინია დღესდღეობით აღმოჩენილი, მაგრამ მათზე საკმაოდ ფართო წარმოდგენას გვაძლევს იაკობ ფანცხავას¹ არქივში დაცული მასალები. იაკობ ფანცხავა გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში „ჩემი თავგადასავალი“ წერს:

„მეშვიდე კლასში ვიყავი. მოწაფეთა ერთმა ჯგუფმა გამოსცა ხელნაწერი ქურნალი — „განთიადი“. სულ მგონია ოთხი ნომერი გამოვიდა, დღესაც ნამდვილად არ ვიცი, თუ ვინ იღებდა მონაწილეობას ამ ქურნალში. მგონია კი, რომ სხვებთან ერთად მონაწილეობდა კიტა აბაშიძე. კიტა პანსიონერი იყო, სხვებიც, რადგან ქურნალი პანსიონერთა ინიციატივით გამოიცა. ამ ქურნალის ოთხივე ნომერი გავარჩიე და ცალკე რვეულად გამოვუშვი მოწაფეთა შორის გასავრცელებლად. ამის დედანი ახლაც შენახული ნაქვს და ჩემ თხზულებათა მეორე ტომშია მოთავსებული (იხ. გვ. 216—231)... რამდენადაც მახსოვს, ბევრს ძალიან მოეწონა. ამ მოწონების შედეგი იყო, მე ასე მეგონა და ვგრძნობდი იმ დროს, რომ ამის შემდეგ კიტა დამიახლოვდა...“².

აღნიშნულ საკითხზე იაკობ ფანცხავა უფრო დაწერილებით ლაპარაკობს თავის გამოუქვეყნებელ თხზულებათა მეორე ტომში³. ამ ტომის ავტორისეულ „წინასიტყვაობაში“ (დაწერილია თბილისში 1912 წლის 23 ივლისს) ნათქვამია:

„აქ მოთავსებული მაქვს პირველი ჩემი ლიტერატურული ნაწარმოები: „ქურნალ „განთიადის“ პირველი ოთხი ნომერი“. იგი დაწერილია 1887 წ. ნოემბერში. საქმე ის არის, რომ სწორედ მაშინ შესდგა გიმნაზიის მოწაფეთა წრე, რომელმაც გამოსცა ხელნაწერი ქურნალი „განთიადი“. როგორც მახსოვს, ამ ოთხი ნომრის მეტი არ გამოსულა. ქურნალში მონაწილეობას იღებდნენ: კიტა აბაშიძე, იას. ბაქრაძე⁴ და დუტუ მეგრელი, მაშინ უკვე სტუდენტი⁵, სხვა

¹ იაკობ ფანცხავა, ცნობილი ქურნალისტის რომანოზ ფანცხავას ძმა, თანამშრომლობდა „კვალში“, „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „ისარში“, „სახალხო გაზეთსა“ და სხვა ორგანოებში. წერდა „ტიბერიელის“ ფსევდონიმით (მდრ. „ახალი ნაკადი“, 1919, № 11; გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 4167, გვ. 198-200).

² გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 3877, გვ. 27.

³ იქვე.

⁴ იას. ბაქრაძეს ლექსი „ამაო სურვილი“ მოთავსებული აქვს ქუთაისის გიმნაზიის სხვა ხელნაწერ ქურნალ „სალამურშიც“.

⁵ დუტუ მეგრელი შალვა დადიანის ხელნაწერ ქურნალ „მოზარდშიც“ თანამშრომლობდა ამ დროს, ასევე — თვით ი. ფანცხავაც „კიხლიკოს“ ფსევდონიმით.

კიდევ ვინ იღებდა ამ წრეში მონაწილეობას. არ ვიცი, რადგან წრესთან დაახლოვებული როდი ვიყავი, ჩვენ ცალკე წრე გვქონდა, თვითგანვითარების წრე, რომელსაც შევადგენდით: მე, ნიხ. სანოძე, სერა წერეთელი (ძმა ვ. ს. წერეთლისა). ნიკ. ნაკაშიძე და სხვ. წრე სხვადასხვა წიგნებს შოულობდა, ერთმანეთს წასაკითხად ურიგებდა და შემდეგ რეფერატებს სწერდა, ვინც კი რაზე მოისურვებდა. ს. წერეთელი... ასე სიტყვას არ იტყოდა, თუ ეკონომიური და სოციალური მხრით საგანს არ შეეხებოდა... იმხანად გადავიკითხეთ ორმოციანი და სამოციანი წლების ლიტერატურა, ვკითხულობდით „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ და პირველხარისხოვანი ევროპიელი მოაზრენიც მაშინ გადავიკითხეთ: ბოკლი, დრეპერი, მილი და ლუი ბლანის რევოლუციის ისტორია. ეს წრე შემდეგ გაფართოვდა, რადგან გიმნაზიის სხვა კლასების ბევრი სხვა მოწაფენიც მოვიმხარით. მაგ., ვოლოდია ლორთქიფანიძე და იმის ამხანაგი მახვილი და მკვირცხლი ლუზინი“¹.

აღნიშნულ წრეში მეცადინეობა სისტემატურად ტარდებოდა. მაგალითად, ყოველ შაბათობით მთელი ორი წლის (1888—1889 წწ.) განმავლობაში ლექციებს კითხულობდა ვას. წერეთელი პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე.

ი. ფანცხავას თავისი წერილს „უურნალ „განთიადის“ პირველი ოთხი ნომერი“ ეპიგრაფად გამოყენებული აქვს ნაწყვეტი ა. მაიკოვის ერთი ლექსიდან: «Посмотри, в нэбэ мерцаѣя, светит огонек». დასაწყისში იგი განმარტავს, თუ რატომ მოაწერა მან სტატიას ფსევდონიმად „ყიყლიყო“: ეს თურმე მისთვის პატარაობიდანვე შერქმეული ზედმეტი სახელი ყოფილა.

როგორც ავტორი აღნიშნავს, „განთიადის“ პირველი ნომერი არ ტოვებდა თურმე კარგ შთაბეჭდილებას: „ეფექტობდი: ვაითუ ეგრე უგემურად განაგრძო „განთიადმა“ თავის ყოველ კვირას მკითხველების სტუმრობა?... ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი ვიდრე მეორე, ნამეტურ უკანასკნელი ნომრები გამოვიდოდნენ. ჩვენი გული სიხარულით და ნეტარებით აღივსო. ეს ერთი ამიტომ, რომ უკანასკნელი ნომრები კარგად და გარკვევით არიან დაწერილნი, კორექტურული შეცდომებიც ცოტაა; მეორე ისა, რომ როდესაც ჰკითხულობ უკანასკნელი ნომრების სტატიებს, ცოტა არ იყოს, შეგიძლია ნიუხვდე ავტორს, თუ რისა თქმა სურს“.

¹ სხვაგან ი. ფანცხავა წრის წევრად ასახელებს აგრეთვე ეპიფანე შენგელიას (გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 3877, გვ. 28).

² როგორც ჩანს, „განთიადის“ პირველი ნომრებიც კვირაში ერთხელ გამოდიოდა. პროკოფი ჩხენკელი, ეტყობა, აგრძელებდა ამ ტრადიციას.

ამრიგად, ჟურნალის შემდეგი და შემდეგი ნომრები თურმე გაცი-
ლებით უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე პირველი, რომელიც
ისეთი გაურკვეველი ხელით ყოფილა ნაწერი, რომ წაკითხვაც კი
ჭირდა და, რაც მთავარია, მასალები ბუნდოვანების გამო გაუგებარი
რჩებოდაო.

ი. ფანცხავას ჯერ დაუპირებია გაერჩია „განთიადში“ მოთა-
ვებული სტატიების შინაარსი, მაგრამ შემდეგ თავისი წერილის გეგ-
მა შეუცვლია და პირველად ან ხელნაწერი ჟურნალის ენაზე იწ-
ყებს საუბარს. მართალიაო, ამბობს იგი, დიდ ავტორიტეტად არ
მიგვაჩნია ჩვენი თავი ქართული ენის ცოდნაში, მაგრამ ჩვენსას მა-
ინც ვიტყვიო.

რეცენზენტი შეგნებულად გვერდს უვლის ორთოგრაფიულ და
სინტაქსურ შეცდომებს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მათ კორექ-
ტურულ შეცდომებად თვლის. სამაგიეროდ მკაცრად უსაყვედურებს
„განთიადის“ ავტორებს სიტყვების უადგილოდ, არასწორად ხმა-
რებისა და სხვა ენობრივი ლაფსუსების გამო. ამ ნხრივ იგი თვით
რედაქტორსაც კი არ ინდობს. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ
ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი კრიტიკოსის პრეტენზიები ჟურნალი-
სადმი საფუძველს მოკლებულია.

ამის შემდეგ ი. ფანცხავა განიხილავს გამოსული ნომრების ში-
ნაარსს. იმის გამო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, „განთიადის“ ნომ-
რებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება მო-
ვიყვანოთ ზოგიერთი ადგილი ამ სტატიიდან, რათა ერთგვარი წარ-
მოდგენა შეგვექმნას ჟურნალზე. პირველ რიგში ავტორი გამოთქვამს
თავის აზრს მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალის დანიშნულებაზე.

„აგერ ხუთი! ნომერი „განთიადისა“ გამოვიდა და ჩვენ ჯერ
კიდევ ვერ გამოგვირკევეია, თუ რაშიდაც არის დანიშნულება და
მიზანი ჟურნალისა... ბ. რედაქტორმა ნხოლოდ გაკვრით მოიხსენა,
რომ „განთიადი“ ხელს შეგვიწყობს ენის შესწავლაშიო. ამის ნეტე
არ გავგიგონია ჟურნალის დანიშნულებაზე არც რედაქტორისაგან
და არც თანამშრომლებისაგან. თუ მართლა ეს დანიშნულება აქვს
ჟურნალს, მაშინ მასზედ ლაპარაკი არც კი ელირება, რადგან... მე
ათასჯერ უკეთესად შემიძლია ენის შესწავლა, თუ გულმოდგინედ
და დაკვირვებით წავიკითხავ ჭავჭავაძისა და აკაკის თხზულებებს,
ასთუ რომ ჩვენ მეტად ვიწრო კალაპოტად მიგვაჩნია ჟურნალის მი-
ზანი... ჩვენ კი გვგონია, რომ ჟურნალის შემწეობით ჩვენ ჩვენი ჰკუა
და გონება უნდა ვივარჯიშოთ, ერთიმეორეს გადავცეთ ჩვენი აზ-

1 ხუთი? აკი ავტორი დასაწყისში ამბობდა, რომ ოთხ ნომერს მიმოვიხილა-
ვო.

რები... არავინ იფიქროს კი, რომ ჩვენ ვითომ ბ. არავინისა¹ არ იყოს, აღვიარებდეთ, რომ ჟურნალი ყოველ დღეს ბოლგარ-ირლანდიაზედ დალაგდებდეს. არა, ჩვენ მოკლედ ვსჯით და მოკლედაც ვსჯით. დრო-გამოშვებით შეგვიძლია გადავავლოთ თვალი ბოლგარეთსაც და ირლანდიასაც². სულ ნურც პოლიტიკას და დიპლომატების თვალთმაქცობას დავივიწყებთ. მხოლოდ უმეტესი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რაც ჩვენ, მოწაფეებს, შეგვეხება და გვაინტერესებს. ჩვენ ჩვენი რწმუნებანი და იდეალები უნდა აღვიაროთ და სხვ. და სხვ“. თუ ჯერჯერობით ამას ვერ ვხედავთო, ამბობს ავტორი, ნუ ჩავვარდებით სასოწარკვეთილებაში და ზოგიერთსავით იმას ზურგს არ ვუჩვენოთო. „ჩვენ ვიცით ბევრი ხელთნაწერი ჟურნალის ხედვრი და თავგადასავალი. ისიც ვიცით, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდათ მათ იმათთვის, ვინც მათ სცემდა. ამიტომ ჩვენ გვანუგეშებს და გულს გვიხალისებს ეს ჟურნალი“.

შემდეგ ი. ფანცხავა აკრიტიკებს ჟურნალის გარეგნულ სახეს და მასში მოთავსებულ რამდენიმე ლექსს. იგი ფიქრობს, რომ ისინი მოკლებული არიან საზოგადოებრივ უღერადობას, არ ითვალისწინებენ ცხოვრების მოთხოვნებს. აქვე ავტორი იძლევა პოეზიის დანიშნულების თავისებურ ინტერპრეტაციას, რომელიც არსებითად მცდარია, მეტადრე ძველი მწერლობის ნიპილისტური შეფასების გამო.

ამასთანავე ი. ფანცხავა განსაკუთრებით ხაზს უსვამს მოქალაქეობრივი მოტივების განვითარების აუცილებლობას პოეზიაში და თავს ესხმის იმ მგონსებს, რომლებიც მარტო „ვარდსა და ბულბულს“ უგალობენ. არც ის მოსწონს ავტორს, რომ ზოგიერთი პოეტი ზიტყვით სამშობლოს ქება-დიდებას კი ასხამს, მაგრამ საქმით არაფერს აკეთებს მისი კეთილდღეობისათვის: „სამშობლოსათვის ათასჯერ უკეთესი იქნება, რომ საქმე გააკეთო, ხეირიანი ცხოვრება მიანიჭო უმრავლესობას, რომლიდგანაც ის შედგება“, — დაასკვნის ი. ფანცხავა. ამ პოზიციებიდან აკრიტიკებს იგი „განთიადის“ ერთ-ერთ ავტორს ს. ჭ.-ს, რომელიც თურმე „სასაცილო რამეს“ თხოულობს:

„რომ მოგვეცეს იგი შვება
კიდევ ადრინდულათაო (?!)"

¹ ალბათ, „განთიადის“ პირველი ნომრების ერთ-ერთი ავტორის ფსევდონიმი. საერთოდ ჟურნალის ყველა მასალა, ისევე როგორც პროკოფი ჩხენკელის დროს, როგორც ირკვევა, ფსევდონიმებით ყოფილა ხელმოწერილი.

² ბულგარეთისა და ირლანდიის საკითხებით დაინტერესებული იყო აგრეთვე თბილისის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის ხელნაწერი გაზეთი „ნაბერაქალიც“ ამავე წლებში. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

„რა «შვება» მოგვეცეს ბ. ს. ჯ. ?—კითხულობს რეცენზენტი, — ნუთუ «შვება» მას უწოდებ, როს ალა-მაჰმად-ხანი ხან აქეთ უკიდებდა საქართველოს ცეცხლს და ხან იქით? ნუთუ «შვებად» ის მიიჩნე, რომ მუდამ დღე მოსვენება არ გვექონდა ლეკებ-სპარსელებ-თათრებისაგან? ნუთუ «შვება» ქვიან მას, რომ ძმას ძმის სისხლი სწყურადა? ნუთუ «შვებად» მოიხსენება ის, რომ ბატონის მათრახი ოთხკეცად გლენს ტყავს აძრობდა?“ ამ სტრიქონებში ნათლად ჩანს ავტორისეული პოზიცია: პოეზიაში ისტორიული სიმართლე უნდა იყოს ნოცემული და, რაც მთავარია, საჭიროა, რომ მას სოციალური სიმახვილე გააჩნდესო.

ი. ფანცხავა ხოტბას ასხამს „განთიადში“ მოთავსებულ იმ ლექსებს, რომლებიც სოციალურ მოტივებს შეიცავენ. განსაკუთრებით მას მოსწონს ოტიას¹ ნაწარმოებები და მისი ერთი ლექსიდან ადგილიც კი მოჰყავს საილუსტრაციოდ: ოლონდ „ვიგარინო დაჩაგრულთ ზე-აღდგენა, ძლიერთ დამხობა...“ და მზად ვარ თავიც კი გავწირო სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაშიო. ი. ფანცხავას აზრით, ოტიას ლექსები გამსჭვალულია იმ დიადი იდეებით, რითაც „ახალთაობა“ ცხოვრობს და სულდგმულობს. ეს არის არსებული წყობილების სიძულვილი, თავისუფლებისადმი ძალუმი სწრაფვა.

ამით ამოიწურება ის მცირე ცნობები, რომლებიც „განთიადის“ შესახებ მოგვებოვება, მაგრამ მაინც შეიძლება დავასკვნათ, რომ ჟურნალს მოსწავლეთა შორის დიდი გავლენა და ავტორიტეტი ჰქონია მოპოვებული, რადგან მასში გამოხატული იდეები მათთვის ნახლობელი და მისაწვდომი იყო. ამითაც აიხსნება, რომ, თავის მხრივ მკითხველებიც (კერძოდ, ი. ფანცხავა) გარკვეულ პრეტენზიებს უყენებენ „განთიადს“, ესწრაფვიან, რომ მათი ორგანო უფრო საზოგადოებრივ-სოციალური უღერადობისა იყოს, მოწინავე, პროგრესული იდეების მქადაგებელი.

ამრიგად, 80-იანი წლები ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა ცხოვრებაში საკმაოდ ინტენსიური სავამოცემლო საქმიანობის ხანა ყოფილა, მიუხედავად რეაქციის მძვინვარებისა, რაც გამოწვეული იყო რუსეთის მეფის ალექსანდრე II-ის მკვლელობით.

90-იანი წლების პერიოდის „ჟურნალობის“ შესახებ მსჯელობისას ისევ დაუზბრუნდებით ს. ჰოლოშვილისა და ლ. თუმანიშვილის ზემოაღნიშნულ სტატიას, რადგან მასში მოცემულია ამომწურავი ცნობები ქუთაისის მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებზე. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორივე ავტორი მათ მიერ აღწერილი მოვლენების თანამედროვენი და უშუალო

¹ „განთიადის“ ერთ-ერთი ავტორის ფსევდონიმია.

მონაწილენი არიან და რაიმე ექვის შეტანა მათ მონათხრობში არ შეიძლება. მკვლევარი პ. ვაჭრიძე თავის გამოკვლევაში სავსებით სამართლიანად ამ წყაროს ეყრდნობა, როდესაც იგი ქუთაისის გიმნაზიაში 90-იან წლებში ხელნაწერი პრესის გამოშვებას ეხება¹.

ს. ჭოლოშვილისა და ლ. თუმანიშვილის ცნობით, 1891—1892 წლებში ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალი „გაიღვიძე“. იგი მცირე ფორმატისა ყოფილა და ასეთი ეპიგრაფი ჰქონია წამძღვარებული:

„ძმანო, გვეყოფა, რაც [რომ] ვიძინეთ,
გამოვიღვიძოთ, ვაჟივით თვალი,
მშობელს დაცემულს ხელი ვუწვდინოთ
და აღვასრულოთ შვილისა ვალი“².

ეს ეპიგრაფი განმარტავს სათაურს ჟურნალისას, რომლის მთავარ დანიშნულებად სამშობლოსადმი სამსახურია აღიარებული. ამ ჟურნალის გამოშვების ფაქტს სამსონ ფირცხალავაც ადასტურებს: „კარგად არ მავონდება, მეექვსეში ვიყავი თუ მეშვიდეში, ხელნაწერი ჟურნალი გამოვეცი, სახელად „გამოღვიძება“³.

1892 წელს, ჟურნალის მეხუთე ნომრის გამოსვლის შემდეგ, გიმნაზიელთა შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა და მოსწავლეთა წრე, რომელსაც სილოვან გაბუნია ხელმძღვანელობდა და „გაიღვიძეს“ სცემდა, ორ ჯგუფად გაყოფილა. ერთ ნაწილს განუზრახავს ჟურნალ „უყის“⁴ გამოცემა, ხოლო მეორეს (ს. გაბუნიას წრეს) გამოუცია ჟურნალი „ოპოზიცია“⁵. როგორც ს. ჭოლოშვილი და ლ. თუმანიშვილი შენიშნავენ, ეს სათაური განაპირობა იმან, რომ მისი გამომშვებნი ზემოაღნიშნული „უყის“ ჯგუფის მოწინააღმდეგენი იყვნენო.

1 პ. ვაჭრიძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა (კრებულში: „ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები“. თბ., 1968. გვ. 67-71).

² იქვე, გვ. 67.

³ სამსონ ფირცხალავა. მოგონებათა ფურცლები. ჟურნ. „მნათობი“, 1971, № 6, გვ. 150.

⁴ ამის თაობაზე წერს შალვა დადიანიც (იხ. ამ წიგნის გვ. 164).

⁵ „ოპოზიციის“ 1894 წლის მეოთხე ნომერი ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული. იგი გიმნაზიელებს საჩუქრად გადაუციათ მარჯორი უორდრობისათვის, რომელიც სწორედ 1894 წელს თავის ძმასთან — ოლივერთან ერთად ქუთაისში სტუმრად იმყოფებოდა. ამ ჟურნალის ფორმატი ქუთაისის მუზეუმში ინახება (იხ. ამის თაობაზე მ. სტურუას წერილი გვ. „კომუნისტის“ 1966 წლის 29 სექტემბრის ნომერში; მ. ნიკოლეიშვილის წერილი გვ. „ქუთაისის“ 1970 წლის 16 მაისის ნომერში და სხვ.).

1894 წლიდანვე „ოპოზიციის“ თანამშრომლებს დაუწყებიათ ჟურნალ „სხივის“¹ გამოცემა. გარეგნულად იგი ასე, ყოფილა გაფორმებული: პირველ გვერდზე ეხატა მზე, რომელიც სხივებს აფრქვევს, და ოთხივე კუთხეში მოთავსებულ ანთებულ სანთლებს გვირგვინები ედგა. შუაში გამოსახული იყო გული, მის ზემოთ — ორი ღროშა, გარს ერთყა რამდენჯერმე განმეორებული წარწერა „სხივი“. ჟურნალის ყდაზე წარწერილი ყოფილა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა გვარები, მრავალი აფორიზმი, რამდენიმე ეპიგრამა: „ძმობა, ერთობა, სიყვარული“, „მზეო ამოდი, გაანათე სულ არე-მარე, მოჰვინე სხივი, გააღვიძე ეს ჩვენი მხარე“ და სხვ.²

მოსწავლეებში ისევ თავი უჩენია უთანხმოებას — ორ ჯგუფად გათიშულან და ცალ-ცალკე უშვებდნენ თავიანთ ჟურნალებს. საგულისხმოა, რომ ორივე „სხივის“ სახელწოდებით გამოდიოდა. ერთს რედაქტორობდა ს. გაბუნია, ხოლო მეორეს — დ. ავალიანი. პირველი ჯგუფი 1896 წლიდან 1900 წლამდე სცემდა ჟურნალებს: „პირველ ნაბიჯს“, „ფონოგრაფს“ (გ. შავდიას რედაქტორობით), „სხივს“ (ახალი პროგრამით), მეორე ჯგუფი კი — „კრებულს“ (ს. კოლოშვილისა და ლ. თუმანიშვილის ხელმძღვანელობით) და „სხივს“ (ძველი პროგრამით).

ს. კოლოშვილი და ლ. თუმანიშვილი თავის წერილში აკრიტიკებენ „ძველ“ ჟურნალებს იმის გამო, რომ, თუმცა მათ ფართო პროგრამა ჰქონდათ და საზოგადო საქმეებს ეჭიდებოდნენ, მაგრამ საამისო მომზადება არ გააჩნდათ. ავტორთა აზრით „ახალი“ ჟურნალები უფრო კვალდაკვალ მიჰყვებიან მოსწავლეთა გზას და მთავარი ამოცანა, რომელიც მათ წინაშე ისახება, არის მათი მომზადება, ის, რომ გიმნაზიელებმა ცოდნა შეიძინონ და ძალ-ღონე მოიკრიბონ. ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს ნელ-ნელა და აუჩქარებლად. მხოლოდ ასეთი წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ შეიძლება მოსწავლეებს მიეცეთ იმდენი ძალა, რომ შეძლონ საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მიღება. შემდეგ ავტორები „ძველ“ ჟურნალებს უსაყვედურებენ უშინაარსობას (?), ამასთან შენიშნავენ, თათქოს თანამშრომელთა შორის შრომის დანაწილება არ იყო მოგვარებული, ჟურნალები ერთი პირის — გამგის (რედაქტორის) სამფლობელოს შეადგენდაო. ამის საწინააღმდეგოდ, ავტორთა აზრით, „ახალი“ ჟურნალები, მართალია, გარეგნულად ისე არ ბრწყინ-

¹ „სხივის“ სახელწოდებით 1892 წელს ხელნაწერ ჟურნალს თბილისში სცემდა მუშა მ. სიმონიძე (სიღამონიძე). ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

² ვ. ვაკრაძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა („მასალები“... თბ., 1968, გვ. 69).

ნავენ, მაგრამ ღრმა შინაარსი გააჩნიათო. „ძველი“ ჟურნალების კრიტიკამ ავტორები სრულიად აბსურდულ აზრამდე მიიყვანა. მათ განცხადებით „ახალი“ ჟურნალები სინამდვილეში ჟურნალები „კი არ არის, არამედ უბრალო სქელი რვეულებია, უბრალო სახის კრებულები მოწაფეების შრომებისა“. მერედა რა არის აქ დასაკეხხენი? ხელნაწერ ორგანოებს მათ დაუკარგეს თავისი სახე. ასეთი ხასიათისა იყო, მაგალითად, ზემოხსენებული „კრებული“ მოწაფეების შრომებისა“. ჯერ ერთი, მისი მოცულობა მეტის მეტად გაუზრდაათ (პირველი ნომერი 369 გვერდს შეიცავს!). გარდა ამისა, მას ცალკეული კლასების მოსწავლეები კი არ უშვებდნენ, არამედ მთლიანად გიმნაზიის ორგანოს წარმოადგენდა, მასში ყველას შეეძლო თანამშრომლობა. ვისაც უნდოდა რაიმე დაეწერა ჟურნალში, წრის ხელმძღვანელისაგან მოითხოვდა სპეციალური ფორმატის ქაღალდს და მასზე გადაწერილ საკუთარ ნაშრომს წარმოადგენდა. ამდაგვარად შეგროვებული მასალები განყოფილებათა მიხედვით (ბელეტრისტიკა, ისტორია, მეცნიერება, პუბლიცისტიკა, კრიტიკა) ლაგდებოდა და შემდეგ იკინძებოდა. არ ხდებოდა ნაშრომების რედაქტირება — სტილისტურ-გრამატკაული, კორექტურული თუ სხვა სახის შეცდომების გასწორება. მაშალა მკითხველამდე მიდიოდა იმ სახით, როგორც ავტორი რედაქციაში წარმოადგენდა. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ „კრებული“ ჟურნალი არ იყო, იგი აღმანახს წარმოადგენდა¹ და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, რედაქცია პასიურ როლში გამოდიოდა, ნაშინ როცა წინა პერიოდის ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთებისათვის, ჰირიქით, დამახასიათებელი იყო აქტიურობა, მასალების შერჩევითა და გასწორებისათვის ზრუნვა, ისევე როგორც ეს ნაბეჭდი ორგანოების საქმიანობისათვის არის დამახასიათებელი.

ამრიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შინაარსობრივ მხარეს (მას დაწვრილებით ქვემოთ შევეხებოთ) გასული საუკუნის ბოლოს ქუთაისის გიმნაზიის ხელნაწერმა ორგანოებმა გარეგნულად დაკარგეს ჟურნალ-გაზეთების სახე და სარედაქციო მუშაობაც სარჩმობლად დაკნინდა წინა პერიოდთან შედარებით.

თუმცა ზენოალინისულ მოსაზრებათა გამო „კრებულის“ ნომ-

¹ სხვათა შორის, ასეთივე ხასიათისა იყო ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა მეორე ორგანოც „სალამური“, რომელიც 1886 წელს გამოვიდა. მასში ძირითადად ქართული მწერლების ნაწარმოებები (ხშირად აკრძალულიც) იყო მოთავსებული (შდრ. გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 10512; პ. ვაკრიძე. ქუთაისის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი „სალამური“. გაზ. „სტალინელი“ (ქუთაისი), 1959 წლის 5 აპრილი).

რების გარჩევა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია (იგი ჩვენს საკვლევ თემას სცილდება), მაინც საჭირო იქნება გაკვირით შევეხოთ მასში მოთავსებულ მასალებს, რადგანაც ისინი კარგად ახასიათებენ იმდროინდელ მოსწავლეთა პოლიტიკურ თვალსაზრისს. სახელდობრ, ამ აღმანახის მეორე ნომერში (1899 წ.) მოთავსებულია ს. კოლოშვილის საინტერესო წერილი საფრანგეთის რევოლუციაზე, ხაზგასმულია თავისუფლებისათვის ხალხის ბრძოლის დიდი მნიშვნელობა. სხვა წერილებში გაკრიტიკებულია შოპენჰაუერის რეაქციული ფილოსოფია და სხვ. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლ. პავლიაშვილის (თუმანიშვილის) წერილი „ჩვენი თვითგანვითარება“, რომლიდანაც ცხადი ხდება, რომ იმ დროს ქუთაისის მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენდნენ კ. მარქსის ნაწარმოებებისადმი და გულმოდგინედ კითხულობდნენ მათ¹.

სხვა მასალებიდან, რომლებიც ქუთაისის მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებზე მოიპოვება, აღსანიშნავია შალვა დადიანის შემდეგი ცნობა. იგი თავის დღიურში 1891 წლის 12 აპრილს წერდა: შინ რონ დავბრუნდი, ვნახე, რომ „გიმნაზისტებისაგან მათი სალიტერატურო ჟურნალი „შრომა“ მომსვლოდა სამი ნომერი“². ხოლო მ. ნიკოლეიშვილი ერთ საგაზეთო წერილში იუწყება: „ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ჯაველიძემ მუზეუმს გადმოსცა ქუთაისის ქართული გიმნაზიის ყოფილი მოსწავლის სანდრო დიმიტრის ძე ლორთქიფანიძის არქივი, რომელშიც საყურადღებოა ამავე გიმნაზიის ხელნაწერი ჟურნალები: „ყანა“, „განთიადი“, რეალური სასწავლებლის ხელნაწერი ჟურნალი „თანამედროვე“ (1903—1904 წწ.), აგრეთვე ს. ლორთქიფანიძის თარგმანების ხელნაწერი“³.

როგორც ვხედავთ, ქუთაისში კლასიკური გიმნაზიის გარდა რეალურ სასწავლებელშიც ეწეოდნენ მოსწავლეები ხელნაწერი ჟურნალების განომეგზავნას. ამის შესახებ დაწვრილებით ლაპარაკობს გერონტი ქიქოძე თავის მოგონებებში. საგულისხმოა, რომ იგი აქ გამოცემულ ჟურნალ „თანამედროვის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური თანამშრომელი იყო⁴.

¹ შდრ. პ. ვაქოძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა (კრებულში: „ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები“. იბ., 1968, გვ. 71-80).

² საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ფონდი I, საქმე II, № 15221, გვ. 34.

³ ვაზ. „ქუთაისი“, 1970 წლის 16 მაისი.

⁴ გერონტი ქიქოძე. რჩეული თხზულებანი. ტ. III, თბ., 1965, გვ. 440-443.

გარდა ამისა, პ. ვაჭრიძე აღნიშნავს, რომ ქუთაისში XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს სამეურნეო სასწავლებელში იონა ბელიაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალი „მუშაკი“, სასულიერო სასწავლებელში — „სხივი“ (რედაქტორი გერასიმე მახარაძე) და სხვ¹.

ასეთაა ძირითადად ის ცნობები, რომლებიც მოგვეპოვება ქუთაისის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების შესახებ. ჩვენ შეგნებულად გავამახვილეთ ყურადღება იმ ხელნაწერ ორგანოებზე, რომელთა დედნები ჯერ კიდევ აღმოუჩენელია. რაც შეეხება ჩვენს დრომდე მოღწეულ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს, მათზე ცალ-ცალკე ვექნება საუბარი.

ა) პეტრე მირიანაშვილის „ია“

ერთ-ერთი პირველი ხელნაწერი ორგანო, რომელიც ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოდიოდა, იყო გაზეთი „ია“. მას რედაქტორობდა პეტრე მირიანაშვილი. სულ დაცულია ათი ნომერი². გაზეთის სათაურის ქვეშ ასეთი წარწერაა მოთავსებული: „სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით“. ეს ხელნაწერი გაზეთი ნაბეჭდ გაზეთს ბაძავს იმითაც, რომ გვერდები სვეტებად აქვს დაყოფილი: ზოგიერთი ნომერი ორსვეტიანია, ზოლო ნაწილი — სამსვეტიანი (ფორმატი 22 სმ X 35 სმ)³.

როგორი იყო „იის“ „ტირაჟი“? პირდაპირი ცნობები ამის თაობაზე არ მოგვეპოვება, მაგრამ სხვადასხვა მონაცემებით შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ზან და მეტ ეგზემპლარად გამოდიოდა. ამაზე, კერძოდ, მიუთითებს ის ფაქტი, რომ „იის“ 1880 წლის მეორე ნომერი (11 თებერვლისა) სამ ეგზემპლარად არის დაცული და, რაც მეტად საგულისხმოა, სამივე მათგანი სხვადასხვა ხელითაა გადაწერილი. როგორც ეტყობა, პ. მირიანაშვილს ნაბეჭდი გაზეთის რედაქციის მსგავსად ჰქონია საქმე დაყენებული. თანამშრონლებს შორის შრომა იმდაგვარად იყო განაწილებული, რომ ზოგი ეწეოდა მასალებს შეგროვება-დამუშავებას, ხოლო ზოგი — გაზეთის გა-

¹ პ. ვაჭრიძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა (კრებულში: ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები“. თბ., 1968, გვ. 55-56).

² № 1 გამოვიდა 4 თებერვალს, № 2 — 11 თებერვალს, № 3 — 18 თებერვალს, № 4 — 25 თებერვალს, № 5 — 3 მარტს, № 6 — 10 მარტს, № 6 (დამატება) — 10 მარტს, № 7 — 17 მარტს, № 8-9 — 24 მარტს.

³ „იის“ კომპლექტი ინახება საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში (ფონდი 5, საქმე 7).

დაწერა-გამრავლებას. ამაზე მეტყველებს, კერძოდ, ცალკეული შენიშვნები, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით „ის“ ფურცლებზე გვხვდება. ასე, მაგალითად, ყურნალის მეშვიდე ნომერში ტექსტისაგან განსხვავებული ხელით ასეთი წინაწერებია გაკეთებული:

„უფ, რედაქტორო! უკაცრავად კი ვართ... მაგრამ გულმა არ მოგვითმინა და უმორჩილესად გთხოვთ მოელაპარაკოთ ამის გადამწერს, რას გამოგვართმევს კვირაში? წაკითხვა არ შეგვიძლია!!!“

„ბ. რედაქტორს ვთხოვთ, რომ შემდეგში მაინც ეს ხელნაწერები გააუმჯობესოს, თორემ ასოები ასოებს არა გავს და წაკითხვა გვიძნელდება.“

ეს წარწერები, ალბათ, ნკითხველებს ეკუთვნით და ისინი კატეგორიულად მოითხოვენ გაზეთის ნომრის რამდენიმე ეგზემპლარად გამრავლებისათვის მოიწვიონ ისეთი პირები, რომლებიც უკეთესად, გარკვევით წერენ, კარგი ხელი აქვთ.

წერილში „ბ. თაყაიშვილს“ („ია“, 1880, № 8-9) ავტორი ეხება ერთი სიტყვის შეცდომით ხმარებას და შენიშნავს, რომ ეს გადამწერის ბრალი ყოფილა. „თუ გინდათ, — წერს იგი, — რომ დარწმუნდეთ ჩვენს სიმართლეში, შეადარეთ იმ ნომერს, რომელიც ქალთა გიმნაზიაში გავაგზავნეთ“. მაშასადამე, თვით რედაქციის აღიარებით ცხადი ხდება, რომ გაზეთი რამდენიმე ეგზემპლარად იცემოდა და იგი გარეშე პირთათვისაც ხელმისაწვდომი ყოფილა.

„ია“ რომ ვაჟთა გიმნაზიის კედლებს გარეთაც ვრცელდებოდა და მას სხვა მოსწავლეებიც კითხულობდნენ, ამას მოწმობს პ. მირიანაშვილის სტატია „წერილი საქალებო გიმნაზიაში“ („ია“, 1880, № 5). მასში ავტორი სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქალთა გიმნაზიის მოსწავლენიც თანაუგრძობენ სამშობლოს და გულწრფელად უყვართ იგი. თანაცო, დასძენს ავტორი, „მამულის მოყვარეთა“ ქალთა რიცხვი უფრო მეტია ვაჟებზე და ეს არც არის გასაკვირველი, რადგან ქალის გული უფრო მგრძობიარეაო. დასასრულს, პ. მირიანაშვილი მიმართავს მათ, რომ ითანამშრომლონ „იაში“, რადგანაც თურმე მათ შორის მწერლები და პოეტებიც ყოფილან, ამასთანავე ითხოვს, რომ „ის“ ყოველი სტატია გულმოდგინედ წაიკითხონ და მარტო ფელეტონებით არ დაკმაყოფილდნენ.

მოკლედ გავეცნოთ პეტრე გრიგოლის ძე მირიანაშვილის ბიოგრაფიას. იგი დაიბადა ქ. ქუთაისში 1860 წლის 21 თებერვალს. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, 1882 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ მას იქ დიდხანს არ დაუყვია. 1884 წელს,

მიუხედავად ხელნოკლეობისა, პეტრე პარიზში გაემგზავრა და იქაც ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1866 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა და თავის სამოღვაწეო ასპარეზად ქადაგებლობა აირჩია — თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასწავლიდა ქართულსა და ფრანგულ ენებს ქუთაისისა და თბილისის გიმნაზიებში¹. ბოლო ხანებში თბილისში ცხოვრობდა და აქვე გარდაიცვალა 1940 წლის 15 აგვისტოს.

ლიტერატურულ მოღვაწეობა პეტრე მირიანაშვილმა ჯერ კიდევ გიმნაზიელობის დროს დაიწყო. 1880 წელს, როდესაც იგი თავის საკუთარ ხელნაწერ გაზეთს სცემდა, გაზეთ „დროებაში“ (№ 223) გამოქვეყნდა მისი პირველი წერილი. ამ დროიდან იგი სისტემატურად თანამშრომლობდა როგორც ამ გაზეთში („დროება“), ისე სხვა ბეჭდვითს ორგანოებში: „შრომაში“, „ივერიაში“, „მწყემსში“, „სახალხო გაზეთში“, „სახალხო საქმეში“, „ნოამბეში“, „თემში“, „ცნობის ფურცელში“, „თეატრში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“, „ჯეჯილში“, „ნაკადულში“, „ტრიბუნაში“, „ფსაკუნჯში“, „ლომისში“ და სხვ. მისი ფსევდონიმები იყო: „კლდია“, „მოგზაური“, „პ. მ.“, „პარმანელი“², „იმერელი“, „პეტრიფი“, პ. მირიანაშვილის წერილებში განხილულია ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ისტორიის, საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი საყურადღებო საკითხი. მას გამოქვეყნებული აქვს 15-მდე წიგნი. მათ შორის აღსანიშნავია: „ამირანის ლექსი“ (თბ., 1915), „აბესალომ და ეთერის ლექსი“, „როსტომიანი“ და სხვ. (თბ., 1914), „კეთხისტყაოსანი ხუთ სურათად“ (თბ., 1915), „ძველი და ახალი ქართული შაირობა“ (თბ., 1915), „აბესალომ და ეთერი“ (ლიბრეტო ოპერისათვის, თბ., 1918), „ქართული სიტყვიერების განარკვევი დასაწყისიდან ჩვენს დრომდე“ (თბ., 1929) და სხვ. პ. მირიანაშვილს უთარგმნია მრავალი უცხოური ლიტერატურული ძეგლი: გოეთეს „ფაუსტი“. ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, ევრიპიდეს „მედეა“, ესქილეს „მიჯაჭვეული პრომეთე“, ვირგილიუსის „ენეიდა“ და ა. შ.³ მას ახალი ქართული გაზეთის „ახალი ამბების“ გამოსაცემად ნებართვაც კი უთხოვია („ივერია“, 1886, № 216), მაგრამ უარი უთხრეს („ივერია“, 1887, № 179).

¹ ნიკო კეცხოველი მაგნიტოფირზე აღბეჭდილ მოგონებებში ამბობს: „გოგლა [ლეონიძე] თავისი ქართული ენის მასწავლებლით ვასილ ბარნოვით ამაყობდა, მე—პეტრე მირიანაშვილით“ (გ. ლეონიძე, საიუბილეო კრებული. 1970, გვ. 298).

² ეს ფსევდონიმი რომ ნამდვილად პეტრე მირიანაშვილს ეუთვნის, ეს ჩანს საქართველოს სსრ ცსია საცენზურო კომიტეტის საქმიდან (№ 1887).

³ შტრ. სახალხო განთლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. კრებული მეორე. 1955, გვ. 205-219 (იხ. ნარკვევი პეტრე მირიანაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომლის ავტორია სოლ. ცაიშვილი).

პეტრე მირიანაშვილი დიდად ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. 1900 წლიდან იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივანი, აგრეთვე „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“¹ აქტიური წევრი. მას ცხოველი მონაწილეობა მიუღია განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაში.

საინტერესოა ერთი ფაქტიც. როგორც ვიცით, 1920 წლის 7 მაისს (ძვ. სტილით) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლანდელი სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, პირველად ქართული უნივერსიტეტის კედლებში, დიპერტაცია დაიწვა აკაკი შანიძემ. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ პროფ. ი. ჯავახიშვილი და პროფ. გ. ახვლედიანი, ხოლო არაოფიციალური ოპონენტები — პროფ. კ. კეკელიძე და საზოგადო მოღვაწე, მწერალი პ. მირიანაშვილი².

განვაგრძოთ საუბარი „იის“ შესახებ. თავდაპირველად მოკლედ მიმოვიხილოთ ქუთაისის გიმნაზიის სხვა ხელნაწერი ორგანოების საქმიანობის თაობაზე „იის“ ფურცლებზე მოთავსებული წერილები. ეს, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია იმისათვის, რომ გავეცნოთ დამატებით მასალებს მოსწავლეთა ხელნაწერ ქურნალ-გაზეთებზე და აგრეთვე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დავადგინოთ „იის“ ურთიერთობა მათთან.

ჯერ შევხვდეთ საკითხს, თუ რა იწერებოდა „იაში“ მოსწავლეთა ხელნაწერ გაზეთ „ციცინათელასზე“. რუბრიკით „დღიური“, რომელშიც ქუთაისის ახალი ამბებია მოთხრობილი, „იის“ პირველ ნომერში ნათქვამია, რომ „ციცინათელას“ რედაქცია ავტორების ნაკლებობას განიცდის და თავის მკითხველებს მოუწოდებს დახმარება აღმოუჩინონ მას, ითანამშრომლონ „ციცინათელაში“ მხოლოდ იმ პირობით, რომ „საერთო მიმართულება“ გაზეთისა დაიცივან. მაშასადამე, ამ ხელნაწერ გაზეთსაც, ისევე როგორც გიმნაზიის სხვა ორგანოებს, გარკვეული პროგრამა გააჩნდა.

„იის“ რედაქციას ძალიან აწუხებს ის ფაქტი, რომ „ციცინათელას“ გამოცემა ხშირად ფერხდებოდა. „ძლიერ გვცვივს, — ნათქვამია ქრონიკულ შენიშვნებში „ამბავები“, — რომ „ციცინათელა“ არ გამოდის. ამბობენ, ვითომც რედაქტორის სიზარმაცე არის ამის მიზეზიო. ვურჩევთ ბატონთა თანაშემწეთა ამ გაზეთისა როგორმე

¹ ამ საზოგადოების საქმიანობის შესახებ დაწვრილებით ლაპარაკია ლ. გოდერიძის წერილში (ტურნ. „მნათობი“, 1970, № 1, გვ. 168-177).

² ნ. ჩაჩავაძე. პირველი დიპერტაცია ქართულ უნივერსიტეტში (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1970 წლის 19 ივნისი).

განაგრძონ თავიანთი ნოვალეობა და მით მიიღებენ ისინი გული-
თაღს მადლობას ჩვენს მხრით¹.

„ციცინათელა“ (რედაქტორი — გოცირიძე), როგორც ცხადი
ხდება, 80-იანი წლების დასაწყისში პირველი ხელნაწერი გაზეთი
ყოფილა გიმნაზიაში. ხელმოუწერელ სტატიაში „წერილი რედაქ-
ტორთან“² განმარტებულია, რომ „ციცინათელას“ მრთობრივტი
აქვს მოსწავლეთა ხელნაწერი ორგანოების გამოცემის საქმეში, რომ
მან პირველმა „გამოიყვანა ჩვენი მოსწავლე ყმაწვილები იმ ღრმა
ძილიდან, რომელშიდაც დიდი ხანია ვიყავით ჩავარდნილი და გლ-
ვიძებასაც არ ვფიქრობდით“. გიმნაზიაში ამ ღროს უკვე ოთხი გა-
ზეთი გამოდის: ქართული — „ციცინათელა“ და „ია“, ხოლო რუ-
სული — „Свет“ (რედაქტორი — მაკავარიანი) და „Неопытное перо“
(რედაქტორი — პეტროვი). ავტორი გადაჭრით აცხადებს, რომ სა-
მივე გაზეთი დაბადა „ციცინათელამ“ და, იგი რომ არ ყოფილი-
ყო, არც მაკავარიანი და არც პეტროვი არ იფიქრებდნენ თავიანთი
გაზეთების გამოცენასო. პ. მირიანაშვილის შესახებ სტატიაში ნათ-
ქვამია, რომ მას თურმე წარსულ წლებშიც მოუწადინებია გაზეთის
დაარსება, მაგრამ მისთვის მხარი არ დაუჭერიათ და ეს საქმე ვერ
განხორციელებულა. როდესაც გაზეთის გამოცემაზე ყოველგვარი
ლაპარაკი შეწყდა, სწორედ მაშინ დაიბადა „ციცინათელა“. ან
ფაქტს დიდი გამოხმაურება ჰქონია გიმნაზიაში და მისი მიბაძვით
სხვენსაც დაუარსებიათ ხელნაწერი ორგანოები. ავტორი „ციცი-
ნათელას“ რამდენჯერმე ხაზგასმით უწოდებს „დედაგაზეთს“.

აღნიშნული წერილის გაგრძელებაში, რომელიც „იის“ პეექვ-
სე ნომერშია მოთავსებული, ავტორი ილ. გუნცაძე „ციცინათელას“
რედაქტორს გოცირიძეს უმთავრესად იწას უსაყვედურებს, რომ
წინასწარი, მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების გარეშე დაიწყო
გაზეთის გამოცემა, ავტორებთან მოლაპარაკებას არ აწარმოებდა
და სხვ. ამ მხრივ იგი სამაგალითოდ ასახელებს პ. მირიანაშვილის
საქმიანობას.

გიმნაზისტები „დედაგაზეთს“ ლექსებსაც უძღვნიდნენ. მაგა-
ლითად, „იაში“ („ია“, 1880, № 6) მოთავსებულია მიხო ნანიძის
ლექსი „«ციცინათელას» რედაქტორზედ“, რომელშიც მითითებულია,
რომ ამ გაზეთმა ჩვენს სასარგებლოდ დაიწყო გამოსვლა, მაგრამ
თავის დროზე მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა და შენდევ რე-
დაქტორმა დანაპირები აღარ შეასრულა — მეორე და მესამე ნომ-
რები რის ვაი-ვაგლაზით გვაღირსა, ხოლო მეოთხე ნომერი აღარ

1 „ია“, 1880, № 3.

2 „ია“, 1880, № 5. მომდევნო ნომერში ამ წერილის გაგრძელებას ხელს
აწერს ილ. გუნცაძე.

გამოჩნდაო¹. ბოლოს ავტორი მოსწრებულად შენიშნავს: იგი მართლაც ციციანთელას ჰგავს, ხან გაანათებს, ხან კი სულ დაბნელებაო.

„იაში“ მოიპოვება აგრეთვე ცნობები ამავე გიმნაზიის მოსწავლის სილოვან ხუნდაძის ხელნაწერ გაზეთ „სამშობლოზე“. კერძოდ, პ. მირიანაშვილის სტატიიდან „მერვეკლასიანები და მათი გაზეთი «სამშობლო»“². ცხადი ხდება, რომ ორი-სამი კვირის წინ (მარტის დასაწყისში) გამოსულა ამ გაზეთის პირველი ნომერი. ავტორის აზრით, მისი გამოცენა მერვე კლასის მოსწავლეთა შინაგანი მოთხოვნის შედეგს როდი წარმოადგენდა: გაზეთი „ახლა რომ მოაგონდათ, მაგ ვაუბატონები აქამდის სად იყვნენ? ახლა გამოიღვიძეს?“ ამდენს ხანს ისინი თურმე ქართულ წიგნებს მაინც-დამაინც არ კითხულობდნენ, ახლა კი დიდ ფაციფუცში არიან — აქაოდა ჩვენ უმცროსკლასელებზე ნაკლები რითა ვართ, ჩვენც ჩვენი საკუთარი გაზეთი უნდა გექონდესო. პ. ნირიანაშვილი ოხუნჯობს — ორი კვირაღა დარჩათ გიმნაზიაში ყოფნა და ღირდა კი, რომ მათ გაზეთი ასე გვიან გამოეცათო. თუმცაო, ამბობს იგი, „ამ მოკლე ხანებში აიბარგებიან ისინი, შეიძლება სასტუდენტო წრეში გაუგრძელონ მას არსებობა“. ავტორს ამაშიც ეჭვი ეპარება, რადგან უფროსკლასელები, მისი თქმით, საამისოდ მოუშზადებელი არიან. მას უფრო უკეთესად მიაჩნია ის, რომ თან კი არ გაიყოლონ გაზეთის გამოცემის საქმე, არამედ აქ, გიმნაზიაში, ვინმე მეჩვიდრე გაიჩინონ. პ. მირიანაშვილი აკრიტიკებს „სამშობლოს“ იმის გამო, რომ მის ნომრებს ნაჩქარევად უშვებენო. ანაზე, კერძოდ, მეტყველებს ის ფაქტი, რომ „პირველ ნომერში სულ თავად რედაქტორის ნაწერები იყო“. ე. ი. „სამშობლო“ თანამშრომლების ნაკლებობას განიცდისო. გაზეთის შინაარსს ავტორი არ იწუნებს, ამ მხრივ შეიძლება მას პირველი ადგილიც კი ექვიროსო, მაგრამ ნთავარ და პრინციპულ საკითხად ის მიაჩნია, რომ მერვეკლასელები მხოლოდ მას შემდეგ გააქტიურებულან, როდესაც უმცროსკლასელებს გაზეთი გამოუციათ. მათ თურმე რაინე ამადლებული გრძნობა როდი ამოძრავებდათ, არამედ სასირცხვოდ მიაჩნდათ, ამ პატრიოტულ საქმეში როგორ თუ უმცროსკლასელებმა გვაჯობესო.

რა მიზნებს ისახავდა გაზეთი „ია“ და როგორ ესმოდათ მისი დანიშნულება რედაქციის მესვეურებს? „იის“ პირველივე ნომრის სარედაქციო წერილში, რომლის ავტორია რედაქტორი პ. მირიანაშვილი, მოკლედ ჩამოყალიბებულია გაზეთის ამოცანები. სტატიის

¹ მაშასადამე, „ციციანთელას“ მხოლოდ სამი ნომერი გამოსულა.

² „ია“, 1880, № 8-9.

ეპიგრაფად გამოყენებულია ნაწყვეტი თეიმურაზ პირველის „ვარდ-
ბულბულიანიდან“:

„დაუსწრო პირველ ყოველთა ყვაილთა მოსვლა იამან,
მოგვართვა სული სურნელი, იგ საყნოსელი იამან;
თავმოდრეკილმან სიმდაბლით არ თავი გაიზვია მან,
ტბილად შეხედნა თვალმან და გულსა კარმან ღიამან“¹.

ამ სტატიაში ავტორი შემდეგნაირად განსაზღვრავს გაზეთის
„მიმართულებასა და დანიშნულებას“:

„ამ გაზეთმან ჩვენ უნდა განოგვიაშქარაოს ჩვენი გლახა მხარე-
ნი და ცუდნი მიდრეკილებანი, დაგვაყენოს მაგრად ფეხზე სწავლა-
განათლებითა და კეთილის რჩევითა. ამ გაზეთში გარდა ამისა აღ-
გილი ექმნება, რასაკვირველია, შემოხვევისამებრ, ყოველგვარ
ლექსს, თარგმნილს და ნამდვილ² ფელეტონს და სცენებს ჩვენი
მოსწავლეთა ცხოვრებიდამ. მაშ ვიმედოვნებ ბატონო და ქალბა-
ტონო მკითხველნო, რომ თქვენ ამ კეთილსაგარძნობ მოვლინებას
უყურადღებოდ არ გაუშვებთ, არამედ მისცემთ სანუგეშოდ მკითხ-
ველთა თქვენი გონების ნაწარმოებს“³.

განსაკუთრებით ვრცლად არის საუბარი გაზეთის ამოცანების
შესახებ სტატიაში „ზოგადი მიმოხილვა“ (ავტორია თაყაიშვილი)⁴.
ნასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ამ უკანასკნელ წლებში გიმნაზიის
ცხოვრებას რაიმე გაუმჯობესება არ დაეტყო, თუ მხედველობაში
არ მივიღებთ მოსწავლეთა მიერ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გა-
მოშვებასო, და დასძენს:

„რამდენი ახალგაზრდა ვაჟები ყოფილან ამ ჩვენს გიმნაზიაში,
მაგრამ არც ერთ მათგანს ფიქრადაც არ მოსვლია გაზეთის გამოცე-
მა. ესლა თუ გაზეთი გამოდის, ეს ერთი მხრით ღროს უნდა დავუ-
მადლოთ, რომ ღრომ მოგვიტანა და მეორე მხრით იმათ, ვინც შრო-
მობენ ამ გაზეთისათვის“.

ეს იმას ნიშნავსო, განაგრძობს ავტორი, რომ ჩვენც გამოგვილ-
ვიძია და იმ ფაქტორებმა, რამაც სხვებში ცვლილება შეიტანა.
ჩვენზედაც იქონია გავლენა. აქვე იგი განმარტავს, თუ რა მნიშ-
ვნელობა აქვს გაზეთს, როგორ უნდა ისარგებლონ მკითხველებმა
თავიანთი ორგანოთი, როგორ უნდა ვახდენდეთ რეაგირებას და
ვეხმარებოდეთ მის გამოსვლებს, შემდეგ დასძენს, რომ „ჩვენი
გაზეთით უნდა აღვადგინოთ სამშობლო ენა, რომელიც ჩვენდა სამ-

¹ შდრ. თეიმურაზ პირველი. თხზულებათა სრული კრებული. 1934, გვ. 4.

² „ნამდვილი“ აქ „ორიგინალურს“ უნდა გულისხმობდეს. — შ. გ.

³ „ია“ 1880, № 1.

⁴ „ია“, 1880, № 4.

წუხაროდ ჩვენს სასწავლებელში დაცემულია; აქ უნდა შევეჩვიოთ თავისუფლად აზრის გამოხატვას“...

ამასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს, რომ მკითხველს კარგად მოეხსენება, თუ რა მდგომარეობაა გიმნაზიაში: მოსწავლე ერთ ქართულ სიტყვას ისე ვერ იტყვის, რომ ორი რუსული სიტყვა არ დააყოლოსო. მე ამით მკითხველს იმას კი არ ვურჩევ, ამბობს თაყაიშვილი, რუსული ენის შესწავლას თავი დაანებოს, რადგან ეს უგუნურება იქნებოდაო, არამედ მოვითხოვ, რომ რუსულ ენას თავისი ადგილი ჰქონდეს და ქართულს თავისიო. ავტორს არასწორად მიაჩნია როგორც მშობლიური ენის დავიწყება, ასევე ისიც, როდესაც ქართული ენის სიყვარულის მომიზნებებით ჰოსწავლებენ სხვა საგნებს არ სწავლობენ.

თაყაიშვილის აზრით, გაზეთის შემწეობით შესაძლებელია მრავალი პირი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდეს. აქ უნდა გაიწაფონ მოზარდები როგორც მოთხრობების, ლექსების, პატარა პიესების წერაში, ისე კრიტიკულ აზროვნებაშიო. სტატიის ავტორი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმას, რომ უნდა მივეჩვიოთ ჩვენი ნაწერების კრიტიკულად გარჩევასო, მოვემზადოთ იმისათვის, რომ „ვინც ნამდვილ ეურნალ-გაზეთობას მიმართავს, ყოველგვარი კრიტიკა უნდა აიტანოს“.

„თავი და თავი მოვალეობა ჩვენი გაზეთისა უნდა იყოს მყარი ღნეობა და პატიოსნების აღდგენა მკითხველებში“, — განაგრძობს ავტორი. ამისათვის საჭიროა გამოვააშკარაოთ ზოგიერთი პირის ცუდი ხასიათიო (ანპარტავნობა, გაუტანლობა, უამხანაგობა და სხვა). გაზეთში ყველა მასალა უნდა წაიკითხოს მკითხველმა და არა მარტო ფელეტონები, როგორც ამას ზოგიერთი სჩადის, რადგან სხვა არაფერი აინტერესებთ. თაყაიშვილი მათ „მეფელეტონებებს“ უწოდებს. ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, ამბობს იგი, რომ ზოგიერთი წერილი არ დგას ჯეროვან სიმადლეზე. ამიტომ ავტორი რჩევას აძლევს რედაქტორს, რომ გამოსაშვები სტატიები გულმოდგინედ გასინჯოს. კარგი იქნება, რომ „ხანდახან ორ-სამ ამორჩეულ უკეთეს პირთა შეუყაროს თავი და მათთან მოილაპარაკოს“ სტატიების ავკარგვიანობაზე, თუნდაც ამაზე კვირაში ორ-ორი საათი დაიკარგოსო. ე. ი. ავტორი რჩევას იძლევა კოლექტიურად განიხილონ მასალები, ერთგვარი რედკოლეგია დააარსონ.

როგორც აღვნიშნეთ, „ია“ მარტო ქუთაისის გიმნაზიაში როდი ვრცელდებოდა. მას სიამოვნებით ეცნობოდნენ სხვა სასწავლებლების მოსწავლეებიც. თუ როგორ შეფასებას აძლევდნენ „იას“ გარეშე პირნი, ამაზე პასუხს გვაძლევს ორი წერილი, რომელთაც ერთი საერთო სათაური აქვთ: „რას გამოველით «იიღამ» (წერილი

საქალბო გიმნაზიიდან)“. ამ წერილებს აქვთ ასეთი ხელმოწერა: „№ 1“ და „№ 2“, ისინი მოთავსებულია „იის“ 1880 წლის მე-ექვსე ნომრის დამატებაში. თუ რამ გამოიწვია დამატებითი ნომრის გამოცემა, ამაზე ლაპარაკია გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებულ სარედაქციო წერილში „განცხადება «იისა»“: „ჩვენზედ დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო იძულებულ არს რედაქცია გამოსცეს მე-9 ნომრის დამატება, ვინაიდან, პირველ რომ კორესპონდენცია საქალბო გიმნაზიიდან მივიღეთ ნაშინ, როდესაც მე-6 ნომერი იყო გათავებული და დაწერას კი მიუცილებლად თხოულობდნენ, ამისათვის პატივდებაში მივიღეთ ეს სტატია; მეორე ის, რომ „სვეტის“ სტატიამ¹ ძლიერ აღგვაშფოთა და პასუხი რომ არ მიგვეცა, გულნაკლულნი დავრჩებოდით“.

ქალთა გიმნაზიიდან გამოგზავნილ პირველ წერილში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ კარგა ხანია გვესმოდა „იის“ აღმოცენება და „მოუთმენლად ველოდით ამ გაზაფხულის პირველი ყვავილის თვალის გადავლებას“. აქამდე ეს სურვილი ვერ ავისრულეთ, ახლა კი ხელში ჩაგვივარდა ეს გაზეთი და გვინდა მასზე ჩვენი აზრი გამოვთქვათ. „იას“ თურმე დიდი სიამოვნება მიუნიჭებია მკითხველებისათვის. „როგორც გაზაფხულის ყვავილები გვაუწყებენ ჩვენ სიამოვნო გაზაფხულის მოახლოვებას, აგრეთვე ეს გაზეთი გვაჩვენებს უკეთესი დროის დასაწყისს“. წერილის ავტორს განსაკუთრებით ახარებს ის, რომ ყნაწვილებს დიდი სურვილი გამოუჩენიათ მშობლიური ენის შესწავლისა. მისი ღრმა რწმენით, „იას“ შეუძლია თავისი „აზლანდელი მიმართულებით სრულიად მოსპონ ენაქრელობა, რომელიც ასე გავრცელებულია როგორც ქალებში, აგრეთვე ვაჟებში“, და დედაენის საფუძვლიანი მცოდნე ადამიანები აღზარდოსო. გარდა ამისა, ავტორის აზრით, გაზეთს შეუძლია აქედანვე შეაჩვიოს თავისი მკითხველები შრომას, აღნოფხვრას მოსწავლეებში ცუდი ზნე-ჩვეულებანი და სამაგიეროდ ჩაუნერგოს მათ ეთილი მხარეები, დააფუძნოს მათში მშობა, ამხანაგობა და ერთობა. დასასრულ, ავტორი „იას“ უსურვებს ყოველივე საკეთეს, არ გამხდარიყოს „ბოროტებისა და ვიწრო ინტერესების იარაღად“, მტკიცედ და შეუწყველად მდგარიყოს სიძარტლის გზაზე.

მეორე სტატიაშიც იგივე აზრებია გამოთქმული, ოღონდ იგი უფრო მხატვრულად არის დაწერილი. საერთოდ ორივე წერილი სტილის მხრივ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ქალთა გიმნაზიაში. ეტყობა, მოსწავლეებს კალამი უჭრიდათ.

გაზეთი საკმაოდ მკაცრად წერს გიმნაზიის მოსწავლეთა საყო-

¹ ამ სტატიაზე გამომხატვრებას ქვემოთ შევხებით.

ფაცხოვრებო პირობების ნაკლოვანებათა შესახებ, განსაკუთრებით „ბურსელების“ (გიმნაზიის პანსიონში მცხოვრები მოსწავლეების) არასახარბიელო მდგომარეობაზე. ამ მხრივ გამოირჩევა სეხნიოურელის (ფსევდონიმი) სტატია „იის» კორესპონდენცია“¹, რომელშიც „ბურსელთა“ ცხოვრება მეტად მუქ ფერებშია დახატული. ავტორი, პირველ ყოვლისა, ეხება პანსიონელ მოსწავლეთა კვების საკითხს და აღშფოთებით წერს, რომ ისინი საუზმედ თითო ნაჭერ პურს ჰამენ, სადილად კი შაშხის წვეს და კიდევ რაღაც საძაგლობას, რაც ცუდად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზეო. რა არის ამის მიზეზი? — კითხულობს ავტორი და თვითონვე უპასუხებს: ის, რომ, ვისაც ეს საქმე ეხება, არ იღებს ზომებს ამ სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლადო. უფროსები თურმე არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ბავშვების კვებას, ისინი „თავის ჯიბეს უფრო ჩახარბიან და თანდათან თავის ჯიბის კასას ავსებენ“. ე. ი. გიმნაზიის მესვეურები, როგორც ცხადი ხდება, მოსწავლეთა ბარჯზე მდიდრდებოდნენ, ბავშვებს კი აშიშვილებდნენ. ამის განო ავტორი სრულიად სამართლიანად ამ უსინდისო აღამიანებს სამარცხვინო ბოძზე აკრავს. ქალთა გიმნაზიის პანსიონში შედარებით უკეთესი მდგომარეობა ყოფილა, ხოლო ვაჟთა გიმნაზიის „ბურსელები“ კი, რომლებსაც მეტად აუტანელი პირობები აქვთ, სწავლაში წარმატებებს ვერ მიაღწევენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდი მისწრაფება და სურვილი აქვთ ცოდნას დაეუფლონო, — დაასკვნის ავტორი.

აღსანიშნავია, რომ „ია“ არ იფარგლება მარტო გიმნაზიის ცხოვრების გაშუქებით, მას აინტერესებს ქუთაისის სხვა სასწავლებლებში მყოფ ბავშვთა ბედიც, კერძოდ, სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა ცუდი პირობების შესახებ არის მოთხრობილი იმავე სეხნიოურელის წერილში „იის» კორესპონდენცია“². ძალიან მკაცრი ზამთარი დადგაო, წერს ავტორი, ხოლო მოსწავლეები ისეთ შეუფერებელ ოთახებში ცხოვრობენ, რომ სიცოცხისაგან ლამის დაიხოცონო. შეშა სრულიად არ ჰქონიათ. მაგრამ თურმე მარტო საცხოვრებელ ბინებში როდი ყოფილა ასეთი მდგომარეობა: თვით სასწავლებლის საკლასო ოთახებშიც აუტანელი სიცივეა, რის გამოც ბევრი მოსწავლე ცივდება და ავად ხდებაო. ეს სოლიდარობა, დაინტერესება სხვა სასწავლებლების მოსწავლეთა მდგომარეობით მეტად საყურადღებო მომენტია „იის“ საქმიანობაში. ამ წერილის გაგრძელებაში, რომელიც „იის“ მომდევნო ნომერშია მოთავსებული-

¹ „ია“, 1880, № 3.

² „ია“, 1880, № 1.

ლი¹. ავტორი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო ხარჯზე მყოფ მოსწავლეთა მძიმე ხედრზე. ბავშვებს ზამთარ-ზაფხულ ტილოს შარვალ-ხალათი აცვიათ და დახეული ფეხსაცმელებიდან თითები მოუჩანთო. მოსწავლეები თურმე ეხვეწებიან სასწავლებლის მესვეურებს, რომ მათ რიგიანად ჩააცვან, მაგრამ, როგორც გულსტიკივით აღნიშნავს ავტორი, უფროსებს მოსწავლეებისათვის დასახარკავად ფული ენანებათ, სამაგიეროდ თავიანთ ჯიბეს ისქელებნო.

ცალკე უნდა გამოვყოთ ქალთა გიმნაზიასთან „ის“ ურთიერთობის საკითხი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ გაზეთის მოსწავლე ქალიშვილებიც კითხულობდნენ და საკუთარ აზრსაც გამოთქვამდნენ მის შესახებ, თავის მხრივ, „იაც“ დაინტერესებულია ქალთა გიმნაზიის მოსწავლეთა ბედ-იღბლით.

3. მირიანაშვილის სტატიაში „წერილი საქალბო გიმნაზიაში“² დასმულია საკითხი, თუ „როგორი უნდა იყოს ქალი ჩვენი ქვეყნისათვის, განსაკუთრებით აწინდელ დროებაში“. ავტორის წარმოდგენით, როგორც ხალხის ბედი, ისე მომავალი თაობის ბედნიერება დამოკიდებულია დედაზე. წამას ისეთი გავლენა არა აქვს შვილის აღზრდაზე, როგორც დედას, და ბავშვიც სწორედ ამ უკანასკნელისაგან ითვისებს როგორც კეთილსაც ისე ბოროტსაცაო. 3. მირიანაშვილი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ უმთავრესად დედაზეა დამოკიდებული ბავშვში სამშობლოსადმი სიყვარულის გაღვივებაც. ავტორი მოუწოდებს ქალთა გიმნაზიის მოსწავლეებს — მომავალ დედებს, რომ, პირველ ყოვლისა, ეს მიიღონ მხედველობაში. თუ დედა მოკლებულია სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, ამასვე უნდა მოველოდეთ შვილებისგანაცო, შენიშნავს ავტორი და პაიიტიკურად დასძინს: „ღმერთო, დაგვიფარე ავთა დედათაგან“.

სხვა შემთხვევაში „ია“ ესარჩლება ქალთა გიმნაზიის მოსწავლეებს, როდესაც ვინმე მათ უსამართლოდ გაკილავს. გაზეთის მეექვსე ნომრის დამატებაში 3. მირიანაშვილმა მოათავსა წერილი „ბატონს ქართველს მაჰავარიანს რუსული „სვეტის“ რედაქტორას“. სადაც საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა ეს გაზეთი ქალებისადმი არასწორი დამოკიდებულებისათვის.

წერილი იწყება ლექსით, რომელშიც გამთარახებულია ადრესატი. შემდეგ განხილულია „სვეტში“ თვით რედაქტორის — მაჰავარიანის ხელმოწერილ მოთავსებული სტატია, რომელიც შეეხება ვაჟთა გიმნაზიაში მოწყობილ ბალს და იქ გიმნაზიელ ქალთა მოსვლას. მაჰავარიანი თურმე აუგად იხსენიებს მათ, ანასთან აქებს

¹ „ია“, 1880, № 7.

² იქვე.

გიმნაზისტ ვაჟებს, რომ მათი გული მოინადიროს. ყოველივე ამით აღშფოთებული პ. მირიანაშვილი წერს: „მაინც და მაინც ვერაფერი ყოფილა შენი „სვეტი“ და მაქვს იმედი ამისთანა პირფერობითი სტატიებით სულ დაუქარგავთ თქვენს გაზეთს ნაზანდას“.

რამდენიმე წერილია მიძღვნილი გიმნაზიის პოეტებისადმი. მათ შორის აღვნიშნავთ პ. მირიანაშვილის წერილებს „ქორთა პოეტები“ („ია“, 1880, № 1 და № 2), რომლებშიც გამოთქმულია აზრი, რომ საზოგადოდ ჩვენში პოეზიას უფრო ეტანებიან, ვიდრე პროზას, და რომ, მართალია, ზოგიერთი მოსწავლის ლექსებში გამოსჭვივის „პოეტკური გრძნობა და პატრიოტული ძლევალება“, მაგრამ ამასთანავე მათ უნდა ვუსაყვედუროთ ქართული ენისა და, ლიტერატურის ცოდნის სისუსტე. ავტორის თქმით, მათ ჯერ კიდევ ბევრი შრომა მოელოთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გამართულად წერას.

სხვა წერილებშიც ნოცემულია დამწყები პოეტების ნაწარმოებთა გარჩევა. ხშირად ზომიანე მკაცრიც. „ია“ დიდ მოთხოვნებს უყენებს გაზეთში წარმოდგენილ ავტორებს. რაიმე შეღავათის ნაცემამ იმ მოსაზრებით, რომ მოსწავლეთა გაზეთთა და ყველაფრის მოთავსება შეიძლება, რედაქციას არასწორად მიაჩნია, იგი სოლიდურობისათვის იბრძვის:

„არ გაიმართლოთ თავი ინით, რომ „ია“ არის საყმაწვილო გაზეთი და ყველაფერი შეიძლება აქაო. არა, „იაც“ ვალდებულია დაიცვას სალიტერატურო წესდებულება, რაოდენ ეს შესაძლებელი იქნება“ („ია“, 1880, № 8-9, წერილი „ბ. თაყაიშვილს“).

გაზეთში მოთავსებულია ა. ქვიტიკიელის, სილოვან ხუნდაძის, ე. ჩიქოვანის, ივ. გოკიელის, თაყაიშვილისა და სხვათა ლექსები, რომლებაც შეეხებიან სამშობლოსა და ქართული ენის სიყვარულს, მეგობრობას, ურთიერთგამტანობას, მოსწავლეთა ცხოვრებასა და ა. შ. ამ ნაწარმოებთა მხატვრული დონე, მართალია, დაბალია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი ავტორები ბავშვები არიან.

„ია“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლემიკას აწარმოებს გიმნაზიის სხვა ჟურნალ-გაზეთებთანაც. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ იგი თავის ფურცლებს უთმობს მოწინააღმდეგეთა წერილებსაც (ს. ხუნდაძისა და სხვებისას), თუმცა იქვე ათავსებს წათკრივულ გარჩევასაც.

გაზეთს მხედველობიდან არ რჩება ქალაქის კულტურული ცხოვრების არც ერთი მხარე. გულთბილად გამოეხმაურა „ია“ ქუთაისში თეატრის გახსნას. პ. მირიანაშვილი წერილში „თეატრის დანიშნულება და ჩვენი ახალი თეატრი“ („ია“, 1880, № 4) ხაზ-

გასმით აღნიშნავს თეატრის დიდ მნიშვნელობას და გულისტკივილით ამბობს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა ნაკლებად ესწრება სპექტაკლებს. ავტორი მოუწოდებს მათ, რომ გროშები არ დაიშურონ და თეატრში იარონ, რათა გონებრივი ჰორიზონტი გაიფართორონ.

დასასრულ, შეეჩერდებით „იის“ რედაქციის ურთიერთობაზე ავტორებთან. გაზეთის თითქინის ყოველ ნომერში იგი მოუწოდებს მათ, აქტიურად ითანამშრომლეთ ჩვენთანო:

„რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბატონთა თანამშემწეთა, რათა კეთილსინდისიერად აღასრულონ მათ თავიანთი მოვალეობის საქმე“ („ია“, 1880, № 3, 7 და სხვა).

რედაქცია, როგორც ჩანს, საკმაოდ გულმოდგინედ მუშაობდა შემოსულ მასალებზე — ასწორებდა მათ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ამოკლებდა კიდევ. ალბათ, ამით იყო გამოწვეული ერთ-ერთი ავტორის — სეხნიოურელის წერილი პ. მირიანაშვილისადმი:

„უფალო რედაქტორო! მთხოვნელი ვარ, რომ ეს ჩემი სტატია გამოუცვლელად გამოუშვათ თქვენს „იაში“, რადგან პირველი სტატია ჩემი იყო ადგილობრივ გამოკლებული“. რედაქციას ავტორის თხოვნაზე ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „კი შენი ჭირიძე, ბატონი ბრძანდები! შეუცვლელად ვწერთ შენს სტატიას გაზეთში“ („ია“, 1880, № 3).

უფრო მეტიც, ირკვევა, რომ რედაქცია ყველა მასალას ასწორებდა და ნხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ათავსებდა უცვლელად ზოგიერთი ავტორის წერილს. თანაც, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში სპეციალურად აღნიშნავდა, რომ (ავტორისეული მასალა ხელუხლებლად ქვეყნდებო. ასე, მაგალითად, წერილს „პანსიონის კორესპონდენცია“ („ია“, 1880, № 5) ასეთი მინაწერი აბლავს: „გაუსწორებლივ“.

გაზეთი სარედაქციო მუშაობის სხვა წვრილმანებსაც ატყობინებს მკითხველებს: „სააღდგომო დათხოვნამდის გაგრძელდება კიდევ გამოცემა „იისა“, მერმე კი შეწყდება ვიდრე სექტემბრამდე“ („ია“, 1880, № 7); „იძულებულნი ვართ, რომ გამოვკეთ ორი უკანასკნელი ნომერი ერთად, მისთვის რომ დროება ნებას არ გვაძლევს. ეკზამენი ახლოა“ („ია“, 1880, № 8-9) და ა. შ.

საერთოდ „ია“ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მასალები ძირითადად დაწერილია გამართული ენით და რაც შეეხება მის შინაარსს, როგორც ზემოთ დავინახეთ, იგი ნეტად მრავალფეროვანია, გაზეთში იმ დროისათვის ბევრი აქტუალური საკითხია აღწერილი.

ბ) სილოვან ხუნდაძის „სამშობლო“

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა გასული საუკუნის 80-იანი წლების ხელნაწერ ორგანოებს შორის ყურადღებას იპყრობს სილოვან ხუნდაძის (1860-1928) გაზეთი „სამშობლო“¹, რომლის შესახებაც ზემოთ გაკვრით გვქონდა საუბარი.

სილ. ხუნდაძემ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ მერე რატომღაც მედიცინის შესწავლას თავი დაანება და გადავიდა აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. კურსი რომ დაამთავრა, პედაგოგიურ მუშაობას შეუდგა — ასწავლიდა ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას ქუთაისის სკოლებში. სილ. ხუნდაძე მაღალი სულიერი თვისებებით იყო აღჭურვილი. მას ახასიათებდა პრინციპულობა, პირდაპირობა, გამბედაობა, ქედუხრელობა. იგი უაღრესად პატიოსანი და უანგარო, კეთილი გულისა და შრომისმოყვარე ადამიანი იყო, მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა: წერდა ლექსებს, პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, მუშაობდა ენათმეცნიერების, გრამატიკის პრობლემებზეც.

ცნობილია, მაგალითად, რომ სილ. ხუნდაძე ქუთაისის გაზეთებში ბისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს პოლიტიკურ და ყოველდღიურ საჭირობათო საკითხებზე საერთო სათაურით — „შინაური მტრები“. იგი შეუბრალებლად ამხელდა და ამათრახებდა ყოველგვარ მანკიერებას და არ ინდობდა საზოგადოების პრივილეგიური ფენების მესვეურებსაც კი. სახელდობრ. სილ. ხუნდაძე არ მოერიდა ქუთაისის გუბერნიის მარშლის (თავადაზნაურობის წინამძღოლის) დავით ნიჟარაძის კრიტიკასაც, რის გამოც ეს უკანასკნელი გააცეცხლებული მიუვარდა გიმნაზიაში ავტორს, სადაც იგი მასწავლებლობდა. მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რადგან ჯერ ერთი, სილ. ხუნდაძე მას მაგრად დაუხვდა და თანაც მოსწავლეებისა შეეშინდა, რომლებიც თურმე დამუქრებიან, რომ თუ იგი მათ საყვარელ მასწავლებელს შეურაცხყოფას მიაყენებდა, ერთი კარგად მიბეგვავდნენ.

სილ. ხუნდაძეს გამოცემული აქვს ლექსების კრებულები (1892 და 1914 წლებში), აგრეთვე წიგნები გრამატიკისა და სალიტერატურო ქართულის საკითხებზე. მართალია, სილ. ხუნდაძის პოეზიას მაღალმხატვრული ღირებულება არ გააჩნია, მაგრამ უნდა

¹ ჩვენამდე მოღწეულია 1880 წლის ოთხი ნომერი. პირველ ნომერს აწერია „საყოველკვირაო ქურნალი“, ხოლო დანარჩენ ნომრებს — „საყოველკვირაო გაზეთი“ (საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ფონდი 5, საქმე 8).

ითქვას, რომ სოციალური პრობლემატიკა მის ლექსებში საკმაოდ თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი. მარტო ის ფაქტორი, რომ მეფის ცენზურამ სილ. ხუნდაძის ლექსების 1914 წლის გამოცემაში ექვსი ლექსი ამოაგდო¹, პოეტის მაღალ მოქალაქეობრიობასა და პროგრესულობას მოწმობს. თავის დროზე სილოვან ხუნდაძე უაღრესად შეიძრწუნა ესტატე მკედლიძის მკვლელობამ და მის ხსოვნას ლექსი უძღვნა², დაწერა აგრეთვე აღშფოთებით აღსავსე წერილი ამ მკვლელობის შესახებ „ქუთაისი, მაისის 9-ს“³, რომელშიც ის აზრია გამოთქმული, რომ „ცოდვით სავსე“ კანცელარიის (გაბრიელ ეპისკოპოსთან) საქმეების გამო მას მტრები გამოუჩნდნენ და მოკლესო. ამ ლექსის „შენიშვნებში“ სილ. ხუნდაძე წერს: „ეესტათი მკედლიძესთან ძლიერ დაახლოებული ვიყავი. ნიჭიერი კაცი იყო და, რომ დასცლოდა, კარგი კრიტიკოსიც გამოდგებოდა („ბოსლეველის“ ფსევდონიმით წერდა), იმერეთის ეპისკოპოსის კანცელარიის მდივანი იყო და უსულო „სულიერი მამების“ სფეროში პირდაპირობამ დაღუპა... მეგობრის სიკვდილმა, ან უსინდისო მკვლელობამ საშინლად ამაღელვა და, როცა ამ ლექსს ვწერდი, ვტიროდი, ცრემლებად ვიღვრებოდი“⁴. ამ საზიზლარი მკვლელობის გამო გამართულ სასამართლო პროცესზე სილ. ხუნდაძეც გამოსულა სიტყვით, რომელშიც მკაცრად უმხილება მკვლელობის ორგანიზატორები. ამის გამო სილ. ხუნდაძის სამართალში მიცემაც კი გადაუწყვეტიათ, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი ისე დაძაბული იყო, რომ ამ განზრახვის განხორციელება ვეღარ გაუბედავთ.

ზემოაღნიშნულ მრავალ დადებით თვისებებთან ერთად სილ. ხუნდაძეს გააჩნდა ერთი სისუსტე. სამწუხაროდ, მას ერთგვარად გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა თავის შემოქმედებაზე, ვერ იტანდა, როდესაც მისი ნაწარმოებების ნაკლოვანებებზე მიუთითებდნენ. მაგალითად, ამის თაობაზე სილ. ხუნდაძეს მწვავე პოლემიკა ჰქონდა გამართული „ივერიის“ ჟურნალისტთან არტემ ახნაზაროვთან. ამ უკანასკნელმა „ივერიაში“ (1894, № 216) დაბეჭდა ფელე-

¹ ამ წიგნის ბოლოს მიწერილია: „შეითხველის საყურადღებოთ. ცენზურის განკარგულებით გამოტოვებულია ლექსები: 1. ქართველი (გვ. 18), 2. ფინლანდიას (გვ. 21), 3. დ. ყ-ნის გადასახლების გამო (გვ. 29), 4. დ. ყ-ნის გარდაცვალებაზე (გვ. 36), 5. შეკითხვები სამშობლოსადმი (გვ. 116), 6. სად არის ღმერთი? (გვ. 172)“ (ს ი ლ ო ვ ა ნ ი. თხზულებანი. ლექსები. ქუთაისი, 1914, გვ. 289).

² „ღრობა“, 1885, № 100, იხ. აგრეთვე: ს ი ლ ო ვ ა ნ ი. თხზულებანი. ლექსები. ქუთაისი, 1914, გვ. 24-25.

³ „ღრობა“, 1885, № 100. შდრ. ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი. ნაწერები. 1961, გვ. 9.

⁴ ს ი ლ ო ვ ა ნ ი. თხზულებანი. ლექსები. ქუთაისი, 1914, გვ. 276.

ტონი სათაურით „სველი პოეზია“, რომელშიც გაკრიტიკებული იყო „კვალში“ გამოქვეყნებული სილ. ხუნდაძის პოემა „გემის დაღუპვა“.

ა. ახნაზაროვი სამართლიანად უსაყვედურებს ავტორს, რომ პოემა სუსტია, რასაც სათანადოდაც ასაბუთებს. ამიტომ, ცხადია, სილ. ხუნდაძემ შეცდომა დაუშვა, ჩიორას (ა. ახნაზაროვს) პასუხი რომ დაუწერა და „ივერიაში“ გაგზავნა დასაბუქდად. გაზეთმა ეს წერილი მაშინვე გამოაქვეყნა¹, რითაც ა. ახნაზაროვის სატირული ფელეტონის პოზიციები უფრო განამტკიცა. სილ. ხუნდაძე კიდევ უფრო არასაჭარბიელო მდგომარეობაში აყენებს საკუთარ თავს, როცა წერს, რომ ჩიორასა და „ივერიის“ ზოგიერთ სხვა თანამშრომელს ჩემთან პირადად ცუდი განწყობილება აქვთ და წინასწარ ვიცი ჩემზე რას დაწერენო, თანაც პათეტიკურად დასძენს: „იინი ამ შემთხვევაში მომაგონებენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროის დეპუტატებს, რომელთაც წინდაწინვე ჰქონდათ გადაწყვეტილი ლუდოვიკო XVI-ის სიკვდილი და მხოლოდ ფორმისათვის მისცეს მას თავის გამართლების ნება“. „ივერიის“ რედაქციამ სილ. ხუნდაძის ამ წერილს სპეციალური შენიშვნაც კი გაუკეთა: „ვებუქდავთ ამ წერილს სრულიად ხელუხლებლად, თუმცა გვიკვირს კი ჩვენ რად მოგვმართა ავტორმა, როდესაც შეეძლო იმ გაზეთში დაებუქდა იგი, რომელშიაც თითონ თანამშრომლობს (იგულისხმება „კვალი“—შ. გ.)... იქნება ამით მაინც დარწმუნდეს, რომ რედაქციას პირადად იმის წინააღმდეგ არა აქვს რა და თავის თანამშრომელთა შორის არაფერი ეგულება ისეთი, რომ იმასთან „პირადი უკმაყოფილება და ცუდი განწყობილება“ რომ ჰქონდეს“. რედაქცია, რა თქმა უნდა, მართალი იყო. ობიექტური კრიტიკა სილ. ხუნდაძემ პირად შეურაცხყოფად მიიღო.

„სველ პოეზიას“ სილოვან ხუნდაძემ არც შემდეგ დაანება თავი და 1915 წელს დაწერა ლექსი „რიონის ნაპირებზე (წყალდიდობის გამო)“, რომელიც გაუგზავნა ს. გერსამიას ჟურნალ „ახალ მოამბეში“ დასაბუქდად. არც ეს ლექსია „გემის დაღუპვაზე“ ძლიერი, მაგრამ ავტორს იგი უზადო ნაწარმოებად მიაჩნია, რაც მისი წერილიდან ჩანს (დართული აქვს ლექსს): „ბ-ნო რედაქტორო! გაახლებთ ჩემს ახალ ნაწერს — ლექსს („რიონის ნაპირებზე“) ... გთხოვთ პირველ ნომერში დაბეჭდოთ და ... მხედველობაში მიიღოთ... ლექსის შესწორების ნებას ვერ მოგცემთ ისე, თუ არ მაცნობეთ რა მიგაჩინათ გასასწორებლად...“²

რაც შეეხება სილოვან ხუნდაძის ენათმეცნიერულ, გრამატი-

¹ „ივერია“, 1894, №220.

² ლექსის ორიგინალი და წერილი დაცულია საქართველოს სახელმწიფო სათავტრო მუზეუმის ს. გერსამიას ფონდში.

კულ და ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომებს, მათ დღეისთვისაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. მან ვრცელი წერილი უძღვნა ილია ჭავჭავაძის პოემის „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ განხილვას („კვალი“, 1894, № 18, გვ. 7), თუმცა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ი. ბოცვაძე, ვერ შეძლო „მოეცა პოემის სრული და ობიექტური ანალიზი“¹. სილ. ხუნდაძემ ჟურნალ „ივერიაში“ საინტერესო კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა „ისტორიული კილო გრ. ორბელიანის ლექსებში“². ნ. ტაბიძე ქების ღირსად მიიჩნევს სილ. ხუნდაძის მიერ ამ წერილში გრ. ორბელიანის შემოქმედების გარჩევას. „ივერიის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, — წერს ნ. ტაბიძე, — ს. ხუნდაძის ნიჭიერი და საინტერესო წერილის პუბლიკაცია“³. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სილ. ხუნდაძის ენათმეცნიერული ხასიათის წიგნები („ქართული ზმნები“, „სალიტერატურო ქართული“, „ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები“ და სხვ.) ახლაც სპეციალისტების მაღალ შეფასებას იმსახურებენ⁴.

სილოვან ხუნდაძის ხელნაწერი გაზეთის „სამშობლოს“ ოთხი ნომერი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაცულია საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში (ფონდი 5, საქმე 8)⁵, ხოლო ერთი (№ 1) — ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში⁶. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ „სამშობლო“ რამდენიმე ეგზემპლარად იწერებოდა.

თუ რა მიზნებს ისახავდა ეს ხელნაწერი გაზეთი, კარგად ჩანს სილოვან ხუნდაძის მოწინავე წერილიდან „ჟურნალ-გაზეთები და მათი მნიშვნელობა“ („სამშობლო“, 1880, № 1). ავტორი ხაზს უსვამს ჟურნალ-გაზეთების დიდ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იქ სადაც პრესას არ კითხულობენ, ცხოვრება ზანტად, ზარმაცად და ყრუდ მიდის, რადგან ხალხმა არ იცის რა ხდება ქვეყანაზე, ხოლო

¹ ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. ტ. 1. 1957, გვ. 71. ილიას შემოქმედებაზე სილ. ხუნდაძეს სხვა წერილებიც აქვს (იხ. „კვალი“, 1894, № 20, 29, 30), აგრეთვე წიგნიც: „ილია ჭავჭავაძე“ (თბ., 1910).

² ჟურნ. „ივერია“, 1882, № 12, გვ. 103-104.

³ ნ. ტაბიძე. ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან. 1968, გვ. 240.

⁴ შლრ. გ. შანიძე. სილოვან ხუნდაძე (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1972 წლის 15 მაისი).

⁵ კერძოდ, აქ არის: № 1, 2 მარტი; № 2, 9 მარტი; № 3, მარტი (რიცხვი არ არის ნაჩვენები); № 4, 23 მარტი. ფორმატი 22 სმ X 35 სმ.

⁶ პ. ვაკრიძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა (კრებულში: „ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები“. თბ., 1968, გვ. 61).

ძისი საშუალებით კი საზოგადოება იგებს არა მარტო ახლო, არამედ შორეული ქვეყნების ამბებსაც, ეცნობა სხვადასხვა ერთა ცხოვრებას. ავტორის თქმით, პრესა კიდევ იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მასში მოცემულია პოლემიკა, აზრთა ურთიერთგაცვლა, რითაც აშკარავდება საზოგადოების მანკიერი მხარეები; მკითხველიც იწყებს სჯას, გონება ეხსნება, კარგს შეითვისებს, ცუდს უკუაგდება; ამასთან ადამიანები სწავლობენ გამართული ენით ლაპარაკსა და წერას. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთების მნიშვნელობას მოსწავლეთათვის, ამაზე სილ. ხუნდაძე ამბობს:

„... თქვენ, ახალგაზრდა ყმაწვილებო, რადგანაც ხქდავთ, რომ სასწავლებელში თითქმის არ გესმით სამშობლო ენა, გამართებთ: ეცადოთ თვითაღზრდას, აქედანვე შეეჩვიოთ წერას და გამოიჩინოთ თქვენი ამ დრომდის დაფარული ტალანტი. თუმც ჩვენს ჟურნალებს არ ექმნებიან იმისთანა მინარტულეობა და მნიშვნელობა, როგორც აქვთ ნაბეჭდ ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ მოსწავლეები მისთვის გვიქვიან ჩვენ, რომ ვისწავლოთ ჯერ და მოვემზადოთ მომავალ მოქმედებისათვის“.

ისევე როგორც ქუთაისის გიმნაზიის სხვა ხელნაწერ ორგანოებში, „სამშობლოშიც“ გვხვდება ცნობები მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების შესახებ. მაგალითად, წერილში „პასუხი «ციცინათელას» რედაქტორს“ („სამშობლო“, 1880, № 3) სილოვან ხუნდაძე აღნიშნავს, რომ „ციცინათელას“ მეხუთე ნომერში მოთავსებული ყოფილა გოცირიძის (ამ გაზეთის რედაქტორის) შენიშვნა „სამშობლოს“ გამოსვლის თაობაზე და თურმე ავტორი საყვედურს გამოთქვამდა: რა საჭირო იყო აღნიშნული გაზეთის გამოცემა, უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენთვის გაეწია დახმარებაო.

„მამაცხონებული ეგ «ციცინათელა“, — წერს სილ. ხუნდაძე, თვეში ერთჯერ გამოიღვიძებს, თვარა სულ ძინავს და ჩვენც ამას გვიჩვენებს, რომ ნურც თქვენ გლვიძავთ, თქვენც დაიძინეთო. ჩვენ მკვდარი გვეგონა და ხედავთ, რომ კიდევ შერჩენია სული? კი მაგრამ ტყვილა პანაშვიდს რაღად გვახდევინებდა, თუ პირში სული კი ედგა?“ თუ ასე უჭირს „ციცინათელას“ რედაქტორს მასალები, ჩვენ მზადა ვართ დახმარება აღმოგუჩინოთ, ამბობს კრიტიკოსი, მაგრამ ყველა საქმეს სათანადო ხელმძღვანელობა უნდა, უსაძირკველოდ სახლი არ აშენდებოთ, თუ ხე თვითონ ხმელია, მის შტოებს რა გაანდლებს და მან ნაყოფი როგორ უნდა გამოიღოსო. „ციცინათელას“ შესახებ მსჯელობს აგრეთვე მ. ძნელაძე წერილში „მკვდრეთით აღდგენილ «ციცინათელას»“¹. მასში დაგმობილია გოცირიძის გამოსვლობა „სამშობლოს“ წინააღმდეგ.

¹ „სამშობლო“, 1880, № 3.

წერილში „მირიანოვს“¹, რომლის ავტორია „კახტა კუჭი“², საყვედურებია გამთქმული პეტრე მირიანაშვილის გაზეთ „იის“ ენის მიმართ — ამ გაზეთში გაუგებრად წერენო: „იას“ კითხულობენ მეორე კლასიდან დაწყებული მერვე კლასამდე, თითქმის ყველა, და აბა რომელი დაბალკლასელი ან ზოგიერთი მაღალკლასელიც გაიგებს იმ გამოთქმებს, რომლებსაც პ. მირიანაშვილი ხმარობსო. ავტორს მაგალითად მოჰყავს შემდეგი ადგილი მისი ერთ-ერთი წერილიდან: „ფიქრნი მათი ჩაინთქებოდნენ განსაკუთრებით ლტოლვილებათა შინა საკუთრის პიროვნულის სიკეთისადმი“. მართლაც, დამძიმებული, ბუნდოვანი წინადადება და სწორად შენიშნავს „კახტა კუჭი“, რომ საპიროა უფრო გასაგებო, სასაუბრო ენით წერაო.

ერთ-ერთი ავტორი ე. ამაშუკელი წერილში „ჩვენი მწერლების წრე“³ ხაზს უსვამს ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების დიდ მნიშვნელობას მოსწავლეთა ცხოვრებაში. მას განსაკუთრებით მოსწონს ერთი საერთო დევიზი, რომლითაც ხელმძღვანელობს და მოქმედებს გიმნაზიის პრესა: „სამშობლოს სძინავს, უნდა გავალღიძოთ, სამშობლო ენა უნდა აღვადგინოთ“. ე. ამაშუკელის აზრით, გიმნაზიის ჟურნალ-გაზეთები ამასთანავე მიზნად უნდა ისახავდნენ იმას, რომ მოსწავლეებმა იაწავლონ თავიანთ თავზე მუშაობა, ლოგიკური მსჯელობა, აზრების შეფასება. ავტორი რედაქტორებს ურჩევს ხშირად მოათავსონ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის შემცველი სტატია, რათა მკითხველთა შორის გაიშალოს პოლემიკა, აზრთა ურთიერთგაცვლა. იგი რეკომენდაციას უწევს საგაზეთო მუშაობის ასეთ ხერხსაც: თუ არასწორი აზრია გამოთქმული რომელიმე სტატიაში, მომდევნო ნომერში გასწორდეს დაშვებული შეცდომებიო და სხვ. ავტორის ღრმა რწმენით, მუშაობის ასეთი სტილი „მოიყვანს ყმაწვილებს მოძრაობაში, მაგრად ჩანერგავს მათში მართალ და სასარგებლო აზრებს“. დასასრულ, ე. ამაშუკელი მიუთითებს მოსწავლეთა ჟურნალ-გაზეთების საქმიანობის მთავარ მიმართულებაზე: „საქმე ისე უნდა წაიყვანონ რედაქტორებმა, რომ მათ ჰქონდეთ უფლება განაცხადონ: ჩვენ დავბადეთ ყმაწვილებში ლურჯილი დედა-ენის შესწავლისა, ჩვენ გავაცოცხლეთ მათში კაცთმოყვარეობა“.

მშობლიური ენის სრულყოფილად შესწავლის საკითხისადმი არის მიძღვნილი სილოვან ხუნდაძის ერთი უსათაურო წერილი⁴. ავტორი დიდად განიცდის ქართული ენის დაქვეითებას, იმას, რომ

¹ „სამშობლო“, 1880, № 3.

² სილოვან ხუნდაძის ფსევდონიმი უნდა იყოს.

³ „სამშობლო“, 1880, № 4.

⁴ „სამშობლო“, 1880, № 1.

ძალზე მომრავლდნენ ისეთი პირები, რომლებსაც აღარ ძალუძოთ თავისუფლად გამოთქვან აზრი დედაენაზეო. ენაპრელოზის, სხვა ენების სიტყვათა შერევის გარეშე ლაპარაკი ზოგს უკვე აღარ შეუძლიაო, გულისტკივილით დასძენს ავტორი და მოჰყავს სათანადო მაგალითები გიმნაზიის მოსწავლეთა ცხოვრებიდან. იგი მათ მოუწოდებს წესიერად ილაპარაკონ ქართულად. სილ. ხუნდაძე შემდეგ აღნიშნავს, რომ ამ ნაკლს მარტო გიმნაზიელთა წრეში როდი ვხვდებით, იგი თურმე საქართველოს ყველა კუთხეში შეიმჩნევა. რასაკვირველიაო, ამბობს ბოლოა ავტორი, სხვა ენის ცოდნა კარგია, მაგრამ მისი შესწავლის დროს დედაენა არ უნდა დაივიწყოთო.

„სამშობლო“ დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა ცხოვრებას, მათი სწავლა-აღზრდის საკითხებს. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს სილოვან ხუნდაძის წერილი „ჩვენი სასკოლო აღზრდა“¹. ავტორის თქმით, ბავშვების აღზრდაში ორი უმთავრესი მხარეა — გონებრივი და ზნეობრივი. სასწავლებელში ისინი ცოდნას ტანჯავაწვალებით იძენენ (განსაკუთრებით ლათინურის გადამკიდეო, ირონიულად დასძენს ავტორი). მაგრამ რა? დაამთავრებენ სასწავლებელს, გაივლიან თავიანთი სიცოცხლის ნახევარ გზას ისე, რომ ცხოვრებისათვის მაინც არ არიან მომზადებული. და, რაც მთავარია, მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა უყურადღებოდ არის მიტოვებულიო. საკმარისი არ არის იცოდენ: ორჯერ ორი ოთხია, ან ოვიდიუსი რომელ საუკუნეში ცხოვრობდა და რა დაუწერია, არამედ „აუცილებლად საჭიროა იმასაც სწავლობდეს ყმაწვილი თავიდანვე, როგორ მოიქცეს საზოგადოებაში, იცოდეს, რაც აუცილებლად საჭიროა ცხოვრებაში. აქედანვე თუ არ შევისწავლით მომავალი ცხოვრების წესებს, თუ არ მივეჩვიეთ კარგ ყოფა-ქცევას, ოცდაათი წლის შემდეგ რა დროისაა იმათი სწავლა“. ასეთია სილოვან ხუნდაძის მსჯელობა ამ ფრიად საყურადღებო საკითხზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი უდავოდ ბევრ ანგარიშგასაწევ რჩევას შეიცავს.

ქუთაისის ზოგიერთ სასწავლებელში შექმნილ არანორმალურ მდგომარეობას ეხება ხელმოუწერელი წერილი „ახალი ამბავი“². ერთ-ერთი ამ სასწავლებლიდან³ რედაქციას ატყობინებენ, რომ სასწავლებლის ზედამხედველის სიძუნწის გამო ზამთარში საკლასო ოთახებში საშინელი სიცივე ყოფილა. ერთ ყინვიან დღეს თურმე ნორჩი მოსწავლე სველი ფეხებით შესულა კლასში, დამჯდარა მერხზე და ფეხსაცმელები იატაკზე მიჰყინვია. ყმაწვილს ყვირილი აუ-

¹ „სამშობლო“, 1880, № 2.

² იქვე.

³ წერილში დასახელებული არ არის, თუ რომელ სასწავლებელზეა ლაპარაკი.

ტენია. ბავშვები თურმე მისცვიდნენ საწყალს და ძლივს უშველეს — მიყინული ფეხსაცმელები დიდი გაქირვებით ააგლიჯეს იატაკიდან. ამ შემთხვევის შემდეგ მასწავლებლები გაკვეთილის დროს მოსწავლეებს ურჩევდნენ ფეხები იატაკზე აბაკუნონ, რომ არ გაიყინონ და თვითონვე აძლევენ ამის მაგალითსო, მწარე ირონიით შენიშნავს ავტორი.

„სამშობლო“ სიხარულით გამოეხმაურა ხონში სამასწავლებლო სემინარიის გახსნას. ამ საკითხისადმი მიძღვნილ წერილში ავტორი („ვინმე ხონელი“)¹ აღნიშნავს, რომ იგი კარგად იცნობს ხონის ცხოვრებას. განსაკუთრებით მოსწონს ის, რომ ჩამორჩენილი გლეხკაცებიც კი ცდილობენ თავიანთ შვილებს განათლება მისცენო. ქუთაისლები ხელის შეწყობის ნაცვლად თურმე ხონში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის წინააღმდეგ გამოდიანო, გულისტკივილით შენიშნავს ავტორი და ყოველმხრივ იცავს ხონელთა ინტერესებს. მისი აზრით, საქართველოს რაც უფრო მეტ დაბა-ქალაქში გაიხსნება სასწავლებლები, მით უფრო უკეთესია ხალხისათვის. უფრო მეტიც, იგი არასწორად მიიჩნევს სასწავლებელთა თავმოყრას მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში. ავტორის ეს დასკვნა, რა თქმა უნდა, სამართლიანია.

იგივე „ვინმე ხონელი“ სხვა წერილში „ჩვენი ცრუ-პატრიოტები“² მკაცრად აკრიტიკებს იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც სწავლა მიატოვეს, ქუჩა-ქუჩა დადიან და ავრცელებენ ხმას, რომ ისინი ვითომ პატრიოტები არიან და ზრუნავენ იმისათვის, რომ ხალხს რჩევა-დარიგება მისცენ. ავტორის თქმით, ეს სრული სიცრუეა: მათ მიერ სწავლის მიტოვების მიზეზი სინამდვილეში მხოლოდ მათი სიზარმაცეა და ამისთანა უცოდინარი ცრუ-პატრიოტები სამშობლოს, აბა, რას არგებენო.

სხვა პუბლიცისტურ წერილებს შორის უნდა დავასახელოთ კიდევ ერთი, რომელიც ოჯახის შექმნის საკითხს ეხება. ეს არის მ. ძნელაძის სტატია „ახლანდელი ცოლ-ქმრის ბედნიერება“³. მასში გამოთქმულია ის აზრი, რომ საცოლე ვაჟი ქალის გარეგნობამ და მზითვებმა კი არ უნდა გაიტაცოს, არამედ, რაც მთავარია, გარეგნულ სილამაზესთან ერთად შინაგანი სიმშვენიერეც მოძებნოს, განსაკუთრებით ისეთი თვისებები, როგორცაა პატიოსნება, კარგი ყოფაქცევა, ოჯახის ერთგულება და სხვა. ავტორის შეხედულებით, ოჯახური ბედნიერებისათვის აუცილებელია აგრეთვე ის, რომ ქალ-ვაჟი ხასიათით ერთმანეთს ეთვისებოდეს.

¹ „სამშობლო“, 1880, № 4.

² „სამშობლო“, 1880, № 3.

³ „სამშობლო“, 1880, № 4.

„სამშობლოში“ მრავლად გვხვდება ლექსები, მოთხრობები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები. მართალია, არც ისინი გამოირჩევიან მაღალი მხატვრული დონით, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მათ თემატიკას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოტივები განსაზღვრავენ. მაგალითად, სილოვან ხუნდაძის ლექსი „ბერძნის სიმღერა“¹ თითქოს თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბერძენი ხალხის ბრძოლას ეხება, მაგრამ სინამდვილეში არ შეიძლება მასში ქართველებისათვის მტკივნეული პრობლემები არ დავინახოთ. აღდექი, ჩემო სამშობლოვ, ძველებურად აყვავდიო, ამბობს პოეტი, ხმალი აიღე ხელში და მტრები გაანადგურე, მოუხმე ძველ გმირებს, რომ მოძალადეებზე გამარჯვებაში დაგვეხმარონო. მაგრამ სად არიან ეს გმირები? სამშობლო ჯაჭვებითაა შებოჭილი. ვის ვუცადოთ? მოდიო, ჩვენ თვითონ მოვეხმაროთ სამშობლოს და მტრისაგან ვიხსნათ იგი, ჰამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეებათ მომხდურთ, სახლად საპყრობილე არ გამოგვადგებაო. ბუნებრივია, რომ ის, რაც საბერძენთზეა ნათქვამი ამ ლექსში, საქართველოზე უნდა ეგულისხმა მაშინდელ მკითხველს.

გ. მ-ძის ლექსი „ქართველების საფლაგზე“² მიძღვნილია იმ გმირი ქართველებისადმი, რომლებიც სამშობლოს იცავდნენ და თავი შესწირეს მისი თავისუფლებისათვის ბრძოლას. ავტორი ნაღვლიანად მიმართავს მათ:

„მაგრამ უბედურ დროთ ვითარებამ
არ აღასრულა თქვენი სურვილი“.

ამრიგად, პოეტის აზრით, სამშობლო კვლავ მოკლებულია თავისუფლებას. სახელოვან წინაპართა გმირობა შთამაგონებელ მაგალითად მიაჩნია პოეტს და სჯერა, რომ ხალხი მათ უკვდავების ძეგლს აღუმართავს.

გარდა ამისა, „სამშობლოში“ მოთავსებულია სილოვან ხუნდაძისა და სხვა ავტორთა ლექსები საყოფაცხოვრებო, სატრფიალო და ზოგიერთ სხვა თემაზეც. აქვე გვხვდება რამდენიმე ხალხური ნაწარმოებიც: „ვენახის ლექსი“ (1880, № 1, 2), „სიმღერა (სახალხო)“ (1880, № 1).

პროზაული ნაწარმოებებიდან თავისი სოციალური უღერადობით აქ გამოირჩევა „სცენა ოჩ-ს სასამართლოში“³. მისი მოკლე შინაარსი ასეთია. სასამართლოს საქმის მწარმოებელი გლეხს

¹ „სამშობლო“, 1880 № 1.

² „სამშობლო“, 1880, № 4.

³ „სამშობლო“, 1880, № 2. ნაწარმოები ზემოთაღწერილია. შესაძლოა იგი თვით სილოვან ხუნდაძეს ეკუთვნოდეს.

ქრთამსა სთხოვს, რომ მისი საქმე კანონის ძალით განიხილონ. გლეხი გამწარებულია ამ უსამართლობით და სასოწარკვეთილი ეუბნება მას: „შენი კანონი ისაა, როგორ გაძარცვო ჩემისთანა საწყალი კაცი“. რაც შეეხება სხვა მოთხოვნებს, რომლებიც ამ ხელნაწერ გაზეთში გვხვდება, ისინი არ იმსახურებენ ყურადღებას არც თემატიკისა და არც მხატვრულობის თვალსაზრისით.

როგორც ჩანს, სილოვან ხუნდაძის „სამშობლოს“ თანამშრომლები ნაკლებად ჰყოლია და ზოგიერთ ნომერში თურმე მთლიანად რედაქტორის მასალები ყოფილა მოთავსებული (ამის თაობაზე ხომ პ. მირიანაშვილიც საყვედურობდა სილ. ხუნდაძეს). აღნიშნულზე მეტყველებს, კერძოდ, ასეთი სარედაქციო შენიშვნა: „იმედია მაპატიებს მკითხველი, თუმც ამ ნომერში ჩემ სტატიების გარდა სხვებს ვერ ნახავს, — მით უფრო, რომ ეგ პირველი გამოცემაა. იმედი გვაქვს, რომ კორესპონდენტები მოგვაწვდიან აწი შემწეობას“¹.

სხვა ნომრებშიც რედაქტორი დაბეჯითებით სთხოვს მკითხველებს, რომ მონაწილეობა მიიღონ გაზეთში. იგი ქალთა გიმნაზიის მოსწავლეებსაც კი მოუწოდებს თანამშრომლობისათვის². საერთოდ „სამშობლოს“, ეტყობა, მკითხველი საკმაო რაოდენობით ჰყავდა. რედაქცია თითქმის ყოველ ნომერში სთხოვს მათ, რომ დიდხანს არ დააკავონ გაზეთი და დროულად გადასცენ სხვას წასაკითხად.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვით შევეხოთ „სამშობლოს“ 1880 წლის მესამე ნომრის სათაურის ქვეშ მოთავსებულ შემდეგ სჯროფს:

„იცოდეთ რომა მამულისთვის ის ძე ფუქია,
ვისაც ნაყოფი ტყბილი მისთვის არ მიუცია“.

ეს არის გიმნაზიაში 1880 წლის 21 თებერვალს დაწერილი ლექსის „მოგონების“ ნაწყვეტი. ლექსი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1880, № 80), შემდეგ კი იგი ავტორმა, სილოვან ხუნდაძემ შეიტანა ჰხვადასხვა დროს გამოცემულ თავის წიგნებში (ს ი ლ ო ვ ა ნ ი. ლექსები. 1878-1891. ქუთაისი, 1892, გვ. 3; ს ი ლ ო ვ ა ნ ი. თხზულებანი. ლექსები. ქუთაისი, 1914, გვ. 3)³.

¹ „სამშობლო“, 1880, № 3.

² მაგალითად, ერთ ნომერზე მიწერილია: „უმორჩილესად ვთხოვთ საქალო გიმნაზიის მოსწავლეებს დაამშვენონ ამ გაზეთის შემდეგი ნომერი სტატიებით და ლექსებით“ („სამშობლო“, 1880, № 4. ეს ნომერი, როგორც სარედაქციო შენიშვნიდან ჩანს, სპეციალურად გაუგზავნიათ ქალთა გიმნაზიაში).

³ ამ მეორე წიგნის ერთი ეგზემპლარი, რომელიც ჩვენს ბიბლიოთეკაში ინახება, ავტორს, სილოვან ხუნდაძეს უსახსოვრებია ანტონ აბესაძისათვის. ტიტულზე პოეტის ხელით მიწერილია: „ბ-ნს ანტონ აბესაძეს. ავტორისაგან.

როგორც დავინახეთ, სილოვან ხუნდაძის ხელნაწერი გაზეთი „სამშობლო“ თავისი შინაარსით მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევდა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია გაზეთის გამართული ქართული ენა, რაც დიდად უწყობდა ხელს მის პოპულარობას ქუთაისელ მოსწავლეთა შორის.

გ) ნიკო მარის „ბედი“

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ნიკო მარი, მომავალი აკადემიკოსი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა, სადაც იგი 1880-1881 წლებში უშვებდა ხელნაწერ გაზეთ „ბედს“. თავის ავტობიოგრაფიაში ნ. მარი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მე გატაცებული ვიყავი ლიტერატურული მოღვაწეობით ქართულ ენაზე, ვწერდი ლექსებს და ვცემდი გაზეთს, რის გამო მე შევეჩვიე ქართული სიტყვის ტექნიკას, რომელიც შემდეგ გადაიქცა ჩემი სპეციალობის საფუძვლად. მაგალითად, მე მოვათავსე ქალაქ ბათუმის სახელწოდების განმარტება, სხვა საგანგებო წერილების რიცხვში, ესე იგი გაბედულად ვამუშავებდი საკითხს ისტორიულ ტოპონიმიკიდან... პასუხად ცნობილ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს, რომელმაც დასწერა 1881 წლის ამბავის შესახებ (ალექსანდრე მეორის მოკვლა)¹ ...მე მოვათავსე გაზეთში ლექსი „მოწოდება“², რომელიც მოუწოდებს მოქმედებისაკენ ჰიკიკის მაგივრად“³. აი, ეს ლექსიც, რომელშიც საკმაოდ რადიკალური აზრებია გამოთქმული:

„აბაპისადმი“

უცხო მერცხლის მოფრენაზე
მესმა შენი ჩანგის ელერა,
განუსაზღვრელ სიხარულით
გულმა იწყო ჩქარი ძეგრა.

27/XI—1914 წ.“ წიგნის 182-ე გვერდზე ასეთ მინაწერს ვხვდებით: „მე, გრ. ანდრიას ძე მესხი ვსწავლობდი სილოვანთან ქართულ გიმნაზიაში. სილოვანი შკაცრი დისციპლინის ადამიანი იყო. მის ნაწერებს მაშინაც ვკითხულობდი და ამეამადაც გავეცანი, როგორც ძველზე მოგონებებს. 16. 11. 50“.

¹ ნ. მარს მხედველობაში აქვს აკაკის ლექსი „გაზაფხული“ („ლღეს მერცხალი შემოფრინდა“).

² სინამდვილეში ლექსის სათაურია „აკაკისადმი“.

³ ქურნალი „ქართული მწერლობა“, 1927, № 6-7, გვ. 212; შტრ. აგრეთვე:

ა) ქურნალი «Огонек», 1927, № 27/223 და ბ) Н. Я. Марр. Избранные работы, т. I, Ленинград, 1933, с. 8.

ნ. მარი და სხვა მკვლევრები „ბედს“ გაზეთს უწოდებენ. თვით „ბედში“ კი მითითებულია: „სალიტერატურო და საისტორიო ყოველკვირეული ქურნალი“.

გაზაფხული მავ ტპილი სმა —

„გაზაფხული, გაზაფხული!“

მაგრამ მსწრაფლვე უჭერთ ვსთქვი:

ოცნებაა — ტუული, ტუული!

გაზაფხული ჩვენ რას გვარგებს,
ძილს ვჩვეულვართ, მოსვენებას
და სიცოცხლეს მით ვატარებთ,
ვარდს და იას ვუძღვნით ქებას.

მარტო ლექით როგორ შევძლებთ
ჩვენ წაღკოტის აყვავებას?..
საქმე გვინდა — ერთად შევკრბეთ,
მოვრჩეთ ბარემ ამ ვაებას!..

ძილს მოვშორდეთ, ახლა დრო გვაქვს,
და შევაძკოთ მართლაც ბალი,
ფიქრით ყნოსვას ნუ ვიმყოფებთ —
ხელთ ავიღოთ იარაღი!..“¹

ვ. მიხანკოვა თავის მონოგრაფიაში ნ. მარის შესახებ ამბობს, რომ ენების ცოდნა ეხმარებოდა ახალგაზრდა მარს გიმნაზიის ხელნაწერ გაზეთ „ბედის“ გამოცემაში. ვ. მიხანკოვა აღწერს შემონახულ ნომრებს და შენიშნავს, რომ მხოლოდ პირველ ორ ნომერს აქვს გაზეთის სახე,² დანარჩენები კი ქურნალს უფრო წააგავსო. შემდეგ იგი გვაუწყებს:

«В подготовлявшемся Н. Я. в 1932 г. «Автосписке работ», который остался в черновых набросках, он следующими словами определяет эти юношеские свои произведения: «Первые восходы без дифференциации — публицистические, политические, литературные, научные — в организованном с товарищами на грузинском языке ученическом органе воспитанников классической гимназии в г. Кутайсе «ბედი» («Судьба»). Орган возник в период бурных внутренних переживаний антирелигиозного направления и ряда нарушений дисциплины крайними выходками против пансионного режима и против гонений на грузинский язык. Общая установка — за грузин-»

¹ „ბედი“, 1881, № 12; შტრ.: ა) ი. შევრელიძე. ნიკო მარის ცხოვრება და მოღვაწეობა. თურნ. „მაცნე“, 1965, № 6 და ბ) პ. ვაკრიძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა (კრებულში: ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები“. თბ., 1968, გვ. 62). ნ. მარის ამ ლექსის ციტირებისას ეს ავტორები შეცდომებს უშვებენ. სხვათა შორის, ნ. მარი ლექსებს აქვეყნებდა „ნარიშანის“ ფსევდონიმით.

² ზომით დაახლოებით „პრავდის“ 1/4 ფორმატისაა „ბედის“ ეს ორი ნომერი.

სკიი ეზუკი ი პოდნიე ეგო პრესტიჟი ვ სვოეი ობშესენნიე სრედე, ჳა იზუჩენიე ეგო გოვორეშეგო ნა ნემ ნასელენიე იმ ნასელენიე კრეი»¹.

ქართველ მკვლევართაგან შ. ძიძიგური და ი. მეგრელიძე აღნიშნავენ, რომ ნ. მარის გიმნაზიაში რედაქტორობდა მოსწავლეთა ორგანოს. ოღონდ შ. ძიძიგური მას რატომღაც „იმედს“ უწოდებს² (ასეთი სახელწოდებით ხელნაწერი ჟურნალი ან გაზეთი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში საერთოდ არ გამოდიოდა). ი. მეგრელიძე კი მის სწორ სათაურს — „ბედს“ ასახელებს.³ ალბათ, ამ ორი წყაროს განსხვავებულმა ცნობებმა დააფიქრა პ. ვაჭრიძე, როცა იგი წერს: „დასახუესტებელია რა ერქვა ნ. მარის გაზეთს — „ბელი“ თუ „იმედი“. იქნება ორივე სახელწოდების ჟურნალი ან გაზეთი არსებობდა ამ დროს. საამისო მასალები ჩვენ არ გავაჩნია“⁴.

ჟურნალ „მნათობის“ 1968 წლის მეორე ნომერში ჩვენ გამოვქვეყნეთ სტატია „ხელნაწერი გაზეთების ისტორიიდან“, სადაც აღვნიშნავდით, რომ ს. ლეკიშვილმა, რომელიც მაშინ გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში მუშაობდა, მსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივის ლენინგრადის განყოფილებაში დაცულ ნ. მარის პირად არქივში მიაკვლია „ბედს“ და მისი მიკროფირი თბილისში ჩამოიტანა.

ლენინგრადის ხსენებულ არქივში ამჟამად დაცულია „ბედის“ ცხრა ნომერი⁵, აქედან სამი ნომერი 1880 წლისაა (№ 1 გამოშვებულია 17 ნოემბერს, № 2 — 24 ნოემბერს, № 5 — დეკემბერს), ხოლო ექვსი ნომერი 1881 წლისა (№ 6 გამოცემულია 15 იანვარს, № 7 — 22 იანვარს, № 8 — 29 იანვარს, № 9 — 5 თებერვალს, № 12 — 5 მარტს, № 13 — 12 მარტს).

„ბედს“ თავისი პავინაცია არა ჰქონია და მოგვიანებით არქივის თანამშრომლებს ფანქრით დაუნომრავთ ფურცლები. „ბედის“ ცხრავე ნომერი სულ 73 ფურცელს (146 გვერდს) შეიცავს. აქედან პირველი ექვსი ფურცელი (12 გვერდი) დაზიანებულია — მოხეუ-

¹ В. А. Михалкова, Н. Я. Марр, М.-Л., 1949, стр. 10—12.

² შ. ძიძიგური. ნიკო მარი — ქართული კულტურის მკვლევარი. 1965, გვ. 5-6.

³ ი. მეგრელიძე. ნიკო მარის ცხოვრება და მოღვაწეობა. ჟურნალი „მაცნე“, 1965, № 6.

⁴ პ. ვაჭრიძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა (კრებულში: „ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები“. თბ., 1968, გვ. 62).

⁵ მსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივი (ლენინგრადი). ფონდი 800, აღწ. 4, საქმე 11.

ლი აქვს ქვედა ნაწილები. დანარჩენი ტექსტი ნორმალურ მდგომარეობაშია და ადვილად იკითხება.

პირველი ნომრის სარედაქციო სტატიაში ნ. მარი მოგვითხრობს გაზეთის გამოცემის ისტორიას. გიმნაზიის მაშინდელ დირექტორს ა. სტოიანოვს, რომელიც სპეციალობით ეთნოგრაფი იყო, მოსწავლეებისათვის ურჩევია ზაფხულის არდადეგების დროს მოეხდინათ ეთნოგრაფიული დაკვირვებანი და გაეკეთებინათ ჩანაწერები. ბავშვებს ეს ვერ მოუხერხებიათ, მაგრამ ა. სტოიანოვის აზრი ლიტერატურული მუშაობის შესახებ მათ მოსწონებიათ და გადაუწყვეტიათ მოსწავლეთა გაზეთის გამოშვება.

ა. სტოიანოვი, როგორც ტ. ხუნდაძე აღნიშნავს, გასული საუკუნის 70-იან წლებში პროგრესული პედაგოგიური იდეების მატარებელი ყოფილა. იგი ამ პერიოდში გიმნაზიაში ქართული ენის მტკიცე ნიადაგზე დაყენებასა და მეტადრე დაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მიცემას მოითხოვდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი ქუთაისის გიმნაზიას მიაშორეს და ბათუმის გიმნაზიის დირექტორად გადიყვანეს, თავისი აზრი შეიცვალა და რეაქციონერებს — იანოვსკის, ლევიცკისა და ვოსტროგოვს დაუქირა მხარი¹. მიუხედავად ამისა, ბათუმის გიმნაზიაში მუშაობის დროს ა. სტოიანოვი მანც ინარჩუნებს მოქალაქეობრივ კეთილსინდისიერებას. ამაზე მეტყველებს, კერძოდ, ი. რამიშვილის მოგონება, რომელიც 1902 წელს გიმნაზიაში სწავლობდა და არალეგალურ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის იგი ი. სტალინთან ერთად დააპატიმრეს. როგორც მცირეწლოვანი მალე გამოუშვიათ, მაგრამ ჟანდარმერიაში ხშირად იბარებდნენ დასაკითხავად. ა. სტოიანოვმა, როგორც კი გაიგო ეს ამბავი, ბავშვი დაარიგა, რომ თავი ღირსეულად სჭეროდა და ჟანდარმებისათვის ზედმეტა არაფერი ეთქვა, რათა მის ამხანაგებს არაფერი დაშავებოდათ².

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნ. მარი აქტიურად მონაწილეობდა სხვა ხელნაწერ ორგანოებშიც, კერძოდ, „ისტორიისა და ლიტერატურის საკლასო ჟურნალში“, რომელიც ქუთაისის გიმნაზიაში 1880 წელს გამოდიოდა. მასში ნ. მარს მოთავსებული აქვს თავისი პირველი ნაშრომები კავკასიის ტოპონიმიკაში, რომლებიც მეტად ორიგინალურად და მახვილგონიერად არის დაწერილი. შემთხვევითი არ იყო, რომ გაზეთმა „დროებამ“ ისინი მთლიანად გადმობეჭდა ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ორგანოებისადმი

¹ ტ. ხუნდაძე. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში. 1961, გვ. 30-31.

² გრ. გიორგაძე. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. 1928, გვ. 545-547.

მიძღვნილ სპეციალურ წერილში. „დროება“ იუწყება, რომ ნიმუშად ვებუქდავთ ნ. მარის რამდენიმე ნაშრომსო. მათში მოცემულია ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების ისტორიული ახსნა (ჩოხატაურის, ოზურგეთის, ბათუმის და სხვ.).¹ ამრიგად, ნ. მარის პირველი ნაშრომი გამოქვეყნდა არა 1888 წელს, როგორ ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღიარებული,² არამედ 1880 წელს. ვფიქრობთ, ეს საკითხი ინტერესობს იმდროინდელი არ უნდა იყოს ნ. მარის შემოქმედების მკვლევართათვის.

დავუბრუნდეთ ხელნაწერ გაზეთ „ბედს“. მასში მოთავსებული სამეცნიერო ხასიათის შრომებიდან ყურადღებას იქცევს ნ. მარის ეთნოგრაფიული წერილები: „ამაოდ მორწმუნებანი“ („ბედი“, 1880, № 5) და „კალანდის გათენება“ („ბედი“, 1880, № 2). ამ უკანასკნელში ავტორი გვამცნობს, თუ როგორ ხედებიან გურულები ახალ წელს, აღწერილი აქვს აღნიშნულ დღესასწაულთან დაკავშირებული რიტუალები. აქვე განმარტებულია სიტყვა „კალანდაც“. ნ. მარის აზრით, იგი წარმოდგება ლათინური სიტყვა „Calendae“-დან, რომელსაც რომაელები ყოველი თვის პირველ დღეს უწოდებდნენ. „ბედში“ ვხვდებით აგრეთვე ფოლკლორული ხასიათის მასალებს: ზღაპრებს, ლეგენდებსა და სხვ. ცოცხალი რეპორტაჟული სტილით არის გამართული საგზაო ჩანაწერები „ქუთაისიდან უწერამდე“ („ბედი“, 1880, № 2; 1881, № 6), რომელშიც მრავალი ხალხური თქმულებაა ჩართული და მოცემულია ცნობები ზოგიერთი ისტორიული ძეგლის შესახებ. სატირული ხასიათისაა წერილი „ქუთაისის ბაღში“ („ბედი“, 1881, № 8), მასში გაკიცხულია ქუთაისელი უსაქმურები.

სტატიების გარდა ნ. მარი „ბედში“ ათავსებდა საკუთარ ლექსებსაც. ერთ მათგანზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. სხვა ლექსებიდან აღსანიშნავია „პანსიონერი“³, რომელიც იმდენად პოპულარული ყოფილა მოსწავლეებში და ისე რეალისტურად ასახავდა ზოგიერთი გიმნაზიელის არასწორ საქციელს, რომ ეს ლექსი სპეციალურად არის გარჩეული სხვა ხელნაწერ გაზეთ „დროებაში“ (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ლექსი „სიბღერა (საზანდარის ხმაზე)“⁴, რომელიც მიძღვნილია სამი ქართველი პოეტისადმი: ილია ჭავჭავაძისადმი, აკაკი წერეთლისა და რაფიელ ერისთავისადმი. მასში დახასიათებულია ამ პოეტების შემოქმედების თავისებურებანი.

¹ გაზეთი „დროება“, 1880, № 246 (21 ნოემბრის ნომერი).

² Н. Я. Марр. Избранные работы, т. I, Л., 1933, стр. 11.

³ „ბედი“, 1881, № 7.

⁴ „ბედი“, 1880, № 2.

გარდა ამისა, ნ. მარტი „ბედში“ ათავსებდა ფრანგული სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალების სტატიების საკუთარ თარგმანებს. თარგმნიდა აგრეთვე რუსი კლასიკოსების (პუშკინის, ლერმონტოვის) ლექსებსაც. ყურადღებას იპყრობს აქ მოთავსებული ნ. კარამზინის სტატია: „ფრანციული ენა ინგლისში და რუსეთში“¹, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისელმა თუ ფრანგული იცის, იგი თავის თანამემამულეს მხოლოდ ინგლისურად ელაპარაკება, რუსი კი, სამწუხაროდ, პირიქით იქცევა: ცოტადენი ფრანგული თუ ესმის, თავის მშობლიურ ენას აღარ კადრულობსო. აქ ერთგვარი პარალელია გავლებული იმ ქართველებთან, რომლებიც რუსულის დაუფლების შემდეგ დედაენას ივიწყებენ.

5. მარის „ბედიც“ შეიცავს ცნობებს გიმნაზიის ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთი წერილი „შური ქუთაისის მოსწავლეთა შორის გიმნაზიაში“ (ავტორი — ზემოური)² გვაუწყებს:

„მკითხველმა კი იცის რამოდენიმე გაზეთები იყო ჩვენ გიმნაზიაში შარშან, 1879 წ. ახლა კი, ე. ი. 1880 წელს ერთიც არაა... რა მიზეზია? მიზეზი ამისა შური არის: დაარსდა თუ არა ჩვენ გიმნაზიაში „ციცინათელა“, მაშინვე ჩამოვარდა შური მასა და მის შემდეგ გამოსულ მეორე გაზეთ „იას“ შორის. გაზეთი „ია“ დაარსდა... იმიტომ, რომ „ციცინათელა“ წაეხდინოთ და მეორე მხრით თავის გამოსახენად, ვისთან? მკითხველი მიხედება. მოყვა მას გაზეთი „სამშობლო“ იმავე აზრით და ამას რუსული გაზეთებიც „სვეტ“ და „ნეოპიტნოე პერო“... მაგრამ რა გეწყობა? რაც მოხდა — მოხდა! ახლა კი 1880 წელია, დავხედოთ, რა ამბები ხდება? გამოვიდა ჟურნალი „ვარ გზა მე“ (?)³. მე მგონია, რომ ამ ჟურნალის საქმე კარგად წავიდოდა, რომ ზოგიერთი მოსწავლის საშუალებას არ გაეზმოთ ძირი... ესლა კი გამოდის... „ბედი“... ვაი ჩვენი ბრალი, თუ ამასაც აუგენ წესი... თუ გსურთ, ძმანო, კარგად წავიდეს „ბედის“ საქმე, შურს განვმორღეთ და ერთობითი შრომას ხელი მიეყოთ“⁴.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „ბედის“ თითქმის ყოველ ნომერში მუდმივი სათაურით „ჟურნალ-გაზეთობა“ თავსდება წერილები, რომლებიც მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების შესახებ ძვირფას ცნობებს შეიცავს. აი, ერთი მათგანი: „რუსული ჟურნალ-„ვარსკვლავს“ რადგან მოაკლდა თანამშრომელი და

1 „ბედი“, 1881, № 9.

2 ჩვენი ვარაუდით, ნ. მარის ფსევდონიმი უნდა იყოს.

3 ტექსტში ეს სიტყვა ცუდად იკითხება.

4 „ბედი“, 1880, № 5.

მასალებიც ძლიერ ცოტა აქვს, ამის გამო შემდეგში გამოვა მხოლოდ მაშინ, როდესაც მასალას საყოფად მოაგროვებს. სატირიკო-ოუმორისტიკული ფურცელი „კოლო“ მიცვალებულია¹. გაზეთის 1881 წლის მეექვსე ნომერში მოთავსებულ „მიმოხილვაში“ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ქალთა გიმნაზიაშიც უურნალ-გაზეთობის ციებ-ცხელება: „საქალებო გიმნაზიაში, როგორც შევიტყვეთ, გამოსულა უკვე ერთი მათი გაზეთის ნომერი, მაგრამ მისი შოვნა ჩვენთვის უკვდავების წყაროზე ვარესი საშოვარი ყოფილა... „ბედის“ რედაქციამ კი გააგზავნა თავისი ნომრები საქალებო გიმნაზიაში². გასაკვირია, სამაგიეროთ რათ არ გვადირსენ ერთი ნომერი მაინც“. „ბედის“ მერვე ნომერში (1881 წლის 29 იანვარა) გამოქვეყნებული წერილი „გაზეთ «ჩენი კალმის» გამოცემაზე“ იუწყება, რომ მეშვიდე კლასის მოსწავლეებიც აპირებენ ახალა გაზეთის გამოცემასო. წერილში გაკრიტიკებულია აგრეთვე „ია“ და „ციციანათელა“ ზოგიერთი უშინაარსო მასალისა და არადამაკმაყოფილებელი გაფორმების გამო.

მაშასადამე, ნ. მარის მოღვაწეობა „ბედში“ მეტად მრავალმხრივია. იგი ერთნაირი გატაცებით წერდა ლექსებსა და ფელეტონებს, ლიტერატურულ თუ ენათმეცნიერულ შრომებს. ცხადია, „ბედის“ გამოშვება — ეს ერთგვარად მოსამზადებელი პერიოდი იყო დიდი მეცნიერის გამოსასვლელად მოღვაწეობის ფართო ასპარაზზე.

დ) გიორგი ლასხიშვილის „სტირი“

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში 1882 წელს გიორგი ლასხიშვილის რედაქტორობით გამოდიოდა ხელნაწერი უურნალი „სტირი“. მოგვიანებით გ. ლასხიშვილი წერდა, რომ უურნალში „ტყავს ვაძრობლით ტოლსტოის, მაშინდელ ძლევაშოსილ მინისტრს, კატკოვს და ბისმარკს“³. იგი აგრეთვე ხაზს უსვამდა ნიკო მარის აქტიურ მონაწილეობას ამ უურნალში. „ნიკო მარმა, — აღნიშნავს გ. ლასხიშვილი, — მაშინ მეშვიდე კლასის შეგირდმაც მოათავსა „სტირიში“ რამდენიმე ლექსი“⁴. ხელნაწერი უურნალი „სტირი“ მოხსენიებული აქვს გ. ბაქრაძესაც თავის ბიბლიოგრაფიაში, სადაც

¹ „ბედი“, 1880, № 5.

² ქალთა გიმნაზიას, როგორც ჩანს, ეგზავნებოდა ვაჟთა გიმნაზიაში გამოსული ყველა ხელნაწერი გაზეთი თუ უურნალი.

³ გ. ლასხიშვილი. მემუარები. 1934, გვ. 3.

⁴ იქვე, გვ. 4.

მითითებულია: „სტვირი“. 1882 (?)¹ (მოწაფეთა არალეგალური ზელნაწერი ჟურნალი). ქუთაისი. რედაქტორი გიორგი ლასხივილი, უახლესი თანამშრომელი — ნიკო შარა, მიხ. ხელთუფლივილი, გრ. აბაშიძე, ჭანტურია“².

რას წარმოადგენდა „სტვირი“, რა მასალები თავსდებოდა მასში — ეს დღემდე უცნობი იყო, მუზეუმებსა და არქივებში მისი არც ერთი ნომერი არ აღმოჩნდა. ბედნიერი შემთხვევის წყალობით ჩვენ მივაგენით „სტვირის“ ერთ ეგზემპლარს („სტვირი“, 1882, № 9). იგი დაცულია ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის ალექსანდრე ფრანგივილის ოჯახში. მის მეუღლეს — ელისაბედ გიორგის ასულს (გ. ლასხივილის შვილს) მამისეული ზოგიერთი მასალა შემოარჩენია (ის, რაც ყანდარმერიას გადაურჩა). მათ შორის ყურადღებას იპყრობს ოდესის ნოვოროსიის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ გაცემული მოწმობა (№ 2874), რომელიც ადასტურებს, რომ გ. ლასხივილი, დაბადებული 1865 წლის 19 დეკემბერს, 1885 წელს ჩარიცხულა აღნიშნულ უნივერსიტეტში, ხოლო 1887 წლის დეკემბრის დადგენილებით აქედან გაურიცხავთ. ამ ფაქტმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქუთაისის მოსწავლეთა შორის დიდი გამოძახილი პოვა.

ა. ფრანგივილის ოჯახში დაცული „სტვირის“ მეცხრე ნომერი 1882 წლის 18 აპრილს არის გამოცემული³. უდაზე მითითებულია, რომ იგი სალიტერატურო ჟურნალია და გამოდის ორშაბათობით. რედაქტორის გ. ლასხივილის გარდა ნომერს ხელს აწერს „გამომცემელი პ. კიხირია“.

როგორია „სტვირის“ ამ ნომრის შინაარსი?

ჟურნალი იხსნება კ. თავასელის წერილით: „«ცისარტყელა», «სტვირი» და «დროშა», რომელიც ამ პერიოდში გომნაზიაში გამოცემულ ზელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს შეეხება. ახსნილია, მაგალითად. თუ რატომ დაერქვათ მათ ეს სახელწოდებანი.

„ცისარტყელას“ შესახებ ნათქვამია: „ვცდი, თქვენც შეგიმჩნევიათ ცისარტყელა ცაზედ და ხომ იცით რიპი ნიშანი? ის გვიქადის დიდი წვიმებისა და ცუდი ამინდების შემდეგ უწვიმობას,

¹ გ. ბაქრაძეს საკუთარი თვლით, ალბათ, არ ჰქონდა ნანახი „სტვირი“ და ამიტომ დაეკვებულა თარიღში — კითხვის ნიშანი დაუსვამს.

² გ. ბაქრაძე. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1947, გვ. 205.

³ როგორც ამ დროის სხვა ზელნაწერი გაზეთი („დროშა“, 1882, № 1) იუწყება, ჯერ კიდევ 25 თებერვალს გამოსულა ზელნაწერი ორგანო „შექცევის“ შეთხვე ნომერი, რომელიც რედაქციას სურს „სტვირად“ გადააკეთოს. ლასხივილი გვბრძობდა, რომ ჩემს გაზეთს ორფურცლიანად გადააქცევო. მაშასადამე, გამოდის, რომ „შექცევა“ „სტვირის“ წინამორბედი ყოფილა და ორივეს გ. ლასხივილი რედაქტორობდა.

მშვენიერ ამინდს. ეგრე ჩვენი ჟურნალი... დაცემული და ეკლიან-გზით მავალი ლიტერატურის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, მისთვის დროზე ხელის შეშველებას, რომ ფეხზე წამოვყენოთ“.

რაც შეეხება ჟურნალ „სტვირის“ სახელწოდების განმარტებას, ავტორი წერს: „როგორც სტვირი და მისი მქონებელი მესტვირე მუდამ ცდილობენ თავისი სიყვარული და არა სიძულვილი გულში ჩაუნერგონ ხალხს, ამისათვის ცდილობენ ტკბილი და სასიამოვნო ხმა გამოუშვან, ეგრე ჩვენი ჟურნალი და მისი მმართველი რედაქტორი ცდილობენ ყოველს წამკითხველს ასიამოვნონ და არა აწყენინონ. ეს საქმე კიდევაც შეუძლია მას იკისროს და ადვილადაც აღასრულოს თქვენის შეწვევით“.

მაგრამ თუ პირველი ორი ჟურნალის სახელწოდება ამართლებს თავის დანიშნულებას, ავტორის აზრით, ეს არ შეიძლება ითქვას მესამე ჟურნალის „დროშის“ მიმართ (რედაქტორი ი. ლორთქიფანიძე). „მე ძლიერ გაკვირებული ვარ ამ სახელის დარქმევაზედ, — წერს იგი, — სახელი კარგი, პატიოსანი არის, მაგრამ რა? დროშა მუდამ მტერზედ გამარჯვების ნიშანია. მე ვფიქრობ: ჯერ არ უნდა დაერქმიათ ასე გაუზომავი სახელი“ მისთვისო. ავტორი ეჭვს გამოთქვამს, რომ გიმნაზიელთა ჟურნალი „მტერზე გამარჯვების ნიშნად“ გამოდგეს: მას საამისო ძალა ჯერ კიდევ არ გააჩნიაო. წერილში საყვედურებია გამოთქმული „დროშის“ მიმართ, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ამოარჩევს ხან ერთ, ხან მეორე მოსწავლეს და უწყალოდ აკრიტიკებსო. ამ გზით თუ იარა ჟურნალმა, იგი თავის მოვალეობას სათანადოდ ვერ შეასრულებსო.

გიმნაზიის ხელნაწერი ორგანოების საქმიანობას ეხება „სტვირის“ ამავე ნომერში მოთავსებული ხელმოუწერელი მასალაც „მოგზუცდი მოლოდინში“. იგი აკრიტიკებს ხელნაწერ გაზეთ „დროშასა“ და ჟურნალ „ცისარტყელას“ იმის გამო, რომ ისინი გამოსვლას აგვიანებენო. უკვე სამი კვირაა, რაც მათი უკანასკნელი ნომრები გამოვიდა, და შემდეგ თვალთ აღარ გვინახავსო, ნათქვამია წერილში. ავტორი ჩივის, მარტო „სტვირი“ ყველას მოვალეობას ვერ შეასრულებსო, და მოუწოდებს სხვა ხელნაწერი ორგანოებს, რათა მათ განაახლონ სასარგებლო საქმიანობა.

ჟურნალს აქვს განყოფილება „ადგილობრივი ამბები“, რომელშიც ძირითადად ნაბეჭდი გაზეთებიდან ამოკრებილი მცირე ქრონიკული ცნობებია მოთავსებული. მათ შორის, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ის მასალები, რომლებიც მოსწავლეთა ცხოვრებას ეხება. გავეცნოთ ქუთაისის გაზეთ „შრომიდან“ „სტვირში“ გადმოტანილ ერთ დამახასიათებელ ამონაწერს:

„ნოვოსტი“¹ გვაცნობებს, რომ ერთ კაცს, რომელსაც სასწავლებო ნაწილში დიდ ხანს საჩინო ადგილი სჭერია, შეუდგენია მთავრობასთან წარსადგენად პროექტი იმ საგანზე, რომ ღარიბი კაცის შვილებს სწავლის მიღება გაუადვილოს. ხსენებული პირი ფიქრობს თურმე და სრულიად საფუძვლიანადაც, რომ თუ მოსწავლის დედ-მამამ სწავლებისათვის დადგენილი გადასახადი დროზე ვერ შეიტანოს, ყმაწვილი არ უნდა გაირიცხოს სასწავლებლიდან, მათ უნდა მიეცესო ნება, რომ ეს გადასახადი შემდეგ წელიწადში შეიტანონ, ან მაშინ, როცა ყმაწვილი კურსს გაათავებს და ატესტატს ითხოვსო...“²

„სტვირის“ რედაქციას არ სჯერა, რომ მეფის მთავრობა ღარიბ მოსწავლეთათვის რაიმე სასიკეთოს გააკეთებს, და იქვე ათავსებს რუსულ გაზეთ „სტრანადან“³ ამოწერილ მასალას:

„ამას წინათ ხმა იყო, რომ მთავრობას სურსო გიმნაზიაში სწავლებისათვის დაწესებულ გადასახადს მოუმატოსო. ეხლა ეს უფრო მართლდება. პოლტავის გიმნაზიაში 30 მან. მაგიერ 40 მან. დაუწესებიათ, ერთს კიევს გიმნაზიაში მოსამზადებელი კლასისათვის დაუნიშნავთ ოცდაათი მანეთი, ოთხის უმდაბლესის კლასებისათვის — ორმოც-ორმოც მანეთი და უმაღლესისათვის — ორმოცდახუთი მანეთი. სხვა გიმნაზიებშიც ნელ-ნელა უმატებენ ამ გადასახადს“⁴.

მაშასადამე, „სტვირის“ ბეკლური გაზეთებიდან ამოუკრებია სწორედ ის მასალები, რომლებიც შეეხება მოსწავლეთათვის ფრიალ საჭირბოროტო საკითხს — სწავლის გადასახადს.

აქვეა ინფორმაცია ქუთაისში რუსული გაზეთის „გუბერნიის უწყებების“ გამოცემის განზრახვაზე („რედაქტორობას კისრულობს გორდიევსკი და თანამშრომლობას — გეგიძეო“) და ცნობა გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერის ჩარლზ დარვინის გარდაცვალების შესახებ.

მხატვრული ნაწარმოებებიდან „სტვირის“ ამ ნომერში მოთავსებულია ლექსები: „დავრჩი უიმედოდ“ (ავტორი კ. თავასელი), „გაზაფხულის ძალა“ და „მართლმსაჯულება“ (ხელმოუწერელი).

¹ პეტერბურგის გაზეთი ყველასათვის. გამოდიოდა 1871-1880 წლებში. 1880 წლის 1 ივლისიდან მას შეუერთდა „ბირჟევაია გაზეტა“ და იწოდებოდა ასე: „ნოვოსტი ი ბირჟევაია გაზეტა“.

² „სტვირი“, 1882, № 9. შტრ. გაზეთი „შრომა“, 1882, № 14.

³ პეტერბურგის ლიბერალურ-მონარქიული მიმართულების პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა 1880-1883 წწ. რედაქტორი იყო ლ. პოლონსკი.

⁴ „სტვირი“, 1882, № 9.

პირველი ორი ლექსი ლირიკული ხასიათისაა და მათში რაიმე სოციალური მოტივები არ გვხვდება. რაც შეეხება უკანასკნელს, რომელსაც სათაურის ქვეშ „სატირა“ აქვს მიწერილი, მასში საკმაოდ გაბედულად არის ლაპარაკი იმაზე, რომ იქ, სადაც ხალხი ბნელითაა მოცული, ფასი დაჰკარგვია მართლმსაჯულებას და სრულიად არაფრად ღირს კაცის პატიოსნება, რომლის ძებნას ასეთ ვითარებაში ღმერთიც კი გვიწყენსო. ბოლოს პოეტი ამბობს:

„მე რომ კაცთქამლებს მახე დაუვგო,
უსამართლობას ჩალხი არ მივეცე —
ეს იმას ნიშნავს ქული ავლო
და მოწიწებით შორს გზას გაუვღე“.

„სტირში“ ერთი მოთხრობაც გვხვდება: „ვალენტინა და გიორგი“ (ავტორია უფ. ექადიელი). იგი დამთავრებული არ არის (ბოლოში მიწერილი აქვს: „გაგრძელება იქნება“) და ძნელია მასზე რაიმე აზრი გამოვთქვათ.

აი, დაახლოებით ასეთია გ. ლასხიშვილის „სტირის“ გადარჩენილი ერთადერთი ნომრის შინაარსი. უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა ნომრები სოციალური პრობლემატიკის თვალსაზრისით უფრო საინტერესონი უნდა ყოფილიყვნენ.

ვ) იასონ ლორთქიფანიძის „დროშა“

ხელნაწერი გაზეთი „დროშა“ 1882 წელს გამოდიოდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში¹. სათაურის ქვეშ ასეთი მინაწერი აქვს: „სალიტერატურო-სამოსწავლო გაზეთი, განოდის კვირაში ერთჯერ სამშაბათობით“. გაზეთის სათაურს, მართალია, ნუმერაცია არ ახლავს, მაგრამ ყოველ ნომერს პირველ გვერდზე თან ერთვის შინაარსი და მასშია მითითებული გაზეთის ნომერი („შინაარსი პირველი ნომრისა“, „შინაარსი მეორე ნომრისა“ და ა. შ.). ჩარჩოში მოთავსებულია რედაქციის განცხადება: „რედაქციას აქვს ნება გაააწოროს, შეამციროს გამოგზავნილი სტატიები, დაუბეჭდელობისათვის პასუხს არ აგებს“. თითოეული ნომრის ბოლოს, იქ, სადაც ტრადიციულად რედაქტორის ხელმოწერა კეთდება, ყოველგვარი ტიტულის გარეშე ხელს აწერს ი. ლორთქიფანიძე. ვინ არის ეს პირივნება?

დადგინდა, რომ იგი არის ცნობილი ქართველი მწერლის ნიკო მერაბის ძე ლორთქიფანიძის ძმა იასონ მერაბის ძე ლორთქიფა-

¹ დაცულია საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში (ფონდი 5, საქმე 11). სულ ოთხი ნომერია შემონახული (№ 1, 16 თებერვალი, № 2, 23 თებერვალი, № 3, 2 მარტი; № 4, 9 მარტი). გაზეთი სამსვეტიანია. შეიცავს ოთხ-ოთხ გვერდს. მისი ფორმატია 22 სმ X 33 სმ.

ნიძე. იასონი დაიბადა 1866 წლის 6 მარტს (ძვ. სტილით) წყალტუბოს რაიონის სოფ. ჩუნეშში. 1876-1884 წლებში სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. 1889 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ჯერ თბილისში მიწათმოქმედების სამმართველოში საქმის მწარმოებლად, ხოლო შემდეგ — განჯასა (კიროვებადი) და კავკაეში (ორჯონიკიძე) განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელედ. 1903-1917 წლებში ი. ლორთქიფანიძე მუშაობდა კავკასიის საურთიერთობების ბანკის თავმჯდომარედ. 1917-1921 წლებში იყო ჯერ კავკასიის ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, მერე კი საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგეობისა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921-1937 წლებში მუშაობდა საფინანსო ორგანოებში: სავაჭრო-სამრეწველო ბანკის განყოფილების მმართველის მოადგილედ, სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ და სხვ. 1937 წლიდან იგი მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლად. გარდაიცვალა 1949 წელს. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე კაპიტალური შრომა: „ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში“ (ტ. I, 1935; ტ. II, 1938), „მასალები საქართველოს ისტორიისათვის. XVIII საუკუნე“ (1940) და სხვ.

გაზეთ „დროშის“ მიზნებსა და საერთოდ ხელნაწერი ორგანოების ამოცანებზე მოთხოვნილია პირველივე ნომრის მოწინავე წერილში (უსათაურო და ხელმოუწერელია). მასში აღნიშნულია, რომ გიმნაზიაში წინა წლებში, ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოცემამდე, მოსწავლეები გადაქცეული იყვნენ ავტომატებად: ბერძნული და ლათინური ენის გრამატიკის მეტი არაფერი ახსოვდათ, საზოგადოებაში გამოსული არ იყვნენ, კარგ და სასარგებლო წიგნებზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. რაც შეეხება ქართული ენის შესწავლასა და დედაენაზე დაბეჭდილი წიგნების კითხვას, ეს ხომ სრულიად მივიწყებული ყოფილა. შემდგომ აქა-იქ გამოჩენილან მოსწავლეები, რომლებსაც ქართულად ლექსების წერა დაუწყიათ, ხელი მოუყვიათ პროზისთვისაც, მაგრამ მათი ნაწერები თურმე ეპიგონური, მიმბამძველური ყოფილა, რაიმე ღირებულებას არ წარმოადგენდნენ. 1879 წელს პ. მ-ს¹ განუზრახავს ჟურნალის გამოცემა, მაგრამ ეს წელიც უნაყოფო აღმოჩენილა — ჩანაფიქრი ვერ შეუსრულებიათ, ხოლო 1880 წელს უკვე სამი ხელნაწერი ორგანო გამოსულა, რაც გიმნაზიის ცხოვრებაში დიდ მოვლენად არის აღიარებული. ამავე დროს თურმე აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებმა ქართუ-

¹ ალბათ, აქ პეტრე მირიანაშვილი იგულისხმება.

ლი ჯერ კიდევ ხეირიანად არ იცოდნენ. ისინი ენერგიულად შესდგომიან დედაენის შეაწავლას, წიგნების კითხვას და, რაც მთავარია, საკუთარ ნაწარმოებთა თხზვას. ზოგი ლექსებს წერდა, ზოგი პროზას ეტანებოდა, ზოგი კი სცენებს იგონებდა, გამოჩნდა პოლემიკური წერილებიც. მოწინავე სტატიის ავტორის აზრით, „ბევრი ნაკლოვანება ჰქონდათ ამ ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ მათ მიიწი აქვთ თავისი ღირსება: გიმნაზისტებს გამოლვიძება“. ავტორს ახარებს ის, რომ მოსწავლეები გულხელდაკრეფილნი არ არიან, ჰკუთას ავარჯიშებენ, სალიტერატურო საღამოებს მართავენ, ქართულ წიგნებს კითხულობენ და სხვ. გაზეთი და ჟურნალი იმით არის კარგი, აცხადებს იგი, რომ ისინი მოსწავლეებს მიუთითებენ ნაკლზე და მისი გამოსწორების გზებზე. წერილის დასასრულს ავტორი მკითხველებს ჰპირდება, რომ შემდგომ ხელნაწერ გაზეთ „ცისარტყელას“ განიხილავს და ცხადყოფს, თუ როგორ ასრულებს იგი თავის მოვალეობას.

ამავე პირველი ნომრის მეორე უსათაურო და ხელმოუწერელ¹ წერილში ავტორი მკითხველს თავს აცნობს როგორც „მეფელეტონისტე“ და უპასუხებს კითხვაზე, თუ რაზე უნდა წეროს გიმნაზიელმა. იგი ჩამოთვლის სავარაუდო თემებს: პატრიოტობას, მამულის აღდგენას, კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, შინაურ, საოჯახო, და კლასში შექმნილ მდგომარეობას, ზოგიერთი გაჭირვებული მოსწავლის აუტანელ პირობებს და სხვ. საბოლოოდ კი დაასკვნის: „ჩვენის აზრით, გიმნაზიელის ცხოვრება უნდა იყოს... განსაკუთრებული მიზანი ჩვენის გაზეთისა...“

ანალოგიური აზრია გამოთქმული „დროშის“ მესამე ნომრის მოწინავე სტატიაშიც: გაზეთებმა პირველ რიგში უნდა წერონ მოსწავლეთა ცხოვრებაზე, ე. ი. იმაზე, რაც მათთვის უფრო მახლობელია. მაღალ მატერიებზე თეორიული სჯა-ბაასი კარგიაო, განაგრძობს მოწინავეს ავტორი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი „მოდერნიზმი“ ზოგჯერ ხეირიანად ვერ ერკვევიან რთულ პრობლემებში და მით უმეტეს — ჩვენი. ავტორის აზრით, კომპეტენტურობა აკლია იმა, ვინც მსჯელობს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე. მაშასადამე, საჭიროა გონება გავიხსნათ, მეხსიერება გავიმდიდროთ სხვადასხვა სასარგებლო წიგნის კითხვით, ისე მოვემზადოთ, რომ კარგად ვერკვეოდეთ რთულ საზოგადოებრივ მოვლენებშიო.

მართლაც, „დროშა“ სხვა ხელნაწერ ორგანოებთან შედარებით უფრო მეტ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა ცხოვრებას, მათი აღზრდისა და განათლების საკითხებს.

¹ ღაჭრით, განსხვავებული ხელთ, ავტორად მიწერილია მ. მღვდლიშვილი.

პირველივე ნომრის ერთ-ერთ უსათაურო წერილში (ავტორიც არ არის მითითებული) განხილულია სტატია „ესლა გვაკლდა“. შენიშვნაში ავტორი წერს, რომ ეს მასალა დაწერილი ყოფილა მანამ, სანამ „შექცევა“¹ და „დროშა“ გამოჩნდებოდნენო, მაგრამ სად გამოქვეყნდა იგი, არ ასახელებს. ეს სტატია რომ ნამდვილად ხელნაწერ გაზეთსა ან ჟურნალში ყოფილა მოთავსებული, მოწმობს შემდეგი სიტყვები: „სტატია რედაქციის აზრის გამომთქმელი სტატიაა, რადგანაც არც ფსევდონიმი, არც ნამდვილი სახელი არ უსვია“. ე. ი. როგორც ჩანს, იგი მოწინავე ან სარედაქციო წერილი ყოფილა და, ცხადია, რომელიმე ხელნაწერ ორგანოში იქნებოდა მოთავსებული.

განხილულ სტატიაში საყვედური ყოფილა გამოთქმული ვილაც ახალჩამოსულ მოსწავლეებზე, რომლებიც თურმე თავის ამხანაგებში კოსმოპოლიტურ აზრებს ავრცელებდნენ და ეს უკანასკნელნიც მათ შეხედულებებს იზიარებდნენ. ამას თითქოს შედეგად მოჰყვა ის, რომ ერთგვარად შესუსტებულა სწრაფვა მშობლიური ენის შესწავლისადმი, შემცირებულა სასწავლებელში ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, მოსწავლეებმა შრომის მოუკლესო და „პროგრესის მაგიერ ჩვენში ფეხს იკიდებს რეგრესი“. „დროშის“ ავტორი არ ეთანხმება ჩვენთვის უცნობ გამოცემაში მოთავსებული ამ სტატიის აზრს. იგი ამბობს, რომ, პირიქით, მოსწავლეები ახლა უფრო მეტს და სერიოზულად მუშაობენ თავიანთ თავზე, ბევრ სასარგებლო წიგნს კითხულობენ, გონებას იმდიდრებენო. ავტორი სვამს კითხვას, თუ რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ, რომ ქვეყანას სარგებლობა მოუტანოს, და ასე უპასუხებს: მან თავისი თავი უნდა გაიწვრთნას, რომ ცხოვრებაში შეძლოს უღლის გაწევაო.

ამავე ნომერში მოთავსებულია წერილი „გიმნაზიის ამბები“ (ხელს აწერს „მოსწავლე“), რომელიც გვაუწყებს, რომ 1881 წელს ქუთაისის პროგიმნაზიის მოსწავლეებს მიუწერიათ წერილი გაზეთ „დროების“ რედაქციაში და გაზეთის გამოგზავნა უთხოვიათ. რედაქტორს სერგი მესხს მათი ზურვილი დაუქმაცოფილებია და სისტემატურად აწვდიდა მათ უფასოდ გაზეთის ნომრებს. ავტორი კმაცოფილებას გამოთქვამს „დროების“ რედაქციის ამ კეთილშობილური მოქმედების გამო და ამასთანავე მოსწავლეებს მოუწოდებს, რომ გაუფრთხილდნენ გაზეთებს, რათა ყველას საშუალება მიეცეს მათი გაცნობისა.

გაზეთის მომდევნო ნომერში მოთავსებულ უსათაურო და ხელმოუწერელ წერილში („დროშა“, 1882, № 2) გაკრიტიკებულია ის მოსწავლეები, რომლებიც, მართალია, კარგად სწავლობენ, გამო-

¹ როგორც ზემოთ ითქვა, მას გ. ლახიშვილი უშვებდა.

ირჩევინ თავიანთი გონებაგაბსნილობით, მაგრამ, სამწუხაროდ, სასწავლებლის, წიგნების, ლათინურისა და ბერძნულის გარდა მათ ყველაფერი ამქვეყნიური დავიწყებული აქვთ. ავტორი შენიშნავს, რომ მოსწავლემ, ცხადია, პირველ რიგში სწავლა უნდა დააყენოს, მაგრამ იგი ყოველთვის იშოვის იმის დროს, რომ თავის გარშემო მიმოიხედოს და თავისი აზრები „სხვა რამე გარეშე საგნებზედ“ მიმართოს. წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აუცილებელია გიმნაზიის ყურნალ-გაზეთებში აქტიურად ითანამშრომლონ სწავლაში დაწინაურებულმა მოსწავლეებმაო.

წერილში „მეექვსე კლასის მოსწავლეებზედ“ (ავტორია ე. ცხრუკვეთილი)¹ ნათქვამია, რომ სწავლის შექმნის პროცესი საკმაოდ რთულია და ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ყოფაქცევასა და ზნეობის ამალღებისათვის ზრუნვას. მასში გაკრიტიკებულია მეექვსეკლასელების უღისციპლინობა გაკვეთილებზე. მოსწავლეები თურმე განსაკუთრებით უწესოდ იქცეოდნენ ისტორიისა და ფრანგული ენის გაკვეთილებზე. ქართული ენა კი თითქმის დავიწყებული აქვთ არა მარტო მეექვსე კლასის, არამედ მთელი გიმნაზიის მოსწავლეებსაც, თითო-ოროლას გამოკლებით, და ეს საქმე საჭიროა გამოსწორდესო, შენიშნავს ავტორი. იგი მოუწოდებს მკითხველებს ებრძოლონ აგრეთვე სხვადასხვა მავნე ჩვევას, რაც ზოგიერთში შეიმჩნევა: ერთმანეთის დაცინვას, ამპარტავნობას, უამხანაგობასა და ნისთანათ.

მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდას ეხება „დროშის“ მეოთხე ნომერში მოთავსებული უსათაურო. მოწინავე წერილიც². ვინც კი ჩვენს სასწავლებელში უცხო მოსულა სწავლის გასაგრძელებლადო, წერს ავტორი, ყველას თვალში ეცემა, რომ გიმნაზიელები იზოლირებული არიან გარესამყაროსაგან და, რაც მეტად სავალალოა, მათ შორის ნაკლებად არის ერთობა და ამხანაგობაო. ავტორს არ მოსწონს ის, რომ მოსწავლეები კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან, ერთმანეთს არ უზიარებენ თავიანთ კირ-ვარამს, აზრებსა და სულისკვეთებას, რომ საზოგადოებაში გამოუსვლელეები არიან. მართალია, იმართება ლიტერატურული საღამოები, მაგრამ ეს ზღვაში წვეთიაო. რაც მთავარია, თავისუფალ დროს იმის ნაცვლად, რომ დადლილი ტვინი დააჟენონ სასარგებლო საუბრებით, ზოგიერთი გიმნაზისტი დუქნებსა და ყავაზანებს მიაშურებს, ღვინოს ეწაფება. ასეთი დროს ტარება და გართობა მათ ცხოვრების იდეალად მიაჩნიათო. ავტორი გმობს

¹ „დროშა“, 1882, №3. წერალს ახლავს რედაქციის შენიშვნა, რომ ავტორს ეს სტატია, მართალია, მეექვსე კლასის მოსწავლეებისათვის მიუძღვნია, მაგრამო, „ჩვენ კი მთელ გიმნაზიაზედ ვიტყოდით ზოგიერთ ცვლილების გარდა“.

² ფანქრით ავტორად მიწერილია მ. მღვდლიშვილი.

ასეთ ფუქსავატურ საქციელს და შენიშნავს, რომ ამაში ძირითადად დამნაშავე არიან თვით მოსწავლეთა მშობლები: ბევრი მათგანი გაუუნათლებელია, ადამიანის ბედნიერებას მხოლოდ დროს ტარებასა და ღვინის სმაში ხედავს და რა გასაკვირია, რომ ბავშვებიც მშობლებს ბაძავენო. დასასრულ, ავტორი მოუწოდებს ყველას, რომ ზნეობა აიმაღლონ, გონება განივითარონ და ერთმანეთის ყოფაქცევას თვალყური ადევნონ, რათა უკეთეს ადამიანებად, კემშარიტ მოქალაქეებად აღიზარდნონ, ვიდრე წინა თაობა.

ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ არის დაყენებული წერილში „მამა-პაპური ჩვეულება“ (ავტორია „ნატუსალა“)¹. მასში დაგმობილია უფროსი კლასების მოსწავლეთა ერთი ნაწილის საქციელი, რომლებიც ღვინის უზომოდ სმას მამაპაპურ ჩვეულებად მიიჩნევენ და ლოთობენ, უღირსად იქცევიან. ისინი ძალიან ცუდ მაგალითს აძლევენ უმცროსკლასელებს, რომლებიც მათ ბაძავენ და ფუჭდებიანო. ეს კარგად აუწერია მ. ნ-ს ლექსში „პანსიონერი“². გარჩეულია ეს ნაწარმოები და აღნიშნულია, რომ ლოთობა და უქმად დროს ტარება, სამწუხაროდ, მარტო პანსიონში მცხოვრები მოსწავლეებისათვის როდია დამახასიათებელი, ამ ცუდ საქმეს თურმე სხვებიც სჩადიანო. ავტორი აცხადებს, მ. ნ-მ ზოგიერთი გადაგვარებული მოსწავლის ცხოვრების მართებული სურათი დახატაო, და ნიმუშად მოჰყავს სათანადო ადგილები ლექსიდან.

საინტერესოა, რომ „დროშა“ მოსწავლეებს სხვადასხვა ჯგუფად ყოფს და იძლევა თითოეული მათგანის დახასიათებას. ყუმელის (ფსევდონიმი) სტატიაში „ხუთი მოსწავლე“³ სწორედ ამის შესახებ არის საუბარი. ავტორის აზრით, გვხვდება ხუთი სხვადასხვა თვისებისა და ხასიათის გიმნაზისტი:

პირველი. საშუალო ტანის ყმაწვილია, ცოტა ჩაუვითლებული, ჯაგრისივით თმა აქვს. ყოველთვის ხელში ლათინური ან ბერძნული წიგნი უჭირავს. ისტორიასა და გეოგრაფიას პატივს არა სცემს, ზეპირობა უყვარს, მსგავსად მსახიობისა. მასწავლებლებს შენიშნული ჰყავთ, როგორც კარგი მოსწავლე. სხვა მოსწავლეებს კი ასეთი ახალგაზრდის მიმართ განსხვავებული წარმოდგენა აქვთ: მათი ფიქრით, ადამიანისაგან, რომლისთვისაც მხოლოდ ლათინური და ბერძნული წიგნებია ღმერთები, არაფერი გამოვა.

მეორე. გამხდარი, ლოყებჩაცვენილი, თმაგაუკრეკელი, ცუდად ჩაცმულია, იღლიაში დარვინის წიგნი ამოუჩრია. გაკვეთილი არასო-

¹ „დროშა“, 1882, № 3 და № 4.

² მოთავსებულია ნ. მარის ხელნაწერ გაზეთ „ბედის“ 1881 წლის 28 იანვრის ნომერში. მ. ნ. — რედაქტორის ინიციალებია.

³ „დროშა“, 1882, № 4.

დეს იცის, უხეშობს მასწავლებლებთან და ჰგონია, რომ, რაც უნდა, იმას ისწავლის და ეს არაფერია საქმე არ არის. ძალიან მოსწონს ძისარევი. წერს ლექსებსაც, რომლებსაც თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს კაცი. მოკლედ, ნიპილისტია.

მეხამე. კავალერია, წვერულვაშშექინქლული, თვალბზე პენსე უკეთია არა იმიტომ, რომ დარვინით თავი შეიწუხოს, მსგავსად მეორისა, არამედ სიკობტავისათვის, რომ გიმნაზისტ ქალებს თავი მოაწონოს. სულ ჩაცმულობასა და ქალებზე ლაპარაკობს, სწავლა სრულიად არ ახსოვს, მხოლოდ ცეკვა და ბალები უტრიალებს თავში.

მეოთხე. ტანმოსული, გოლიათური აგებულებისაა, თვალები ერთთავად დასისხლიანებული აქვს უძილობითა და ბახუსის წყალობით. „აქ ვიქეიფეთ“, „იქ ეს გავლახეთ“, „ხუთს მოვერიე“ — აი, მისი ლექსიკონი. უქნარა, ლოთი და მუშტი-კრივის მოყვარულია, სწავლისათვის სადა სცალია!

მეხუთე. ლიტერატორია, გიმნაზიის ჟურნალ-გაზეთებში მოღვაწეობს, სასარგებლო საქმიანობას ეწევა და სამშობლო უსაზღვროდ უყვარს.

ავტორის სიმპათიები ამ უკანასკნელის მხარეზეა — მას იგი სამაგალითოდ მიაჩნია.

რამდენიმე სიტყვით შევეხბოთ მოსწავლეთა ინიციატივით ბიბლიოთეკების შექმნის საკითხის გაშუქებას „დროშაში“. იქ მოყვანილია სხვა ხელნაწერი ორგანოს „შექცევს“ ცნობა, რომ მეოთხეკლასელებს ქართული და რუსული წიგნების საკუთარი ბიბლიოთეკა მოუწყვიათო¹. მოსწავლეთა ბიბლიოთეკები გიმნაზიაში კარგა ხანია არსებობს და ეს სასიხარულო ამბავიაო, წერს გაზეთი, მაგრამ, სამწუხაროდ, თურმე მარტო წიგნების შეგროვება ხდება და საქმე ბოლომდე არ მიჰყავთ — კითხვებები წიგნებს არ უვლიან, ხევენ, სვრიან და კარგავენ კიდევ. გაზეთი ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ცალ-ცალკე ბიბლიოთეკებს აარსებენ და ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. მისი აზრით, გაცილებით უკეთესი იქნება, რომ ეს პატარა ბიბლიოთეკები შეაერთონ. მეორე წერილი ამავე საკითხზე „სად არის ჩვენი ბიბლიოთეკის ფული?“ (ავტორია „მოსწავლე“)² იუწყება, რომ წინა წელს „ბედის“ რედაქციის თაოსნობით ამ გაზეთის დაახლოებით ოც თანამშრომელს ფული შეუტკრებია, რვა თვეში 80 მანეთი შეგროვებულა. დაუწყიათ მსჯელობა, თუ რისთვის მოეხმარათ ეს თანხა.

¹ „დროშა“, 1882, № 2. მასალა მოთავსებულია „შენიშვნებში“.

² „დროშა“, 1882, № 4.

ზოგი ღარიბი მოსწავლეებისადმი დახმარებას მოითხოვდა, ზოგი ქართული ბიბლიოთეკის დაარსებას. ბოლოს, რაკი ამ უკანასკნელ აზრს გაუმარჯვია, ამოურჩევიათ ხაზინადარი და ბიბლიოთეკარი. წიგნების შექმნაზე მხოლოდ 14 მანეთი დახარჯულა. დანარჩენი ფული მოსწავლეებისათვის უსესხებიათ, ისინი კი თურმე ვალს უკან აღარ აბრუნებდნენ. ავტორი სთხოვს გაზეთს, რომ თქვენი საშუალებით ხაზინადარმა და ბიბლიოთეკარმა ანგარიში ჩაგვაბაროს: სად არის ფული, ვის რამდენი მართებს და საერთოდ რა მდგომარეობაა ბიბლიოთეკაშიო. ეს მაშალა იმითაც არის საინტერესო, რომ მკითხველები მოითხოვენ გაზეთის ჩარევას მტკიცენული საკითხების მოგვარებაში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მის ავტორიტეტულ აზრს. ესეც მოსწავლეთა ხელნაწერი პრესის ქმედითობის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა.

მრავალი მასალა მიძღვნილი ქალთა გიმნაზიის ცხოვრებისადმიც. ერთ-ერთ მათგანში („საქალებო გიმნაზიიდან გვწერენ“)¹ მოთხრობილია იმის შესახებ, რომ უფროსკლასელებს განუზრახავთ ქართული ლექციების გამართვა. ამ მიზნით მოუწვევიათ ალექსი ჭიჭინაძე, რომელიც სიამოვნებით დათანხმებულა. გიმნაზიის ხელმძღვანელობასაც ნება დაურთავს. მაგრამ ავტორი ექვს გამოთქვამს, რომ ეს საქმე კეთილად დაბოლოვდეს. მისი აზრით, სასწავლებლის მესვეურთაგან სახეიროს არაფერს უნდა მოელოდნენ. და მართლაც, „დროშის“ შემდეგ ნომერში აღნიშნულია, რომ ქალთა გიმნაზიის დირექტორმა ლექციების კითხვა აკრძალა.

სტატიაში „სასულიერო სასწავლებელი“ (ავტორია „ბ“)² ლაპარაკია მოსწავლეთა აუტანელ პირობებზე. საერთოდ, 1882 წლის ზამთარი მძიმე ყოფილა ქუთაისელებისათვის, მაგრამ განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩენილა სასულიერო სასწავლებელი, რომელსაც ყოვლად შეუფერებელი შენობა ჰქონია („არც იატაკი უვარგა, არც ჭერი და არც კარ-ფანჯარა... ზენა და ქვენა ქარი რიგრიგზე მობიბინებენ“ მასშიო). რაც მთავარია, სასწავლებელში გათბობა სრულიად არ ყოფილა და ბავშვები სიცივით კავკავებდნენ.

როგორც დავინახეთ, „დროშა“ მართლაც ასრულებს თავის დაპირებას — მკითხველებს აცნობს ვაჟთა გიმნაზიისა და ქუთაისის სხვა სასწავლებლების ცხოვრებას, მსჯელობს მოსწავლეთა სწავლალზრდის საჭირობოროტო საკითხებზე და საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს.

¹ „დროშა“, 1882, № 3.

² „დროშა“, 1882, № 4.

ი. ლორთქიფანიძის „დროშაშიც“ გვხვდება მასალები გიმნაზიის სხვადასხვა ორგანოზე. პირველსავე ნომერში მოთავსებული წერილი „გიმნაზიის ამბები“ ეხება მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალს „ცისარტყელას“. გამოთქმულია საყვედური, რომ იგი დანიშნულ დროს არასოდეს გამოდის, მოსწავლეები, განსაკუთრებით უმცროსკლასელები, მას ნაკლებად კითხულობენ, უფრო გარეშე. პირებში ვრცელდებაო და სხვ. ავტორი იწუნებს აგრეთვე ჟურნალის გარეგნულ სახეს.

მომდევნო ნომრის სარედაქციო წერილში¹ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ნაკლოვანებათა მხილებითა და მათი გამოსწორებისათვის ზრუნვით გაზეთი მოსწავლეებისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებსო. შემდეგ ლაპარაკია იმ სიძნელეებზე, რაც წინ ეღობება გიმნაზიის ჟურნალ-გაზეთების გამოცემის განახლებას არდადეგების შემდეგ. ეს თურმე ძალზე მტკივნეული პროცესი ყოფილა. მაგალითისათვის მოყვანილია „ცისარტყელა“. პირველი ნომერი სწავლის დაწყებისას, როგორც იქნა გამოვიდა, რამაც ყველა გაახარაო. მაგრამ, სამწუხაროდ, „ცისარტყელა“ იმის ნაცვლად, რომ ყოველკვირეულად გამოსულიყო, თურმე თვეობით არ იცემოდა. გარდა ამისა, წერილში ლაპარაკია „ცისარტყელას“ სხვა ნაკლოვანებებზეც. ავტორს განსაკუთრებით არ მოსწონს ამ ორგანოს ფორმატის ცვალებადობა, აგრეთვე ის, რომ „ცისარტყელას“ პირველად გარეშე პირნი კითხულობენ და როდესაც „დააძველებენ“, მერე ჩვენ გვიგზავნიანო. შემდეგ ავტორი მომთხილავს „ცისარტყელას“ ოთხ ნომერს და საერთო ზასიათის შენიშვნებს აკეთებს. პირველ რიგში აღნიშნავს, რომ ამ ჟურნალში ძალზე ცოტაა საინტერესო სტატიებიო. მეორე ნაკლად ის არის მიჩნეული, რომ აქ ზომაზე მეტად ყოფილა წარმოდგენილი პოეზია — ლექსები და პოემები. წერილში კრიტიკულად არის გარჩეული ჟურნალის მასალები. მაგალითად, ავტორი განიხილავს პ. შირიანაშვილის რამდენიმე სტატიას² და განსაკუთრებით იწუნებს მათ ენას, თავს ესტმის იქ ნახმარ არქაიზმებს. ეს სტატიები „სხვადასხვა ღრმა სიტყვებით“ არის აჭრელებულიო. რით ვერ გაიგო. პ. შირიანაშვილმა, რომ მისი ენა ჩვენთვის გაუგებარი და გამოუსადეგარია, ხომ არ დავბრუნდებით მეთორმეტე საუკუნეში და იმდროინდელი ენით არ დავიწყებთ ლაპარაკსო. სარედაქციო წერილიდან აგრეთვე ვიგებთ, რომ „ცისარ-

¹ „დროშა“, 1882, № 2. ფანქრით ავტორად მიწერილია „ყუმელი“.

² როგორც ეტყობა, პ. შირიანაშვილი „ის“ გამოცემის შეწყვეტის შემდეგ „ცისარტყელაში“ თანამშრომლობდა, აგრეთვე „ბედშიც“, როგორც ეს ზემოთ ენახეთ, და, ალბათ. კვლავ განაგრძობდა „მძიმე ენით“ წერას, რადგან წერილში პ. შირიანაშვილის მასალების სწორედ ეს ნაკლი ყოფილა გაკრიტიკებული.

ტყელას“ შემოუღია „საქვეყნო აზრების გადაწყვეტა“, ე. ი. საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა. კერძოდ, ავტორი ასახელებს ამ ჟურნალის მეორე ნომერში რედაქტორის მიერ დაწერილ მოწინავე სტატიას, რომელიც შეეხება პატრიოტიზმსა და კოსმოპოლიტიზმს¹, და აღნიშნავს, რომ ჟურნალის ყველა გამოსულ ნომერში მხოლოდ ეს სტატია იქცევის ყურადღებასო, რადგან იგი თურმე სხვებთან შედარებით ცოტად თუ ბევრად ახლოს ყოფილა გიმნაზიელთა ცხოვრებასთან.

„ციხარტყელას“ შესახებ ცნობები სხვა წერილებშიც გვხვდება² და, რამდენადაც მის ნომრებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ისინი ძვირფას წყაროს წარმოადგენენ ამ ჟურნალის შინაარსზე, მის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „დროშა“ თვითკრიტიკულად უდგება საკუთარ ნაკლოვანებებს. წერილში „შენიშვნები“ („დროშა“, 1882, №2) რედაქცია აღიარებს: მართალია მკითხველთა საყვედურები იმის გამო, რომ „დროშა“ ცოტა გაურკვეველი ხელით იწერება. მაგრამ, მისი აზრით, ეს არ უნდა იყოს გაზეთის მუშაობის განმსაზღვრელი, რომ მთავარია სტატიებისა და წერილების შინაარსი. იქვე აღნიშნულია, რომ ჩვენს გაზეთს მეხუთე-მეექვსე-, და მეშვიდეკლასელები კითხულობენ და საყვედურები მხოლოდ ამ უკანასკნელთ გამოუთქვამთო. შარშანო, იუწყება წერილი, როდესაც ისინი მეექვსე კლასში იყვნენ, თავს აკლავდნენ „ბედს“³, ახლა კი, როცა საკუთარი ორგანო აღარა აქვთ, დაცინვას მიჰყვეს ხელი, რაც არ ეკადრებათო. „დროშის“ რედაქცია განმარტავს: გაზეთის ტექსტი ძალზე წვრილად და წმინდად იმისათვის იწერება, რომ სვეტებში რაც შეიძლება მეტი მასალა ჩავატიოთო.

გიმნაზიის ხელნაწერ ორგანოებზე საინტერესო მასალებს შეიტყვის წერილი „რაც მომადიქრდა“ („დროშა“, 1882, № 2), რომლის ავტორი ნატუსალა (ფსევდონიმი) აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში გიმნაზიაში გამოცოცხლდა „ჟურნალ-გაზეთობა“. მასაც ამ პერიოდის მოსწავლეთა ხელნაწერი პრესის „პირველ ზაფხუძვლად“ მიაჩნია გოცირიძის მიერ გამოცემული „ციცინათელა“, რომელსაც დიდხანს არ უარსებია. შემდეგ გამოჩენილა „ია“ და ისიცო „ერთი წლის ბავშვი მოკვდა“. მას მოჰყოლია „ბედი“, რომელსაც მისივე ხვედრი გაუზიარებია. ახლა კიო, წერს ავტორი: გამოჩნდა „ციხარტყელა“ და ღმერთმა ქნას, რომ მანაც არ შეწყვიტოს არსებობაო, „თორემ ვინ აღადგენს სამშობლოს, ვინდა გააპა-

¹ როგორც ჩანს, ეს თემა პოპულარული ყოფილა გიმნაზიელთა შორის.

² „შენიშვნები“ („დროშა“, 1882, № 3 და № 4). ამ წერილებში ლაპარაკია, კერძოდ, „ციხარტყელასა“ და „დროშას“ შორის გაშლილ პოლემიკაზე.

³ იგულისხმება ნ. მარის ხელნაწერი გაზეთი.

ტრიოტებს მოსწავლეებს“. გამოჩენილა აგრეთვე გაზეთი „შექცევაც“, რომელშიც სერიოზული არაფერია და, მართლაც, შესაქცევად თუ წაიკითხავს კაციო. წერილში დახასიათებულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამოცემა და ხაზგასმულია, რომ ყველაზე უკეთ საქმეს თავი გაართვა „ბედის“ რედაქტორმაო (ნ. მარშა).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დროშაში“ ძირითადად პუბლიცისტიკაა წარმოდგენილი, მხატვრული ნაწარმოებები კი ძალზე მცირე რაოდენობით გვხვდება. ეს უკანასკნელნი არ იმსახურებენ იმას, რომ მათზე ცალკე შეჩერება ღირდეს.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ როგორც „დროშაში“, ისე მოსწავლეთა სხვა ხელნაწერ ორგანოებში დასმულ სწავლა-აღზრდის საკითხებზე იმდროინდელი გაზეთებიც („დროება“ და „შრომა“) წერდნენ. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ნაბეჭდი გაზეთები ცენზურის გამო უფრო ზოგადად მსჯელობდნენ სახალხო განათლების მტკივნეულ პრობლემებზე და ფაქტების დასახელებას ერიდებოდნენ. მაგალითად, გაზეთმა „შრომამ“ 1881 წლის 7 ოქტომბრის ნომერში (№ 6) მოათავსა მოწინავე წერილი („ქუთაისი, 7 ოქტომბერს, 1881“), რომელიც მოითხოვს, რომ სწავლება მეცნიერულ საფუძველზე იქნეს დაყენებული, რომ ბევრი რამ სკოლებში მოძველებულია და გადახალისებას მოითხოვს. გაზეთი ილაშქრებს ლათინური და ბერძნული ენების სწავლების წინააღმდეგ და ხაზს უსვამს გადაჭარბებული სიმკაცრით აღზრდის სისტემის უვარგისობას, კიცხავს მოსწავლეებისადმი ბარბაროსულ დამოკიდებულებას, ფიზიკურ დასჯასა და სხვ. ყველაფერი ეს სწორი იყო, მაგრამ ავტორს არც ერთი ფაქტი არ მოუყვანია და არ ჩანს, თუ სად ხდებოდა ყოველივე ეს. მოსწავლეთა ხელნაწერი უურნალ-გაზეთები კი „შრომის“ ამ ხარვეზს ავსებენ, მოურიდებლად ასახელებენ კონკრეტულ ფაქტებს.

გარდა ამისა, მართალია, მოსწავლეთა ხელნაწერი ორგანოებისა და „დროებისა“ და „შრომის“ მიერ თითქმის ერთი და იგივე აქტუალური, საჭირობოროტო საკითხებია განხილული, მაგრამ აბსოლუტური დამთხვევა მაინც არ არის, მოსწავლეთა პრესისათვის ეპიგონობა ზმირ შენთხვევაში უცხოა. უფრო მეტიც, ზოგჯერ საკითხის დაყენებაში ისინი ბეჭდურ გაზეთებსაც კი უსწრებენ. მაგალითად, „დროშა“ პატრიოტიზმზე და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე წერს 1882 წლის 16 თებერვლის ნომერში (№1), ხოლო „შრომა“ ამავე საკითხზე ბოსლეველის (ესტატე მკველიძის) სტატიას ბეჭდავს 1882 წლის 17 მარტის ნომერში (№4), ე. ი. ერთი თვის შემდეგ.

ვ) არჩილ აბაშიძის „კუკური“

„კუკური“ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გამოდიოდა 1885 წელს არჩილ სამსონის ძე აბაშიძის (1870-1919) რედაქტორობით.¹ შემონახულია მხოლოდ ერთი (პირველი) ნომერი, რომელსაც თარიღად 1 ნომბერი აწერია.² ძნელია იმის დადგენა, თუ სულ რამდენი ნომერი გამოვიდა. სათაურის ქვეშ რედაქციას ასეთი წარწერა მოუთავსებია: „გამოდის თვეში ორჯერ 1-ს და 15-ს“ (ე.ი. ყოველი თვის დასაწყისში და შუა რიცხვებში). ამ ნომერს რედაქციის ასეთი შენიშვნაც ახლავს:

„რედაქციისაგან: უმორჩილესად გთხოვთ: ა) გაკვეთილების დროს არ იკითხოთ „კუკურის“ ნომრები; ბ) არაფერი შენიშვნები თვითონ ნომერზედ აკ დასწეროთ და გ) ყოველი სტატიები და ნაწერები გარდასცეთ თვით რედაქტორს“.

„კუკურის“ გიმნაზიელთა სხვა ორგანოებისაგან განსხვავებები არ აწერია — ჟურნალი იგი თუ გაზეთი. გარეგნულად მას უფრო გაზეთის სახე აქვს, ვიდრე ჟურნალისა: ორსვეტიანია, შეიცავს 4 ფურცელს, ანუ 8 გვერდს (დაწერილია 7 გვერდი, ხოლო ბოლო, მე-8 გვერდი ცარიელია), ზომაა 35 სმ×22 სმ.

„კუკურის“ სარედაქციო წერილი შეიცავს საინტერესო ცნობებს ქუთაისის გიმნაზიაში მოსწავლეთა მიერ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოცემაზე. რედაქცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ „გიმნაზიაში ყოველთვის გამოდიოდა და ეხლაც გამოდის ერთ კლასში მაინც რომელიმე ჟურნალი“. წერილში შემდეგ ლაპარაკია ამავე სასწავლებელში 1883 წელს გამოშვებულ ყოველთვიურ სალიტერატურო ჟურნალ „სალამურზე“, შექმნილია მისი ავტორები და რედაქტორი. ამას მოსდევს „კუკურის“ ისტორიის თხრობა. თურმე ეს ჟურნალი აღრეც გამოდიოდა, მაგრამ, რადგანაც თანამშრომელებმა „უკლეს შრომას“, მას არსებობა შეუწყვეტია. სარედაქციო წერილი ხაზს უსვამს, რომ ახალ „კუკურს“ იგივე თანამშრომლები ჰყავს, რომლებიც უწინ ჰყავდათ. „კუკურის“ აღორძინება ისეთ სასიხარულო მოვლენად ყოფილა მიჩნეული, რომ ამ ნომერში მისდამი მიძღვნილი ლექსიც კი მოუთავსებიათ — „კუკურის კურთხევა“ (ავტორია „N“).

„კუკურის“ ამ ნომერში ძირითადად წარმოდგენილია ლექსები

¹ არჩილ აბაშიძე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოხელე გახდა — მუდმივად მუშაობდა ზესტაფონში, შორაპნის მხარის სამხედრო ვალდებულების საქმეთა სამმართველოში.

² საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 9083.

და ერთი პროზაული ნაწარმოები, რომელსაც ჟურნალი მოთხრობას უწოდებს. სინამდვილეში იგი ლეგენდაა ალანების (ოსების) გმირ არამხუტზე. ჟურნალში გვხვდება შემდეგი ლექსები: „ჩემი ლოცვა“ (ავტორია გ. ა.), „მამის დარიგება“ (ხელმოუწერელია), „ჩიტი“ (ავტორია მ. ინგურელი). ლექსები ეპიგონურია, შინაარსით — პრიმიტიული.

ჟურნალის ბოლოში მოთავსებულია რუბრიკა „ფოსტა“, საიდანაც ნათელი ხდება, რომ „კუკურის“ თანამშრომელთა წრე მართო ერთი კლასის მოსწავლეებით არ შემოიფარგლებოდა — მასში მონაწილეობდნენ როგორც მეზუთე-, ისე მეექვსეკლასელებიც. არანაკლებ საინტერესოა ის, რომ, როგორც ამ რუბრიკიდან ჩანს, რედაქცია თავის ავტორებთან ურთიერთობისათვის თვით „კუკურის“ ფურცლებს იყენებს — უწონებს მათ მოწოდებულ მასალებს, მაღლობას უძღვნის თანამშრომლობისათვის, ჰპირდება გამოქვეყნებას და ა. შ.

**პერსონალური მხარე გამოცემული ხელნაწერი
ჟურნალ-გაზეთები**

1. არტემ ახნაზაროვი (ჩიორა) და მისი „ნაბიჯი“

არტემ ახნაზაროვი ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი თვალაჩინო წარმომადგენელია. იგი იყო შესანიშნავი ფელეტონისტი, ილიასეული გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთი მეტად თვალაჩინო მუშაკი. ამასთან წერდა ლექსებს, მოთხრობებს, სცენებს. ა. ახნაზაროვი ცნობილია აგრეთვე როგორც თეატრალური კრიტიკოსი, მთარგმნელი, იურიდიულ დარგშიც ეწეოდა მოღვაწეობას. სამწუხაროდ, თითო-ორჯერ აქა-იქ გაბნეული ცნობა თუ მოიპოვება მის შესახებ — მისი ცხოვრების გზა და შემოქმედება ჩვენს ლიტერატურაში სპეციალური მსჯელობის საგანი არ ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მცირე საგაზეთო წერილს¹. უნდა ითქვას, რომ ჩვენს მუზეუმებსა და არქივებშიც ძალზე ცოტა რაოდენობითაა ცნობები ა. ახნაზაროვზე. ბედნიერი შემთხვევის წყალობით ჩვენ ხელთ აღმოჩნდა ა. ახნაზაროვის პირადი არქივის გარკვეული ნაწილი, რომელიც ა. ახნაზაროვის მეუღლის — ნინო გიორგის ასული ვეფხვაძის ძმისწულნა პროფ. რ. ვეფხვაძემ გადმოგვცა. ამ მასალებზე მუშაობამ მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალი აქამდე უცნობი ფაქტი და მოვლენა ნათელი გახადა.

¹ იხ. შ. დადიანის წერილი „არტემ ახნაზაროვი“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წლის 26 აპრილი); იგივე წერილი შეტანილია შ. დადიანის წიგნში „ჩრდილო წერილები“ (1950, გვ. 196-198); „არტემ ახნაზაროვი“ (ნეკროლოგი) (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1942 წლის 5 აპრილი. ხელს აწერენ: შ. დადიანი, გ. გრიშაშვილი, დ. სულიაშვილი, ი. ფლავი, ი. ზურაბიშვილი); ლ. მარტაშვილის წერილი „ჩიორას გახსენება“ („ლიტერატურული საქართველო“, 1966 წლის 21 ოქტომბერი).

არტემ მიხეილის ძე ახნაზაროვი დაიბადა თბილისში 1866 წლის 1 ოქტომბერს. ა. ახნაზაროვის საკუთარი მასალებიდან, აგრეთვე შ. დადიანისა და ი. გრიშაშვილის მიერ დაწერილი ბიოგრაფიებიდან¹ ირკვევა, რომ მისი წინაპარი არაბეთიდან გადმოხვეწილა საქართველოში (არაბულად „ახნაზარი“ ნიშნავს „ღვთის მფარველობას“) და აქ სომეხ გრიგორიანთა სარწმუნოება მიუღია. მერე როგორღაც ყაფლან ორბელიანის ყმა გამხდარა. ა. ახნაზაროვის პაპა თომა თბილისში ყაფლან ორბელიანის ოჯახში ყოფილა აღზრდილი და ბატონს იგი დალაქისათვის მიუბარებია შეგარდად, რომ შემდეგში მას მომსახურებოდა. რაც შეეხება ა. ახნაზაროვის მამას — მიხეილს (ნათლობის სახელით მანუელი)², ბატონს იგი მექუდისათვის მიუცია ხელობის შესასწავლად, რაც იმ დროისათვის დიდ წყალობად ითვლებოდა, რადგან ხელობაზე ყმის გაბარება დაახლოებით მის გააზატებას ნიშნავდა. ა. ახნაზაროვის დედა ქართველი იყო — მარიამ ანდრიას ასული ლალიაშვილი. საერთოდ, ახნაზაროვების ოჯახში სალაპარაკო ენა ქართული ყოფილა.

ცხრა წლის არტემი დაობლდა — მამა გარდაეცვალა. ამ დღის შემდეგ მისი ოჯახის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. ა. ახნაზაროვის დედა იძულებული გახდა საკერავით ერჩინა თავი. პატარა არტემი წიგნით იყო გატაცებული. ცამეტი წლისას უკვე გადაკითხული ჰქონდა ქართული საგმირო მოთხრობები. განსაკუთრებით ჰყვარებია „ყარამანიანი“, რომლის ბევრი ადგილი ზეპირად სცოდნია.

მალე იგი მიუბარებიათ ოქრომჭედლისათვის, რომელიც თუმცა ქართველი იყო, გვარად კოქახიძე, მაგრამ რატომღაც თავისი ყოფილი ოსტატის გვარს — ბიუდღერს ატარებდა. არტემი აქ დიდხანს არ დარჩენილა. წიგნის სიყვარულის გამო თავი დაუნებებია ოქრომჭედლის ხელობისათვის და სტეფანე მელიქიშვილის სტამბაში შესულა ასოთამწყობობის შესასწავლად (ამ სტამბაში, როგორც ცნობილია, იბეჭდებოდა გაზეთი „დროება“). ახალგაზრდა არტემმა აქ ხუთ თვეს დაყო. თავისუფალ დროს გატაცებით კითხულობდა წიგნებსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. კითხვის საშუალება უფრო მიეცა მას შემდეგ, რაც 1879 წელს იტალიელი მორიჯის წიგნსაცავში დაიწყო მუშაობა. ამავე პერიოდში ა. ახნაზაროვი ხშირად ხვდებოდა თავის ამხანაგებს, მათთან ერთად დადიოდა ახლად აღორძინებულ ქართულ თეატრში. როგორც იგი თავის ავტობიოგრაფიაში იგონებს, თეატრის გზა გაუხსნა მისმა

¹ ა. ახნაზაროვის ავტობიოგრაფია და შ. დადიანისა და ი. გრიშაშვილის მიერ დაწერილი ბიოგრაფიები დაცულია ჩვენს არქივში.

² ალბათ, აქედან მომდინარეობს ა. ახნაზაროვის ერთ-ერთი ფსევდონიმი — მანოელიძე.

კარგმა ნაცნობმა ზაქარია (შაქრო) საფაროვმა, რომლის და მარიამ (მაკო) საფაროვა (ვასო აბაშიძის მეუღლე) იმ დროს პირველ არტისტ ქალად ითვლებოდა.

ზაქარია საფაროვი (1862-1928) მეტად კოლორიტული ფიგურა იყო. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ა. ახნაზაროვის გამოყვანაში ცხოვრების ასპარეზზე¹. იოსებ იმედაშვილი ერთ თავის გამოუქვეყნებელ ხელნაწერში ზ. საფაროვის შესახებ იუწყება:

„ზაქარია საფაროვა შეადგინა თავისი ტოლი ამხანაგების წრე... საკუთარი ჯამაგირით გამართა შპალიერის დეკორაციები და თბილისის ქუჩებში... თავისი რეჟისორობით წარმოდგენების მართვა დაიწყო... რადგან გუბერნატორი საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენების ნებართვას არ იძლეოდა, საფაროვი საკუთარი პასუხისმგებლობით სდგავდა პიესებს, რის გამოც პოლიციას ხშირად გრიმებში გამოწყობილი საფაროვი თავისი დასით, დამსწრე საზოგადოებასთან ერთად, პოლიციაში წაუყვანია. 80-იან წლებში გ. თულაშვილთან, სულხანიშვილთან, ყარაშვილთან და სხვებთან ერთად სცემდა ხელნაწერ გაზეთ „ბურუსის“... ამ დროს მისი ოახმარებით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე არ. ახნაზაროვი“.²

ზ. საფაროვი ახლოს იდგა პრესასთანაც — მუშაობდა გაზეთის ექსპედიციაში თბილისსა და ბაქოში, ზოგჯერ თანამშრომლობდა კიდევ ყურნალ-გაზეთებში. ამ მხრივ ქართული ყურნალისტიკის ისტორიისათვის უდავოდ საყურადღებოა მისი ინტერვიუ კოტე მარჯანიშვილთან („თეატრი და ცხოვრება“, 1914, № 30).

ზ. საფაროვზე სიტყვა იმიტომ გავაგრძელებთ, რომ მან, როგორც აღვნიშნეთ, დიდი გავლენა მოახდინა ა. ახნაზაროვის შემდგომ ცხოვრებაზე, შეაყვარა თეატრი — ორივეს თითქმის არც ერთი წარმოდგენა არ დაუტოვებია უნახავი. ამავე პერიოდს განეკუთვნება ა. ახნაზაროვის შესვლა ქართულ თეატრში სუფლიორად.

თავდაუზოგავი შრომით ა. ახნაზაროვი იმდენად მოემზადა, რომ 1883 წელს რეალურ სასწავლებელში ექსტერნად ჩააბარა გამოცდა. თეატრს მაინც არ ჩამოშორებია — სუფლიორობდა. ბოლოს რეჟისორის თანამშემწედაც (სცენაროუსად) მუშაობდა. დღე

¹ გარდა ამისა, ზ. საფაროვის პიროვნება საინტერესოა იმიტომაც, რომ, როგორც შემდგომ დავინახავთ, იგი აქტიურად მონაწილეობდა ი. მკვდილიშვილის ხელნაწერ გაზეთ „ნაპერწყალი“ და საკუთარ ხელნაწერ ორგანოებსაც უშვებდა (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. თავი „თბილისის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის ხელნაწერი გაზეთი „ნაპერწყალი“).

² საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი, ფონდი 1, საქმე 16, № 5321.

და ღამე თითქმის სულ თეატრში იყო, რომელიც ახალგაზრდა არტემისათვის ნამდვილ სკოლად იქცა.

სწავლის წყურვილი ა. ახნაზაროვს მაინც არ შეუწინებდა და იგი უმაღლესი ცოდნის შეძენას ნატრობდა. შეაგროვა ცოტაოდენი ფული და თერამეტი წლისა ოდესაში გაემგზავრა. იქ ნოვოროსიის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად ჩაერიცხა. მაგრამ ჭერ ლექციები კარგად არც კი იყო დაწყებული, რომ იძულებული გახდა სწავლა შეეწყვიტა, რადგანაც პოლიციამ ოდესიდან გაასახლა პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირებთან ურთიერთობის გამო:

ა. ახნაზაროვმა ლიტერატურული მოღვაწეობა, როგორც თვითონ წერს ავტობიოგრაფიაში, დაიწყო 1883 წელს. მან გაზეთ „დროების“ ამ წლის დეკემბრის ნომერში მოათავსა თავისი პირველი წერილი ქართული ანდაზებისა და გამოცანების შესახებ¹. 1884 წელს არტემი უშვებს ზელნაწერ გაზეთ „ნაბიჯს“. ამ დროსვე დაწერა მან მოთხრობა „კაკაბაძე“ და საყმაწვილო ჟურნალ „ნობათში“ გამოაქვეყნა ინიციალებით: ა. ა-ი².

როდესაც ვასო აბაშიძემ 1885 წელს დაიწყო ყოველკვირეული გაზეთის „თეატრის“ გამოცემა, ა. ახნაზაროვი, რომელიც უსაქმოდ იყო დარჩენილი ოდესიდან გამოდევების შემდეგ, მივიდა მასთან და ეხმარებოდა გაზეთის გამოშვებაში. აქ მან რამდენიმე წერილი და ლექსი გამოაქვეყნა.

1886 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძემ თავისი ყოველთვიური ჟურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადააქეთა, მან ა. ახნაზაროვიც მიიწვია თანამშრომლად. ამ გაზეთში არტემი მუშაობდა 1903 წლამდე. „ივერიაში“ მუშაობის დაწყებას ასე იგონებს ა. ახნაზაროვი თავის წერილში „ილია ჭავჭავაძე და იმისი დრო“:

„1886 წლის დასაწყისში, რამდენადაც მახსოვს, თებერვლისა თუ მარტის თვეში ნიკო ხიზანიშვილმა, რომელსაც ქართული თეატრიდან ვიცნობდი, როგორც ელისაბედ ჩერქეზიშვილის მეუღლეს, გადმომცა, რომ ილია ჭავჭავაძეს უნდა შენი ნახვაო. მანამდე მე ილია ჭავჭავაძე თვალთ არ მენახა... თუმცა უნახავადაც მისი დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი...“

¹ ა. ახნაზაროვი. ავტობიოგრაფია, გვ. 3. რადგან ა. ახნაზაროვს ზუსტად მითითებული არა აქვს, თუ „დროების“ რომელ ნომერში დაიბეჭდა ეს წერილი, ჩვენ გადავათვალე რეთ გაზეთი და წავაწყდით ერთ ზელმოუწერელ მსახლას, რომელიც შეეხება ქართულ ანდაზას „როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო“ (დროება, 1883, № 255). წერილის სათაურია „დროების“ კორექსორ-დენცია“. წერის მანერით, ამ ანდაზის თუმორისტული ნიუანსების გამოყენებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს წერილი ეკუთვნის ა. ახნაზაროვს.

² „ნობათში“, 1885, № 3-4-5.

რამდენადაც მახსოვს, კვირა დღე იყო, დილის 10-11 საათზე მივაღდექი ილიას სახლის კარებს და გულაჩქროლებულმა ზარი ჩამოვკარი. კარი გაიღო, მსახურმა შემიყვანა დერეფანში და შემდეგ, როდესაც ილიას მოახსენა ჩემი ვინაობა, — მის კაბინეტში.

ეს იყო პირველი შეხვედრა ილიასთან... ილია საწერ მაგიდასთან იჯდა... ჩემ შესვლისთანავე... თავი დაანება გაზეთის კითხვას, ოდნავ თავიდან ფეხებამდე შემათვალისწინებდა და... მითხრა, დაბრძანდითო. არ დავძრულვარ.

— თქვენ გაზეთ „თეატრში“ მუშაობთ, ხომ არ მოისურვებთ „ივერიაში“ თანამშრომლობას, ყოველდღე საღამოს გაზეთის კორექტურას უნდა გადაავლოთ თვალი და დილაობით კი სარედაქციო მუშაობა იკისროთ, — თქვა ილიამ და პასუხს აღარ მოუცადა, თვითონვე განაგრძო: ჯამაგირად თვეში ოთხი თუმანი მოგეცემათო... თუ თანახმა ხართ, ხვალ შედით რედაქციაში, გრიგოლ ყიფშიძე იკითხეთ და თქვენს მოვალეობას ის აგიხსნით.

ამ სიტყვებიდან დავრწმუნდი, რომ აუდიენცია გათავებული იყო, და თავის დაკვრით... ოთახიდან გამოვედი... მეორე დღეს დილაადრიანად წარვუდექი რედაქციაში გიგა ყიფშიძეს, რომელმაც განმხიბარტა, რედაქცია რა საქმეს მავალბდა... ასე დაიწყო ჩემი „ივერიაში“ თანამშრომლობა და მას შემდეგ ჩვიდმეტი წელიწადი ამ გაზეთს აღარ გავშორებია¹.

ა. ახნაზაროვი, როგორც თვითონ ამბობს, განსაკუთრებით პირველ წლებში, ყოველდღე რამდენჯერმე ხვდებოდა ილიას. და ბუნებრივია, ახალგაზრდა არტემის მსოფლმხედველობაზე, მის ჟურნალისტურ თუ სამწერლო მოღვაწეობაზე დიდმა ილიამ წარუშლელი კვალი დატოვა. ა. ახნაზაროვმა სათანადო ნიჭი გამოავლინა და მალე „ივერიის“ თვალსაჩინო თანამშრომელი გახდა. იგი აქ ბექდავდა პატარა მოთხრობებს, სცენებს, იუმორისტულ ნაწარმოებებს, ლექსებს, ფელეტონებს, მოწინავე სტატიებს, თეატრალურ რეცენზიებსა და ა. შ. მისი საგაზეთო ფელეტონების მუდმივი რუბრიკები იყო: „სახელდახელო“ („უბად-ასაღები და წყალწასაღები ამბები“), „წკიპურტები“, „ნამცეც-ქუცმაცები“ და სხვ.

ა. ახნაზაროვის წერილები ეხებოდა იმდროინდელ საკიბროროტო საკითხებს. არტემს წერის თავისებური მანერა ჰქონდა. მისი სიტყვა იყო მკვეთრი, მოსწრებული და დამკოდავი (ილიას აკოლა!). მისი ფელეტონები ბრწყინავდნენ იუმორისტული, დამცინავი და გამკილავი საღებავებით, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ აკაკის შემდეგ (გავიხსენოთ მისი „ცხელ-ცხელი

¹ ილია ჭავჭავაძე (საიუბილეო კრებული). 1939, გვ. 295-296.

ამბები“ გაზეთ „დროებაში“) ა. ახნაზაროვისთანა ცოცხალი, მახვილი და ჟურნალისტური ალღოთი დაჯილდოებული ფელეტონისტი იმ დროს თითქმის სხვა არავინ იყო ქართულ პრესაში. მისი ფელეტონები გამოირჩეოდა სიმწვავით, აზრის ლაკონიური გადმოცემით, დახვეწილი კომპოზიციით. სამწუხაროდ, ა. ახნაზაროვის ჟურნალისტური მოღვაწეობა ჩვენს ლიტერატურაში მივიწყებულია (და არა მარტო ა. ახნაზაროვისა. მკვლევრები მისი რანგის ჟურნალისტებს რატომღაც არ სწყალობენ და, ვფიქრობთ, დაუშინაურებლად).

ი. ვართაგავა გადმოგვცემს. რომ ა. ახნაზაროვი სემინარიაში ჩეჩი სწავლის პერიოდში (1888-1895 წწ.) შეთავსებით მუშაობდა საქართველოს საეგზარქოსოს „უწყებების“ კორექტორად, „ხშირად დადიოდა სემინარიაში, იცნობდა თითქმის ყველა უფროსი კლასის მოწაფეებს, სხვათა შორის, — მეც“.¹

1900 წლის დასასრულს ა. ახნაზაროვს ვეჭილობის მოწმობა აუღია და უთხოვია ი. ჭავჭავაძისათვის — „ივერიიდან“ გაეთავისუფლებინა, მაგრამ ილიას ურჩევია, ვიდრე ვეჭილობა ხელს არ შეუშლიდა, ემუშავა გაზეთში, დარჩენილიყო რედაქციაში. ა. ახნაზაროვი დათანხმებულია. მაშასადამე, 1901 წლიდან იგი კიდევ ვეჭილობდა და „ივერიაშიც“ მუშაობდა, ხოლო 1903 წლიდან მან საბოლოოდ თავი დაანება რედაქციაში სამსახურს, თუმცა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობა არ შეუწყვეტია.

ა. ახნაზაროვმა 1910 წელს იმოგზაურა ევროპაში, იყო სტამბოლში, ვენაში, ბუდაპეშტში, ბერლინსა და პარიზში.

ინტერესს მოკლებული არ არის ა. ახნაზაროვის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი იყო ქართული დრამატურგი საზოგადოების გამგეობის წევრი და აგრეთვე მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. 1900 წელს მისი და მ. ჩოდრიშვილის თაოსნობით დაარსდა ქ. თბილისში პირველი ხელოსანთა არტელი — „თბილისის დურგალთა ამხანაგობა“, რომლის წესდება ა. ახნაზაროვმა შეადგინა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ა. ახნაზაროვი ჯერ, 1921-1927 წლებში, მსახურობდა განათლების სახალხო კომისარიატის იურისკონსულტად, 1927 წლიდან კი ვეჭალობას ეწეოდა. 1932 წელს იგი თავს ანებებს მუშაობას, რადგან მხედველობა დიდად შეუსუსტდა. ამ დროიდან ა. ახნაზაროვი მხოლოდ ლიტერატურულ საქმიანობას მისდევს — თარგმნის რუსი კლასიკოსების, აგრეთვე უცხოელ ავტორთა ნაწარ-

¹ ი. ვართაგავა. მოგონებები. II. 1962, გვ. 97.

მოებებს, წერს წერილებს, იუმორისტულ მოთხრობებსა და ლექსებს.

არტემ ახნაზაროვი გარდაიცვალა 1942 წლის 28 მარტს.

მოკლედ უნდა შევეხოთ ა. ახნაზაროვის მოღვაწეობას „ივერიის“ მისი ჟურნალისტური საქმიანობის თავისებურებებს. ამის თაობაზე ილია ზურაბიშვილი ერთ თავის მოგონებაში წერს:

„ილია ჭავჭავაძის გაზ. „ივერიის“ რედაქციის მდივნად არტემ ახნაზაროვი იყო, ქართული ენის ჩინებული მცოდნე, იგივე დაჯილდოვებული იყო მრავალმხრივი ნიჭით... რაც შეეხება იუმორისტულ ფელეტონებს, თამამად შეიძლება ითქვას, ქართულ პრესაში მას იმ დროს ბადალი არა ჰყავდა. ხშირად მისი მოსწრებული სიტყვანოტარიუსის ბეჭედივით ზედ მიეწებებოდა ხოლმე ნიშანში ამოღებულ პიროვნებას... იგი თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდა მაშინდელ პრესაში. იუმორისტული ფელეტონი მან დაამკვიდრა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში“¹.

იაკობ მანსვეტაშვილიც თავის მემუარებში აღნიშნავს არტემ ახნაზაროვის აქტიურ თანამშრომლობას „ივერიაში“, მაგრამ მისი საქმიანობის მხოლოდ ერთ მხარეს ეხება: „არტ. ახნაზაროვი ცოცხალ სცენებს წერდა, უფრო ქალაქის ცხოვრებიდან“.²

ა. ახნაზაროვი რომ „ივერიის“ დადად ნაყოფიერი საგაზეთო მუშაკი იყო, ამას ბევრი რამ ადასტურებს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ი. ჭავჭავაძე ა. ახნაზაროვს ვერ ელეოდა და თანამშრომლად ჰყავდა თავის გაზეთში, ვიდრე იგი ხელთა ჰქონდა (1886-1903 წწ.). უფრო მეტიც, უკანასკნელ წლებში გაზეთის გამოცემაში ა. ახნაზაროვს ერთ-ერთი მთავარი როლი ეკირა. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს. ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ მოწინავე წერილში „გ. თუმანოვი და მისი ამქარი“ („ივერია“, 1898, № 12, 13) იმოწმებს გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილის («Новое обозрение»-ს მაშინდელი რედაქტორის) შენიშვნას, სადაც ნახსენები არიან „თ. ი. გ. ჭავჭავაძე და მისი უმთავრესი თანამშრომელი ახნაზაროვი“. ჩვენთვის აქ საგულისხმოა ის, რომ ილია თავის საპასუხო სიტყვებში არ უარყოფს ა. ახნაზაროვის მთავარ თანამშრომლობას.³

ი. ჭავჭავაძისა და ა. ახნაზაროვის ურთიერთდამოკიდებულებაზე ი. ვართაგავა წერს: „როგორც ცნობილია, ილია დიდად აფასებდა ახნაზაროვს ერთგულებისა და მკვარცხლი მოქმედებისათ-

¹ ილია ჭავჭავაძე (საბუბილეო კრებული). 1939. გვ. 319.

² იაკობ მანსვეტაშვილი. მოგონებანი. 1935. გვ. 76.

³ შტრ. ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. პირველი კრებული. ტ. VIII, 1957, გვ. 286.

ვის. ის იყო, ასე ვთქვათ, ილიას მარჯვენა ხელი სარედაქციო საქმეებში. ილია მას უღრესი ნდობითა და სიყვარულით ეპყრობოდა. საქმიანო, მკვირცხლი, უღრესად ერთგული, თანაც ფხიანი, საინტერესო კალმოსანი ახნაზაროვი — „ჩიორა“ ღირსი იყო ილიას ყურადღებისა და ნდობისა... შემდეგშიაც, ღრმა მოხუცებულობამდის, ის ილიას ერთგული დარჩა და მისი მაღლიანი აზრებითა და განცდებით სუნთქავდა“¹.

რაც შეეხება ჩვენს დიდ პოეტს აკაკი წერეთელს, მან მთელი ფელეტონი უძღვნა „ჩიორას“ (ა. ახნაზაროვს), რომელშიც, სხვათა შორის, წერდა:

„ჩიორაც ერთი ჩიტია,
თვალ-ტანად ბულბულს მოჰგავსო,
ზოგჯერ ყვაივით ყვანალობს,
ზოგჯერ მწყერივით ჰგოგავსო.

ნათქვამია პატარა ჩიტუნაზე და, ეს ანდაზა სწორედ ზედ გამოქრულია „ჩიორაზედაც“. ამ ჩვენს მწერალს შესაფერი არც ნიჭი აკლია და არც ცოდნა!“² აკაკი ზოგჯერ კბილსაც გაჰკარავდა ხოლმე ა. ახნაზაროვს (იხ. მისი მოთხრობა „სიკვდილი“, ლექსი „ივერიის“ თანამშრომლებს“ და სხვ.).

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ა. ახნაზაროვს „ივერიაში“ მისი მოღვაწეობის პერიოდში თავის ნაწარმოებსაც კი უძღვნის ზოგიერთი მწერალი (დიმიტრი ერისთავი³, ნიკოლოზ დადიანი⁴).

ფართოდ ცნობილია ის მწვავე პოლემიკა, რაც „ივერიასა“ და „კვალს“ შორის იყო გაჩაღებული. ეს საკითხი ლიტერატურაში საკმაოდ არის გაშუქებული, ამიტომ მოკლედ შევეხებით მხოლოდ ა. ახნაზაროვის მონაწილეობას აღნიშნულ პოლემიკაში. ამ მხრივ დამახასიათებელია „კვალში“ გამოქვეყნებული წერილი

¹ იხ. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, მოგონებები, II. 1926, გვ. 97-98.

² „ივერია“, 1901, № 239; შდრ. აკაკი წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. XIV. 1961, გვ. 55.

³ იხ. „ივერია“, 1893, № 139 და 141.

⁴ იხ. ა. ახნაზაროვი. ლექსები და სტენები. ტფილისი, 1912, გვ. 9 („არჩილური შეიდთავი“); შდრ.: ა) ნ. დადიანი. საამდროო გამოცანები. ზმკიდურები ჩვენს მოღვაწეებზე. ქუთაისი, 1897, გვ. 24-25; ბ) „ივერია“, 1891, № 166 (ხელმოუწერელი).

სოლ. ცაიშვილის ცნობით, ნ. დადიანს „არჩილური შეიდთავი“ მისთვის იმით უწოდებია, რომ ავტორის განზრახვა ჰქონდა იგი შეიდ თვალ დაეყო და არჩილ მეფის მსგავსად დაეწერა «დახასიათებანი» XIX ს-ის ყველა ასე თუ ისე გამოჩენილ მოღვაწეებზე...“ (ს. ცაიშვილი. ნიკოლოზ დადიანის ლიტერატული მემკვიდრეობა. 1948, გვ. 42).

„ივერიის მკლავაძენი“, რომელიც ძირითადად „ჩიორას“ (ა. ახნაზაროვის) წინააღმდეგ არის მიმართული¹.

ერთ-ერთ მომდევნო ჩომერში „კვალი“ წერს: „ის იყო „ჩიორა“ გაჩუმდა, რომ მისი სალაყბო ბ. ფანცხევამ დაიჭირა და თავისი დაქანგული კალმით „ივერიის“ ფურცლები ააჭრელა“². ხოლო ლექსში „საახალწლო აღსარება“, სადაც გაკრიტიკებულია წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა, „ქვეყნის ბურჯები“ — ილია ქავკავაძე, იაცობ გოგებაშვილი და სხვები, ნათქვამია:

„მათმა ხერხმა, მათმა ჭკუამ
მტერი დასცა მოალორა.
გაუსია სარდალთ გუნდი,
აქ «ბეიორა», იქ «ჩიორა»“³.

ირ. ევდოშვილი (ფსევდონიმი — რიგოლეტო) თავის წერილში „პანწყები“, რომელიც გაზეთ „კვალი“ დაბეჭდა, აკრიტიკებს „ცნობის ფურცელს“, ვითომც მას პროგრამა გაეფართოებინოს იმით, რომ ახალი წლიდან აქვეყნებს თლაფსუ კვირაიას⁴ ფელეტონებს, რომელიც ავტორს „ჩიორას“ (ა. ახნაზაროვს) ეპიგონად მიაჩნია⁵.

ს. ჯულელი არა მარტო ადასტურებს, რომ ა. ახნაზაროვი „ივერიის“ მესვეურთაგანი იყო, უფრო მეტაც, მისი აზრით, „ივერიაში“ ამ ჟურნალისტს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა⁶. საერთოდ, „კვალი“ ა. ახნაზაროვის როლის შეფასებაში უფრო შორსაც მიიღს. იგი წინადადებებს იძლევა, რომ ამიერიდან „ივერიას“ „ჩიორას“ (ა. ახნაზაროვის) გაზეთი უწოდონო (რა თქმა უნდა, ირონიით⁷). აქვე უნდა დაეძინოთ, რომ ა. ახნაზაროვის პოლემიკა „კვალთან“ და „კვალისა“ ა. ახნაზაროვთან ზოგჯერ წერილმან ხასიათსაც ატარებს („ივერია“, 1901, № 24; „კვალი“, 1901, № 96 და სხვ.).

როგორც ცნობილია, „ივერიის“ წინააღმდეგ „კვალის“ გარდა სხვა ჟურნალ-გაზეთებიც ილაშქრებდნენ. ამ მხრივ შედარებით მეტ

¹ „კვალი“, 1898, № 49, გვ. 808-810.

² „კვალი“, 1898, № 51, გვ. 842.

³ „კვალი“, 1899, № 2, გვ. 31.

⁴ თლაფსუ კვირაია ა. ახნაზაროვის ფსევდონიმად აქვს მიჩნეული გივი მიქაძეს („ფსევდონიმების კვალდაკვალი“. დამატება. 1969, № 4, გვ. 200). ამის შესახებ დაწერილებით იხ. ქვემოთ.

⁵ „კვალი“, 1900, № 12, გვ. 198-199.

⁶ „კვალი“, 1900, № 20, გვ. 322.

⁷ „კვალი“, 1898, № 48, გვ. 794.

ინტერესს იწვევს უფროსად „მოგზაურის“ პოლემიკა „ივერიასთან“. იგი ა. ახნაზაროვს ამ პერიოდის „ივერიის“ სულისჩამდგმელსა და მესაქეს უწოდებს¹.

დასასრულ, ა. ახნაზაროვისა და „კვალის“ ურთიერთობა არ იქნება სრულყოფილად გაშუქებული, თუ არ განვიხილავთ გ. წერეთლისა და ა. ახნაზაროვის საინტერესო პოლემიკას. ამ საქმის შინაარსი მოკლედ ასეთია. გ. წერეთელმა „კვალში“ (1894, № 44) დაბეჭდა რეცენზია მეველის (დ. მიქელაძის) პიესის „ხათანგის“ დადგმაზე. ა. ახნაზაროვმა მანოელიძის ფსევდონიმით „ივერიაში“ (1894, № 5) გააკრიტიკა გ. წერეთლის ეს წერალი და ავტორს არაობიექტურობაში დასდო ბრალი. ამის საპასუხოდ გ. წერეთელმა „მაზაკვალის“ ფსევდონიმით „კვალში“ გამოაქვეყნა წერილი: „ბიბლიოგრაფია თეატრის მატიაზე. „ივერია“ № 44“², რომელშიც იგი ა. ახნაზაროვს დრამის გაგებაში ეკამათება. ა. ახნაზაროვმა ამის საპასუხოდ „ივერიაში“ 1894 წლის 61-ე ნომერში დაბეჭდა „გ. წერეთელი და მისი ვეჭილი მაზაკვალი (კვალიგრაფია, ანუ მეცნიეროგრაფია)“, რომელიც იუმორისტული ფელეტონის საუკეთესო ნიმუშია.

რამდენადაც ა. ახნაზაროვის თეატრალურ რეცენზიას შეეგხეთ, უნდა დავძინოთ, რომ იგი თავისი დროის გამოჩენილი თეატრალური კრატიკოსიც იყო. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ა. ახნაზაროვი სისტემატურად წერდა საგულისხმო წერილებს ქართულ წარმოდგენებზე, დეტალურად არჩევდა პიესების შინაარსს, მსახიობთა თამაშს, საინტერესო დასკვნებს აკეთებდა სპექტაკლებს შესახებ. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 1886-1903 წლების „ივერიაში“ ერთ-ერთა ყველაზე ნაყოფიერი თეატრალური რეცენზენტები იყო ა. ახნაზაროვი. ეს ბუნებრივიცაა: როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი თეატრთან თავიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ა. ახნაზაროვი მკვეთრად ილაშქრებდა დილეტანტ-რეცენზენტების, თეატრალური კრიტიკისადმი მათი ზერელე დამოკიდებულების წინააღმდეგ. ამაზე მეტყველებს ნაწყვეტი მისი ლექსიდან „უპეკველია“, რომელიც ბერანეესებური მანერით არის დაწერილი:

„პაწია კიწყინას
დიდად უყვარს კორი,
სულ უნდა გაჰკილოს,
მრუდეა, თუ სწორი.
თუმცა არა ესმის-რა,

¹ „მოგზაური“, 1901, № 8-9, გვ. 918-920. ამ წერილის უშუალო მიზეზი გახდა ა. ახნაზაროვის მიერ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილი „წყობურტი“ („ივერია“, 1901, № 175).

² „კვალი“, 1894, № 119, გვ. 8-9.

აქვე გვინდა შევეხოთ კიდევ ქალთა საკითხს, რომელსაც „ივერიაში“ ა. ახნაზაროვმა სპეციალური წერილი მიუძღვნა. „ივერიაში“ დაბეჭდილმა ამ წერილმა ქართველ საზოგადოებაში დიდი მოქმედებით გამოიწვია. წერილს სათაურია „სახელდახელო (არც ყბადასალები და არც წყალწასალები ამბავი)“². მასში ავტორი აკრიტიკებს იმ ქართველ ქალებს, რომლებიც თავის მშობლიურ ენას ივიწყებენ, რაც განსაკუთრებით შუნიშნება სწავლამილებულთა შორის. ა. ახნაზაროვის ამ წერილს მრავალი ქალი გამოეხმაურა: მარიამ დემურია, ბარბარე სულხანიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, მარიამ საგინაშვილი, ბარბარე ხერხეულაძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვ.

მეფის ცენზურა რომ მძვინვარებდა და ჟურნალისტებს სულს უხუთავდა, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ამ მხრივ გაზეთი „ივერია“ მძიმე მდგომარეობაში იყო, რომლის ავტორთა შორის ა. ახნაზაროვის ნაწერებსაც არაერთხელ შეხებია ცენზურის „ხელი მსახვრალი“. მოვიყვანთ ერთ ფაქტს. ა. ახნაზაროვმა „ორ-ანის“ ფსევდონიმით „ივერიის“ 1888 წლის 21-ე ნომერში გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „სახელდახელო (ყბადასალები — წყალწასალები ამბავი)“. წერილი ცენზურამ საკმაოდ შეკრიჭა და ისე დაისტამბა. ეს „სახელდახელო“ ა. ახნაზაროვმა თავდაპირველი, აღდგენილი სახით შეიტანა ჟურნალ „მნათობში“ (1938, № 5) გამოქვეყნებულ წერილში „აკაკის ერთი ლექსის ამბავი“.

ა. ახნაზაროვი „ივერიის“ რედაქციაში, გარდა იმისა, რომ საკუთარ მასალებს წერდა, სხვის წერილებსაც ამზადებდა და, რაც ჟურნალისტის ისტორიისათვის ერთგვარ ინტერესს შეიცავს, ავტორებთან მოლაპარაკებასა და მიწერ-მოწერას აწარმოებდა, მათთან მუშაობდა, ბევრს ხელს უწყობდა ლიტერატურულ საქმიანობაში. მაგალათად, ა. ახნაზაროვის დახმარებით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ნატალია აზიანი (1878-1943)³.

„ივერიაში“, ბუნებრივია, ბევრი დამწყები პოეტი და მწერალი გზავნიდა თავის ნაწარმოებებს და რედაქციის მუშაკები დიდ ღროს ხარჯავდნენ მათი წაკითხვა-შეფასებისათვის. ეტყობა, ავტორთა შორის გამოერეოდნენ ხოლმე ისეთი პირებიც, რომლებიც გადაჭარბე-

¹ ა. ახნაზაროვი. ლექსები და სცენები. ტფილისი, 1912, გვ. 60.

² „ივერია“, 1894, № 193. წერილი მოთავსებულია „ჩიორას“ ფსევდონიმით.

³ ნ. აზიანი. მოგონებანი ქართველ მწერლებზე. „ლიტერატურის მატია-ნე“, წიგნი 5, ნაკვეთი I, 1949, გვ. 3-5.

ბული შეხედულებისა იყვნენ თავიანთ ნაწერებზე და რედაქციას მოსვენებას არ აძლევდნენ — მათ დასტამბვას მოითხოვდნენ.

ერთი ამგვარი ავტორის შესახებ ლადო ბზვანელი (ნაცლო-შვილი) თავის „ლიტერატურულ მოგონებებში“ წერს: „ქუთაისში მყავდა ნაცნობ-მეგობარი, გვარად ბოდოკია. მისწრაფება ჰქონდა ლექსების წერისა. მაგრამ მისი ლექსები არ ვარგოდა და არ უბეჭდავდნენ. ბოლოს კიდევ ერთი ლექსი გაეგზავნა „ივერიაში“ რედაქტორისათვის. გაუიდა ხანი, პასუხი არ არის... ბოდოკია არ ცხრებოდა და ყოველ კვირაში უგზავნიდა რედაქციას წერილს საყვედურით, რატომ არ მიბეჭდავთ?! 1898 წლის ზაფხულში თბილისის შომიხდა წამოსვლა. ამით ისარგებლა ბოდოკიამ და წერილი გამატანა ილიასათვის გადასაცემად. შევთარე რედაქციაში, ვინახულე ილია და წერილი გადავეცი. ილიამ წერილი წაიკითხა და ზარი დააწყარუნა. შემოვიდა „ჩიორა“ — ეს იყო არ. ახნაზაროვი — „წკიპურტების“ ავტორი. ილიამ გადასცა წერილი და უთხრა: „ამ ბოდოკიამ შეგვაწუხა. დაუწერეთ „ფოსტაში“ ოხუნჯური პასუხი“. ილიას უყვარდა ოხუნჯობა. მალე შემოუტანეს ასეთი პასუხი:

„მავბატონ ბოდოკიას

თქვენი ლექსი მოგვივიდა,
ვაუბატონო ბოდოკია,
მართალი რომ მოგახსენოთ,
ვერაფერი ბოდოკია,
აზრი ფშუტე, რითმა კოქლი,
თავი არ აქვს, ბოლო კია.
ამ ლექსს მაინც ვერ დავბეჭდავთ,
თუნდ თავში გვკრა კოლოკია“¹.

ილიამ გულიანად გაიცინა და უთხრა: „ეს მეტისმეტია, ამით შთლად დავაფრთხოებთ იმ კაცს“-ო. უპასუხეს: „უკეთესია, არ ვარგა მისი ლექსები, ჩამოვიშორებთ და ის იქნება“-ო. მესამე დღეს გამოვიდა „ფოსტაში“ ზემომოყვანილი პასუხი. მართლაც ამის შემდეგ ბოდოკიამ თავი გაანება ლექსების წერას“².

ა. ახნაზაროვს მკვიდრო ურთიერთობა ჰქონდა „ივერიის“ ბათუმელ თანამშრომელთან გრიგოლ ვოლკისთან, აგრეთვე სხვა ავტორებთან — დ. მაჩხანელთან (ნადირაძესთან), დ. მეგრელთან (ხოშტარასთან) და ა. შ.

რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ა. ახნაზაროვის ფსევდონიმებს.

¹ ა. ახნაზაროვის ამ ლექსის ორიგინალი დაცულია ჩვენს არქივში.

² საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 11.

მათ შესასწავლად მკვლევარ გივი მიქაძეს დიდი მუშობა გაუწევია და გვაწვდის ა. ახნაზაროვის ოცდათერთმეტ ფსევდონიმს¹. ამას უნდა დაემატოთ ჩვენ მიერ ამოხსნული რამდენიმე ახალი ფსევდონიმი, რომლებიც გ. მიქაძის ნუსხაში არ არის, თანაც ჩვენი აზრი გამოვთქვით ზოგიერთ საექვო ფსევდონიმზე. მაგალითად, ა. ახნაზაროვის არ უნდა ეკუთვნოდეს ფსევდონიმი „მ“, რადგან მისი პირადი არქივის მასალებით ეს არ დასტურდება, მაშინ როცა უკლებლივ ყველა სხვა მისი ფსევდონიმი დოკუმენტურად დამოწმებულია.

ასევე გ. მიქაძე, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი გაზეთ „ცნობის ფურცელში“ „თლაფსუ კვირაია“ ხელმოწერილ მასალებს რომ ა. ახნაზაროვისად მიიჩნევს. როგორც ვიცით, ა. ახნაზაროვის მათრახები გაზეთ „ცნობის ფურცელსაც“ ხვდებოდა ქართული ენის დამახანჩების გამო. „ცნობის ფურცელი“ ხშირად თავს იმართლებდა და თან „ივერიასაც“ აკრიტიკებდა. ერთ-ერთ ხელმოწერილ მასალაში, რომელსაც „პრესა“ ჰქვია, ნათქვამია: „ივერიის“ «ჩიორა» ქართული ენის დამახანჩებას გვიკვირებებს“. იქვე მოყვანილია ენობრივი შეცდომების მაგალითები „ივერიიდან“, თვით ა. ახნაზაროვს ფელეტონებიდან. ავტორი ბოლოს დაასკვნის: „ეუზრჩევთ ივერიას“ თავის ენას მიაქციოს ყურადღება და შემდეგ სხვას უკიჟინოს“ („ცნობის ფურცელი“, 1901, № 1362). ანის შემდეგ საექვოა ვიფიქროთ, რომ ამავე პერიოდში „თლაფსუ კვირაია“ (ზოგჯერაც მხოლოდ „კვირაია“) ფსევდონიმით „ცნობის ფურცლის“ მუდმივი რუბრიკის „ისარის“ ავტორი ყოფილიყო. „ისარი“ კვირაობით იბეჭდებოდა (იხ. „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1367, 1399, 1413, 1463 და ა. შ.) და ერთგვარად გაუგებარია, რომ ა. ახნაზაროვს, რომელიც „ცნობის ფურცელს“ მწვავედ აკრიტიკებდა, იმავე დროს ამ გაზეთშიც არა ეპიზოდურად, არამედ მუდმივად ეთანამშრომლა. ჩვენი მოსაზრების სისწორეს ადასტურებს კ. რამიშვილიც, რომელიც წერს, რომ გივი ჯაშვილმა აგვიხსნა ფსევდონიმი „თლაფსუ კვირაია“ და იგი სოფრომ მგალობლიშვილს ეკუთვნისო².

რაც შეეხება „ნიორს“, რომელსაც გ. მიქაძე ა. ახნაზაროვის ფსევდონიმად თვლის, არა გვგონია, რომ ჟურნალ „მათრახი და სალამურის“ 1909 წლის მე-20 ნომერში ამ ხელმოწერით გამოქვეყნე-

¹ იხ. გ. მიქაძე. ფსევდონიმების კვლევა. „მაცნე“, 1969, № 4, გვ. 199-203. შდრ. აგრეთვე კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიები.

² ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ტ. V, ნაკვეთი II, 1972, გვ. 18, 619.

ბული „გურული სენა“ ა. ახნაზაროვისა იყოს: ტექსტის ენა (გურული კილო) უჩვეულოა მისთვის.

ჩვენ მიერ დაშტეხებით მიკვლეულია შემდეგი ფსევდონიმები:

1) მ ს ე ს ხ ე ბ ე ლ ი („ივერია“, 1894, № 115).

2) ძე („ივერია“, 1900, № 38).

3) ა—ი („ივერია“, 1889, № 114; 1892, № 25, 43).

4) Z („ივერია“, 1890, № 125 და 155).

5) ა რ . ა ხ ნ ა ზ ა რ ი („თეატრი და ცხოვრება“, 1919, № 8)¹.

გარდა ამისა, ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ ა. ახნაზაროვს ბევრი მასალა ხელმოუწერლად აქვს გამოქვეყნებული. შესაძლებლობის ფარგლებში, თვით ა. ახნაზაროვის მასალებზე დაყრდნობით, დავადგინეთ, რომ მას კალამს ეკუთვნის თერთმეტ ხელმოუწერელი მასალა².

ქართული ეურნალისტიკის, მეტადრე ცენზურაგაუვლელის, ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ა. ახნაზაროვის ხელნაწერ გაზეთს „ნაბიჯს“³, რომელსაც იგუ თბილისში სცემდა 1884 წელს. ამ ხელნაწერი გაზეთის შესახებ ცნობებს იძლევა თვით ა. ახნაზაროვი თავის „ავტობიოგრაფიაში“. იგი წერს: „ამ ხანებში (ლაპარაკია 1882 წელზე. — შ. გ.) მე თანამედროვე ქართული ლიტერატურა უკვე გადაჯითხული მქონდა და ჩემ თავისუფალ დროს იმას ვანდომებდი, რომ... პატარა ხელნაწერ გაზეთსა ვწერდი და შიგ ვათავსებდი ჩემს მიერ შედგენილ წერილებსა და ლექსებს. ამ გაზეთს სახელად „ნაპერწყალი“ (?) ერქვა და კვირაში ერთხელ გამოდიოდა“⁴. ა. ახნაზაროვს თავისი გაზეთის სათაური და გამოცემის წელი ზუსტად არა აქვს მითითებული. ეს გასაგებიცაა. საქმე ისაა, რომ აღნიშნული „ავტობიოგრაფია“ 1932 წელს არის დაწერილი და რადგან, ეტყობა, მას თავისი ხელნაწერი გაზეთიც ხელთ

¹ ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ფსევდონიმების კარტოთეკაში აღნიშნულია, თითქოს ა. ახნაზაროვს ეკუთვნოდეს კიდევ ერთი ფსევდონიმი — „აბრა“. ჩვენ ესეც საეჭვოდ მიგვაჩნია.

² ყოველივე ამის შესახებ დაწერილებით იხ. ჩვენს წიგნში: „პარტემ ახნაზაროვი“. 1971, გვ. 80-81.

³ ჩვენს არქივში დაცულია ხელნაწერ „ნაბიჯის“ შემდეგი ნომრები: № 3 (გამოცემულია 1884 წლის 2 სექტემბერს), № 4 (5 სექტემბერს), № 5 (9 სექტემბერს), № 6 (16 სექტემბერს), № 7 (23 სექტემბერს). იგი გამოდიოდა თავდაპირველად კვირაში ორჯერ (№ 3, 4 და 5), ხოლო შემდეგ კვირაში ერთხელ (№ 6 და 7). რედაქცია მე-4 ნომერში აფრთხილებს მკითხველებს: „ნაბიჯის რედაქცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ სექტემბრის 9-დამ მე-6 №-დამ «ნაბიჯი» დაიწყებს გამოვლას მეტის თაბახიანის ფურცლებით“. გაზეთის გვერდები სამსვეტრიანია. ფორმატი 22 სმ X 36 სმ.

⁴ ა. ა ხ ნ ა ზ ა რ ი ე ი. ავტობიოგრაფია, გვ. 5.

არ ჰქონია, ადვილი შესაძლებელია, მეხსიერებით მან სრულად ვერ აღადგინა სურათი. უფრო მეტიც, აქვე ა. ახნაზაროვი ამბობს, ქართულ დრამატულ დასთან ერთად ბათუმსა და ქუთაისში 1882 წელს გავემგზავრეო, მაშინ როცა დედისადმი მიწერილი წერილიდან¹ ირკვევა, რომ ეს 1884 წელს მომხდარა.

როდესაც „ნაბიჯის“ შესახებ ვლაპარაკობთ, წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება ყველა მანამდე არსებული და ცნობილი ხელნაწერი ქურნალისა თუ გაზეთისაგან, რადგან, პირველ ყოვლისა, მას სცემდა არა ავტორების ჯგუფი, რომლებიც ერთ კოლექტივში ან სასწავლებელში იყვნენ თავმოყრილი, არამედ ერთი პიროვნება, რომელიც გაზეთის თითქმის ყველა მასალის ავტორად გვევლინება. ამასთან თვითონ იყო გადამწერაც (გაზეთის გამამრავლებელი). თუ მოსწავლეთა ხელნაწერი ქურნალ-გაზეთები დიდ ადგილს უთმობდნენ სასწავლებლებს ცხოვრების საკითხებს, გაზეთი „ნაბიჯი“ ამ „სპეციალიზაციისგან“ თავისუფალი იყო. „ნაბიჯის“ დიპაზონი უფრო ფართოა: მას მიერ განხილული საკითხების წრეში შედის არა მარტო თბილისისა და საქართველოს, არამედ რუსეთისა და უცხოეთის ცხოვრებიდან აღებული მასალებიც. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „ნაბიჯი“ თავისი შინაარსითა და გარეგნული სახით ნამდვილი პროფესიონალისტიკისა და არა მოყვარულთა მიერ შედგენილი გაზეთია.

როგორც ჩანს, გაზეთი განკუთვნილი იყო მკითხველთა ფართო წრისათვის. იგი ფორმდებოდა ნაბეჭდი გამოცემების ყაიდაზე. მას ფასიც კი ჰქონდა დადებული. ყოველ ნომერს აწერია: „ცალკე ნომერი „ნაბიჯისა“ ღირს 3 კაპ.“ გაზეთის მე-4, მე-5 და მე-6 ნომრებში რედაქციის ასეთი შენიშვნაა მოთავსებული: „ნაბიჯის“ ფასი სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 1 მანეთი“. მე-7 ნომერშიც ვკითხულობთ: «ნაბიჯის» ფასი 1-ლ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე 40 კაპ“. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ნომრების ეს ფასიანობა ახალ მოვლენას წარმოადგენდა ხელნაწერი ქურნალ-გაზეთების ისტორიაში.

ნაბეჭდი გაზეთებისავე მსგავსად „ნაბიჯში“ მოთავსებული იყო განცხადებებიც. ყველა ნომერს სათაურის მარჯვნივ ან მარცხნივ მიწერილი აქვს: „განცხადება მათემატიკის ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს (!) ენებზედ“. აი, თვითონ განცხადებების ზოგიერთი ნიმუში:

1. „იძლევა ქირით რამდენიმე ოთახი ჩითახოვის სახლებში, გოლოვინსკის პროსპექტი, № 12, პირველსა და მესამე ეტაჟში“.

¹ წერილი დაცულია ჩვენს არქივში.

1884
 1884
 1884

Handwritten text in two columns, likely a ledger or account book. The text is in Georgian and includes various entries and numbers.

Handwritten text in two columns, continuing the ledger or account book. The text is in Georgian and includes various entries and numbers.

გაზეთი «ნაბიჯის» 1884 წლის მე-6 ნომრის 1-ლი გვერდი.

აღსანიშნავაა, რომ ეს განცხადება გაზეთის ყველა ნომერში გვხვდება, ალბათ იმიტომ, რომ ეტყობა რედაქტორს უნდოდა იმ სახლის პატრონის, ვინმე ჩითახოვის, გულის მოგება, სადაც „ნაბიჯის“ რედაქცია იმყოფებოდა („ნაბიჯის“ რედაქცია იმყოფება გოლოვინსკის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლებში № 12“, — მიწერილია ყველა ნომერზე).

2. „ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი ეძებს პრიკაჩიკის ალაგს. ადრესის შეტყობა მსურველთ შეუძლიან «ნაბიჯის» რედაქციაში“¹.

3. „ა. კალანდაძის სტამბაში ეძებენ ვერტელჩიკს, ე. ი. ჩარხის დამტრიალებელს, რომელსაც ექნება ჭეროვანი ჯამაგირი“².

უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ერთი განცხადება, რომელიც თათქმის ყოველ ნომერში გვხვდება: „ამ ცოტას ხანში გამოვა მოჩხუბარიძის (ყაზბეგის) მოთხრობანი“. ა. ახნაზაროვსა და ა. ყაზბეგს შორის ამ დროს გულითადი დამოკიდებულება იყო (ქართული თეატრის სუფლიორად ა. ახნაზაროვი ა. ყაზბეგის რეკომენდაციით მიიღეს) და ეს განცხადებებიც მეტყველებენ იმაზე, თუ რა დიდ პატივსა სცემდა ა. ახნაზაროვი ა. ყაზბეგს და როგორ ცდილობდა შეძლებისდაგვარად ესიამოვნებინა მისთვის.

„ნაბიჯის“ ფურცლებზე სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებით ხშირად იხსენიება ზაქარია (შაქრო) საფაროვი, ა. ახნაზაროვის მეგობარი. მაგალითად, „ნაბიჯის“ მე-2 ნომერში „შინაური ქრონიკის“ რუბრიკით ერთი ასეთი ცნობაა მოთავსებული:

„ჩვენი გაზეთის № 1-ის მოწინავე სტატიაში³ იყო ნაამბობი, რომ ბატონი შაქრო საფაროვი წარმოდგენას აპირებსო. ეხლა ერთი საიმედო პირისაგან შეუერთეთ, რომ აფიშა შეუდგენია კიდეც და ამ დღეებში პოლიცემისტერთანაც აპირებს წარდგენასო. ღმერთმა ჰქნას, რომ ხელი მოუწეროს ბ. პოლიცემისტერის თანამემწემ, რადგანაც გვესმის, რომ სცენის მოყვარეთ არავის აძლევს ნებასო, რადგანაც მთავრობას საწინააღმდეგო არაფერი იყოსო“.

ხოლო „ნაბიჯის“ მე-6 ნომერში ვკითხულობთ: „ჩვენ გავიგეთ, რომ გაზეთ „დროებაში“ და „ნოვოე ობოზრენიეში“ ექსპედიტორები გამოცვლილან. „დროების“ რედაქციაში დამდგარა შ. საფაროვი, ძმა ჩვენი გამოჩენილი არტისტისა...“

ამრიგად, ა. ახნაზაროვი ცდილობს თავისი გაზეთის საშუალებით გამოეხმაუროს ზ. საფაროვის, ბავშვობიდანვე თავისი საუკეთესო მეგობრის, ცხოვრების ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან მომენტებს.

¹ „ნაბიჯი“, 1884, № 4, 5 და 6.

² „ნაბიჯი“, 1884, № 6 და 7.

³ „ნაბიჯის“ ეს ნომერი დაკარგულია.

ა. ახნაზაროვი შესანიშნავად იცნობს გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართული თეატრის ცხოვრებას, რომლის შესახებ „ნაბიჯ-ში“ ბევრ საინტერესო ცნობას ათავსებს.

„ნაბიჯის“ მე-5 ნომერში პირველ გვერდზე მოთავსებული ქართული თეატრის რეკლამა მკითხველს ატყობინებს, რომ არწრუნისეულ თეატრში კვირას, 16 სექტემბერს, ქართული დრამატული დასი წარმოდგენს მოლიერის „ემკვათ ავადმყოფს“ და რ. ერისთავის „ბიძიასთან გამოხუმრებას“.

ამავე ნომერში გვხვდება წერალი „სექტემბრის თვე“, რომელიც მოთავსებულია რუბრიკით: „ნაბიჯის“ ფელეტონი, სექტემბრის 9-ს¹. წერილში ნათქვამია, რომ დაიწყო თეატრებში ზამთრის სეზონი, რუსულმა დასმა გახსნა თავისი თეატრის კარები და მას არც ქართული დასი ჩამორჩაო — ისიც თავისთან (ანუ „არწრუნისეულ თეატრში, რომელიც ბანკს დარჩა“) იწვევს ხალხსო.

შემდეგ ა. ახნაზაროვი წერს, რომ ალექსანდრე ნებეიერიძემ, თუმცა არავის უნდოდა ანტრეპრენიორად და „დროების“ რედაქციამაც საკმაოდ „შეამკო“, თავისი მინც არ დაიშალა და მთელ ქალაქში გამოაქრა აფიშები, რომ ამ თვის თექვსმეტიდან ვაწყობ წარმოდგენებსო. ამას მოსდევს ჩამოთვლა ახლად შედგენილი დასის (თუ შეიძლება, რომ მას ახალი ვუწოდოთ, შენიშნავს ავტორი) შემადგენლობისა. ა. ახნაზაროვი თავს ესხმის დრამატულ საზოგადოებას, რომელიც არაფერს აკეთებსო და „სულ სძინავს“. თუმცა კი სხდომები ხშირად ჰქონდათ, მაგრამ მარტო სასხდომო ფუსფუსი რას გვარგებს, როცა ამ უკანასკნელ სამ წელიწადში კუს ნაბიჯით მიდიოდა ჩვენი თეატრის საქმეო. აქვე ჩამოთვლილია ფაქტები: წარმოდგენების ხშირი გადადება, მსახიობების კინკლაობა და სხვ. ავტორს განსაკუთრებით არ მოსწონს ის, რომ არცთუ ისე იშვიათად კაცს, რომელიც თეატრში სპექტაკლის საყურებლად მიდის, კარებში განცხადება ხვდება, რომ იგი არ შედგებაო. არის ასეთი შემთხვევებიც: მიდიხარ თეატრში, ჯდები შენს ადგილას და ელოდები წარმოდგენის დაწყებას. ამ დროს გამოდის ფარდის წინ კაცი და აცხადებს, რომ, რადგანაც ესა და ეს მსახიობი ქალი თუ კაცი ავად არის, გამოცხადებული სპექტაკლის ნაცვლად სხვა იქნებაო. ფარდაც იხსნება და რას ხედავ: „აქტიორების უბრალოდ გარბენ-გამორბენას. როლის უცოდინარობას, საბრალო სუფლიორის ყვირილს, რომელიც გაჰყვირის ისე, რომ მაყურებელთაც კი მკაფიოდ ესმის და მინც კი ვერას აგონებს შემკრთალ მოთამაშეს, რომელიც უცნაურად აღებს პირს, უნდა რაღაცა წარმოსთქვას და პირი კი გაღებული რჩება“.

¹ ეს რუბრიკა „დროების“ მიბაძვით არის გაკეთებული.

აი, ასეთი უწესრიგობაა ჩვენს თეატრშიო, სინანულით შენიშნავს ავტორი და სვამს კითხვას: სად იყო დრამატული საზოგადოებაო? იქვე ასეთი პასუხია გაცემული: „ეძინა, დიახ, ეძინა; ან თუ არა და ოქროყანაში ქეიფობდა“.

წერილის დასასრულს ავტორი მოუწოდებს, რომ, რაც წავიდა, იმას თავი დავანებოთ, ღმერთმა წულარ მოგვიბრუნოს უკანო, და დაასკვნის: „აგერ ბ. ნებიერიძე ცდილობს და ვნახოთ რა იქნება? ღმერთმა ქნას, რომ წესიერად წაიყვანოს საქმე და ჩვენც გვეთქმოდეს: «რომ აი, თეატრი გვაქვს და მოთამაშებები გვყავსო»“.

ამ წერილის ხელმოწერა „ა. ინასარიძე“, ჩვენი აზრით, ა. ახნაზაროვის ფსევდონიმი უნდა იყოს. ეს რომ ასეა, ამის საპარაგებლოდ ლაპარაკობს შემდეგი ფაქტი: ა. ყაზბეგის ქალღმერთებში აღწერილია ერთი წერილი, რომლის სათაურია — „ქართული თეატრის მდგომარეობა. საზოგადოებისადმი მიწერილი წერილი. მოწყალენო ხელმწიფენო!“ წერილი უთარიღოა, მას ხელს აწერენ „კ. მაქსიმიძე, ვ. სარიდანიძე, დ. აწყურელი, ა. ინასარიძე (ახნაზაროვი), ა. მოზევე (ა. ყაზბეგი), მ. მძინაროვი, ე. ანტონოვსკისა“¹. ამ დოკუმენტით, ვფიქრობთ, უეჭველად დასტურდება, რომ ა. ინასარიძე ა. ახნაზაროვის ფსევდონიმაა.

ა. ნებიერიძე ქართულ თეატრში თანამშრომლობდა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში. აქ მუშაობა დაიწყო 1883 წელს. მისი ამპლუა იყო სახასიათო როლები. უმთავრესად ეწეოდა თეატრის საორგანიზაციო საქმეების მოგვარებას. 1884-1885 წლების სათეატრო სეზონში, როცა თბილისის თეატრი გაქირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და დრამატულმა საზოგადოებამ სეზონის გაძლოა ვერ ითავა, ა. ნებიერიძემ იკისრა ანტრეპრენიორობა, მაგრამ საქმეს ვერ გაუძღვა და ანტრეპრიზას თავი დაანება, მსახიობობა კი განაგრძო. 1887 წელს შეადგინა მსახიობთა ამხანაგობა, ჩაუდგა დასა სათავეში და თბილისის გარეუბნებში დაიწყო იაფფასიანი სახალხო წარმოდგენების გამართვა, მაგრამ დიდხანს ვერც ამ დასმა იარსება და დაიშალა. 1887 წლიდან ვ. აბაშიძემ გაზეთი „თეატრა“ ა. ნებიერიძეს გადასცა, რომლის რედაქტორობით იგი გამოდიოდა 1891 წლის 20 მარტამდე. შემდეგ კი დაიხურა. „ივერია“ ხშირად აკრიტიკებდა ხოლმე „თეატრს“ და ბეჭდავდა მის წინააღმდეგ მიმართულ წერილებს, არცთუ ისე იშვიათად თავს ესხმოდა მის რედაქტორს ა. ნებიერიძეს. ამ მხრივ საგულისხმოა

¹ ა. ყაზბეგის ხელნაწერები. აღწერილობა. 1960, გვ. 48. შ. გოზალიშვილის (წიგნის შემდგენლის) აზრით, ტექსტის შინაარსი ა. ყაზბეგს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა სხვა ხელითაა დაწერილი.

„ივერის“ 1889 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული სა-
ახალწლო მილოცვის შემდეგი ადგილი:

„ა. ნაბიჯის“
(გაზეთ „თეატრის“ რედაქტორს)

ვის ჰქონდა შენი მტერობა,
გირჩია რედაქტორობა!..
ბერო, გაუშვი ბერობა,
სხვა დაიკირე ხელობა.“

„ნაბიჯის“ მე-5 ნომერში მოთავსებულია ერთი პატარა ცნობა
(„შინაური ქრონიკა“), რომელიც ა. ახნაზაროვს გაზეთ „დროები-
დან“ აუღია. მასში ვკითხულობთ: „აი, «დროება» რას გვიამბობს
იმ კატალოგზედ, რომელაც ბ. ვ. აბაშიძემ შეადგინა: ეს კატალო-
გი უკვე გადმოუციათ საცენზურო კომიტეტისათვის, რომელმაც
უნდა დაურიგოს საქართველოს სხვადასხვა სამმართველოებს,
რათა პოლიციას ჰქონდეს სახელმძღვანელოდ, თუ რა პიესები
არიან ნებადართულნი. კატალოგში ორასორმოცდაათ პიესამდინ
არის მოხსენებული“.

„ნაბიჯის“ მომდევნო, მე-6 ნომერშიც თეატრალურ ცხოვრე-
ბაზე რამდენიმე საინტერესო მასალაა მოთავსებული. პირველ ყო-
ვლისა, რედაქცია მკითხველებს ატყობინებს, რომ ქართული თეა-
ტრის სეზონი დაიწყება არა 16 სექტემბერს, არამედ 23-შიო, და
„წრევანდელს დრამატიულს დასში არ იქნებიან ჩვენი სცენის და-
მამშვენებელნი ბ. ვ. აბაშიძე და ქალ. მ. საფაროვისა“.

ყურადღებას იპყრობს „ნაბიჯის“ ფელეტონი „სექტემბრის
16-ს“¹, რომელიც ისევ ქართული თეატრის საკვირბოროტო საკით-
ხებისადმი არის მიძღვნილი. ეს წერილი ოდნავ ტენდენციურია,
მაგრამ ამავე დროს ცალკეულ საინტერესო ფაქტებსაც შეიცავს
ქართული თეატრალური ცხოვრების ზოგიერთი მხარის შესახებ.
იგი ა. ახნაზაროვის როგორც მომავალი საგაზეთო ფელეტონის-
ტის ერთ-ერთი პირველი ნამუშევარია. მასში მკაფიოდ მოჩანს ჰა-
ბუკი ავტორის დიდი ჟურნალისტური ნიჭი. უბრალო დაკვირვე-
ბითაც ნათელი ხდება, რომ ეს ფელეტონი დაწერილია მსუბუქი
იუმორით, რაც ასე ღიშანდობლივია ა. ახნაზაროვის სტილისათვის.
საკითხების ლოგიკური დალაგება, ოსტატურად ჩართული დია-
ლოგები, ღრმა დაკვირვებისა და მოხდენილი დასკვნების გამოტა-
ნის უნარი, გონებამახვილობა — ასეთია ის ღირსებები, რომლე-
ბიც ა. ახნაზაროვს ამ წერილს ამშვენებს.

¹ „ნაბიჯი“, 1884, № 6. წერილს ხელს აწერს ა. ინასარიძე.

„ნაბიჯი“ ქართული თეატრის შესახებ ისეთ ცნობებსაც გვაწვდის, რომლებსაც ნაბეჭდ პრესაში ცენზურა, ცხადია, არ გაუშვებდა. აი, ერთი მაგალითი: „ქართულს დრამატიულს დასში, — წერს „ნაბიჯი“ — სადღეისოდ აპირებდნენ დაედგათ „თამარ ბატონი-შვილი“, მაგრამ მთავრობამ ნება არ მისცა. არ ვიცით თუ რა მიზეზია. ყველამ კარგად იცის, რომ ეს პიესა ყოველ სეზონში ოთხჯერ თუ ხუთჯერ ითამაშებოდა ხოლმე და ეხლა რა მიზეზი უნდა იყოს, რომ ნება არ მისცეს...“¹ ა. ახნაზაროვს განსაკუთრებით ეცოდება ა. ნებიერიძე, რომელიც, „თავისდა საუბედუროდ „კონდრახტებით“ (ე. ი. კონტრაქტებით. — შ. გ.) შეაქრა არტისტებს და ეხლა იძულებული არის აძლიოს ყველას თავის ჯამაგირი, თუ გინდ წარმოდგენები სულაც არ იყოს“².

დაბოლოს, ა. ახნაზაროვი წერს თავის თეატრალური კარიერის დასრულებაზეც: „როგორც გვესმის, ბ. ახნაზაროვს, ქართული თეატრის სუფლიორს, უარი უთქვამს სუფლიორობაზე და ეხლა იმის მაგივრად ბ. გალუსტოვიან³, რომელსაც თერამეტი მანეთი დაუნიშნეს ჯამაგირად“⁴.

სხვა მასალებიდან, რომლებიც „ნაბიჯში“ თავსდებოდა, ყურადღებას იპყრობს საქართველოში სწავლა-განათლების მდგომარეობის ამსახველი წერილები. მათში ხაზგასმულია მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის დამღუპველობა იმპერიის განაპირა მხარეებისათვის, ქართველ მოსწავლეთა არასახარბიელო მდგომარეობა და სხვ. ერთ მასალაში, მაგალითად, ვკითხულობთ:

„თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში შესვლის მსურველნი ძალზე ბევრნი ყოფილან წელს. მიუღიათ პირველ კლასში მხოლოდ 15. ამათში 12 რუსი და ორი თუ სამი ქართველი. წელს ბევრს ყმაწვილს არ ეღირსა სასწავლებლის კარი. რომელ სოფლიდგან არ გინდათ ჩამოპყვანდათ ყმაწვილები და ისევ უკან მიჰყვანდათ, თუმცა ეგზამენს ჩინებულად იკერდნენ, უვაკანსიობის გამო“.

ა. ახნაზაროვი განსაკუთრებით აღშფოთებულაა იმით, რომ ახალი სასწავლებლები არ იხსნება და ამაზე არაეინ ზრუნავს:

¹ „ნაბიჯი“, 1884, № 6.

² იქვე.

³ ამ გალუსტოვის შესახებ „ნაბიჯის“ მე-6 ნომერში წერია: „ამ წინა კვირებში იყო ბ. გალუსტოვისაგან ნათქვამი, რომ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ უნდა გაემართოთ წარმოდგენა, დღესაც უღლით ამ სასიამოვნო ამბავს, მაგრამ ვერა გავიგეთ რა: იქნება თუ არა?“ სხვათა შორის, ეს გალუსტოვი (1865-1900) ახალგაზრდა ვარდაიცივალა. გაკვირებული ოქაბის შვილი იყო და მსახიობებში თავისი ფულით დაკრძალეს.

⁴ „ნაბიჯი“, 1884, № 7.

„აგერ რამდენი ხანია, რაც ჩვენ ქალაქში ხმები იყო, რომ მესამე გიმნაზიის გაღებას აპირებენო. მაგრამ სად არის? რათ გაანებეს თავი ამ საქმეს? ღმერთმა უწყით, ამდენი ბავშვები კი ესე უსწავლელად და უნუგემოდ რჩებიან“¹.

„ნაბიჯში“ მოთავსებულია საინტერესო წერილი „ბერლინის გაზეთები“², რომელიც შედგენილი ყოფილა ერთი „სამოგზაურო წიგნის“ («Путешествие в страну миллиардов») მიხედვით. ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ ბერლინში უამრავი გაზეთი და ჟურნალი გამოდის, მაშინ როცა საქართველოში ამ მხრივ მეტად სავალალო მდგომარეობააო.

„ჩვენ, ქართველებს, როდესაც თითქოს თანდათან ცივილიზაციის ტალღებში ვჭყუშმპალაობთ, სულ ერთი გაზეთის მეტი არა გვაქვს, და ისიც მისი საქმე ვაინაჩრობით მიდის („დროება“). რედაქტორი, გამომცემელნი და თანაშემწენი ყრიან ფულს, რომ გაზეთი მაინცა გექონდეს...“ მაგრამო, გულისტკივილით შენიშნავს ავტორი, ქართველები გულცივად უყურებენ თავიანთ გაზეთს, „დროებას“ ცოტა მკითხველი ჰყავსო.

საგულახსმოა, რომ ა. ახნაზაროვს, მართალია, მოსწონს ის ფაქტი, რომ ბერლინში ჟურნალ-გაზეთების ჰიმრავლეა, მაგრამ ამასთანავე იგი აკრიტიკებს ბურჟუაზიული პრესის ფარისევლობასა და აღფრახსნილობას. „იქაურ გაზეთს, — წერს ავტორი, — მეტისმეტი გარყვნილების ბეჭედი აზის: იქაურს გაზეთში, რაც გინდათ, იმას ამოიკითხავთ, რა საზიზღარი და საძაგელი შინაარსის განცხადებები არ გინდათ, რომ იქ არ ნახოთ“, და საილუსტრაციოდ მოჰყავს რამდენიმე ასეთი ოდიოზური განცხადება. აი, ერთი მათგანი:

„მე მტერი ვარ თამაშობისა. მე დიდის ჰურვილით შევეურიგდები ქალს, რომელსაც ბუნებითაც რომელიმე ასო აკლია: კუზიანს, კოჭლს, ელამს, და თუ გნებავთ ბრმასაც, მხოლოდ თუ ამასთან აქვს ხუთასი თუშანი მზითევიც. აღრესი რედაქციაში დასტოვეთ... კარტოჩკის გამოგზავნა საქირო არ არის“.

ბურჟუაზიული საზოგადოების გახრწნილებისა და უცხოური გაზეთების მარაზმის სხვა მაგალითებიც მრავლად გვხვდება ამ წერილში. ბოლოს ავტორი წერს, რომ აღნიშნულ გაზეთებში კიდევ მრავლად მოიძებნება ანალოგიური ფაქტები, „რომელთა გადმოთარგმნაც ჩვენ ვერ გავბედეთ მეტის-მეტი გარყვნილების გამო“.

„ნაბიჯში“ მოთავსებულია აგრეთვე სასამართლო ქრონიკა გაძა-

¹ „ნაბიჯი“, 1884, № 4.

² „ნაბიჯი“, 1894, № 7.

რცეაზე, მკვლევლობაზე, თვითმკვლევობა და სხვა მისთანებზე, ცნობები ხილის ახალი მოსავლის, რელიგიური დღესასწაულის „მცხეთობის“ შესახებ და ა. შ.

ორიოდე სიტყვა მიუძღვნათ გაზეთ „დროებისა“ და ხელნაწერ გაზეთ „ნაბიჯის“ ურთიერთობას. ა. ახნაზაროვი, როგორც აღენიშნეთ, ადრე ასოთამწყობად მუშაობდა სტეფანე მელიქიშვილის სტამბაში, სადაც „დროება“ იბეჭდებოდა და, უეჭველია, გაზეთის განოშეების ტექნიკური მხარე იქ შეისწავლა. „ნაბიჯი“ ყოველმხრივ ბაძევს „დროებას“ — გაფორმებით, მასალების განლაგების თანამიმდევრობითა და ა. შ. უფრო მეტიც, „ნაბიჯი“ ხშირად იყენებს „დროებაში“ გამოქვეყნებულ მასალებსაც (როგორც წესი, „დროების“ სათანადო ნომრის გამოსვლის მეორე დღეს). ასე, მაგალითად, „ნაბიჯის“ მე-2 ნომერში (1884 წლის 5 სექტემბერი) შემოკლებით ამოწერილია „დროების“ 191-ე ნომერში (1884 წლის 4 სექტემბერი) გამოქვეყნებული „შინაური მიმოხილვა“. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გაზეთმა „დროებამ“ ამავე წლის 6 სექტემბერს (№ 193) და 7 სექტემბერს (№ 194) დაბეჭდა მასალები სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში ახალი სალაროს („კასის“) დაფუძნების შესახებ. ამ მოვლენას კომენტარს უკეთებს „ნაბიჯი“ თავის მე-5 ნომერში (9 სექტემბერი). იმ ფაქტზე, რომ „ნაბიჯი“ უბრალოდ კი არ გადმოწერს მასალებს „დროებიდან“, არამედ მას თავის ორიგინალურ შენიშვნებს ურთავს, მეტყველებს მე-5 ნომერში მოთავსებული „შინაური ქრონიკა“. მასში გადმოცემულია ი. გოგებაშვილისა და ვ. გაბიჩვაძის იმ პოლემიკის მასალები, რაც „დროების“ ფურცლებზე წარმოებდა „დედა ენის“ გამოცემასთან დაკავშირებით. „ნაბიჯი“ მე-5 ნომერშივე „დროებიდან“ ამოწერილია „ცნობანი“ (მზანდა ხორაგისა, რომლებიც იყიდება თბილისის ბაზრებში დუქნებში და ხელდახელ 1884 წლის 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე).

„ნაბიჯში“ მოთაუბებულ მხოლოდ რამდენიმე მასალას აქვს ხელმოწერა (ა. ინაპარიძე), დანარჩენი ხელმოუწერელია.

„ნაბიჯში“ იშვიათად გვხვდება მხატვრული ნაწარმოებები. მაგალითად, მე-3 ნომერში მოთავსებულია ლექსები, მე-7 ნომერში — თარგმანი მოპასანის მოთხრობისა „სოფელში“, ხოლო მოთხრობა „გლახა ამპარტავანი“ — რამდენიმე ნომერში (გაგრძელებებით).

როგორც ეტყობა, ა. ახნაზაროვს უჭირდა ამ ხელნაწერი გაზეთის გამოშვება, რადგან იგი დიდ დროს ართმევდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მე-7 ნომერში იგი ასეთ განცხადებას აქვეყნებს: „«ნაბიჯის» რედაქცია ვალად რაცხს თავის თავს ბოდიში მოიხადოს ძკითხველებთან, რომ ამ ბოლო დროს გაზეთი, ცოტა არ იყოს, იგვიანებს, რედაქტორის მოუცლევლობის გამო ვერ გამოდის თავის რიგ-

ზე. კიდევ ბოდიშს ვიხდით მკითხველებთან და სთხოვს, რომ ნოემბრის პირველამდე მიუტევეს დაგვიანება“.

ჩვენ არ ვიცით, რა ბედი ეწია შემდგომ ამ ხელნაწერ გაზეთს. როგორც ვთქვით, ჭერჭერობით მიკვლეული გვაქვს „ნაბიჯის“ მხოლოდ ხუთი ნომერი (უკანასკნელია მე-7, 1884 წლის 23 სექტემბრისა).

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ არტემ ახნაზაროვის ხელნაწერი გაზეთი „ნაბიჯი“, რომელსაც ატყვია პროფესიონალი ჟურნალისტის ხელი, რამდენადმე განიცდიდა გაზეთ „დროების“ გავლენას, ხშირად მის მასალებსაც იყენებდა, მაგრამ, რაც მთავარია, „ნაბიჯში“ ბევრი ორიგინალური წერილია მოთავსებული, რომელთაც ქართული ცენზურაგაუვლელი პრესის ისტორიაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ.

2. შალვა დადიანის ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“

გამოჩენილი მწერლის, დრამატურგისა და თეატრალური მოღვაწის შალვა დადიანის (1874-1959) ცხოვრება და შემოქმედება საკმაოდ ფართოდ არის გაშუქებული — მის შესახებ გამოქვეყნებულია არაერთი მონოგრაფია, მრავალი საჟურნალო და საგაზეთო წერილი. ჩვენი მიზანია დაწვრილებით განვიხილოთ შ. დადიანის მხოლოდ აღრინდელი (1888-1892) მოღვაწეობა. დარწმუნებულად ვართ, ახალგაზრდობის პერიოდის მისი ლიტერატურული და პუბლიცისტური საქმიანობისა და ესთეტიკურ შეხედულებათა გაცნობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ მეტად მრავალმხრივი შემოქმედის მდიდარი მემკვიდრეობის უფრო სრულყოფილად შესწავლას. ზაამისოდ მეტად საყურადღებო წყაროს წარმოადგენს შ. დადიანის ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“, რომელსაც იგი 1888-1892 წლებში უშვებდა¹.

ცნობები ჟურნალ „მოზარდის“ თაობაზე გაბნეულია სხვადასხვა გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ მასალებში. უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა თვით შ. დადიანისეული პირველწყაროები. დავიწყოთ მისი ავტობიოგრაფიული ცნობებით, რომლებსაც ხელნაწერი „ჩემი დღიური“² შეიცავს. იგი შ. დადიანს დაუწერია 1890-1892 წლებში, ხოლო 1927 წელს გადაუთეთრებია. როგორც თვითონ ამბობს თავის აღრინდელ ჩანაწერებში, მას არსებითად თითქმის არაფერი შეუცვლია.

¹ დატულია საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმში, ფონდი I, საქმე II, № 11276/4.

² მიხი ქვესათაურია: „...და სხვა შენიშვნებიც სიყმაწვილის ხანიდან დაწყებული...“ იხ. საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ფონდი I, საქმე II, № 15221.

დღიურში 1891 წლის 14 თებერვალს შ. დადიანს (მაშინ იგი თბილისში იმყოფებოდა) ჩაუწერია შემდეგი: „...შარია ალექსანდროვნამ K...მ კიდევ ჩემი „მოზარდები“ ვილაც გიმნაზისტს მეორე კლასიკურისას, ჩიტაძეს მგონი აჩვენა და, როგორც ამბობს, იმას ზოგიერთი სტატიები მოსწონებია, განსაკუთრებით კრიტიკული და მოწინავე. მაინც ეგენი არიან წარსული წლის „მოზარდებში“ უკეთესები. მარა დიდ მონაწილეობას იღებს ამ ჩემს საქმეში“ (გვ. 16). ეს ცნობა იმითაცაა საყურადღებო, რომ „მოზარდი“, როგორც ჩანს, ფართო საზოგადოებაში ვრცელდებოდა, მას გარეშე პირებიც კითხულობდნენ.

ამავე დღიურში 20 თებერვლის თარიღით ავტორი წერს: „გუშინ ჩვენ სულიერ მამებზე დაუწერე სტატია „სამოზარდოთ“ (მე ხომ ხელნაწერი უწინაღი „მოზარდი“ გამომიძის ორ თვეში ერთჯელ, სადაც ვწერ ბევრს და ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებებს ჩემსას და სხვისას...)“¹.

შალვა დადიანი დუტუ მეგრელს 1888 წელს სწერდა:

„მაღლობელი ვარ უწინაღის მასალის გამოგზავნისათვის. შენი „სიმონ მღვდელი“ დაიწერება მომავალი წლის უახლობელეს ნომერში. თვითონ ნაწერი კარგი პატარა მოთხრობაა, მაგრამ საქირო შეიქმნა „მოზარდის“ გაუბედავ რედაქციაში მისი გარონინება. ამ დროებით „მოზარდის“ ნომრებს ვერ გიგზავნი, რადგან ამ ორ თვეში უწინაღის მსვლელობა მიზეზებისა გამო შეჩერდა. მომავალ წელს კი უწინაღი მორიგისით გამოგეგზავნება. მომავალი წლის უწინაღის პროგრამა... გაუკეთესებულია, ფორმატიც გადასხვაფერებულია, ფასი კი იგივე აქვს, რაც ჰქონდა... შენ ეცადე, რომ დანაბირი, თანამშრომლობა აღასრულო. შენ კარგა უნდა იცოდე, რომ მასალა ჩემი უწინაღისათვის ძალიან ნაკლებად შექვს და თანამშრომლები ხომ სულ ჭანთლით საქებნელი და თითებზე ჩამოსათვლელი მყავს. ამიტომ თუმცა შორს ხარ², მაინც ხანდახან მომაწვდინე რამე შენი ნაწარმოები, ან ნათარგმნი, ან თავისთავადი (ორიგინალური)... შე აწ ველოდები შენგან რაიმე ნაწარმოებს, შენც ჩემგან ელოდე უწინაღს. მაშ ორივენი ერთმანეთისაგან მომლოდინენი ვართ“³.

1923 წელს, როგორც ცნობილია, შალვა დადიანს გადაუხადეს

¹ „ჩემი დღიური“, გვ. 43. როგორც ირკვევა, შ. დადიანის „მოზარდი“ სანამდვილეში გამოდიოდა არა ორ თვეში ერთხელ, არამედ თავდაპირველად თვეში ერთხელ (1888 წ.). ხოლო შემდგომ თვეში ორჯერ.

² დ. მეგრელი ამ დროს ოდესის უნივერსიტეტში სწავლობდა.

³ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 6276.

სასცენო მოღვაწეობის 30-ე წლისთავის იუბილე, რომლის მასალე-
ბი საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ერთ საქალა-
ღეში იწახება. ამ მასალებში არის ბესარიონ კელენჯერიძის მი-
სალმება შორაპნის მახრის მასწავლებელთა სახელით, სადაც სხვა-
თა შორის, ნათქვამია: „თვითგანვითარების შედეგი იყო სარჩული
იმისა, რომ შენ ჯერ 14 წლისა თუ იქნებოდი და შენი ზელთნაწერი
თვიური სალიტერატურო, საისტორიო და საპოეზიო ჟურნალი „მო-
ზარდი“ ახალგაზრდობაში ვრცელდებოდა. შენი ჩვილი 14 წლის
გულიდან გაისმა ზიზღი და პროტესტი იმ ჟურნალში მეფის ჯა-
ლათების მიერ დიმიტრი ყიფიანის ვერაგულად მოკვლის გამო,
გულსაკლავი ნეკროლოგით ამცნო ნორჩ მკითხველთ ეს საზარელი
ამბავი შენმა ნორჩმა კალამმა“¹.

ამავე მუზეუმშია დაცული შალვა დადიანის ანდერძი, რომლის
სათაურია „თეატრალურ მუზეუმის საყურადღებოდ“ (დაწერილია
1947 წლის 5 ივნისს). იგი საინტერესო ცნობებს შეიცავს ჟურნალ
„მოზარდის“ შესახებაც: „...შემომაქვს აგრეთვე ჩემი ხელნაწერი
ჟურნალი „მოზარდი“, რომლის გამოცემასაც ვაწარმოებდი 17-18
წლის ასაკამდე. ჟურნალში დიდი უმეტესობა ჩემი სიკბაბუკის
დროის სხვადასხვა ფსევდონიმებით ჩემ მიერ არის დაწერილი, მაგ-
რამ ზოგიერთს №№-ში მოიპოვება ნაწერები მამა ჩემის—ნიკოლოზ
ტარიელის ძე დადიანის — თხზულებებიდან, ჩემი დის მამო ანჩა-
ბაძის ახალგაზრდული ლექსებიდან, აგრეთვე დეტუ მეგრელის, მი-
ხა ცხაკაიასი და სხვათა ნაწერები. ჩემთვის საწმუხაროა ნხოლოდ
ის, რომ ჟურნალის ყველა №№ ვერ შემომინახავს“².

ამავე 1947 წელს რუსულად დაწერილ ერთ-ერთ თავის ავტო-
ბიოგრაფიაში შ. დადიანი აღნიშნავდა: «Писать начал с 14 лет,
когда основал свой домашний рукописный журнал — «Мозар-
ди» («Воспитанник»), в котором я был универсальным руко-
водителем органа: редактором и публицистом, поэтом и авто-
ром рассказов, новелл, драматических произведений, фель-
тонов и т. д. Но помимо меня в журнале принимали участие
также молодые любители литературы, впоследствии ставшие
писателями с именем (в Грузии), а между ними молодой
(90-ые годы мнупшего столетия) известный революционер и
политический деятель Миха Цхакая»³.

¹ საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ფონდი I, საქმე II, № 2407.

² საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ფონდი I, საქმე II, № 12908. მართლაც, აქ დაცულ ნომრებს აკლია: 1889 წლის კომპლექტს — № 2, 23 და 24, 1890 წლისას — № 23 და 24, ხოლო 1891 წლისას — № 4 და 20.

³ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 25422.

შალვა დადიანი რომ მიხა ცხაკაიასთან ძალზე ახლო დამოკიდებულიებაში იყო, ამაზე მეტყველებს მისი დღიურის 1891 წლის 26 მარტის შემდეგი ჩანაწერი: „გლახა გუნებაზედა ვარ. არაფერი მინდა, არაფერი... არაფრობა! შეშინია კვუიდაშ არ შევცდე... მიხა ცხაკაიას ამბავი გავიგე; დაუჭერიათ და მოსკოვში უპირებენ წაყვანას“¹.

ქურნალ „მოზარდის“ შესახებ არსებული ნაბეჭდი წყაროებიდან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია საიუბილეო კომისიის მიერ 1923 წელს თბილისში გამოცემული წიგნი „შალვა დადიანი (1874-1923 წელი)“², რომელშიც ნათქვამია:

„...უკვე 1888 წლებია, ის 14 წლის ბავშვია. მავრამ საზოგადო მოღვაწეობის მოლოდინი აწუბებს, ტანჯავს. ამავე წელში უშვებს ხელნაწერ ქურნალს „მოზარდის“ სახელწოდებით. ქურნალი დანიშნულია ლიტერატურისა, პოეზიისა და ისტორიისათვის. ათავსებს მოთხრობებს, ლექსებს, პოლემიკურ წერილებს, ამოკრეფილ ამბებს და სხვ. ქურნალი გამოდის თვეში ერთხელ. რედაქტორი თვით შალვაა. ქურნალში დაცულია ყოველი წესა: წინ მეთაური. საყურადღებოა პირველი მათგანი, რომლითაც იხსნება სერია ან ქურნალებისა... დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა რედაქტორი საქართველოს კუთხეებს... თვით ზშირად წერს ასეთი ხასიათის წერილებს. უფრო ზედმიწევნით იცნობს სამეგრელოს: მის კრილობებს, ნაკლს... გატაცებულია აგრეთვე რუს განმანათლებელთა აზრებით... ქურნალს არც ერთი მოვლენა არ ეპარება ფხიზელ მხედველობიდან...“³

გაზეთ „კომუნისტის“ 1939 წლის 30 იანვრის ნომერში დაიბეჭდა ს. გ-ს (სერგო გერსამიას) წერილი „შალვა დადიანი — ქურნალისტი“ (დედანი ინახება საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმში დაცულ ს. გერსამიას არქივში), რომელშიც ვკითხულობთ: „შალვა დადიანს პატარაობიდანვე გაეღვიძა ინტერესი საზოგადოებრივი საკითხებისადმი. ჯერ კიდევ თოთხმეტი წლის ბავშვს ქურნალის გამოცემის სურვილი აღეძრა და 1888 წლის თებერვალში გამოსცა კიდევ თავისი ზელთნაწერი ქურნალის პირ-

¹ საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ფონდი I, საქმე II, № 15221, გვ. 24. ეს, ალბათ, ხმები იყო. მ. ცხაკაია პირველად 1897 წელს დააპატიმრეს.

² ჩემს ბიბლიოთეკაში დაცულ ამ წიგნის ეგზემპლარს ასეთი მინაწერი ახლავს: „პირველ ჰუმორისტს საქართველოში, რომლის ნაწერებზე იწერებოდა ჩემი ჯალმონობაც, საყვარელ არტემ ახნაზაროვს, ანუ ორ-ანს, ჩემთვის დაუკრეფარ დროსას. სახ. ოჯრად. შალვა დადიანი 11/3-23 წ.“

³ იქვე, გვ. 18-19.

ველი ნომერი, რომელსაც „მოზარდი“ უწოდა. ეს ჟურნალი 1893 (?) წლამდე გამოდიოდა. მისი თანამშრომლები იყვნენ: მიხა ცხაკაია, დუტუ მეგრელი, შალვა და — მაშო (ანჩაბაძისა) და სხვ. პირველი წლების განმავლობაში ჟურნალი უმთავრესად სიტყვაკაზმულ მწერლობას აქცევდა ყურადღებას. შემდეგში კი რედაქტორთან ერთად გაიზარდა და პუბლიცისტიკამ მასში მეტი ადგილი დაიკავა“.

„მოზარდის“ შესახებ ცნობებს ვხვდებით აგრეთვე შალვა დადიანის ავტობიოგრაფიულ წიგნში „რაც გამახსენდა“, რომელშიც ერთგან ავტორი წერს: „...ამ შეგნების (ხალხის სამსახურისა. შ. გ.) პირველ გაღვივებას ხელს უწყობდა ჩემი საკუთარი, ხელნაწერი ჟურნ. ლის „მოზარდის“ გამოცემა...“¹ სხვაგან შ. დადიანი თავისი ჟურნ. ლისა და გიმნაზიის მოსწავლეთა ურთიერთობაზე ლაპარაკობს და აღნიშნავს: „გიმნაზიელებს ჰქონდათ თავიანთი ხელნაწერი ორგანო. არ მახსოვს რა ერქვა და წამოიჭრა აზრი, რომ ჩემი „მოზარდი“ და მათი ორგანო გაგვეერთიანებინა. ამ საკითხს რამდენიმე სხდომა მოვანდომეთ, მაგრამ ორგანოს სახელი ვერ გამოვძებნეთ, დასახელებული იყო სიტყვა — „უყი“, ამ სიტყვას უფრო დასავლეთ საქართველოში ხმარობენ და ნიშნავს ხელუხლებელ დასამუშავებელ მიწას, ანუ ყამირს. ამ სიტყვას კი ჩვენ ისე არ მივეტანეთ და საერთოდ ამ ორგანოს გამოცემა არ განხორციელდა“².

ეს ფაქტი მეტყველებს აგრეთვე იმაზე, რომ შ. დადიანი თუმცა სკოლაში არ სწავლობდა (შინაურ განათლებას ღებულობდა), მაგრამ გიმნაზიის მოსწავლეებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, კარგად იცნობდა მათ ცხოვრებას. გიმნაზიელებიც, თავის მხრივ, ახალგაზრდა შალვას საქმიანობის კურსში იყვნენ. როგორც ეტყობა, მათ არა მარტო იცოდნენ მისი „მოზარდის“ არსებობა, არამედ კარგადაც იცნობდნენ ამ ჟურნალის შინაარსსაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მათ არ დაებადებოდათ აზრი თავიანთი და შ. დადიანის ორგანოს გაერთიანებისა³.

ხელნაწერი ჟურნალის „მოზარდის“ შესახებ ვრცელი ცნობები მოიპოვება გ. ციციშვილის წიგნებში: „შალვა დადიანის დრამა-

¹ შ. დადიანი. რაც გამახსენდა. 1959, გვ. 80.

² იქვე, გვ. 119.

³ შ. დადიანი გიმნაზიელთა ხელნაწერ ორგანოებშიც თანამშრომლობდა. „ქუჩის“ ფაქტობრივით მას ლექსი „სურათი“ ჰქონია მოთავსებული მოსწავლეთა ჟურნალ „სხივიში“ (ქუთაისის მუზეუმი. V—15-ბ, გვ. 226. შდრ. პ. ვაკ-აძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა. კრებულში: „ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის საწილობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი მასალები“. თბ., 1968, გვ. 79).

ტურგია“ (1956) და „შალვა დადიანი. ცხოვრება და შემოქმედება“ (1977). ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ იგი საპიროდ თვლის ამ ჟურნალზე საგანგებოდ შეჩერდეს, „რადგან მას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა შ. დადიანის მისწრაფებათა გათვალისწინებისათვის“¹. გ. ციციშვილი საკმაოდ ვრცელ ადგილს უთმობს „მოზარდის“ შინაარსის გარჩევას და ბევრ საყურადღებო დასკვნას აკეთებს. კერძოდ, მისი დახასიათებით, „მოზარდი“ არაჩვეულებრივი „საყმაწვილო ჟურნალია“... „მასში აღძრული საკითხები მრავალფეროვნებით, სიღრმით, აქტუალობით ზასიათლებიან და ახალგაზრდა შ. დადიანის ფართო საზოგადოებრივ ინტერესებზე, პროგრესულ აზროვნებაზე, ხალხისა და ქვეყნის ბედით დაინტერესებაზე, ცოდნასა და დაკვირვებულობაზე ლაპარაკობენ“².

გ. ციციშვილი საილუსტრაციოდ რამდენიმე წერილს არჩევს და მათ სწორ ანალიზს იძლევა. ერთ ადგილას მონოგრაფიაში ნათქვამია:

„ერთ-ერთ წერილში შ. დადიანი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე უცხოელ მძარცველების ხელშია და ქართველებს არ შესწევთ საკუთარი სიმდიდრის გამოყენების არც ძალა და არც სურვილი. იგი სიხარულით ეგებება იმ სამ შესანიშნავ წამოწყებას, რომელიც იმ დროს ხორციელდებოდა... კახეთის რკინიგზის გაყვანას, მელვინეთა საზოგადოების დაარსებას და მარგანცის ნიჟარმოებელი საზოგადოების შექმნას...“ შემდეგ გ. ციციშვილს მოჰყავს ციტატა ამ წერილიდან და მას ასეთ კომენტარს ურთავს: „ძნელი შესაძრწნევი არ არის, რომ აქ „მთელი ერის“ შეკავშირებული ილიასეული კონცეფციის ქადაგებაა. საერთოდ, ამ პერიოდში ეროვნულ საკითხშიც დადიანი სამოციანი წლების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციებზე დგას. ამავე პოზიციებზე იდგა შალვას მამაც, ტყუილად კი არ მეფობდა დადიანების ოჯახში ილია ჭავჭავაძის კულტი“³.

შ. დადიანის „მოზარდს“ საკმაოდ ვრცლად შეეხო აგრეთვე ი. ვართაგავა წიგნში „შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელიც ამ საკითხის გაშუქებისას ძირითადად გ. ციციშვილის მონოგრაფიას ეყრდნობა. უნდა შევნიშნოთ, რომ რატომღაც ი. ვართაგავა გ. ციციშვილს შიაწერს ისეთ აზრებს, რაც სინამდვილეში მას არ გამოუთქვამს. ასე, მაგალითად, ი. ვართაგავა წერს: „გ. ციციშვილის ცნობების მიხედვით ჟურნალი „მოზარდი“ გამო-

¹ გ. ციციშვილი. შალვა დადიანის დრამატურგია. 1955, გვ. 5.

² იქვე, გვ. 10.

³ იქვე, გვ. 7-8.

დიოდა 1910 და 1911 (?) წლის განმავლობაში: სულ გამოსულია ორმოცამდე (?) ნომერი...“¹ აქ რაღაც გაუგებრობაა: ასეთი რამ გ. ციციშვილს არ უწერია. ჟურნალი „მოზარდი“ გამოდიოდა 1888-1892 წლებში და გამოიცა არა 40 ნომერი, არამედ 80-ზე მეტი (ჟურნალის დამატებების ჩათვლით).

უკანასკნელ ხანს ჟურნალ „დროშაში“ (1968, № 2) დაიბეჭდა შ. დადიანის წერილი ა. სიგუასადმი, რომელსაც იგი ატყობინებს: „...მე უკვე მოჩიტული ვიყავი, 14 წლისა და ასე წარმოიდგინეთ, რომ ჩემი საკუთარი ხელნაწერი ჟურნალიც მქონდა „მოზარდი“... რაზედაც დიდად გამამზნევა ახალგაზრდა დამწყებმა მწერალმა (დუტუ მეგრელმა. — შ. გ.) და ამის შემდეგ გახდა ამ ჩემი ორგანოს მუდმივი თანამშრომელი, ის ოდესიდანაც კი მიგზავნიდა თავის პაწია მოთხოვნებს...“

„მოზარდის“ შინაარსის გაცნობა, აგრეთვე ის ფაქტი, რომ შ. დადიანი ცდას არ აკლებდა, რათა ჟურნალი რეგულარულად გამოსულიყო, მკაფიოდ შეტყვევებს ახალგაზრდა შ. დადიანის ფაქტურად ერუდიციასა და შრომისმოყვარეობაზე.

„მოზარდმა“ თვალსაჩინო როლი შეასრულა მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში. მან საფუძველი ჩაუყარა შ. დადიანის მომავალ სამწერლო და სათეატრო მოღვაწეობას.

როგორც ზემოთ ითქვა, შალვა დადიანის „მოზარდი“ 1888-1892 წლებში რეგულარულად გამოდიოდა, თავდაპირველად თვეში ერთხელ, ხოლო შემდგომ თვეში ორჯერ, სოფელ ბეთლემში (resp. ბერთემი), სადაც შ. დადიანის ოჯახი ცხოვრობდა, ხან კი ქ. თბილისში, როდესაც შალვა იქ იმყოფებოდა ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც რედაქციის ადგილსამყოფელად სოფელი ბეთლემია დასახელებული². ამ მხრივ საინტერესოა „მოზარდის“ 1889 წლის 13 ოქტომბერს გამოცემული № 18-19-20, სადაც რედაქციის განცხადებაში წერია: „ჭერ-ჭერობით რედაქცია იმყოფება ს. ბეთლემს.“

¹ ი. ვართავაძე. შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება. 1962, გვ. 20.

² „მოზარდის“ 1890 წლის პირველი ნომრის სარედაქციო განცხადებაში ნათქვამია: „რედაქცია იმყოფება ს. ბეთლემს თ. ნ. ტ. დადიანის სახლში. ხელისმოწერა ამ დროებით შეიძლება ჟურნალის გამგესთან ქ. ტფილისს შ. დადიანთან“. ამავე წლის მე-4 ნომრის განცხადებაში კი ვკითხულობთ: „ხელისმოწერა მიიღება როგორც რედაქციაში ს. ბეთლემს, აგრეთვე ჟურნალის გამგესთან ქ. თბილისს შ. დადიანთან“. როგორც სხვა წყაროებითაც დასტურდება (იხ. საქართველოა გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 25422), „მოზარდის“ 1890 წლის ყველა ნომერი, ხოლო 1891 წლის ნომრები აკვისტოს თვემდე თბილისში გამოსულა.

შემდეგ კი ამ ზამთარში უნდა იქმნეს ქ. ტფილისს, მაგრამ ჯერ კი თუ ვისაც რაიმე ესურავება ან ხელისმომწერა და ან თხზულების გამოგზავნა, ისევე ს. ბეთლემს მიმართოს“. ხოლო ამავე წლის 21-ე ნომერში (დათარიღებულია 5 ნოემბრით) მოთავსებული განცხადება იუწყება, რომ „მოზარდის“ რედაქცია დროებით თბილისში არისო. ცოტა ხნის შემდეგ შ. დადიანი, ეტყობა სოფელში დაბრუნებულა, მალე კი (1890 წლის ზაფხული) ისევ თბილისში ჩამოსულა. ამის შესახებ საყურადღებო ცნობას ვეაწვდის ჟურნალის ერთი ხელმოწერილი შენიშვნა „რედაქციისაგან“, რომელიც მოთავსებულია „მოზარდის“ 1890 წლის მე-11 ნომერში (დათარიღებული 1 ივნისით)¹. ამ შენიშვნაში გარკვევითაა შითიბებული რედაქციის ადგილსამყოფელი — თბილისი.

ვინ თანამშრომლობდა ჟურნალში შალვა დადიანის გარდა? ზემოთ ამის შესახებ გაცვრით უკვე ვგვქონდა საუბარი, აქ კი უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ამ საკითხზე. შ. დადიანის არქივში, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმშია დაცული, ინახება ე. წ. „საქმე“, რომელშიც აღწერილია „მოზარდის“ 1888-1891 წლებში გამოშვებული ნომრები. „საქმის“ ერთ-ერთ გრაფაში — „ვის და ვის უწერია ხელი“ — ჩამოთვლილია შემდეგი პირები: მიხა ცხაკაია, დიმიტრი ზომტარია, სამსონ ყიფიანი, ლადო გაგუა, ივანე ცხაკაია, კოწია მაქავარიანი, გრძელიშვილი, ანდრონიკაშვილი, ვახტანგიშვილი, თაქთაქიშვილი, ჩოლოყაშვილი, ჯორჯაძე, მაყაშვილი, მერაბ ლორთქიფანიძე².

ხოლო ერთ-ერთ სარედაქციო წერილში („მოზარდი“, 1891, № 23-24) ჟურნალის თანამშრომელთა შესახებ ნათქვამია: „ჟურნალში მონაწილეობას იღებდნენ და მიიღებენ: ბბ-ნი დ. მე-ლი (დუტუ მეგრელი), მაშო (შ. დადიანის და მაშო ანჩაბაძე. — შ. გ.), სიკვდილაძე, დამწყებაძე, კაწახიძე, შალვა დადიანი და მრავალი სხვ. მათ შორის იუმორისტიკის ნაწილში იღებს მონაწილეობას ბ-ნი ყიყლიყო...“³.

¹ სხვათა შორის, ეს ნომერი სხვებისაგან იმით განსხვავდება, რომ გარეგნულად გაზეთს წააგავს. ფორმატით უფრო დიდია და სვეტებად არის დაყოფილი (ზომა 22 სმ X 35 სმ), მაშინ როცა ყველა სხვა ნომერი რვეულს მოკულობია (ზომა 18 სმ X 22 სმ).

² საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი, ფონდი 1, საქმე 11276/4.

³ ყიყლიყო იაკობ ფანცხავას ფაქედონიმი იყო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაძვეებული. იგი მაშინ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა და საუბაროდოა, რომ შ. დადიანი მას პირადად იცნობდა (იხ. ამ ნაშრომის თავი „ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ხელნაწერი პრესა“).

(სამხედრო-საზღვაო)

მობარდი.

საგაზეთო-საბეჭდო
წარმო.

ჩუბნა მონტეველი
ვაშლიძის ქუჩა, ქ. თბილისი.

№ 1

II

1888

№ I

შ. ლალიანის „მობარდის“ 1888 წლის 1-ლი ნომრის გარეკანი.

თვითონ შალვა დადიანი თავის ჟურნალში უნთავრებად ფაქედონიშებით წერდა. მათი დადგენა შესაძლებელი გახდა საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ერთი დოკუმენტის მეოხებით. შ. დადიანის მიერ შედგენილ სპეციალურ დავთარში, რომლის თავფურცელზე წერია „ნუსხა შალვა დადიანის ნაწერებისა“¹, გაშიფრულია მისი ადრინდელი ფსევდონიმები, რომლებსაც ძირითადად „მოზარდში“ იყენებდა. აი, ეს ფსევდონიმები (სულ ოცდაოთხი): ა. ლმ-ძე (ალან ლმობეირაძე), იორდანე კოკლი, შ. დ-ი, ა. რ., X, სის. ბეთ., დავით გოსხ., რედაქცია, შალვა დად., ეგრისელი, ს. ბეთლემელი, შ. კაწახიძე, კაწახიძე, სისირიყვა ბეთლ., სისირიყვა ბეთლემელი, სისარ. ბ-ლი, ნ-ძე, დად., შალიკო, შალვა, ქუჭი ბეთლემელი, ქ. ბე-ლი, მოცორი. შ. ჩრეფიწელი.

„მოზარდის“ ნომრებს აქვს ყდა და ტიტული, რომლებიც გაფორმებულია ნაბეჭდი ჟურნალის ყაიდაზე. როგორც წესი, თითოეულ ნომერს ახლავს შინაარსი. ყველა ეგზემპლარში მითითებულია გამოსვლის თარიღი, ნომერი და გამოცემის ადგილი. 1890 წლის მე-11 ნომერი გარეგნულად თავისებურია იმით, რომ მასში ყოველი ახალი წინადადება ასომთავრულით იწყება, თანაც საამისოდ გამოყენებულია ძველისძველი მრგლოვანი დაწვერლობის ასოები.

ჟურნალი რამდენიმე ეგზემპლარად გამოდიოდა. ამას მოწმობს მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ფონდში დაცული „მოზარდის“ 1889 წლის პირველი ნომრის ორი ეგზემპლარი. ერთი მათგანი შ. დადიანის ხელითაა დაწერილი, ხოლო მეორე — სხვისი ხელით. შ. დადიანის დაწერილი ეგზემპლარი უფრო სრულია — შეიცავს 22 გვერდს (იგი აღმოჩნდა ჰერგო გერსამიას არქივის გადათვალიერების დროს), უცნობის მიერ გადაწერილი კი 6-გვერდიანია. აღნიშნულ მუზეუმში ამავე წლის მე-10 ნომრისაც ორი ეგზემპლარია დაცული, ორივე შ. დადიანის ხელითაა დაწერილი; მათ შორის ის განსხვავდება, რომ ერთ მათგანს ხელს აწერს რედაქტორი, ხოლო მეორე ხელმოუწერელია. ამ უკანასკნელს აკლია აგრეთვე ნომრის შინაარსი. აღსანიშნავია, რომ პირველი ეგზემპლარი (ხელმოწერილი) გასწორებულია შავი მელნით სხვა ხელით (ალბათ, შალვას მამის მიერ).

1889 წლიდან მოკიდებული ყველა ნომერს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს შემდეგი სტროფი აკაკი წერეთლის ლექსიდან „კუთხევა“:

¹ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 25422.

„წრფელად იზარდე! შრომით იღვაწე,
რომ მითი კაცად გამოფოლადდე
და, სწორ მხედველი, ჩვენსა სიუცუდეს
დანიშნულებად კაცთა არ ჰხადდე“¹.

ისევე როგორც ნაბეჭდ ჟურნალებს, „მოზარდსაც“ თავისი პროგრამა ჰქონდა (მოთავესებულია „მოზარდის“ 1888 წლის პირველ ორსა და მე-6 ნომერში სხვადასხვა ვარიანტული ცვლილებებით). მოვიყვანოთ მისი ტექსტი მთლიანად:

„პროგრამა (მიმართულება) ჟურნალისა

I. სალიტერატურო სტატიები, მოთხრობები და კორესპონდენციები.

II. ისტორიული ამბები, გეოგრაფია: აღწერა სხვადასხვა ქვეყნისა ან სოფლისა.

III. ლექსები და ლექსთხზულებები.

IV. ბიოგრაფიული ამბები, მოგზაურობა, ამბები ბუნებისმეტყველებიდან.

V. კრიტიკული მოძოხილვები და პოლემიკური სტატიები.

VI. პედაგოგიური სტატიები.

VII. იგავეები (ანეკდოტები), ვამოცანები, არითმეტიკული გამოცანები და სხვადასხვაგვარი სახსნელები.

ერთი სიტყვით, ყოველივე სალიტერატურო ნაწილი, გარდა პოლიტიკისა. ამასთანავე შიგ სამეურნეო ნაწილაც იქნება, სამეცნიეროც და საექიმოც. იმდენად ჩამდენადაც ლიტერატურას შეეხება, აგრეთვე პოლიტიკაც ცოტაოდენად...

რედაქტორი და გამომცემელი შ. დადიანი.²

სიტყვა „პოლიტიკა“ აქ სხვადასხვა ვარიირებით არის მოცემული. შ. დადიანი, როგორც ეტყობა, კონსპირაციის მიზნით აცხადებს, პოლიტიკაზე არ ვწერო, თუმცა დასაშვებად მიაჩნია პოლიტიკაზე საუბარი ლიტერატურულ პრობლემებთან დაკავშირებით. თითქმის ყოველ ნომერში მითითებულია, რომ ჟურნალში პოლიტიკაზე წერილები არ გამოქვეყნდება. შემდეგ დავინახავთ, რომ, მიუხედავად ასეთი განცხადებისა, სინამდვილეში პოლიტიკურ საკითხებს „მოზარდი“ საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს.

საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ „მოზარდის“ ნომრებს ორიგინალური „ფასიც“ ჰქონდათ დაწესებული. მრავალ ნომერში

¹ ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. II, 1955, გვ. 149. ამ ლექსით აკაცი მიესალმა ვაზეთ „თეატრის“ დაარსებას.

² „მოზარდი“, 1888, № 1.

გვხვდება ასეთი სახის განცხადება: „ფასი ჟურნალისა: 12 თვით — რაიმე თხზულების ჩუქება, 6 თვით — უფასოდ წაკითხვა და 1 თვით — გულმოდგინედ და ყურადღებით წაკითხვა“.

ჟურნალის პირველ ნომერში (1888, № 1) მოთავსებულია პატარა სარედაქციო წერილი¹, რომელიც მკითხველებს აცნობს „მოზარდის“ დანიშნულებას და განმარტავს მის პროგრამას:

„გილოცავთ ახალ წელს და თან გიგზავნით ახლად შობილს ჟურნალს... ვისურვოთ, რომ ახლად დაბადებული ჟურნალი როგორც ჩვენ, ისე ესეც ჩვენთან ცოცხლობდეს. ვისურვოთ, რომ ასე პატარა საბურჯალო საქმე მსხვილი განათლების ნასკეად გამზდარიყოს“. შემდეგ იქ ნათქვამია, რომ ამ პატარა ჟურნალს დიდი საქმის გაკეთება შეუძლია — იგი დაეხმარება მკითხველებს „გადასცურონ ცხოვრების მორევი“. დასასრულ, რედაქცია მოუწოდებდა მკითხველებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჟურნალის მუშაობაში.

შემდგომ ნომრებში შ. დადიანი მკითხველებს ხშირად ესაუბრება ჟურნალის გავრცელების თაობაზე და ავტორებთან ურთიერთობის შესახებ. ამ მიხრივ დამახასიათებელია 1885 წლის მე-5 ნომერში მოთავსებული სარედაქციო წერილი „1887 წ. 27 ივნისს. ს. ბეთლემი“². აქვე უნდა ითქვას, რომ გაზეთები „დროება“ და „ივერია“ თავის მოწინავე სტატიებს, როგორც წესი, დაახლოებით ამდაგვარად („თბილისი“... შემდეგ თვე და რიცხვი) ახათაურებენ და „მოზარდიც“ არ დალატობს ქართული პრესის ამ ტრადიციას. აღნიშნულ წერილში მკითხველების მიმართ გამოთქმულია საყვედურები. რომელთაგან უპირველესი ისაა, რომ ისინი გულმოდგინედ და მუყაითად არ კითხულობენ ნომრებს. ავტორის აზრით, მართალია, ჟურნალი უფასოა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. გაზეთს ან ჟურნალს რაგონდ დიდი ფასი ჰქონდეს, თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ და შემდეგ ან წაიკითხოთ, ან არაო. რაც შეეხება ჟურნალ „მოზარდს“, იგი სინამდვილეში უფასოა, ოღონდ ხელისმომწერთ რედაქცია აუცილებელ პირობად უყენებს ნომრების გულმოდგინედ და ყურადღებით წაკითხვას. ამასო, ნათქვამია წერილში, სამწუხაროდ, მკითხველები სათანადოდ არ ასრულებენ, რითაც ისინი ჟურნალს ვნებენ, რადგან ეს იგივეა, რაც რომელიმე ნაბეჭდი ჟურნალის შექმნის საფასურის გადაუხდელობით მისთვის ზარალის მიყენებაო.

¹ სარედაქციო წერილის ავტორია შ. დადიანი. შტრ. საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 25422.

² ეს წერილიც შ. დადიანისაა.

მეორე საყვედური ეხება იმ პირებს, ვინც ეურნალს თანამშრომლობა აღუთქვეს და სინამდვილეში არაფერი გაუკეთებიათ.

რამდენიმე ნომრის შემდეგ სხვა სარედაქციო წერილში, რომლის სათაურია „ჩვენს თანამშრომლებს“, რედაქტორი კვლავ შეახსენებს მკითხველებს გამოგზავნონ თავიანთი ნაწერები. აქ საინტერესო კიდევ ის არის, რომ ეტყობა შ. დადიანი ავტორთა მასალებს ფოსტით ღებულობდა — მისი „თანამშრომლები“ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში იყენენ გაბნეული, ხოლო ზოგიერთი მათგანი რუსეთიდანაც (მაგალითად, ოდესიდან დ. შეგრელი) გზავნიდა თავის ნაწერებს.

1889 წლის პირველ ნომერში მოთავსებულ წერილში „რედაქციისაგან“ გაანალიზებულია „მოზარდის“ წინა წლის საქმიანობა. ამასთანავე მასში ლაპარაკია იმ ახალ ამოცანებზე, რომლებიც ეურნალის წინაშე იდგა. შემდეგ ჩამოთვლილია აქტუალური პრობლემები, რომელთა გაშუქება „მოზარდს“ მომავალში ჰქონია განზრახული. კერძოდ, ეურნალის რედაქცია მკითხველებს ჰპირდება, რომ სტატიებს მიუძღენის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს და თავის შეხედულებებს გამოთქვამს მათ შესახებ. ბოლოს რედაქცია წერს: „შეიძლება, რომ ყველა ხელისმომწერს არ მიუვიდეს ცალ-ცალკე ეურნალის ყველა ნომერი, მაგრამ ამისათვის თითო სოფელში, გინდ ქალაქში გამოარჩივეს რედაქცია ერთს ხელისმომწერელთაგანს და იმას გაუგზავნის, რითაც სხვა ხელისმომწერლებიც ისარგებლებენ“.

როგორც ჩანს, „მოზარდის“ რედაქტორს წესად ჰქონია შემოღებული ეურნალის მკითხველებისათვის მოეთხრო განვლილი მუშაობის შედეგებსა და მომავლის პერსპექტივებზე. ამას მოწმობს, კერძოდ, 1890 წლის პირველ ნომერში მოთავსებული სარედაქციო წერილიც. მასში ნათქვამია, რომ ახალი წლის დადგომისთანავე ყველა დაწესებულება აჯამებს, თუ რა გააკეთა მან ერთი წლის განმავლობაში. „მოზარდის“ რედაქციაც თავის მკითხველებს და ხელისმომწერლებს ანგარიშს აბარებს გაწეულ საქმიანობაზე და ამასთანავე აცნობს მათ თავის მომავალ გეგმებსო.

წერილში აღნიშნულია, რომ წინა, 1889 წელს რედაქციას მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებია ეურნალის მუშაობა: ამ წლის ნომრების შედარება 1888 წლისასთან არც კი შეიძლება მოახდინოს კაც-მარ. თუ 1888 წელს „მოზარდში“ უმთავრესად წიგნებიდან და ეურნალ-გაზეთებიდან გადმოწერილი მასალები იყო მოთავსებუ-

¹ „მოზარდი“, 1888, № 7.

ლი, 1889 წელს არც ერთი ისეთი მასალა აღარ მოგვითავსებია, ქართულ ენაზე რომ უკვე გამოქვეყნებული ყოფილიყო. ავტორები ცდილობდნენ წერილების უმეტესობაში გაერჩიათ თანამედროვეობის საჭირობორტო საკითხებიო. რედაქციის აზრით, ან საქმეს მათ შეძლებისდაგვარად გაართვეს თავი, თუმცა ზოგჯერ შეცდომებიც გაეპარათ, მაგრამ ეს გამოუცდელობის გამო მოუვიდათ, რაც შომავეალში აღარ განმეორდებაო. რედაქცია აცხადებს, რომ ქურნალის მიმართულება, მისი იდეალი კვლავ იქნება წრფელი აღზრდა, შრომითი მოღვაწეობა და ქურნალის დევიზის განხორციელება (მოყვანილია აკაკის ზემოაღნიშნული სტროფი), რომ დასახულია ენის ღრმად შესწავლისა და ცხოვრების გაცნობის ამოცანაო. ამ მიზნით მომავალში ქურნალის პროგრამა კიდევ უფრო გაფართოვდება, სახელდობრ, შემოგვემატება ახალი განყოფილება „წელთა კონა“, რომელშიც საუბარი იქნება საქართველოში როგორც ლიტერატურის, ისე სხვა დარგებში მომხდარი მოვლენების შესახებო.

მოკლედ შეჭერდეთ ქურნალის რედაქციისა და ავტორების ურთიერთობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა „მოზარდისა ფოსტა, 1890“, რომელიც ქურნალის ამავე წლის მე-3 ნომერში არის მოთავსებული და რომელიც, პირველ ყოვლისა, შეტყვევებს იმაზე, რომ ქურნალის რედაქტორი ჯეროვნად აფასებს ავტორების მიერ გამოგზავნილ მასალებს: შ. დადიანი, დამახსურებისამებრ, ზოგ ავტორს აქებს, ზოგსაც უწუნებს ნამუშევარს და, რაც მთავარია, ქურნალის ინტერესების გათვალისწინებით იქვე სათანადო რჩევა-დარიგებას იძლევა.

პუბლიცისტიკა. ხელნაწერ ქურნალ „მოზარდში“ პუბლიცისტიკას წამყვანი ადგილი უკავია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად რედაქციის არაერთგზისი განცხადებისა, რომ იგი თითქოს მხოლოდ ლიტერატურული ქურნალია და პოლიტიკას არ ეხება, სინამდვილეში მასში საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი საჭირობორტო საკითხია გაშუქებული და საინტერესო მოსაზრებებია მათზე გამოთქმული.

ამ მხრივ დამახასიათებელია შ. დადიანის გაბედული წერილი „შომავეალი წრე“ („მოზარდი“, 1889, № 9). სანამ მას მიმოვიხილავდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ მთელ წერილს შავი მელნით გადასმული აქვს ხაზები (სხვათა შორის, ასევე შავი მელნით და განსხვავებული ზელითაა ნომრის დანარჩენი მასალებიც შესწორებული, საერთოდ კი ნომერი ლურჯი მელნით არის დაწერილი). საფიქრებელია, შავი მელნით გაკეთებული ეს ოპერაციები შინაურ-

ლი ცენზურაა — იგი შ. დადიანის შამას უნდა ეკუთვნოდეს და წა-
კარნახევი იყოს იმ მოსაზრებით, რომ „კრამოლური“ არაფერი გაპა-
რულიყო ჟურნალის იმ ნომრებში, რომლებიც გარეშე პირებს წა-
საკითხად მიჰქონდათ, რათა ამის გამო მის შვილს რაიმე უსია-
მოვნება არ შემთხვეოდა.

გავეცნოთ წერილის შინაარსს. ავტორის აზრით, საქართველოს
თუმცა ბევრი ნაწილი კაცი არა ჰყავს, მაგრამ აქა-იქ შაინც მოი-
ძებნებიან განათლებული პირები: ან ისეთები, რომლებიც ახლა
სწავლობენ, ან სწავლადამთავრებულები, რომელთაც იმის გაგება
აქვთ, თუ რისთვის გაჩნდნენ ამქვეყნად და რა მოვალეობა აკის-
რიათ. რედაქცია სთხოვს „მოზარდის“ მკითხველებს, რომ ასეთ პი-
რებს მიაწოდონ წერილის ავტორის შემდეგი ნათქვამი:

„მე აზრალა მაქვს, რომ შევადგინო პატარა წრე, რომელიც შე-
უდგება სხას... ჩვენი ქვეყნის წარმატებისათვის, რისთვისაც ის წევ-
რები, რომელნიც ამ წრეში იქნებიან, შემოიტანენ რაიმე სხვადასხვა
აზრებს და შემდეგ დასკვნილს, გადაწყვეტილს აზრს შეიმუშავე-
ბენ — იმოქმედებენ. პირველი დევიზი ამ წრისა უნდა იქმნეს: «ერ-
თობა, მამულის სიყვარული და მოქმედება». ამათ კიდევ უნდა დაე-
მატოს: «ასჯერ გაზომვა და ერთხელ გამოჭრა აზრისა»“.

ავტორი აღნიშნავს, რომ ამ წრეში სჯა-ბააი გაიძარტება ყველა
საპირბორბოტო საკითხზე, შემუშავდება სათანადო გადაწყვეტილება
და მერე საქმე სისრულეში იქნება მოყვანილი.

შ. დადიანის ფიქრით, აღნიშნულ წრეში უნდა გაერთიანდეს
ყველა წოდების წარმომადგენელი, ვინც კი საპირო იქნება ამ წრის
მიზნების განხორციელებისათვის (მოგზაურები, არქეოლოგები,
მწერლები, იურისტები, ექიმები და სხვ.). თუ წრეს დაარსება ელირ-
სა, დაწერილებითი პროგრამა მის პირველსავე სხდომაზე უნდა და-
ზუსტდეს და დამტკიცდესო. შ. დადიანი „მოზარდის“ მკითხველებს
სთხოვს, რომ გამოთქვან თავიანთი შეხედულება ამის თაობაზე და
აგრეთვე გარეშე პირებსაც შეატყობინონ წრის დაარსების ამბავი,
თვითონაც შემოვიდნენ წევრად და სხვებიც შემოიყვანონ. დასას-
რულ, შ. დადიანი ყველას მოუწოდებს — წერილობით შეატყობი-
ნონ თავიანთი აზრი აღნიშნული წრის შექმნასთან დაკავშირებით
და მისამართსაც მიუთითებს, თუ სად უნდა გამოგზავნონ წერილი.

„მოზარდის“ ამავე წლის მე-11 ნომერში მოთავსებულ წერილ-
ში „მიმოხილვა“, რომლის ავტორის ფსევდონიმიც ასლან ჩხრეკია,
ამ საკითხთან დაკავშირებით ნათქვამია, ჟურნალის ინიციატივა
წრის შექმნის შესახებ მისასალმებელია და მას ყოველნაირად მხა-
რი უნდა დავუჭიროთო. საგულისხმოა, რომ „მიმოხილვის“ ეს აღ-

ვილი, ისევე როგორც შ. დადიანის წინა წერილი, შავი მელნით არის გადაშლილი, ალბათ, იმავე „ცენზორის“ (შ. დადიანის მამის) მიერ.

შალვა დადიანს არ აკმაყოფილებს ნაბეჭდი ჟურნალ-გაზეთების საქმიანობა. მისი შეხედულებით, ისინი ცხოვრებას არიან ნოწყვეტილი. წერილში „აკიდო. ახალი სიტყვა“ (იმოზარდი“, 1890, № 4) პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ველით ამ ახალ სიტყვას და, სამწუხაროდ, არსაიდან იგი არ გვესმისო. მართალია, გამოდის ახალი ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ შიგ მხოლოდ ძველი აზრებია გადამღერებულო. რაშია საქმე, რატომ არ აინტერესებთ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს ცხოვრება, კერძოდ, ვთქვათ, გლეხთა ცხოვრება? — კითხულობს ავტორი და იქვე დასძენს, რომ ბევრი რამ არის სათქმელი და ბევრი საჭირობოროტო კითხვა აღებერება კაცს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათზე პასუხს ვერ იპოვი პრესაშიო. ზოგი გაზეთი საერთოდ დუმს ამ საკითხებზე, ზოგი კი თურმე მარტო დაპირებას იძლევა, მაგრამ საქმით არაფერს აკეთებსო.

ერთი სიტყვით, ამ წერილში გამოთქმულია ახალგაზრდა შ. დადიანის პროტესტი ჟურნალ-გაზეთებში სოციალური პრობლემების უგულებელყოფის გამო.

ორიგინალური ფორმა აქვს გამოყენებული შ. დადიანს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე თავისი აზრების გამოსათქმელად წერილში „საახალწლო“ („მოზარდი“, 1889, № 1). ახალი წლის უკანასკნელ ღამეს ავტორს ჩაეძინება და სიზმარში ხედავს, რომ მოდის თეთრ-წვერა კაცი, რომელსაც დროშა უკავია ხელში და ზედ 1888 წელი აწერია, მის შესახვედრად კი მოეშურება ახალგაზრდა, რომლის დროშაზე 1889 წელი ბრწყინავს. მოხუცისა და ახალგაზრდის — ძველი და ახალი წლის საუბრის თემა საქართველოა. ახალი წელი ქართველებს აღუთქვამს სამეცნიერო სასწავლებლებს, დაწესებულებებს გაჭირვებულთათვის, მრავალ ახალ სალიტერატურო, სამეცნიერო და საისტორიო თხზულებას, პერიოდულ გამოცემებს, სხვადასხვა წრეებს, რომელთათვის მას პროგრამებიც კი მოეპოვება. საერთოდ ამ წერილში პროგრესული აზრებია გამოთქმული; მაგრამ შეინიშნება წარსულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რაც გაკრიტიკებულია „მოზარდის“ ამავე წლის მე-15-16 ნომერში მოთავსებულ წერილში „გაკვრითი შენიშვნები“, რომლის ავტორი (მისი ფსევდონიმია „ერთი მრავალთაგანი“) მართებულად ამბობს, რომ სწორი არ არის, როდესაც წარსულს ხელაღებით უარყვოფთ და მას არარაობად ვთვლით, კარგს კარგი ადგილი უნდა მივუჩინოთ და ცუდს — ცუდიო. ასეთი ცალმხრივობა არ ვარგა, ძველ-

საც და ახალსაც გონების თვალთ უნდა შევხედოთ და, რაც მთავარია, პესიმისტური განწყობილება უნდა დავძლიოთ.

რადგანაც საახალწლო მასალებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე უნდა ვახსენოთ „მოზარდის“ 1890 წლის პირველი ნომრის სტატია „ფინჩხა-ფუნჩხა“. თავდაპირველად მასში ლაპარაკია წარსულ წელზე, იმაზე, თუ რა მოუტანა მან ქართველ საზოგადოებას. დიდი არაფერო, აცხადებს ავტორი. შემდეგ იგი ჩამოთვლის შეცნიერებებს — პედაგოგიკას, მედიცინას, იურისპრუდენციასა და სხვებს — და შენიშნავს, რომ ამ დარგებში საყურადღებო არაფერი მომხდარაო. სტატიაში გაკრიტიკებულია სამეურნეო გამოფენის მოწყობანი, კერძოდ, ნათქვამია, რომ „ეს გამოფენა მარტო ვაჭრების და ზოგიერთი სასწავლებლისაგან იყო შემდგარი“, საქართველოდან იქ ძალიან ცოტა რამ ყოფილა წარმოდგენილი, ასე რომ გამოფენის მნახველი ვერ გაიცნობდა ჩვენი გლეხებისა და ხელოსნების სამეურნეო ნაკეთობებს, უფრო უცხოური ქარბობდაო, რაც სტატიის ავტორს არანორმალურად მიაჩნია¹.

„მოზარდის“ 1892 წლის პირველ ნომერში მოთავსებულ თავის წერილში „საახალწლო“ შალვა დადიანი თბილისს მოუწოდებს სიკრულეს დასძლიოს და, რაც მთავარია, გაქართველდეს. ქუთაისს უსურვებს, იქაურებმა დასმენების წერას თავი დაანებონ, რომ კარგი და სასარგებლო ხალხი ამ ქალაქშიც გაჩერდეს. ფოთში მალე ყველაფერი რიგზე იქნება, რადგან ქალაქს სათავეში შწერალი იონა შეუნარგია უდგასო. ქართულ გამოცემებელ საზოგადოებასა და ქართული გალობის გამავრცელებელ საზოგადოებას ავტორი უსურვებს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. წერილში ცალკე მილოცვები ეძღვნება აგრეთვე თბილისის კლასიკურ გიმნაზიებს, ილიას, აკაკის, დუტუ მეგრელსა და, დასასრულ, „დუშიკოს“ (ა. ახნაზაროვს, „ივერიის“ უურნალისტს). როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, შალვა დადიანის მამამ, ნიკომ, ა. ახნაზაროვსავე უძღვნა ლექსი იმ განსხვავებით, რომ მან აღრესატიხ დასახელებისათვის გამოიყენა ა. ახნაზაროვის სხვა ფსევდონიმი „ორ-ანი“.

1889 წლის მე-2 ნომერში შ. დადიანს მოთავსებული ჰქონია წერილი „დამხმარებელი საზოგადოება“. სამწუხაროდ, ეს ნომერი დაკარგულია. მის შინაარსს ჩვენ ვეცნობით ამავე წლის მე-8-9 ნომ-

¹ სხვათა შორის, ანალოგიურ აზრებს გამოთქვამდა „ივერია“ (1889, № 210) და „თეატრი“: „...ეს ყოველივე მარტო ვაჭრების, მოხელეების და მათ საერთოდ ოჯახობისათვის არის რაღაც თვალის გასართობი. შწარმოებელნი, სოფელთა თვალთ არ სჩანან“ („თეატრი“, 1889, № 28-29-30, გვ. I).

მერში მოთავსებული წერილით „მცირე შენიშვნა“ (ხელს აწერს: „ერთი მრავალთაგანი“). ავტორი ძირითადად ეთანხმება შ. დადიანს საკითხის დაყენებაში და, თავის მხრივ, დასძენს, რომ საჭიროა დავიკვათ „ჩვენი ქვეყნის ავლადიდება უცხოელ კაპიტალისტთა შემოსევისაგან“, და მოუწოდებს ქართველებს — ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი ჩვენვე მოვიხმაროთ, თორემო ისეთი წუბრლების გაჩენა, როგორც როტშეილდია, „ძირიანად ამოწოვს ჩვენი ქვეყნის დაფარულ სიმდიდრეს და ჩვენ დავრჩებით პირში ჩალაგამოვლებულნი, ისეთი ღატაკნი ჯიბით, გონებით, ზნეობით, როგორნიც ახლა ვართ და კიდევ უმეტეს ამისა“. ავტორი იმასაც დასძენს, რომ კავკასიური სიმდიდრე ადგილობრივი მოსახლეობისათვის სულ უფრო ძვირდება (მაგალითად, ნავთიო), რადგან იგი დიდფულოანი კაცების ხელში ჩაეპარდა და „მიიღო სრული მონოპოლიური ხასიათი“.

ისევე როგორც შ. დადიანი, ამ წერილის ავტორიც შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავს „დამხმარე საზოგადოების“ დაარსებაში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი კაპიტალისტების წამოჩინებას და იმას, რომ ისინი წარმატებით შეებრძოლონ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრის „გარეშე, უცხოურ ექსპლოატაციას“, ბოლო მოუღონ „ეკონომიურ მონობას, რომელიც ახლა ეპარება ჩვენს ერს ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან“ (ე. ი. რუსეთიდან და ევროპიდან). ავტორის აზრით, ძალზე ძნელია ადგილობრივმა მრეწველებმა კონკურენცია გაუწიონ მოსკოველ თუ უცხოელ ფაბრიკანტებს, მზარამ, მიუხედავად ამისა, საჭიროა ეკონომიური ბრძოლის გაღრმავება, ნამდვილი ომი ეკონომიურ სარბიელზე, ხოლო ეს ამოცანა უნდა გადაწყვიტოს ახალმა თაობამ, რომელმაც საჭიროა ყველაფერი გააკეთოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებულ უცხოელების გასაძევებლად.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ეს წერილი ადგილობრივი ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად, მის წასახალისებლად და მხარდასაჭერად არის გამოიზნული.

დაახლოებით ასეთივე აზრებია გამოთქმული შ. დადიანის წერილში „ჩვენი ბრალია“ („მოზარდი“, 1889, №15-16). ავტორი აღნიშნავს, რომ ცხოვრება შეუჩერებლად ვითარდება, წინ ევროპაა და მის გვერდით ამერიკა, უკან კი აზიაო, ჩვენც აზიასთან ერთად საღდაც შუაში ვართ მომწყვდეულები და მივჩინალებთო. რატომ არის, რომ ჩვენ სხვებს ჩამოვრჩებით? რაა ამის მიზეზი? — ამ კითხვებზე იგი პასუხს განმანათლებლური პოზიციებიდან იძლევა და სურვილს გამოთქვამს ქართველ ერს მისცემოდეს იმის ძალა, რომ

მოწინავე ქვეყნებს დაეწიოს. ამის საშუალებად ავტორს მიაჩნია გა-
იხსნას სხვადასხვა სახის სკოლები, განვითარდეს მრეწველობა, და-
არსდეს ლიტერატურული წრეები ხალხში განათლების შესატანად
და სხვ. წერილის დედააზრია ის, რომ საჭიროა წინ წაუწიოთ ჩვენი
ქვეყანა, რათა შეგვეძლოს სხვისაგან დამოუკიდებლად მუშაობა,
ცხოვრება.

საყურადღებოა ამავე ნომერში მოთავსებული წერილი „სიზ-
მარი“. შ. დადიანი აქაც თავის ნაცად უურნალისტურ ხერხს მიმარ-
თავს — თავის აზრებს სიზმარში განხორციელებულს ხედავს. ავ-
ტორი დასაწყისში წერს, რომ აღრე „მოზარდის“ ნომრები არ იყო
საინტერესო, უფერულად გამოიყურებოდა და ახლა დაეტყო გა-
მოფხიზლებათ. გამოჩნდა მის ფურცლებზე კარგი სტატიები, სხვა-
დასხვა წინადადებები წრეებისა და საზოგადოებების დაარსებაზე
და სხვ. ასეთი შესავლის შემდეგ შ. დადიანი აღწერს თავის სიზ-
მარს. ვითომ იგი თბილისში იმყოფება. მიადგება ერთ სახლს, რო-
მელზედაც დიდი ასოებით აწერია: „დამზმარებელი საზოგადოება“
(„მოზარდის“ ფურცლებზე ხომ სწორედ მის შესახებ ოცნებობდა
შ. დადიანი ამავე სათაურით მოთავსებულ წერილში). აღნიშნულ
შენობაზე იგი დაინახავს კიდევ რაღაც წარწერას, რომელიც ყველას
აუწყებს: „მოვედით ყოველნი გაუნათლებლნი და ღარიბნი, რათა
ჩვენ გიხსნ[ნ]ეთ თქვენ“. შემდეგ ავტორი ჰყვება, თუ როგორ შეხვ-
და ერთ კაცს, რომელმაც მშვენივრად დაბეჭდილი ქართული გაზე-
თი აჩუქა. იგი აკრეთვე შეიტყობს, რომ ტყუილის თქმისათვის ცი-
ხეში სვამენ. ქუჩაში დაინახავს მეაფთიაქს, რომელიც დიდი ყუ-
თით დაღის და გაიძახის: „ვის გინდათ წამალი?“ ავტორი განსა-
კუთრებით ხაზს უსვამს, რომ მეაფთიაქე ხალხს უფასოდ ურიგებს
წამალს. ირგვლივ მხოლოდ ქართული ლაპარაკი ისმოდაო, აღფრ-
თოვანებით წერს იგი. შემდეგ მცხეთასთან დიდ ბაღში შევა ვი-
თომ ავტორი, სადაც ასიქადულო ქართველი მწერლების შოთა
რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვათა ქანდაკებებს
ნახავს. ბაღის შესასვლელში წიგნის მაღაზიას შენიშნავს, სადაც
იყიდებოდა ქართველი მწერლების თხზულებები, სურათები, ბი-
ოგრაფიები და სხვ. მინდორში იგი დაინახავს სახნისს, რომელიც
თავისით ხნავს, გლეხი კი ხის ქვეშ წამოწოლილა და გაზეთს კი-
თხულობს. ავტორი დიდ გაოცებას გამოთქვამს გლეხთან საუბრის
გამო: იგი თავისუფლად მსჯელობდაო ძველ და ახალ ლიტერატუ-
რაზე, ტექნიკაზე და ა. შ. ამისთანა ფანტასტიკური სურათი აღნიშ-
ნულ წერილში სხვაც ბევრია დახატული. ბოლოს, ავტორს გამოეღ-
ვიძება და დასძენს, რომ ეს მშვენიერი სიზმარი მან „მოზარდში“

მოთავსებული სტატიების გავლენით ნახა. თუმცა წერილში მოცემული მსჯელობა უტოპისტურია, მოკლებულია სოციალურ-კლასობრივ სიმძაფრეს, მაგრამ მაინც გვიჩვენებს ახალგაზრდა შ. დადიანის პროგრესულ შეხედულებებს.

იუმორისტული საღებავებით არის დახატული ახალი სენაკის საზოგადოება წერილში „გაკვირით“ („მოზარდი“, 1889, № 17). მასში ლაპარაკია არა მარტო საქართველოს ამ კუთხის რიგით მცხოვრებლებზე, არამედ მმართველობაზეც. კერძოდ, ავტორი დასძენს, რომ აქაური მოხელეები ღირსი არიან შევადაროთ გოგოლის მიერ აღწერილ მიწაგოროდის მოხელეებსო. რაც დრო გადის, ახალი სენაკის პრივილეგიური საზოგადოების წარმომადგენლები სულ უფრო მეტად ცდილობენ დათვრნენ, იჩხუბონ და ა. შ. აქაურ ინტელიგენტებს ჩაუტყვამთ უცხოური ტანისამოსი, უხეად დაუსხამთ სუნამო და ჰგონიათ ევროპას ბაძავენ, მაგრამ თურმე ეს მხოლოდ გარეგნული შეფერილობა ყოფილა, სინამდვილეში კი აქ ყველაფერი აზიურიაო, დაასკვნის ავტორი.

პროვინციაში არსებულ მდგომარეობას ეხება აგრეთვე სტატია „ლაყბობა“ („მოზარდი“, 1889, № 18-19-20). შ. დადიანი იმწმმებს „ივერიის“ 193-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბიბლიოთეკების გახსნის შესახებ, იწონებს ამ საქმეს, უხარია, რომ ამ ღონისძიებებით ხალხი დაინტერესებულია, განსაკუთრებით მხარს უჭერს სახალხო წიგნების გამოცემისათვის სპეციალური საგამომცემლო ამხანაგობის დაარსების აზრს. კარგია, რომ საქართველოში ამგვარი მოვლენები შეინიშნებაო, ამბობს ავტორი და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ მხრივ სამეგრელოში არ არის სახარბიელო მდგომარეობაო. ბიბლიოთეკებს ვიღა ჩივის, სკოლებიც კი არ მოიპოვება საკმარისი რაოდენობით, ხოლო იქ, სადაც სკოლა არსებობს, სწავლა-აღზრდის საქმე დაბალ დონეზეა დაყენებულიო. ავტორი მოუწოდებს სამეგრელოს საზოგადოებას გამოასწორონ ეს ჩამორჩენა.

შ. დადიანი მკაცრად ილაშქრებს საზოგადოებრივი საქმიანობისადმი უსულგულო დამოკიდებულების წინააღმდეგ. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი წერილი „გულგრილობა“ („მოზარდი“, 1889, № 22), სადაც იგი აღნიშნავს, რომ გულგრილობა კაცობრიობის უდიდესი სენია და მისგან არც ქართველი ერია დაზღვეულიო. ავტორს მოჰყავს „ივერიის“ 298-ე ნომერში გამოქვეყნებული „სანოს“¹ წერილი „ქართველთა შორის“, რომელშიც ასეთი გულგრილობის გამო გაკრიტიკებულია წერა-კითხვის გამავრცელებ-

¹ „სანო“ სტეფანე ჰრელაშვილის ფსევდონიმი.

ბელი საზოგადოების ერთ-ერთი წევრი. შ. დადიანის აზრით, ეს ძალზე ცუდი მაგალითია. ვის უნდა მიჰბაძონ ახალგაზრდებმა თუ უფროსები ასე იქცევიანო, და დაასკვნის, რომ საჭიროა ინერტულობის მოცილება, ერთობა და მაშინ წინ წავა ერის საქმეო.

1890 წლიდან „მოზარდმა“ შემოიღო მოწინავე სტატიები საერთო სათაურით „საქართველო“, რომლებიც მრავალ საჭირობო-ტო საკითხს ეხებოდა.

ამ სერიის პირველ სტატიას („მოზარდი“, 1890, № 1) შ. დადიანი იწყებს საქართველოს ქება-დიდებათ, რომ ამისთანა ლამაზსა და ბუნებისაგან შემკულ ქვეყანას ვერსად შეხვდება კაცი, იგი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, ტყეებითა და მრავალი სხვა სიკეთითო. ქართველებიც გარეგნულად მშვენნიერნი არიანო. შემდეგ საუბარია იმის შესახებ, რომ საქართველოს ბევრი ომი და აკლება გამოუვლია, ქართველი კაცი ცალი ხელით მტერს იგერიებდა და მეორე ხელით მეურნეობას მისდევდა, ქვეყნის ეკონომიური აყვავებისათვის იღვწოდაო. ახლათ, ამბობს ავტორი, აღარც თათარი ჩანს, აღარც სპარსი, აღარც ლეკი და აღარც სხვა ვინმე, ვართ წყნარად და მოსვენებულად, გულზელდაკრეფილები, არაფერს ვაკეთებთო. პირდაპირ გასაკვირი ამბავიაო, სინანულით ამბობს იგი, ირგვლივ მტერი რომ გვეხვია და ყოველმხრივ თოფის ჭექა ისმოდა, მაშინ ვმუშაობდით, ვმოქმედებდით, და ახლა, როცა გარეშე მტრებისაგან მოვისვენეთ, რაღა დაგვემართა, რომ უსაქმურად ვართო. და აი, უცხოელებმა რაკი დაინახეს ჩვენი ინერტულობა, ნელ-ნელა დაგვეპატრონენ, ხელში ივდებენ ჩვენს სიმდიდრეს, ნერგავენ აქ გაიძვერობას, ანგარებასა და სხვა მანე ჩვეულებებსო. ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს: რაც ერისათვის სასიკეთოა, ევროპიდან ის უნდა გადმოვიღოთ, ხოლო შემოტანილი ავი ზნე-ჩვეულებანი მოვიშოროთო.

მეორე სტატიაში („მოზარდი“, 1890, № 4) შ. დადიანი აკრიტიკებს იმ ქართველ ინტელიგენტებს, რომლებიც წვრილმან კინკლაობას ეწევიან. მაგალითად, გადავხედოთო გაზეთ „ივერიასა“ და გაზეთ „თეატრს“, წერს იგი. გადმოუდგამთ, ერთი მხრივ, „ჩიტი-ჩიორას“¹ და, მეორე მხრივ, „წყალტუბოელს“² პატარ-პატარა სათამაშო ზარბაზნები და ერთმანეთს ესვრიან, ხორცს სტკენენ და ისე კი ნამდვილად არც ერთი სიმართლეს არ ამბობსო. ყველაფერი გადამეტებული ვიციითო, შენიშნავს ავტორი, ჩვენი ინტელიგენტები ერთმანეთს არ ზოგავენ, მწარე-მწარე სიტყვებს ეუბნებიან, აწ-

¹ „ივერიის“ თანამშრომლის არტემ ახნაზაროვის ფსევდონიმია.

² გიორგი იოსელიანის ფსევდონიმია.

ყენინებენ ურთიერთსო. შ. დადიანი ოდნავ აჰარბებს, როცა წერს, რომ გაზეთებს ერთმანეთში სერიოზულ საგანზე როდი აქვთ დავა, მხოლოდ ურთიერთგაკილვასა და შეურაცხყოფას უნდებიანო. სინამდვილეში ეს კამათი მათ უმთავრესად არსებით საკითხებზე ჰქონდათ, წვრილმანი კინკლაობა კი შედარებით იშვიათად იჩენდა ხოლმე თავს.

ეს საკითხი კვლავ წინა პლანზეა წამოწეული ნესაძე მოწინავე სტატიისში („მოზარდი“, 1890, № 5), რომელშიც შ. დადიანი მოუწოდებს ერთობისაკენ, ილაშქრებს კინკლაობისა და კორიკანობის წინააღმდეგ, რომლებსაც დიდი ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის.

მეოთხე სტატიისშიც („მოზარდი“, 1890, № 6) იგი ხაზს უსვამს იმას, რომ ერთმანეთის მოშურნეობისა და ლანძღვის მომძლავრება ხელს უწყობს ადამიანების ჩამოცილებას ერთმანეთისაგან, მათ დაქსაქსავს. ავტორის აზრით, არც მისი თანამედროვე ახალი თაობა გამოირჩევა თავისი ძალების ერთობით. ამიტომ საჭიროა, რომ მოზარდებმა, რომლებმაც ახლანდელი თაობა უნდა შეცვალონ, ამთავითვე დაიწყონ კეთილი საქმეები, მოეზადონ რთული და ძნელ ცხოვრების გზის გასაყვალად, ჰქონდეთ ერთმანეთის გამტანობა და სიყვარული, აქეთონ, ერთი შეხედვით, პატარა, წვრილმანი საქმეები, რადგან ბუნების წესი არის, რომ პატარა შობს დიდსო.

სხვა მოწინავე სტატიებშიც, რომლებშიც ამ სერიით („საქართველო“) თავსდება, დაახლოებით ამ თემას ეხება. ავიღოთ, მაგალითად, „მოზარდის“ 1890 წლის ნომერი. მასში ავტორი ისევ ერთობის საპროვებაზე ლაპარაკობს. ვისაც ჰადრაკი უთამაშია, ამბობს იგი, იცის, რომ ლაზიერი ყველაზე ძლიერი ფიგურაა, ცალ-ცალკე მას ვერც ერთი ფიგურა ვერ სჯობნის, მაგრამ ყველა ფიგურასთან ლაზიერი ვერაფერს გააწყობსო. ამიტომ საჭიროა ჩვენ, მოზარდებმა, შევკრათ ერთობა, რათა სამშობლოს ვემსახუროთო. რა ვუყოთ, თუ ჩვენ შორის ჯერ ლაზიერები არ არიანო.

ერთ-ერთ მოწინავე სტატიისში შ. დადიანი თავის მშობლიურ სოფელ ბეთლემსაც ეხება („მოზარდი“, 1890, № 12). მასში აღწერილია ამ სოფლის სიმშვენიერე, მისი ლამაზი და მდიდარი ბუნება. მაგრამ ავტორი იქვე მწუხარებით შენიშნავს, რომ აქ მაინც არაფერია ცივილიზაციის მომასწავებელი, წინწამწვევი, სხივის მომცემიო, არც სკოლაა, არც ხალხის განათლებისათვის ზრუნავს ვინმე და არ ვიცი, როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეო. ავტორი იმედს არ კარგავს, რომ ამ მიმართულებით იქნებ მომავალმა თაობამ მაინც რამე გააწყოსო.

დასასრულ, ფრიად საყურადღებოა მოწინავე სტატია „საქართველო. სულიერი მამანი“ („მოზარდი“, 1892, № 5), რომელშიც საქნაოდ მკაცრად არის გაკრიტიკებული სამღვდლოება. სამწუხაროდ, უურნალის ამ ნომრიდან მხოლოდ ერთი (პირველი) ფურცელია შემორჩენილი და ხელნაწერი ძალზე საინტერესო ადგილზე წყდება. მაგრამ ის, რაც არის, მეტად საყურადღებო აზრებს შეიცავს. წინათო, ამბობს შ. დადიანი, მღვდლები, სულიერი მამანი სულ სხვანაირები იყვნენ, ზნეობას ხეწდნენ და განწმენდნენ, ხალხში განათლება შეჰქონდათ, ახლა კი თანამედროვე მღვდელი, ზოგიერთის გამოკლებით, მხოლოდ ანაფორაში გახვეული მგელიაო.

ახლა ვნახოთ, თუ საერთოდ როგორი პოზიცია უკავია ურნალს რელიგიის მიმართ. „მოზარდის“ 1890 წლის მე-7 ნომერში მოთავსებულია წერილი „ქრისტიე აღსდგა“. სააღდგომო დღესასწაულის მილოცვა შ. დადიანს აქ სჭირდება იმისათვის, რომ ქართველებს მოუწოდოს იღვთისაწაულონ აღდგომა სიმართლისა, რომ იგი „...მოგვეცხებნოს და შეჩედრინის ერთი ზღაპრისა არ იყოს, არ გადაგვეგდოს ქუჩაში. ტალახში და არ ვიყოთ ამ სიმართლის უცხონი“. მართალია, ახლანდელ დროში სიცრუეს გასაგალი აქვს და ამ სიგლახეს ბევრი მისდევს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ საბოლოოდ მხოლოდ სიმართლე დარჩება გამარჯვებული, ხოლო სიცრუე გაქრებაო „ვითარცა ჰინზარი ღამისა“. ავტორი ქართველებს მოუწოდებს მხოლოდ სიმართლის ნათელ გზას დაადგნენ. როგორც ვხედავთ, ამ წერილში რელიგიური არაფერია — არსებითად არავითარი კავშირი არაა რელიგიურ დღესასწაულსა და აქ გატარებულ აზრებს შორის.

შ. დადიანმა „მოზარდში“ მოათავსა წერილების სერია „სამეგრელო“, რომელშიც იგი საქართველოს ამ კუთხის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების დახასიათებას იძლევა. პირველ წერილში („მოზარდი“, 1889, № 34) იგი აღნიშნავს, რომ კავკასიის ყველა კუთხეში რაღაც გამოცოცხლება შეინიშნება. იქნება ეს განათლებისადმი სწრაფვა, ვაჭრობის განვითარება თუ სხვა. მხოლოდ სამეგრელო არის ამ მხრივ უმოქმედო, რის მიზეზიც ისაა, რომ აქაური მცხოვრებნი საზოგადო საქმისათვის თავს არ იწუხებენო. იქნებ „მოზარდში“ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ვინმეც ყურადღება მიაქციოს აღნიშნულ საკითხებს და იზრუნოს მათი გადაჭრისათვის, დასძინს დასასრულ ავტორი.

მეორე წერილში („მოზარდი“, 1889, № 5) შ. დადიანი კიცხავს თავადაზნაურობის ფუქსავატურ ცხოვრებას. მათი ერთადერთი საქმეა მამულის დაგირავება, ვალების აღება, ნადირობა, სეირნობა,


ქეიფი, ჩხუბი და აყალმაყალიო. მშობლების კვალდაკვალ მათი შვილებიც უსაქმურები ხდებიან, სწავლაზე გული აქვთ აცრუებულნი და ლაზღანდარობის მეტს არაფერს აკეთებენო. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავად-აზნაურებთან შედარებითო გლეხობა „უფრო რიგიანად ირჭება სამეგრელოში“. გლეხის შვილმა თუ სწავლა დაიწყო, ამთავრებს კიდევაც და სათანადო საქმესაც შოულობს. ხოლო თუ იგი მოსაგებშია წასული, ფული ჩამოაქვს და ქეიფში ფლანგვის ნაცვლად ოჯახს აწყობსო. საერთოდ კი მიყრუებულნი სამეგრელო ბნელეთით არის მოცული და ახალ თაობა მოვალეა, რომ სანათლე შეიტანოს ამ კუთხეშიო.

მესამე წერილი („მოზარდი“, 1889, № 8-9) ეხება ერთ-ერთ სოციალურ სენს — ქურდობას, რომელიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული ყველგან და განსაკუთრებით სამეგრელოში. ავტორი ამის „წამლად“ სწავლა-განათლების გავრცელებას, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას მიიჩნევს. მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ სწავლა ძვირია და ამიტომ მშრომელებისათვის მიუწვდომელიაო. შ. დადიანი კოცხავს საზოგადოების მაღალ ფენებს, რომლებიც თვალს ხუჭვენ ყოველივე ამაზე.

„მოზარდში“, მეტადრე პირველი წლების ნომრებში დიდი რაოდენობით არის გამოყენებული საინტერესო მასალები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან, უფრო ხშირად წყაროს დაუსახელებლად. მაგალითად, ჟურნალის პირველსავე ნომერში (1888, № 1) მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეებზე მოთავსებულია სტატია „ახალი მოგონებები“ (გამოგონებები) და წერილ-წერილი წერილები, რომელთა საერთო სათაურია „სამეცნიერო ამბები“. აქვე ვხვდებით უცხოეთის კულტურული ცხოვრების ქრონიკას „სხვადასხვა ამბების“ სახელწოდებით. ამავე პირველ ნომერში მოთავსებულია საინტერესო მასალა „ამოკრეფილი ამბები“, რომელიც ქართული კულტურის საკითხებს შეეხება. იგი შეიცავს სხვადასხვა ზასიათის ცნობას. აქ არ შეგვიძლია არ მოუყუანოთ ერთი მათგანი, რომელიც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიასთან არის დაკავშირებული:

„ბ-ნს ს. წერეთელს, რომელიც აქამდე მომრიგებელ მოსამართლედ იყო და ეხლა ნაფიცი ვექილია, ტფილისში განუზრახავს ყოველთვიურის ჟურნალის ბეჭდვა ქართულს ენაზედ. ს. წერეთელს უკვე გაუგზავნია ქალაქი ამ საგნის თაობაზედ პეტერბურგში ბეჭდვის საქმეთა მთავარ სამმართველოში და ნებართვა უთხოვია. ჟურნალს სახელად „საუბარი“ ერქმევა და ჩვეულებრივი პროგრამით გამოვა, ჟურნალში არ ექნება ადგილი მხოლოდ საპოლიტიკო განყოფილებას. ჟურნალი ეღირება წელიწადში 5 მანეთი“.

მართალია, ეს ცნობა პირველად გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა¹ და შ. დადიანს იქიდან გადმოუწერია, მაგრამ მთავარია ის, რომ ახალგაზრდა შ. დადიანი დაინტერესებულია ქართველი საზოგადოების კულტურული ცხოვრების ყოველი ახალი მოვლენით და ცდილობს დაუყოვნებლივ გაუზიაროს თავის მკითხველებს, რასაც კი ამის შესახებ საყურადღებოს შეიტყობს.



ქურნალ „მოზარდის“ 1889 წლის მეექვსე-მეშვიდე ნომრის 1-ლი გვერდი.

¹ „ივერია“, 1888, № 28.

შ. დადიანი ჟურნალში დიდ ადგილს უთმობს საქართველოს სახელოვანი შვილების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. „მოზარდი“ სისტემატურად ეხმაურება ასეთ პირთა გარდაცვალებას და მათ შესახებ ნეკროლოგებს ათავსებს. ჟურნალის პირველსავე ნომერში (1888, № 1) გვხვდება სპეციალური განყოფილება „დავთარი მიცვალებულთა (ნეკროლოგი)“. სადაც მოთავსებულია მასალები დიმიტრი ყიფიანსა და იოსებ დავითაშვილზე. ავტორი დიდად აღუშფოთებია დ. ყიფიანის ვერაგულ მკვლელობას. მეტად ექსპრესიულად არის დაწერილი ნეკროლოგის ბოლო ნაწილი:

„კაცის ბოროტება, კაცის შური, კაცის პირუტყველი საქციელი მის უმანკოს, წრფელს და მართალს სახეს შეეხენ... მათმა ხარბობამ და მხეტურმა საქციელმა საქართველოს დაუკარგეს ერთი მისი ძვირფასი შვილი, რომლისთანაც ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში ძვირად თუ საღამე მოიპოვება...

იგი ნამდვილად კაცი იყო, დიად, კაცური,
აწ აღარ ვნახოთ მისი მსგავსი, ზნე მამკური.

„მოზარდში“ მოთავსებულია აგრეთვე ნეკროლოგები დავით ერისთავზე, დავით ბაქრაძეზე, მამია გურიელსა და სხვებზე.

„მოზარდი“ ინტენსიურად ეწეოდა აგრეთვე მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციას. განსაკუთრებით ხშირად თავსდებოდა მიწვევრცლებზე მასალები მსოფლიოს გეოგრაფიის საკითხებზე. ან პრობლემას ეხება, კერძოდ, მასალა „მოწერილი ამბავი (კორესპონდენცია)“, რომელიც ეპისტოლური ხასიათისაა. მასში მოთხრობილია ამერიკასა და საფრანგეთში მოგზაურობაზე. ავტორი ვინმე აზნაზურაძე ვერს ლუკა მორგვაძეს (ორივე მოგონილი პიროვნებაა), რომ გაუგია ჟურნალ „მოზარდის“ გამოცემის შესახებ დარედაქციას უგზავნის წერილებს, რათა სხვადასხვა ქვეყანაში თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გაუზიაროს ამ ჟურნალის მკითხველებს. ავტორი მოგვითხრობს საზღვარგარეთის ქვეყნების ცხოვრებაზე, იქაური კულტურის კერებსა და ძეგლებზე, ტექნიკის სიახლეებზე და ა. შ. წერილები ვითომ მოწერილია საფრანგეთიდან, ქ. ტულონიდან. საინტერესოა ჟურნალისტური ხეობის გამოუყენებია შ. დადიანს სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრების გასაცნობად.

ჟურნალის მრავალი მასალაა მიძღვნილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი. მაგალითად, წერილში „ასტრონომია“ („მოზარდი“, 1888, № 3) საფუძვლიანად არის განხილული სამყაროს შექმნის კანტისა და ლაპლასის თეორია.

სპეციალური რუბრიკით „სამეურნეო ნაწილი“ ჟურნალი ავ-

რონომიულ საკითხებზეც ათავსებს წერილებს. კერძოდ, ასეთია მასალა „რა არის ფილოქსერა“¹, რომელშიც საქმის ცოდნით, პოპულარული ენით განმარტებულია ვაზის ეს ავადმყოფობა.

„მოზარდი“ ხშირად მიმართავს ისტორიულ თემებსაც. კერძოდ, საინტერესო გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს წერილი „ლეონ ბატონიშვილი ოსეთში (1810-1811)“², რომელშიც ავტორი უხვად სარგებლობს ფრანგული და რუსული წყაროებით, კრიტიკულად განიხილავს მათ, გამოთქვამს თავის აზრს.

სხვა ისტორიული ხასიათის წერილებიდან აღსანიშნავია: „უკანასკნელი ჩამომავალი საქართველოს მეფის სახლობისა“ („მოზარდი“, 1888, № 3 და 4), „ქართული ისტორია“ (ესაა დ. ბაქრაძის სტატიების სერია, გადმოწერილნი ნაბეჭდი წყაროებიდან) („მოზარდი“, 1888, № 4, 5, 6, 7) და სხვ.

პედაგოგიის საკითხებსაც თვალსაჩინო ადგილი უკავია „მოზარდის“ ფურცლებზე. ოჯახში ბავშვთა აღზრდის დიდ მნიშვნელობაზე მოგვითხრობს, მაგალითად, წერილი „პედაგოგიური შენიშვნა“. მასში გაკრიტიკებულია „მაღალი“ საზოგადოება, რომლის წარმომადგენლები ბავშვთა აღზრდას არაეითარ ყურადღებას არ უთმობენ. ავტორი გულისტკივილით წერს იმ დედებზე, რომლებიც შვილებზე არ ზრუნავენ და „ბალ-ვეჩერებში გათენებამდის ხტუნაობენ“ („მოზარდი“, 1888, № 5). ხოლო წერილში „ქართველ ქალებს“ („მოზარდი“, 1889, № 11) ავტორი საყვედურებს გამოთქვამს იმის გამო, რომ ისინი დედაენას ივიწყებენ, და თუ სასწავლებლებში სწავლობენ, არც იქ იძენენ ბევრ რამეს: სწავლის დასრულების შემდეგ მხოლოდ „მოდისტკებთან“ დადიან და დღედაღამ ჩაცმა-დახურვაზე ფიქრობენ. შ. დადიანს განსაკუთრებით აღაშფოთებს ის, რომ ნასწავლი მანდილოსნები ქართულად კითხვასა და ლაპარაკს არ კადრულობენ. ავტორი ურჩევს ჩვენს ქალებს მიჰბადონ თავის ამერიკელ დებს, რომლებიც სასარგებლო მოღვაწეობას ეწევიან. იგი მოუწოდებს: თქვენც, ქართველო ქალებო, ისწავლეთ ერთობა, აირჩიეთ ვინმე ზღმძღვანელთაგანი და ფართოდ გაშალეთ საზოგადოებრივი საქმიანობაო. ქართველ ქალებსაც ჰყავთ შესანიშნავი წარმომადგენლები: ეკ. გაბაშვილი, ან. თუმანიშვილი, ელ. ლორთქიფანიძე და სხვა ნიჭიერი მოღვაწეები, და ისინი რომ ერთად შეიკრიბონ, ბევრ სასარგებლო საქმეს გააკეთებენ, რაც მთავარია, ქალებს გამოიყვანენ დაჩაგრული მდგომარეობიდანო.

¹ „მოზარდი“, 1888, № 2.

² „მოზარდი“, 1888, № 5.

ბავშვთა აღზრდის პრობლემას ეხება წერილი „თანამედროვე აღზრდა და თავგასული შეუპოვრობა“¹. მასში გარჩეულია გერმანიაში გამოსული წიგნი „ჩვენი თანამედროვე აღზრდა და თავბედობა“, რომელშიც ხაზგასმული ყოფილა ბავშვების დიდი უმრავლესობის თავგასულობა, სასწავლებლებში მათი ცუდი სწავლა და უდიერო ყოფაქცევა. მთელი ეს დანაშაული პირველ რიგში შეძლებულ ოჯახებს განეკუთვნებაო, ნათქვამია წერილში და დასაბუთებულია, რომ მდიდარი მშობლები შვილებს ფუფუნებაში აცხოვრებენ, ყველა სურვილს უსრულებენ, რის გამოც ბავშვები ნებივრდებიან, თამამდებიან, შრომას გაურბიან, გონებრივად და ზნეობრივად მახინჯდებიანო.

მოზარდი თაობის აღზრდის შესახებ საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული წერილში „მოგზაური ამხანაგობა“ („მოზარდი“, 1889, № 6 და 7). მასში, უწინაარეს ყოვლია, ავტორი აკრიტიკებს ნასწავლ ახალგაზრდობას მრავალი ნაკლის გამო. მიუხედავად ერთგვარი განათლების მიღებისა, იგი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მომზადებული ხალხის სამსახურისათვის, საზოგადო საქმეებისთვისო. ყველაზე დიდ ხარვეზად ავტორს მიაჩნია ის, რომ განათლებული ახალგაზრდობა ხალხის ფართო მასებთან არ არის დაკავშირებულიო. იმ პირთა დიდ ნაწილს, ვინც მწერლობას ან სხვა რამე საზოგადო საქმეს ჰკიდებს ხელს, ხალხში თითქმის არ უცხოვრია და ამის გამო ისინი მის ხასიათს, ზნეს, ჩვეულებას იცნობენ ან სხვისი ნაწილით, ან ნაამბობით, განაგონითო. ავტორი დასცილნი ასეთ აღაშინებს: „დაძღვარან ქალაქებში, გამომწყვდეულან კაბინეტებში და იქიდან უქადაგებენ ხალხს — ესა და ეს ცუდი ხასიათი და ჩვეულება გაქეთო... ასე და ასე იცხოვრეთო, ეს ახალი საქმე შემოიღეთო და სხვ.“ ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამგვარი ზერელე ქადაგება ხშირად „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“ რჩება. ამის მიზეზია ის, რომ მათ ხალხის ცხოვრებაზე სრულიად არა აქვთ წარმოდგენაო.

შ. დადიანის „მოზარდი“ მკაცრად ესპმის თავს ახალგაზრდობაში ფეხმოკიდებულ ფუჭსავეატობას. წერილში „უსაქმური ახალგაზრდობა“ („მოზარდი“, 1889, № 10) ლაპარაკია ბანძის ახალგაზრდობის არასწორ საქციელზე. მათი უმრავლესობა თურმე არავითარ სასარგებლო საქმიანობას არ ეწევა. ერთადერთი, რაც მათ იციან, ეს არის ზიზღერა: მღერაიან ზან თავის მოგონილ, ხან სხვა კლთხეებიდან შემოტანილ სიმღერებსო. ავტორი გვიხატავს ამ ახალგაზრდების უდიდამო ცხოვრებას: იბადებიან, მღერაიან, დადიან ხან

¹ „მოზარდი“, 1889, № 1.

იქ, ხან აქ, თერებიან, ჩხუბობენ, თავსაც იფუჭებენ და სხვებსაც აწუხებენ, შემდეგ კვლავიან ისე, რომ რამდენიმე კვირაში მათ სახელს ივიწყებენო. ეს ფუქსავატური დროს ტარება დასაჯომბიანო, დასძენს ავტორი, საჭიროა დრო უქმად არ დაიკარგოს, ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს, იშრომოს, რომ თავისი ნიჭი მიწაში არ ჩაფლასო. რაც შეეხება სიმღერებს, ავტორის შეხედულებით, ეს საერთოდ არ არის ცუდი საქმე, ოღონდ მას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს კაცის ცხოვრებაშიო. შ. დადიანი გამოთქვამს სურვილს, რომ შედგეს მომღერალთა გუნდი და მან გამართოს კონცერტები თვით ქუთაისსა და თბილისშიც კი. საჭიროა, რომ სიმღერები, განსაკუთრებით ახალშეთხულის, ნოტებზე გადაიღონ, რათა ისინი დავიწყების მორევემა არ ჩანთქასო, დასძენს იგი.

საშუალო განათლების ჯეროვან დონეზე დაყენების საკითხს ეხება წერილი „რას ეძახიან კლასიკურ და რეალურ სწავლა-აღზრდას?“ („მოზარდი“, 1889, № 12, 13, 14). მასში გარჩეულია კლასიკური გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლების სასწავლო პროცესები. ავტორი მკაცრად ესხმის თავს პირველს. მისი აზრით, იგი მოწყვეტილია ცხოვრებას. მეცნიერებათა შესწავლა უკანა რიგშია დაყენებული, წინ კი კლასიკური — მკვდარი ენების შეთვისებაა წამოწეული. ეს ავტორს არასწორად მიაჩნია. იგი აქებს რეალურ სასწავლებელს, მის პროგრამას, აქ ბავშვებს თანამედროვე მეცნიერების უფრო მეტ ცოდნას აძლევენო. სხვათა შორის, ეს საკითხი ქართული ჟურნალ-გაზეთების მუდმივი თემა იყო. ჯერ კიდევ „დროება“ გამოთქვამდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას კლასიკური განათლებისადმი, რომ არაფერი ვთქვათ იმ წლების „ივერიანზე“, როდესაც შ. დადიანი თავის „მოზარდს“ უშვებდა.

„მოზარდს“ უმაღლესი განათლების საკითხებიც აინტერესებს. წერილში „უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი კავკასიაში“ („მოზარდი“, 1889, № 5) ავტორი შენიშნავს, რომ მეურნეობის გაძლიერება კარგად არ ვიცით და უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელში ნასწავლი ყმაწვილები სამშობლოს გამოადგებიანო. ამ წერილზე გამოხმაურებაში, რომლის სათაურია „გაკვრითი შენიშვნები“ („მოზარდი“, 1889, № 11) ავტორი (ფსევდონიმი „ერთი მრავალთაგანი“) ექვს გამოთქვამს მოკლე ხანში ასეთი სასწავლებლის გახსნის რეალურობაზე. თუ მთავრობამ ეს საქმე დროულად არ მოაგვარა, საჭიროა ერთხმად და მტკიცედ მოვთხოვოთ მისი აღსრულებაო.

„მოზარდის“ ერთ-ერთი მუდმივი თემაა ჟურნალ-გაზეთების გამოშვებისა და წიგნის გამოცემის გაუმჯობესების საკითხი. წერილში „ორიოდე სიტყვა ისტორიულ ჟურნალებზე“ („მოზარდი“,

1889, № 1) შ. დადიანი გამოთქვამს მოსაზრებას ისტორიული ეურნალის დაარსების აუცილებლობაზე და ასახელებს რედაქტორის შესაფერის კანდიდატურასაც კი — ისტორიკოს დ. ბაქრაძეს, რომელიც, ავტორის შეხედულებით, საქმეს კარგად გაუძღვება.

ამ წერილს საინტერესოდ ეხმაურება „გაკვერთი შენიშვნები“ („მოზარდი“, 1889, № 10), სადაც ვრცლად არის ლაპარაკი ისტორიული მეცნიერების განვითარების აუცილებლობაზე და აღნიშნულია, რომ ჩვენში ეს დარგი ჩამორჩენილია, არა გვეყვანან სათანადოდ მომზადებული კადრებიო. ამ საქმის გამოსწორებისათვის ავტორი აუცილებელ საჭიროებად თვლის უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას. საერთოდ მეცნიერების განვითარების თაობაზე იგაბევრ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ მართო ისტორიის შესწავლა ბევრს არაფერს მოგვეცემს, რომ საკვლევი მრავალი რამ გვაქვს. აწყოშოცო. ისტორიული მეცნიერება კარგია, შენიშნავს იგი, მაგრამ მართო წარსულზე თვალების მიპყრობით შორს ვერ წავალთ, არ უნდა დაგვაიწყუდესო „ღღევანდელ გარემოებათა სიმწვავე“. ისტორიის შესწავლა ჰარმონიულად უნდა იქნესო შეთავსებული ღღევანდელი ღღის საარსებო საკითხების ანალიზთან. ავტორის აზრით, ამის საჭიროება ნაკარნახევია საქართველოში არსებული ვითარებით. ჩვენი ქვეყანა, ამბობს იგი, ჩამორჩენილია განათლების მხრივ, მრეწველობისა და ეპყრობის განვითარების დარგში. საჭიროა პირველ რიგში ეკონომიკის აყვავება. მისი წინსვლის უზრუნველყოფა და თუ ამ საქმეს წარმატებით გავართმევთ თავს, ისტორიული მეცნიერებაც არ ჩამოგვრჩება უკან, ისიც განვითარდებაო.

წერილში „გაკვერთი“ („მოზარდი“, 1889, № 11) აღნიშნულია, რომ ავტორს „ივერიის“ წინა წლის ერთ-ერთ ნომერში ამოუკითხავს — ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გამოჩენილ პიროვნებათა ნაწარმოებები ხალხისათვის ლამაზად იბეჭდება და, რაც მთავარია, ხელმისაწვდომ ფასად იყიდებაო, რითაც დაბალი წრის წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ ასეთი იაფფასიანი წიგნები შეიძინონ, ხოლო ეს კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს განათლების ფართო გავრცელებასო. ავტორს მიაჩნია, რომ ამ მხრივ ჩვენში არასახარბიელო მდგომარეობაა. ევროპას ბევრ ისეთ რამეში ვბაძავთ, რასაც არავითარი შედეგი არ მოაქვს სწავლა-განათლების განვითარებისათვის და უკეთესი არ იქნებოდა ამ საქმეში მიგვებაძა უცხოელებისათვისო. ავტორი იწონებს „ივერიის“ წერილს ამ საკითხზე და იმედს გამოთქვამს, რომ იქნებ ქართველი გომოცემლები გამოცოცხლდნენ და ეს საქმე მოაგვარონო. შემდეგ იგი დასძენს, რომ

კარგი იქნება, თუ ზაქარია ჭიკონაძე ზემოაღნიშნულს მხედველობაში მიიღებს და ხელს მოჰკიდებს სახალხო გამოცემების შედგენა-გამოცემას.

„ნაციონალური შენაშენაში“ („მოზარდი“, 1889, № 17) საყურადღებო აზრებია გამოთქმული კვალიფიციური, მეცნიერულ დონეზე დაყენებული გამოცემლობების შექმნის თაობაზე, დასაბუთებულია იმის საჭიროება, რომ შეიქმნას ავტორიტეტული რედაქცია, სადაც იმუშავებენ განათლებული პირები, რომლებიც სათანადოდ შეაფასებენ, გაასწორებენ, რედაქტირებას გაუწევენ დასაბეჭდად წარდგენილ ყველა წიგნს. შ. დადიანი იმედს გამოთქვამს, რომ საგანმცემლო საქმე შემდგომში სულ უფრო განვითარდება და ერთ წურტილზე არ გაიყინება.

„მოზარდი“ გულშეურვალედ მიესალმება პრესის ყოველი ახალი ორგანოს გამოსვლას ქართულ ენაზე. ინფორმაციულ მასალაში „ახლად დაბადებულზე“ („მოზარდი“, 1889, № 21), რომელიც მოწინავე სტატიის ადგილას არის მოთავსებული, შ. დადიანი სიხარულს გამოთქვამს ან. თუმანიშვილის მიერ საბავშვო ჟურნალ „ჭეჭილის“ დაარსების გამო და იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართო ეს არ არის საკმარისი, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ბავშვებისათვის იაფი, ლამაზად გაფორმებული და კარგი შინაარსის მქონე წიგნების გამოცემა.

ასევე სიხარულით შეხვდა შ. დადიანის ჟურნალი ქართული წიგნის საგანმცემლო ამზანაგობის შექმნას. მოწინავე სტატიაში „საქართველო“ („მოზარდის“ 1890 წლის მე-8-9 ნომრის დამატება № 2) ჟურნალი აუწყებს მკითხველებს კორესპონდენტის მიერ მოწერილ ამბებს: „თბილისში შეუდგენიათ წრე, რომელიც უნდა შეუდგეს ქართული წიგნების, ბროშურების, ჟურნალ-გაზეთებისა და სხვათა გამოცემას“. ავტორი მოუწოდებს ქართველებს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ამ სასარგებლო საქმეს. დასაწყისში შეიძლება ყველაფერი რიგზე არ იყოს, მაგრამ ეს ნუ შეგვაშინებს, მთავარია მონდომება და სურვილი, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებსო.

სხვა მოწინავე სტატიაში („მოზარდი“, 1891, № 16) შ. დადიანი აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველი მწერლების ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძისა და სხვათა თხზულებანი ჯერ არ გამოსულა. უკვე დროა, რომ ჩვენი მწერლების შემოქმედება კვალიფიციურად შევაფასოთ, მათი ნაწარმოებები კრიტიკულად გავარჩიოთ, მაგრამ ეს საქმე დღესდღეობით სრულიად მოუგვარებელიაო. ამის ერთ-ერთ მიზეზად აუ-

ტორი სამართლიანად მიიჩნევს მწერალთა თხზულებების გამოუცემლობას. როგორ უნდა ვიმსჯელოთ მწერალზე, თუ მისი ნაწერები გაბნეულია წლების განმავლობაში გამოსულ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

შ. დადიანი უყურადღებოდ არ ტოვებდა ქართველი საზოგადოების ჩამორჩენილობას უცხო ავტორების თარგმნის საქმეშიც. ამ საკუთხისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიებში („მოზარდი“, 1891, № 17) იგი წერს, რომ შექსპირისა და ჰიუგოს მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოებია თარგმნილი ქართულად, მსოფლიოს კლასიკოსთა მრავალ თხზულებას კი ჩვენი მკითხველი სხვა ენაზე ეცნობაო, გული-სტკივილით შენიშნავს ავტორი. მას მოუთმენლად მიაჩნია ასეთი ვითარება და თანამემამულეთ მოუწოდებს ფართოდ გაშალონ მთარგმნელობითი საქმიანობა, მასში ჩააბან კვალიფიციური პირები.

„მოზარდის“ ფურცლებზე საკმაო ადგილი უკავია ნაბეჭდი ჟურნალ-გაზეთებისა და გამოცემული წიგნების კრიტიკულ გარჩევას. „მოზარდი“ დიდ ყურადღებას უთმობს ახალგამოცემულ ჟურნალ „ჯეჯილს“. გამოვიდა თუ არა ამ საბავშვო ჟურნალის პირველი ნომერი, შ. დადიანი მაშინვე გამოეხმაურა მას („მოზარდი“, 1890, № 2; წერილი „ქართული გამოცემები. საყმაწვილო ჟურნალა «ჯეჯილი» № 1“). ავტორი აქებს „ჯეჯილის“ გარეგნულ გაფორმებას, იწონებს მის ეპიგრაფს, რომელიც ი. დავითაშვილის ლექსიდან არის ამოღებული („მოზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო!“), დადებით შეფასებას აძლევს შიო მღვიმელის ლექსს „ყვავილზე“, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „ჯეჯილი“ უკეთესი საჩუქარი იქნებოდა ბავშვებისათვის, რომ აქა-იქ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები არ არღვევდეს საერთო ჰარმონიასო.

კრიტიკული შენიშვნებია გამოთქმული ვაჟა-ფშაველას ლექსზე¹. ვაჟა-ფშაველა კარგი პოეტია. აღნიშნავს შ. დადიანი, მაგრამ მის ლექსებში გადაშეტებით არის გარეული პროვინციალიზმები, ავტორი ფშაურ, კუთხურ სიტყვებს გადაჭარბებით ხმარობსო. პროვინციალიზმი რომ კარგი იყოს და თითოეულმა კუთხემ თავისი გადასხვაფერებული ქართულით რომ შექმნას მწერლობა, მაშინ ბაბილონის ენათა აღრევა გამოვა და არავისთვის არ იქნება სასიამოვნოო. ერთი სიტყვით, შ. დადიანი იმ აზრს იზიარებს, რომ მწერლობა ერთიან სალიტერატურო ენას უნდა იღებდეს საფუძვლად და მან იგი უნდა დაიცვას პროვინციალიზმებისა და კუთხური გამოთქმებისაგან. მით უმეტესო, წერს იგი, რომ ვაჟა-ფშაველას პროზა ჩინებული ქართულით არის დაწერილი და კარგი იქნება, თუ ენის

¹ „ჯეჯილის“ ამ ნომერში მოთავსებულია ვაჟას ლექსი „ჯეჯილი“.

სიწმინდეს, რასაც იგი პროზაში ამჟღავნებს, გადაიტანს თავის ლექსებშიცო. ახალგაზრდა კრიტიკოსი ამის მაგალითად ასახელებს ვაჟა-ფშაველას „შელის ნუკრის ნაამბობს“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხში შ. დადიანის პოზიცია ემთხვევა იმ დებულებებს, რომლებიც წამოყენებულია პ. მირიანაშვილის წერილში „საერო ენა და სათემო კილო“¹.

შ. დადიანის აზრით, ი. ჭავჭავაძის ლექსი „ბაზალეთის ტბა“, მართალია, კარგი შინაარსის მქონე ნაწარმოებია, მაგრამ მისი ლექსთწყობა საბავშვო ჟურნალისათვის შესაფერი არ არის. სამწუხაროა, რომ შ. დადიანმა ი. ჭავჭავაძის ამ ლექსის მხოლოდ ფორმაზე გაამახვილა ყურადღება და მხედველობიდან გამორჩა მისი პატრიოტული შინაარსი.

ავტორი უკიჟინებს ი. გოგებაშვილსაც „სპილოსა და ჭიანჭველას“ გამოქვეყნების გამო: თუმცა კარგად, ოსტატურად არის დაწერილი, მაგრამ იგი ი. გოგებაშვილისავე „დედა ენაში“ დაბეჭდილი „ლომისა და კოლოს“ გადამღერებაა და გამოჩენილ პედაგოგად არ შექმერისო.

„მოზარდის“ მომღვენო ნომერში (№ 3) გრძელდება საუბარი „ჩეჩილის“ პირველი ნომრის შესახებ. აქ ავტორი განიხილავს ლექსებს „შობა დამე“ და „ღვთის შვილი“ და შენიშნავს, ესენი საბავშვო ლექსებს არ წარმოადგენენ და პედაგოგიური თვალსაზრისითაც მიუღებელი არიანო. ავტორი მალღიერების გრძნობით იხსენიებს ალ. ჭიჭინაძის მითოლოგიურ ამბებს, კერძოდ, აქებს ამ ნომერში გამოქვეყნებულ მის „თეზოსს“ და განოთქვამს სურვილს, რომ მომავალში უფრო ხშირად იბეჭდებოდეს ასეთი ხასიათის მასალები. ბოლოს, ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჟურნალაჲ იორმატი და მოცულობა საკმარისი არ არის და საჭიროა გაიზარდოსო.

წ. დადიანი ასევე არჩევს „ჩეჩილის“ სხვა ნომრებსაც („მოზარ-

¹ „ივერია“, 1888, № 166, 180; იხ. აგრეთვე მისი „ბ-ნი ვაჟა-ფშაველა და ბ-ნი ურბნელი“ („ივერია“, 1888, № 219) და თვით ვაჟა-ფშაველას წერილი „მკირე შენიშვნა (პასუხად ბ-ნ მირიანაშვილს)“ („ივერია“, 1888, № 192).

ამ პოლემიკაში, როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელიც ჩაება. ჯერ კიდევ 1899 წელს აკაკი უსაყვედურებდა ვაჟას დილაექტიზმების სიჭარბეს, მაგრამ შას არასოდეს ხელაღებით არ უარუყვია პოეტის ენა, მუდამ დიდად აფასებდა საერთოდ ვაჟას შემოქმედებას (კერძოდ, პროზას ენობრივი თვალსაზრისით). აკაკი აღნიშნავდა, რომ, თუ რომელიმე სიტყვა პროზაში „გასპეტაკებულია და დედა-ენის კანონის თანასწორად აღმოცენებულა“, შეიძლება ლიტერატურაშიც შემოვიტანოთო. რაც შეეხება აკაკის ლექსს „ვაჟა-ფშაველას“ („ენას გიწუნებ, ფშაველო“...), ვაჟამ არ მიიღო იქ გამოთქმული აკაკის საყვედურები.

დი“, 1890, № 6, 10). იგი აქებს ვაჟა-ფშაველას და ეკ. გაბაშვილის ნაწარმოებებს, გამოთქვამს ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნასაც.

„მოზარდის“ 1891 წლის მე-10 ნომერში მოთავსებული წერილი „კრიტიკული მიმოხილვები“ ეძღვნება ვაზეთ „შრომას“. ავტორი აღფრთოვანებულია ქუთაისის ამ გაზეთის პროგრამით, იწონებს მისი სარედაქციო წერილის აზრებს და გამოთქვამს სურვილს, რომ რედაქციის მუშაებმა თავისი დაპირება შეასრულონ.

„მოზარდში“ ქართულად დაბეჭდილი წიგნების შესახებაც მრავალი რეცენზია გვხვდება. საგულისხმოა, რომ მათთვის ჟურნალში შემოღებული იყო მუდმივი რუბრიკა „ქართული გამოცემები“.

1890 წლის მე-5 ნომერში გაკრიტიკებულია ა. წითლიძის თარგმანი „ძმა ძმის მტერი“.¹ ავტორი მთარგმნელს უკეიფიებს რუსიციზმებს, ქართული გრამატიკის უცოდინარობას. ვანსაკუთრებით უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ვიქტორ ჰიუგო თარგმნილია არა დედნიდან — ფრანგულიდან, არამედ რუსულიდან: ჭერ რუსულ თარგმანში არის დამახინჯებული დედანი და გადმოქართულებულში ხომ სულ გაფუჭებულიაო.

„მოზარდის“ 1890 წლის მე-8—9 ნომერში შ. დადიანმა აკაჯრ წერეთლის „პატარა კახი“ გაარჩია. იგი ქებით იხსენიებს ამ ნაწარმოების ლიტერატურულ ღირსებებს. კარგა ხანია, რაც ასეთი ვრცელი და ამასთანავე ასეთი კარგი ნაწარმოები აკაქისა აღარ გვინახავსო. მაგრამ, ავტორის აზრით, მას როგორც დრამატულ თხზულებას ბევრი ნაკლი აქვს. უფრო მეტიც, შ. დადიანი ფიქრობს, რომ „ღრამა სრულიადაც არ არის «პატარა კახი», თუ მართლად იტყვის კაცი“.

საერთოდ კი შ. დადიანს ძალიან მოსწონს „პატარა კახის“ შინაარსი — მასში მეტად პოეტურად და მძალაღმზატვრულად არისო გამოხატული ქართველი ადამიანის ხასიათის საუკეთესო თვისებები: ვმირული თავგანწირვა, რაინდული სიყვარული, წრფელი გრძნობები და სხვა. მაგრამო, იქვე დასძენს ავტორი, როგორც ზემოთ ვთქვით, თვითონ ღრამა ერთობ სუსტია, იგი მეტად ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, მოქმედებები კულმოკვეცილია და ერთმანეთისაგან არ გამოჰდინარეობენო — უფრო „ეპიზოდებს მოგვაგონებენ, ვინემ მთელად ერთ რამეს“. დასასრულ, გამოტანილია დასკვნა, რომ, მთლიანობაში აღებულნი, თხზულება კარგია და, თუ მცირეოდენი შენიშვნები გვაქვს, ეს იმიტომ, რომ ვფიქრობთო: „უნაქლო, რასაკვირველია, ბევრად ემჭობინებოდა“.

¹ ლაპარაკია ვიქტორ ჰიუგოს რომანზე „ოთხმოცდამეცამეტე წელი“.

მამასადამე, შ. დადიანს სცენურობის თვალსაზრისით არასრულყოფილ ნაწარმოებად მიაჩნია ა. წერეთლის „პატარა კახი“, ხოლო მისი შინაარსი დიდად მოსწონს. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა კრიტიკოსას ეს აზრი არც ისე დაშორებულია ჭეშმარიტებას. ეს ნაწარმოები რომ მხატვრული ღირსებებით თვით აკაკისავე „თამარ ცბიერზე“ დაბლა დგას, ამას მრავალი მკვლევარი აღნიშნავს¹.

შ. დადიანი ძლიერ აღუშფოთებია ერთ გამოცემას («Самоучитель — учебник грузинского языка, составленный Габриелом Тер-Габриелянцом») და „მოზარდში“ (1889, № 1) შკატი, რეცენზია მოუთავსებია. მეტადრე სამწუხარო ეს არისო, ამბობს რეცენზენტი, რომ მისი შემდგენელი პედაგოგია და უნდა რცხვენოდეს ამისთანა წიგნის გამოცემა, რომელიც სავსეა შეცდომებით. შ. დადიანი ცენზურასაც გადასწვდა: მოხდა ისე, რომ ასეთი ცუდი წიგნი შეაღვინა ავტორმა, „ცენზორი რად უშვებს? ნუთუ ცენზორის მოვალეობა მხოლოდ ის არის, რომ სიტყვები «სისხლი» და «მტერი» არ გაუშვას! ნუთუ არ უნდა ჰქონდეს ყურადღება მიპყრობილი ამგვარ წიგნებზე ცენზორთ, რომელთაც შეუძლიათ დიდი და მეტად დიდი ვნება მოუტანონ ქართული სიტყვიერების უცნობ პირებს“.

შემდეგ ავტორი ჩამოთვლის წიგნის როგორც ქართულ, ისე რუსულ ტექსტებში დაშვებულ შეცდომებს: „აზრზე მოვედი“, „საჭიროა ქონება მოთმინებისა გარემოებაში“, „ის მიდის წინააღმდეგობად წყლისა“, „იგი თიზედ ხუმრობს“, „იგი გულზედ მოდის ჩემზედ“, „ახლა ჩეთვერაა მეხუთისა“ და მრავალ სხვას, ბოლოს კი დაასკვნის:

„კიდევ ბევრია შეცდომები, ასე რომ, ყველა თუ ამოეწერეთ, მთელი წიგნის გადაწერა შეგვექმნებოდა და მერე კადევ ჩვენის ფიქრით ვერც შეითხველს ვასიამოვნებდით. ამიტომ ჩვენის მოყვანილი მხაგალითებიც საკმაოდ მიგვაჩნია, რომ მკითხველმა თვით განსაჯოს ეს სახელმძღვანელო... ვაი ჩვენ მართლა, თუ რომ ამგვარი სახელმძღვანელოები გვაქვს, ამგვარი შემქმნელი და ამგვარა მასწავლებლები გვყავს. ნუთუ მაგათ უნდა აღზარდონ ჩვენი მოზარდნი! ნუთუ მაგათ უნდა გააცნონ ჩვენი თავი უცხოელებს!“

შ. დადიანი სათანადო შეფასებას აძლევს გრ. ჩარკვიანის „საერო კალენდარსა“ და ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარს“ — ძირითადად იწონებს მათ, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს ხარვეზებ-

¹ იხ. მაგალითად, გ. ქიქოძე. რჩული თხზულებანი. ტ. III, 1965, გვ. 287.

საც: ცოტაა მოთავსებული ლიტერატურული ნაწარმოებებზე, დაბალ დონეზეა მხატვრობაო და სხვ.

წერილში „ქართული შწერლობა. «ცდა»“ („მოზარდი“, 1891, № 23-24) შ. დადიანა მიესალმება იმ ფაქტს, რომ იმერეთში, ქ. ქუთაისში შესამე წელია გამოდის კრებული „ცდა“, რომლის შესახებ ადრე არაფერს ვწერდით, რადგან ისინი არ იმსახურებდნენ იმას, რომ აზრი გამოგვეთქვაო: „ამ სამ წიგნში, სამივე ერთად რომ დაიკავოთ, ხელში აიღოთ, კარგად მუშტრის თვალთ გადაფურცლოთ, ჩაუღრმავდეთ, ჩაუკვირდეთ, მოსაწონარი ორიოდ-სამიოდ ნაწერის მეტი არა შეგრჩება რა ხელში“. წერილის ავტორი სხვებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს მესამე წიგნს, სადაც ყველაზე ყარგ ნაწარმოებად და შედეგებადაც კი მიიჩნევს გიორგი წერეთლის რომანს „პირველი ნაბიჯი“. წერალში გარჩეულია აგრეთვე სილოვან ხუნდაძის ლექსები „ქალი“ და „იმედი“. ამათგან პირველის შესახებ ნათქვამია, რომ მისი სიუჟეტი მოძველებულია: ამგვარად ჩვენშიც და სხვაგანაც ბევრს უწერია და აქ რაიმე ორიგინალობაზე ლაპარაკი ზედმეტიაო. რაც შეეხება მეორე ლექსს, იგი უსაგნო ქადაგებას შეიცავსო.

შ. დადიანი ქებით იხსენიებს „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეულ გამოცემას, მოსწონს ზიჩის სურათები, წაგნის მხატვრული გაფორმება. იქვე ირონიულად შენიშნავს, ფასიც ყარგი აქვსო (15 მანეთი ღირდა). ლაპარაკობს გამოცემის ნაკლოვანებებზეც: ლექსიკონი არ გააჩნია, ტექსტს არც სათანადო შენიშვნები ახლავს და არც ვარიანტები აქვს დართული, არ არის მოყვანილი რუსთაველას შესახებ ბიოგრაფიული ცნობები და სხვ., ე. ო. მდიდრული გამოცემაა, მაგრამ მეცნიერულად მაინც ვერ ჩაითვლებაო. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა შ. დადიანს „ვეფხისტყაოსნის“ მართო ტექსტის დაბეჭდვა, კომენტარებისა და სხვა მეცნიერული აპარატის გარეშე, მიზანშეუწონლად მიაჩნია და მას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამაში.

„მოზარდი“ დიდ ინტერესს იჩენს ქართული ლიტერატურის საკითხებისადმი. მასში მრავალი ისეთი წერილია მოთავსებული, რომლებშიც ქართული ლიტერატურის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა გაშუქებული და ორიგინალური მოსაზრებებია გამოთქმული.

ამ მხრივ დამახასიათებელია ჟურნალის გამოცემის პირველივე წლის ერთ-ერთ ნომერში („მოზარდი“, 1888, № 13) მოთავსებული სტატია „ჩვენს ლიტერატურაზე. ნიკო ბარათაშვილი“. ეს მასალა იმით არის საყურადღებო, რომ მასში ავტორი იმის თავისებურ განმარტებას იძლევა, თუ რამ განაპირობა სამწერლო ასპარეზზე ნიკოლოზ ბარათაშვილის გამოჩენა:

„ახლანდელი ჩვენი უმნიშვნელობის მიზეზი არის უდროოდ შეჩერება ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობისა. შეჩერდა რა დამოუკიდებელი ცხოვრება დიდი ხნის არეულ-დარეულობის შემდეგ, საქართველოს ცოტა უნდა მოესვენა, შედგომოდა ნივთიერის მდგომარეობის აღდგენას, გაუმჯობესებას. უნდა იჯანახლებულიყო ხალხის გონიერი ცხოვრება, რომელიც შეჩერდა სხვადასხვა უსამართლო გარემოებების გამო... მაგრამ ამ დროს ჩვენ ხელი შეგვეშალა. ჩვენ აძულებული ვიყავით შევჩვეოდით სხვა მდგომარეობას, უცხო ჩვეულებებს და წყობილებას, ჩვენ უნდა დავმორჩილებოდით იმ ზემოქმედებას, რომლის ფესვი არ მობმულა საქართველოს ისტორიულ ნიადაგზე... ის ძალა და ღონე, რომელიც უნდა მოეხმარა ხალხს თავისი გონების გასაავარჯიშებლად, ახალი და უცხო წყობილების შეჩვევას მოუწია. წარსული თანდათან გვემორღებოდა და მომავალი მკაცრი წყვილიდით იყო შემოსილი, ნათელი სხივი გულის არსებობისა ჯერ კიდევ არ გამჭრალიყო, მომავალი კი განთიადს არ გვიქადდა. ბნელი ახლოვდებოდა, სინათლე კი ოდნავ ბუტბავდა. აქ წარსულისა და მომავლის საზღვარზე დაისახა ბრძოლა და ამ ბრძოლამ დაჰბადა ნიკოლოზ ბარათაშვილი“.

წერილში შემდეგ გარჩეულია ნიკოლოზ ბარათაშვილის რამდენიმე ნაწარმოები. „ქართულ პოეზიაში, — წერს ავტორი, — ჩვენ ვერ გვაპოვია თხზულება, რომელშიც ლირიზმი იმ სიმადლეზე იყოს ასული, როგორც ნიკო ბარათაშვილის ლექსებში“. რომელი ლექსი შეედრება, მაგალითად, „მერანს“, ქართულ ლიტერატურაში ამისთანა შედეგრი ამ საუკუნეში არ არისო.

დასასრულ, შ. დადიანი იუწყება, რომ მას განზრახული აქვს კრიტიკულად შიშობიხლოს სხვადასხვა ქართველი მწერლების შემოქმედება, მაგრამ ამას ერთგვარად ის აბრკოლებს, რომ თანამედროვე ჩვენი მწერლების ნაწერები არ არის ერთად შეკრებილი, გაბნეულია სხვადასხვა დროს გამოცემულ პერიოდიკაში და მწერალზე მთლიანი წარმოდგენის შემუშავება ძნელი ჯდებაო.

ყურადღებას იმსახურებს შ. დადიანის აზრები დასავლეთ საქართველოში ლიტერატურის განვითარების საკითხებზე, გამოთქმული წერილში, რომლის სათაურია „გაკვირით“ („მოზარდი“, 1889, № 12-13-14). ავტორი უკმაყოფილოა იმით, რომ ყველა ნიკიერი ლიტერატორი თბილისში მიდის და დასავლეთ საქართველოში არ მოღვაწეობსო, თუმცა წინანდელთან შედარებით ახლა იმერეთში არსებობს საშუალებები ლიტერატურის განვითარებისთვისო. შ. დადიანი განმარტავს, რომ იგი იმერელსა და ქართულს ერთმანეთისაგან არ ყოფს, პირიქით, მას უნდა უფრო შეეკავშირდეს ყველა ქართველის გული, მაგრამ ამასთანავე ისიც სურს, რომ საქარ-

თველოში განათლებასა და ლიტერატურის არა მარტო ერთადერთი ლამპარი ენთოს: მხოლოდ და მხოლოდ თბილისი ვერ შეძლებს მთელი საქართველოს განათებას, მას ჯერ საამისო ძალა არა აქვსო, და „ამიტომ საჭიროა მეორე თანამომხმე ლამპარი“.

ამავე საკითხებზეა მსჯელობა შ. დადიანის მეორე წერილშიც „ბნელი სარჩული ჰუარავს“ („მოზარდი“, 1889, № 17). ავტორი გულისტყვივით აღნიშნავს, რომ იმერეთის (ანუ დასავლეთ საქართველოს) ლიტერატურაზე დიდი ხანია არავის არაფერი უთქვამსო, სამი წლის წინათ დაწერილა რალაც ამის თაობაზე „ივერიაში“ და მას შემდეგ კრინტი არავის დაუძრავს, თუმცა საქართველოს ამ მხარეს ბევრი განათლებული ხალხი ჰყავს: აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვებიო. მათ ხომ შეუძლიათ დაწყებული საქმე — იმერეთის მოსახლეობის განათლებისათვის ზრუნვა — ბოლომდე მიიყვანონ, ყველაფერი უნდა ეიღონოთ იმისათვის, რომ ხალხში ცოდნა შევიტანოთ.

„მოზარდი“ აკრიტიკებს ზოგიერთ იმდროინდელ მწერალს იმის გამო, რომ ისინი უფროსი თაობის ნამოღვაწარის გამრავლებისათვის არ ზრუნავენო. ასეთი საყვედურია გამოთქმული წერილში „ახალი სიტყვა“ („მოზარდი“, 1890, № 1). ჩვენი ახლანდელი მწერლები, ამბობს შ. დადიანი, ცდილობენ, რომ რაიმე ახალი აუწყონ მკითხველებს, მაგრამ, სამწუხაროდ, თერგდალეულთა შემდეგ ორიგინალური რამ ჯერ არავის უთქვამსო. ამავე სათაურის მქონე მეორე წერილშიც („მოზარდი“, 1890, № 6) შ. დადიანი ეკამათება თერგდალეულთა კრიტიკოსებს. მართალია, თერგდალეულებმა ბოლომდე ვერ მიიყვანეს საქმე, მაგრამ უფრო ახალი აზრის მქადაგებელნიც არსად ჩანან, უფრო ჰკვიანურს ჯერ ვერაფერს ვხედავთო.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალი „მოზარდი“ უცხოეთის ლიტერატურაზე საუბრის დროსაც კი არ ივიწყებს ქართული მწერლობის ინტერესებს და ცდილობს გაამახვილოს თავის თანამემამულე კალმოსანთა ყურადღება სხვათა ისეთ ღირსებებზე, რასაც პროგრესული, ზოგადსაქაოებრიო მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ დამახასიათებელია წერილი „ვიქტორ ჰიუგო (პატარა ეტიუდი)“, რომელიც მოთავსებულია რუბრიკით „უცხოელთა მოღვაწენი“ („მოზარდი“, 1889, № 12-13-14). მასში აღწერილია არა მარტო ვიქტორ ჰიუგოს ბიოგრაფია და მოთხრობილია მისი შემოქმედების შესახებ, არამედ ვრცლად არის აგრეთვე საუბარი მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზეც. ხაზგასმულია, რომ იგი იყო უკიდურესი მემარცხენე შეხედულებების, მებრძოლი სულის მქონე ადამიანი, რომ მას ქედი არ მოუხრია არც ლუდოვიკო XVIII-ისა და არც ნაპოლეონ III-ის წინაშე, რომ ვინც და რაც არ მოსწონდა, მას არ უწამებია და გმირულად

იბრძოდა თავისუფლებისათვის“. ავტორი მოუწოდებს ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომ ისეთი მიმართულებისა და ჭასიათისანი გახდნენ, როგორც იყო ვიქტორ ჰიუგო.

ჩვენს დღევანდელობას მძლავრად ეხშიანება ახალგაზრდა შალვა დადიანის მსჯელობა პოეზიაზე. საჭიროაო, ამბობს იგი, ყველამ შეიგნოს, მეტადრე ახალგაზრდობამ, რომ ნამდვილი პოეზია მარტო გარეგანი სიმშვენიერე, სიტყვების კეთილზმოვანება და ლექსთწყობის ხელოვნება როდია. მთავარი ის არისო, თუ როგორი აზრების იარაღად ან საშუალებად გაუხდია პოეტს თავისი შემოქმედება: პროგრესულის, მეცნიერული სიმართლისა და ჭეშმარიტების გამოთქმის საშუალებად, თუ „ერთ ადგილზე შემაჩერებელ, უკანმწევ რუტინისა, სიბნელისა“. ეს კიდევ ცოტაა, არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, თუ როგორ იცავს პოეტი პირად ცხოვრებასა და მოქმედებაში იმ აზრებს, რომლებიც თავის ნაწარმოებებში აქვს გამოთქმულით. ავტორის თქმით, ეს არის ყოველი პოეტის, ყოველი მწერლის შემოქმედების შეფასების ერთადერთი საზომი და კრიტერიუმი.

„მოზარდის“ 1889 წლის მე-18-19-20 ნომერში მოთავსებულია თარგმნილი მოთხრობა „ძმა ძმაზედ“. არც ავტორისა და არც მთარგმნელის ვინაობა არ ჩანს. ნაწარმოები შეეხება საფრანგეთის რევოლუციური ბრძოლების ისტორიას. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მთარგმნელის შენიშვნები, რომლებიც თან ახლავს თარგმანის ტექსტს:

„1) ეს ჯარისკაცები იყვნენ ფრანცუზები — რესპუბლიკელები. ეს ის დრო იყო, როდესაც საფრანგეთში არსებობდა რესპუბლიკა. ეს ჯარისკაცები მიეჩქარებოდნენ წინააღმდეგ კანადიელებისა, რადგან ისინი მეფის მომხრენი იყვნენ და უნდოდან აღედგინათ მეფობა. ამიტომ ორად გაყოფილი ზალხის აზრი უსისხლოდ ვერ წყნარდებოდა...“

„2) ზალხი «ცისფერებს» ეძახდა იმ დროში რევოლუციონერებს და «თეთრებს»... ბონაპარტისტებს ანუ მეფის მომხრეებს“.

ეს ორიოდ შენიშვნა მეტად დამახასიათებელია არა მარტო ამ თარგმნილი მოთხრობისათვის, არამედ საერთოდ ჟურნალის სულისკვეთებისთვისაც.

დასასრულ, უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საინტერესო საკითხს. „მოზარდის“ ფურცლებზე დროდადრო თავსდებოდა გამოსული ნომრების მიმოხილვა. მათში მოცემულია როგორც ჟურნალის მასალების საერთო ანალიზი, ისე გარჩეულია ცალკეული ნაწარმოებები, რომელთაგან ზოგი შექმებულია, ზოგიც კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული. როგორც ვიცით, ასეთი რამ ნაბეჭდი ჟურნალ-

გაზეთების საქმიანობაშიც კი იშვიათია. ახალგაზრდა შ. დადიანის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ თავისსავე ჟურნალში იგი არ ერიდებოდა საკუთარი ნაკლის გამომჟღავნებას, უარყოფითი მხარეების ჩვენებას.

პირველი ასეთი მიმოხილვა გვხვდება „მოზარდის“ 1889 წლის მე-3-4 ნომერში. მასში გარჩეულია ამავე წლის პირველ ნომერში მოთავსებული მასალები. ეს მიმოხილვები იმითაცაა საყურადღებო, რომ ზოგჯერ ისინი საშუალებას გვაძლევენ წარმოდგენა ვიქონიოთ დაკარგული ნომრების შინაარსზე. ასე, მაგალითად, „მოზარდის“ 1889 წლის კომპლექტს მე-2 ნომერი აკლია, სამაგიეროდ ამავე წლის მე-5 ნომერში ასლან ჩხრეკიას ხელმოწერით მოთავსებულ სტატი-აში მიმოხილულია ეს ნომერი და შესაძლებელი ხდება მისი შინაარსის ჩამდენადმე გაცნობა.

„მოზარდი“ საკმაო ყურადღებას უთმობს ენათმეცნიერების საკითხებსაც. 1888 წლის მე-6 ნომერში მოთავსებულია პეტრე მირიანაშვილის გრამატიკული ტრაქტატი „ბაბელის შენობა ჩვენი ენის ფორმების ხმარებაში“. მას უბიძგრაფად წამძღვარებული აქვს გრ. ორბელიანის სიტყვები: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“. წერილი ასე ორიგინალურად იწყება: „კოლეჟე დე ფრანსის გამოჩენილმა პროფესორმა მ. დემანელმა სთქვა: ჟან-ჟაკ რუსოს თავის თანამედროვენი ზოგიერთ სიტყვის საქცევებს უწუნებდნენო, მაგრამ დღეს სასაცილო იქნება, ამას რომ გამოვეკიდოთო“. შემდეგ ავტორი ქართული ენის შესახებ იწყებს საუბარს და დასძენს, რომ „ვისრამიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ჩვენი ენა წარმატებით ვითარდებოდა გარკვეულ დრომდე, მაგრამ ახლა „ჩვენჩვენის უმეცრებით, უკან ჩამორჩენით“ ენას ვაფუქებთო. თუმცაო, ამბობს იგი, ამაში დამნაშავე „ჩვენ მართო ახალი მოდგმა არა ვართ“. ენის შეერყვნის დასაბამად ავტორი აღიარებს XVIII საუკუნეს, როდესაც ჩვენი წინაპრები ანტონ I-ის გრამატიკაზე იზრდებოდნენ. პ. მირიანაშვილი ამ პერიოდის მოღვაწეებს სქოლასტიკოსებს უწოდებს. იგი აკრიტიკებს თვით სულხან-საბა ორბელიანსაც, ჭერ ერთი, მის ცნობილ ლექსიკონში „განყენებული“ ლექსების ახსნის ხასიათის გამო, განსაკუთრებით კი არ მოსწონს ის, რომ საბამ სქესის კატეგორია შემოიღო, რაც პ. მირიანაშვილს ქართულისათვის შეუსაბამოდ და არაბუნებრივად მიაჩნია. შემდეგ ავტორი თავის თანამედროვეებსაც გადასწვდება. „მათზედ არანაკლებ წინ წასწია ჩვენი გრამატიკის მეცნიერება, — ირონიულად შენიშნავს იგი, — „მიმომაველის ურიას“ მთარგმნელმა ალექსი-მესხიშვილმა სქესების შემოღებით“. უფრო მეტიცო, ამბობს ავტორი, რაღა ძველები გავამტყუნოთ, როდესაც ილია ჭავჭავაძის „ივერია“ უცხო გავლენით «მთავრ-ინა»-ს

ხმარობსო (ე. ი. ქართულში სქესის კატეგორიას აღიარებსო), და სინანულით დასძენს: „უკან სვლაც ამას ჰქვიან მეცნიერებაში“.

პ. მირიანაშვილი აკრიტიკებს „დროებასა“ და „ივერიას“, რომლებიც, მისი აზრით, გრამატიკაში სცოდავენ. ამის დასადასტურებლად მას მოჰყავს რამდენიმე ფაქტი: ა) 1885 წელს პარიზიდან მას „დროებისათვის“ გამოუგზავნია ვიქტორ ჰიუგოს ბიოგრაფია. ჰიუგოსათვის რომ ვითომ უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭებინათ, „დროებამ“ ამ ბიოგრაფიაში ავტორისაგან განსხვავებით სიტყვა „კაცად-კაცი“ იხმარა, მაშინ როცა ეს სიტყვა სინამდვილეში „თითოეულს“ ნიშნავსო. ავტორი თავის მოსაზრების დასასაბუთებლად იშველიებს სხარებას, სადაც პავლე მოციქული ამბობს: „კაცად-კაცადმან თავისი ტვირთი იტვირთოს“ — ე. ი. თითოეულმა თავისი ტვირთი იტვირთოსო. ამისგანომ ავტორი უაზრობად თვლის ასეთ კონტექსტში აღნიშნული სიტყვის ხმარებას; ბ) 1886 წელს პ. მირიანაშვილს „ივერიაში“ მოუთავსებია წერილი „ბერძენ-რომაელების და ქართველებს ჩვეულებათა მსგავსება“, რომელშიც droit და Право-ს შესატყვისად ტერმინი „სამართალი“ უხმარია, „ივერიის“ რედაქციას კი იგი შეუცვლია სხვა სიტყვით—„მართლიერებით“, რაც მას არასწორად მიაჩნია; გ) პ. მირიანაშვილი აკრიტიკებს აგრეთვე „ივერიის“ მიერ „უკედ“ ფორმის ხმარებას და შენიშნავს: უმჯობესია ვწეროთ „უკეთ“, რადგან ეს სიტყვა მომდინარეობს უ-კეთ-ეს-ი-დან, სადაც ფუძეა არა „კედ“, არამედ „კეთ“-ო და ა. შ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ პ. მირიანაშვილის ენობრივი ხასიათის შენიშვნები ბევრ შემთხვევაში კეშმარტებასთან ახლოს არის.

ენათმეცნიერების საკითხებს ეხება საინტერესოდ დაწერილი წერილი „ენის შესწავება“ („მოზარდი“ 1889, № 21 და 22), რომელსაც ეპიგრაფად ახლავს ნიკო დადიანის სიტყვები: „პრაქტიკა და გრამატიკა თავისი და გრამატიკა და პრაქტიკა სხვისი ენის შესასწავლი ღონე არიან“.¹

პოეზია. ხელნაწერ ქურონალ „მოზარდში“ მრავალი ლექსია მოთავსებული. ავტორებად ძირითადად გვევლინებიან თვით შალვა დადიანი, მისი და მამო (დადიანი-ანჩაბაძისა), დუტუ მეგრელი და სხვ. თემატიკის თვალსაზრისით „მოზარდის“ პოეზია ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1) ლირიკული ლექსები და 2) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოტივების ამსახველი პოეტური თხზულებანი. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ მათში აშკარად იგრძნობა თერგდალეულთა გავლენა.

¹ ამ სიტყვებით ყოფილა დაწეებული ნიკო დადიანის გრამატიკული ტრაქტატი (იხ. სოლ. ცაიშვილი. ნიკო დადიანი. 1948, გვ. 54).

„მოზარდის“ პირველსავე ნომერში (1888, № 1) მოთავსებული უსათაურო ლექსი (ხელმოწერილია ფსევდონიმით „მანდონი“)¹ მიძღვნილია სამშობლოსადმი. პოეტი ეკითხება მას, თუ რატომ არის დაღონებული, ხომ არ აგონდება მზესავით ბრწყინვალე წარსული, შოთა რუსთაველი, თამარი. საყვარელო სამშობლოვ, ამბობს ავტორი, ჩვენც გადმოგვხედე — შენს შვილებს — და გიჩვენებთ, თუ როგორ უნდა მამულიშვილობა, ქვეყნის მოვლა-პატრონობა, აყვავება და დამშვენებაო, წინაპრებივით ხმალამოწვდილი წარვდგებით წინ და მუსრს გავავლებთ მტერსო.

შ. დადიანი კარგად იცნობს რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ნაწარმოებებს და ზოგიერთი მათგანის თარგმანს ჟურნალში ათავსებს. მათ შორის აღსანიშნავია ლექსი „პოეტს (დობროლიუბოვიდან)“². ეს ალფგორიული ლექსი სავსებით შეესაბამება ახალგაზრდა შ. დადიანის განწყობილებას. მასში ნახსენები შავი ღრუბლები, ჭექა-ქუხილი — ეს ხომ მეფის მთავრობის მძვინვარე რეაქციის გამოხატულებაა. ნაწარმოების მთავარი აზრი ის არის, რომ სიბნელეს მზის სხივები გააპობს და გამოადვილებს დაუძლურებულ ხალხს, რომელსაც უკეთესი მომავალი ექნებაო.

პატრიოტული ლექსია „აღსარება“ („მოზარდი“, 1888, № 5). ავტორი უმღერის და აღიდებს სამშობლოს. იგი პირობას იძლევა, რომ შეხს დაატეხს მტარვალებს, აღადგენს დაცემულთ და ხელს გაუწვდის ჩაგრულებს, განგმირავს „საწყლის მღევნელსა და მჩაგვრელს“.

რაც შეეხება ლექსს „აჩრდილი“ („მოზარდი“, 1888, № 7), იგი აშკარად ილია ჭავჭავაძის ამავე სახელწოდების პოემის გავლენით არის დაწერილი. ავტორს გამოეცხადება წინაპრის აჩრდილი — თერთწვერა მოხუცი, რომელიც გოლიათური აგებულებისაა და აბჯარსა და იარაღშია ჩამჯდარი. მოხუცი უხსნის მას ამაყად აღმართული ციხე-კოშკის საიდუმლოებას, მოუთხრობს, რომ აქ ქართველი გმირები გარეშე, მომხდურ მტრებს იგერიებდნენ და იმარჯვებდნენო. ამასთანავე იგი საყვედურით და ნიშნის მოგებით მიმართავს თანამოსაუბრესა და მის თანამედროვეთ:

„თქვენ კი არ გვეანდით გადაშენებულთ,
ჩვენ დროს მბა მშის სისხლს აროდეს სეამდა.
აბა, რა გითხრა?!... რომელი ერთი?!
ვის გწამთ: სინდისი, მშობა, ქველობა?!
სწორე მითხარი, თუ რომ გწამს ღმერთი,
რამი გეტყობათ თქვენ ქართველობა?!“

¹ შესაძლოა ეს ფსევდონიმი მამო დადიანს ეკუთვნოდეს.

² „მოზარდი“, 1888, № 2.

ინტერესს იწვევს დუტუ მეგრელის ლექსი „ჩემს მეგობარს“ (უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი შალვა დადიანისადმი არის მიძღვნილი)¹. ჩვენ ერთ ტაფაში ვიწვითო, მიმართავს პოეტი მეგობარს, ერთნაირად ვართო ბედისაგან დაჩაგრულები. იგი საყვედურით იხსენიებს მუხთალ წუთისოფელს,

„სად სიმართლე აღარ მოიპოვება,
სად ნაშუსი სასაცილოდ გამხდარა...“

ასეთ ვითარებაშიო, ამბობს ავტორი, ჩვენ ერთმანეთს მეგობრულად მივცეთ ხელი, სხვებიც ვნახოთ, ჩვენსავით დატანჯულები, მოვიწვიოთ, გვერდში ამოვიყენოთ და ძმურად შევეერთდეთო, ან მოვკვდეთ მამაპაპურად, გმირულად, ან ჩვენი მიზნები განვახორციელოთო. ავტორი კონკრეტულად არ ასახელებს, თუ რა მიზნებია ეს, მხოლოდ ზოგადად ლაპარაკობს თავის იდეალებზე: „რომ მარადის ტახტზე იჯდეს სიმართლე“ და „მთელს ქვეყანას გარს ეფინოს სინათლე“.

„გლეხის აღსარებაში“ („მოზარდი“, 1889, № 12-13-14) მწვავე სოციალური პრობლემაა დასმული. ლექსი იჩივის გლეხკაცის გაჭირვებაზე, შიმშილზე, გაუთავებელ შრომაზე, მის დარღზე, რომ მოსავლის დიდი ნაწილი სხვამ უნდა წაიღოს. მწყერი რომ მწყერია, ისიც მონაწილედ უდგას გლეხს, სასოწარკვეთილს თავისი უიმედო მდგომარეობით. აქ ავტორი შთამბეჭდავად აღწერს გლეხის უნუგეშო ყოფას, მაგრამ რა გამოსავალი უნდა ნახოს ამ მდგომარეობიდან, ამის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი. ასეთივე ზასიათისაა მეორე ლექსიც „გაუნათლებელი სოფელი“ („მოზარდი“, 1889, № 18-19-20), რომელიც სოფლის ჭირ-ვარამსა და გლეხთა აუტანელ ცხოვრებაზეა დაწერილი.

შ. დადიანი ერთ უსათაურო ლექსში („მოზარდი“, 1890, № 23-24) გადმოგვცემს თავის შეხედულებას ცხოვრებაზე და აღნიშნავს, თუ რა გზით აპირებს იგი განუხრელად იაროს:

„რად გადავცილდე მე წმიდა ვხასა,
რას მოვერიდო ამ ცხოვრებაში?
სიმართლის გარდა რა უნდა მქონდეს
სატარებელად გულ-გონებაში.“

ახალგაზრდა პოეტი მზად არის სიცოცხლე ბრძოლას შესწიროს, საკუთარ თავს მოუწოდებს გამხნევდეს, ძალა მოიკრიბოს და მტერი დაამარცხოს:

¹ „მოზარდი“, 1888, № 7.

„იყოფი, რომე ძილის დრო არ არის,
აქ მოსვენება არ იპოვება...“

პროზა. „მოზარდში“ ზშირად ვხვდებით აგრეთვე პროზაულ ნაწარმოებებს, ზოგს ორიგინალურს, ზოგსაც თარგმნილს (ლევ ტოლსტოიდან, ეჟენ სიუდან, გუსტავ ფლობერიდან, ივანე ტურგენევიდან და სხვ.).

ეურნალის პირველივე ნომრის (1888, № 1) „დამატებაში“ უჩინარის ფსევდონიმით მოთავსებულია საკმაოდ ვრცელი მოთხრობა „გამოცდილება ყოველგვარი“, რომელიც აღწერს კოწიას (კონსტანტინეს) თავდადასავალს. ბევრს მოხუცი დედ-მამა ჰყავდა და მათ იგი მებატონეს მიაბარეს შინამოსამსახურედ, სადაც ხუთი წელი დაჰყო. ბატონყმობის გადაეარდნის შემდეგ კოწიამ ბაყლის დუქანში დაიწყო მუშაობა, საკმაო თანხა დააგროვა და საკუთარი საქმე წამოიწყო. მუყაითობითა და გამჭრიახობით ბლომად ფული შოიგო. საზღვარგარეთ გაემგზავრა სწავტროდ. რაც ფული ჰქონდა, საქონელი შეიძინა და გემით გამოგზავნა, მაგრამ გზაში გემი დაიღუპა და მასაც ყველაფერი დაეკარგა. გაკოტრებულმა ძლივს უცხოეთში დასახლდა. ისევ ვაჭრობას მიჰყო ხელი, ცოტაოდენი ფული შეაგროვა და თავის მშობლიურ სოფელში წავიდა, მაგრამ იქ ხელი არავინ გამოუწოდა და არ დაეხმარა. გულნატკენმა კოწიამ მიატოვა სოფელი, ჩავიდა თბილისში და ერთ ვაჭარს დაუდგა ნოქრად მალაზიაში. სამი წლის შემდეგ პატრონისაგან იყიდა ეს მალაზია და მოკლე ხანში დიდი ვაჭარი გახდა. ასეთია მოკლედ ამ მოთხრობის შინაარსი. თუნავ გულუბრყვილო ნაწარმოებია, მაგრამ საინტერესოა იმით, რომ ავტორი ცდილობს თავისებურად გვიჩვენოს ახალი კლასის — ბურჟუაზიის გამოჩენა ცხოვრების ასპარეზზე.

ეურნალში, მეტადრე მის ზოგიერთ ნომერში არის საბავშვო მოთხრობები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა „მოზარდის“ 1889 წლის მე-3-4 ნომერი, სადაც მოთავსებულია რამდენიმე ასეთი მოთხრობა: „ყმაწვილის ფიქრები“, „ახალგაზრდა მწყემსი“, „ვანო და მისი ამხანაგები“. საბავშვო პროზაულ ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე „კეთილი დები“, „ვარდები“ („მოზარდი“, 1889, № 5), „მარგალიტი“ („მოზარდი“, 1889, № 8-9) და სხვები, რომლებშიც ბავშვთა ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის საკითხებია დაყენებული და ბევრი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული.

შ. დადიანი ზშირად მიმართავს ისტორიულ თემატიკასაც. საკმაოდ ოსტატურად არის დაწერილი „დედა მოვა (ძველი თქმულება)“, რომელიც საქართველოში არაბთა შემოსევის პერიოდს ეხება

(„მოზარდი“, 1889, № 21). ეს ხალხური თქმულება ჩვენთვის იმითაც არის საინტერესო, რომ მასში ნახსენებია მდინარე ტეხურაზე აგებული ციხესიმაგრე ქუჯი (როგორც ცნობილია, შემდგომ ქუჯი შ. დადიანის ერთ-ერთი ფსევდონიმი გახდა).

თეატრი და დრამატურგია. ხელნაწერი ურუნალი „მოზარდი“ მდიდარ მასალას იკავებს ახალგაზრდა შალვა დადიანის პირველი ნაბიჯის შესახებ დრამატურგიაში და აგრეთვე სცენაზე. „მოზარდის“ ნომრები შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ, თუ როგორ უღვივდებოდა მას ინტერესი თეატრისადმი, რომელსაც შემდგომ მთელი არსებით დაუკავშირდა.

შ. დადიანის პირველ დრამატულ ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს უსათაურო სცენა ლექსად („მოზარდი“, 1889, № 11). იგი წარმოადგენს აპრილისა და მაისის გასაუბრებას. მაისი სთხოვს აპრილს კარი გაუღოს, ეს უკანასკნელი კი ეკითხება მას ვინაობას და მაისიც უპასუხებს:

„მე ვარ მაისი სხივ-მომფინარე,
ამუვავებელი კლდე და ველისა;
თვეებთა მეფე შრომისმოყვარე, —
გამღვიძებელი მუშა-მხენელისა“.

თავის მხრივ მაისიც სთხოვს აპრილს, მითხარი შენი ვინაობაო. აპრილი უყვება თავის თავზე და თან დასძენს: მსურს ანდერძად გადმოგცე ჩემი ქონება, ყური მომიგდე, მინდა ჩემი დანაბარები შეიგნოო. მაისი შეაჩერებს თანამოსაუბრეს და ეუბნება, რომ რა დროს ეგ არის, უკვე ბუნება იღვიძებს, ბულბული გალობს, ვარდი ყვავდება, მცენარე ხარობს და მათ ბანს აძლევენ ადამიანი, რომელიცო

„იმედით შრომობს, ნაყოფს მოელის,
ოფლსა იწურავს მუშა-მხენელია“.

დაახლოებით ასეთი ჭანისაა აპრილსა და მაისს შორის გამართული მთელი დიალოგი, რომელსაც, რა თქმა უნდა, წმინდა დრამატულ ნაწარმოებად ვერ ჩავთვლით, იგი უფრო ძველი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უანრის — „გაბაასების“ მანერით არის დაწერილი. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ნაწარმოების შემდეგ უკვე ნამდვილი პიესები გამოჩნდა „მოზარდის“ ფურცლებზე, პირობითად იგი შეიძლება შ. დადიანის პირველ დრამატურგიულ ცდად მივიჩნიოთ.

პირველი პიესა შ. დადიანმა მოათავსა „მოზარდის“ 1890 წლის მე-3 ნომერში. პიესას ჰქვია „კეთილისმყოფელი უცნობი“, რომელიც, ავტორის თქმით, არის „საყმაწვილო კომედია ორ მოქმედებ-

ად. აზრი რუსულიდან“. მისი შინაარსი ასეთია. მოხუცი ბარბალე ავად გამხდარა. მისი შვილიშვილი დემეტრე ქუჩაში გამოსულა და გამულეღ-გამომვლელს ფულსა სთხოვს, რათა ექიმის მოსაყვანი თანხა შეაგროვოს. გამოივლის ადვოკატი სტრელეცკი, რომელიც ბანქოს სათამაშოდ მიიჩქარის, იგი ბავშვს არაფერს აძლევს: ამას წინათ ერთ ბიჭს ფული ვაჩუქე და დავითარსე — იმ ღამეს ბანქოში ასი მანეთი წავაგეო. სომეხი ვაჭარი მიკირტუმაც ყურადღებას არ აქცევს გაჭირვებულს, მიუხედავად იმისა, რომ მან დემეტრეს ოჯახი გაყვლიდა, ვალებში ყველაფერი წაიღო. არც მდიდარი ქალიშვილი ლიზა გაიმეტებს ფულს. კეთილისმყოფლად მას შოველინება მეფისნაცვალი ვორონცოვი, რომელიც ექიმის ფულსაც აძლევს და ავადმყოფსაც მოინახულებს. შემდეგ იგი ბავშვს უფასოდ წამალს გამოატანინებს და დახმარების სახით ას მანეთსაც მისცემს. ერთი სიტყვით, გულუბრყვილო, სანტიმენტალური პიესაა. ვორონცოვი დიდბუნებოვან ადამიანად და კაცთმოყვარედ არის წარმოდგენილი, რაც ისტორიულ სიმართლეს მოკლებულია. სცენური თვალსაზრისით მოხდენილად, კოლორიტულად არის დაწერილი დემეტრესა და მიკირტუმას დიალოგი.

„მოზარდში“ მოთავსებულია აგრეთვე შ. დადიანის პიესა „აი, თურმე რა ყოფილა (ვოდვეილური სურათი 1 მოქმედებად)“¹, რომელიც წარმოადგენს ცნობილი ხალხური იუმორისტული ანეკდოტის ინსცენირებას. ლამაზ ქვრივს დარეჯანს სამი გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავს — თამარი, ქეთო და ნინუცა, რომლებიც გარეგნულად მშვენიერი შესახედავები არიან, მაგრამ სამივეს ერთი ბუნებრივი ნაკლი აქვთ — ენა ეჩლიქებათ. მაჰანკალი დავით ქსელაძე სამ სასიძოს მოიყვანს. დავითი ქვრივს ეუბნება: შენ დაიმალე, რომ სილამაზით შვილები არ დაჩრდილოო. დედა მიდის და ქალიშვილებს დაუბარებს, ხმა არ ამოიღოთ სტუმრებთანო. შემოდიან სასიძოვები, მათ მოსწონთ ქალიშვილები, ცდილობენ საუბარი გააბან მათთან, ქალიშვილები კი ჩუმად არიან. ამ დროს გაირბენს თაგვი, საშივე დაილაპარაკებს და გამომყვანდება მათი ნაკლი. სასიძოვები დაფეთებული გარბიან და თან მაჰანკალს ემუქრებიან, რად გვატყუებდიო. სხარტად დაწერილი ვოდვეილია.

„მოზარდში“ სხვა ორიგინალური პიესებიც ყოფილა მოთავსებული, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ მათი შემცველი ფურცლებია დაკარგული. ასე, მაგალითად, „მოზარდის“ 1890 წლის მე-13-14 ნომრის შინაარსში დასახელებულია პიესა „ხერხმა სიყვარული განახორციელა (კომედია ერთ მოქმედებად)“, მაგრამ ამ ნომერს

¹ „მოზარდი“, 1890, № 5-6.

მისი ტექსტი აკლია. ასევე „მოზარდის“ 1891 წლის მე-2 და მე-6 ნომერებიდან ამოხეულია „კოტორიული (ფარსი სამ მოქმედებად ნ. დადიანისა)“¹.

საყურადღებოა, რომ შ. დადიანის „მოზარდში“ შექსპირის პიესების თარგმანებსაც ვხვდებით. ჟურნალის 1890 წლის მე-8-9 ნომერში მოთავსებულია გენიალური ინგლისელი დრამატურგის განთქმული კომედიის „აურზაური არაფრის გამო“ ნაწყვეტი, რომელიც დასათაურებულია ამგვარად: „დიდი ამბავი ტყუილუბრალოთ (სანახავი I, მესმეთე მოქმედება. სცენა ლეონატოს სახლის წინ. ანტონიო და ლეონატო)“. აღსანიშნავია, რომ ამ ნაწყვეტის თარგმანი შესრულებულია საკმაოდ გამართული რითმიანი ლექსით და საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჟურნალის ფურცლებზე ხშირად გვხვდება საუბარი თეატრალური ცხოვრების საკითხებზე. ერთ-ერთ წერილში „აკიდო. ფინჩხა-ფუნჩხა“ („მოზარდი“, 1890, № 8-9), როდესაც შ. დადიანი ლაპარაკობს ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების აბუჩად აგდებაზე, აღნიშნავს, რომ ისინი თეატრის მიმართაც ფუქსავატურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ: „ეს ვაჟბატონები ისე ბრძანდებიან თეატრშიდაც. იქ მხოლოდ შექცევისათვის მიდიან და არა იმისათვის, რომ იქ შენიშნული ნაკლი თუ რამე მექნება, გამოვასწორო, თუნდაც მთლად მისი კობიო დაინახოს ჩვენაზე“.

შ. დადიანი ამასთანავე აკრიტიკებს მსახიობთა გარკვეული ნაწილის არაპროფესიონალიზმს, დაბალ სცენურ კულტურას. იმავე წერილის, — „აკიდო. ფინჩხა-ფუნჩხას“ გაგრძელებაში („მოზარდი“, 1890, № 10) ავტორი უსაყვედურებს ზოგიერთ მსახიობს იმის გამო, რომ ისინი ცდილობენ ოღონდ როგორმე წაიკითხონ თავიანთი როლი და იმაზე კი აღარ იწუხებენ თავს, რომ თვით ადამიანის ცხოვრება შეისწავლონ, გულში აღიბეჭდონ ის შესანიშნავი სიტყვები, რომლებსაც შექსპირი ან რომელიმე სხვა გენიოსი ათქმევინებთ. მათი საზრუნავიაო მხოლოდ თავი მოაწონონ საზოგადოებას კარგი დეკლამაციით, ხმის ტემბრითა და სხვ. რაც შეეხება სცენიდან წარმონათქვამის შესანიშნავ აზრს, ისინი მას არც უფიქრდებიანო.

დასასრულ, არ შეგვიძლია არ დავიმოწმოთ ის საინტერესო ცნობები, რომლებსაც შალვა დადიანის პირველი თეატრალური ნაბიჯების შესახებ წერილი „თეატრი“ გვაწვდის („მოზარდი“, 1890,

¹ სოლ. ცაიშვილის თქმით, ნიკო დადიანს სამმოქმედებიანი პიესა „კოტორიული“ თავისი ვაჟის შალვას თხოვნით დაუწერია 1890 წელს და ოჯახურ სცენაზეც წარმოუდგენიათ (სოლ. ცაიშვილი. ნიკო დადიანი, 1948, გვ. 17).

№ 21-22). დადიანების ბავშვებს ზოგიერთი სხვა თანატოლის დახმარებით მშობლიურ სოფელ ბეთლემში დაუდგამთ წ. დადიანის „კოტოროული“, შ. დადიანის „აი, თურმე რა ყოფილა“, რ. ერისთავის „პარიკმახერისას“ და აგრეთვე „თამარ ბატონიშვილის“ პირველი და მეოთხე მოქმედება. წერილში შეფასებულია მონაწილეთა თამაში და გამოთქმულია საკმაოდ კვალიფიციური აზრი დადგმების შესახებ. წერილი მთავრდება შემდეგი საუბლისშემო სტრიქონებით:

„როგორც გავიგეთ, გაისისათვის მრავალს წარმოდგენას გვიპირდებიან და ვნახოთ, თუ რა იქმნება. მაშინ უკეთ შეგვეძლება დაფასება ყველასი და მაშინ უკეთ გავიგებთ, მართლა რომელია კარგი სცენისათვის და რომელი არა. თუმცა ახლაც გამოჩნდა, თუ რომელს რომელი და რანაირი როლი შეეუენის. თეატრი დიდი სკოლაა, როგორც ყველამ უწყით, და ბეთლემში წარმოდგენების გამართვა ერთი კაი ნაბიჯია... იმედი გვაქვს, რომ წინ და წინ განზრახვით მოზომილი ყოველივე კარგად ჩაიარს და კარგს ნაყოფს მოიტანს. აი, ვნახოთ, წინ გვაქვს მომავალი დროება. «აღდგომა და ხეალოა»“.

იუმორი. „მოზარდში“ იუმორს საპატიო ადგილი უკავია. 1890 წლიდან შ. დადიანმა ეურნალის დამატების სახით დაიწყო საოხუნჯო გაზეთ „ელვის“ გამოშვება. პირველივე ნომრის („ელვა“, 1890, № 1, „მოზარდის“ დამატება № 2) სარედაქციო წერილში ლაპარაკია იუმორისტული ჭაზეთის გამოცემის საჭიროებაზე, ახსნილია, თუ რატომ დაერქვა „ელვა“. „იმიტომ, ბატონებო, რომ ეხლა დროდროზე გამოსვლა, ეურნალი იყოს ანუ გაზეთი, გასაჭირია ჩვენში. საშიშარია ჩემს ახლად დაარსებულ გაზეთსაც ეს ჩვეულება არ შეეპაროს, ამიტომ «ელვა» დავარქვი“. როგორც ვიცით, ელვა ხანდახან არის ბუნებაში და ჩვენი გაზეთიც რომ ხანდახან გამოვიდეს, გასაკვირი არ იქნება, თავის სათაურს გაამართლებსო, განმარტავს შ. დადიანი¹.

რა მასალები თავსდებოდა „ელვაში“? უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია რუბრიკა „რეპორტიორის ნახვეტი“. აი, რამდენიმე ნიმუში პირველი ნომრიდან:

ა) ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთო, ნათქვამია იქ ერთგან, რომ თბილისში არსდება წრე, რათა ქართულ ლიტერატურაში შემოიღონ აწ დაიწყოებული ქართული სიტყვები, რომელთა სანაცვლოდ

¹ ანალოგიური განმარტებაა მოცემული ამავე წლის „ელვის“ მე-2 ნომერში მოთავსებულ განცხადებაში: „კვლავ მიიღება ხელისმომწერა «ელვაზე», რომელიც ოხუნჯობს და უეცრად გაუელვებს თვალწინ ხოლმე მკითხველებს, დანახვებს ნაწერებს... ყველაზე“. საინტერესოა გაზეთის შემდეგი მინაწერები: „რედაქტორი მეხიშვილი. ნამდვილთან სწორია სისიხიყვა ბეთლემელი“.

დღეს ევროპული ენებიდან გვაქვს უცხო სიტყვები გადმოღებულ-
ლიო. ავტორი ურჩევს მკითხველებს, ამ საქმეში აღნიშვილის „უბ-
ის ლექსიკონით“ ჩხელმძღვანელონ;

ბ) იმერეთიდან გვატყობინებენ, რომ ერთმა კაცმა, „სადაც ჯერ
არს“, გაგზავნა თხოვნა უღრნალის ფამოცემის ნებართვის მისაღე-
ბად, მაგრამ, სანამ თხოვნა დანიშნულ ადგილას მივიდოდა, „და-
ნოსებმა“ ჩაუსწრესო.

„ელვას“ მეორე ნომერში ყურადღებას იპყრობს ფელეტონი
„ტომარი“. მასში ნათქვამია, რომ ქუთაისის დაეტყო სიცოცხლე,
ხალხს ბლომად ნახავთ ბულვარზე, სახლებში შეკრებილნი კი გა-
უთავებელ ღვინის სმასა და ქეიფში არიან, ერთმანეთს ქათინაუ-
რებში ეჭიბრებიანო. სულ სხვა ეპოქა დგებაო ახლა, აღნიშნავს ავ-
ტორი; როდესაც „კუჭის მრწამსი“ მოთავეობს და ფული თავმჯდო-
მარეობს, მბრძანებლობს, ბატონობსო.

ამავე ნომერში ორიგინალურად არის შედგენილი დეპეშები
„საკუთარი კორესპონდენტებისაგან“:

„თბილისი. ხალხი ბევრი მოჩანს მალაზიებში, ომნიბუსებში,
რკინიგზის სადგურზე. ქართულს არავინ კადრულობს.

ქუთაისი. სმა-ჭამა და ქეიფი.

ფოთი. ქალაქს გამოღვიძება დაეტყო. ბათუმს ქიშპობს.

ყველა სამაზრო ქალაქი. კარგად ვართ, თუმც დიდი ავადმყოფ-
ობაა; წმინდად ვართ, თუმც დიდი უწმინდურობაა; არ ვქურდობთ,
თუმც დიდი ქურდობაა; ფული გვაქვს, თუმც დიდი ქვსატობაა;
ვცოცხლობთ, თუმც ჩშირი სიკვდილია; ერთი სიტყვით ვართ, თუმც
არა ვართ“.

რუბრიკით „ფელეტონი (წერილი მკითხველებს)“ მოთავსებულ
მასალაში („ელვა“ № 4.) შ. დადიანი თავს ესხმის ექიმებს, რომლე-
ბიც ავადმყოფებს ტყავს აძრობენ, ფულს ბლომად ახდევინებენ,
მაგრამ მათ ჯანმრთელობაზე სრულიად არ ზრუნავენ. ავტორი
არც სამღვდლოებას ინდობს:

„მღვდელიც ჩაარაკრავს
მისსა კუთვნილსა საქმეს,
იგიც კი ფიქრობს რამეს,
იგიც კი აგებს მახეს.
უნდა ხალხი გააბას,
სამოსში მალოს მტერი,
ხალხს ეჩვენოს ცხვარივით,
შიგნით კი იყოს მგელი“.

„ელვის“ ამავე ნომერში შ. დადიანი ილაშქრებს თეატრის სცე-
ნაზე ქართული ენის დამახინჯების, უცხოური სიტყვების ჭარბად

ხმარების წინააღმდეგ. იგი „რეპორტიორის ნახვეტში“ წერს: „გუშინ ჩემს ცოცხს, სხვათა შორის, ხვეტის დროს აი რა მოჰყვა: ამ მოკლე ხანში... ქართულ თეატრში წარმოდგენენ საუკეთესო პიესას ყვინჩილა კულდაბიკაძისას სახელწოდებით: „მეც ნახირ, ნახირ“, რომელიც დაწერილია თურმე სხვადასხვა ენაზე და შესანიშნავია მისი შეწყობილებით. ასე რომ იმის წარმოდგენაზე რა ჯერის ხალხიც უნდა დაეწეროს, ყველა... გაიგებს... და სიამოვნებას მოიპოვებს, ასე რომ მთელი პუბლიკა გასაკვირი შთაბეჭდილებით დაბრუნდება შინ“.

ხელნაწერ ქურნალ „მოზარდის“ ნომრებში აშკარად ჩანს ახალგაზრდა შალვა დადიანის დიდი ერუდიცია, მისი ცხოველი ინტერესი როგორც ლიტერატურისა და თეატრის, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი. მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ შ. დადიანი თავის ქურნალში დასმულ თითქმის ყველა საკითხზე საკუთარ ორიგინალურ აზრს გვთავაზობს. მართალია, ეს აზრები ყოველთვის არ არის საფსებით დამაჯერებელი და თანამიმდევრული, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი ეკუთვნის თოთხმეტი-თვრამეტი წლის ყმაწვილს და, რაგინდ ნიჭიერი, განათლებული, ერუდიტი იყოს იგი, მისგან ამაზე მეტის მოთხოვნა არ იქნებოდა მართებელი. საერთოდ კი „მოზარდი“ თავისი კლასობრივი არსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებისაა.

„მოზარდმა“ შალვა დადიანი მიაჩნია ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას, გაუფართოვა პორიზონტი და, რაც მთავარია, დიდი როლი შეასრულა მის გამოყვანაში საზოგადოებრივ სარბიელზე. „მოზარდის“ ფურცლებზე დასახულ იდეალებს — ლიტერატურისა და ხელოვნების, სამშობლო ქვეყნისა და მშრომელი ხალხის უანგარო სამსახურს მოახმარა მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება ამ შესანიშნავმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ჩვენი კულტურის არაერთი დარგის ფასდაუდებელმა მთამაგემ.

8. ციხეში გამოცემული არალეგალური გაზეთი „ჯანაბა“

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, დაახლოებით 1878 წელს, მეტეხის ციხის პოლიტპატიმარი, ხალხოსნური მოძრაობის აქტიური წევრი ვასო დეკანოზიშვილი (1840-1879) უშვებდა ხელნაწერ გაზეთ „ჯანაბას“. სამწუხაროდ, მისი ნომრები არ შემონახულა და დღეს მხოლოდ ცალკეული პირების ჩანაწერებით თუ შეიძლება საერთო წარმოდგენა ვიქონიოთ ამ გამოცემაზე.

ვ. დეკანოზიშვილის შესახებ ცნობებს გვაწვდის შიო დავითაშვილი¹. იგი გადმოგვცემს, რომ 1876 წელს, როდესაც ხალხოსნური მოძრაობის მონაწილეთა მასობრივი დაპატიმრება დაწყებულა, ვასო დეკანოზიშვილი ბინაზე არ აღმოჩენილა და იმხანად გადარჩენილა, იმალებოდა ჯერ ახალციხეში და შემდეგ თბილისში, კვლავ მონაწილეობდა არალეგალურ მოძრაობაში. 1878 წელს² უანდარბებს მისთვის მიუგნიათ, გაუჩხრეკიათ, დაუპატიმრებიათ და შემდეგ მეტეხის ციხეში მოუთავსებიათ. ვასოს შეუპარებია ჩოხის მასრებში დამალული წვრილად გათლილი ფანქარი, პაპიროსის ქაღალდი და თავისი საყვარელი სალამური. მისი კამერა მტკვრის მხარეს ყოფილა და „შეითან-ბაზარს“ გადაჰყურებდა. საღამოობით იგი თურმე საღამურს უკრავდა, რაც ციხეში სასტიკად ყოფილა აკრძალული. პირველ ხანებში დაბეკვრელისათვის ვერ მიუგნიათ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იგი აღმოუჩენიათ და ამის გამო კარცერში ჩაუსვამთ.

ვასო თურმე ციხეში ვერ ისვენებდა. პაპიროსის ქაღალდზე ფანქრით სხვადასხვა პოეტის ლექსებს წერდა და ტუსაღებში ავრცელებდა. შემდეგ საწერი ქაღალდი იშოვა და „მისი თაოსნობით ციხეში გაზეთი „ჯანაბა“ გამოიცა. ამ გაზეთის ერთი ნომერი მეც მინახავს, სოფრომ მგალობლიშვილს ჰქონდა“³.

ვ. დეკანოზიშვილს ვეღარ აუტანია პატიმრის მძიმე პირობები. დევივით ვაჟაკი ციხეში დაავადებულა სწრაფად მიმდინარე კლეჟით. მძიმე ავადმყოფი ციხიდან გამოუშვეიათ და მიუყვანიათ გორში, სადაც მას თავს დასტრიალებდნენ ახლობლები, მეგობრები და ამხანაგები. თურმე ექიმები ნიკო ხუდადოვი და ქაიხოსრო ფურცელაძე ბევრს ეცადნენ, მაგრამ ყელიდან წამოსული სისხლი ვერ შეუჩერეს. „შეწყდა სისხლიც და ვასოს სიცოცხლაც, — წერს შ. დავითაშვილი, — მთელი გორი შეაშფოთა ვასოს სიკვდილმა, ასეთი ამბით როგორც ვასო დამარხეს იგორში, არავინ დამარხულა. იგორის ნიშნად, ღუქნები და ბაზარიც დაკეტილი იყო“⁴.

საინტერესო ცნობებს შეიცავს ზ. ჭიჭინაძის წერილი „პარიზის

¹ შ. დავითაშვილი. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1933, გვ. 72-74.

² სხვა წყაროებით ვასო დეკანოზიშვილი დაუპატიმრებიათ 1877 წლის 2 მარტს (იხ. ი. ანთელავა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში. 1967, გვ. 106).

³ შ. დავითაშვილი. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 73; შდრ. ი. ანთელავა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში, გვ. 107.

⁴ შ. დავითაშვილი. დასახ. წიგნი, გვ. 74.

კომუნა და ქართული საზოგადოება“ ვ. დეკანოზიშვილს შესახებ: „... ტფილისში არსებობდა ახალგაზრდობის მთელი წრე, რომელიც იმ ზომამდე გაიტაცა პარიზის კომუნის ამბებმა, რომ წრის წევრებმა გადაწყვიტეს პარიზში წასვლა და იქ კომუნისტების შველაც კი. ჩვენ ვიცით ამ წრის ზოგიერთი მონაწილის სახელი, ესენი იყვნენ: მიშო ყიფიანი, გიმნაზიის მოწაფე, ვასო დეკანოზიშვილი, სემინარეელი, სოსიკო მაყაშვილი, გიმნაზიელი და სხვანი. სულ წრეში 25 კაცამდე ყოფილა, სამწუხაროდ, ამ ყმაწვილკაცების კეთილშობილი გატაცება ტრაგედიით დამთავრდა: წრის ერთმა მონაწილემ ამხანაგები გასცა და მთავრობამ შეისვე დაამატირა რამდენიმე კაცი. სოსიკო მაყაშვილი და ვასო დეკანოზიშვილი ციხეებში გარდაიცვალნენ...“¹

დაეუბრუნდეთ ვ. დეკანოზიშვილს ხელნაწერ ფაზეთ „ჯანაბას“. სოფრომ მგალობლიშვილი ადასტურებს შ. დავითაშვილის ზემოთ მოყვანილ ცნობას — ამ გაზეთის ერთი ნომერი თურმე მართლაც პქონია სოფრომს, რომლის თქმით, სამწუხაროდ, პოლიციამ ოჯი ფაჩხრეკის დროს წაიღო და დაიკარგაო. ს. მგალობლიშვილმა ვ. დეკანოზიშვილის ზოგიერთი შემორჩენილი ხელნაწერთა და მეხსიერებით აღადგინა ამ ნომრის სახე და მოგვცა მისი აღწერილობა, რომლითაც ჩვენც ვსარგებლობთ, როგორც პირველწყაროს მაგივრობის გამწევი².

გაზეთის ნომერი ფანქრით ყოფილა დაწერილი შესანიშნავი კალიგრაფიული ხელით, სათაური „ჯანაბა“ — სომთავრულით დახატული. ქვეშ ეწერა „მეტეხის სამოთხის გამოცემა“ და „რედაქცია იმყოფება ადაფხანის ქუჩაზე“, ერთ გვერდზე — „რედაქტორი ხუტუკა“, მეორეზე — „გადამწერი ცუნცრუკა“. არც იმის ირონიული აღნიშვნა დავიწყებოდათ, რომ „ცალკე ნომრები იყიდება ქანდარმთა გამგეობაში და პროკურორთან“.

გაზეთის მოწინავე სტატიაში დაახლოებით ასეთი პროგრამა ყოფილა დასახული: „ჩვენ ვილტვით ჩვენი ერის კეთილდღეობის შექმნას, ხელს ვუწყობთ მის განთავისუფლებას მეფის, მემამულეების და სოვდარების ბრკყალებიდან (ზურჯუებს ჩვენ სოვდარებს ვეძახით). დიღია ჩვენი საქმე, ძნელია მისი აღრიანად განხორციელება, მაგრამ საფრანგეთის რევოლუციებმა დაგვიმტკიცეს მისი შესაძლებლობა. თვით ზღვა ერთად თავმოყრილ წვე-

¹ ეურნალი „დროშა“, 1924, № 10, გვ. 23.

² ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი. 1938, გვ. 108-113; იხ. აგრეთვე ეურნალი „რევოლუციის მატინე“, 1924, № 4-5 (9-10), გვ. 325-330. ამ ავტორის ცნობები „ჯანაბაზე“ გამოყენებული აქვს შრავალ მკვლევარს (ზ. შველიძეს, ს. ხუნდაძეს, ი. ანთელავასა და სხვ.).

თით შემდგარა... წვეთ-წვეთად გავა ხალხში შემეცნება და ბოლოს ზღვად გასკდება“¹.

ს. მგალობლიშვილისავე ცნობით, ამ ნომერში მოთავსებული ყოფილა მიშო ყიფიანის სამი პატარა ლექსი „იორდანე ტუსაღის“ ფსევდონიმით, რომლებშიც გამოხატული იყო პატიმრის ბედი, მისი ტანჯვა-წვალება, მომავლის იმედი და ხალხის გამარჯვების რწმენა. ზეპირად ეს ლექსები ს. მგალობლიშვილს აღარ ახსოვდა და ამიტომ მხოლოდ მათ შინაარსს გადმოსცემს.

უფრო დაწერილებით ლაპარაკობს ს. მგალობლიშვილი გაზეთის ამ ნომერში მოთავსებულ ვ. დეკანოზიშვილის ნაწარმოებებზე. ამათგან ლექსში „მესტირული“ ავტორი თურმე ხალხს უსურვებდა, ღმერთმა მოხელეებისა და პოლიციელების ბასრ ბრკეყალს აგაცილოთო, საერთოდ ნატრობდა, რომ მანვეო

„ამოგდოს მონობა,
ბატონ-ყმობის კვალი,
ზღვას დანთქას მათი მოყვარე,
მათი მიმღევიარ“².

პოეტი ღმერთს შესთხოვდა, რომ მშრომელთ დაუფასდეთ ნაჭად-ნაღვანა და რომ მათ შეიღებოს უკეთესი მომავალი ჰქონდეთო.

გაცილებით უფრო ექსპრესიულად არის დაწერილი ვ. დეკანოზიშვილის წერილი „გლოვით აღმოფშინვა (გოდება)“. მოგვყავს ზოგიერთი ადგილი:

„კალამმა ჩემთან უკვე საკმაოდ მოჰფინა ამ ჩვენს ჯოჯოხეთს სიხარული, სიყვარული, აწ იგი იწყებს მღერას სულისა ჩემისა სიმწუხარეზე, ჯოჯოხეთმა ჩემს გულში დანერგულმან, დასწვა ცეცხლთა სიმშვიდე ზემი; თვალთა ჩემთა უკვე აღარ აქვთ სისველე, არამედ დაივსნენ და განხმნენ, ვითარცა გული ჩემი... ოჰ, ღმერთო, ღმერთო ჩემო, რა დავაშავე? ძმობა, ერთობა, სიყვარული ბრძენთა გადმოგვცეს, მეც ხომ მას მივსდევ და ვჭადავობ... ამისთვის ჯოჯოხეთი?... სად ხარ, სამართალო? სად არის სიბასრე შენი... ჯალათო ჩვენო! მოვა დრო, ოდეს შენ თითონ შეინანებ შენსავე ბოროტებასა, მაშინა სინანული იგი იქნება დაგვიანებული ჩვენთვის. მე ვეღარ დავსტკბები შენის სიკვდილით. შენ სიკვდილს გაიფებს ჩემი სული და საფლავში ჩემს ძვლებს გაანედლებს, გაახარებს...“³

¹ ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი, გვ. 108. იხ. აგრეთვე ჟურნალი „რევოლუციის მართანი“, 1924, № 4-5, (9-10), გვ. 325.

² ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი, გვ. 111.

³ ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი, გვ. 111-112.

დასასრულს, გვინდა მოვიხსენიოთ ვ. დეკანოზიშვილის ხელით დაწერილი „ლონგფელოს ლექსი“, რომელიც შესანიშნავად გამოხატავს თავისუფლებისაკენ შეუხელებელ სწრაფვას. ეს ლექსი, როგორც ს. მგალობლიშვილი აღნიშნავს, ვასოს თავის დისწულ მაშოსათვის გაუგზავნია შემდეგი ბარათით: „...თქვენის ძღვენის საბადლო შომიკვლევია ეს ამერიკელი პოეტის ლონგფელოს ლექსი, რომელსაც პოეტი თავის შორეულ მეგობრებს უძღვნის. ამ ქალაქზე კი უკაცრავად, რა ვქნა, ყველა სხვა სიკეთესთან, ეგვეყადალა ჩვენში, ესეც ჩაის შემოვაფცქვენ...“¹

ციხეში ხელნაწერი გაზეთის გამოშვების ეს ფაქტი ფრიად საყურადღებო მოვლენაა. იგი იმაზე მეტყველებს, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები მეფის მთავრობის ცხრაკლიტულშიც კი ახერხებდნენ ხელნაწერი არალეგალური ჟურნალ-გაზეთების გამოცემას, რომლებსაც ისინი აქტიურად იყენებდნენ რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის.

4. დავით გოჯიაშვილის „თიანეთის ფურცელი“

არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს ზოგჯერ საქართველოს მიწარუებულ პროვინციებშიც კი უშვებდნენ. ამის შესანიშნავი მაგალითია დავით ლუკას ძე გოჯიაშვილის ხელნაწერი გაზეთი „თიანეთის ფურცელი“, რომლის ერთი ნომერი დაცულია თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში².

„თიანეთის ფურცლის“ სარედაქციო წერილი საინტერესო ცნობებს შეიცავს ამ ხელნაწერ გაზეთზე. „ვისაც წაკითხვა ჰსურდეს ყველა ნომრების, — ნათქვამია მასში, — მიმართეთ თიანეთში „თიანეთის ფურცლის“ რედაქციაში დათიკო გოჯიევს... სულ გამოსულა 48 ნომერი. ვინც მონაწილეობას მიიღებს, მას მუდამ დაეთმობა [გაზეთი წასაკითხად]. ხელმოწერავე წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს... წერილები უნდა გამოიგზავნოს რედაქტორის სახელობაზედ“³.

მაშასადამე, „თიანეთის ფურცლის“ 1900 წელს გამოშვებულ ეს ეგზემპლარი 48-ე ნომერი ყოფილა. სამწუხაროდ, გაზეთში მითითებული არ არის, თუ როდის გამოვიდა პირველი ნომერი, არც პერიოდულობაა ცნობილი და არც ტირაჟი. დაახლოებით შეიძლება

¹ ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი, გვ. 112—113.

² პირველად მას მიაკვლია ამ მუზეუმის დირექტორმა ი. ბეჟანიშვილმა 1970 წელს, რა შესახებაც აცნობა გაზეთ „თბილისის“ რედაქციას. წერილი არ გამოქვეყნებულა. ჩვენ ვისარგებლეთ რედაქციის არქივით.

³ ავტორის სტილი დაცულია.

ვივარაუდოთ, რომ მისი გამოცემა გასული საუკუნის ბოლო წლებში (1898-1899) უნდა დაწყებულიყო.

გაზეთის ამ 48-ე ნომერში მრავალფეროვანი მასალაა მოთავსებული. გარდა ზემოთ აღნიშნული სარედაქციო წერილისა, აქ არის განცხადებანი, რომლებიც გვაუწყებს, თუ როდის მოძრაობს ფოსტა თიანეთ-თბილისს შორის, როდის აქვს მიღება მაზრის მკურნალ ლ. ჯავახიშვილს და სხვ. აქვეა დეპეშები, ახალი ამბები, იუმორი...

„თიანეთის ფურცელი“ საქმად აღგიღს უთმობდა ლიტერატურასა და ხელოვნებას — ათავსებდა მოთხრობებს, ნარკვევებს, ლექსებს, ფელეტონებსა და პიესებსაც კი. ყურადღებას იქცევს შემდეგი სარედაქციო შენიშვნაც: „უმორჩილესად ვთხოვ ბ-ნ და ქ-ნ „თიანეთის ფურცლის“ წამკითხველებს, რათა კეთილ ინებონ და დასაბუქდად ხელი შემიწყონ ახალი ამბებით, მოთხრობებით და ლექსებით“.

გაზეთის რედაქტორი — დავით ლუკას ძე გოჯიაშვილი თიანეთის ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო, საქმად განათლებული ადამიანი. 900-იან წლებში იგი „ივერიაში“ თანამშრომლობდა როგორც ამ გაზეთის კორექსონდენტი. იყო დიდი პატრიოტი, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, აქტიურად მონაწილეობდა მაზრაში 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში.

წერილებისა და კორექსონდენციების გარდა დ. გოჯიაშვილი წერდა მხატვრულ ნაწარმოებებსაც: ლექსებს, მოთხრობებსა და პიესებს. გაზეთის ერთ-ერთ განცხადებაში მითითებულია, რომ „გამოცემულია და იბეჭდება 4-მოქმედებიანი კომედია, შედგენილი დათიკო გოჯიევის მიერ, რომელშიაც აღწერილია მოწაფეების ცხოვრება...“

როგორც თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ი. ბეჟანიშვილმა გვაცნობა, სამწუხაროდ, ტრაგიკული ბედისა აღმოჩენილა ავტორიცა და მისი ნაწერებიც. დავით გოჯიაშვილი ტუბერკულოზის ზენს უმსხვერპლია, მისი ნაწერები კი ხანძრის შედეგად განადგურებულა.

„თიანეთის ფურცლის“ დაბადება მთაში, ისეთ ჩამორჩენილსა და დაშორებულ კუთხეში, როგორიც მაშინ თიანეთის მაზრა იყო, ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მაღალი პატრიოტული გრძნობით ეკიდებოდა პროგრესულად მოაზროვნე, რევოლუციურად განწყობილი ქართველი ინტელიგენცია მთიელ თანამომეტა ფათვითცობიერებისა და მათში სწავლა-განათლების შეტანის უპირესად კეთილშობილურ საქმეს.

მუშათა პრესის სათავეებთან

წინა თავებში განხილული მასალის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დაეასკვნათ, რომ მოსწავლეთა და კერძო პირების მიერ გამოშვებული ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები თავისი შინაარსით წარმოადგენდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ზალზოხსნური, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების მქონე ცენზურაგაუვლელ პრესის ორგანოებს. როგორც შესავალში იყო აღნიშნული, ვ. ი. ლენინი ამ პერიოდს უწოდებდა არამუშურ, არაპროლეტარულ პერიოდს.

შესავალში ასევე მოკლედ იყო განხილული საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბების ძირითადი ასპექტები. კერძოდ, მითითებული იყო, რომ პროლეტარიატი ჩნდებოდა და ვითარდებოდა ამ ქვეყნის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებასთან ერთად. ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, რომ მუშათა მდგომარეობა საქართველოში XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში უაღრესად მძიმე იყო: სამუშაო დროთ ხანგრძლივობა 12-13 საათს შეადგენდა, ზოგან კი 16 საათსაც აჭარბებდა, მუშებს მეტად მცირე ხელფასი ჰქონდათ და მისი გარკვეული ნაწილი ჯარიმებს უნდებოდა, ფაბრიკებსა და ქარხნებში გამეფებული იყო აღმინისტრაციის სრული თვითნებობა და, რაც მთავარია, მუშათა კლასს არავითარი პოლიტიკური უფლება არ გააჩნდა.

მძიმე პოლიტიკური ჩაგვრა და სასტიკი ექსპლოატაცია მუშებს ბიძგს აძლევდა გაბედულად დარაზმულიყვნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ აღნიშნულ პერიოდში ამ მოძრაობას სტიქიური ხასიათი ჰქონდა. თვით გაფიცვებიც კი, რომლებიც 1870-1898 წლებში ფართოდ მოედო საქართველოს საწარმოებს, პროლეტარიატის მიერ თავისი კლასობრივი ამოცანების შეგნების შედეგი როდი იყო პროლეტარიატის

ბრძოლა კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ უმთავრესად ეკონომიურ ხასიათს ატარებდა. ამასთანავე მუშებში სულ უფრო მძლავრად იკიდებდა ფეხს აზრა — გავერთიანებინათ თავიანთი ძალები მეწარმეთა თავგასულობის ასალაგმავად. იქმნება პირველი წრეები და ჯგუფები, ურთიერთდახმარების სალაროები და, რაც ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით საინტერესოა, საფუძველი ეყრება მუშათა არალეგალურ ხელნაწერ პრესას.

როგორი იყო მუშათა პირველი ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების კლასობრივი არსი? წარმოადგენენ თუ არა ისინი წმინდა მუშურ გამოცემებს?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, უნდა გავთვალისწინოთ, რომ მუშათა ხელნაწერი პრესის ორგანოები თავისი კლასობრივი სულისკვეთებით ერთნაირ დონეზე არ იდგნენ. ამიტომ მართებული იქნება, თუ თითოეულ მათგანს დიფერენცირებულად მივუდგებოთ.

მაგალითად, აშკარაა, რომ მ. სიმონიძის „სხივსა“ და ი. სულხანიშვილის „განთიადს“ აქტუური კლასობრივი პოზიციები არ უკავიათ და მათში უფრო მეტად ჭარბობს განმანათლებლური და ხალხოსნური შეხედულებანი. ამდენად, მიზანშეწონილი იქნება, რომ ისინი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის შემცველ ორგანოებად ჩავთვალოთ.

რაც შეეხება გაზეთ „ნაპერწყალსა“ და ჟურნალ „მუშას“, აქ გაცილებით რთულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ერთი მხრავ, ისინი პირდაპირ და მოუხრიდებლად წერდნენ მშრომელთა ექსპლოატაციის სისასტიკეზე, არსებული საზოგადოებრივი წყობილების უვარჯისობაზე და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა მთავარ დევიზად ჰქონდათ აღიარებული. მაგრამ, მეორე მხრივ, ზოგიერთი საკითხის გაშუქებაში ისინი მაინც განიცდიდნენ ხალხოსნების, წვრალბურჟუაზიულ-გლეხური იდეოლოგიის გავლენას. ამიტომ ამ შემთხვევაში, ვფაქრობთ, ჯაღამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგი გარემოებას გარკვევას: აღნიშნული პრესის ორგანოებში რომელი ნაკადი უფრო მძლავრობდა — პროლეტარულ-რევოლუციური თუ წვრილბურჟუაზიული?

თავდაპირველად ჩამოვთვალოთ ის კარდინალური სოციალური პრობლემები, რომელთა გაშუქება „ნაპერწყალსა“ და „მუშაში“ პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების დაცვის საქმეს ემსახურებოდა. ეს პრობლემებია:

1. მუშათა გავერთიანებული ძალებით, შეიარაღებული ბრძოლით ბეფის თვითმპყრობელობის, კაპიტალისტთა და თავად-აზნა-

ურთა ბატონობის, ექსპლოატატორული წყობილების დამხობის მოთხოვნა.

2. მარქსისტული იდეოლოგიის პროპაგანდა (მაგალითად, მარქსას ზედმეტი ღირებულების თეორიის საკითხის გაშუქება ეურნალ „მუშაში“), თუმცა პრიმიტიული ჯახით.

3. კაპიტალიზმის იარების (უმუშევრობა, პროლეტარიატის გადატაცება და სხვ.) პირდაპირ და აშკარად მხილება, მათი სოციალური არსის გარკვევის ცდა.

4. იმ ნაწარმოებთა მოთავსება, რომლებიც მეფის ცენზურამ აკრძალა და ბეჭდური პრესა ველარ აქვეყნებდა.

5. თვითმპყრობელობისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის, ქართველი, რუსი, უკრაინელა, სომეხი და რუსეთის იმპერიის სხვა მრავალრიცხოვან ეროვნებათა მუშების ძალთა შეკავშირების მოთხოვნა, რაც თავისი არსით ეწინააღმდეგებოდა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ შოვინიზმს, ნაციონალისტურ შეზღუდულობას, რასობრივი და ეროვნული განკერძოებულობის რეაქციულ იდეოლოგიასა და პოლიტიკას. მთავარი ამოცანის — ყველა ერის მშრომელის სოციალური განთავისუფლების — წამოყენებასთან ერთად ყურადღების გამახვილება აგრეთვე ეროვნული თანასწორობის დამკვიდრების საჭიროებაზე, ცარიზმის — ხალხთა ამ საპყრობილის ლოკვიდაციის აუცილებლობაზე.

6. იმის აღიარება და ქადაგება, რომ რუსეთის მუშათა კლასი განმათავსუფლებელ მოძრაობაში ქვეყნის მოწინავე რევოლუციური ძალაა, რომლის საბრძოლო გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ერის მშრომელებისათვის.

7. შეუთავსებელი ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. სასულიერო წოდების კლასობრივი არსის გამოაშკარავება.

8. თუმცა პრიმიტიული ფორმით, მაგრამ პრინციპულად და გაბედულად წამოყენება ლიტერატურის პარტიულობის ლოზუნგისა, კერძოდ, იმის მოთხოვნა, რომ მხატვრული ლიტერატურა უნდა ასახავდეს მუშათა ცხოვრებას, ემსახურებოდეს მათ სოციალურ ინტერესებს.

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ყოველივე ზემოთქმული „ნაპერწყლისა“ და „მუშის“ პროლეტარულ, რევოლუციურ სულისკვეთებაზე მეტყველებს. მაგრამ მაინც გაგვიჭირდებოდა თვით ეს ორგანოებიც კი მიგვეჩინა წმინდა მუშურ გამოცემებად, რადგან მათში საკმაოდ იგრძნობა წვრილბურჟუაზიულ-ხალხოსნური იდეოლოგიის გავლენა, როგორც ამას მათი შინაარსის ანალიზის დროს დავინახავთ. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მუშათა სხვა

ხელნაწერ ქურნალ-გაზეთებთან შედარებით ეს ორი ორგანო გაცილებით მაღლა დგას კლასობრივი შეგნებულობის თვალსაზრისით.

ასეთია საქმის არსი. მაგრამ სწორი არ იქნებოდა აქ დავგვესწავა წერტილი. ვფიქრობთ, აუცილებელია გავერკვეთ მუშათა პრესაზე ხალხოსნური იდეოლოგიის გავლენას ფესვებში. ამ გავლენას სამი ძირითადი მიზეზი განაპირობებდა: ა) მუშათა მოძრაობა ამ პერიოდში მეცნიერული სოციალიზმის გარეშე მიმდინარეობდა; ბ) ხალხოსნები, მიუხედავად თავიანთი შეზღუდულობისა, ამჩნევდნენ, რომ მუშები რეალურ სოციალურ ძალას წარმოადგენდნენ, და ცდილობდნენ საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინათ ისინი; გ) თვით საქართველოს მუშათა კლასის შემადგენლობა 80-იანი წლებისათვის არ იყო ერთგვაროვანი — მასში შეინიშნებოდა წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის მქონე გუშინდელი გლეხების, აგრეთვე მათსავით გაპროლეტარებული ხელოსნების საკმაოდ მძლავრი ნაკადი, რომლებიც უფრო ადვილად ექცეოდნენ ხალხოსანთა გავლენის ქვეშ. და ეს ვითარება დამახასიათებელი იყო საქართველოს სინამდვილისათვის, რომელიც როგორც მეფის რუსეთის განაპირა მხარე უფრო მეტად გლეხური ქვეყანა იყო — მრეწველობის განვითარების ტემპებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ცენტრალური რუსეთის რაიონებს, რის გამოც პროლეტარიატის გამოყოფა ცალკე კლასად აქ, საქართველოში უფრო გვიან მოხდა.

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ცენტურაგაუვლელი ქართული მუშათა ქურნალ-გაზეთების ავტორები უფრო მეტად განიცდიდნენ წვრილბურჟუაზიულ-ხალხოსნური იდეოლოგიის გავლენას, ვიდრე რუსეთის სამრეწველო ცენტრებში გამომავალი ორგანოებისა, თუმცა ერთნიცა და მეორენიც თითქმის ერთდროულად იწყებენ გამოსვლას (მაგალითად, ბლაგოვეის ჯგუფის გაზეთი „რაბოჩი“ გამოვიდა 1885 წელს, ხოლო ქართველ მუშათა გაზეთი „ნაპერჭკალი“ — 1886 წელს).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იდეურ-კლასობრივი თვალსაზრისით დ. ბლაგოვეის მიერ გამოცემული „რაბოჩიც“ კი, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ პირველ მუშურ, სოციალ-დემოკრატიულ ორგანოდ არის აღიარებული, ხალხოსნური იდეოლოგიის რეციდივებს მაინც ვერ ასცდა. აღნიშნულ გაზეთს, მაგალითად, ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდა შეგნებული პროლეტარიატის როგორც მოწინავე რევოლუციური კლასის ისტორიული როლი, გაზეთი ააგივებდა მუშასა და გლეხს, ვერ ხედავდა მათ შორის განსხვავებას და ეგონა, მუშა და გლეხი ერთი და იგივე სოციალური ფენაა. „რაბოჩის“ პუბლიცისტები ხმარობდნენ ტერმინს „მუშა

ხალხი“ (საინტერესოა, რომ ეს გამოთქმა ქართული მუშათა პრესის ფურცლებზეც გვხვდება და იგი ხალხოსნების ტერმინოლოგიიდან მომდინარეობს) და ფიქრობდნენ, რომ იგი არა მარტო საფაბრიკო-საქარხნო პროლეტარიატს გულისხმობდა:

«На Руси рабочий народ состоит из крестьян-земледельцев и промышленных рабочих (фабричных и заводских). Преобладающую часть русского рабочего люда составляют крестьяне. Потому городским рабочим необходимо быть заодно с крестьянами...»¹.

მართალია, ხალხოსნების გავლენას ვერ ასცდა გაზეთი „რაბოჩიცი“, მაგრამ ეს გავლენა შეინაშნება მის მხოლოდ პირველ ნომერში და თანაც გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე ქართველ მუშათა არალეგალურ ორგანოებში. როგორც უკვე ვთქვით, ეს აიხსნებოდა იმდროინდელი საქართველოს ისტორიულ-სოციალური პირობებით. უეჭველია, რომ მდგომარეობა შესაბამის შეგნებასაც კმნიდა.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ საქართველოს მუშათა კლასის შემადგენლობის არაერთგვაროვანი ხასიათი. უნდა აღინიშნოს, რომ ამან თავისი გამოხატულება პოვა მუშათა არალეგალური პრესის საქმიანობაშიც. კერძოდ, ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ამჟამად იგრძნობა ის ბრძოლა, რაც რევოლუციურად განწყობილ პროლეტარულ ნაწილსა და ზომიერი, წერილობრივუაზიული იდეოლოგიის მატარებელ მუშებს შორის წარმოებდა. მივმართოთ ფაქტებს (მათ შესახებ წიგნის სათანადო თავებში უფრო დავჭრილებით არის საუბარი):

1) „ნაპერწკლის“ რედაქცია (1887, № 17) უსაყვედურებდა ზოგიერთ ავტორს, რომ გაზეთის წინა ნომრებში თურმე თავსდებოდა ისეთი უწყინარი მასალები, რომლებსაც ცენზორიც კი ხელს მოაწერდაო. რედაქციას არასწორად, დროის ფუჭ დაკარგვად მიაჩნდა ასეთი ვითარება და მოითხოვდა, რომ გაზეთს უნდა პქონდეს არა ზომიერი, არამედ მწვავე სოციალური მიმართულება, რომ მან მოუპოვებლად უნდა ამხილოს არსებული წყობილების უვარგისობა, სოციალური უსამართლობა, მუშებში იქადაგოს უკომპრომისო ბრძოლის აუცილებლობა თავისუფლების მოსაპოვებლადო. „ნაპერწკლის“ ფურცლებზე „ზომიერების“ კრიტიკა არსებითად წერილობრივუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ გალაშქრება იყო.

2) ჟურნალ „მუშის“ გამოცემის დაწყებისას მის დამაარსებე-

ლთა შორის კამათი გაიმართა: რა დაერქმეათ მისთვის — „მუშა“ თუ „ხელოსანი“? ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ ეურნალის თანამშრომლებში თავიდანვე შეინიშნებოდა ზემოაღნიშნულა ორი მიმდინარეობის არსებობა. ხოლო ის ფაქტი, რომ ეურნალს საბოლოოდ „მუშა“ დაარქვეს, მოწმობს „ზომიერებზე“ (წვრილბურჯუაზიულ ნაკადზე) პროლეტარული, რევოლუციური ხაზის გამარჯვებას.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლებოდა. მაგრამ, ფფექტობთ, ნათქვამიც საკმარისია იმ აზრის დასაბუთებლად, რომ ხელნაწერი პრესის ფურცლებზე რევოლუციურად განწყობილი მუშები წარმატებით იბრძოდნენ წვრალბურჯუაზიული ნაკადის წინააღმდეგ. საბოლოო ანგარიშით ეს ოყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან სწორედ ასეთმა რადიკალურმა შეხედულებებმა მიიყვანა მოვლენათა ისტორიული მსვლელობის პროცესში სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასთან ის მოწინავე მუშები, რომლებიც ამ ორგანოებში თანამშრომლობდნენ (მ. ბოკოროძე, ა. ოქუაშვილი, ს. აზმაიფარაშვილი და სხვ.).

როდესაც მუშათა ქართულ ხელნაწერ პრესას ვაფასებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფრად საყურადღებო ფაქტიც, რომ საქართველოს პირობებში ამ არალეგალურ ეურნალ-გაზეთებს თვით მუშები უშვებდნენ საკუთარი ძალებით და არა ინტელიგენციის წარმომადგენლები მუშებისათვის.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა მიუხედავად ქართულმა მუშათა ხელნაწერმა ორგანოებმა, როგორც ამას მათი შინაარსის განხილვისას მთელი სისრულით დავინახავთ, არამცარე როლი შეასრულეს მუშათა კლასობრივი შეგნების ამალღებაში, მათ მომზადებაში მომავალი რევოლუციურა ბრძოლებისათვის და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, აღზარდეს მუშა-ლიტერატორთა კადრები, რომლებმაც შემდგომ აქტიური მონაწილეობა მიაღეს პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული, ლენინურ-ისკრული მიმართულების პრესის ორგანოების შექმნა-საქმიანობაში.

დასასრულ, გასარკვევია აგრეთვე ერთი საკითხიც. საქმე ეხება მუშათა არალეგალურ პრესაში მხატვრული ნაწარმოებების მოთავსებას, რომელთა ზვედრითი წონა საკმაოდ დიდია. წინასწარ უნდა გავაკეთოთ არსებითი ჩასაითის შენიშვნა, რაც მეტნაკლებად ყველა ხელნაწერ ეურნალსა და გაზეთს („ნაპერწყალს“, „მუშას“, „სხავს“, „განთადს“, „სინათლესა“ და სხვ.) ეხება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს შებდეგი გარემოება. მხატვრული ნაწარმოებებიო, როდესაც ვამბობთ, აქ სიტყვა „მხატვრული“ რამდენადმე,

პირობითად არის ნახმარი. საქმე ისაა, რომ ხელნაწერ ეურნალ-გაზეთებში მოთავსებული სათანადო მასალების მხატვრული მხარე ხშირ შემთხვევაში კრიტიკას ვერ უძლებს — მათ დიდ უმრავლესობას პრიმიტიულობისა და ეპიგონურობის აშკარა ბეჭედი აწის. მხატვრული ღირსებებით მათ შორის განსაკუთრებით ღარიბია ლექსები. ამიტომ, რომ ქვემოთ ჩვენ შეგნებულად გვერდს ვუვლით ხელნაწერ პრესაში მოთავსებული ლექსებისა და მოთხრობების მიმოხილვას მხატვრულობის თვალსაზრისით, რადგანაც ამ მხრივ მათი ღირებულება წინასწარ უკვე ცნობილია, და მთავარი აქცენტი გადაგვაქვს მათ შინაარსზე, სოციალურ ღირებულებაზე. კერძოდ, რაც შეეხება ჩვენ მიერ შესწავლილი ხელნაწერი პრესის ლექსებს, ისინი ხომ სინამდვილეში, როგორც წესი, გალექსილი პუბლიცისტური წერილებია. ვარდა ამისა, რაგინდ სუსტი იყოს ეს ეგრეთ წოდებული მხატვრული ნაწარმოებები, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი დაწერილია მცირემცოდნე მუშების მიერ და მათ მეტი არც მოეთხოვებათ.

სხვათა შორის, მუშა-პოეტებისა და მწერლებს გამოჩენა სალიტერატურო ასპარეზზე¹ გაპირობებული იყო იმ მნიშვნელოვანი ძვრებით, რაც გასული საუკუნის დასასრულისათვის ქართულ ლიტერატურაში შეინიშნება. ზაერთოდ ეს პრობლემა საკმაოდ ფართოდ არის გაშუქებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში² და ამიტომ შევეცდებით მხოლოდ მოკლედ გადმოვცეთ მისი ძირითადი ასპექტები. კერძოდ, XIX საუკუნის 90-იან წლებიდან ქართული ლიტერატურის ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი, რაც დაკავშირებული იყო სამრევველო კაპიტალიზმის განვითარებასა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან. კლასობრივი ბრძოლისა და ცხოვრების სოციალური გარდაქმნის პრობლემებმა ლიტერატურაში ცენტრალურა ადგილი დაიკავა. კრიტიკული რეალიზმის ახალი თაობის წარმომადგენლებთან დ. კლდიაშვილთან, შ. არაგვისძირელთან, ა. ერისთავ-ხოშტარისთან და სხვებთან ერთად სამწერლო ასპარეზზე გამოდის ე. ნინოშვილი, რომლის შემოქმედებაში ნათლად აისახა ეპოქის სულისკვეთება. მწერალმა თავის ნაწარმოებებში გვიჩვენა თვითმპყრობელური, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების მთელი ზისასტიკე და ვე-

¹ ხელნაწერ პრესაში თანამშრომლობის პარალელურად ისინი თავიანთი ნაწარმოებების კრებულებსაც კი ბეჭდავენ. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

² იხ. ს. კილიაი. მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა. წიგნი 1—2, 1956-1959; შ. რადიანი. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა. 1945. და სხვ.

ლური ბუნება, დაგვიხატა მშრომელი ხალხის ექსპლოატაციისა და ჩავჯრის შემადარწუნებელი სურათები, თავის შემოქმედებაში ცხადყო ხალხთა მასების სიძულვილი და აღშფოთება გაბატონებული პარაზიტული კლასებისადმი. ე. ნინოშვილი იყო მხატვარი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების იმ პერიოდისა, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული მწერლების ნაწარმოებებში დემოკრატიული პოზიციებიდან იყო მხილებული არსებული წყობილების სიმანხინჯე და ანტიხალხური ხასიათი, რაც გარკვეულად ხელს უწყობდა მშრომელთა მასების შეგნების გარევოლუციურებას, მაინც მათ მიერ ასახული თანამედროვე ცხოვრება არ იყო სრული და მრავალმხრივი. ისინი ვერ აშაღლდნენ რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივ მსოფლმხედველობამდე. ამ მწერლების ნაწარმოებებში არ ჩანს მუშათა კლასი, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე უკვე ირანშემბოდა და აქტიურად ებმებოდა კლასობრივ ბრძოლაში, ასრულებდა ავანგარდულ როლს განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც თავის ნაწარმოებებში ასახა რევოლუციური პროლეტარიატის სულისკვეთება, პოეტი ი. ევდოშვილი იყო. მართალია, მასზე გაცილებით ადრე ილია ჭავჭავაძემ თავის ცნობილ ლექსში „მუშა“ გამოხატა მუშის არაადამიანური შრომა, მისი ტანჯვა-წვალება და უსახარულო ცხოვრება, ასევე პოეტმა-რომანტიკოსმა გრიგოლ ორბელიანმა ერთ-ერთ თავის უკანასკნელ ლექსში („მუშა ბოქულადი“) გულთბილი სტროქონები მიუძღვნა მუშის მწარე ბედს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ ორივე პოეტის გმირები ძალიან შორს დგანან პროლეტარული კლასობრივი შეგნებისაგან, მათთვის დამახასიათებელი არ არის არც პროტესტის გრძნობა და არც ოცნებაც კი ცხოვრების გარდაქმნისათვის. ი. ევდოშვილი ქართულ ლიტერატურაში პირველი პოეტი იყო, რომელმაც შექმნა მუშის სახე, რომელსაც ესმის მშრომელთა გაკირვებისა და ტანჯვის მიზეზები, შეგნებული აქვს თავისი კლასობრავი ინტერესები და მზად არის იბრძოლოს მათი დაცვისათვის.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს აქ ამომწურავად განვიხილოთ ი. ევდოშვილის შემოქმედება, მაგრამ საკვლევ თემასთან დაკავშირებათ გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, სახელდობრ იმას, რომ პრობლემატიკის დამუშავების თვალსაზრისით (ცხადია, მხედველობაში არ გვაქვს მხატვრული მხარე) ქრონოლოგიურად ი. ევდოშვილს ჰყავდა უშუალო წინამორბედები

მუშა-პოეტების სახით, რომლებიც არალეგალურ ხელნაწერ პრესაში 1886-1891 წლებში თანამშრომლობდნენ. მართალია, პარალელების გავლება არ იქნებოდა სავსებით მართებული (ი. ევდოშვილი, ალბათ, არც იცნობდა მუშათა არალეგალურ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ ნაწარმოებებს)¹, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ხშირ შემთხვევაში ადგალი აქვს მეტად საგულისხმო დამთხვევებს. მაგალითად, ი. ევდოშვილის „მუშა და მუზაში“ გამოთქმული აზრები თითქმის იდენტურია ხელნაწერ ჟურნალ „მუშაში“ მოთავსებული მ. ბოკორიძის ლექსის „პოეტის“ სულისკვეთებისა. ამით მხოლოდ გვინდა ერთხელ კიდევ ცხადვყოთ, თუ როგორ მახლობელი იყო პროლეტარიატისათვის ი. ევდოშვილის შემოქმედება, რომ პოეტი შესანიშნავად ითვალისწინებდა მუშათა კლასის საარსებო და სასიცოცხლო ინტერესებს.

1. თბილისის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის ხელნაწერი გაზეთი „ნაპერწკალი“

ჩვენში პრესის რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული ერთ-ერთი პირველი ორგანო იყო არალეგალური ხელნაწერი გაზეთი „ნაპერწკალი“², რომელსაც ახალგაზრდა მუშები 1886-1887 წლებში უშვებდნენ თბილისის რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში ივანე ესტატეს ძე მკველიშვილის (ფსევდონიმით — ცნობის-მოყვარე) რედაქტორობით.

აღნიშნულმა სასწავლებელმა (ამჟამად მის შენობაშია თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი), რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლების დამლევოდან არსებობდა, დიდი როლი შეასრულა კვალიფიციური მუშების მომზადებაში. სასწავლებლის მოსწავლეთა შორის სულ უფრო მძლავრად იკიდებდა ფეხს რევოლუციური სულისკვეთება და ისი-

¹ თუმცა შესაძლოა, რომ მოგვიანებით, როდესაც მუშა-პოეტებმა: მ. ბოკორიძემ (1895 წელს), ი. დოლმაზაშვილმა (1896 წელს) და სხვებმა გამოსცეს თავიანთი ლექსების კრებულები, გამოჩნდნენ არ არის, ი. ევდოშვილი მათ გასცნობოდა.

² დატულია საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (ხელნაწერი №20581), სადაც ყდაში ჩასმული ორი წლის კომპლექტი შემოუტანია. ზაქარია საფაროვს (პირველ გვერდზე დასმულია მოგრძო ბეჭედი წარწერით: „შაქრო საფაროვი“). „ნაპერწკალი“ აკინძულია ორ წიგნად: 1) დიდი ფორმატის ნომრები (21,5 სმ X 27,5 სმ) ერთადაა თავმოყრილი და მოლურჯო ლედერინის ყდაზე ოქროს ასოებით ამოვარაყებულა: „ნაპერწკალი“ 1886 1-17“; 2) მცირე ფორმატის ნომრების (13 სმ X 18 სმ) აკინძულ ყდაზე კი აწერია: „ნაპერწკალი“ 1887 1-4“.

ნი აარსებდნენ ფარულ თვითგანათლების წრეებს, უშვებდნენ არა-
ლეგალურ ხელნაწერ ქურნალ-გაზეთებს, მართავდნენ გაფიცვებს
და სხვ.

ლიტერატურაში ცნობები რკინიგზის ტექნიკური სასწავლებ-
ლის მოსწავლეთა შესახებ შედარებით ნაკლებად მოიპოვება. უფ-
რო მეტი მასალებია მეორე ანალოგიური სახის სასწავლო დაწესე-
ბულების — თბილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის (ამ-
ჟამად მის შენობაშია კამოს სახელობის სასწავლო თვალსაჩინო
ხელსაწყოების ქარხანა) მოსწავლეთა ცხოვრებაზე. რამდენადაც
ორივე სასწავლებლის მოსწავლეებს ერთმანეთთან ახლო ურთიერ-
ობა ჰქონდათ (ისევე როგორც თბილისის მოწინავე მუშებთან
და რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციასთან, რაზედაც
ქვემოთ თავის ადგილას დაწვრილებით ვილაპარაკებთ), ამიტომ
ანალოგიისათვის აქ მიზანშეწონილად მივიჩნით შევეხეთ ამ მეორე
სასწავლებელსაც.

მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა მაღალ კლასობრივ თვითშეგნებაზე მეტყველებს ის კონფლიქტები, რაც მათ
სასწავლებლის ადმინისტრაციასთან ჰქონდათ სასწავლებელში
გამეფებული აუტანელი რეჟიმის გამო. ამასვე მოწმობს მაშინდელ
ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ზოგიერთი მასალაც¹.

მომდევნო წლებში მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის მოს-
წავლეთა რევოლუციური სულისკვეთება უფრო რადიკალური
ხდება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1905 წლის რევოლუცი-
ის პერიოდში ისინი სასწავლებლის ადმინისტრაციას გაბედულად
უცხადებდნენ: „ამ დროს, როდესაც ყოველ კუთხეში გამეფებუ-
ლია უსამართლობა და ხალხის ჩაგვრა, არ შეგვიძლია უგრძობლად
დავრჩეთ და განვაგრძოთ სწავლა“². ბუნებრივია, სასწავლებლის
ადმინისტრაცია ყოველგვარ ზომას იღებდა, რათა ძირშივე აღე-
კვეთა ახალგაზრდა მუშების რევოლუციური განწყობილება, მაგ-
რამ ამაოდ: ვერავითარი რეაქციული ღონისძიება, რასაც კი სას-
წავლებლის ხელმძღვანელობა ახორციელებდა, სასურველ შედეგს
ვერ იძლეოდა. პირიქით, ასეთი ღონისძიებანი კიდევ უფრო აღი-
ზიანებდა მოსწავლეებს და საქმე ხშირად უკიდურესობამდეც კი
მიდიოდა. ცნობილია, მაგალითად, რომ ამ სასწავლებლის დირექ-

¹ მაგალითად, გაზეთ „ივერიის“ ცნობით (1891, № 151) დირექტორს ერთ-
ერთი ასეთი კონფლიქტის შედეგად რვა მოსწავლე დაუთხოვია. საგულისხმოა, რომ
მოსწავლეთა გამოსვლებს ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონია — მათში აქტი-
ურად მონაწილეობდნენ ქართველები, რუსები და სომხები.

² „მოგზაური“, 1905, № 10, გვ. 141; შტრ. ვ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. სახელოს-
ნო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში. 1952, გვ. 32.

ტორს, შავრაზმელ ნ. ხარკოვს ტყვია ესროლა და დაჭრა ერთ-ერთ-მა მოსწავლემ ვასო კაკაბაძემ, რომელიც შემდგომ ციმბირში გადაასახლეს¹.

გვინდა შევეხოთ ერთ საკითხსაც. როგორც გ. სიხარულიძე აღნიშნავს, მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის „ერთადერთ დადებით თვისებად ის შეიძლება ჩაგვეთვალოს, რომ ამ სასწავლებელში სწავლება მშობლიურ ენაზე წარმოებდა“². რეაქციონერი რუსი ფიქტორები, მეტადრე ამ სასწავლებლის დირექტორი ნ. ხარკოვი და გაზეთ „კავკაზის“ დროებითი რედაქტორი დ. კაბიაკოვი ცდილობდნენ მშობლიურ ენაზე სწავლება რუსულ ენაზე სწავლებით შეეცვალათ. მათ გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე ერთი ალიაქოთი ატეხეს, აღვივებდნენ ეროვნულ შულს. „კავკაზის“ გამომხდომებს მიხეილის სახელოსნო სასწავლებელში მშობლიურ ენაზე სწავლების წინააღმდეგ საკადრისი პასუხი გასცა გაზეთმა „დროება“³. თვით ილია ჭავჭავაძეც ჩაება ამ ბრძოლაში და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ეს აღვირახსნილი შოვინისტები. იგი წერდა:

„სახელოსნო სასწავლებლის დამფუძნებელთ სწორედ გონივრულად განსაჯეს, როდესაც დააწესეს, რომ სწავლა სამს ენაზედ მიდიოდეს: რუსებოსთვის რუსულ ენაზედ, ქართველებისთვის ქართულზედ და სომხებისთვის სომხურზედ. ამ ღონით ტყუილად ბევრი დრო არ ეკარგებათ შეგირდებს სხვა ენის შესასწავლებლად და რაც დრო რჩება საგნების შესწავლის შემდეგ, ხელოსნობის შესწავლას ახმარენ. ეს პირველი მაგალითია ჩვენში იმისთანა სკოლის გამართვისა, რომელშიც ყოველის ხალხის მოთხოვნილება ასრულებულია, ყოველის ხალხის შვილებს ერთ-გვარად გაადვილებული აქვთ სწავლის მიღება და მის ნაყოფით სარგებლობა... ამისთანა სკოლა არ მოსწონს გაზეთ „კავკაზის“ რედაქციას და ცდილობს ყოველ-გვარი ცილი მოუგონოს მას. მაგრამ რაც უნდა ფხასავით ყელზე დაადგეს „კავკაზს“ ეს სახელოსნო სკოლა, მაინც მკურნალს ვერ იშოვის. სახელოსნო სკოლა ქალაქის ხარკით არის დაფუძნებული და თუ „კავკაზმა“ კიდევ მეტის-მეტი გულმოდგინეობა გამოიჩინა, შეიძლება ამ გულმოდგინეობისათვის უფრო საყვედური მიიღოს, ვიდრე ქება, იმათგან, ვისიც სიამოვნება განუზრახავს“³.

¹ შ დ რ . ო ფ ა რ ა ლ ი შ ვ ი ლ ი . მოსე თოიძე, 1953, გვ. 8.

² გ . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე . სახელოსნო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში, გვ. 23. რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში კი სწავლა მხოლოდ რუსულ ენაზე იყო. ქართულს ცალკე საგანდაც არ ასწავლიდნენ.

³ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე . თხზ., სრული კრებული. ტ. V, 1955, გვ. 365-366.

რაც შეეხება თბილისის რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელს, სადაც ივანე ესტატეს ძე მკედლიშვილი სწავლობდა, იქაც მოსწავლეები ინტენსიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში იყვნენ ჩაბმული. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შეგიძლებს თავიანთი ძალებით შეუქმნიათ ქართული წიგნების ბიბლიოთეკა (ამ საკითხს უფრო ფართოდ შეეხებით გაზეთ „ნაპერწყლის“ შინაარსის განხილვის დროს). არანაკლებ საინტერესოა, რომ მათ ჩამოუყალიბებიათ დრამატული დასი და წარმოდგენებსაც მართავდნენ; ამის თაობაზე გიორგი ჯაბაური წერილში „თბილისის ქართული სახალხო თეატრი“ (დაწერილია 1927 წელს)¹ ვკითხულობთ: „1887 წელს შესდგა სცენისმოყვარეთა წრე შაქრო საფაროვის თაოსნობით“, რომელიც ქალაქის სხვადასხვა უბანში კერძო სახლებში მართავდა წარმოდგენებსო². წრის წევრთა შორის დასახელებულია ივანე ესტატეს ძე მკედლიშვილიც. ისინი ძირითადად სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლენი ყოფილან, ხოლო დეკორაციებს ახალგაზრდა მხატვარი მოსე თოიძე ხატავდაო... ეს წრე, როგორც გ. ჯაბაური ამბობს, 1887 წლის დამლევამდე მოქმედებდა, დგამდა სპექტაკლებს ქართული თეატრის სცენაზეც. შემოსავალი წიგნების შესაძენად და ბიბლიოთეკის დასაარსებლად იყო განკუთვნილი. მათ ამ საქმიანობაში დიდ დახმარებას უწევდნენ გრიგოლ ჩარკვიანი, ზაქარია ჭიჭინაძე³ და სხვები.

ივანე მკედლიშვილი და შაქრო საფაროვი სცენის სიყვარულით ბავშვობიდანვე იყვნენ გამსჭვალული და შემდგომ მთელი თავისი სიცოცხლე თეატრს დაუკავშირეს.

ა) ორი პიროვნების მეგობრობა, ჯერ კიდევ რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში ერთად სწავლის დროს რომ ჩაეყარა საფუძველი, შემდგომაც გრძელდებოდა, რასაც მოწმობს, კერძოდ, შ. საფაროვის მიერ ი. მკედლიშვილისათვის თბილისიდან ბაქოში მიწერილი წერილიც (დაცულია ი. მკედლიშვილის შვილიშვილის ცირა მკედლიშვილის ოჯახში). ამ ფაქტზე საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას, რათა რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ივანე ესტატეს ძე მკედლიშვილი არ ავურიოთ რომე-

¹ საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ფონდი 3, საქმე 43, №9763.

² ამის შესახებ ი. იმედაშვილიც გვაწვდის ცნობებს (იხ. ამ ნაშრომის გვ. 139).

³ ზაქარია ჭიჭინაძე მრავალი ხილული თუ იღუმალი ძაფით იყო დაკავშირებული მოსწავლე ახალგაზრდობასთან და მოწინავე, მუშებთან. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუშათა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოშვებაში.

ლიმე სხვა ივანე მკვდლიშვილში: ამ სახელითა და გვარია მაშინ რამდენიმე მოღვაწე იყო ცნობილი.

ხელნაწერ გავით „ნაპერწყლის“ რედაქტორი ივანე ესტატეს ძე მკვდლიშვილი (1872-1933)¹ დაიბადა თბილისში. დაწყებითი სწავლა მიიღო თბილისის სასულიერო სასწავლებელში. შემდეგ დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი. სცენაზე პირველად გამოვიდა მოწაფეობის დროს ჩუღურეთის სცენის მოწყვარეთა წრის (რომლის წევრები ძირითადად მისი ამხანაგები იყვნენ) მიერ გამართულ წარმოდგენაში. აქ იგი კარგა ხანს მონაწილეობდა სხვადასხვა სპექტაკლში. 1890 წლიდან ი. მკვდლიშვილი დიდ სცენაზე იწყებს მოღვაწეობას: ჯერ „ვ. ვასილიევის ბაღში“, შემდეგ ა. ნებიერიძის დასში, ბოლოს კი ქართული დრამატული საზოგადოების დასში, სადაც მან 20 წელზე მეტი დაყო. ი. მკვდლიშვილი საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეს სტუმრებია ჩვენი სახელოვანი მსახიობების დასთან ერთად. ასრულებდა გმირთა და საქასიათო როლებს (ფ. შილერის „ყაჩაღებში“ განასახიერებდა კაილ მოორს, უ. შექსპირის „ჰამლეტში“ — ლაერტს, ვ. გუცკოვის „ურიელ აკოსტაში“ — მანასეს, დ. ერისთავის „სამშობლოში“ — ლევან ხიმშიაშვილს, ა. ცაგარლის „ხანუმაში“ — აკოფას, მიქაილასა და თავად ფანტიაშვილს და სხვ.).

ივანე ესტატეს ძე მკვდლიშვილს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ბათუმის ქართული თეატრის ჩამოყალიბებაში, როგორც ეს აღნიშნულია „განდის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში ივანე მკვდლიშვილის საიუბილეო საღამოს შესახებ².

აღსანიშნავია, რომ ი. მკვდლიშვილი ბაქოს თეატრალურ ცხოვრებასთანაც იყო დაკავშირებული. ჯერ კიდევ 1898 წელს ამ ქალაქში მოეწყო თბილისის ქართული თეატრის არტისტების გასტროლები. როგორც პროგრამებიდან ცხადი ხდება, დასის „გამგე და ადმინისტრატორი“ ყოფილა ი. მკვდლიშვილი, რეჟისორი კი — ალექსი-მესხიშვილი. ეს ორივე სხვა მსახიობებთან ერთად ჰაქეტაკლებშიც მონაწილეობდნენ (დასის შემადგენლობაში დასახელებული

¹ ლიტერატურაში ივანე ესტატეს ძე მკვდლიშვილის შესახებ ცნობები ძალზე მცირე რაოდენობით მოიპოვება. მათ შორის მეტადრე საყურადღებოა — ელის ხელმოწერით (შემოკლებაა „პოლიო ირეთელისა“ — პოლივექტ კალანდაძის ცნობილი ფსევდონიმისა) „თეატრი და ცხოვრების“ 1925 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილი წერილი „ივანე მკვდლიშვილი (35 წ. მოღვაწეობის გამო)“, აგრეთვე გავით „მუშაში“ გამოქვეყნებული მასალა ი. მკვდლიშვილზე (1925, № 12). ზოგიერთი წყაროთი ი. მკვდლიშვილის დაბადების თარიღად 1870 წელია მიჩნეული (იხ. საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ს. გერსამიას ფონდში დაცული აფიშა).

² გავითი „ფუნხარა“, 1925, 22 აპრილი.

ბულია შალვა დადიანიც „ქუჯის“ ფსევდონიმით). აქ დაუდგამთ „სამშობლო“ დ. ერისთავისა, „ურთელ აკოსტა“ — ვ. გუცკოვისა, „კინტო“ — აკაკი წერეთლისა და სხვ.¹ ხოლო 1925 წელს ი. მჭედლიშვილს ბაქოში საიუბილეო საღამო გაუმართეს.²

ი. მჭედლიშვილი ქართული მუსიკის დიდი მოყვარულიც ყოფილა. მას თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის სახანრო კავსაძის ლოტბარობით ხალხური სიმღერა-გალობის გუნდის დაარსებაში. საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ სახელგანთქმულმა ქართველმა მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა თავისი პირველი ნაბიჯები სწორედ ამ ორი ადამიანის — ი. მჭედლიშვილისა და ს. კავსაძის ხელშეწყობით გადადგა.

ივანე ესტატეს ძე მჭედლიშვილის საიუბილეო ღღებში გაზეთი „მუშა“ საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „მან თავისი მოწაფეობის დროს ტექნიკურ სასწავლებელში, გამოსცა ხელნაწერი გაზეთი „ნაპერწყალი“³. უფრო ვრცლად ამ საკითხზე და საერთოდ ი. მჭედლიშვილის მოღვაწეობაზე ლაპარაკია მის საიუბილეოდ გამოშვებულ აფიშა-პროგრამაში, რომელიც ინახება საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმში დაცულ სერგო გერსამიას ფონდში. სხვა ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად ამ აფიშა-პროგრამაში აღნიშნულია, რომ ი. მჭედლიშვილმა „თავის მოწაფეობის დროს რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში დააარსა ხელნაწერი გაზეთი „ნაპერწყალი“, რომლის მეოხებითაც ბევრმა მამინდელმა გადაგვარებულმა მოწაფეობამ ისწავლა ქართული მართლწერა“.

იუ ბილარის ცხოვრების გზა აღწერილია აფიშა-პროგრამის მესამე გვერდზე, ხოლო წინა გვერდები გვაუწყებენ, რომ 1925 წლის 20 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართება ივანე მჭედლიშვილის სასცენო და სამწერლო მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. აქვე მოთაჯებულია ი. მჭედლიშვილის ორი ფოტოსურათი, ჩამოთვლილია საღამოს მომწყობთა და მონაწილეთა შემადგენლობაც (ვასო აბაშიძე, ლადო და სანდრო კავსაძეები, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნინო დავითაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, შაქრო საფაროვი და სხვები).

ივანე მჭედლიშვილის მხატვრული შემოქმედებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მისი პიესები: „ყაჩაღი ქიარიმა“ (ოთხ-

¹ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერები № 32-34. პროგრამებზე ი. მჭედლიშვილის ხელით მიწერია: «1898 წელს აგრეთვე იყო დადგმული „ჰამლეტი“, „და-ძმა“, „ყაჩაღები“ და სხვ.».

² Газета «Бакинский рабочий», 1925 г., 25 марта.

³ გაზეთი „მუშა“, 1925, № 12.

მოქმედებიანი ტრაგედია აპოთეოზით)¹, „ელო საროსკიპოში“ (დრამა სამ მოქმედებად)², „ქორწილი სოფლად“ (ოპერეტა ორ მოქმედებად)³, „ხუთი წუთით საცოლუ“ (ვოდევილი ერთ მოქმედებად)⁴, უსათაურო პიესა⁵ და სხვ.

საინტერესო ცნობას შეიცავს ივანე მჭედლიშვილის ორი წერილი სოფრომ მგალობლიშვილისადმი. ამათგან ერთი კამენსკაიდან არის გამოგზავნილი 1913 წლის 25 ოქტომბერს, ხოლო მეორე — ეკატერინოსლავიდან იმავე წელს. მათში ავტორი აღრესატს სწერს, რომ პიესა დაეწერე და გიგზავნი, იქნებ ღიზა ჩერკეზიშვილს გამოადგეს საბენეფისოდ, არადა გამგეობას წარუდგინეო⁶.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. მჭედლიშვილმა უურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ მოათავსა მოთხრობები „წითელი ბილეთი“⁷ და „გამალეწინეთ მაინც“⁸.

ივანე ესტატეს ძე მჭედლიშვილი გარდაიცვალა თბილისში 1933 წელს.

ცნობები გაზეთ „ნაპერწკლისა“ და რკინიგზის ტექნიკური სახელოსნო სასწავლებლის სხვა ხელნაწერი უურნალ-გაზეთების შესახებ, მათი პროგრამის, დანიშნულების, გამოცემის ტექნიკური მხარის თაობაზე უხვად მოიპოვება თვით „ნაპერწკალში“. გაზეთის პირველსავე ნომერში (1886, №1) მოთავსებულია მოწინავე წერილი („თბილისი, 8 ენკენისთვე“)⁹ (ე. ი. სექტემბერი), რომელიც შუქს ჰფენს ამ საკითხს. მასში აღნიშნულია, რომ ამ ერთი წლის წინათ სასწავლებელი ძალიან მიყრუებული იყო, ამდენ ქართველ მოსწავლეში ერთსაც ვერ ნახავდით, რომ ხელში ქართული წიგნი სკეროდაო. თურმე მოსწავლეებში გავრცელებული ყოფილა ყოვლად მიუღებელი აზრი, რომ ქართული წერა-კითხვის ცოდნა საჭირო არ არისო. შემდგომ ავტორი გულისტკივილით იუწყება, რომ გაზეთ „თეატრზე“ ხელისმოწერისათვის ფულის შეგროვების დროს თურმე ზოგიერთი მოსწავლე აცხადებდა, რას მარგებს ქართული

¹ იხ. საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 22. ეს პიესა აზერბაიჯანულადც ითარგმნა და აზერბაიჯანულ სცენაზეც იღმებოდა.

² იქვე, ხელნაწერი № 21.

³ იქვე, ხელნაწერი № 16.

⁴ იქვე, ხელნაწერი № 19.

⁵ იქვე, ხელნაწერი № 18.

⁶ იქვე, ხელნაწერები № 15867 და 15868.

⁷ „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 36.

⁸ „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 50.

⁹ მოწინავე წერილები, ისევე როგორც „ივერიაში“, აქაც თვე და რიცხვით არის დასათაურებული.

გაზეთით. როდესაც გათვითცნობიერებულმა მოსწავლეებმა ასეთი ვითარება შენიშნეს და მიხვდნენ, რომ მათი ამხანაგები არასწორ გზას ადგნენ, გამოსცეს ყოველკვირეული გაზეთი „მოსწავლე“, რომლის შემწეობით „პატარა მოარჯულეს გადაარჯულებული მოსწავლეები“. გაზეთს ორ თვეს უარსებია და „სხვადასხვა მიზეზების გამო“ დახურულა.

ახლა კიო, ამბობს ავტორი, ვაპირებთ გამოვცეთ ყოველკვირეული გაზეთი, რომელსაც ჩვენი მოსწავლეების შესაფერი სახელი — „ნაპერწყალი“ ჰქვიაო, და მხატვრულად აღწერს სათაურის მნიშვნელობას, განმარტავს მის ქვეტექსტს — ნაპერწყლისაგან დიდი ხანძარი დაინთებაო¹. ავტორის აზრით, გაზეთი ძალიან სასარგებლო იქნება მკითხველებისათვის: გაახალისებსო მათ ქართული წიგნების წასაკითხად, ასწავლის მშობლიურ ენაზე სწორ მეტყველებასა და წერას და სხვ.

საინტერესოა, რომ მოწინავე წერილში გაზეთის ზოგიერთ ტექნიკურ მხარეზეც არის საუბარი:

„მე ამოვიჩიე ერთი გადამწერი გაზეთ „ნაპერწყლისა“, რომელიც რომ იმედს მაძლევს და იტვირთა თავის დროზე გაზეთის გამოყვანა. სხვათა შორის, ეს ნომერი არის დაწერილი ზემოხსენებული პირისაგან. რასაკვირველია, უნდა ფული დაენიშნოს და ამისათვის გასაჰკირი არ იქნება, ვგონებ, კაცის თავზედ დაენიშნოს თვეში ორი შაური გადამწერის სასარგებლოდ“.

მაშასადამე, რედაქცია გაზეთის გამრავლებისათვის (გადაწერისათვის) მოსწავლეებში ფულს აგროვებდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მატერიალურად წახალისებული გადამწერი თავის საქმეს გულმოდგინედ და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. „ნაპერწყლის“ ნომრების გადაკითხვისას, პირველ ყოვლისა, თვალში მოგხვდებათ ორთოგრაფიული შეცდომების სიმცირე და, რაც მთავარია, ბრწყინვალე პუნქტუაცია (თითქმის უშეცდომო).

ამავე პირველ ნომერში მოთავსებულია სარედაქციო შენიშვნა, რომელიც მიზნად ისახავს მოკლედ გააცნოს მკითხველს გაზეთში გამოსაქვეყნებელი მასალების პროგრამა:

„გაზეთი ესე სახელდობრავ „ნაპერწყალი“ გამოდის კვირაში ერთხელ... ორშაბათობით...² შემდეგის პროგრამებით: ა) მოწინავე

¹ ეტყობა, მოსწავლეებს სცოდნიათ ა. ოდოევსკის პასუხი დეკაბრისტებისადმი მიძღვნილ ა. პუშკინის ლექსზე.

² „ნაპერწყლის“ მე-2 ნომრის სარედაქციო შენიშვნაში ვკითხულობთ: „პირველ ნომერში იყო გამოცხადებული ორშაბათობით, მაგრამ ეს მოხდა შეცდომით“. 1886 წელს „ნაპერწყალი“ საშაბათობით გამოდიოდა, ხოლო 1887 წელს — პარასკეობით.

წერილი, ბ) ფელეტონი, გ) ლექსები, დ) ხალხური ლექსები, ე) კრიტიკები, ვ) ნაკვესები, ზ) გამოცანები, თ) სცენები“.

აქვეა რედაქციის განმარტება „ნაპერწყლის“ ეგზემპლარებით სარგებლობის წესის შესახებ, აგრეთვე ცნობა იმის თაობაზე, რომ გაზეთის ნომრების შექმნა ფულითაც შეიძლებოდა:

„ა) ვთხოვთ... მკითხველთ შემდეგ წაკითხვისა, გაზეთი ისევ ჩააბაროს... იმას, ვისგანაც მიიღეთ წასაკითხად;

ბ) და ვინც ამ გაზეთს დაიკვეთავს, უნდა მისცეს თითო ნომერში ორი შაური. ფასი ამ გაზეთის ერთი ნომრისა არის ორი შაური“¹.

მაშასადამე, ნაწილი „ტირაჟისა“ უფასოდ ვრცელდებოდა (მკითხველი წაკითხავდა და ისევ უკან ჩააბარებდა), ხოლო ნაწილი იყიდებოდა. ქართული ხელნაწერი ეურნალ-გაზეთების ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა ეგზემპლართა ფასიანი გავრცელებისა (გავიხსენოთ არტემ ახნაზაროვის ხელნაწერი გაზეთი „ნაბიჯი“, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი).

„ნაპერწყლის“ ეს პროგრამა იმითაცაა საინტერესო, რომ იგი ეურნალისტური ქანრების ფართოდ გამოყენებასაც გულისხმობს (მოწინავე წერილი, კრიტიკული ჰტატია და ა. შ.), და, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია, გაზეთის განყოფილებები საქმეში ჩახედულად არის მოფიქრებული. მაგალითად, რედაქცია განასხეავებს ავტორთა მხატვრულ შემოქმედებასა და ფოლკლორულ ნაწარმოებებს — „ლექსები“ და „ხალხური ლექსები“ ცალ-ცალკე განყოფილებებად არის წარმოდგენილი.

მომდევნო ნომერში (1886, №2) გაზეთის რედაქტორის — ცნობისმოყვარის (ივანე მჭედლიშვილის) ხელმოწერით მოწინავეის ადგილას მოთავსებულია „განცხადება“, სადაც ისევე როგორც წინა ნომერში, განმარტებულია გაზეთის პროგრამა, ჩამოთვლილია პირველ ნომერში გაშუქებული საკითხები და, ბოლოს, მოცემულია ზოგიერთი რჩევა-დარიგება ავტორებისადმი, რომელთა გათვალისწინება დაეხმარებოდა რედაქციას გაზეთის დროულად და შეუფერხებლად გამოშვებაში:

„რომელსაც სურდეს დასწეროს რამე გაზეთ „ნაპერწყალში“, უმორჩილესად ვსთხოვთ დასწერონ სუფთად, თეთრს ქაღალდზედ და გარკვევით. გაზეთი „ნაპერწყალი“ გამოვა მუდამ სამშაბათობით, მაშასადამე ორიგინალი მიიღება სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით. ვინც ამ დღეებში არ გამოგზავ-

¹ „ნაპერწყლის“ 1887 წლის 1-ლი ნომრის ბოლოშიც მიწერილია: „ცალ-ცალ ნომერი ღირს ორი შაური“.

ნის, ის არ გამოვა შემდეგ ნომერში. ესთხოვთ... მკითხველთ, რომ დროზედ ჩააბაროთ უფალს რედაქტორს შემზადებული მასალები, რადგანაც ამის დამწერიც თანამდებობაში არის¹ და დრო იმდენი არ იქნება, რომ უდროოდ წარუდგინოთ მალე გამოსაცემად“.

როგორც ჩანს, „ნაპერწყლის“ რედაქცია ლექსების ხელნაწერ კრებულებსაც უშვებდა ცალკე გამოცემების სახით და ისინიც ფულით იყიდებოდა. ამაზე, კერძოდ, ლაპარაკია „ნაპერწყლის“ 1886 წლის მე-16 ნომრის მოწინავეში „თბილისი, ქრისტეშობისთვის კგ-ს“ (ე. ი. 23 ლექსებერს). დასაწყისში გაშუქებულია გაზეთის პროგრამა და მისი საქმიანობის პერსპექტივები. „ნაპერწყალი“ მომავალი წლისთვისაც იმავე ფორმატისა და რჩება და იმავე პროგრამით გამოვა, იუწყება მოწინავე. შემდეგ საუბარია ზოგიერთ უხერხულობაზე, რაც იქმნება დიდი მოცულობის მასალების გამოქვეყნების გამო. ამის თავიდან ასაცილებლად ჩვენ თვეში ერთხელ ან ორ კვირაში ერთხელ ნომრის დამატებად გამოვცემთ რვეულს. რომელშიც დაიწერება დიდი მოცულობის სტატიები, მოთხრობები და თარგმანებო. დასასრულ, მოწინავეში ნათქვამია, რომ 1887 წლის პირველ იანვარს თანამშრომლებს გაეგზავნებათ „თითო ეგზემპლარი ლექსთა კრებისა, რომლებიც დაწერილან გაზეთ შნაპერწყალში“ ჩუპე (ე. ი. 1886) წლის ნომრებში“, ხოლო თუ რომელიმე მკითხველს სურს იქონიოს ამ ლექსების კრებული, მან რედაქციაში ერთი აბაზი უნდა წარადგინოს და კრებულებს გაეგზავნება. ლექსთა კრებულის გამოცემის საქმე ოდნავ შეფერხებულა და გაზეთმა შემდგომ ბოდიში მოუხადა მკითხველებს, რომ დანიშნულ დროს იგი ვერ მიაწოდა. ამის შესახებ სარედაქციო შენიშვნაში ნათქვამია: „წარსულს მე-16 ნომერში დაგპირდით თანამშრომლებს თითო ეგზემპლარი ლექსთა კრებისა. ჩვენდა საუბედუროთ მწერალმან ვერ მოასწრო პირველი იანვრისათვის. ვეცდებით შემდგომისათვის მალე მოვასწროთ“².

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ნაპერწყალი“ ნამდვილად მოსწავლეთა საერთო ორგანო იყო, რომლის გამოშვებას ახსრცილებდა „გამომცემელი საზოგადოება“ და არა მხოლოდ ერთი პირი (ი. მჭედლიშვილი). ამას მოწმობს გაზეთის ბევრ ნომერზე მიწერილი სიტყვები: „გამომცემელი საზოგადოება. რედაქტორი ცნობისმოყვარე“.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ „ნაპერწყლის“ როლისა და მნიშვნელობის იმ შეფასებას, რაც მოცემულია თვით ამ

¹ ე. ი. ვადაშვილი „შტატის“ მუშაკია, „ხელფასს“ იღებსო.

² „ნაპერწყალი“, 1887, № 17.

გაზეთის თანამშრომლებისა და მკითხველების ნაწერებში. „ნაპერწყალს“ აღფრთოვანებით მიუძღვნიან თავიანთ ლექსებს, მოთხრობებსა და წერილებს ახალგაზრდა ავტორები, გზას ულოცავენ მას, თავისი ძნტერესების ქომაგად სახავენ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოდ არის დაწერილი ეგრეთ წოდებული ფელეტონი „ნაპერწყლები (ფრანციულოთ)“¹, რომელიც გაზეთის სახელწოდების ორიგინალურ ახსნას იძლევა. მებრძოლი სულისკვეთებით გაჟღენთალი ამ ნაწარმოების დედააზრი ის არის, რომ ერთმანეთისაგან დაშორებულ ნაპერწყლებს ცალ-ცალკე ძალა. ნაკლები აქვთ, მაგრამ თუ გაერთიანდებიან, დიდი ხანძრის დანთება შეუძლიათ. ნაწარმოები მთავრდება სენტენციით: „ყველას შეუძლიან (უმცარეს ყმაწვილსაც კი) მოუტანოს საზოგადოებას სარგებლობა, თუ რომ გულის სიწმინდით მოეკიდება საქმეს“.

აქედან ცხადია, თუ როგორ ესმის ამ მასალის — „ნაპერწყლების“ ავტორს გაზეთ „ნაპერწყლის“ დანიშნულება: მართალია, იგი ჯერ მცირე საქმეს აკეთებს, მაგრამ უეჭველად სასარგებლოსა და მეტად საჭიროსო.

ანალოგიური აზრებია გამოთქმული შ. ლახვარის (შ. საფაროვის) „სხარტულაში“². ავტორი მხატვრულად განმარტავს გაზეთის სათაურსა და საერთოდ მის მნიშვნელობას.

დ. გურულის ლექსში „უძღვნი გაზეთს «ნაპერწყალს»“³ ნათქვამია, რომ სექტემბერში იშვა ჩვენი პაწია „ნაპერწყალი“ და ბევრს ეგონა — ოგი ფერმკრთალი გამოვიდოდა, მაგრამო, კმაყოფილებით აცხდებს ავტორი, იგი ყოველდღიურად იზრდება და ახლო მომავალში „დიდ ნაკვერჩხლად“ გადაიქცევაო. ავტორი უსურვებს გაზეთს ბედნიერებას, დღეგრძელობას, მუდამ უამს წინსვლასა და ვაჟკაცურ შემართებას „კაცობრიობის გულისათვის“.

რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის ამ არალეგალურ ხელნაწერ გაზეთს გულმხურვალე ხოტბას ასხამდა იაგორ ანდრიანოვიც (ფსევდონიმით — იანგო), რომელიც წარმოშობით რუსი იყო და შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას. ერთ-ერთ თავის ლექსში „კუროხნევა «ნაპერწყლისა»“ იგი გაზეთს მოუწოდებს პატიოსნე-

1 „ნაპერწყალი“, 1886, № 6; ხელს აწერს: გონ-რებ. შინაწერი „ფრანციულოთ“, ჩვენი აზრით, ფიქციაა. ქვემოთ ვნახავთ, რომ გაზეთის თანამშრომლები ამ ხერხს უნარიანად იყენებდნენ: ვითომ ფრანგულიდან, ინგლისურიდან ან რუსულიდან თარგმნიდნენ ამა თუ იმ მასალას. სინამდვილეში კი ორიგინალურ ნაწარმოებს აწვდიდნენ მკითხველს. ვფიქრობთ, ეს კონსპირაციული მოსაზრებებით იყო გამოწვეული.

² „ნაპერწყალი“, 1886, № 11.

³ „ნაპერწყალი“, 1886, № 6.

ბისა და ერთობის აღდგენისაკენ, თანამშრომელთა ნიჭის წახალისებისაკენ:

„მარად სიმართლის კვალზედ იარე,
რომ აგისრულდეს აწ საწადელი,
ქეშმარიტების მქადაგებლად
მრავალყამიერ იყავ დღეგრძელი“¹.

მეორე ლექსში „მილოცვა“ იაგორ ანდრიანოვი ახალ წელს ულოცავს მკითხველებს. ნეტავი ამ წელს მოჰყვეს ყოველივე, რაც კეთილია, ძმობამ და ერთობამ მკვიდრად გაიდგას ფესვები, გამხნევდეს ახალი თაობა, შრომა არ დაიზაროს და სიმართლე ჰქონდეს გზად და ხილად, ყველგან ჯავრცელდეს სწავლა-განათლება და დედანაო, ამბობს პოეტი და იქვე სიყვარულით დასძენს:

„იყვეს დღეგრძელი პაწია
გაზეთი «ნაპერწკალიცა»
და გაუმარჯოს მის მუშებს,
გამხნევდეს მათი ძალიცა“²

განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „ნაპერწკლისადმი“ მიძღვნილი სატეციალური მიწინავე წერილი „თბილისი, ქრისტეშობისთვის ივ-ს“³ (ე. ი. 16 დეკემბერს), რომლის ავტორი, როგორც ტექსტიდან ჩანს, უეჭველად გაზეთისათვის გარეშე პირი უნდა ყოფილიყო და თანაც უფროსი თაობის წარმომადგენელი. იგი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ თავისი ამხანაგებისაგან მიიღო „ნაპერწკლის“ ნომრები და ძალიან გაუზარდა ახალგაზრდების მიერ ამ სასიკეთო და სასარგებლო საქმის დაწყება. ამ გაზეთს იგი აღარებს ლამპარს, რომელიც ადამიანს ცხოვრებაში გზას გაუნათებს, ოღროჩოლორად აღგილებს მთარიდებს. ავტორი განსაკუთრებით ხაზს

¹ „ნაპერწკალი“, 1886, № 10. სხვათა შორის, ეს ლექსი ოცი წლის შემდეგ დაბეჭდა წიგნშიც: ლექსები უბის წიგნაკიდან იაგორ ანდრიანოვისა. თბ., 1907, გვ. 15-16.

როგორც შემდგომ ვნახავთ, გაზეთ „ნაპერწკალში“ მოთავსებული ბევრი ლექსი ი. ანდრიანოვს ამ კრებულში გამოუქვეყნებია. ეს წიგნაკი, ისევე როგორც სხვა ხელნაწერი ეურნალ-გაზეთების თანამშრომელი მუშა პოეტების ლექსები, გამოსცა ზაქარია კიკინაძემ. წიგნაკს წამძღვარებული აქვს შენიშვნა „გამომცემლისაგან“, სადაც ნათქვამია: „ამ ლექსების დამწერს ი. ანდრიანოვს არავითარი სწავლა არ მიუღია — სასწავლებლის კარებიც კი არ უნახავს. თავის მეტადინეობით შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა და შესჩვევია ლექსების წერას. ამ წიგნაკში მოთავსებული ლექსები დაწერილია 1885-1895 წწ. ამისათვის მკითხველის საყურადღებოდ აცხადებს, რომ როგორც უბრალო მუშას, მეტს ნუ მოსთხოვენ“.

² „ნაპერწკალი“, 1886, № 16. შტრ. დასახ. წიგნი, გვ. 17-18.

³ „ნაპერწკალი“, 1886, № 15.

უსვამს გაზეთის სოციალურ დანიშნულებას, იგი იმედოვნებს, რომ „ნაპერწყალი“ დაეხმარება „წამოაყენოს ფეხზედ ის დაცემული ჩვენი თანამოძმე, რომელიც დღიურ ლუკმისათვის თავის სიცოცხლეს ჰყიდის“. როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია შშრომელთა ინტერესების დაცვაზე. ბოლოს, ავტორი პირდაპირ და გაბედულად ლაპარაკობს საზოგადოებრივი ბოროტების მოსპობაზე: „ვისურვებ თქვენს გამარჯვებას და მიღწევას თქვენის ცხოვრების ლამპრით იმ წერტილამდის, სადაც დანიშნულია გაწყვეტა რკინის ბორკილისა და აღმართვა თავისუფლების დროშისა“. უდავოა, რომ ავტორი აქ გაზეთის სოციალურ ფუნქციას უსვამს ხაზს, რაც უაღრესად ნიშანდობლივია.

დასასრულ. „ნაპერწყალი“ საშუალებით შესაძლებელი ხდება დავადგინოთ, რომ რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში მოსწავლეთა სხვა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთებიც გამოდიოდა. მათი რაოდენობა, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი ყოფილა. მაგრამ, სანაწარმად, არც ერთ მათგანს, გარდა „ნაპერწყლისა“, ჩვენამდე არ მოუღწევია. ცნობები მათ შესახებ მხოლოდ „ნაპერწყალშია“ შემონახული.

აქ, უწინარეს ყოვლისა, გვხვდება მასალები ზაქარია (შაქრო) საფაროვის არალეგალური ხელნაწერი გაზეთის გამოშვების შესახებ. რედაქციის ერთ-ერთ „განცხადებაში“ ნათქვამია: „გამოვეკვირიდან, ოცდაათ ნომერიდან საყოველღვირად, სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი „ბურუსი“ — რედაქტორ-გამომცემელი ლახვარი. ვისაც სურს, შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს“¹.

მომდევნო ნომრის (1886, № 13) ხელმოწერეულ მოწინავე წერილში „თბილისი, ბ-ს ქრისტეშობისთვის“ (ე. ი. 2 დეკემბერს) მოცემულია როგორც შ. საფაროვის ამ გაზეთის, ისე სხვა ხელნაწერი ორგანოების დახასიათება: „ჩერჩერობით ჩვენ ახალგაზრდობას გვაქვს სამი გაზეთი: «ნაპერწყალი», «ბურუსი» (ლახვარის რედაქტორობით) და საყოველთაო-საკრიტიკო გაზეთი «ნიღვარი». როგორც სანდო პირებისაგან გავიგეთ, აპირობს ჟურნალ «წყაროს» გაგრძელებას² იგივე რედაქტორი“. „ნაპერწყლის“ 1886 წლის მე-9 ნომერში ნათქვამია, რომ შ. საფაროვს, გარდა ამისა, გაზეთ „მახვილის“ გამოცემაც აქვსო განზრახული.

თბილისის რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში გამოდიოდა კიდევ ერთი ხელნაწერი გაზეთი „კანდელი“. ამას მოწმობს გაზეთ

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 12. ლახვარი ზაქარია (შაქრო) საფაროვის ფსევდონიშით.

² ამ ჟურნალის გამოშვება დროებით შეწყვეტილა და აღდგენა განუზრახავთ.

„ნაპერწყალში“ გამოქვეყნებული ცნობა, რომელიც მოთავსებულია რუბრიკით „დიდმარხვის პოლოცვა“. მასში ერთ ადგილას წერია:

„გ ა ზ. «კ ა ნ დ ე ლ ს»: ძმობა, ერთობა თავისუფლება...

პ ა ს უ ხ ი «კ ა ნ დ ე ლ ს» «ნ ა პ ე რ წ ყ ლ ი ს ა გ ა ნ»: არც მკვდარი ვარ, არც აღდგომა მკვდრეთით დამპყრობდა“¹.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ „ნაპერწყლის“ ერთ-ერთი აქტიური თანამშრომლის იაგორ ანდრიანოვის (მისი ფსევდონიმი იანგო) მოგვიანებით გამოსულ წიგნში ამავე ზელნაწერი ორგანოსადმი მიძღვნილი ლექსიც კი გვხვდება: „კურთხევა «კანდელის»“².

გაზეთ „ნაპერწყლის“ ზემომოყვანილ მოწინავე სტატიაში (1886, №13), როდესაც ავტორი რეანიგზის ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა ზელნაწერ ქურნალ-გაზეთებს ჩამოთვლის, იგი მოკლედ ახასიათებს არა მარტო შათ შინაარსს, არამედ გარეგნულ მხარესაც:

„ჩვენ აქამდისაც ვერ მივმხვდარვართ „ნიაღვარი“ გაზეთია თუ ქურნალი, რადგან ფორმატი ქურნალისა აქვს, ესე იგი რვეულის მაგვარი და სათაურად კი გაზეთი აწერია. ბატონ შამქორს „ნიაღვრის“ რედაქტორს, ვგონებ, კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ გაზეთი გამოდის თაბახობით და არა რვეულის ფორმატით, რვეულას ფორმატს ეკუთვნის სახელად ქურნალი და არა გაზეთი“³.

შემდეგ მოწინავეში გარჩეულია „ნიაღვრის“ შინაარსი და ხაზგასმულია, რომ მას აზრის სიღრმე აკლია. საკრიტიკო გაზეთი აწერია, მაგრამ პარველ რიგში თვითონ არისო გასაკრიტიკებელი მისი ნაკლოვანების გამო. წერილის ბოლო აბზაცი შეიცავს ცნობებს ამ სახელოსნო სასწავლებლის მეორე გაზეთის შესახებ: „გაზეთი «ბურუსი», როგორც განცხადებაში ეწერა გაზეთ «ნაპერწყლისა», ოცდაათს გიორგობისთვეს (ე. ი. ნოემბერს) გამოვიდა. ამის შინაარსსაც, იმედი გვაქვს, მომავალს ნომერში განვმარტავთ“.

მართლაც, მომდევნო ნომერში („ნაპერწყალი“, 1886, № 14) გამოქვეყნდა ზელმოუწერელი მოწინავე წერილი „თბილისი, თს ქრისტეშობისთვეს“ (ე. ი. 9 დეკემბერს), რომელიც მთლიანად მიძღვნილია თბილისის რეანიგზის ტექნიკური სასწავლებლის ამ ახალი ორგანოსადმი.

ავტორი დასაწყისში მკითხველს მოაგონებს, რომ დაპირებუ-

1 „ნაპერწყალი“, 1887, № 4.

2 იხ. ლექსები უბის წიგნაკიდან იაგორ ანდრიანოვისა. თბ., 1907, გვ. 14-15.

3 უნდა შევნიშნოთ, რომ თვით „ნაპერწყლის“ ზოგიერთი ნომერიც (1887 წლის პირველი ოთხი) რვეულის მაგვარი ქურნალია და გაზეთის ფორმა თითქმის სრულიად არ გააჩნია.

ლი იყო წინა ნომერში ცოტა რამ ეთქვა გაზეთ „ბურუსის“ შესახებ და კრიტიკული შენიშვნები გაეკეთებინა. კრიტიკაო, დასძინს ავტორი, საერთოდ ძნელი საქმეა „არა მარტო ჩვენთვის. არამედ მთელი ქართული ლიტერატურისთვისაც“. იგი გულისტკივილით ჩივის, რომ ქართულ ლიტერატურას დღეისათვის არ მოეპოვებაო „მართალი და გამოჩენილი კრიტიკოსი“. ეს განცხადება არ არის ისტორიულ სიმართლეს მოკლებული. გასული საუკუნის 80-იან წლებში ქართული მხატვრული კრიტიკა ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ განვითარებული. შემდგომ ავტორი ლაპარაკობს კრიტიკოსადმი ორგვარ დამოკიდებულებაზე. ერთნო, რაც უნდა სამართლიანად გააკრიტიკონ, მაინც თავის მართლებას ცდლობენ, ზოგჯერ კი კრიტიკას ლანძღვა-გინება და ჩხუბიც მოჰყვებაო. კიდევ კარგიო, ირონულად შენიშნავს ავტორი, ჩვენდა სასიკეთოდ ლიტერატორებს შორის დღეული არ იმართება, თორემ „კვირაში, თქვენი მტერი, სამი-ოთხი კაცი მოკვდება“. არის კრიტიკოსადმი სხვაგვარი (დამოკიდებულებაც, როდესაც კაცი თავისი შეცდომის სამართლიან მზილებას მთლიანად იღებსო, კმაყოფილებით აშბობს ავტორი და ასეთ კაცს მისაბამ პიროვნებად მიიჩნევს.

რაც შეეხება „ბურუსს“, საახალწლო მოწინავე წერილის ავტორი იწონებს მის გაფორმებას. „ბურუსი“ გარეგანი შეხედულებით სასიამოვნო სურათს წარმოგვიდგენს. არის მშვენიერი, მრგვალის ხელით ნაწერი, სათაური წითელი მელნით არის გამოყვანილი და სხვ.“ შემდეგ ავტორი განიხილავს ამ გაზეთის ენობრივ შეცდომებს. გარჩეულია აღნიშნული გაზეთის მოწინავე წერილი და გამოთქმულია საყვედური, რომ იგი გასაგებად ვერ განმარტავს, თუ რატომ ეწოდა მას „ბურუსი“. ჩვენს კრიტიკოსს დამაჯერებლად არ მიაჩნია ამ სახელწოდების დარქმევა გაზეთისათვის იმ მოტივით, რომ ვითომ ჯანლიდან და ბურუსიდან უნდა გამოიყვანონ ხალხიო.

ასეთია რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლას მოსწავლეთა იმ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების შესახებ შემონახული ჩვენთვის საინტერესო ცნობები, რომელთა არც ერთ ნომერს, სამწუხაროდ დღემდე არ მოუღწევია. ამ ცნობებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ მათ დიდი როლი უნდა შეესრულებინათ ახალგაზრდა მუშების გათვითცნობიერებაში, მათ შორის რევოლუციური სულისკვეთების დანერგვაში.

რაც შეეხება მიხეილის სახელოსნო სასწავლებელს, აქ გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალი „ანკარა“, რომლის მე-11 ნომრის ვარეკანი დახატულია გამოჩენილი ქართველი მხატვრის მოსე თო-

იძის მიერ და დაცულია მისსავე სახლ-მუზეუმში.¹ „ანკარის“ ყდა-ზე აწერია: „თბილისის სახელოსნო სასწავლებლის მოწაფეთა ყოველთფერი რევოლუციური ჟურნალი. მარტო ჩუპე წელი. № 11“. აქვე მოყვანილია შემდეგი ერთსტროფიანი ლექსი:

„მუშის გული ჰირნახული
ჭერ ვერ დაღრღნა ისე ჟანგმა,
რომ იგი არ ააღლვოს
ხელოვნების უკედავ ხანგმა“².

ხელმოწერა მ. თ., რომელიც ამ სტროფს ახლავს, ეჭვგარეშეა, მოსე თოიძის ინოცილებია.

საქმე ისაა, რომ მოსე თოიძე ამ სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდა და აქტიურად იყო ჩაბმული მოსწავლეთა რევოლუციურ მოძრაობაში. თავის ავტობიოგრაფიაში იგი ამბობს: 1886-1887 წლებში სახელოსნო სასწავლებელში მოსწავლეები უშვებდნენ არალეგალურ ჟურნალ „ანკარას“, რომელშიც ვთანამშრომლობდი როგორც მხატვარი და პოეტიო³.

შ. კვახავაძე ამ ფაქტთან დაკავშირებით წერს: „სახელოსნო სასწავლებელში მ. თოიძის სწავლის წლებში ფარულად გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალი „ანკარა“. ამ ჟურნალის მხატვარ-გამოფორმებელი ყრმა მ. თოიძე იყო; ხსენებულ ჟურნალში მ. თოიძის ლექსებიც თავსდებოდა, ლექსებში მუშათა კლასის სოციალური და ოპტიმისტური განწყობილება აღერდა“⁴.

ო. ფირალიშვილი თავის მონოგრაფიაში მოსე თოიძის შესახებ აგრეთვე აღნიშნავს, რომ „ახალგაზრდები სახელოსნო სასწავლებელში პირველად ეცნობოდნენ ქვეყნის ავ-კარგს, აქ ესმოდათ მოწინავე ადამიანთა სახელები, თვითონაც ებმებოდნენ საგანმანათლებლო-რევოლუციურ წრეებში, კითხულობდნენ პროგრესულ

¹ აღნიშნულ პირველწყაროზე მიგვითითებს მხატვრის შვილმა ალექსანდრა თოიძემ და ხელოვნებათმცოდნე ქეთევან ბაგრატიშვილმა.

² საგულისხმოა, რომ შემდგომ მ. თოიძემ „ანკარის“ ყდის საკუთარი კომპოზიცია ამ ლექსითურთ გამოიყენა თავისი მოძრაიე გამოფენის ემბლემალ (იხ. მაგალითად, 1918 წელს გამოშვებული აფიშა, რომელსაც აწერია: „მოსე თოიძის მოძრაიე გამოფენა ქართ. მხატვ. სურათების“. იგი დაცულია მ. თოიძის სახლ-მუზეუმში).

³ იხ. საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ფონდი 1, საქმე 371, № 12249. ამავე მუზეუმში დაცულია მ. თოიძის სხვა ავტობიოგრაფია, რომელშიც იგი ჟურნალის თანამშრომლებად ასახელებს შემდგომში ცნობილ რევოლუციონერებს ზაქრო და მიხა ჩოღრიშვილებს, აგრეთვე, გოგიშვილსა და სხვ. (იხ. ფონდი 1, საქმე 159, № 4927).

⁴ შ. კვახავაძე. მოსე თოიძე. 1949, გვ. 14.

თბილისის სახელმწიფო სსსკვლეობის ეთნოგრაფიული მუზეუმი
რეკონსტრუირებული უახლესი

ენათმეცნიერება

გაბრიელი ჩუბუკი (1887)

XII



გაბრიელი ჩუბუკი

ჟურნალ „ანკარის“ 1887 წლის მე-11 ნომრის გარეკანი.

ლიტერატურას, უშვებდნენ ხელნაწერ ჟურნალს და დგამდნენ პიესებს. ახალგაზრდა მოსე თოიძე იყო სახელოსნო სასწავლებლის ფარულა ხელნაწერი ჟურნალის „ანკარას“ და პიესების პირველი მხატვარი. ეს იყო მისი დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის დასაწყისი, როგორც მსოფლიო მხატვარი ამჟამად სასოებითა და სიყვარულით იგონებს“¹.

¹ ო. ფირალიშვილი. მოსე თოიძე. 1953, გვ. 8-9.

ასევე აქტიურად თანამშრომლობდა მოსე თოიძე თბილისის მუშათა არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალ „მუშაში“. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

სხვათა შორის, იოსებ იმედაშვილაც ამ სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდა. თავის გამოუქვეყნებელ მოგონებაში „ტფილისის სახელმწიფო სასწავლებელი“ იგი საინტერესო მასალებს გვაწვდის მოსწავლეთა მკერ ხელნაწერი ჟურნალების გამოშვების შესახებ:

„...სახელოსნო სკოლაში წიგნების კითხვამ გამიტაცა, საჯარო ბიბლიოთეკას შევეჩვიე და იმდენად მოვმწიფდი, რომ საკუთარი ხელნაწერი ჟურნალი „თარი“ გამოვეცა. თვითონ ვწერდი და ვხატავდი კიდევ... „თარი“ გამოვეცი სამი თუ ოთხი ნომერი. აქ ვათავსებდი ლექსებს, მოთხრობებს. ასეთივე სათაურით სოსო ივანიძე¹ სკემდა ხელნაწერ ჟურნალს ჩემ და მუშების მონაწილეობით. ამავე ხანებში სხვა ჯგუფებსაც ჰქონდათ ხელნაწერი ჟურნალები...“²

დავუბრუნდეთ გაზეთ „ნაპერწყლის“ მიმოხილვას. კერძოდ, შევეხოთ მის ფურცლებზე გაშლილ პოლემიკასა და ავტორებთან ურთიერთობის საკითხს.

უნდა აღინიშნოს, რომ „ნაპერწყალში“ ტრადიციად დამკვიდრდა გამოსული ნომრების გარჩევა, კრიტიკული შენიშვნების გამოთქმა მათში მოთავსებულ მასალებზე, რაც გაზეთის თანამშრომლებს აჩვევდა კრიტიკულ აზროვნებას. ნომრების ასეთი გარჩევა მძლავრ სტიმულს იძლეოდა საიმპოსოდ, რომ „ნაპერწყლის“ ავტორებსა და მკითხველებს ერთობლივად ეზრუნათ გაზეთის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ხელნაწერი პრესის პრაქტიკაში ასეთი რამ შეგნაშნეთ მხოლოდ შალვა დადიანის „მოზარდის“ საქმიანობაში, რაზედაც უკვე გვქონდა ლაპარაკი.

„ნაპერწყლის“ პირველსავე ნომრებში რედაქცია მოუწოდებს მკითხველებს აქტიურად ჩაებან გაზეთის მუშაობას შესახებ აზრის გამოთქმაში. მოწინავე წერილში „თბილისი, 7-ს ღვინობისთვის“ (ე. ი. ოქტომბერს)³ საყვედურებია გამოთქმული მკითხველთა მიმართ, რომ მათ „ყური მოიყრუეს“, გაზეთს მასალებს არ აწვდიან

¹ სოსო ივანიძე სხვა ხელნაწერ ჟურნალშიც თანამშრომლობდა, სახელდობრ, „კანთიადში“, რომელიც 1893-1894 წლებში გამოდიოდა ივანე სულხანიშვილის რედაქტორობით. სოსო ივანიძის ფსევდონიმი ამ ჟურნალში იყო „აზიელი“. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ.

² იოგონების ავტორგრაფი დაცულია იოსებ იმედაშვილის ოჯახში. ამის შესახებ ცნობა მოგვაწოდა მისმა შვილმა პროფ. ვაიოზ იმედაშვილმა.

³ „ნაპერწყალი“, 1886, № 5. წერილის ავტორია „ცნობისმოყვარე“, ანუ რედაქტორი ი. მკედლიშვილი.

და დროის უქონლობას იმიზეზებენ. რაც ავტორს არასერიოზულ თავის მართლებად მიაჩნია. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ გაზეთში მკითხველთა წერილების ნაკადის შემცირება საკვირბოროტო საკითხებზე, მათი ინერტულობა აძნელებს რედაქციის მუშაობას, რადგან ფართო საზოგადოებრიობის აქტიური თანამშრომლობის გარეშე არ შეუძლია იარსებოს არც ერთ სერიოზულ გაზეთსო. წერილში შემდეგ ნათქვამია, რომ ვილაც ბ. ყ-ს დაუქაღია, „ნაპერწყალს“ გავაკრიტიკებო, მაგრამ დაბრუნება არ შეუსრულებია. ავტორი მოუწოდებს ბ. ყ-ს, რომ ნურაფერს მოერიდება, თამამად დაწეროს გაზეთის ნაკლოვანებათა შესახებ, რადგანო, დაასკვნის იგუ, კრიტიკას მეტსახელად ექიშ უწოდებენო. მოწინავეში ხაზგასმულია, რომ რედაქციამ „გაიცნო ერთი კარგი აზრის საზოგადოება“, რომლისაგანაც „მოელის ცოტა შეღავათს“. ე. ი. ავტორები საკმაოდ გვეყოლებათ. ცხადია, აქ გარეშე პირები — თბილისის საწარმოთა მოწინავე მუშები იგულისხმება, რომლებიც მკიდროდ იყვნენ დაკავშირებული სახელოსნო სასწავლებლების ახალგაზრდობათან.

ამავე ნომერში შ. ლახვარი (შ. საფაროვი) ათავსებს წერაღს რედაქტორისადმი, რომელშიც მას არასწორად მიაჩნია ისეთი ვითარება, როდესაც გაზეთის ზოგიერთ ნომერში ჭარბობს თვით ი. მკედლიშვილის (რედაქტორის) მასალები. იგი რედაქციის თანამშრომლებს მოუწოდებს გაზეთი რაც შეიძლება უფრო მასობრივი გახადონ. შემდეგ შ. საფაროვი აკრიტიკებს ზოგიერთი ავტორის (ვ. ფ-ლის, დ. გურულის, ჭაბუკისა და სხვათა) ნაწარმოებებს, მათ ძირითად ნაკლად აღიარებს მკვეთრად გამოხატული კლასობრიობის უგულებელყოფას. მისი აზრით, მუშათა გაზეთში, უპირველეს ყოვლისა, თვით მუშათა ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებულიო. და ეს სავესებით სწორი დასკვნაა.

შ. საფაროვის ამ წერილმა ფართო გამოხმაურება პოვა. ზოგიერთმა ავტორმა სწორად აღიქვა ზემოთ გამოთქმული შენიშვნები, ხოლო ზოგიერთი მტკივნეულად, არაჯანსაღად შეხედა მათ. ამ უკანასკნელთა შორის აღსანიშნავია დ. გურული, რომელიც თავის პასუხში („ნაპერწყალი“, 1886, № 6) შ. საფაროვს ირონიულად ბელინსკის უწოდებს. ავტორი შემდეგ აღნიშნავს, რომ მანდოდა პირადად მენახა ჩემი ოპონენტი და მეკამათა მასთან, მაგრამ, რადგანაც ეს ვერ მოხერხდა, იძულებული ვარ გაზეთ „ნაპერწყალის“ საშუალებით ვუპასუხოო. იგი თან თავს იმართლებს, რომ მე ლექსი ვილაც ვ. ფ-ს მიბაძვით არ დამიწერია და რომ ეს ლექსი არ არის „ფულურო და უმიზნო“, როგორც ამას კრიტიკოსა მისაყვედურებსო. შემდეგ ავტორი კითხულობს: ვთქვათ, მიბაძვით მქონდა და-

წერილი ლექსი, მერე ამაში რა არის ცუდიო? უუკოვსკიმ მწერლობა გოეთეს, შილერისა და შექსპირის მიბაძვით დაიწყო, ლერმონტოვმა — „პუშკინის კილოთი“, და ამიტომ განა ისინი უნიჭო აყვნენო? დ. გურული წერილის დასასრულს არასწორად შენიშნავს: „ნუთუ ყველა ლექსს სოციალური მიმართულება უნდა ჰქონდეს!“ დ. გურული, რა თქმა უნდა, ცდება. შ. საფაროვის საყვედური უდავოდ მართებულია, როცა იგი უსაგნო, მოქალაქეობრივ მოტივებს მოკლებულ პოეზიას აკრიტიკებს.

პოლემიკამ და ურთიერთსაყვედურებმა გაზეთში ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ რედაქცია იძულებული გახდა სპეციალური წერილით მიემართა მკითხველებისადმი („ნაპერწყალი“, 1886, № 5. ავტორი — ი. მკვდლიშვილი), რომელშიც იგი მკითხველებს სთხოვს ერთმანეთს უსაფუძვლოდ ნუ აკრტიკებთ, რათა ამით გაზეთი არ ააცდინოთ სწორი გზიდანო. მართალია რედაქციის განცხადებაში ეწერა, რომ პოლემიკასაც დაეთმობა ადგილი, მაგრამ ნაკლოვანებათა კრიტიკა საჭიროა საქმიანი იყოს, ხელს უწყობდეს რედაქციის მუშაობის გაუმჯობესებასო. „კრიტიკას, როგორც პითაგორის თეორემას, დამტკიცება უნდა“, — განაგრძობს ავტორი და დაწვრილებით არჩევს იმ უზუსტობებს, რომლებიც შეინიშნებოდა დასკუსიის მონაწილეთა გამოსვლებში, ბევრ მათგანს უსაყვედურებს არაობიექტურობას, მათ მიერ წამოყენებულ დებულებათა არგუმენტირების უუნარობას.

რედაქტორის პოზიციას ამ საკითხში იზიარებს ჩვენთვის უცნობი ავტორი „ნაპერწყლის“ 1886 წლის მე-7 ნომერში მოთავსებულ წერილში, რომელსაც „ერთი სიტყვა“ ჰქვია¹. ავტორი უკმაყოფილოა იმით, რომ პოლემიკის მონაწილეება მთავარს უგულვებელყოფენ: „დალოცვილებო, რა არის, რომ საზოგადო საქმე დაუვიწყეთ... აურიეთ...“ გაზეთის გამოცემა საზოგადო, საერთო საქმეა და წვრილმანი კინკლაობით მას ზიანს აყენებთო. ამასთანავე ავტორი მოკამათებს ბრალსა სდებს არაკომპეტენტურობაში: უუკოვსკიმ გოეთეს, შილერისა და შექსპირის მიბაძვით დაიწყო წერაო, რომ აცხადებთ, ეს სრამდღვილეს არ შეეფერება და საიდან აიღეთ ესაო. აჲ, რა თქმა უნდა, საქმე მხოლოდ ვ. უუკოვსკის შემოქმედების თავისებურებას როდი შეეხება. ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ 80-იანი წლების მუშებს, წინა წლების თავის თანამოძმეთაგან განსხვავებით, უკვე უფრო ფართო პორიზონტი გააჩნდათ, წარმატებით ეწაფებოდნენ თვითგანვითარე-

¹ წერილს ახლავს ასეთი ხელმოწერა: „დავრჩები თქვენი და „ნაპერწყლის“ ერთგული სანდრო“.

ბას, კერძოდ, კარგად იცოდნენ არა მარტო ქართული და რუსული, არამედ რამდენადმე უცხოური ლიტერატურაც. მოწინავე მუშათა ასეთი მაღალი ინტელექტუალური დონე შემდგომში მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მათ შორის მარქსისტული იდეების გავრცელების წარმატებას.

ამავე ნომერში მოთავსებულ წერილში „კრიტიკა“ მიმოხილულია „ნაპერწკლის“ წინა, მე-6 ნომერი. წერილის ავტორი იწონებს მოთხრობას „ნაპერწკლები“ და იანგოს ლექსს „სიმღერას“, საიდანაც მოპყავს ბოლო სტროფი და აღფრთოვანებას გამოთქვამს მისი თავისუფლებისმოყვარული სულისკვეთების გამო. წერილში გარჩეულია სხვა ნაწარმოებებიც, კერძოდ, გაკრიტიკებულია „ორატორის“¹ წერილი, რომელიც შ. საფაროვის წინა წერილის პასუხს წარმოადგენს.

აღნიშნულ საკითხს ეხება აგრეთვე ხელმოუწერელი მოწინავე წერილი „თბილისი, კე ლენინობისთვის“ (ე. ი. 25 ოქტომბერი)². მასში ლაპარაკია გაზეთის ფურცლებზე დ. გურულისა და შ. საფაროვის პოლემიკის თაობაზე. ავტორი ძირითადად ამ უკანასკნელს უჭერს მხარს მათ შორის წარმოებულ დავაში, მაგრამ ზოგ რამეს შ. საფაროვსაც უსაყვედურებს. ბოლოს კი სინანულს გამოთქვამს, რომ „ამ უსწორმასწორო ლაპარაკში გაზეთი იქყლიტება“.

ხანდახან მოწინავეში გაზეთის ცალკეულ ავტორებზეც არის საუბარი. მაგალითად, ხელმოუწერელ წერილში „თბილისი, იჭ გიორგობისთვის“ (ე. ი. 18 ნოემბერი)³ საყვედურებია გამოთქმული ფლის (ფანიანელის) მამართ. რომელიც თურმე განაწყენებულა იმის გამო, რომ ერთ-ერთი მისი ლექსი არ მოუთავსებიათ „ნაპერწკალში“, და ამიტომ მას თანამშრომლობაზე ხელი აუღლა; გაკრიტიკებულია მისი დამოკიდებულება ამხანაგებისა და მეგობრებისადმი, რომლებსაც ამ ინცადენტის შემდეგ გაუბრძნის და, რასაც კპირდება, არ უსრულებსო.

საპასუხო წერილში „ბატონო რედაქტორო!“⁴ ვ. ფანიანელი თავს იმართლებს იმაში, თუ რატომ აქტიურად არ თანამშრომლობს გაზეთში. მე სასწავლებელში ახალი შემოსული ვარო, ამბობს იგი, ახლა გაგიცანით თქვენ და ვსწავლობ ქართულ ენას⁵.

1 „ორატორი“, ეტყობა, დ. გურულის ფსევდონიშია.

2 „ნაპერწკალი“, 1886, № 8.

3 „ნაპერწკალი“, 1886, № 11.

4 „ნაპერწკალი“, 1886, № 13.

5 როგორც ზემოთ ითქვა, სასწავლებელში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

რამიც „ნაპერწყალიც“ მეხმარებო. ჯერ საკმარისად არა ვარ მომზადებული, რომ სტატიები ვწერო და სხვას ვასწავლო რამე, რადგან ჯერ თვითონ ვსაჭიროებ ცოდნის შეძენას და, თუ მაინც დამაინც მაძულებთ, რომ რამე დაწვირო, მოგაწვდით რამდენიმე შენიშვნას თქვენი გაზეთის შესახებო. ავტორი შემდეგ აკრიტიკებს (ზოგჯერ სავსებით სამართლიანად) „ნაპერწყლის“ ფურცლებზე მოთავსებული მასალების ენას. რედაქცია ამ წერილს სქოლიოებს ურთავს, სადაც ეკამათება ავტორის ზოგიერთ შენიშვნას.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, შემდგომში პოლემიკის ხასიათი მნიშვნელოვანწილად შეიცვალა, წვრილმანმა კინკლაობამ ადგილი დაუთმო საქმიან ტონს, საკითხების ზერელედ განხილვამ — ღრმა ანალიზს.

დასასრულ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პოლემიკასთან დაკავშირებით გაზეთში ლექსებიც კი თავსდება. მავალითად, ლექსში „უძღვნი ლახვარს“, რომელიც ხელმოწერილია ფსევდონიმით უცნობი¹, დაგმობილია შ. საფაროვის გალაშქრება „ნაპერწყლის“ ავტორთა წინააღმდეგ. ჩოლო ლექსში „უძღვნი «ნაპერწყლის» თანამშრომლებს“ იაგორ ანდრიანოვი² გულსტიკივლით შენიშნავს, რომ „ნაპერწყლის“ ფურცლებზე გახშირდა ერთმანეთის გაკილეა და დაცინვა; იგი ურჩევს ავტორებს ნუ ჩაინერგავენ გულში ერთმანეთის მტრობას.

„შორს, ბოროტებაჲ! შორს ჩვენგანი
კეთილს მოკვიდოთ, ძმაგ ხელი“, —

ამბობს პოეტი და მოუწოდებს „ნაპერწყლის“ თანამშრომლებს მეგობრულად მისცენ ხელი ხელს, ერთად იშრომონ, იყვნენ გულწრფელნი და პატიოსანნი, შეკრან ძმური კავშირი.

რამდენადაც ავტორებთან რედაქციის ურთიერთობაზე ჩამოვარდა სიტყვა, უნდა დავძინოთ, რომ რედაქცია ჩისტემატურად აფრთხილებს თანამშრომლებს: „თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა, ორიგინალებს გასწორებას აღსრულებაში მოიყვანს“ („ნაპერწყალი“, 1886, № 6); ანდა: „გაზეთში მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლიან. საგაზეთოდ დანიშნული წერილები გარკვევათ უნდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოითხოვს, შესწორდებიან“ („ნაპერწყალი“, 1887, № 1). ეს იმას ნიშნავს, რომ რედაქცია თავის კომპეტენციად თვლის შემოსული მასალების გასწორებას, ანუ

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 6. ამ ფსევდონიმის გამოფერა ვერ მოხერხდა.

² „ნაპერწყალი“, 1886, № 7. დაიბეჭდა აჭრეთვე წიგნში: „ლექსები უბის წიგნაკიდან იაგორ ანდრიანოვისა. თბ., 1907, გვ. 16-17.

რედაქტირებას, თანაც ზოგჯერ იგი უარსაც კი ეუბნება ამა თუ იმ ავტორს მასალების მოთავსებაზე, როგორც ამას შემდეგი სარედაქციო განცხადება მოწმობს:

„ვთხოვ ბატონთ თანამშრომლებს პირადად ნუ დამიწყებენ სჯას ან ლექსისა ან სტატიისა გამო, რომელიც არ გამოსულა ანუ დაკვირილა რედაქტორისაგან“¹.

უფრო მეტიც. გაზეთს შემოღებული ჰქონდა აგრეთვე სპეციალური რუბრიკი „ნაპერწყლის“ შიკრიკი“, რომლის სამუშაოებით გაზეთის ფურცლებიდან რედაქცია ესაუბრებოდა თავის ავტორებს მათი მასალების ავკარგიანობაზე, ზოგს ახალისებდა, აქებდა, ზოგს კი მასალას უწუნებდა, მახვილგონივრულად ეკამათებოდა.

„ნაპერწყლის“ ფურცლებიდან ჩანს, რომ გაზეთის მუშაობის საკითხი ზოგჯერ მოსწავლეთა საერთო კრების მსჯელობის საგანიც ხდებოდა. ერთ-ერთი ასეთი კრება გამართულა 1886 წლის 8 ნოემბერს, რომელზედაც სხვა საკითხებთან ერთად ლაპარაკი ყოფილა გაზეთ „ნაპერწყლის“ საქმიანობაზე. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ გაზეთი მოსწავლეთა კოლექტიურ ორგანოს წარმოადგენდა და ისინიც კოლექტიურად განიხილავდნენ მის ავსა თუ კარგს. მოწინავე წერილში ამის შესახებ ნათქვამია, რომ „ერთმა ჩვენთაგანმა“ ასეთი საჩივარი შემოიტანაო: „ბატონი «ნაპერწყლის» რედაქტორიო ჩვენს მოწაფეებს არ აკითხებს გაზეთს, არამედ გარეშე პირებსო“.

მაშასადამე, „ნაპერწყალი“ მარტო რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში კი არ ვრცელდებოდა, არამედ მას გარეთაც, რაც უდავოდ საინტერესო მოვლენას წარმოადგენს, რადგან მის ფურცლებზე მოთავსებული პროგრესული და რევოლუციური სულისკვეთებით დაწერილი მასალები ფართო მკითხველისთვისაც თურმე ხელმისაწვდომი ყოფილა.

მოწინავე წერილის ავტორი (იგივე რედაქტორი) შემდეგ თავს ასე იმართლებს ამ საყვედურის გამო:

„პირველი, ბატონო: დაიწერება თუ არა გაზეთი, მაშინვე თქვენს სადგურში (საერთო საცხოვრებელში? — შ. გ.) ვგზავნი. მე მგონია ბევრა ხანი არ მოუწოდებთ ერთი თაბახის წაკითხვას და ერთ ღამეში ყველანი გადააკითხავთ, ვინც ქართველობა ხართ.

შეორე: დანაჩინენ მოწაფეებს (ე. ი. იმათ, ვინც ერთად არ ცხოვრობდნენ. — შ. გ.) კარგად მოეხსენებათ, რომ ჩვენ საკუთარი გაზეთი გვაქვს და ამიტომ შეუძლიათ მოსთხოვონ წასაკითხად რედაქტორს და არა რედაქტორისაგან უნდა მოელოდნენ გარდმო-

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 11.

ცემას, რადგანაც მე ვერ ვადევნებ ყურადღებას — ვის წაუკითხავს და ვის არა.

მესამე: გარეშე პირები, რომელთაც მიაქვთ გაზეთი, ყველანა თანამშრომლები არიან¹.

ასეთი იყო ავტორებთან გაზეთ „ნაპერწყლის“ რედაქციის ურთიერთობა, რომლის მსგავსი რამ არ იცის ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების ისტორიაში.

დასასრულ, აქვე გვინდა მოკლედ შევეხოთ გაზეთის პროგრამასა და მიმართულებას. ამ საკითხზე დაწვრილებით საუბარი გეგმება მას შემდეგ, რაც გავაანალიზებთ „ნაპერწყლის“ ფურცლებზე მოთავსებულ მასალებს. მაგრამ წინასწარ მიინც საჭიროდ მივიჩნიეთ მკითხველს გავაცნოთ გაზეთის ერთი მოწინავე წერილი „თბილისი, პირველს იანვარს, 1887 წ-სა“², რომელშიც გადმოცემულია მისი საქმიანობის კრედო.

ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ მოწინავეში გადაჭრით უკუგდებულა ყოველგვარი ზომიერება. ამასთანავე, ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს ნაბეჭდი ორგანოების მუშაობით და მიიჩნია, რომ ისინი უფერულნი და ბრძოლისუნარიანობას მოკლებულნი არიან. შემდეგ მოწინავეში ნათქვამია:

„თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ შინაური ხელნაწერი გაზეთი სასტიკად აკრძალულია მთავრობისაგან. თუ შეიტყვეს, იმას აღარ უყურებენ, შიგ რა სწერია, პირდაპირ კანონით უჭრიან სასჯელს. მაშასადამე, ჩვენ ნურაფერი ნუ დაგვაბრკოლებს იმაზედ, რომ «ვაი თუ გავვიგონ და ამ ნაწერებზედ სასჯელი მოგვცენო». როგორც ზევით ვთქვით, იმათთვის სულ ერთია.

მაშასადამე, შეგვიძლია თამამად გამოვაქვეყნოთ გაზეთის ფურცლებზე, რაც გულში გვაქვს. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მთავრობის უსამართლობაზე, სარწმუნოებაზე... და სხვა... როგორც თავისუფლად ლაპარაკობენ გაზეთ «საერო თავისუფლებამში»³. მაშ, ჩვენი წინადადება მომავლის ნომრებისა-

¹ „ნაპერწყალი“, 1886, №10. ეს ფაქტიც არაპირდაპირ იმაზე მეტყველებს, რომ „გარეშე პირები“, რომლებიც რედაქციის მიერ თანამშრომლებად არიან აღიარებული, საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ გაზეთში. ამდენად, როგორც ამის შესახებ ზემოთ ვაკერით ითქვა, „ნაპერწყალი“. მხოლოდ რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა ორგანოდ ვერ ჩაითვლება, მას უფრო ფართო დიაპაზონი ჰქონია.

² „ნაპერწყალი“, 1887, № 17.

³ რა გაზეთია ეს? ცხადია, არალეგალური. მაგრამ ვისი? არა გვგონია, რომ მოსწავლეებისა ყოფილიყო, რადგან ამ შემთხვევაში მის შესახებ იუტილებლივ იქნებოდა ლაპარაკი წინა ნომრებში (ისევე როგორც მოსწავლეთა სხვა ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებზე), საერთოდ, ეს ფართო ორგანო სამეცნიერო ლიტერატურისათვის უცნობია.

თვის იქნება სოციალური მიმართულება (ბაზგასმა ჩვენია.—შ. გ.). ჩვენ გამოვხატოთ ჩვენი აზრი შემდეგ წინადადებებზე: რა სარგებლობას მოიტანს რესპუბლიკა? რა ვნება მოაქვს სარწმუნოებას? რა უკანონობას ეწვევიან მოსამართლეები? ამ წინადადებებზე რომ ვილაპარაკოთ და გავინსარჯოთ, ჩვენ აღარა გავვიჭირდებ: რა“.

ეს მოწინავე წერილი მეტად მრავლისმეტყველია. მასში ჩანს გაზეთ „ნაპერწყლის“ გამომცემელთა მთავარი მიზანი — ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ასე აშკარად და პირდაპირ იშვიათად თუ გამოუცხადებია XIX საუკუნის რომელიმე ხელნაწერ თუ ნაბეჭდ გაზეთსა ან ჟურნალს თავისი რადიკალური პროგრამა. ნიშანდობლივია წერილის სიტყვებუ იმის შესახებ, რომ მთავრობა რეპრესიებს მიმართავს ასეთი გამოცემების წინააღმდეგ და, თუ გავვიგებენ, სულ ერთია, პასუხს გვაგებინებენ, ამიტომ საჭიროა ვწეროთ პირდაპირ და გაბედულად. თანაც ჩამოთვლილია საკითხების წრე (მთავრობის უსამართლობა და უკანონობა, სარწმუნოების მავნებლობა, რესპუბლიკის დაარსების სარგებლიანობა და სხვ.).

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაზეთ „ნაპერწყლის“ პროგრამა რევოლუციური სულისკვეთებით არის გამსჭვალული. მაგრამ იმაზე, თუ რა სოციალურმა ძალებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა თვითმპყრობელობის დამხობაში. როგორია მუშათა კლასის როლი ამ საქმეში ან როგორი საზოგადოება უნდა შეიქმნას გამარჯვების შედეგად, გაზეთს მხოლოდ ბუნდოვანა წარმოდგენა აქვს. ეს ბუნებრივია, რადგან მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება, მარქსისა და ენგელსის იდეები გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ჯერ კიდევ ფართოდ არ იყო გავრცელებული საქართველოს მუშათა კლასში (როგორც ცნობილია „მესამე დასი“ საამისო საქმიანობის გაშლას 90-იანი წლებიდან შეუდგა).

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, გაზეთის ეს პროგრამა მკაფიო მაჩვენებელია მშრომელთა კლასობრივი თვითშეგნების გამოვლიძების დასაწყისისა და ამ თვალსაზრისით ქართული მუშათა პრესის ისტორიისათვის მას საქმოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის ახალგაზრდა მუშებთან-თვის რომ სოციალისტური იდეები უცხო არ იყო, ამას მოწმობს გაზეთ „ნაპერწყლის“ 1887 წლის მე-17 ნომრის ქვესათაური: „სოციალისტურ[ი] რევოლუციური[ი] სალიტერატურო[ი] გაზეთი“. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გაზეთში მოთავსებული თითქმის ყველა მასალა კონსპირაციის მიზნით ფსევდონიმებით

არის მოთავსებული. მუშათა სხვა არალეგალური ხელნაწერი ორგანოების გაცნობისას დავინახეთ, რომ მათში ყოველთვის ფსევდონიმი ნახმარი — ავტორთა ნამდვილი სახელი და გვარი თითქმის არ გვხვდება.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ახალგაზრდა მუშათა ხელნაწერი გაზეთი „ნაპერწყალი“, რა თქმა უნდა, გასაგები მიზეზების გამო არ იყო სოციალისტური ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ მას რადიკალური სოციალური მიმართულება ჰქონდა. ამაში ჩვენ კიდევ უფრო დავრწმუნდებით მასი პუბლიცისტიკის გაცნობით, რასაც ახლა შევუძლებთ.

პუბლიცისტიკას „ნაპერწყალში“ წამყვანი ადგილი უკავია და მასში ძირითადად სოციალური პრობლემებია აღძრული.

დავიწყოთ „ნაპერწყლის“ 1886 წლის მე-2 ნომერში მოთავსებული ფელეტონით „სიმართლის მატყებელი“, რომლის ავტორია ცნობისმოყვარე (ი. მკედლიშვილი). მასში მოთხრობილია მუშტაიდის ბაღში მოსეირნე ფუქსავატ და უზრუნველ ზალხზე-ორი ნაცნობი შეხვდება ერთმანეთს და საუბრობს ქვეყნის უსამართლობაზე. ერთი მათგანი ვიღაც ვაჰარზე, რომელიც მათ გვერდით ჩაუვლის ასე ამბობს: „ვინ იცის მას რამდენი კაცი მოუტყუებია, გაუცარცვავს და ისე უზრუნველად დადის, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო. ნუთუ ეს სამართალია?!“ შემდეგ მათ საუბარა გადააქვთ სოფლის ცხოვრებაზე და განსაკუთრებით ხაზს უსვამენ სამღვდელოების გაუმძღრობასა და გამომძალველობას. საამისოდ მკვალითიც მოჰყავთ. ერთ გლეხს ათი წლის ყმაწვილი გარდაცვლია, დიდი ხარჯი მოსვლია და მღვდლასთვის ერთი მანეთის მეტი ვერ შეუძლევია. ამაზე მღვდელი საშინლად გამწყარალა. მაშინ გლეხი იძულებული გამხდარა უკანასკნელი ავეჯი გამოეტანა სახლიდან და ვაჰართან დაეგირავებინა, რომ ეკლესიის მსახურისათვის ფული მიეცა. ერთი კვირის შემდეგ მღვდელი კვლავ გამოცხადებულა გლეხთან, ამჯერად პანაშვიდზე, რაღაც წაუბუტბუტებია და წასულა, მის მიერ გამოგზავნილ კაცს კი ცხენზე გადაჰიდებულნი ხურჯინით უამრავი სურსათ-სანაოვაცე და ღვინო წაუღია.

„ისე რომ, — დაასკვნის ავტორი, — ერთი ყმაწვილის დასაფლავება დაუჯდა გლეხს ხუთს თუმნამდის. ნუთუ ხუთი თუმანი ორს წელაწადში შემოუვა საწყალი მიცვალებულის მამას?! ან, ყელში როგორ ჩაუვიდა იმისი ღვინო და პური, რა სინდისი უნდა მოვსთხოვოთ მღვდლებს, როდესაც მაგისტანა საწყალ გლეხკაცს არ იბრალებენ“.

როგორც ვხედავთ, წერილი სამღვდელოებისა და ექსპლოატა-

ტორების წინააღმდეგ მეტად მძაფრად დაწერილ პამფლეტს წარომადგენს.

„ნაპერწყალი“ ცხადად და დამაჯერებლად მოუთხრობდა მკითხველს, რომ ზალხს არა მარტო სამღვდელოება და მდიდრები ყველფენ, არამედ მეფის მთავრობის ჩინოვნიკებიცო. წერილში „სიტყვა“ ავტორი დარიელი¹ იმედს გამოთქვამს, რომ, ვისაც „ცოტაოდენი სინდისიანი და სამართლიანი აზრი აქვს, ამ ჩემს მცირე სიტყვას დაეთანხმება“. ვინ იქნებაო, კითხულობს იგი, იმისთანა ცაცი, რომელიც აცნობდეს თავის მტერს და მას გულგრილად უყურებდესო. თქვენ იფიქრებთ, რომ ეს შეუძლებელიაო. მაგრამ, აი, ყველა ჩვენგანი ხედავს თავის მტერს, ექსპლოატატორს, რომლისგანაც დამაჯერებელი ვართ, ყურს კი არავენ იბერტყავსო.

ავტორი უკმაყოფილოა, რომ მშრომელები აქტიურად არ გამოთქვამენ პროტესტს მათი ექსპლოატაციისა და შევიწროების გამო, პასიურობას ამჟღავნებენ. ისინი გაჩუმებული არიანო, ამზობს ავტორი, თითქოს არაფრად აგდებენ იმას, რომ ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცებათო. ზოგიერთი ვერ ამჩნევს ამ ჩაგვრას, ზოგს კი, თუმცა ეს შეგნებული აქვს, მაგრამ თავის ბედს დამორჩილებიაო.

„მაშ. ძმებო, სულ ასე უნდა იყოს, ნუთუ საშუალება აღარაა აქვს საწყალ ზალხს? არა, არა! არ უნდა იყოს ეს ასე!“

წერილში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ ავიწროებენ მოსამართლეები ღარიბებს, რა განცხრობით ცხოვრობენ მდიდრები, რომლებიც ერთ სადილზე იმდენს ჭამენ და სვამენ, რომ იმით ერთი ოჯახი ერთ თვეს გაიტანდა თავს; იცვამენ ძვირფას ტანისამოსს და არა რცხვენიათ „საწყალი კაცისათვის უკანასკნელი გროშის გამოკრთმევა“, რომელსაც ისინი თავიანთ უზარმაზარ ქონებას უმატებენ და „მერე უგუნურად ჭვანტავენ თავისთვის და თავის არგასაზრდელი შვილებისათვის“.

ამ უსამართლოობით აღშფოთებული ავტორი, დასასრულ, მოუწოდებს ჩაგრულთ:

„ძმებო! მოთმენა ამისთანა უკუღმართობისა არის სირცხვილი და სიკვდილი. გვეყოფა ამდენი უსამართლობის მოთმენა. ნუ ვათქმევინებთ ნურავის, რომ ჩვენ ვართ უღირსნი შვილები ღირსეულის მამებო. აჩრდილები ჩვენი მამა-პაპისანი ადგებიან, გაგვიძღვებიან წინ და მოგვცემენ გამარჯვებას ჩვენს მტრებზედ. ავღგეთ ყველანი როგორც ერთი და მაშინ ძნელი იქნება ჩვენი შეპყრობა“.

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 6. დარიელი, ალბათ, ფსევდონიმი. ვის ეკუთვნის, ვაურობენ.

ავტორის აზრით, სასირცხო ცხოვრებას სიკვდილა სჯობია: „მაშ შერცხვეს იმას, ვინც კი არ მოეხმარება ამ საქმეში (მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. — შ. გ.) თავის ძმას... რომ მოვიხსნათ... მძიმე ბორკილები“.

რა თქმა უნდა, ამ წერილს კლასობრივი სიმძაფრე აკლია, ისიც დაუზუსტებელია, თუ ვინ და როგორ იბრძოლოს მჩაგვრელთა წინააღმდეგ. მაგრამ აქ საყურადღებოა ის სტიქიური პროტესტი, რომელიც წერილში გამოსკვივის არსებული წყობილების მიმართ, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად ზელს უწყობდა მუშათა კლასის კლასობრივი თვითშეგნების გამოლევძებას და ქმნიდა შესაფერ ნიადაგს მათ შორის მეცნიერული სოციალიზმის იდეების გავრცელებსათვის.

ერთ-ერთ მოწინავე წერილში „თბილისა, კე-ს გიორგობის-თვეს“¹ (ე. ი. 15 ნოემბერს), რომლის ავტორია დ. გურული, ლაპარაკია პატრიოტიზმის შესახებ, ჩაქსოვილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის დამახასიათებელი მოტივები. ჩვენს ახალგაზრდობაშიო, ნათქვამია წერილში, ძალიან გავრცელებულია ეგრეთ წოდებული პატრიოტობა. საითაც უნდა მივიხედოთ, არ შეიძლება არ გვესმოდეს ამ თემაზე საუბარი და „პატრიოტული კენესა-ტირილა“. დალოცვილები ყველანი ხმამაღლა გაჰყვირიან პატრიოტები ვართო. მაგრამო, დასძენს ავტორი, არა მგონია, რომ ყველა ამ „ინტელიგენციათაგანს“ ესმოდეს სიტყვა „პატრიოტის“ მნიშვნელობა, პატრიოტის მოვალეობაო.

შემდეგ პატრიოტობაზე გადმოცემულია ორი სხვადასხვა აზრი. ერთნი ამბობენ: პატრიოტი არის კაცი, რომელიც მისდევს მამაპაპურ ჩვეულებას, „იცვამს, იხურავს, სვამს, ჭამს, იმნაირად, როგორითაც მამაპაპებს უმოქმედნიათ“. მეორენი ამას ასე ხსნიან: პატრიოტი ის არის, ვისაც უყვარს სამშობლო, დედაენა, მოძმე, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობისათვის დღენიდაღ ზრუნავს. ავტორი იმ აზრისაა, რომ ნამდვილი პატრიოტობა მეორე მოსაზრებას უფრო შეეფარდება, და დაასკვნის: პატრიოტსო „უნდა ჰქონდეს მიზნად სამშობლოს გაუმჯობესება, დამოუკიდებლობა, მოძმის სიყვარული, ხალხის ზნეობრივი გასწორება, დაცემულის ფეხზე წამოყენება, დედაენის სიყვარული და სხვა“.

აქვე ავტორი უსაყვედურებს იმ ქართველებსა და სომხებს, რომლებიც თავიანთ შვილებს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას არ ასწავლიან. დ. გურული აღშფოთებული კითხულობს: განადასაშვებია, რომ კაცს წაერთვას უფლება დედაენაზე ილაპარაკოს,

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 12.

წერა-კითხვა ისწავლოსო? მეფის მთავრობის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამო, ამბობს ავტორი, ბევრი დააფიქრა და აღუძრა სურვილი მშობლიურა ენის შესწავლისაო. საჭიროა დედანაზე განვითარდეს ლიტერატურა, იგი ხალხს ჩაუნერგავს კეთილ გრძნობებს, გაანათლებს მის გონებასო, მან „უნდა გაუსწოროს ხალხს ხასიათი, უჩვენოს მისი ნაკლოვანება და მისგან განთავისუფლების საშუალება“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს წერილი თავიდან ბოლომდე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებთ არის გამსჭვალული და ამ მხრივ ძალიან ახლოს დგას ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა პოზიციებთან.

საინტერესო საკითხებზეა მსჯელობა მეორე წერაში „ახლანდელი მდგომარეობა ქართველებისა“¹, რომლის ავტორია იგივე დ. გურული. მასში ნათქვამია, რომ ინგლისელ ბანკირს როტშილდს განუზრახავს შეისყიდოს მთელი კავკასიის ვენახები, ევროპულად დააყენოს ღვინოები და საზღვარგარეთ გაიტანოს გასაყიდადო. რუსეთს როტშილდის დიდი ვალი აქვს და მთავრობა ცდილობს, როგორმე იგი თავიდან მოიშოროს და, აი რა გზითო. კავკასიის მამულები, სადაც კი მეღვინეობისათვის გამოსადეგი ვენახებია, ეკუთვნის უმეტესად ქართველ თავად-აზნაურებს, რომლებიც, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, „პრიკაზის“ ვალში არიან ჩაჯარდნილიო. მთავრობა სიხარულით მიჰყიდის როტშილდს აქაურ „პრიკაზში“ დაგირავებულ მამულებს — ამით როტშილდის ვალსაც მოიშორებს და თავის ვალსაც გაასაღებსო. ამას წინ არავინ გადაეღობებო, ამბობს ავტორი: „ჩვენი დამლუპველნი, სამშობლოს გამსყიდველნი თავად-აზნაურობა“ სიხარულით დაეთანხმებიანო, „ნამეტნავად, თუ ცოტაოდენი ჯიბის ფულიც მისცეს, მაშინ დედ-მამასაც დასთმობენ, არამც თუ მამულს“.

ავტორი აყენებს მნიშვნელოვან სოციალურ საკითხს მიწის თაობაზე: „განა მამული საერთო არ უნდა იყოს? გლეხს კი არ უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მამულში, როგორც თავადს?“ დ. გურული წერს, რომ გარეშე მტრებისაგან ამ მამულის დასაცავად გლეხის სისხლი იღვრებოდა და, სადაც სამართალია, მიწაც მისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირიქით კი მოხდაო. „მაშ რატომ გლეხებსაც არა აქვთ იმდენი მამული, როგორც თავადებს?“ ავტორის აზრით, ამ საქმეში ბრალა მიუძღვით მეფეებს, მმართველობის სისტემას: მონარქთა დასაყრდენ ძალას თავადაზნაურობა წარმოადგენდა, ისინი „უმეტეს წილად მეფეებთან ატარებდნენ დროს. მეფეებიც მცირე

¹ „ნაპერწკალი“, 1886, № 13.

სამსახურისათვის აჯილდოვებდნენ მათ მამულებით, ყმებით და სხვით... ამიტომ თავადები მდიდრდებოდნენ და გლეხები სწყდებოდნენ. მაშინდელიდან დაცემულნი გლეხნი ეხლაც ვერ წამომდგარან ფეხზე ზეირიანად“.

რა თქმა უნდა, ეს პრიმიტიული მსჯელობაა, მაგრამ ერთი კია — აქ სწორადაა აღნიშნული საზოგადოების დაყოფა ანტაგონისტურ კლასებად: ერთ მხარეზეა მეფე და თავადაზნაურობა, ხოლო მეორე მხარეზე — გლეხობა, რომელსაც სიღატაკე და უუფლებობა ტანჯავს.

ავტორი იმედს არ კარგავს, რომ მოვა ისეთი დრო, „როდესაც გამოაცხადებენ მამულის (ე. ი. მიწის. — შ. გ.) საერთო მფლობელობას, გლეხის, თავადის, აზნაურის გასწორებას...“ მართალია დღურული ოპტიმისტურად უყურებს მომავალს, მაგრამ ვერ ხსნის იმას, თუ როგორ განხორციელდება მიწის პრობლემის გადაჭრა.

ამ წერილის გაგრძელებაში, რომელსაც ოდნავ შეცვლილი სათაური აქვს — „დღევანდელი ქართველების მდგომარეობა“¹, ავტორი ხაზს უსვამს, რომ ყოველი ქვეყნის „სიამაყე, სიმაგრე დამოუკიდებლობა და ეკონომიური მდგომარეობა“ დამყარებულია სწავლა-განათლების დონეზეო. იგი ერთმანეთს უდარებს გერმანიასა და რუსეთს და იმ აზრისაა, რომ გერმანიის სოლიტკური და ეკონომიური მდგომარეობა უფრო მაღლა დგასო. ამის მიზეზად იგი მიიჩნევს იმას, რომ გერმანიაში სწავლა-განათლება უფასოდ არის გავრცელებულიო, ხოლო „თვალუწვდენელს რუსეთში გლეხებს კი არა, ათასობით შეხვდებით მაღალი წოდების კაცსაც, რომელმაც არამც თუ მეცნიერებანი, არამედ წერა-კითხვაც არ იციან ხეირიანად“.

რაც შეეხება კავკასიასო, ამბობს ავტორი, აქ განათლების საქმე გაცილებით უარეს მდგომარეობაშია, იგი უფრო დაბლა დგას, ვიდრე „რომელიმე უკანასკნელ სამეფოში, აქ ას ქართველს სასწავლებელში ეზრდება ორი ბავშვი და ეს სწავლის დაცემა არის შედეგი ჩვენის ეკონომიურის დაეარდნისა“. შემდეგ ავტორი აქებს ნორვეგიას, ჩვენთან შედარებით იქ სწავლა-განათლება ძალიან გავრცელებულიაო. ჩვენ კი ვდგავართ გულხელდაკრეფილი და ველით უცხოელებისაგან შველას: აქაოდა მოვლენ და აგვაშენებენო. ამასთან დაკავშირებით იგი ირონიულად შენიშნავს: „დიახ, როგორ არ აგაშენებთ, როცა ერთ წილს თქვენ გაძლევთ და ასს და ორასს წილს თვითონ იღებს. არ აშენდებით, მაშ რა მოგივათ?!“ ე. ი. უცხოელი კაპიტალისტების მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება, აღ-

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 16.

გილობრივი მშრომელი მოსახლეობის ექსპლოატაციის ხარჯზე გამდიდრება და არა საქართველოს ეკონომიკის აყვავებისათვის ზრუნვაო. ავტორის აზრით, ჩვენი ქვეყნის დაცემის მიზეზია უსწავლეობა, გაუნათლებლობა, ხეირიანი და შესაფერი სასწავლებლებია უქონლობა. იგი აკრიტიკებს მეფის მთავრობას იმის გამო, რომ ცოტა საშუალო სასწავლებლებს ჰქონდა, უმაღლეს განათლებაზე კი ლაპარაკი ზედმეტიაო. ავტორი აღშფოთებულია იმით, რომ კავკასიაში არ აარსებდნენ უნივერსიტეტებს, სამთო, ტექნოლოგიურ და სხვა ინსტიტუტებს. ეს მაშინო, ამბობს იგი, როცა საქართველოს ჯერ კიდევ უძველეს დროს რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდა (იყალთოში, გრემში და სხვ.), დღეს კი ერთის გახსნის უფლებაც არა გვაქვსო. ეს იმიტომ უფრო ხდება, რომ მმართველობას უნდაო „უფრო მკვიდრად გაუყარონ კლანქები გაუნათლებლობის გამო ჩვენს მიწა-წყლებს, ტყე-ველებს“, ე. ი. ხელში ჩაიგდონ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებით. ჩვენ რომ უმაღლესი სასწავლებლები გვქონდეს, ხალხი განათლებული იყოს, გვყავდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ამ მდგომარეობაში აღარ ვიქნებით, როგორც დღესა ვართო, „ჩვენს მამულებს აღარ მივაჩეხებდით: იმპერატორებს, შერემეტეევებს, ლისოვსკებს და სხვებს თითქმის მუქთად“, როგორც ეს თავად დავით აღლექსანდრის ძე ჭავჭავაძისა და სხვების შვილებმა გააკეთესო.

ავტორს მოჰყავს კიდევ ასეთი მაგალითი, სოფელ ართანასთან ერთ თუშს ოქროსა და ვერცხლის მადანი აღმოუჩენია. თავადმა ყარალაშვილებმაო „შეჭმნეს ყვირილი: მოდიო უცხოელებო: ფრანგებო, ნემეცებო, რუსებო... და მოუარეთ უთვალავ სიმდიდრეს, არა ჰსაჭიროებთ?!“ მართლაც, მოსულან ფრანგი ინჟინრები და თითქმის სულ მუქთად ჩაუფდიათ ხელში ეს მდიდარი საბადოები. არა ჯობდაო, ამბობს ავტორი, თვითონ ქართველებს მოეხმარათ თავისი სიმდიდრე. ასეთივე მდგომარეობაა შავი ქვის მადნის მობოვების საქმეშიც — იქაც თურმე უცხოელები ბატონობენ ყარალაშვილების მაგვარი ადამიანების წყალობითო.

დ. გურულის ამ წერილში წმინდა წყლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შეხედულებებია გადმოცემული. იგი ქადაგებს პროტექციონიზმს ადგილობრივი ქართველი ბურჟუაზიის სასარგებლოდ, განმანათლებლურ იდეებსა და სხვ. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აქ საკმაოდ მწვავედ არის მოცემული მეფის თვითმპყრობელობის კრიტიკა.

სწავლა-განათლების გავრცელებას საკირბოროტო საკითხებია

დასმული ხელმოუწერელ წერილში „წინ წადით!“¹ საგულისხმოა, რომ მისი ქვესათაურია: „ვეუძღვნი ტექნიკური სასწავლებლის ქართველთა მოწაფეთა“, ხოლო ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სიტყვები: „სწავლა უნდა იყოს ქვეყნის კეთილის ნაყოფის მომტანი!“ ავტორი მოუწოდებს „კეთილ მეგობრებს“ მუდამ წინსვლისაკენ ისწრაფოდნენ, რადგან ამას დროება და ცხოვრება გვიკარნახებსო. ჩვენ წინ ორა გზა არის გადაშლილიო: ერთი — უაზრო, უსაქმო დროის ტარებისა, უზრუნველობისა, მეორე — მძიმე შრომისა; პირველი ყვაელებითაა მოფენილი, მეორე ეკლით. მაგრამ პირველს დაღუპვასაკენ მიჰყავს კაცი, მეორეს — განთავისუფლებისაკენო. შემდეგ ავტორი ამატრახებს უკან ჩამორჩენის, რუტინის მოყვარულებს, ვისაც პროგრესი აზაფრად მიაჩნია. საზოგადოების წინსვლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, ავტორის აზრით, არის სწავლა-განათლების მაღალი დონე და ერთობა. ეს წერილი მთავრდება იანგოს (იაგორ ანდრიანოვის) უსათაურო ლექსით, რომელიც მკითხველებს მოუწოდებს გამოეხიზლდნენ, სწავლის სურვილი გაიცხოველონ, ბნელი გაფანტონ და ნათელ აზრებს ეზაარონ, ამ კვალს მისდიონ და წყლულები განიკურნონ. ბოლოს ლაპარაკია სწავლის ერთგულებაზე, მამულისა და მშობლიური ენის სიყვარულზე.

დ. გურულის ნაწერებში თავიზი სოციალური და კლასობრივი სიმძაფრით გამოირჩევა სტატია „მილოცვა“². ავტორი მიმართავს „ახალ თაობას“ და ულოცავს მას ახალ წელს: „დაესწარი მრავალს კაცობრიობის სასარგებლოდ, მოძქეს და სამშობლოს სანუგეშოდ, დაიმსახურე ნამდვილა სახელი მამულიშვილისა“. მისი ღრმა რწმენით, აზაფრად ღირს იმ კაცის ჰიცოცხლე, რომელსაც თავისი ქვეყნისათვის, საზოგადოებისათვის რაიმე სარგებლობა არ მოაქვს.

იქვე ავტორი დასძენს. რომ ახალი წელი მისალოცად სასიამოვნო იქნება მაშინ, როდესაც „კაცობრიობას მიენიჭება ახალი სასარგებლო რამე“ ან „გაუმჯობესება ებოძება“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი სიტყვები: „რად გვინდა, ძმებო, ახალი წელიწადი, როდესაც ძველი ტვართა — მონობა კისერში გვაწევს. როცა ამ ტვირთს მოვიშორებთ, მაშინ იქნება ჩვენთვის ძველიც — ახალი წელიწადი“.

შემდეგ სტატიაში ლაპარაკია დასავლეთ ევროპის ქვეყნების მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლებზე, კერძოდ, აღწერილია,

¹ „ნაპერწკალი“, 1886, № 14.

² „ნაპერწკალი“, 1887, № 17.

თუ რისთვის იბრძვის ირლანდიის ერი, რას მოითხოვს და რას ესწრაფვის. მოკლედ გადმოცემულია ინგლისელების მიერ ირლანდიის დაპყრობის ისტორია. ავტორი მოგვითხრობს, ინგლისის პრემიერ-მინისტრი გლადსტონა რა გზით აპირებდა აჯანყებულ ირლანდიელთა დაშოშმინებას და რამ გახადა იძულებული გადამდგარიყო...

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ირლანდიელების ეროვნულ-გაქმათავისუფლებელი მოძრაობის გაშუქებასთან ერთად დ. გურული იძლევა ორიგინალურ სოციალურ დაკვირვებებს: „ირლანდია და საზოგადოდ ინგლისი უმეტეს ნაწილად დასახლებულია უმამულო მუშა ხალხით (პლებეებით), რომელთა მამული აქვთ ხელში ჩაგდებული ლორდებს (პატრიციებს). აქ თქვენ შეხედებით ისეთ მღაღარ ლორდებს, რომელთაც აქვთ ერთი და ორი დღის სავალი ტყე-ველი, მაშინ როდესაც ათასობით არიან მუშები, რომელთაც არ იციან თავი სად შეაფარონ... ინგლისში და ნამეტნავად ირლანდიაში უმამულობის და, მამასადამე, შიმშილისა გამო დიდი ამბოხება ხდება ხოლმე. ერთი შესანიშნავი არეულობა მოხდა ამ ორი წლის წინათ, რომელმაც ჩააფიქრა მთელი ევროპა. ამათ მოჰყვა მუშების არეულობა საფრანგეთში, პორტუგალიაში, ბელგიაში...“ ავტორი აღნიშნავს, რომ მქონებელმა კლასებმა სამხედრო ძალების გამოყენებით, ბელგიის გარდა, მუშების გამოსვლები ყველგან დაამარცხეს და სისხლში ჩაახრჩვესო. ბელგიელებმა „დაგვანახვეს მაგალითი, რომ შეიძლება მუშები ჯარს გაუმაგრდნენ, თუ მოინდომებენ. მუშები შეებნენ ჯარს და ისეთი დღე დააყენეს... ჯარი იძულებული იყო თავიანთა სარდლებით უკუქცეულიყო და დაეთმო ბრძოლის ველი მუშებისათვის“. ავტორი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ მემბოხენი მიწასა და თავისუფლებას მოითხოვდნენ. აი, სულ თავისუფლებისათვის იბრძვის ამდენი ხალხი მთელს მსოფლიოში, ამბობს იგი და ასე მიმართავს თანამოძმეთ: „ნუზრავინ ვიფიქრებთ, რომ ჩვენი მდგომარეობა რითიმე სჯობდეს ირლანდიელებისას, ნურც ჩვენ მოვიყრუებთ ყურს, ხმა ავიმალლოთ...“

თავის ნათქვამს მეტი ზემოქმედებითი ძალა რომ შესძინოს, დ. გურული განაგრძობს: „ავიღოთ ჩვენ მდგომარეობაზე უფრო ახლო მყოფნი ბოლგარნი და მათი ამბოხება“, ისინაც თავისუფლებას მოითხოვდნენო.

განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის ინტერნაციონალისტური იდეები, რომელიც ამ სტატიას წითელ ზოლად გასდევს: „...ნუ გეშინიათ, ძმებო, აღვიკუთრვით გაბედულებით და მივცეთ ხმა მოძმეთ. ერთ ბედს ქვეშა ვართ დღეს: ქართველნი, სომეხნი, პოლიაკნი და მალოროსნი. მივცეთ ხელი ერთმანეთს ჩვენ დაპყრობებმა“

და გადავიქცევით არა თუ «ნაკვერჩხლად», არამედ «მუგუზლა-დაც»¹ და განთავისუფლების ხანძარს დავანთებთო. ავტორი იმის რჩევასაც იძლევა, თუ როგორ იმოქმედონ: „მივყოთ ხელი პრობაგანდობას (პროპაგანდისტობას. შ. გ.), შთავაგონოთ ხალხს მამულის სიყვარული, თავისუფლების სარგებლობა, მონობის ჰისაძაგლე, განათლების აუცილებლობა, ჩვენ უნდა მოვამზადოთ ხალხი დიდი ცვლილებებისათვის“.

ამ საქმეშიო, ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი, ჩვენ მარტონი როდი ვართ: „ნუ გგონიათ მარტო ჩვენ ვიბრძოდეთ თავისუფლებისათვის. რუსეთში ათასობით დადიან ეგრეთ წოდებული სოციალისტები ხალხის მოსამზადებლად... რუსები უფრო ნდომობენ თავისუფლებას, ვინემ ზოგი ჩვენთაგანი“. აქ მთელი გულახდილობითა და სიმართლით ნაჩვენებია რუსი მუშათა კლასის წამყვანი ისტორიული როლი რუსეთის ყველა ერის მშრომელთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მათ რევოლუციურ ბრძოლებში. განა რუსები არ იყვნენ. განაგრძობს შემდეგ ავტორი, სამშობლოს თავი რომ შესწირეს და იმპერატორ ალექსანდრე II ბოლო მოუღესო!

ავტორის ღრმა რწმენით. სანუკვარი მიზნის მიღწევისათვის — თავისუფლების მოპოვებისათვის საჭიროა, რომ გაერთიანებულ ძალებით შეუტიონ თავიანთ კლასობრივ მტერს. სისხლისმსმელებზე და აზიარელებზე გამარჯვების გარანტია მხოლოდ ყველა ეროვნების მუშათა თანამეგობრობაშიაო, ამბობს დ. გურული. ცხადია, ეს სიტყვები კომენტარებს არ საჭიროებს. გავიხსენოთ მხოლოდ, რომ ეს ნათქვამია ჯერ კიდევ 1887 წელს! ამრიგად, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ჩასახვამდე საქართველოს მუშათა კლასში შეიქმნა და ჩამოყალიბდა შესანიშნავი ინტერნაციონალისტური ტრადიციები. ჰხვა დანარჩენებთან ერთად იმითაც არის ძვირფასი „ნაპერწყლის“ მოღვაწეობა, რომ ყურადღებას ამ მნიშვნელოვან ფაქტზე ამახვილებს.

ერთ თავის სტატიაში² ი. მკედლიშვილი მოკლედ გადმოგვცემს რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიას, სადაც ვკითხულობთ: „ხალი წელი დადგა და ჯერ არავინ არ იცის მას რა მოჰყვება — სიმართლე გაიდგამს ფესვებს თუ უსამართლობა?!“ ავტორის თქმით, უსამართლობას ფრთები შეეკვეცება და „სიმართლის მაძიებლები“ გამრავლდებიან.

¹ ტექსტში კონსპირაციის მიზნით ალექსანდრე II ნაცლად წერია: ა—ე ბ (როგორც ვიცით, ქართულში „ბ“ ასო რიცხვით მნიშვნელობაა 2, resp. 11).

² „ნაპერწყალი“, 1887, № 17.

ი. მკედლიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ „სიმართლის ქადაგება“ დაიწყო სამოციან წლებში¹ და დღესაც გრძელდება: „ისინი (სოციალისტები) ჰქადაგობენ ერთობას, გლეხების განთავისუფლებას იმ მძიმე უღელსაგან, რომელიც კისერზე აწევთ და ამასთანავე საერო მმართველობას (республика)“. ზემოაღნიშნული „სოციალისტები“ — ეს, რა თქმა უნდა, ხალხოსნებია და ავტორი ამ სტატიაში მარტივად გამოხატავს ხალხოსნურ შეხედულებათა არსს. „ამ მიზნის სისრულეში მოყვანისათვის, — განაგრძობს იგი, — ცოტა ნასწავლი ყმაწვილკაცობა კი არ დაილუა?!“ ამ ახალგაზრდებს დამთავრებული ჰქონიათ უმაღლესი სასწავლებლები, შეეძლოთ შესულიყვნენ სამსახურში და მშვიდად ეცხოვრათ, მაგრამ ასე როდი მოქცეულანო. მათ ეცოდებოდათ თავიანთი მოძმენი, რომლებიც „იტანჯებოდნენ, ოფლს ღვრიდნენ და ხელში კი არა ეჭირათ რა“. მათ აღაშფოთებდათ ის, რომ გლახს ყველა ჩაგრავს და ცარცვავს — მემამულეები და ვაჭრები, ჩაფრები, გზირები და მღვდლებიო. ამ აღამიანებს, როდესაც ასეთ უსამართლობას უყურებდნენ, გულში აღედრათ სურვილი დაეხსნათ ხალხი ტანჯვისაგან და თავი გადადეს ამ საქმისთვისო. შემდეგ ავტორი აღნიშნავს, თუ რა შედეგი მოიტანა მოწინავე აღამიანთა ბრძოლამ საფრანგეთში ამ მიმართულებით, და ხაზს უსვამს, რომ „დღეს საფრანგეთში ისეთი თავისუფლება აქვთ გლეხებს, რომ ჩვენს გლეხებს სიზმარშიაც არ უნახავს...“ ასევე ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობაც თავს დებს ფრანგების მსგავსად თავისი კეთილშობილური მიზნების მისაღწევადო.

ჩვენშიო „სიმართლის მქადაგებელი“, ამბობს ავტორი, წინათ თითო-ოროლა თუ იყო, შემდეგ კი, რაც წლები გადიოდა, მათი რიცხვი სულ უფრო მრავლდებოდა. „ეხლა ახალი წელი იმისთვის იქნება ჩვენთვის სასიხარულო, — განაგრძობს იგი, — რომ ამ რიცხვს, რომელიც დღეს არის, მოემატება კიდევ რიცხვი და თვლით გადაჯარბებს წინააღმდეგებს, მაშინ თამამად შეუძლიათ გაშალონ თავისუფლების დროშა და დაიძახონ: «თავისუფლება!», «რესპუბლიკა!», მაშ მოადით, ძმანო, ქართველების ახალგაზრდობამ მივსცეთ ხელი რუსიას და უფრო თამამად დავიძახოთ ზემოხსენებული სიტყვები“.

ამ სტატიაში, მიუხედავად მისი ზალხოსნური ხასიათისა, ძალუმად ჩქეფს თავისუფლებისათვის მებრძოლთა ინტერნაციონალური ერთიანობის, ყველა ერის ჩაგრულთა ძმობის კეთილშობილური იდეები.

„ნაპერწყალი“ დიდ ყურადღებას უთმობს მუშებისა და გლეხების

¹ ი. მკედლიშვილს მხედველობაში აქვს 60-იანი წლების რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეები.

აუტანელი მდგომარეობის, კაპიტალისტებისა და მემამულეების მიერ მათი მხეცური ექსპლოატაციის ჩვენებას. მაგალითად, გლეხების მიძიმე მდგომარეობას ეხება ი. მკედლიშვილის წერილი „გორელას ჩივილი“¹. იგი მეფის მმართველობის ლანძღვით იწყება: „ღმერთმა დასწყევლოს ჩვენი მთავრობის და ზასტავების უფროსების თუ რაღაც ნაჩაღნიკების თავი“, რომლებიც დღენიდაღ საწყალ ხალხს ავიწროებენო. შემდეგ მოთხრობილია ერთი გლეხკაცის თავგადასავალი. მას თურმე ორი დღის სახნავზე ათი კოდი პურის მოსავალე მოუწევია და დაუპირებია მისი ნახევარი ქალაქში გასაყიდად წაელო, რომ აღებული ფულით გადასახადები გაესტუმრებინა. „ნეტავ ვიცოდე, — ამბობს გამწარებული გლეხი, — იმ ოჯახდასაქცევებს რად უნდათ ამოტოლა ფული, რომ ეგრე გვყლეფავენ და გვარბევენ. რისთვისაო კაცო, რად მართმევს ფულსა? პაპაჩემს არ მართებია იმისი ვალი და მამაჩემს. ჩემი ჯიბიდან იღებენ და ვილაცა ოხერი ჩინოვნიკიაო იმას კი აძლევენ, ნეტავ ვიცოდე რისთვისაო?“

გლეხი წამოსულა ქალაქისაკენ და ერთ ადგილას გზა ხის დიდი მორით გადაღობილი დახვედრია. მოუწადინებია მისი აღება, მაგრამ ამ დროს მოხელე მისულა მასთან და ფული მოუთხოვია: აქაოდა ეს გზა ხელმწიფეს ეკუთვნის, უფულოდ ვერ გაგატარებო. გლეხი დამუქრებია: გამიშვი, თორემ სახრით ზურგს აგიჭრელებო. გაბრაზებულ მოხელეს მოუხმია ჩაფრები და საწყალი გლეხი სულ მათრახებით უცემიათ, შინ ცოცხალ-მკვდარი ძლივს მიუტანიათ.

გლეხების გაყვლეფის, მათი უმოწყალო ჩაგვრისა და დამცირების არაერთი სხვა სურათიცაა ამ წერილში დახატული.

აღნიშნულ თემას ეძღვნება გაზეთის იმავე ნომერში მოთავსებული სტატიაც „სიტყვა (თქმული ერთ-ერთ ანგლიის წრეში — კრუჟოკში)“, რომელიც ი. მკედლიშვილს თითქოს უთარგმნია, როგორც ამას გვაუწყებს მინაწერი: „გადმოთარგმნილი ცნობისმოყვარისაგან“ (ი. მკედლიშვილის ფსევდონიმია). პირველივე სტრიქონებიდან ავტორი გამოთქვამს თავის გულისწყრომას არსებული წესწყობილებების მიმართ: „რა ნება აქვს მთავრობას, რომ ამოდენა ხარჯს ადებს საწყალ ხალხს?“ — კითხულობს იგი და აღწერს იმას, თუ მთავრობისა და მდიდრების წარმომადგენლები როგორ ფანტავენ ხალხის ძარცვით აღებულ ფულს, რა განცხრომითა და ფუფუნებით ცხოვრობენ თვითონ. სტატიაში მოყვანილია სახელმწიფო ორგანოების მხრივ ძალადობისა და მშრომელთა ძარცვის მრავალრიცხოვანი ფაქტი. მაგალითად, დაწვრილებით არის ლაპარაკი იმ თვითნებობაზე, რასაც მოხელეები ე. წ. „ზასტავებში“ სჩადიან: ხალხს ფულს

¹ „ნაბერწკალი“, 1887, № 1.

ართმევენ, მაგრამ იგი გზების გაუმჯობესებას კი არ ხმარდება, არამედ მოხელეების ჯიბეში მიდისო. „აბა, შეხედეთ, რა საძაგელი გზებია? — ამბობს ავტორი და ხაზს უსვამს მთავრობის უკანონობას: — ზასტავებში ფულის გამორთმევა არის ყველფა და ცარცვა საწყალი კაცისა, სხვა არაფერი“. ი. მკედლიშვილი ასეთი უსამართლობისა და შევიწროების მართო აღწერით არ კმაყოფილდება და მოუწოდებს ხალხს ენერგიული მოქმედებისაკენ, უკომპრომისო ბრძოლისაკენ: „აღვდგეთ ყველანი როგორც ერთი კაცი და დავამტკრიოთ ყველა ზასტავები. დაე ჩვენმა მოქმედებამ აშკარად დაანახვოს მთავრობას, რომ... აღარ შეგვიძლია მოვითმინოთ ამოტენა უსამართლობა.“ წერილი თავდება სიტყვებით: „სცხვენოდეს მას, ვინც უარყოს შეველა ჩვენი სამშობლოსი და მოხსნა საუკუნოდ მძიმე ბორკილისა“.

აქვე შევნიშნავთ, რომ არავითარ ინგლისის წრეებსა და „კრუჟოკებში“ ასეთი საუბარი არ შეიძლებოდა გამართულიყო. სად ინგლისის და სად წმინდა რუსული „ზასტავები“! მინაწერის მითითებაც, რომ სტატია თარგმნილიაო, მხოლოდ კონსპირაციული მოსაზრებით არის ნაკარნახევი.

თავისუფლებისმოყვარეობის იდეებია გატარებული დ. გურულის წერილში „მოულოდნელი სიზმარი“¹. მისი შინაარსი ასეთია: გაჭირვებულ, ღარიბ კაცს ჩაეძინება და სიზმარში იარაღასხმული უცხო რაინდის სახით გამოეცხადება გლადსტონი², რომელიც თავს დასძახის: „მოახლოებულ არს უამი საკვირველის ცვლილებისა და კაცობრიობაში საერთო ამბოხებისა, მონობის დაცემისა, თავისუფლების აღდგენისა, კაცობრიობის წარმატებისა, სამშობლოს გამოსნისა“.

უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორის მსჯელობას გულუბრყვილობის ბეჭედი აზის. რატომღაც იგი ინგლისის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს გლადსტონს განსაკუთრებულ მისიას ანიჭებს ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების საქმეში: „მე ვარ ინგლისის ერთი წარმომადგენილოთაგანი გ-ტონი (გლადსტონი. — შ. გ.) და მოგველინეთ

¹ „ნაპეიწყალი“, 1887, № 2.

² უილიამ გლადსტონი (1809-1898) ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე იყო. სხვადასხვა დროს ეკავა მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის პოსტები. ატარებდა კონსერვატორების ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, თუმცა თვითონ ლიბერალური პარტიის ლიდერი იყო. 1882 წელს მან ეგვიპტეში ჯარები გაგზავნა, მკაცრად ახშობდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას ირლანდიაში და სხვაგან. მის რეაქციულობაზე ისიც მეტყველებს, რომ აშშ-ში სამოქალაქო ომის დროს გამოდიოდა სამხრეთის შტატების მონათმფლობელთა დასაცავად. კ. მარქსის სამართლიანად უწოდებდა გლადსტონს კახუისტსა და არქიპირფერს (კ. მარქსი დ. ე. ფ. ენგელსის ო. თხზ., მე-2 რუს. გამოც., ტ. 35, გვ. 140). ჩანს „მოულოდნელი სიზმრის“ ავტორისათვის უცნობი იყო მთელი ეს სინამდვილე უ. გლადსტონის შესახებ.

იმიტომ, რომ შთაგაგონით ევროპის ეხლანდელი სურვილი და ნოტა გარდმოგცეთ. მოახლოვდა უამი საქვეყნიერო ცვლილებისა, დღეს გარდაწყდება ევროპის და მასთან კაცობრიობის... ბედი და უბედობა. დღეს უნდა მიენიჭოს მუშებს, მონებს თავისუფლება“.

ბუნებრივია, რომ ეს ფანტასტიკური ღითიარამებები გლადსტონის მისამართით ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ ავტორი ასეთ აზრებს გამოთქვამს, ზოლო თუ ვის ეკუთვნის ეს აზრები, შეიძლება ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდეს. თანაც საგარაუდოა, რომ ყოველივე ეს უფრო კონსპირაციული მოსაზრებებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, ისევე როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევებში. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებენ ავტორის შემდეგი მსჯელობა, როდესაც იგი თავის თანამემამულეებს მოუწოდებს ბრძოლისა და ამბოხებისაკენ, ძალების გაერთიანებასა და „ხმლის მოქნევას“ ურჩევს მათ. დასასრულ, ავტორი წერს, თუ რა დაუბარა გლადსტონმა: „ეხლა თქვენ გაწევთ ხალხის მომზადების მოვალეობა, რომ შთაგონით მდაბალს ხალხს: „მონობის სისაძაგლე, თავისუფლების საჭიროება, ჩვენი განზრახვის სარგებლობა, დღევანდელი მმართველობის მტარვალობა“; შთაგონით, რომ „ქვეყნა“ უახლოეს ხანში მოხდება და სათანადოდ მოემზადეთ, რათა არ შერცხვეთ ბრძოლის ველზეო.

გლადსტონი რომ ნამდვილად ფიქციაა, აქ კიდევ უფრო აშკარად ჩანს. ბრიტანეთის იმპერიის ისეთი ბურჯი, როგორიც იყო გლადსტონი, არათუ დაჩაგრულ ხალხზე არ ზრუნავდა, პირიქით, მთელი მისი მოღვაწეობა დამონებული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული. მით უმეტეს, „ნაპერწყლის“ თანამშრომლებს ამ პიროვნების შესახებ მაინც ჰქონდათ შექმნილი გარკვეული აზრი. გავიხსენოთ თუნდაც იმავე, დ. გურულის სტატია „მილოცვა“ („ნაპერწყალი“, 1887, № 17), რომელშიც როგორც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, იგივე გლადსტონი გამოყვანილია როგორც ინგლისის იმპერიალიზმის მიერ დამონებული ირლანდიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩამხშობი. ამრიგად, ჩვენი აზრით, გლადსტონის დასახელება „მოულოდნელ სიზმარში“ კონსპირაციული მოსაზრებებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

შიუხედავად ყოველივე ამისა, დ. გურულის ეს წერილი საერთოდ პროგრესული აზრებით არის გამსჭვალული და სავსებით შეესატყვისება „ნაპერწყლის“ პუბლიცისტიკის მეზობლო სულისკვეთებას.

„ნაპერწყალი“ მრავალგზის უბრუნდება ქვეყნად „სიმართლისა და უსამართლობის“ საკითხს და, რაც მეტად წინანდობლივია, მას აბსტრაქტულად კი არ განიხილავს, არამედ, პირიქით, ცდილობს

მოგვეცეს მისი სოციალური აზრთა. ამ მხრივ დამახასიათებელია ი. მკედლიშვილის წერილი „სიმართლე და უსამართლობა“¹. ყველგან უსამართლობა სუფევს, აცხადებს ავტორი და აღწერს მუშებისა და გლეხების უმწეო მდგომარეობას, მათ გაღატაკებასა და ერთი მუჟა ექსპლოატატორების განდიდრებას:

„დაივლი შენ სოფლებს: მთელი ხალხი მუშაობს, ოფლსა ღვრის, თითქოს კატორღაშიაო. სჭამს ხმელ პურს, თვალებიდან თან ცრემლი ეფრქვევათ. ერთი ბეწო მუჟა ხალხს თავადებისას და ვაჭრებისას მთელს თავის სიცოცხლეში არა უყეუებია რა, მაგრამ ისე არიან გავსილი ფულით, რომ არც კი იციან საით გადაყარონ! განა აქ სიმართლეა? აქ არ სუფევს სიმართლე. ეს არის სამეფო უსამართლობისა!

დაივლი მთელს ქალაქს და აქ დაინახავთ ქარხნებში და ფაბრიკებში ათასობით ხალხს დილიდან საღამომდის წვალბულებს როგორც ჯოჯოხეთში, მაგრამ შიმშილით კი სული ამოსდით. გროვა მდიდრებისა კი იმათი ნაშრომით უმატებენ თავიანთ აუარებელ სიმდიდრეს. განა აქ სიმართლეა?!“

ამ სტრიქონებში მკაფიოდ არის ნაჩვენები ის მხეცური ექსპლოატაცია, რასაც მუშებსა და გლეხებს კაპიტალისტები და მემამულეები უწევდნენ. ზაითაც არ უნდა წახვიდეთ, ამბობს ავტორი, ვერსად შეხვდებით ისეთ კუთხეს, სადაც სიმართლე მეფობსო. მაგრამ ტირილი იმაზე, რომ უსამართლობამ მოკლა სიმართლე და დედამიწის ზურგზე იგი აღარ არისო, ავტორის აზრით, არაფერს გვარგებს, არამედ საჭიროა ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, კაცობრიობის ნათელი იდეალების განხორციელებისათვის.

უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს — „ნაპერწყალში“ ცენზურის მიერ აკრძალულ ნაწარმოებთა მოთავსებას. როგორც ცნობილია, ცენზურა განსაკუთრებით მძინვარებდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, რაც განპირობებული იყო საერთოდ პოლიტიკური რეაქციის გაძლიერებით რუსეთის მეფის ალექსანდრე II მკვლელობის (1881 წლის 1 მარტი) საპასუხოდ. 1882 წელს მთავრობის მიერ შემოღებულმა „დროებითმა წესებმა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“ მნიშვნელოვნად გააუარესა მოწინავე ჟურნალისტიკის მდგომარეობა როგორც რუსეთის ცენტრში, ისე მის განაპირა რაიონებშიც, კერძოდ, საქართველოშიც. ცენზურა კრძალავდა არა მარტო იმას, რომ პუბლიცისტურ წერილებში კრიტიკული აზრი ქოფილიყო გამოთქმული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, არამედ ღვენიდა ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებსაც, რომლებიც რაიმე

¹ „ნაპერწყალი“, 1887, № 2. წერილს ქვესათაურად აქვს: „ფიქრი რუსულით“.

მხრივ ეწინააღმდეგებოდა ოფიციალური იდეოლოგიის მოთხოვნებს. მეფის ცენზურის დამოკიდებულება ჩვენი ლიტერატურის კოროფების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძისა და სხვათა შემოქმედების მიმართ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ არის შესწავლილი და ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აქ მხოლოდ შევეცდებით გავარკვიოთ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების პოზიცია, მათი დამოკიდებულება ცენზურის მიერ აკრძალული ნაწარმოებებისადმი.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლები დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ აკრძალულ ნაწარმოებთან მიმართ, ცდილობდნენ ემოვათ ჩინი, რათა თავიანთ ორგანოთა ფურცლებზე მოეთავსებინათ. ჩვენი აზრით, ქართველი მწერლების ზოგიერთი აკრძალული ნაწარმოების გამოქვეყნების თარიღი უნდა გადაიხინჯოს და ერთგვარი კორექტოვები იქნეს შეტანილი. სავსებით სწორად არ მიგვაჩნია, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევრები ხანდახან სრულიად არ აქცევენ ყურადღებას არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებში ამა თუ იმ მწერლის აკრძალულ თხზულებათა გამოქვეყნების ფაქტს. რა თქმა უნდა, ბეჭდურთან შედარებით ხელნაწერ პრესას უფრო ნაკლები მკითხველი ჰყავდა, მაგრამ ეს პრინციპულად არ ცვლის საკითხის არსს. ამიტომ ჩვენი მწერლების ზოგიერთი ნაწარმოების გამოქვეყნების თარიღად, ვფიქრობთ, უფრო სწორი იქნებოდა მიგვეჩინა ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებში მათი მოთავსების დრო. გარდა ამისა, ხელნაწერი პრესა არალეგალურად ვრცელდებოდა და მხოლოდ მას შეეძლო მიეწოდებინა ისეთი მასალები, რაც ოფიციალურად ნებადართულ ბეჭდურ ორგანოებში ვერ ხვდებოდა. ხელნაწერ და ბეჭდვით ორგანოებს შორის ასეთი ურთიერთდამოკიდებულების უგულებელყოფა, რომელიც თავს იჩენს ხოლმე ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგ მკვლევართა ნაშრომებში, მათ საშუალებას არ აძლევს მხედველობის არეში იქონიონ წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთი მეტად მნიშვნელოვანი მხარე.

რა შეიძლება ითქვას ამ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, „ნაპერწყლის“ შესახებ? უპირველეს ყოვლისა, ის, რომ მის ფურცლებზე ცენზურის მიერ აკრძალულ ნაწარმოებთან მოთავსება შემთხვევით ხასიათს კი არ ატარებდა, არამედ გაზეთის საქმიანობის ერთ-ერთ არსებით მხარეს წარმოადგენდა. თავდაპირველად „ნაპერწყალი“ მათ ყოველგვარი კომენტარის გარეშე სთავაზობდა მკითხველს, მაგრამ შემდეგ რედაქციას საჭიროდ დაუნახავს ხაზგასმით აღნიშნა ლეგალურ პრესაში მათი აკრძალვის ფაქტი. მოწინავე წე-

რილში „თბილისი, ქრისტეშობისთვის კგ-ს“¹ (ე. ი. 23 დეკემბერს) ამის თაობაზე პირდაპირ არის ნათქვამი: „ჩვენში მოიპოვება იმისთანა პირები, რომელთაც აქვსთ გამოჩენილი მწერლების ჯერ დაუბეჭდავი ლექსები, მოკლედ ვსთქვათ ცენზორის დაჭერილები. ურიგო არ იქნებოდა, რომ ისინი ჩვენს გაზეთში ჩაგვეერთო ამ სათაურით: «ცენზორის დარკვეული»². გაზეთს ეს ცვლილება ექნება, მეტი არაფერი“. მართლაც, შემდგომ ნომრებში გაზეთმა შემოიღო ეს რუბრიკა, რომლითაც სისტემატურად ათავსებდა აკრძალულ ნაწარმოებებს.

მაგრამ, სანამ მათ შეეცნებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ „ნაპერწყლის“ ფურცლებზე მოთავსებული სცენა „ცენზორი და მწერალი“³, რომელიც ფარდას ხდის იმდროინდელი მეფის ცენზურის სისასტიკეს, რეაქციულობასა და აღვირახსნილობას.

მშრომელთა განთავისუფლების აუცილებლობაზე, მეფის მთავრობისა და ექსპლოატატორთა ბატონობის დამბობის აუცილებლობაზე მეტად გაბედულად არის ლაპარაკი ამ პიესაში. გარდა ამისა, ეს ნაწარმოები კიდევ იმით იპყრობს ყურადღებას, რომ მასში გამოსკვევის არა ბედის სამღურავი ჩაგრულთა უმწეო მდგომარეობის გამო და რაღაც ბუნდოვანი იმედები, არამედ მგზნებარე მოწოდება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღონ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მშრომელების ყველა „სისხლისმსმელთა“ და მათი დამქაშების გასანადგურებლად. და ეს უაღრესად დამახასიათებელია საერთოდ გაზეთის სულისკვეთებისათვის. რაც შეეხება ცენზურასა და მის მსახურთ, სცენაში ოსტატურად არის გადმოცემული მათი ერთგულება თვითმპყრობელობისადმი, ექსპლოატატორული წყობილებისადმი, ყოველივე ნათელის, პროგრესულის მიმართ მტრობა, უკიდურესი რეაქციულობა.

აი, რა სწორი წარმოდგენა ჰქონდათ ხელნაწერ გაზეთ „ნაპერწყლის“ რედაქციასა და თანამშრომლებს იმდროინდელ ცენზურაზე

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 16.

² დ ა რ კ ვ ე უ ლ ი ნიშნავს გადარჩეულს, გაწმენდილს.

³ „ნაპერწყალი“, 1886, № 8. პიესის მთარგმნელად იხსენიება ს ა ნ დ რ ო. უნდა ითქვას, რომ იგი მართლაც წარმოდგენს მთარგმანს ი. პ. პნინის ამავე სახელწოდების ნაწარმოებიდან, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში: «Журнал Российской словесности» (1805, № 12). მთარგმნელმა ალბათ, ისარგებლა ა. პ. პიეტოვსკის გვიანდელი პუბლიკაციით (А. П. П я т к о в с к и й. Из истории нашего литературного и общественного развития. II, Санкт-Петербург, 1876, с. 171—174).

ალსანიშნავია, რომ „ნაპერწყლის“ ტექსტი გარდა დასაწყისისა, სრულიად ახალ ვარიანტს წარმოდგენს. ი. პნინის ლიბერალური აზრების მავიერ გატარებულია ეპოქის შესაბამისი რევოლუციური განწყობილებანი.

და ბუნებრივიც, რომ ამ უკანასკნელის მიერ დევნილი ნაწარმოებები, ამ გაზეთის ფურცლებზე პოულობდა თავშესაფარს.

„აუთ როგორ შოულობდნენ „ნაპერწყლის“ მუშაკები ცენზურის მიერ აკრძალულ ნაწარმოებებს ან საიდან იღებდნენ, რომ ცენზურამ „დაიჭირა“ ესა თუ ის ლექსი, მოთხრობა ან სტატია, — ეს ჩვენთვის უცნობია. ერთი რამ კი ფაქტია: ახალგაზრდები სპეციალურად „ნადირობდნენ“ აკრძალულ ნაწარმოებებზე და არცთუ ხელმოცარულად. შესაძლოა, სტამბებში ან რედაქციებში მათ ახლო ნაცნობები ჰყავდათ, რომლებიც საქმის კურსში აყენებდნენ და აკრძალულ ნაწარმოებებსაც გადასცემდნენ. დამახასიათებელია, რომ „ნაპერწყალში“ მოთავსებული თითქმის ყველა აკრძალული ნაწარმოები წარმოადგენს საცენზურო კომიტეტში წარდგენილ სასტამბო ანაბეჭდების ასლებს. მთავარი ის არის, რომ ცენზურის „დაჭერილებს“ ხელნაწერი გაზეთი დაუყოვნებლივ ათავსებდა თავის ფურცლებზე. ახლა ვნახოთ, თუ ცენზურის მიერ აკრძალული რომელი ნაწარმოებები გვხვდება „ნაპერწყალში“.

1. აკაკი წერეთლის ლექსი „გულის პასუხი“¹. პოეტის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტომეულის) II ტომში (გვ. 146) ეს ლექსი შეტანილია სხვა სათაურით — „სიმართლე“. თუმცა „ნაპერწყალში“ მას არ აპლავს რუბრიკა „ცენზურის დარკვეული“, რომელსაც ეს გაზეთი ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ იყენებს ხოლმე, მაგრამ ეს ლექსიც, როგორც ცნობილია, ცენზურის მიერ იქნა დამახინჯებული და პრესაში აღარ გამოქვეყნებულა². აი, რა წერია აღნიშნული ტომის შენიშვნებში:

„...ლია ჭავჭავაძის სახ. ზუზეუმში (ყვარელში) დაცულია ამ ლექსის ანაწყობი (Z), რომელიც «ივერიის» რედაქციას წარუდგენია ნებართვის მისაღებად ცენზურისათვის 1886 წ. 15 თებერვლის ნომერში დასაბეჭდად. ამ ლექსიდან ცენზურას ამოუშლია III სტროფი:

«როდესაც მონას უფალი
ზიზლითა თავზე აფურთხებს
და მონაც სამაგიეროდ
ფეხებს ულოკავს, — აკურთხებს».

და IV სტროფიდან ბოლო ორი სტრიქონი:

«მაგრამ უძებრად შურისა
ვაი, რომ ისიც ძნელია».

გერდზე ცენზორის ხელით მიწერილია: «Это и прежде запрещено».

ცენზორის მიერ ლექსის ასე დამახინჯების გამო «ივერიის» თა-

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 10.

² აკაკის ეს ლექსი დაწერილია 1884 წელს.

ნამშრომელი ა. ახნაზაროვი ანაწყო ცალზე ილია ქავეჭავაძეს სწერს: «ეს ლექსი დაებეჭდოთ თუ არა? რას იტყვი?» რაკი ლექსი დამახინჯებული იყო ცენზურის მიერ და ილიასაც ვერ დაუთანხმებია ცენზორი, რომ მთლიანი სახით დაებეჭდა იგი, მიზანშეწონილად უცვნია ლექსი დასახიჩრებული სახით არ დაებეჭდა, რისთვისაც ანაწყო ცალზე მიუწერია «ნუ დაბეჭდავთ».

ამრიგად, ცენზორის მეოხებით, ამ ლექსმა ახლაც ვერ იხილა მზის სინათლე, მხოლოდ ჩვენს დროში დაიბეჭდა ის პირველად 1940 წ. (იხ. აკაკის თხზულებანი, ტ. II, გვ. 349)¹.

ჩვენი ვარაუდით, „ნაპერწყლის“ თანამშრომლებმა აკაკის ამ ლექსის ივერიისეული ანაწობის ანაბეჭდი იშოვეს (ან გადმოიწერეს) თავისი გაზეთისათვის, რადგან სათაური „გულის პასუხი“ მხოლოდ „ივერიის“ ანაწობს აქვს. ამ ლექსის სხვა ხელნაწერებში ასეთი სათაური არსად გვხვდება.

გავეცნოთ, თუ რა ვარიანტულ წაკითხვებს იძლევა აკაკის ამ ლექსის „ნაპერწყალში“ მოთავსებული ტექსტი.

აკაკის თხზულებათა II ტომი

- ა) ს ი მ ა რ თ ლ ე
- ბ) ფუ! იმ მოედანს, სადაცა
- გ) შაბაშ იმ ერსა, რომელსაც
- დ) და ვაი იმ დროს, როდესაც
- ე) მონა კი სამაგიეროდ

„ნაპერწყალი“, 1886, № 10

- გ უ ლ ი ს პ ა ს უ ხ ი
- ფუ! იმ მოედანს, სადაც კი
- და, ვაი. იმ ერს, რომელსაც
- და ვაგლახ იმ დროს, როდესაც
- და მონაც სამაგიეროდ

ზემოაღნიშნული ვარიანტები („სადაც კი“, „ვაგლახ“, „და მონაც“ თუ სხვა) გვხვდება „ივერიის“ ანაბეჭდში და ეს ფაქტიც გვაფიქრებინებს, რომ „ნაპერწყალში“ მოთავსებული ამ ლექსის წყარო უთუოდ ის უნდა იყოს.

2. ვაჟა-ფშაველას ლექსი „დაე აყროლდეს სოფელი“². ვაჟას თხზულებათა სრული კრებულის (ათტომეულის) I ტომში (გვ. 29-30) ამ ლექსის სრული სათაურია: „დაე აყროლდეს სოფელი (სიმღერა)“. „ნაპერწყალში“ იგი მოთავსებულია რუბრიკით „ცენზურის დარკვეული“ და სათაურად აქვს „სიმღერა“. ამ ლექსის თაობაზე აღნიშნული ტომის „ვარიანტებსა და შენიშვნებში“ შემდეგი წერია:

„ეს ლექსი უნდა დაბეჭდილიყო 1886 წ. ქურნალ (sic) „თეატრის“ იენისის ნომერში, მაგრამ საცენზურო კომიტეტს აუკრძალავს (იხ. საცენზურო კომიტეტის საქმე 204). შემდეგ ავტორს ეს ლექსი გადაუკეთებია და 1887 წ. „ივერიაში“ დასაბეჭდად წარუ-

¹ აკაკი წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. II, 1955, გვ. 481-482.

² „ნაპერწყალი“, 1887, № 17.

დგენია, მაგრამ საცენზურო კომიტეტს ესეც აუკრძალავს (იხ. საც. კომ. საქმე 501). ცენზურის მიერ ორგზის აკრძალული ეს ლექსი ავტორის სიცოცხლეში დაუბეჭდავი დარჩენილა. იგი პირველად გამოაქვეყნა ს. ყუბანეიშვილმა წიგნში „ვაჟა-ფშაველა“ (1937 წ., გვ. 407-408).

ლიტ. მუზეუმში დაცულია აღნიშნული ლექსის ავტოგრაფი, რომელიც მისდევს „ივერიაში“ წარდგენილ ვარიანტს. ჩვენ ძირითად ტექსტად აღებული გვაქვს პირვანდელი ვარიანტი, რომელიც „თეატრში“ უნდა დაბეჭდილიყო (გასწორებულია კორექტურული შეცდომები: მცონაში — მცონარი, კაფები — კაგები და სხვა). მე-3 სტრ.: ო ნ ხ ე ბ ზ ე ავტოგრაფში გაურკვეველად სწერია და ადრე იბეჭდებოდა: ო ხ ე რ ზ ე დ . ეს შეცდომა შენიშნა ფილოლოგიის ფაკ. სტუდენტმა-დიპლომანტმა გ. მალანიაძემ. მისივე ცნობით, ო ნ ხ ე ბ ი ფშაურად ნიშნავს ჩონჩხს¹.

ზ. ჭუმბურიძე, რომელიც ვაჟას თხზულებათა ამ ტომის ვარიანტებისა და შენიშვნების ავტორია, ხაზს უსვამს ჩვენთვის საინტერესო მომენტს, რომ ეს ლექსი პოეტმა დაწერა 1886 წელს და მხოლოდ 1937 წელს გამოქვეყნდაო. სამწუხაროდ, გვერდი აქვს ავლილი იმ ფაქტს, რომ „ნაპერწყალმა“ იგი 1887 წლის დასაწყისში მოათავსა თავის ფურცლებზე. ჩვენ ამის თაობაზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ზ. ჭუმბურიძისათვის ცნობილი იყო „ნაპერწყლის“ არსებობა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღება არ მიაქცია მის პუბლიკაციებს.

როგორც ეტყობა, ი. მჭედლიშვილმა ან მისმა თანამშრომლებმა „თეატრის“ ანაწყობი პირი იშოვეს და გამოიყენეს თავისი გაზეთისათვის. ვაჟას ეს ლექსი რომ ნამდვილად გაზეთ თეატრისეული ვარიანტიდან მომდინარეობს, ნათლად ჩანს ტექსტების შედარებითაც: ისინი ზუსტად ემთხვევიან ერთმანეთს და კორექტურული შეცდომებიც კი („ოხერზედ“ და „კაფები“) ერთნაირი აქვთ.

3. „დაობლებული თავის ხიზმარს ხედავს“². ხელმოუწერელი ნაწარმოებია. ვის ეკუთვნის ეს ესკიზური მოთხრობა, ვერ მივაკვლიეთ. აღსანიშნავია, რომ მის იმ ნაწილს, რომელიც 1887 წლის მე-17 ნომერშია მოთავსებული, არ ახლავს რუბრიკა „ცენზურის დარკვეული“. ნაწარმოებში მეტად მძიმე სურათია დახატული. მამით დაობლებული ბავშვები დედის გარშემო წვანან და ერთნაირ სიზმარს ხედავენ. ვითომ სასაფლაოზე მიდიან. მამა საშარიდან წამოდგება. ბავშვები მისცვივლებიან და სასო-

¹ ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული. ტ. I, 1954, გვ. 361.

² „ნაპერწყალი“, 1887, № 17, 1887, № 1.

წარკვეთილი ეუბნებიან: რაიმე გვიშველე, ვიღუპებითო. დატანჯული მამა სანუგეშოს ვერაფერს უპასუხებს. საერთოდ, მოთხრობაში გადმოცემულია გაჭირვებულ მშრომელთა მძიმე ხვედრი. კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებში ამ ნაწარმოების შესახებ ცნობები არ გვხვდება.

4. უხათაურო ლექსი: „*** (აი, კვლავ მოდის გაზაფხული)“¹. არც ამ ლექსის ავტორია მითითებული. საინტერესო ნაწარმოებია, პატრიოტულ და სოციალურ მოტივებზე დაწერილი.

5. ვაჟა-ფშაველას ლექსი „სიმღერა“². პოეტის თხზულებათა სრული კრებულის (ათტომეულის) 1 ტომში (გვ. 26) აღნიშნულ ლექსს ასეთი სათაური აქვს: „ყორანმა ყორანს გასძახა (სიმღერა)“. „ნაპერწყალში“ ავტორი მითითებული არ არის. ხსენებული 1 ტომის „ვარიანტებსა და შენიშვნებში“ ამ ლექსის თაობაზე ნათქვამია:

„ასლი: ლიტ. მუზ. № 20582 (E). ეს უკანასკნელი წარმოადგენს ხელნაწერ ჟურნალს³ — „ნაპერწყალს“, რომელსაც სცემდნენ 1886-1887 წლებში. ლექსი მოთავსებულია „ნაპერწყლის“ 1887 წ. № 1-ში, ცენზურის მიერ აკრძალულ ნაწარმოებთა შორის. ლექსი უნდა დაბეჭდილიყო 1886 წ. გაზ. „ივერიაში“, მაგრამ ცენზურას აუკრძალავს და ავტორის სიცოცხლეში დაუბეჭდავი დარჩა. პირველად გამოაქვეყნა ს. ყუბანეიშვილმა (იხ. ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მართიანე, 1940 წ., გვ. 242)“⁴.

არა გვგონია მართებული იყოს, რომ ხელნაწერ გაზეთ „ნაპერწყალში“ მოთავსებულ ტექსტს ვაჟას ამ ლექსისას უბრალოდ „ასლი“ ვუწოდოთ. ჩვენი აზრით, ეს ცოტაა და ხსენებულ გაზეთში მისი მოთავსების დრო (1887 წ.) შესაძლებელია ჩაითვალოს ნაწარმოების გამოქვეყნების თარიღად.

ძირითად ტექსტთან შედარებით ნაპერწყლისეული ვარიანტი მცირე ცვლილებებს იძლევა:

ვაჟას თხზულებათა 1 ტომი	„ნაპერწყალი“, 1887, № 1
ა) ყორანმა ყორანს	სიმღერა
გასძახა (სიმღერა)	
ბ) ბრიყვსა დავსთხაროთ თვალები	მკვდარსა დავსთხაროთ თვალები
გ) ბევრის კახელის, მოკლულის	ბევრის კახეთის მოკლულის

¹ „ნაპერწყალი“, 1887, № 1. კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებში არც ამ ლექსზე მოიპოვება რაიმე ცნობა.

² „ნაპერწყალი“, 1887, № 1.

³ შეცდომაა. უნდა იყოს: გაზეთს.

⁴ ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. 1, 1964, გვ. 360.

6. ვაჟა-ფშაველას ლექსი „პაპაჩემის ანდერძი“¹. ესეც შეტანილია „ნაპერწყლის“ განყოფილებაში „ცენზურის დარკვეული“, თუმცა გაუგებარია, რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი. ცნობილია, რომ ეს ლექსი 1886 წლის 30 ნოემბერს გამოქვეყნდა „ივერიაში“, ხოლო „ნაპერწყალმა“ იგივე ტექსტი მხოთაფსა (განსხვავება მხოლოდ სასვენ ნიშნებშია) 1887 წლის იანვარში (№ 2). შესაძლოა „ივერიაში“ დაბეჭდვამდე ლექსი ცენზურამ ერთხანს შეაჩერა, „ნაპერწყლის“ ჟურნალისტებისათვის ეს ფაქტი ცნობილი გახდა და ამიტომ მოათავსეს ამ რუბრიკით. სამწუხაროდ, ამის დამამტკიცებელ რაიმე საბუთს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

საინტერესოა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ანტომეულის 1 ტომის „შენიშვნებსა და ვარიანტებში“ მოთავსებული ერთი ცნობა ამ ლექსის თაობაზე: „ლექსი შეტანილია ხელნაწერ ჟურნალ (sic!) „ნაპერწყალში“ (C), № 2 (1887 წ. 23 იანვარს), იმ განყოფილებაში, რომელსაც 3 ქვეა «ცენზურის დარკვეული»“².

7. „ასოთამწყობთა მდგომარეობა თბილისში“. ავტორია ალა-პილ-ისმაილი³. „ნაპერწყლის“ ფურცლებზე მხატვრულ ნაწარმოებთა გარდა განყოფილებაში „ცენზურის დარკვეული“ სტატიებიც, წერილებიც თავსდებოდა, რომლებშიც მწვავე სოციალური საკითხები იყო დასმული. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა ეს წერილი. იგი ისეთი მამხილებელი ხასიათისაა და ისე რეალისტურად გვიხატავს სტამბის მუშების აუტანელ მდგომარეობას, რომ, რა თქმა უნდა, მას ცენზურა არ გაუშვებდა ბეჭდურ ორგანოებში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი, მართალია, აღშფოთებით წერს სტამბის მუშების მძიმე მდგომარეობასა და მუშაობის მძიმე მათ აუტანელ ექსპლოატაციასზე, მაგრამ დასკვნებს უტოპისტურს აკეთებს. სამუშაო პირობების მხრივ იგი სანიშნოდ მიიჩნევს დასავლეთ ევროპის ქვეყნების სტამბებს და აცხადებს, ჩვენმა მუშაობის მუშებმა მათ მიჰბაძონო. მაგრამ მას ჯერ ვერ შეუგნია, რომ დასავლეთევროპელ მუშათა ექსპლოატაციაც, მიუხედავად შედარებით მათი უკეთესი პირობებისა, მაინც სასტიკი იყო. და ნაცვლად

¹ „ნაპერწყალი“, 1887, № 2.

² ვაჟა-ფშაველა. თხზ., სრ. კრებ., ტ. I, გვ. 365.

³ „ნაპერწყალი“, 1887, № 3. თუ ვისი ფსევდონიმიცაა ალა-პილ-ისმაილი, ჯერჯერობით ვერ გავიხსენებთ. ავტორი მკიდრად ყოფილა დაკავშირებული „ნაპერწყლის“ რედაქციასთან, როგორც ეს ჩანს გაზეთის 1886 წლის მე-15 ნომრის ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მოწინავე წერილიდან. ერთობა, ეს პიროვნება მოსწავლე არ უნდა ყოფილიყო. უფრო საფიქრებელია, რომ იგი იყო სტამბის მუშა. მისი საშუალებით ხომ არ მოულობდნენ ნაპერწყალელები ცენზურის მიერ აკრძალულ ნაწარმოებებს? კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებში ამ სტატიასზე ცნობები არ გვხვდება.

იმისა, რომ თანამოძმეთ კლასობრივი ბრძოლისაგან მოუწოდოს, ავტორი თხოვნით მიმართავს მეპატრონეებს — ყურადღება მიაკციეთ ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობასო, რაც მისი კლასობრივი თვითშეგნების სისუსტეზე მეტყველებს. რატომღაც ავტორს ჰგონია, რომ სტამბის მოწყობილობის „განკარგება“ უშველის მუშებს, იმისათვის მათ ექსპლოატაციის მძიმე უღლისაგან, რაც, ბუნებრივია არარეალური იყო.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, წერილი „ასოთამწყობთა მდგომარეობა თბილში“ ბევრ საინტერესო და საყურადღებო სოციალურ საკითხს ეხება და, ალბათ, ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ცენზურას მისი გამოქვეყნება აუკრძალავს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ეს წერილი დაიწერა გასული საუკუნის 80-იან წლებში, ხოლო საქართველოს ჰინამდვილეში მოწინავე მუშებსაც კი, სანამ ისინი მარქსიზმს ეზიარებოდნენ, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაზე ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

8. მამია გურიელის ლექსი „ალავერდი“¹. მართალია, ამ ლექსს არ ახლავს რუბრიკა „ცენზურის დარკვეული“, მაგრამ ცენზურას ისე მაგრად „შეუკრეჭია“ და დაუმახინჯებია (იხ. მამია გურიელის თხზულებათა 1897 წლის გამოცემა)², რომ „ნაპერწყლის“ რედაქციას საჭიროდ დაუნახავს იგი პირვანდელი სახით მიეწოდებინა მკითხველისათვის. ქვემოთ პარალელურად მოგვყავს ვარიანტული წაკითხვები, გარდა შედარებით უმნიშვნელო ვრამატიკული თუ ორთოგრაფიული სხვაობებისა:

მამია გურიელი, ლექსები, 1897 წ.

- ა) დრო წარსული მოგვიბრუნე
 - ბ) მივეშვიროთ თათრებს მკერდი
 - გ) აწ კი ნულარ დავიშოვნებთ
 - დ) დავხოცოთ სჯულ გასაწყვეტი
 - ე) მენდეთ, ძმებო, სჯობს საბლები მონობისა ჩვენ დავგლიჯოთ
 - ვ) მოვრწყათ მიწა მოვამლივნოთ
 - ზ)
- გორგასლანის განაქელი
და რა დავსცეთ ბრძივ თათრობას,
ვიღრიალოთ — ალავერდი!
- თ) იქავ ძვირად გამისაღო

„ნაპერწყალი“, 1887, № 4
დღე ნეტარი მოგვიბრუნე
მივეშვიროთ მტერს მხნე მკერდი
აწ კი ნულარ დავმოხდებით
გავხლოტოთ სჯულ გასაწყვეტი
მენდეთ, დროა, რომ საბლები
მონობისა აწ გავგლიჯოთ
მოვრწყათ მიწა მოვამლილოთ
ჩვენი ძველი არსებობა
გორგასლანის განაქელი
და რა დავსცეთ ბრძივ მთავრობას,
ვიღრიალოთ „ალავერდი!“
იქავ მინდვრად გამისაღო

¹ „ნაპერწყალი“, 1887, № 4.

² თხზულებანი მამია გურიელისა. ლექსები. ქუთაისი, 1897, გვ. 176—179. სამწუხაროა, რომ ცენზურის მიერ დამახინჯებული ეს ადგილები გასწორებული არ არის მამია გურიელის თხზულებათა ჩვენი დროის გამოცემაშიც (მდრ. მამია გურიელი. რჩეული ლექსები. 1940, გვ. 41-44).

როგორც ვხედავთ, ცენზურას საკმაოდ „წაუმუშავებია“, რომ „კრამოლური“ ადგილები გაესწორებინა ან ამოეგდო.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ პირველად ამ ლექსის შერყვნილი ადგილების აღდგენა უცდია ა. ახნაზაროვს¹, რისთვისაც უსარგებლია მის მიერ ვ. აბაშიძის რვეულიდან 1884 წელს გადმოწერილი მ. გურიელის „ალავერდის“ სრული ტექსტით². ახნაზაროვისეული ვარიანტი „ნაპერწყალში“ მოთავსებულ ლექსთან შედარებით მცირედენ განსხვავებებს შეიცავს. ამ საკითხს მოგვიანებით შეეხო აგრეთვე მ. ზანდუკელიც³.

მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს ხელნაწერ გაზეთ „ნაპერწყალის“ დამოკიდებულება ცენზურის მიერ აკრძალული დედნებისადმი.

როგორც უკეთ ვთქვით, რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლ-ს მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად მათ საკუთარი ძალებით განახორციელეს წიგნსაცავის (ბიბლიოთეკის) შექმნა, რაშიც უარკვეული წვლილი „ნაპერწყალსაც“ მიუძღვის. გაზეთი სისტემატურად ათავსებდა მასალებს ამის შესახებ. მაგალითად, მოწინავე წერილში „თბილისი, 23-ს ენკენისთვეს“⁴ (სექტემბერს) ვკითხულობთ, რომ კვირას, 21 სექტემბერს, დილით ბურსაში⁵ შემდგარა მოსწავლეთა კრება, რომელსაც წიგნსაცავის ფულის შემგროვებლად ამოურჩევია მესამე კლასის მოსწავლე დ. უ-ძე⁶. კრებას გადაუწყვეტია, მოლარემ მოსწავლეებისაგან თვეში

¹ იხ. მისი წერილი „მცირე შენიშვნა მამია გურიელის ერთი ლექსის შესახებ“. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1941 წლის 1 იანვარი.

² ეს ტექსტი შეტანილია ა. ახნაზაროვის ხელით დაწერილ კრებულში „ლექსები სხვადასხვა წლის პოეტებისა. რვეული პირველი. 1884“, რომელიც დაცულია ჩვენს არქივში.

³ მ. ზანდუკელი. ლიტერატურული ნარკვევები, I, 1957, გვ. 203.

⁴ „ნაპერწყალი“, 1886, № 3.

⁵ ე. ი. მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელში. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, ამ საერთო საცხოვრებლის გახსნის თაობაზე ზრუნვა (სახსრების შეგროვება და სხვა) 1884 წლიდან დაუწყიათ (იხ. საქართველოს სსრ ცსია, ფონდი 12, აღწერა 8, საქმე 2773). ზოგიერთი ცნობით აქ საერთო საცხოვრებელი 30 კაცისათვის ოფიციალურად 1894 წლის 1 ნოემბერს გახსნილა (შდრ. Адрес-Календарь закавказских железных дорог на 1908 г., с. 26-27; Журнал «Вестник закавказских железных дорог», 1904, № 9, с. 15-16).

⁶ ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს დიმიტრი უშვერიძე. შდრ. საქართველოს სსრ ცსია, ფონდი 415, აღწერა I, საქმე 28, გვ. 22-24 (აქ მოთავსებულია რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა სია).

თითო შაური უნდა მოაგროვოსო. შემდეგ განუხილავთ წიგნსაცავის წესდების საკითხი. მისი შემუშავება ერთი მოსწავლისათვის დაუვალებიათ იმ ვარაუდით, რომ მომავალი კრებისათვის დასამტკიცებლად წარმოედგინა რედაქცია ჰპირდება მკითხველს, რომ მომდევნო ნომერში გამოაქვეყნებს ამ წესდებას. აქვეა „მეწიგნსაცავის“ ხელმოწერით მოთავსებული პატარა წერილი „ბატონო რედაქტორო“, რომელშიც ავტორი გაზეთის საშუალებით მადლობას უცხადებს იმ პირებს, ვინც რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის ბიბლიოთეკას წიგნები შემოსწირეს.

მომდევნო ნომრის (1886, № 4) მოწინავეში „ტფილისი, 30 ენკენისთვე“ (სექტემბერი), რომლის ავტორია „დ. გ.“ (ალბათ, დ. გურული), ნათქვამია, რომ როგორც წინა ნომრის მეთაურ წერილში ცნობისმოყვარემ გაცნობათ, მოსწავლეთა კრებამ წიგნსაცავის მოლარე ამოირჩიაო. მას ენერგიულად მოუკიდია საქმისათვის ხელი — თხოვნით მიუმართავს ქართველი თუ სხვა ეროვნების მოსწავლეებისათვის და ისინიც შეძლებისდაგვარად გამოხმაურებინან როგორც ფულის, ისე წიგნების მიწოდებით. ეს კარგი საქმეაო, დასკვნის ავტორი. რადგან წიგნების საშუალებით მოსწავლეები გაიცნობენ და შეისწავლიან მშობლიურ ლიტერატურას, შეიყვარებენ დედაენას, აღმოუჩენენ რაიმე საშუალებას¹ თავიანთ სამშობლოსო. „ადვილი წარმოსადგენია, — დასძენს ავტორი, — რომ ეხლანდელ ჩვენს სამშობლოს მდგომარეობაში ჩვენი მფლობელებისაგან სასიკეთოს ვერაფერს უნდა მოველოდეთ და ამიტომ ჩვენვე უნდა ვეცადნეთ ამოუჩინოთ ცხოვრების სახსარი ჩვენს თავს და ტომს და ჩვენს უკან მომავლებსა შინც არის მვეუშსუბუქოთ: მძიმე სატარებელი ტვირთია“.

ამავე ნომერში მოთავსებულია წიგნსაცავის წესდება და აღნიშნულია, რომ იგი მოსწავლეთა კრებამ დაამტკიცა 26 სექტემბერს¹. ეს წესდება საინტერესოა აგრეთვე როგორც ცარიზმის პირობებში

¹ როგორც ამ წესდებიდან ვგებულობთ, მოსწავლეთა საერთო კრება თვითმმართველობის უმაღლესი ორგანო ყოფილა და თავისი ამორჩეული პირების მიმართ კონტროლსაც ის ახორციელებდა. ჩანს, კრებები ხშირად იმართებოდა, „ნაპერწყალში“ განცხადებებიც კი გვხვდება ამის შესახებ, მაგალითად: „შაბათს, რვას გიორგობისთვეს (ნოემბერს. — შ. გ.) ტუნჯიურ პანსიონში იქნება კრება ბიბლიოთეკის თაობაზე და ამიტომ სთხოვს ბატონი თავმჯდომარე, რათა დაესწრონ ქართველი მოწაფეები, აგრეთვე გარეშე პირნი, ვისაც სურს“ („ნაპერწყალი“, 1886, № 9). ზოგჯერ კრებები თურმე მოსწავლეთა ბინებზედაც იმართებოდა. ერთ-ერთ განცხადებაში, რომლის სათაურია „ქართული საკუთარი ბიბლიოთეკა“, ნათქვამია: „უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი თავმჯდომარე ბ. ბ. წევრებს, რათა დაესწრონ კრებას შაბათს ამა თვისა ბატონ გურულის სახლში“ („ნაპერწყალი“, 1887, № 2).

სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ერთ-ერთი გამოვლინება.

„ნაპერწყლის“ 1886 წლის მე-7 ნომრის მოწინავე წერილში „თბილისი, 21 დეკემბრისთვის“ (ოქტომბერი), რომლის ავტორია ცნობისმოყვარე (ი. მკედლიშვილი), ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ქართული ბიბლიოთეკა მოსწავლეთა სახსრებით არის დაარსებული. ამასთანავე საყვედურია გამოთქმული ბიბლიოთეკის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო: დაზიანებული წიგნები: აუკინძავია, მათ არ გააჩნიათ ნუმერაცია და ბეჭედიც არ უხვითო. შემდეგ ი. მკედლიშვილი აღნიშნავს, რომ წიგნსაცავში უკვე ას თერთმეტი ქართული წიგნია და ეს სახუმარო საქმე არ არის — ნამდვილ ბიბლიოთეკად შეიძლება ჩაითვალოსო. თავმჯდომარენი უნდა მიიღოს გადაწყვეტილი ზომები და ბიბლიოთეკარი, როგორც საჭიროა, ისე აამუშაოსო. პირველ რიგში აუცილებელია შეკეთდეს დაზიანებული წიგნები და მათი აღრიცხვის საქმე მოგვარდესო.

წერილში ლაპარაკია ბიბლიოთეკისათვის სპეციალური ბეჭდის შემოღებუზეც. მე ერთი პირი დამპირდაო, ამბობს ავტორი, დაამზადოს ბეჭედი, რომლის შუაში გამოსახული იქნება პატარა ორთქლმავალი, გარშემო კი დაეწერება: „ქართული ბიბლიოთეკა“. ავტორის აზრით, ეს ბეჭედი უნდა დაესვას რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის ბიბლიოთეკის ყველა წიგნს, რომ ისინი სხვებისაგან განირჩეოდნენო.

მოსწავლეთა ქართული ბიბლიოთეკის საქმე რომ „ნაპერწყლის“ ყურადღების ცენტრში იდგა, ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: გაზეთი ხშირად მას მოწინავე წერილს უძღვნიდა და გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს ბიბლიოთეკის როგორც დადებით მუშაობაზე, ისე ნაკლოვანებებზეც. მაგალითად, მოწინავე წერილში „თბილისი, დ-ს გიორგობისთვის“¹ (ე. ი. 4 ნოემბერს) ავტორი, დ. გურული, აღმუფოთებას გამოთქვამს ზოგიერთი ქართველი მოსწავლის გულგრილობის გამო ბიბლიოთეკისადმი: ეს მეორე წელია, რაც წიგნსაცავის დაარსებისათვის ვზრუნავთ, როგორც იქნა, საქმე მოვაგვარეთ, ლიტერატურაც საკმაოდ არის, მაგრამ ბიბლიოთეკას მკითხველი ცოტა ჰყავსო. წიგნებით, „როგორც ეხლა აწყვია, ისე ჩარკვიანის მალაზიაშიც კი ელაგა“, — გულისტკივილით შენიშნავს ავტორი. ბიბლიოთეკის მესვეურნი დაუღალავად ქადაგებენ თავის ამხანაგებში მშობლიური ენის სიყვარულს, კითხვის საჭიროებას, მაგრამ დაუდევრობისა და გულგრილობის გამო ზოგიერთს ეს ვერ შეუგნიაო.

¹ „ნაპერწყალი“, 1886, №9.

ამავე საკითხს ეხება ხელმოუწერილი წერილი „ქართული ბიბლიოთეკა“¹. დასაწყისში ავტორი ითხოვს გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადონ იმ პირებს, რომლებსაც ბიბლიოთეკისათვის წიგნები შემოუწირავეთ. შემდეგ იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართალია წიგნები უკვე საკმაო რაოდენობით მოგროვდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მკითხველები ინერტულობას იჩენენ, წიგნები იშვიათად მიაქვთ წასაკითხად. ავტორი ურჩევს მათ სიზარმაცეს თავი დაანებონ და ინტენსიურად დაეუფლონ ცოდნას, რაც ლიტერატურის გაცნობის გარეშე შეუძლებელია, თორემო, პოეტის სიტყვებისა არ იყოს:

„თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია“².

ავტორს აქვე მოჰყავს ილია ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონები ოდნავ შეცვლილი სახით: „ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“ და „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსაგვსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს“. ავტორი თავის მეგობრებს მოუწოდებს — ეს აფორიზმები გაიხადონ თავიანთი ცხოვრების დევიზად.

როგორც ეტყობა, კრების მიერ ამორჩეულ ხელმძღვანელს საქმე კარგად ვერ აუწყვია. გაზეთში მოთავსებულ ხელმოუწერილ წერილში „ქართული საკუთარი ბიბლიოთეკა და მისი თავმჯდომარე“³ ლაპარაკია იმაზე, რომ ამ პიროვნების საქმიანობა მოწონებას არ იმსახურებდა. იქნებო, კითხულობს ავტორი, მან არ იცის რა უნდა გააკეთოს? თუ არ შეეძლო საქმის გაძღოლა, არ უნდა ეკასრა ეს მოვალეობაო. ჩვენი ბიბლიოთეკა კარგად არ მუშაობდა და მას საერთო კრებამ იმიტომ მიანდო ხელმძღვანელობა, რომ ეს ნაკლი გამოეჩნორებინა, და თავმჯდომარე კი უმოქმედობას იჩენსო. ავტორი სთხოვს „ამხანაგობას“⁴, რომ ამ ვითარებას ყურადღება მიაქციოს და რაიმე გზა გამოიხატოს.

ზოგჯერ „ნაპერწყლის“ ფურცლებზე ლაპარაკია ხოლმე ბიბლიოთეკისათვის მოსწავლეებში შეკრებილი ფულის მიზანშეწო-

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 15.

² ეს ნაწყვეტი მოყვანილია გ. ჭალაღიძლის ლექსიდან „მოგონება“ („მახსოვს პირველად სასწავლებელში“). შტრ. გ. კ. ა. ლ. დ. დ. ლ. კრებული. 1947, გვ. 13.

³ „ნაპერწყალი“, 1887, № 1.

⁴ ეს „ამხანაგობა“, ეტყობა, მოსწავლეთა თვითმმართველობის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა.

ნილად გამოყენების თაობაზე. მაგალითად, მოწინავე, რომლის სა-
თაურია „თბილისი, ია-ს გიორგობისთვის“¹ (ე. ი. 11 ნომბერს),
ეხება წინა შაბათს (8 ნომბერს) მოწვეულ კრებას ბიბლიოთეკის
შესახებ. თავმჯდომარეს დაუყენებია საკითხი: რა ვუყოთ იმ ფულს,
რომელიც ახლა მოგროვდება, დამატებით კიდევ ლიტერატურა
შევიძინოთ, თუ წიგნებს ყდები გავუყეთოთო. გადაუწყვეტიათ
აკინძვისათვის მოეხმარათ ფული. ავტორს ეს არასწორად მიაჩნია:
ჩვენი ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ შედარებით ღარიბია და პირველ
რიგში მისი წიგნადი ფონდის გადიდებისათვის უნდა ვიზრუნოთო.
საერთოდ ამ საკითხზე — ახალი წიგნების შექმნის შესახებ „ნა-
პერწყალში“ პერიოდულად თავსდებოდა ხოლმე ცნობები. როგორც
ჩანს, წიგნების გარდა ბიბლიოთეკას ჰქონია პერიოდიკაც („ივერია“.
„თეატრი“, „ცისკარი“)². რუბრიკით „ქართული ბიბლიოთეკა“ გა-
ზეთის ფურცლებზე აგრეთვე ვხვდებით სპეციალურ ანგარიშებს,
თუ რამდენი წიგნი სად და რა ფასად იყიდა ბიბლიოთეკამ, ვინ
შემოსწირა მას უფასოდ ლიტერატურა და სხვ.

პოეზია. „ნაპერწყალში“ მოთავსებული ლექსების უმრავლესობა
ეროვნულ-განმათავისუფლებელ და სოციალურ თემატიკაზეა
დაწერილი. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია გაზეთის
აქტიური თანამშრომლის იაგორ ანდრიანოვის (მისი ფსევდონიმი
იანგო) ნაწარმოებები. პოეტი გრძნობს საზოგადოებრივი ცხოვ-
რების ასპარეზზე ახალი ძალების გამოჩენას. ლექსში „ახალ თა-
ობას“³ მას პატრიოტული იდეები აქვს გამოთქმული. მართალია,
ეს ლექსი მოკლებულია კლასობრივ სიმახვილეს, მაგრამ მაინც
ყურადღებას იმსახურებს გაბედული აზრებით. ავტორი მკითხველ-
ებს მოუწოდებს შეიყვარონ ქვეშარიტება, სიმართლე, იყვნენ
მამულის ერთგულნი და თავი გასწირონ მისთვის.

მეორე ლექსში „სიმღერა“⁴ ი. ანდრიანოვი წუთისოფლის სამ-
ღურაფს გამოთქვამს. გულს სევდა-ნაღველი შემოსწოლია იმიტომ,
რომ ყველა მის მოტყუებას ცდილობს, აღარ უნდა ცხოვრება ისეთ
საზოგადოებაში, სადაც სიფლიდე და ორპირობაა გაბატონებული.
მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ არსებობს „აღთქმული ქვეყა-
ნა“, და გულიც იქითკენ მიუწევს:

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 10. წერილი ხელმოუწერელია.

² „ნაპერწყალი“, 1887, № 1.

³ „ნაპერწყალი“, 1886, № 5. ეს ლექსი ამავე სათაურით უცვლელად დაი-
ბეჭდა წიგნში: „ლექსები უბის წიგნაკიდან იაგორ ანდრიანოვისა“. თბ., 1907,
გვ. 21-22.

⁴ „ნაპერწყალი“, 1886, № 6. შტრ. ი. ანდრიანოვის ზემოაღნიშნული წიგნი,
გვ. 10.

„წავალ, ვისწრაფი იქ, სადაც
მტკიცედ სწამთ კემპარიტება,
სადაც რომ მეფობს სიმატლეს
და უყვართ ძმობა, ერთობა.
მეც იქ ვისწრაფი, იქ მიწევს
ჩემი გრძნობა და გონება“.

პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული ამავე ავტორის მეორე ლექსიც „ჩემი ნატურა“¹. იგი ნატრობს, რომ მალე იხილოს თამამად გაშლილი მამულის დროშა, მის გარშემო დარაზმული მებრძოლები, შეესმას ბუკისა და ნალარის ხმა, რომ მალე ატყდეს მძაფრი ბრძოლა და მტერი გაიჟლიტოს. პოეტს არ სურს განზე დარჩეს ამ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების უამს, იგი ოცნებობს აქტიური მონაწილეობა მიიღოს მასში:

„თუნდ იქვე მოკვდეთ, არ ვშიშობ,
სრულ დამელიოს მე ძალი,
ოღონდ კი ვნახო ერთ წუთას
მამული თავისუფალი“.

ი. ანდრიანოვის ლექსი „მუშა“² მოკლებულია კლასობრივ სიმძაფრეს. პოეტი ღმერთს შესთხოვს შეველას, ევედრება გაამხნეოს და ანუგეშოს მუშა, რომლის მდგომარეობა ლექსში მუქი საღებავებით არის დახატული: იგი დატანჯული, ყველასაგან დაჩაგრული და ბედისაგან განაწამებია, მძიმე უღელს ეწევა, გამუდმებით ოფლს ღვრის და ძლივს შოულობს დღიურ ლუკმას.

შთამბეჭდავად არის დაწერილი ი. ანდრიანოვის ლექსი „ახალი წელი“³. ავტორი იმედოვნებს, რომ მომავალი ბევრ სიკეთეს მოუტანს ხალხს. ნუ გვძინავს, ვიფხიზლოთ, მოუწოდებს პოეტი ჩაგრულ თანამოძმეთ, წინ უნდა ვიყუარებოდეთ იმედიანად და არა უკან:

„წარსულზედ კმარა გოღება,
ჩვენია მომავალიო“.

ი. ანდრიანოვის ბევრი სხვა ლექსიც გვხვდება „ნაპერწყლის“ ფურცლებზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მათი უმრავლესობა საყოფაცხოვრებო თემატიკაზეა დაწერილი, ზოგიც ინტიმურ-ლირი-

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 8, შდრ. იგივე წიგნი, გვ. 34.

² „ნაპერწყალი“, 1886, № 15; შდრ. იგივე წიგნი, გვ. 22-23.

³ „ნაპერწყალი“, 1887, № 1; შდრ. იგივე წიგნი, გვ. 18-19.

კული ხასიათისაა. იმასაც დაეძინო, რომ ი. ანდრიაანოვის გამოქვეყნებულ წიგნში შეტანილი ლექსების დიდ ნაწილს პირველად „ნაპერწყალში“ გაეცნო მკითხველი.

საინტერესოა „ნაპერწყლის“ კიდევ ერთი პოეტის დ. გურულის შემოქმედებაც. ი. ანდრიაანოვის ნაწარმოებთა მსგავსად მისი ლექსებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით არის გამსჭვალული. რაც შეეხება სოციალურ პრობლემატიკას, დ. გურული მას შედარებით უფრო ინტენსიურად იყენებს. პოეტის მთავარი თემაა თავისუფლებისმოყვარეობა, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მთელ მის შემოქმედებას.

ლექსში „ჩემი ნატვრა“¹ დ. გურული ოცნებობს აუსრულდეს ნატვრა — თავისი სამშობლო კვლავ აყვავებული ნახოს, აღდგენ ივერთა მხედარნი და დაცემული მშობლიური მხარე ფეხზე წამოაყენონ, გაათავისუფლონ დამონებული ხალხი.

ანალოგიური განწყობილებითაა დაწერილი დ. გურულის მეორე ლექსიც, რომლის სათაურია „ფანტაზია“². ავტორი ნატვრებს მოესწროს იმ დღეს, როცა მშობლიური კუთხე აყვავდება, ბოლო მოეღება სიბნელეს და

„სიმართლის მლალღებელსა
ჰქონდეს გავლენა ყველგანა“.

პოეტს სურს, რომ ხშირად ხედავდეს „სამშობლოს ერთგულ მოყმეს“ — დაცემულთა შემწესა და გამამხნევებელს. ოღონდ ის ბედნიერი დრო-ჟამი ვიხილო, როდესაც მათ დროშა გაშლილი ექნებათ და მტრებს გაანადგურებენ, მერე კი თუნდ მოგკვდე, აღარ ვიდარდებო, აცხადებს ავტორი.

საკმაოდ გაბედული აზრებია გამოთქმული დ. გურულის ლექსში „კაცი ის არის“³. საგულისხმოა, რომ მასში ავტორი ქადაგებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას. კაცი ის არისო, ამბობს პოეტი, ვისაც სამშობლო ქვეყანა უყვარს, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნავს; ვინც სიმართლეს მისდევს, დამრიყვებულ მოძმეს წამოესარჩლება, მისთვის თავს დადებს; ვინც სიმრუდეს დევნის, სძაგს ცილისწამება, პირმოთხეობა და, რაც მთავარია

„ყოველ ურიგო ქცევისთვის
მთავრობას აუჯანყდება“.

1 „ნაპერწყალი“, 1886, №7.

2 „ნაპერწყალი“, 1887, №1.

3 „ნაპერწყალი“, 1886, №10.

კაცი ის არისო, დაასკენის ავტორი, ვინც „აღთქმის დროშას“ აღმართავს და

„დაჰკიელებს ოთხივ კუთხესა:
თავისუფლება ჩვენს ერსა!“

დ. გურულის ლექსი „თავგანწირული“¹ კი სამშობლოს თავისუფლებებისათვის მებრძოლისადმი არის მიძღვნილი. აი, მისი ბოლო ორი სტროფი:

„ანუ რად მინდა სიცოცხლე,
თუ არ მაქვს თავისუფლება,
რამის რომ მწადდეს წარმოთქმა,
ლანდისგანც თუ მეშინება.
ისევ სჯობს მოგვეღვე, შევსწირო
თავი სამშობლო ქვეყანას,
მოგვლა ისიცა, ვისგანაც
დაბმულ გვაქვს თავისუფლება“.

აქ ჰაინტერესო ის არის, რომ არა მარტო სამშობლოს თავისუფლების ტრფიალია გადმოცემული, არამედ ამასთან თავგანწირული საშკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა აღიარებული ერთადერთ სწორ გზად.

„ნაპერწყლის“ პოეტებს სიმართლისა და უსამართლობის ფილოსოფიური არსი აინტერესებთ და ცდილობენ გაარკვიონ იგი. ამ პრობლემასადმი მიძღვნილი, მაგალითად, მთიელის ფსევდონიმით ხელმოწერილი ლექსი „სიმართლე და სიცრუე“². ავტორი შესჩივის წუთისოფელს, რომ სიმართლეს ყოველთვის სიცრუე ელობება გზაზეო; იგი ნატრობს, რომ სიცრუეს ბოლო მოეღოს და „დარჩეს ქვეყნად მარტო სიმართლე“.

სამშობლოს თავისუფლების თემა „ნაპერწყლის“ სხვა პოეტების შემოქმედებისთვისაც არის დამახასიათებელი. მაგალითად, ერთ ანონიმურ ლექსში „ვეძღვნი...“³ ავტორი ჩივის, რომ ჰული მიკენესის და მიშფოთავს, როდესაც მამულს დამონებულს ვხედავო, და ნატრობს:

„ახი ნეტავ ჩვენი სამშობლო
ულლიდგან გაეშვებოდეს...
მამული, ჩვენი სამშობლო
არვის ხელს იმყოფებოდეს“.

სოციალური ხასიათის ლექსებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია

¹ „ნაპერწყალი“, 1887, № 2.

² „ნაპერწყალი“, 1887, № 17.

³ „ნაპერწყალი“, 1886, № 12.

ს. დარიელის „მუშა კაცი“¹, რომელიც აგვიწერს შრომელი ადამიანის ტანჯულ ცხოვრებას, დღენიადაგ შრომასა და ოფლის ღვრას. ავტორი, წუხს, რომ მუშის შრომის ნაყოფი სხვას ფიაქვს, თვითონ კი გაჭირვებულია. განსაკუთრებით საინტერესოა ამ ლექსის ოპტიმისტური ფინალი, სადაც ნათქვამია, რომ მუშამ ამ უნუგეშო მდგომარეობას თავი თვითონვე უნდა დააღწიოს, სხვა მას არავინ მიეშველებო:

„ან რა ვქნა? ვინა მიშველის,
ვინ მომანიჭებს სმენასა?
ისევ სჯობს ხელი ხმალს ვიკრა
ამ სველის ცრემლის დენასა“.

„ნაპერწყალი“ მარტო თავის გარშემო შემოკრებილი ავტორების ლექსებს როდი ათავსებდა. ზემოთ, როდესაც საუბარი გვქონდა ცენზურის მიერ აკრძალულ ნაწარმოებებზე, ვახსენეთ აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას იქ მოთავსებული რამდენიმე ლექსი. ამას უნდა დავუმატოთ ილია ჭავჭავაძის პოემა „ქართვლის დედაში“ ჩართული შშვენიერი სასიმღერო ლექსი („ქართველო, ხელი ხმალს იკარ“), რომელიც შეტანილია წერილში „ნუთუ“². ამ წერილის შინაარსი ასეთია. ორი მეგობარი შეხვდებოდა ერთმანეთს და საუბრობს. ერთი შათვანი მეორეს, როგორც ახალ ამბავს, ისე ეუბნება ილიას აღნიშნულ ლექსს და ხაზს უსვამს მასში გამოთქმულ პატრიოტულ აზრებს. წერილის ავტორი დასახელებული არ არის.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ათტომეულის პირველ ტომში (1951 წ.) შეტანილ შესაბამის ტექსტთან შედარებით „ნაპერწყლის“ ტექსტი ოდნავ ვარიანტულ ცვლილებას იძლევა. ჩვენი დაკვირვებით, ხელნაწერ გაზეთში ეს ნაწყვეტი ზუსტად არის გადმოწერილი იმ ტექსტიდან, რომელიც გამოქვეყნდა „ივერიაში“ 1879 წელს (№ 7-8).

„ნაპერწყლის“ 1887 წლის მე-2 ნომერში ავტორის დაუსახელებლად მოთავსებულია ი. ჭავჭავაძის ამავე პოემის კიდევ ერთი სტროფი:

„თავისუფლებაჲ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ შშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“³.

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 12.

² „ნაპერწყალი“, 1887, № 1. წერილს ასეთი ხელმოწერა აქვს: ც.მ.

³ ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად.

ამ ნაწყვეტს სათაურად აქვს „პატარა დამაკვირდი“, ე. ი. მოყვანილია როგორც აფორიზმი (შდრ. ილიასეული „ივერიის“ სპეციალური რუბრიკა „დამაკვირდი“, რომელიც გამოჩენილ აღამიანთა ბრძნულ აზრებს გვთავაზობს). „ნაპერწყალში“ არც ამ შემთხვევაშია დასახელებული ავტორი.

აღსანიშნავია, რომ მუშათა ხელნაწერი გაზეთის ფურცლებზე ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებების ის ნაწყვეტებია მოყვანილი, რომლებიც დიდი საზოგადოებრივი უღერადობით გამოირჩეოდა. ისინი ზომ თავისუფლებისადმი მიძღვნილ ბრწყინვალე ჰიმნებს წარმოადგენენ.

„ნაპერწყალში“ იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება რუსი კლასიკოსების თხზულებათა თარგმანებიც. მაგალითად, გაზეთის 1886 წლის მე-7 ნომერში მოთავსებულია ა. პუშკინის ლექსის „პყრობილის“ („УЗНИК“) თარგმანი, რომელიც გარეგნულადაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს და, რაც მთავარია, დედნის აზრი შესანიშნავად არის გადმოცემული.

ზოგჯერ „ნაპერწყალის“ ავტორები ერთმანეთსაც უძღვნიან ლექსებს. ამ მხრივ დამახასიათებელია დ. გურულის ლექსი „ვეუძღვნი იანგოს“¹, რომელიც ხოტბას ასხამს იაგორ ანდრიანოვს როგორც ნიჭიერ პოეტს. ლექსში რამდენჯერმე არის ნახსენები „ჩვენი «წირე»“. ვფიქრობთ, ეს ფიგურალურად კი არ არის ნათქვამი, არამედ აღნიშნავს საქმის ნამდვილ ვითარებას — რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს, მართლაც, ჰქონდათ შექმნილი თავიანთი ფარული წირე².

„ნაპერწყალში“ ლექსებს ათავსებდნენ სხვა ავტორებიც (ან. წოდერძი, ვ. ფანიანელი, ცნობისმოყვარე, ჟონი და ა. შ.). ჩვენ აქ მათ გარჩევას არ შევუძღვებით, რადგან ისინი მეტწილად ეპიგონური ნაწარმოებებია და ყურადღებას არ იმსახურებენ არც თავიანთი თემატიკით, არც პოეტური სახეების ორიგინალობით.

ახლა შევეხოთ „ნაპერწყალში“ ფოლკლორული მასალების გამოქვეყნების საკითხს. უნდა ითქვას, რომ გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობდა ზალხურ პოეზიას და სპეციალური რუბრიკაც კი ჰქონდა შემოღებული, რომელსაც „ზალხური ლექსები“ ერქვა. საყურადღებოა ისიც, რომ იქ აუცილებლივ იყო ხოლმე მითითებული პიროვნება, ვინც ესა თუ ის ნიმუში ჩაწერა. საერთოდ რედაქცია ცდილობდა ისეთი ნაწარმოებები შეეკრება, რომელთაც სოციალური და პატრიოტული უღერადობა მოეპოვებოდათ. თუმცა

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 9.

² ავტორის სიტყვა „წირე“ ბრჭყალებში ჩაუსვამს, რითაც ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ აქ დაპარაკია მოსწველეთა არაღეგალურ წრეზე.

„ნაპერწყლის“ ფურცლებზე სატრფიალო და საყოფაცხოვრებო თემებზე შექმნილი ხალხური ლექსებიც გვხვდება.

ჩვენი აზრით, ასევე ფოლკლორული უნდა იყოს ლექსები „აღამიკიჩას «პუტეშესტვია»“¹ და „მოყმის ნამბობი“², თუმცა ისინი „ხალხური ლექსების“ რუბრიკაში არ არიან მოთავსებული. პირველი ამათგანი ე. წ. მაკარონული ლექსია, ე. ი. ისეთი სახუმარო ნაწარმოები, რომლის ტექსტი აჭრელებულია უცხოური სიტყვებით. ეს ლექსი თბილისური ქალაქური ლიტერატურული ბოჰემიდან უნდა მომდინარეობდეს. მეორე ლექსი კი ბატონყმობის პერიოდს ეხება, მასში აღწერილია ყმის დაჩაგრული მდგომარეობა და მებატონის სისასტიკე.

პროზა. პროზაული ნაწარმოებები „ნაპერწყალში“ შედარებით იშვიათად გვხვდება. ისინი ძირითადად განეკუთვნებიან საყოფაცხოვრებო თემატიკას და ეხებიან ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა მხარეს: გამტანობას, მეგობრობა-ამხანაგობას, სიყვარულსა და ა. შ. ასეთი ხასიათისაა, მაგალითად, მოთხრობები: „მოგება (რუსულით)“ ცნობისმოყვარისა („ნაპერწყალი“, 1886, №3, 4 და 7), „სურათი ახალგაზრდობის ცხოვრებიდან“ იაგორ ანდრიანოვისა („ნაპერწყალი“, 1887, № 3), „გმირი“ გიგო სულხანოვისა („ნაპერწყალი“, 1886, № 11; 1887, № 4) და სხვები. გაზეთის ფურცლებზე გვხვდება სოციალური შინაარსის რამდენიმე მოთხრობაც. მათ შორის აღსანიშნავია ანონიმური ნაწარმოები „სიკედელი“³, რომელსაც თითქოს უანრული განკუთვნილების აღსანიშნავად ახლავს წარწერა „ფანტაზია“. მასში მძიმე სურათია დახატული — ოჯახის მარჩენალის გარდაცვალება და ობლების უნუგეშო მდგომარეობა. მეორე ნაწარმოებში, რომელსაც ჰქვია „ჩემი პატარა მოთხრობა“⁴ (ავტორად დასახელებულია: შალვა), ლაპარაკია გლეხების ჩაგვრასა და დამციროებაზე, იმაზე, თუ როგორ ავიწროებენ და ყვლეფენ მათ მამასახლისი და პრისტავი.

რაც შეეხება განხილული ნაწარმოებების მხატვრულ დონეს, ჩვენ ამ საკითხზე აღარ ვჩერდებით გასაგები მიზეზის გამო (ამაზე დაწვრილებით გვექონდა ლაპარაკი ამ თავის შესავალში).

დასასრულ, რამდენიმე სიტყვით შევეხოთ, თუ რა ონტერესს იჩენდა გაზეთი „ნაპერწყალი“ თეატრისა და დრამატურგიის მიმართ. ზემოთ უკვე განვიხილეთ აქ მოთავსებული ერთადერთი დრამატული ნაწარმოები — სენა „ცენზორი და მწერალი“.

¹ „ნაპერწყალი“, 1886, № 13.

² „ნაპერწყალი“, 1887, № 4.

³ „ნაპერწყალი“, 1887, № 17.

⁴ „ნაპერწყალი“. 1887, № 4.

ამჯერად კი შევჩერდებით გაზეთის დამოკიდებულებაზე ქართული თეატრისადმი. დ. ერისთავის „სამშობლოს“ განახლებულ დადგმასთან დაკავშირებით „ნაპერწყალი“ მკითხველს სთავაზობს საინტერესო განცხადებას (1886, №9), რომელშიც ხაზგასმულია, რომ მესამე წელიაო, რაც ეს პიესა „არ უთამაშიათ“. აღნიშნული განცხადების სუსხი მიმართულია მეფის მთავრობისადმი, რომელმაც გარკვეული დროით აკრძალა სცენაზე „სამშობლოს“ წარმოდგენა. ამ განცხადების არსი ის არის, რომ გაზეთი თავის მკითხველებს მოუწოდებს აუცილებლივ ნახონ ეს პატრიოტული სპექტაკლი.

ამრიგად, ხელნაწერი გაზეთი „ნაპერწყალი“ მუშათა არაღვგალური რევოლუციური პრესის ერთ-ერთი შესანიშნავი ორგანოა. რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლენი წარმოადგენდნენ საქართველოს მუშათა კლასის მომავალ რაზმს და ამიტომ სრულ საუბრეველი გვაქვს მათ ვაზეთს მუშური ვუწოდოთ.

„ნაპერწყლის“ ნომრების შინაარსის გაცნობამ თვალნათლივ დაგვანახვა მისი ავტორების დიდი ინტერესი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და, რაც მთავარია, სოციალური პრობლემებისადმი, პროლეტარიატის ცხოვრების საჭირობათა საკითხებისადმი. მართალია, გაზეთს ზშირად აკლია პრინციპულობა ზოგიერთი მწვავე საკითხის გარკვევისას, ვერ ამქლავნებს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ და შესაფერის კლასობრივ თვალსაზრისს, მსჯელობს პრიმიტიულად, განიცდის ხალხოსნურ შეხედულებათა გავლენას, მაგრამ ყოველივე ეს ვერ ჩრდილავს გაზეთის დამსახურებას მუშათა კლასობრივი თვითშეგნების გამოღვიძებაში, მეფის თვითმპყრობელობისა და მისი ინსტიტუტების მიმართ მათი სიძულვილისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთების გაღვივებაში.

გარდა ამისა, „ნაპერწყალს“ ერთგვარი ამაგი მიუძღვის მკითხველი საზოგადოებისათვის ქართული ლიტერატურის ისეთ ქმნილებათა მიწოდების საქმეში, რომლებიც გამსჭვალული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი, პროგრესულ-დემოკრატიული თუ რევოლუციური იდეებით და ამიტომ აკრძალული იყო ცენზურის შიერ.

გაზეთმა „ნაპერწყალმა“, ისევე როგორც მუშათა სხვა ხელნაწერმა ეურნალ-გაზეთებმა („მუშა“, „სხივი“, „განთიადი“, „სინათლე“ და სხვ.) საფუძველი ჩაუყარა საქართველოს პროლეტარიატის რევოლუციურ პრესას.

ქართველ მუშათა ერთ-ერთი პირველი არალეგალური ხელნაწერი ქურნალის „მუშის“ (გამოდიოდა თბილისში 1889-1891 წწ.) კომპლექტი დაცულია ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში¹. პროფ. ა. ხახანაშვილმა შეისწავლა ამ წიგნსაცავის ქართული ხელნაწერები და 1905 წელს ქურნალ „მოამბეში“ (№ 8) გამოაქვეყნა მათი მოკლე აღწერილობა, სადაც აღწერილია ქურნალ „მუშის“ ზემოხსენებული კომპლექტიც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რევოლუციური მოძრაობის ბევრი მკვლევარი იხსენიებდა ამ ქურნალს (ფ. მახარაძე, რ. კალაძე, გრ. გიორგაძე, ს. თალაკვაძე, პ. გუგუშვილი, ლ. გორგილაძე, ზ. გეგეშიძე და სხვ.), მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს იგი თვალთ არ ჰქონდა ნანახი და ისინი ძირითადად ემყარებოდნენ პროფ. ა. ხახანაშვილის ამ აღწერილობას. უკანასკნელ წლებში იყო რამდენიმე ცდა, რომ „მუშა“ მოეძებნათ ბრიტანეთის მუზეუმის წიგნსაცავში, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

1970 წელს ლონდონში ყოფნის დროს პროფ. დ. ლანგის დახმარებით ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში მივაკვლიეთ ქურნალ „მუშის“ კომპლექტს და დავამზადებინეთ მისი მიკროფირი (ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში). ამან შესაძლებელი გახადა ძირფესვიანად შეგვესწავლა ქურნალის შინაარსი.

როგორ მოხვდა ქართველ მუშათა ხელნაწერი არალეგალური ქურნალი ლონდონში? ამ საკითხს ნათელს ჰფენს. ცნობილი მოღვაწის ზაქარია ჭიჭინაძის მოგონება. აი, რას მოგვითხრობს იგი ამასთან დაკავშირებით:

„1880 წელს მე უკვე ფანატიკი სოციალისტი ვიყავი და სოციალისტური აზროვნება ჩემში ღლითი ღღე ფართოვდებოდა. ამავე დროს ქართველ მუშებში მე ვავრცელებდი სამშობლო ენის და მწიგნობრობის სიყვარულს... მე ალღო ავართვი მათ, რომ საჭირო იყო სოციალისტური აზრებისა და წიგნების გავრცელება. ... შევადგინე მუშათა და ხელოსანთა ერთი წრე... ამ წრეში ერივნენ თბილისის სახელოსნო სკოლის მოწაფენიც, როგორც მ. თოიძე და ზოგნიც სხვანი; მათი გვარები აღარ მახსოვს...“ ზ. ჭიჭინაძე ამ წრის წევრებს შეკრებებზე უკითხავდა ი. ჭავჭავაძის „გლახის ნა-

¹ British Museum. Department O. P. B. and MSS. Catalogue OR, 5315. Order 009844. Musha (the Workman). Georgian Miscellany.

ამბობსა“ და „კაკო ყაჩაღს“, დ. ჭონჭაძის „სურამის ციხეს“ აგრეთვე სხვა ავტორთა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც მწვავე სოციალური პრობლემები იყო დაყენებული, აცნობდა 60-იანი წლების რუსეთის მწერალთა ბიოგრაფიებს, ნ. ჩერნიშევსკისა და ევროპის სოციალისტების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს.

„ამის შემდეგ — წერს ზ. ჭიჭინაძე, — თვითონ თბილისის მუშებმა განიზარახეს საკუთარი ხელნაწერი ჟურნალის „მუშის“ გამოცემა (ეს იყო 1889 წელს). წერილების გადაწერა იკისრა მუშა-მებალემ (იმ დროს საბალოსნო სკოლაში მუშაობდა) მიხეილ მეტეხელმა. მან წერა კარგი იცოდა, შიგ სურათებსაც ხატავდა... ამ ჟურნალის თანამშრომლებიდან ახლაც ცოცხლები არიან: გიორგი მანთაშოვი, კარგი მელექსეა, ცნობილია ფსევდონიმით „შინატეხელი“¹, გეურქა დიაროვი, ხელობით მეჩოქე, არაქელა ოქუაშვილი, გიგო ბასილაშვილი ანუ ნორიელი სლესარი.

ამ ჟურნალის ორ თვეში ერთი წიგნი გამოდიოდა. მისი ერთი წლის ნომრები მე მქონდა ერთად ერთ ყდაში შეკრული და იგი ვუთავაზე ე[არლამ] ჩერქეზიშვილს და მან იგი ლონდონში წაიღო, სადაც მან ბრიტანეთის სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკას გადასცა და იქ არის დაცული“².

ზ. ჭიჭინაძის ზოგიერთი ცნობა ზუსტი ვერ არის. ბრიტანეთის მუზეუმში დაცული „მუშა“ გამოდიოდა არა ორ თვეში ერთხელ, არამედ სამ თვეში ერთხელ (სულ წელიწადში ოთხი ნომერი) და აკინძულია არა ერთი წლის კომპლექტი, არამედ სამი წლისა (1889—1891).

იოსებ იმედაშვილი თავის გამოუქვეყნებელ მოგონებებში „ჩემი ცხოვრების წიგნი“ ზ. ჭიჭინაძის ამ პერიოდის მოღვაწეობის თაობაზე შემდეგს წერს: „ზაქარია მუშების თაიგული იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან 90-მდე მუშათა გათვითცნობიერებისათვის არავის იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც ზაქარიას. ზაქარიამ მთელი სკოლა შეკქმნა მუშა-მწერლებისა. ზაქარიას შთაგონებით ჩაისახა ქართველ მუშათა პირველი ხელნაწერი ჟურნალი „მუშა“. ზაქარიას შთაგონებით გამოჩნდნენ მუშა-მწერლები: მიხეილ გორდაძე, მიხა ბოჭორიძე,

1 გიორგი მანთაშოვის მონაწილეობა „მუშაში“ სხვა წყაროებიდან არ ჩანს.

2 რ. კალაძე. ქართული ჟურნალ-გაზეთის ჩანასახი (80-90 წწ.). ჟურნ. „რევოლუციის მატრიანე“, 1923, №2, გვ. 12-14; შტრ. აგრეთვე ზ. ჭიჭინაძე. ტფ. მუშების პირველი ჟურნალი „მუშა“ („თეატრი და ცხოვრება“, 1923, №3, გვ. 13).

პეტრე პეტრიაშვილი, გიგო თოიძე¹, მიხეილ მეტეხელი და მრავალი სხვა. ეს მუშები... ხშირად იკრიბებოდნენ ზაქარიასთან სახლში... იარმუკაში — წიგნთსაგაქროსთან, ანუ მიჰყავდათ ხოლმე ოჯახებში“².

გალაკტიონ ტაბიძე ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის ზაქარია კიკინაძეზე: „განაპირა უბნებში ზაქარიამ შეადგინა მუშა-ხელოსანთა წრე, რომელიც მალე გაფართოვდა. ასეთი წრეებით მოიფინა ტფილისი. გამოიკა ხელნაწერი ჟურნალი „მუშა“, რომლის ნიმუში (?) ლონდონის მუზეუმშია დაცული“³.

თავის ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ წერილში ზ. კიკინაძე უფრო დაწვრილებით ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა წვლილი მიუძღოდა მას „მუშის“ დაარსებაში: „მუშებში გამოღვიძება დაიწყო და ვაქეზებდი, რომ მუშებს ეგება გამოეცათ თავიანთი ჟურნალი „მუშა“. ამ საქმის მეთაურობა იკისრა სახელოსნო სკოლის მუშამ⁴ მიხეილ მეტეხელმა, ვინც ქართული წერა იცოდა მშვენიერის ხელით, მასთან ხატვა შეეძლო კარგად. მიხ. მეტეხელს ლექსებიც აქვს ნაწერი. ზოგი მისი ლექსი ცალკე წიგნად არის დაბეჭდილი“. მერე და მერეო, ამბობს ზ. კიკინაძე, მუშებში მე აქტიურად ველარ ვეწეოდი საქმიანობას, ჟანდარმერიის ჯაშუშების შიში მქონდა, რომლებიც კულში დამდევდნენო, მაგრამ ჟურნალ „მუშას“ მაინც „თვალყურს ვადევნებდი და ხელმძღვანელობასაც ვუწევდი მის მეთაურ მიხ. მეტეხელს“⁵.

დაახლოებით ასეთია „მუშის“ გამოცემის ისტორიის ზაქარია კიკინაძისეული ვერსია. არის კიდევ სამი სხვადასხვა ვერსია. გავეცნოთ თითოეულ მათგანს.

პირველი. გრ. გიორგაძე ხაზგასმით აღნიშნავს ჟურნალ „მუშის“ გამოცემაში თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებისადმი შიბაძვისა და გოლა ჩიტაძის როლს. იგი წერს, რომ 80-90-იან წლებში „მუშა-ხელოსნებს და მოსწავლე ახალგაზრდებს შორის დროგამოშვებით გამოდიოდა თვიური ჟურნალებიც კი:

¹ გამოჩენილი ქართველი მხატვრის მოსე თოიძის ძმა.

² საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი №13444.

³ ზაქარია კიკინაძე. 1922, გვ. 40. წიგნის ავტორია: ნ. ნ. (გალაკტიონ ტაბიძის ფსევდონიმა).

⁴ როგორც ვნახეთ, ზ. კიკინაძის სხვა ნათქვამში, რომელიც ზემოთ დავიწვინეთ, აღნიშნულია, რომ მიხ. მეტეხელი საბატონო სკოლაში იყო (რაც, ვფიქრობთ, კემპარიტებასთან უფრო ახლოსაა).

⁵ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი №1666, გვ. 31.

„მუშა“¹ „განთიადი“, „სხივი“. პირველი ასეთი ჟურნალის „მუშას“ გამოცემის საბაზი შემდეგი გარემოება გამხდარა: 1886 წელს იოსებ ლალიაშვილმა მოკლა ტფ. სემინარიის რექტორი ჩუღეცკი. ამ მკვლელობის გამო გამოძიებამ გამოარკვია, რომ სემინარიაში იცემოდა ხელნაწერი ჟურნალი „ყვავილი“, რომლის თანაშრომელი ი. ლალიაშვილი იყო². ეს რომ გამომჟღავნდა, მოწინავე მუშა-ხელოსნებმა განიზრახეს ასეთი ჟურნალის გამოცემა. ეს განზრახვა მათ 1889 წელს განხორციელეს და სახელად მას „მუშა“ უწოდეს. მოწინავე მუშა-ხელოსნები იმ დროს გოლა ჩიტაძის წიგნსაცავით სარგებლობდნენ, მისი საშუალებით რუსეთის რევოლუციური მოძრაობას რამდენადმე იცნობდნენ და მუშის — მშრომელი ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობაზე წერდნენ. ამ ჟურნალის თანაშრომელნი იყვნენ: მიხა მეტეხელი, ვასო ყუნჯალაშვილი³, ვანო დოლმაშვილი (ვ. დორელი)⁴, არაქელა ოქუაშვილი (ა. დლიურაშვილი). გიგო ბასილაშვილი, ვასო ცაბაძე. ამ ჟურნალს ალ. ხახანაშვილი თვლის „კვალის“ და „მოგზაურის“ წინამორბედად⁵.

დამაჭერებლობას მოკლებულია გრ. გიორგაძის მოსაზრება. თითქოს თბილისელმა მუშა-ხელოსნებმა სემინარიელთა ხელნაწერი ორგანოს „ყვავილის“ მიბაძვით განიზრახეს „მუშის“ გამოცემა, მით უმეტეს, რომ არც ერთი კონკრეტული ფაქტი არ მოჰყავს თანის ამ შეხედულების დასადასტურებლად.

გრ. გიორგაძისეული ვერსიისაგან თითქმის არ განსხვავდება „მუშის“ ერთ-ერთი აქტიური თანაშრომლის ივანე (ვანო) მიხეილის ძე დოლმაშვილის ნათქვამი. 1934 წლის 3 თებერვალს დაწერილ ავტობიოგრაფიაში⁶, გარდა ამ საკითხისა, იგი „მუშის“ გამოცემის სხვა პრობლემებსაც ეხება და, ამდენად, საინტერესო წყაროს წარმოადგენს. ი. დოლმაშვილი წერს, რომ სოფლიდან

¹ სინამდვილეში ეს ჟურნალი სამ თვეში ერთხელ გამოდიოდა.

² ცოტათი ზემოთ კი (გვ. 498) გ. გიორგაძე წერს, ი. ლალიაშვილი „ყვავილის“ ხელმძღვანელი იყო.

³ უნდა იყოს: ვასო ყულიჩანაშვილი.

⁴ უნდა იყოს: ვანო დოლმაშვილი. ეს უზუსტობა დამეხებულია ლ. გორგილაძის ნაშრომშიც (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, გვ. 730) და ჩვენს წერილებშიც (იხ. ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1971, №5, გვ. 86; ვაზ. „კომუნისტი“, 1971, 20 მაისი).

⁵ გრ. გიორგაძე. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. 1928, გვ. 511-512.

⁶ მლისტვა, ფონდი 8, აღწ. 2, ნაწ. 1, შენახვ. ერთ. 15, გვ. 219-227.

ი. დოლმაშვილი თავისი დაბადების წელს არ ასახელებს. იოსებ იმედაშვილის ხელნაწერ შრომაში „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონში“ აღნიშნულია, რომ იგი 1870 წელს დაბადებულა.

თბილისში ჩამომიყვანეს და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეჩემე აბრამ ცქიმიანურს მიმბარეს ხელობის შესასწავლადო. ამ სახელოსნოში თურმე ხშირად თავს იყრიდნენ მოწინავე მუშები და პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლები: ძმები ჩოდრიშვილები, გოლა ჩიტაძე, ვასო ცაბაძე, ძმები კეცხოველები, ზაქარია ჭიჭინაძე, ანტონ ფურცელაძე, ვაჟა-ფშაველა, იოსებ დავითაშვილი და სხვები.

„1886 წელში, — წერს ი. დოლმაზაშვილი, — ჩვენს სახელოსნოში დავაარსეთ ურთიერთდამხმარე სალარო, რომელშიაც შედიოდა 22 წევრი... ამ ხანებში ვკითხულობდი „ივერიას“, სემინარიელების გამოსვლების ამბებს და ერთ-ერთ ნომერში წავიკითხე, რომ 1886 წლის მაისში სემინარიელმა იოსებ ლალიშვილმა მოჰკლა სემინარიის რექტორი რუდოვსკი (sic)¹. მას ბრალს სდებდნენ და ასამართლებდნენ აგრეთვე არალეგალური მუშაობისათვის და ჟურნალ „ყვავილის“ რედაქტორობისათვის.

ამის წაკითხვის შემდეგ დამებადა აზრი, რომ ჩვენც შეგვეძლო პატარა შევირდ მუშებს გამოგვეშვა ხელთაწერი ჟურნალი, რომელსაც ჩემის აზრით უნდა დარქმეოდა სახელად «მუშა».

ეს აზრი ი. დოლმაზაშვილს გაუზიარებია თავისი ამხანაგებისთვისაც. რომლებიც შეთანხმებულან, რომ მომდევნო, 1887 წელს გამოეცათ ჟურნალი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს მიზანი ვერ განუხორციელებიათ.

„გავრდა ხანი, — განაგრძობს ი. დოლმაზაშვილი, — მოატანა 1889 წ., მეც შევასრულე შევირდობა. ორი წელიწადი ვიმუშავე სხვადასხვა კერძო სახელოსნოებში, მაგრამ ბინა კი ისევ ჩვენს სახელოსნოში მქონდა, სადაც მიჯაჭვული ვიყავით მე და ჩემი ამხანაგები. დაფიწყე ხელმეორედ ფიქრი „მუშის“ გამოცემაზედ.

გადავწყვიტეთ წინანდელმა ამხანაგებმა ჟურნალის გამოცემა და ეს აზრი უფროსებსაც გავუზიარეთ, რომლებმაც ხელი შეგვიწყეს და მოგვცეს რჩევა-დარიგება.

რედაქცია იყო ჩემი ოსტატის სახელოსნო. წერილების გადაწერა დავაკისრეთ მიხა მეტეხელს“.

მოუწყვევიათ კრება, რომელზედაც ჟურნალში თანამშრომლობა აღუთქვამთ: ვანო დოლმაზაშვილს (ვ. დორელი), მიხა მეტეხელს (ხომიზუროვი-ხიდისთაველი), გიორგი დიაროვს, გიორგი ბასილაშვილს (ნორიელი სლესარი), ვანო ყულიჩანაშვილს (ვ. ქერეთხევე-

¹ უნდა იყოს: ჩუღეცკი.

ლი), სოლო აზმაიფარაშვილს (ს. ზ.), ტატო ქუბიაშვილს (ტ. რუისელი), ნიკო სირაძესა და სხვებს¹.

ი. დოლმაზაშვილის თქმით, „ამავე ეურნალში თანამშრომლობდნენ ფსევდონიმით: 1. გოლა ჩიტაძე, 2. ზაქარია ჭიჭინაძე, 3. ლევან ფურცელაძე და 4. ჯაჯანაშვილი. ამრიგად გამოვიდა პირველი ნომერი ეურნალი „მუშა“ 1889 წლის თარიღით, ყდაზედ გამოხატული აქვს დურგალი, რომელსაც ხელში რანდა უჭირავს და რანდავს ფიცარს... ეს მხატვრობა ეკუთვნის მიშა მეტეხელს, ეურნალი „მუშა“ კი — ურთიერთდამხმარე სალაროს მთელ შემადგენლობას.

ჩვენი გამოცემული ეურნალი მიჰქონდა ზაქარია ჭიჭინაძეს თავის სახლში — მთაწმინდაში, საიდანაც ეცნობოდნენ და კითხულობდნენ მაშინდელი მოსწავლენი მუშების საიდუმლო ეურნალს... პროფ. ა. ხახანაშვილის მოთხრობით ეურნალი „მუშის“ ნომრები ინახება ბრიტანეთის მუზეუმში ქალ. ლონდონში... მე ვსწერდი ეურნალ „მუშაში“ ვ. დორელის ფსევდონიმით პატარ-პატარა ლექსებს და პოლემიკურ წერილებს“⁴.

ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ ზ. ჭიჭინაძის ერთი ცნობაც იმის შესახებ, რომ ი. დოლმაზაშვილი „იყო დაახლოებული თანამშრომელი ქართულ ხელნაწერ ეურნალ «მუშისა». მასში წერდა ლექსებს. მისი ფსევდონიმი იყო «დორელი»“⁵.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ, როგორც გრ. გიორგაძისეული, ისე ი. დოლმაზაშვილისეული ვერსია „მუშის“ დაარსებაში თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებისადმი მიბაძვის როლის შესახებ დასაბუთებებს მოკლებულია და, ამდენად, იგი ნაკლებად სარწმუნოა.

შეორე. ძველი რევოლუციონერი, ეურნალ „მუშის“ ერთ-ერთი მონაწილე არაქელა ოქუაშვილი ამ ეურნლის გამოცემის ინიციატორად ვასო ცაბაძეს ასახელებს, თუმცა ზ. ჭიჭინაძესაც ახსენებს, როგორც მუშებთან დაახლოებულ პიროვნებას. ა. ოქუა-

¹ ფრჩხილებში მოთავსებულია ი. დოლმაზაშვილის მიერ გახსნილი ფსევდონიმები.

² რას ნიშნავს ეს? ალბათ, ხელმოუწერელი სტატიები და ლექსები იგულისხმება, თორემ ქვემოთ ჩამოთვლილი გვარები ეურნალ „მუშაში“ სრულიად არ გვხვდება.

³ ზაქარია ჭიჭინაძეს ზომ ჰქონდა ფსევდონიმი — ზ. ახალსოფელი? თუმცა ერთი ლექსი და რამდენიმე სტატია მას ხელმოუწერადაც აქვს „მუშაში“ მოთავსებული, რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

⁴ მლისფა, ფონდი მ, აღწ. 2, ნაწ. 1, შენახ. ერთ. 15, გვ. 219-227.

⁵ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 5339, გვ. 23.



ჟურნალ „მეუხე“ 1889 წლის 1-ლი ნომრის გარეკანი.

შეიღობი ნოველიტრობის: „ოთხმოცდარვა [1888] წელს წავიყვანეს [ზაქარია:] ჰიკინაძესთან. იმის ბინაზე ცხოვრობდნენ ფილიპე მახარაძე და სხვები... ესენი მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდები იყვნენ. მათზე უფროსი იყო [ე.] ნინოშვილი და მან წავიყვითხა „ოთხი ძმის“ არაკი. აჲ, როგორც მახსოვს, ვიყავი მე, მიხა ბოჭორიძე,

სოლომონ აზმაიფარაშვილი, გურჯ დიაროვი და სხვები... ამ ხანებშივე გამოჩნდა ვასო ცაბაძე, რომელმაც გვიჩინა ჟურნალის გამოშვება. ეს ჟურნალი ხელნაწერი იყო და გვეწერდა მუშა სირაძე¹. ჟურნალს ერქვა „მუშა“. მონაწილეობას ვიღებდით მე, მიხა ბოჭორიძე და სხვები... გამოვეცით მხოლოდ ექვსი ნომერი (?), შემდეგ შევწყვიტეთ“².

თავის ამ ვერსიას ა. ოქუაშვილი თვითონვე უარყოფს გამოუქვეყნებელ მოგონებებში, სადაც იგი აღნიშნავს: „...ჟურნალშიაც ვმუშაობდით. ჟურნალი ხელით იწერებოდა. სწერდა მეტეხელი, რომელსაც კარგი ხელი ჰქონდა, ხატავდა კიდევაც. მე მახსოვს ოთხხუთ ეგზემპლარსა ვწერდით, ზოგი ამბობს ექვსი-შვიდი იყო³. მე ლექსებიც მაქვს შიგ დაწერილი. თურმე მე პოეტი ვიქნებოდი, თავის დროზე რომ მამექცია ყურადღება ამისთვის. ჟურნალის გარშემო რამდენიმე კაცი ვმუშაობდით. ზ. ჭიჭინაძე ხშირად გველაპარაკებოდა, გვიკითხავდა... შემდეგ ჟურნალი დაიხურა. არ ვიცი რა მიზეზით“⁴. ამ ნაწყვეტიდან ცხადი ხდება, რომ ვ. ცაბაძის რაიმე როლი ჟურნალ „მუშის“ დაარსებაში საეჭვოა.

ჩვენი აზრით, ა. ოქუაშვილის ეს ცნობები ნაკლებ სარწმუნოა, თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც უკვე ვთქვით, მნიშვნელოვანწილად ურთიერთსაწინააღმდეგოა.

მესამე რ. კალაძე „მუშის“ გამოცემაში წამყვან როლს თბილისის სახელოსნო სკოლის მოსწავლეებსა და მ. სიმონიძეს (მიხეილ მეტეხელს) მიაკუთვნებს. იგი წერს: „რას წარმოადგენს თავისთავად მუშათა ქართულ ჟურნალ-გაზეთის ეს ჩანასახი, ტფილისის მუშების პირველი ხელნაწერი ჟურნალი «მუშა», «განთიადი» და სხვები? ხელნაწერი პერიოდული მუშათა ქართული ჟურნალი, როგორც ჩანს, პირველად ტფილისის სახელოსნო სკოლის მოსწავლეებს შემოუღლიათ 80-იან წლებში. ხელნაწერი ჟურნალის «მუშის» გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს 1891 წლის მარტში გამოცემული ხელნაწერი ჟურნალი «განთიადი», რომელსაც აწერია:

¹ ზ. ჭიჭინაძისა და ი. დოღმაშვილის ცნობით — მიხეილ მეტეხელი, რაც სინამდვილეს უფრო შეეფერება.

² ჟურნ. „რევოლუციის მატინე“. 1925, № 2 (12), გვ. 58. ა. ოქუაშვილის ცნობა გამოცემული ნომრების რაოდენობის შესახებ არ არის სწორი: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოვიდა „მუშის“ არა ექვსი, არამედ ათი ნომერი. ეს შეცდომა ა. ოქუაშვილს ადრეც მოსვლია (იხ. ჟურნ. „რევოლუციის მატინე“, 1924, № 3, გვ. 224).

³ ე. ი. ხელნაწერ „მუშის“ „ტირაჟი“ 4-7 ეგზემპლარი ყოფილა. ქვემოთ შეგვხვდება ზ. ჭიჭინაძის ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მუშა“ 5 ეგზემპლარად გამოდიოდა.

⁴ მლისფა, ფონდი 8, აღწ. 2, ნაწ. I, № 38, გვ. 33.

«სახელოსნო სკოლის ჟურნალი» და გამოცემულ-გადაწერილია მ. სიმონიძის მიერ (იგივე მიხეილ მეტეხელი). აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ სახელოსნო სკოლის მოსწავლეებთან ამხანაგური კავშირი ჰქონია, თუმცა, თვითონ, როგორც ამხ. ზაქარია ჭიჭინაძე ამბობს თავის მოგონებაში, საბაღოსნო სკოლაში იყო. ამას ის გარემოებაც ამოწმებს, რომ ყველა მისი თანამშრომლები და ამხანაგები უმეტესად სახელოსნო სკოლის მოსწავლეები იყვნენ, თუმცა ისიც აშკარაა, რომ მათთან ერთად გარეშე მუშებიც თანამშრომლობდნენ (მაგალითად, როგორც ზემოთ ვთქვეით, ა. დლიურაშვილის ფსევდონიმით ამ ჟურნალში ლექსებს ათავსებდა ამხ. არაქელა ოქუაშვილი, ასევე სხვებიც)¹.

რ. კალაძის ამ შეხედულებას, რა თქმა უნდა, ძნელია დავეთანხმობთ. სინამდვილეში არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალ „მუშაში“ სახელოსნო სასწავლებლის მხოლოდ ერთი მოსწავლე თანამშრომლობდა — მოსე თოიძე, რომელმაც მასში ორი ლექსი მოათავსა და ამასთან როგორც მხატვარმა ერთი ნომრის ყდა გააფორმა, რაზედაც დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. ამის გამო ვფიქრობთ, რომ „მუშის“ გამოცემის საქმეში სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა რაიმე პრიორიტეტის შესახებ ლაპარაკი, გაუმართლებელია. ზემოაღნიშნული არასწორი დასკვნების გამოტანის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ რ. კალაძე არ იცნობდა „მუშის“ შინაარსს, ისევე როგორც სხვა მკვლევარნიც, რომლებიც კი ამ ჟურნალს განიხილავენ თავიანთ ნაშრომებში.

ასეთია „მუშის“ გამოცემის თაობაზე შემოთავაზებული რამდენიმე ვერსია. როგორც ვნახეთ, თითოეული მათგანი მეტნაკლებად სწორ ცნობებსა თუ უზუსტობებს შეიცავენ. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის მთავარია ის, რომ ხელნაწერი ჟურნალი „მუშა“ თვით მუშების ინიციატივით დაარსდა და მათი მონაწილეობით გამოდიოდა. ამის შესახებ ფ. მახარაძე 1925 წელს წერდა: „მუშახელოსნების მოწინავე ჯგუფში დაიბადა დიდი ინტერესი თვითმოქმედებისა და თაოსნობისა და თავისი საკუთარი ინტერესების დასაცავად. და რადგანაც არსებულ ლეგალურ ლიტერატურაში იმათ არ შეეძლოთ თავის გულს წადილის გამოთქმა, ამიტომ იმათ გადასწყვიტეს თავისი საკუთარი ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა, თავისივე ინიციატივითა და თავისივე საკუთარი ძალებით. ეს მეტად

¹ რ. კალაძე. მუშათა ქართულ ჟურნალ-გაზეთის ჩანასახი (90-80 წწ.). ჟურნ. „რევოლუციის მატინანე“, 1923, № 2, გვ. 15. ამავე აზრს იმეორებს ჟურნ. „ლომია“ (1922, № 6-7).

საგულისხმო ამბავია საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში¹.

კოტა აღრე ანალოგიურ აზრს რ. კალაძეც გამოთქვამდა. კერძოდ, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა იმას, რომ „რევოლუციონური მწერლობის ასპარეზზე ტფილისში მუშა-ხელოსნები ინტელიგენციისაგან სრულიად დამოუკიდებლად გამოვიდნენ.“ ავტორის თქმით, ეს საყურადღებო მოვლენა 1889 წელს მოხდა, „როცა ტფილისის მუშა-ხელოსანთა ერთმა წრემ, სადაც ზ. ჰიჭინაძე სოციალისტური შინაარსის წიგნებს ჰკითხულობდა, პირველად დააარსა საკუთარი მუშური ხელნაწერი ჟურნალი სახელწოდებით «მუშა». რომელსაც რედაქტორობდა ერთი უცნობი მუშა და გადამწერი იყო მიხეილ მეტეხელი... აქ, ამ ჟურნალში მხოლოდ მუშა-ხელოსნები ათავსებდნენ თავიანთ ნაწერებს... მისი არსებობა არა თუ მთავრობის ჯაშუშებმა, არამედ ამ მუშების მეგობარ ინტელიგენტებმაც არ იცოდნენ: იცოდა მხოლოდ მათივე წრეში მყოფმა ზაქარიამ. რომელმაც შემდეგში ეს წრეც და მისი ჟურნალი «მუშა» გააცნო როგორც ანტონ თურცელაძეს, ისე გოლა ჩიტაძესაც².

ამ შემთხვევაში რ. კალაძე სწორ მოსაზრებას გამოთქვამს, რაც, ბუნებრივია, ეწინააღმდეგება მის ზემოთ განხილულ დებულებას — „მუშის“ გამოცემის საქმეში სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა გადამწყვეტი როლის შესახებ.

ხელნაწერი ჟურნალი „მუშა“ შეტანილი აქვს თავის ბიბლიოგრაფიაში გ. ბაქრაძეს, სადაც ნათქვამია, რომ იგი 1889-1891 წლებში გამოდიოდა³.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მკვლევარ ხელნაწერ ჟურნალ „მუშას“ რატომღაც ნაბეჭდ გაზეთად⁴ ან ნაბეჭდ ჟურნალად⁵ მიიჩნევს, ზოგს კი ჰგონია, რომ იგი ბერლინის მუზეუმშია დაცული⁶.

სახელწოდება „მუშა“ საქართველოში გამოსულ სხვა პერიოდულ ორგანოებსაც ჰქონდათ. საყურადღებოა, მაგალითად, ის ფაქტი, რომ 1900-1901 წლებში თბილისში სომხურ ენაზეც ხელნაწერ-

¹ ფ. მახარაძე. თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა. 1925, გვ. 9.

² ჟურნ. „რევოლუციის მატრიანე“, 1923, № 2, გვ. 12.

³ გ. ბაქრაძე. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1947, გვ. 205.

⁴ პ. გუგუშვილი. ქართული წიგნი. 1929, გვ. 250.

⁵ იხ. ჟურნ. „რევოლუციის მატრიანე“, 1923, № 2, გვ. 21; ჟურნ. „მომავალი“, 1923, № 4 (11), გვ. 31.

⁶ იხ. ჟურნ. „ლომისი“, 1922, № 6-7.

რი გაზეთი გამოდიოდა „ბანგორის“ („მუშის“) სახელწოდებით და იგი პირველ სომხურ მუშურ გაზეთად არის აღიარებული¹.

საბჭოთა საქართველოს პირველ წლებში შექმნილ ერთ-ერთ გაზეთს „მუშა“ ეწოდა ხელნაწერ ჟურნალ „მუშის“ საპატივცემოდ. ამის თაობაზე პერსონალური პენსიონერი, კომუნისტური პარტიის წევრი 1928 წლიდან ვასილ ჩაჩანიძე ქართულ პრესაში ჟურნალ „მუშის“ შესახებ ჩვენი პუბლიკაციების გაცნობასთან დაკავშირებით გამოგზავნილ პირად წერილში გვწერდა, რომ 1922 წელს დაარსებულ გაზეთ „მუშის“ რედაქტორს პავლე საყვარელიძეს ასე აუხსნია მისთვის ამ სახელწოდების დარქმევა: „სახელწოდება «მუშა» დაკავშირებულია საქართველოს რევოლუციონერ მუშათა მოძრაობის და მისი ბეჭდვითი სიტყვის ისტორიასთანო. გაზეთის სახელწოდება «მუშა», მისი ამ სახელწოდების აღდგენა და არდავიწყება მთხოვეს საქართველოს ბოლშევიკების უხუცესმა წევრებმა: მიხა ცხაკაიამ, ფილიპე მახარაძემ, მიზა ჩოდრიშვილმა, ნიკო კიკნაძემ, მალაქია ტოროშელიძემ და სხვებმაო... ჟურნალი «მუშა» ამ ოცდაათი წლის წინათ დააარსეს მოწინავე მუშებმა და ინტელიგენციამო“².

დავუბრუნდეთ არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალ „მუშას“. როგორც ვთქვით, ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ქართველ მუშათა ეს ორგანო გამოდიოდა 1889-1891 წლებში. 1889 წელს გამოიცა 4 ნომერი, 1890 წელს — 4, ხოლო 1891 წელს — 2, სულ 10 ნომერი. დოკუმენტურად დადასტურდა, რომ ეს ჟურნალები, მართლაც, ვარლამ ჩერქეზიშვილს 1898 წლის თებერვალში შეუწირავს ბრიტანეთის მუზეუმის წიგნსაცავისათვის. ჟურნალის პირველივე ნომრის (1889, № 1) თავფურცელზე ინგლისურად აწერია: „Presented by W. Scherkesoff. Febr., 10, 1898“³.

ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925) ცნობილი ქართველი ანარქისტი იყო. იგი ჯერ კარაკოზოვის, ხოლო შემდეგ ნეჩაევის წრეში მონაწილეობდა, რისთვისაც ორჯერ იჯდა პეტრე-პავლეს ციხეში და გადაასახლეს ციმბირში. 1876 წელს საზღვარგარეთ გაიქცა, სადაც ლავროვისა და ბაკუნინის გამოცემებში თანამშრომლობდა. 1892 წელს ვ. ჩერქეზიშვილმა უკვე ლონდონშია, აქ იგი აქტიურად მონაწილეობს ანარქისტულ მოძრაობაში. რუსეთის პირველი რევოლუციის დროს საქართველოში იმყოფებოდა. 1907 წელს ისევ საზღვარგარეთ გაიქცა. პირველი მსოფლიო ომის წლებში კროპოტკინთან ერთად „ობორონეცი“ გახდა. 1917-1921 წლებში კვლავ საქართველო-

¹ შტ. X. A. Барсегян. История Армянской большевистской периодической печати. Ереван, 1958, стр. 12—18.

² ვასილ ჩაჩანიძის ეს პირადი წერილი დაცულია ჩვენს არქივში.

³ „შემოწირულია ვ. ჩერქეზოვის მიერ. 10 თებ., 1898“.

ში იმყოფებოდა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ საქმიანობას ეწეოდა. შემდეგ იგი ემიგრაციაში, ლონდონს, წავიდა და იქ გარდაიცვალა¹. როგორც ზემოთ ვთქვით, ვ. ჩერქეზიშვილი ზ. ჭიჭინაძესთან ყოფილა დაახლოებული (ზოგიერთი გადმოცემით, მასთან ცხოვრობდა). საზღვარგარეთ წასვლის წინ მას ზ. ჭიჭინაძისათვის „მუშის“ ნომრები უთხოვია თან წასაღებად. ზაქარიას მისთვის ხათრად არ გაუტეხია და უსახსოვრებია ქართველ მუშათა არალეგალური ეურნალის კომპლექტი.

ახლა გავარკვიოთ ეურნალ „მუშის“ ეგრეთ წოდებულ „გამომცემელთა“, ანუ გადამწერთა ვინაობა. 1889 წლის პირველ ნომერს აწერია: „გამოცემული მ. ხომიზუროვისაგან“. ამავე წლის მე-2 ნომრის ყდაზე კვითხულობთ: „გამოცემული მ. სიმონიძისაგან“, ხოლო ტიტულზე — „გამოცემული ხიდისთაველისა“. აქ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მიხეილ სიმონიძის ფსევდონიმებია: მ. მეტეხელი, მ. ზიდისთაველი, მ. ფშაველი, მ. ხომიზუროვი² და სხვ. ამავე წლის მე-3 და მე-4 ნომრებზე „გამოცემული“ აღნიშნულია შემდეგი აბრევიატურით: „გ. მ. ხ.“ (ჩვენი აზრით, ეს უნდა ნიშნავდეს: -გამომცემელი მიხეილ ხომიზუროვი“). 1890 წლის პირველი ორი ნომრის გამომცემლად იხსენიება ვისრამიანოვი (ჯერჯერობით გაუშიფრავი ფსევდონიმი). ხოლო ამავე წლის მე-3 და მე-4 და 1891 წლის პირველი ორი ნომრის გამომცემლად — მ. ხიდისთაველი (მიხეილ სიმონიძე). ხელის მიხედვითაც ეურნალის სხვა ნომრებისაგან მხოლოდ ის ორი ნომერი (1890, № 1 და 2) განსხვავდება, რომელთა გამომცემლად ვისრამიანოვი ითვლება. მაშასადამე, ამ ორი ნომრის გარდა „მუშის“ ყველა ნომერი მ. სიმონიძის მიერ არის გადაწერილი, რაც იმითაც დასტურდება, რომ ზუსტად ასეთივე ხელითაა დაწერილი ამ პიროვნების ხელნაწერი ეურნალი „სხივი“³. ზ. ჭიჭინაძეც სწორედ ამაზე მიუთითებს ზემოხსენებულ თავის გამოუქვეყნებელ წერილში: „ვინც რამეს დასწერდა, ამ მიხ. მეტეხელს მიუტანდა, იგი გადასწერდა ხოლმე თავიანი ხელით «მუშაში»“⁴.

ყოველივე აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოყვანილ მი-

¹ შ. რ. ლ. გორგილაძე. იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში. 1963, გვ. 71; პ. გუგუშვილი. კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებაში, 1971, გვ. 94-98, 255.

² ამ ფსევდონიმს ადასტურებს ვანო დოღმაზაშვილიც. იხ. მლისფა, ფონდი 8, აღწ. 8, შენახ. ერთ. 15, გვ. 219-227.

³ გამოლიოდა 1892 წლის შემოდგომაზე. მის შესახებ დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

⁴ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 4666, გვ. 31.

ნაწერებში სიტყვა „გამოცემული“ ნახმარია „გადაწერილი-ს“ მნიშვნელობით, ე. ი. გამომცემლად ჟურნალის გადამწერი ითვლებოდა.

რაც შეეხება საკითხს, თუ ვინ იყო „მუშის“ რედაქტორი, ამის თაობაზე ჟურნალის 1890 წლის მე-2 ნომრის მოწინავე წერილში, რომლის სათაურია „სტატია ვისრამიანოვისა“, მოცემულია საყურადღებო ცნობა.

წერილში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ერთხელ ავტორი იმყოფებოდა ერთი ხელოსნის დუქანში. მასთან შესულან ამხანაგები. გვარებს არ ვასახელებ, რადგან საჭირო არ არისო (აღბათ, კონსპირაციული მოსაზრების გამო). „რასაკვირველია, დავიწყეთ ლაპარაკი და პოლემიკური მსჯელობა: ზოგი ჩვენგანი მღვდლებს ტალახში სვრიდა, ზოგი მეფეებს ტახტიდან აგდებდნენ და ზოგი კიდევ ომიანობის წინააღმდეგ რაღაცეებს ლაპარაკობდნენ. ბოლოს ჩვენი ლაპარაკი მივიდა იქნობამდის, რომ ჩვენ უნდა დაგვეწერა და გამოგვეცა ჟურნალი“. მათ შორის დავა ატეხილა ჟურნალის სათაურის თაობაზე. ერთნი ამბობდნენ, რომ ჟურნალისათვის „ხელოსანი“ ეწოდებინათ, სხვები კი მოითხოვდნენ „მუშა“ დავარქვათო. ავტორი იქვე შენიშნავს, მთავარი იყო არა ის, თუ რა სათაურით გამოვიდოდა ჟურნალი, არამედ ის, რომ მისი შინაარსი ყოფილიყო ხეირიანიო. მაგრამ, ჩვენი აზრით, კამათი იმის შესახებ, თუ რა ეწოდებინათ ჟურნალისათვის — „ხელოსანი“ თუ „მუშა“, სრულიად არ იყო სერიოზულ საფუძველს მოკლებული. მას უდავოდ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ნამდვილი პროლეტარები მხოლოდ მუშები იყვნენ და არა ხელოსნები. ცხადია, შექმნილი სიტუაციიდან სათანადო შედეგებსაც მივიღებდით — სოციალური თვალსაზრისით მუშური ჟურნალი, რა თქმა უნდა, უფრო რადიკალური მიმართულებისა იქნებოდა და მშრომელთა ცხოვრების უფრო მწვავე, საჭირობოროტო საკითხებს განიხილავდა, ვიდრე ხელოსანთა ორგანო. შემდეგ ავტორი განაგრძობს: „დავაარსეთ ჟურნალი... და სახელად დავარქვით «მუშა»... რედაქტორად ამომიჩიეს მე და მწერლადაც ჩომიზუროვი“. მასშასადამე, ჟურნალის სათაურის გამო გამართულ კამათში „მუშის“ სახელწოდების მომხრეებს გაუმარჯვიათ, რაც, ბუნებრივია, შემთხვევითი არ იყო.

შემდეგ ავტორი გვაცნობს წერილებზე მუშაობის პროცესს. განსაკუთრებით უძნელდებოდა თურმე რედაქტორს ცუდი ხელით დაწერილი მასალების გასწორება, დიდი შრომა დაუხარჯავს რედაქტირებისათვის, თუმცაო, ამბობს იგი, ნაწერის აზრს არა უშავდა რაო. მართალია, პირველ ნომერს ნაკლოვანებებიც გააჩნდა, მაგრამ, ვინც ეს ნომერი წაიკითხა, ყველა დიდი აღტაცებითა და სიხარულით შეხვდაო მას.

გამოუციათ მეორე და მესამე ნომერიც, მაგრამ მათ გამოსვლას თურმე ისეთი აღფრთოვანება აღარ გამოუწვევია, როგორც პირველი ნომრის გამოშვებას. ამის მიზეზი ყოფილა ჟურნალში გაპარული უხეში შეცდომები. თურმე გადამწერს, ხომიზურავს (მ. სიმონიძეს) უყურადღებობის გამო გადაუწერა რედაქტორის ჩასწორებული სიტყვებიცა და ხაზგასმულა, ამოშლილი სიტყვებიც. „ისე, რომ არც რედაქტორისათვის უწყენინებოა და არც ავტორისათვის“, — ხუმრობით ამბობს ვისრამიანოვი და დასძენს, რომ ჟურნალის გამოსვლის შემდეგ ამის გამო ავტორებიც ნაწყენი დარჩნენ და რედაქტორიცო. ხომიზურავი, მართალია, შეცდა, მაგრამ ავტორებსაც ბრალი მიუძღვით, რადგან ისეთი ნაწერები მოაქვთ, რომ არა მარტო რედაქტორი და გადამწერი, მრავალი სხვაც ვერ შეძლებს ამ მასალების მოწესრიგებას და ჟურნალში უშეცდომოდ გაშვებასო. რედაქტორს თურმე დღიურაშვილი (არაქელა ოქუაშვილი, ჟურნალის ერთ-ერთი ავტორი) ქუჩაში შეხვედრია, ერთ ხელოსანთან შეუყვანია და დიდი საყვედურები უთქვამს: გადამწერს ბევრი შეცდომა მოსდისო. ამიტომ გადაწერაც და რედაქტორობაც ორივე შენ ითავეო. ვისრამიანოვი არ დათანხმებულა. გაუკლია ცოტა ხანს და მისი მონაწილეობის გარეშე გამოუციათ ჟურნალი, რომელიც წინანდებურად შეცდომებითი ყოფილა სავსე.

ამ წერილიდან ცხადი ხდება, რომ არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალ „მუშის“ ერთ-ერთი რედაქტორი, ყოველ შემთხვევაში მისი გამოსვლის დასაწყის სტადიაში, ყოფილა ვისრამიანოვი, თუ ვინ ეკუთვნის ეს ფსევდონიმი, ვერ დავადგინეთ. წერილი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ, როგორც ჩანს, ჟურნალის საქმიანობას კონტროლს უწყევდნენ მკითხველები და ავტორები და მის შესვეურებს თავიანთ პრეტენზიებს უყენებდნენ.

მ. სიმონიძე, ეტყობა, მართლაც რომ ძალზე გაურკვეველ ხელით დაწერილ მასალებს ღებულობდა ავტორებისაგან და, ბუნებრივია, შეცდომები ჟურნალში გარდაუვალი იყო. „მუშის“ 1889 წლის მე-3 ნომრის მინაწერში კვითხულობთ: „ძმებო და მეგობრებო, გთხოვთ უმოჩინოვებოთ თქვენი ძმა მიხაილ ხიდისთაველი, რომ თუ შეიძლება ცოტა გარკვევით დაწეროთ. ზოგი ისე სწერს, რომ არც კი ეტყობა, ნაწერია თუ არა“.

ჟურნალის გამოცემისა და მისი რედაქტორის შესახებ არანაკლებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს „მუშის“ 1890 წლის პირველი ნომერი. საგულისხმოა, რომ ჟურნალის ეს ნომერი 1 მაისით არის დათარიღებული. მეთაურ წერილში, რომელსაც „მოწინავე სტატი“ ჰქვია, ავტორი ნ. კასარელი ამბობს:

„ათას რვაას ოთხმოცდაცხრა წელსა ჩვენ დავაარსეთ ჟურნალი «მუშა», ჟურნალის მოთავეებად გამოვიდნენ ვან[ო] ქურთი[შვილი]¹, არაქელა [ოქუაშვილი], ნორ[იელი] სლეს[არი]². ამათ შეჰყარეს ხალხი და სთხოვეს დავაარსოთ ჟურნალიო. ეს აზრი ზოგს მოსწონებია და ზოგს არა. ვინც წინააღმდეგი ყოფილა, ოსინი თურმე მოითხოვდნენ ბიბლიოთეკის შექმნას, ჭერ გავეთვითცნობიერდეთ და მერე გამოვცეთ ჟურნალიო. მუშათა უმრავლესობას თავი უკვკ საკმაოდ მომზადებულად უცნია და, ამგვარად საბოლოოდ ჟურნალის გამოცემის იდეას გაუმარჯვია.

მოწინავეის ავტორი აკრიტიკებს პირველ რედაქტორს (მისი გვარი ცნობილი არ არისო) და გადამწერ-გამომცემელს ხომიხუროვს ჟურნალში დაშვებული შეცდომების გამო. ამ უკანასკნელს ავტორები წასჩხუბებიან — რატომ დაგვიმახინჯე ნაწერებითო. გადამწერს ამის გამო გული აპყრია საქმეზე და ჟურნალის გამოსვლაც დროებით შეჩერებულა (შემდგომ მ. სიმონიძემ მაინც განაახლა მოღვაწეობა ჟურნალში).

ეხლაო, წერს ნ. კასარელი, ჟურნალის ხელმძღვანელობას ბ. ნიკრაულელი კისრულობს და მისი ნომრები უფრო უშეცდომოდ, სუფთა, კარგი ხელით დაწერილი გამოვაო. იმედია, რომ რედაქტორი არ დაიშურებს შრომას, გამოიჩინს სათანადო ნიჰსა და უნარს, რათა გამოსცეს რიგიანი ჟურნალი, რომელიც მუშებს უჩვენებს, თუ რა ხდება მათ ცხოვრებაშიო. მართლაც, 1890 და 1891 წლების ნომრებს ხელს აწერს „რედაქტორი ნიკრაულელი“. სამწუხაროდ, ვერც ამ მეორე რედაქტორის ფსევდონიმი გავშიფრეთ.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია დავიმოწმოთ ა. ოქუაშვილის ერთი გვიანდელი ჩანაწერის შემდეგი ადგილი: „ჟურნალის მასალას ვასო ცაბაძე ასწორებდა... ვასო ცაბაძე ჩვენი ჟურნალის რედაქტორი იყო“³. ვფიქრობთ, საეკვოა, რომ ნიკრაულელი და ვ. ცაბაძე ერთი და იგივე პირი იყოს. აქვე დავძენთ, რომ თვის ჟურნალ „მუშაში“ (1890, № 1) ა. ოქუაშვილი თავის წერილში „ბოდინი დღიურაშვილისა“ აღნიშნავს, ამ ჟურნალის რედაქტორი მენიქმე ნიკრაულელი იყოო. ხოლო ვ. ცაბაძეს არსოდეს არ

¹ ზ. კიკინაძის ცნობით, ეს ივანე ქურთიშვილი ყოფილა მუშა მენიქმე. და რომ იგი „...1880 წლებში ...მართავდა შუა ბაზარში თავის ქარხანაში მუშა-ხელოსანთა კრებებს და მუშაობდა ამ დარგზედ ნიკიერად და ერთგულად... ჩემთვის იყო მაშინ საკვირველი, რომ უსწავლელი მუშა ივანე ქურთიშვილი ისეთ სოციალურ ნიჰს იჩენდა მუშათა წინაშე პროპაგანდაში... ამისთვის იგი ბევრჯერ ციხეშიც იყდა...“ (საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუხეუმის ხელნაწერი № 4667, გვ. 35, 39).

² გიგო ბასილაშვილის ფსევდონიმა.

³ მლისფა, ფონდი 8, აღწ. 2, ნაწ. 1, შენახვ. ერთ. 38, გვ. 33-49.

ქონია ეს პროფესია და მუშათა ხელნაწერ ორგანოებში (მათ შორის „მუშაშიც“) იგი თავის ნაწარმოებებს სრულიად სხვა ფესვდონივით (უჩინარიძე) ათავსებდა.

ჟურნალის გამოცემის აღდგენის შემდეგ გამოშვებული პირველი ნომრის სარედაქციო შენიშვნაში ნათქვამია: „გულითად მადლობას ვუძღვნი ჩვენს თანამშრომლებს მასზედ, რომ მოგვაწოდეს თავიანთი ნაწერები ჟურნალ „მუშის“ ხელმეორედ აღსადგენად, შემდეგშიაც იმედი გვაქნება, რომ გულმოდგინედ მოეკიდებიან შრომას და უფრო მეტს გადმოგვცემენ: სტატიებს, მოთხრობებს და პროზებს. ნაწერების მიღება მუდამ დღე შეიძლება“¹.

რამდენიმე სიტყვით შევეხეთ ჟურნალ „მუშის“ გარეგნულ სახეს. უღები ლამაზად არის გაფორმებული, შემკულია ორნამენტებით. ტექსტში უზგად ვხვდებით თავსამკაულებს, ბოლოსართებს. ზოგიერთ ნომერს სატიტულო ფურცელიც ახლავს (1889, № 2; 1890, № 3 და 4). სამი ნომრის ყდებზე ნახატებია მოთავსებული, კერძოდ, 1889 წლის პირველი ნომრის ყდაზე დახატული: სადურგლო დაზგა, რომელზეც მუშა ხეს რანდავს², გვერდით კი მიწერილია ერთსტროფიანი ლექსი:

„ეშრომობდეთ, ძმაო, მათ შუა
არ ეშორდებოდეთ კრებასა;
დაზგაზე რანდით ვლამობდეთ
ბრუნდეთ ხის გასწორებასა“.

ეს ერთგვარი ეპიგრაფია ჟურნალისა (სხვა ნომრებში იგი არ გვხვდება), რომლის აზრი დაახლოებით ის არის, რომ შრომასთან ერთად მუშებმა ერთობისთვისაც უნდა იზრუნონ და გამოასწორონ ცხოვრების სიმრუდეთ. აღნიშნული ეპიგრაფი წარმოადგენს შიო მღვიმელის მიერ 1887 წელს დაწერილი ლექსის „იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო“ ბოლო სტროფს, ოღნავ სახეშეცვლილს. შ. მღვიმელის ამ სტროფის ტექსტი ასე იკითხება:

„მხნეობდი, ძმაო, მათ შუა
არ შორდებოდი კრებასა,
დაზგაზე რანდით ლამობდი
ბრუნდეთ ხის გასწორებასა“³.

„მუშის“ აკინძულ კომპლექტში 1890 წლის მე-4 ნომრის მარტო სატიტულო ფურცელია მოთავსებული. ბრიტანეთის მუზეუმის წიგნსაცავში ამ ნომრის ყდა რატომღაც ცალკე ჰქონდათ

¹ „მუშა“, 1890, № 1.

² როგორც ზემოთ ითქვა, ეს ნახატი შ. სიმონიძეს ეკუთვნის.

³ შიო მღვიმელი. სიმღერები. 1938, გვ. 33; იხ. აგრეთვე ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. 1927, გვ. 133.

შენახული და თანამშრომლებმა საჩუქრად გადმოგვცეს (ახლა დაცულია ჩვენს არქივში). იგი ლამაზად არის დახატული. ორნამენტებიან წრეში მოთავსებულია სოფლის ბანიანი სახლი, ეზოში გლეხი ფუსფუსებს. იქვეა ურემი, ურმის თვალი, ცული და ნამგალი. წრის ქვემოთ მოთავსებულია ხელოვნის დაზგა, რომელზედაც ორი მუშა მუშაობს. წრის გარშემო განლაგებულია სხვადასხვა საამუშაო ინსტრუმენტი, ფურცელს აწერია: „საყოველთაეო ეურნალი მუშა — 1890 ხელოსნები“. ნახატი ფანქრით არის შესრულებული. იგი მოსე თოიძეს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან, ვერ ერთი, ავტოგრაფი, რომელიც ნახატს ქვემოთ არის მოთავსებული, ძალიან ჰგავს მის ხელმოწერას და, მეორეც, ეურნალის ამავ ნომერში მოთავსებულ ლექსის „თავს მოუარეთ განვითარებით“ ავტორად დასახელებულია მ. თოიძე (სარჩევში იხსენიება ფსევდონიმით: მ. თბილელი), რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ნომრის გამოშვებაში იგი მით უფრო მიიღებდა მონაწილეობას როგორც მხატვარი¹.

ორიგინალურად არის გაფორმებული ეურნალის ერთ-ერთი უკანასკნელი ნომრის (1891, № 1) ყდა. სათაურში „მუშასთან“ ერთად აქაც გვხვდება სიტყვა „ხელოსნები“. დახატულია ანძიანი ნავი, ერთი კაცი შიგ ზის, მეორე ნაპირზე დგას და მენავეს ეხმარება აფრის აღმართვაში, — სიმბოლური ნახატი!

სად გამოდიოდა და რამდენ ეგზემპლარად „მუშა“, როგორ ვრცელდებოდა იგი და ვინ იყვნენ მისი მკითხველები? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალზე ძნელია, რადგან საამისო მასალები თითქმის არ შემონახულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ა. ოქუაშვილის ზემოაღნიშნულ ცნობას, ეურნალი 4-7 ეგზემპლარად გამოდიოდა, და ზ. კიჭინაძის ერთ ჩანაწერს, სადაც ნათქვამია, „მუშა“ 5 ეგზემპლარად გამოდიოდა აბრამ ცქიმიანაურის ქარხანაში და მას 500-მდე მკითხველი ჰყავდაო. დაწვრილებით ამის თაობაზე შემდეგია ნათქვამი:

„...ხელნაწერი ეურნალი უნდა გამოსულიყო ზუთი ცალი და მერე მოუმატებდა მას, თუ კი მსურველი იქნებოდა. ეს 5 ნომერი (იგულისხმება ეგზემპლარი. — შ. გ.) ეურნალის წასაკითხად ეყოფოდა პარტიის მუშებს და სწორედ ეს იყო საქმე და საგანიც... რედაქცია ამ ეურნალის აქ გაიმართა. ვინც რამეს დასწერდა, აქ მოიტანდა, აქ დასტოვებდა აბრამ ცქიმიანაურის ქარხანაში... [შემდეგ] გადასცემდნენ გადასაწერად მიხა მეტეხელს. მიხა მე-

¹ ჩვენი ვარაუდი დაკვიდასტურებს მოსე თოიძის ქალიშვილმა ილექსანდრა თოიძემ და ხელოვნებათმცოდნე ქეთევან ბაგრატიანიშვილმა.

ტეილი გადასწერდა ყველა წერილებს და ნომერს მოამზადებდა და გამოსცემდა. პირველად ეს ჟურნალი „მუშა“ უნდა მიეტანათ ამ ქარხანაში და მის მერე იქიდან წაიღებდნენ მისი მკითხველები. ასე და ამგვარად, ამ ჟურნალ „მუშის“ მკითხველები იყვნენ სულ 500 მკითხველი და ყველა ისინი აქედან ზიდავდნენ ჟურნალ „მუშის“ ნომრებს. ამ ჟურნალის გავრცელებაზედ კაი ამაგი აქვს აბრამ ცკიმიანაურს, ქარხნის შეგირდებს და ნამეტნად ივანე დოლ-მაზაშვილს და პეტრე პეტრაშვილს¹.

„მუშის“, ისევე როგორც მუშათა სხვა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების მიმართულებისა და დედააზრის შესახებ ძირითადად შესავალში გვქონდა საუბარი. ქვემოთ ვილაპარაკებთ „მუშის“ შინაარსზე, იმაზე, თუ რა სახის მასალები თავსდებოდა მასში. ვილაპარაკებთ აგრეთვე იმ ავტორებზე, რომლებიც აღნიშნულ ჟურნალში თანამშრომლობდნენ, ცალ-ცალკე დავახასიათებთ მათ წვლილს, რაც განსაკუთრებით საჭიროა იმიტომ, რომ მათი უმრავლესობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოდ არაფერია ნათქვამი და გარდა ამისა გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება ავტორთა სოციალურ შემადგენლობაზე.

ხელნაწერ ჟურნალ „მუშის“ ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ხელნაწერ გაზეთ „ნაპერწყლის“ მსგავსად მასალები აქაც ფსევდონიმებით თავსდებოდა. შევძელით მხოლოდ ზოგიერთი მათგანის გაშიფვრა.

1. ზაქარია ეგნატეს ძე ჭიჭინაძე (1854-1931). მისი ფსევდონიმია ზ. ახალსოფელი. „მუშაში“ ხელმოუწერლად მოუთავსებია წერილებიცა და ლექსიც, რომელთა შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზ. ჭიჭინაძე რომ ჟურნალ „მუშაში“ აქტიურად თანამშრომლობდა, ამას ადასტურებს ი. იმედაშვილის მოგონებები „ჩემი ცხოვრების წიგნი“, სადაც მოყვანილია ზაქარიასთან ავტორის საუბრის ჩანაწერი:

„— თქვენა სთქვით, რომ ლექსებს მეც ვწერდი, ჩემს ლექსებს მღეროდნენ კიდევო, — დაიბეჭდა სადმე თუ არა?

— არ დაბეჭდილა², მაგრამ გამოქვეყნებული კი იყო.

— სად?

¹ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმის ხელნაწერი № 5339.

² სინამდვილეში დაიბეჭდა კიდევ, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ.

— ხელნაწერ ქურნალ „მუშაში“, ჩემი სახელისა და გვარის დაბოლოებათა „ია ძე“-ს ხელმოწერით...“¹.

ი. იმედაშვილი აღნიშნავს, რომ ზ. ჭიჭინაძეს საკუთარი ხელით დაუწერია მისთვის ტექსტი თავისი ლექსისა „ძველებური მუშია სიმღერა 1881 წელს დაწერილი“. ი. იმედაშვილს ქაღალდებში დაცული ეს ლექსი თოთხმეტსტროფიანია, მას ახლავს ავტორი (ზ. ჭიჭინაძის) შენიშვნა, რომ ბოლოს ერთი ტაეპი აკლია და რომ ამ ლექსს 80-იან წლებში მუშები და ხელოსნები საკრავზედაც მღეროდნენია, ეს ლექსი ახლა იქნა მოპოვებული და იგი ნოტებზეც გადაიღესო. დასასრულ, ი. იმედაშვილი წერს: „ზემოხსენებული ლექსისა და მისი შენიშვნების დედანი თვით ზაქარია ჭიჭინაძის ხელით დაწერილი² ჩემს არქივშია დაცული ხელნაწერთა განყოფილებაში“³.

ზ. ჭიჭინაძის ეს ლექსი, მართლაც, მოთავსებულია ქურნალ „მუშის“ 1889 წლის მე-4 ნომერში. მაგრამ, ჯერ ერთი, მას სხვა სათაური აქვს („ლექსი“) და, მეორეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელმოწერილი საერთოდ არ არის. თვით ქურნალის შინაარსშიც არაა ავტორი მითითებული. ი. იმედაშვილისეული ტექსტისაგან განსხვავებით ქურნალის ტექსტი, მართლაც, ერთი ტაეპით მეტია — შეიცავს არა 14, არამედ 15 სტროფს, თანაც ზოგიერთ ვარიანტულ წაკითხვასაც იძლევა.

თავის ერთ გამოუქვეყნებელ მასალაში ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ იგი ამ ლექსის ავტორია. გიორგი დიაროვმა, რომელიც იარმუკაში სხვა მუშებთან ერთად ჩემთან დაიარებოდაო, წერს იგი, „დობროლიუბოვის ლექსები ზეპირად დაისწავლა და ნამეტურ ჩემი ლექსი: «აჲ, მდიდრებო, მეფეთ დრონი თქვენია» ზეპირად ისწავლა. ამ ლექსს მღერის... გიორგი დიაროვი დღესაც, კარგად ახსოვს და ფოცხვერაშვილმა ამისი კარნახით გადაიღო ნოტებზედ ეს ლექსი“⁴.

საგულისხმოა, რომ ეს ლექსი დაიბეჭდა წიგნში „რევოლუციის პოეტები“ (თბ., 1921, გვ. 110-111). ეტყობა, დასახელებული წიგნი ი. იმედაშვილს მხედველობიდან გამორჩა და, ალბათ, აღარც თვით ავტორს ახსოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ზ. ჭიჭინაძე აღარ იტყოდა ჩემი ლექსები არ დაბეჭდილაო წიგნში გამოქვეყნებულ

¹ ფაქტიურად ლექსი, რომელზედაც იგი საუბრობს, „მუშაში“ ხელმოწერულად მოთავსდა.

² მოგონებები დათარიღებულია 1948 წლით.

³ იხ. საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 13444.

⁴ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 4666, გვ. 29.

ლექსს ახლავს შემდეგი შენიშვნა: „ეს ძველი ქართველი მუშების სიმღერაა, მე-70 წლებში მღეროდნენ საკრავებზედაც. ყოფილა პოპულარული. გადმოგვცა ზაქარია კიკინაძემ... რედ.“ ზ. კიკინაძეს თავისი ლექსი ამ წიგნის შემდგენელთათვის გადაცემით კი გადაუცია, მაგრამ ის აღარ უთქვამს, რომ ავტორი თვითონ იყო. შენიშვნაში მოყვანილი ცნობებიც, ეტყობა, მანვე მიაწოდა (გაუგებარია რაში დასჭირდა ასეთი მისტიფიკაცია). აქვე დავძენთ, რომ გამოქვეყნებული ლექსიც ვარიანტულ სხვაობებს შეიცავს.

ზ. კიკინაძის აღნიშნული ლექსი მეორეჯერაც დაიბეჭდა, ამჯერად კ. ფოცხვერაშვილის მიერ გამოცემულ „რევოლუციის სიმღერებში“. აქ უკვე მას სხვა სათაური აქვს: „ღარიბების სიმღერა“... საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზ. კიკინაძეს არც კ. ფოცხვერაშვილისათვის უთქვამს, ამ ლექსის ავტორი მე ვარო, თუმცა იგი კომპოზიტორს დახმარებია არა მარტო ტექსტის, არამედ მუსიკის მიკვლევაშიც. ამის შესახებ თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში („ავტორისაგან“) კ. ფოცხვერაშვილი წერს: „ღარიბების სიმღერა» ეს პირველი ქართული რევოლუციური კილოა, რომელსაც, როგორც შეკრებილი ცნობებით აღმოჩნდა, მღეროდნენ თბილისის მუშებნი 1870-80 წლებში. სიმღერის ტექსტს და კილოს მივაკვლიეთ ზ. კიკინაძის შემწეობით, რომელმაც მოგვანახვია ამ სიმღერის მცოდნე იმდროინდელი მუშები“¹. აღსანიშნავია, რომ სიმღერის ეს ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა ვარიანტებისაგან.

საანალიზო ლექსი რომ ნამდვილად ზ. კიკინაძეს ეკუთვნის, ეს პირველად არაპირდაპირ ი. გრიშაშვილმა დაადასტურა თავისი „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოქემაში“, სადაც იგი წერს:

„ასეა თუ ისე, სცენაზე გამოდიან თანამედროვე ვითარების ამსახველი მგოსნები. მათ შორის თვით ზ. კიკინაძეც ლექსაობს:

ღღრო იცვლება და მასთან მისი ვრი,
მაგრამ ჩვენ რა? ღარიბებს არაფერი,
თუ სწავლობენ ისევე მდიდრის შვილები,
ჩვენის ოფლით, ტანჯვით გამოზრდილები და სხვ.»².

ეს ნაწყვეტი კი, სხვათა შორის, ზ. კიკინაძის ზემოაღნიშნულ ლექსის დასაწყისი სტროფია.

საინტერესოა ი. გრიშაშვილის შენიშვნა: „ეს ლექსი ხელნაწე-

¹ კ. ფოცხვერაშვილი. რევოლუციის სიმღერები. 1923, გვ. 5. წიგნი ქართულ-რუსულად არის გამოცემული. ამ სიმღერის ქართული ტექსტი შეიდიოდვე წლის წინათაც დაიბეჭდა ახალი რუსული თარგმანითურთ (იხ. „ქართული ხალხური ქალაქური სიმღერები“. 1970, გვ. 107).

² ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოქემა. 1927, გვ. 129-130.

რად ვრცელდებოდა. სიმღერადაც გადააკეთეს... ზ. ჭიჭინაძის ლექსები დაბეჭდილია აგრეთვე შემდეგ წიგნში: «საჩუქარი ქართველ ყმაწვილებს», 1898 წ., გვ. 17, 31 და 48¹. საკვირველი ის არის, რომ ი. გრიშაშვილის მიერ მოყვანილი სტროფი არც ერთ ზემოაღნიშნულ ვარიანტს არა ჰგავს. ეტყობა, პოეტმა სრულიად უცნობი წყაროთი ისარგებლა (იქნებ თვითონაც შეალამაზა).

ზ. ჭიჭინაძეს „მუშაში“ მოუთავსებია წერილებიც: „ცუდა ხალხი (მიმოხილვა)“ (1889, № 2, 3, 4) და „მუშა ხალხი“ (1891, № 1, 2).

2. ივანე დოღმაზაშვილი. მისი ფსევდონიმია ვ. დორელი. ზემოთ ჩვენ დავიმოწმეთ ამონაწერები ი. დოღმაზაშვილის ავტობიოგრაფიიდან, სადაც იგი ადასტურებს, რომ ამ ფსევდონიმს იყენებდა. მოიპოვება ამის დამამტკიცებელი სხვა მასალაც: ზ. ჭიჭინაძის მიერ 1896 წელს გამოცემულ ი. დოღმაზაშვილის ლექსების კრებულში² შეტანილი ოთხი ლექსი („მე ჩავიარე ერთს ქუჩაშია“³, „ვადიდოთ კაცი“⁴, „უსამართლობას“⁵ და „მეც კაცი ვარ“⁶) „მუშაში“ მოთავსებულია ვ. დორელის ხელმოწერით. კრებულში ამ ლექსების ტექსტი „მუშის“ ტექსტთან შედარებით რამდენადმე შეცვლილია, რაც ნაწილობრივ გამოწვეული უნდა იყოს ცენზურის ჩარევით.

ი. დოღმაზაშვილი სცენისმოყვარეც ყოფილა. 1904 წლის 13 ივლისს ავლაბრის ახალ თეატრში არაქსინისა და ქართული თეატრის მსახიობებს სცენისმოყვარეთა დახმარებით დაუდგამთ ა. ცაგარლის პიესა „ორი ობოლი“, რომელშიც ი. დოღმაზაშვილს სერჟანტის როლი შეუსრულებია⁷, საგულისხმობა, რომ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (1914, № 16, გვ. 14) მოთავსებულია მისი და მიხეილ სიმონიძის სურათი წარწერით: „ძველი სცენისმოყვარენი მიშა მეტეხელი და ვანო დოღმაზაშვილი“.

¹ ი. გრიშაშვილი ი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. გვ. 130. ამ წიგნში მოთავსებულია ზ. ჭიჭინაძის ნაწარმოებები: ნაწყვეტი პოემიდან „საპყრობილე“ (გვ. 10-13) და სამი ლექსი — „ყმაწვილის ოცნება“ (გვ. 17-20), „ერთ ძველ ციხეს“ (გვ. 31-33), „წუხილი“ (გვ. 48).

² ლექსთა კრება მეჩუქმის ივანე დოღმაზაშვილისა. გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა (ხელოსნების ნაწერი ლექსები, № III). თბ., 1896.

³ დასახ. წიგნი, გვ. 7-9; შტრ. „მუშა“, 1889, № 1.

⁴ დასახ. წიგნი, გვ. 14; შტრ. „მუშა“, 1889, № 2 (აქ ლექსს დაწერის თარიღად უზის 1887 წელი).

⁵ დასახ. წიგნი, გვ. 9-11; შტრ. „მუშა“, 1890, № 2 (აქ ლექსს სათაურად აქვს „უსამართლოს“).

⁶ დასახ. წიგნი, გვ. 17-18, შტრ. „მუშა“, 1889, № 4.

⁷ საქართველოს სათეატრო სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი 56, № 14611. აქ ინიციალი შეცდომით წერია („ი“-ს ნაცვლად „დ.“).

აქედან ცხადი ხდება, რომ ორივენი არაღვთიერ ხელნაწერს ეურნალ „მუშაში“ ერთად თანაშრომლობის შემდგომაც აგრძელებდნენ მეგობრობას.

ერთ ხელნაწერში ზ. ჭიჭინაძე ი. დოლმაზაშვილს ეურნალის დაარსების ინიციატორადაც კი მიიჩნევს: „...დაასკვნა ივ. დოლმაზაშვილმა, რომ ჩვენ უნდა გამოვეყთ ჩვენი საკუთარი ეურნალი და მას უნდა ეწოდოს «მუშაო»: ფარულად ეს ეურნალი ჩვენ უნდა გამოვეყთ ხელნაწერად და არა ბეჭდვით... ამის მეთაური... ეს ივანე დოლმაზაშვილი იყო და იგი მეცადინეობდა იმისათვის, რომ ეურნალ «მუშის» გამოცემა დაეწყოთ... ესეც მოახერხეს... საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ეურნალის არსებობაზედ ივ. დოლმაზაშვილს მიუძღვის დიდი შრომა და ამაგი“¹.

ივანე დოლმაზაშვილს „მუშაში“ ზემოდასახელებული ლექსების გარდა მოთავსებული აქვს ორი წერილი — „სამიოდე სიტყვა“ (1889, № 1) და „რამდენიმე სიტყვა“ (1889, № 2).

3. მიხეილ სიმონიძე² (1860-1915). მისი ფსევდონიმებია: მ. მეტეხელი, მ. მეტეხელოვი, მ. ხომიზუროვი, მ. ხიდისთაველი, მ. ახალსოფელი³ და მ. ფშაველი. ზ. ჭიჭინაძის ცნობით მუშა-მებაღე მიხეილ სიმონიძე „იყო დიდად მიმდევარი სოციალურის განვითარების და მასთან დიდად მოტრფივალე ქართული წიგნების კითხვის და მასგან მხატვრობის მიმდევარიც. იცოდა მშვენიერი ქართული წერა... ერთ დროს საბალოსნო სკოლაშიც სწავლობდა... მუშების ხელნაწერი ეურნალის — «მუშის»... გამოცემაზედ მას მიუძღვის დიდი შრომა და ამაგი, მისი შრომა ამ ეურნალზედ მცირე არ გახლავთ. მას დიდი ისტორიკა აქვს. ვინც ეურნალ «მუშას» ნახავს, ის ამაზედ ცხადად დარწმუნდება. იგი იყო ღარიბი, ხელმოკლე ცხოვრებაში. სწორად ქართულ წიგნებსაც ბეჭდავდა — ლექსებსა და პროზას... სოფელში დასწესულდა, თბილისში ჩამოიყვანეს, გაცივდა და გარდაიცვალა“⁴. ამას

¹ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 5339.

² ი. იმედაშვილის „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ ცნობით, მისი ნამდვილი გვარი სიღამონიძე ყოფილა, მამამისს კი სიმონი რქმევია (ხელნაწერი დაცულია ი. იმედაშვილის ოჯახში. მოგვაწოდა პროფ. გ. იმედაშვილმა).

³ როგორც ვიცი, ახალსოფელი ზ. ჭიჭინაძის ფსევდონიმიც იყო, ოღონდ სხვა (ზ.) ინიციალით.

⁴ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 4731, გვ. 13-14. მ. სიმონიძეზე ამ ცნობებს ზ. ჭიჭინაძე სხვაგანაც იმეორებს (იხ. ამავე მუზეუმის ხელნაწერი № 1701, გვ. 14, № 5339, გვ. 15).

ისიც უნდა დავემატოთ, რომ მ. სიმონიძე სცემდა აგრეთვე ხელნაწერ ჟურნალებს: „განთიადს“ (1891 წ.), „სხივს“ (1892 წ.) და „სინათლეს“ (1899 წ.).

მიხეილ სიმონიძეს ათი წლის განმავლობაში (1901-1911) თბილისში თვითონვე გამოუცია თავისი ნაწარმოებების ექვსი კრებული: „ვარსკვლავები“, „ალმასები“, „სინათლე“, „ისწავლე კაცო“, „წამება იესო ქრისტესი“ და „არაგვი“. ამ წიგნებში გამომცემლად მოხსენიებულია მ. ს. მეტეხელი, ავტორად მიხეილ სიმონიძე, ხოლო ნამდვილი გვარი ს. ი. დამონიძე არსად ჩანს.

„მუშაში“ მოთავსებულია მ. სიმონიძის შემდეგი წერილები: „ჩვენს ამხანაგებს“, „ახალი აზრის ყმაწვილები“, „წერილი რედაქტორთან“ (1890, № 3), „ზოგიერთი ყმაწვილები“ (1890, № 4) და ლექსები: „გლეხი და აზნაური“ (1889, № 1), „თბილისის ხალხი“, „ჩვენთვის მიძიმე კალამი“ (1889, № 2), „ზაფხული“ (1889, № 3), „გამოღვიძებული მუშა“ (1889, № 4), „გლეხის ჩივილი“ (1890, № 4), „უპირულნი“, „ჩვენს ამხანაგს მ. ა.-ს“, „შეწუხებული ბუხრები“ (1891, № 1), „მუშის თხოვნა“, „გლეხი და მწყემსი“ (1891, № 2).

4. გიგო ბასილაშვილი (1847-1939). მისი ფსევდონიმია „ნორიელი სლესარი“, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები. 1939 წელს გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ გიგო ბასილაშვილის გარდაცვალების გამო წერდა:

„2 ივნისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მუშა-მწერალი გიგო ბასილაშვილი, „სამი მეგრძოლის“ ავტორი.

გ. ბასილაშვილი ძველი მუშა იყო, პროფესიით მკედელი. ლატაკი გლეხის შვილი გიგო, ბავშვობიდანვე ადრე დაობლებული, სიმწრითა და ვაი-ვაგლით იზრდებოდა, წერა-კითხვა აფიშებზე და გაზეთების სათაურებზე ისწავლა. 1901-1902 წლებში იგი მუშაობდა მურულუშა მკედლად სპილენძის მადნეულის წარმოებაში, სადაც დააპატმრეს პროკლამაციების გავრცელებისათვის, რომელიც მას მიჰქონდა ბათუმიდან. 1903 წელს მას ასახლებენ ციმბირში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ის მუშაობდა ბათუმში, იყო არჩეული ქალაქის საბჭოს წევრად, მედსანწრომის პროფკავშირის გამგეობის წევრად...“

ვახუთში ნათქვამია, რომ „მას დანიშნული ჰქონდა პერსონალური პენსია“. შემდეგ ლაპარაკია მის ლიტერატურულ საქმიანობაზე, იმაზე, რომ იგი წერდა „წერილებსა და პატარ-პატარა შენიშვნებს“, ასევე „ლექსებს, პიესებს, პატარ-პატარა მოთხრობებს, რომლებიც იბეჭდებოდა ადგილობრივ გაზეთებში“, და რომ „აჭარის სახელ-

გამმა გამოაცხა მისი რომანი «სამი მებრძოლი»¹, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა მკითხველებში².

საინტერესო ცნობებს შეიცავს გიგო ბასილაშვილის საკმაოდ ვრცელი მოგონებები „სამოცდათხუთმეტი წლის მანძილზე“, რომელიც ადრე თურმე ნიკო გოძიაშვილთან ინახებოდა, შემდეგ კი იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში მოხვედრილა და ამჟამადაც აქ არის დაკული³ (სხვათა შორის, ი. გრიშაშვილის „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემის“ შავ მასალებში ციტირებულია ამ მოგონებების ერთი ადგილი, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ ისწავლა გ. ბასილაშვილმა წერა-კითხვა). აქვე ინახება გ. ბასილაშვილის წერილი ი. გრიშაშვილისადმი, რომელსაც იგი სთხოვს შეატყობინოს თავისი აზრი, ეს მოგონებები „რამეში გამოდგება თუ არა. თუ გამოდგება, რაში და რომელი ნაწილები“.⁴

გიგო ბასილაშვილის მოგონებებიდან საყურადღებოა მეშვიდე ნაწილი, რომელშიც მუშათა ურთიერთდახმარების სალაროსა და ხელნაწერი ჟურნალის დაარსების შესახებ არის საუბარი:

„მე ვმუშაობდი მირაქოვთან არქიელის ქუჩაზე. ჩვენ პირდაპირ ქარხანა ჰქონდა ვანო ქურდიანს, მას ჰყვანდა შეგირდი კასრაძე. როგორც მეზობლები, მალე დავუახლოვდით ერთმანეთს. ერთხელ წიგნს კითხულობდა რობერტ ოვენის (ოუენის. — შ. გ.) ცხოვრებაზე. მითხრეს კარგი წიგნიაო. მე ვუთხარი: მაგი ზეპირად ვიცი მეთქი და რამთოლიმე ალაგი ვუთხარი. მათ ძლიერ გაეხარდათ, როცა გაიგეს, მე ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემები ყველა მქონდა წაკითხული. მე მითხრეს: ყვირას მოდი, კაი ადგილას წავიყვანთო.“

კვირა დღეს ჩვენ წავედით ელიზავეტის ქუჩაზე, საპოეტოსის დუქანში აბრამა ცხიშანაურთან. მას ჰყვანდა ორი შეგირდი: ვანო დოლმაზოვი⁵ და პეტრე პეტრაშვილი. გავაბიძო მასლათი წაკითხულ წიგნებზე. იქაც წავიკითხეთ რობერტ ოვენი. ეს წიგნი ძლიერ მოგვწონდა. განვიზრახეთ დაგვეარსებინა კასა ისეთი, როგორც რობერტ ოვენმა დაუარსა თავის მუშებს...“

¹ იხ. გ. ბასილაშვილი. სამი მებრძოლი, ბათუმი, 1939. ი. გრიშაშვილს თავისი ბიბლიოთეკის ეგზემპლარში ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „გარდაიცვალა 1939 წელს წიგნის გამოსვლის შემდეგ“.

² გაზ. „საბჭოთა აპარა“, 1939, № 126. ნეკროლოგს თან ახლავს გიგო ბასილაშვილის სურათი. ამავე ნომერში მოთავსებულია აპარის საბჭოთა მწერლებს კავშირის სამგლოვიარო განცხადება.

³ იხ. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ხელნაწერები, საინვენტარო წიგნი 1, № 2750.

⁴ კონვერტზე დარტყმული შტამიდან ირკვევა, რომ წერილი დაწერილია 1935 წლის 3 აგვისტოს.

⁵ ვანო დოლმაზაშვილი — „მუშის“ ერთ-ერთი ავტორი.

სამწუხაროდ, ტექსტი აქ წყდება (გვ. 39). მომდევნო ათი გვერდი მოგონებებს აკლია. ალბათ, სწორედ იმ დაკარგულ ფურცლებში იყო ხელნაწერ ქურნალზე საუბარი, რადგან 49-ე გვერდის დასაწყისი ამაზე მიგვანიშნებს: „... როგორც იყვნენ ჩოფურა მკედელი, ვერელი შენდო და სხვები. მათ რომ გაიგეს ჩვენი კასის საქმე და ქურნალისა (ე. ი. ხელნაწერი ქურნალის გამოცემის ამბავი. — შ. გ.), ძლიერ დაინანეს (ალბათ, რატომ ჩვენც არა გვაქვსო. — შ. გ.). მათ ვუამბე ყველა წაკითხული წიგნი...“

დასასრულ, უნდა დავძინოთ, რომ გიგო ბასილაშვილი ბათუმის ციხეში ორჯერ შეხვდა იოსებ სტალინს, შემდეგ ისინი ერთად გადაიყვანეს ქუთაისის ციხეში, საიდანაც გიგო ციმბირში გადაასახლეს¹.

გიგო ბასილაშვილს „მუშაში“ მოთავსებული აქვს სტატია „წარსული წლის მიმოხილვა“ (1891, № 2) და ლექსები: „თავადების გლოვა“, „ვუძღვნი მუშას“ „ფიჭრი გლეხისა“ (1889, № 1). „სცენა მინისტრის სპლის წინ“ (1891, № 1).

5. სოლომონ აზმაიფარაშვილი. მისი ფსევდონიმია ს. ზ. ზაქარია ჭიჭინაძე თავის გამოუქვეყნებელ წერილში ამბობს, რომ სოლომონ აზმაიფარაშვილი ქართლელი გლეხკაცის შვილი იყო, თბილისში ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს ჩამოუყვანია და მიუბარებია რკინიგზის სახელოსნოში, სადაც მას ზეინკლობა შეუსწავლია, აქტიურად ჩაბმულა რევოლუციურ მოძრაობაში და პროპაგანდისტობასაც კი ეწეოდაო. „ბოლოს გახდა ის თანამშრომელი, როცა... მუშებისა და ხელოსნების მიერ დაარსდა ქურნალი და «მუშის» გამოცემა იქმნა დაწყობილი“².

თავის მოგონებაში „ცოტა რამ წარსულიდან“, რომელიც დაწერილია 1937 წლის 5 მაისს, სოლომონ აზმაიფარაშვილი აღნიშნავს: „1889 წლის 15 მარტიდან მე ვმუშაობდი რკინიგზის დეპოში³. მუშათა რევოლუციურ წრეში პირველად დავიწყე მუშაობა 1898 წელს. პირველად წრეში წამიყვანა მიხა ბოჭორიძემ, ჩვენი დეპოს მკედელმა, მოწინავე და აქტიურმა მუშამ, რომელთანაც კარგი დამოკიდებულება მქონდა⁴. პირველად მიმიყვანა ვ. სტურუას ბინაზე დიდუბეში. აქ იკრიბებოდა წრეები, აქვე გავიცანი ამხანაგი სტალინი“.

¹ იხ. გიგო ბასილაშვილის 1936 წლის 29 იანვარს დაწერილი მოგონება (მლისფა, ფონდი 8, საქმე 2, ნაწ. 1, შენახვ. ერთ. 7, გვ. 112-118).

² საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 5331, გვ. 14; № 4663, გვ. 28.

³ ე. ი. როდესაც იგი „მუშაში“ თანამშრომლობდა, უკვე რკინიგზის მუშა ყოფილა. მამასადამე, „მუშის“ ავტორები სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნებსა და სახელოსნოებში მუშაობდნენ.

⁴ სოლომონ აზმაიფარაშვილი და მიხა ბოჭორიძე „მუშაშიც“ ერთად თანამშრომლობდნენ.

შემდეგ სოლომონ აზმაიფარაშვილი აღწერს რკინიგზის მთავარ სახე-
ლოსნოებსა და დეპოში გაფიცვების, მაისობების მოწყობისა და
არალეგალური სტამბის დაარსების ამბავს: „...1900 წლის ზაფხუ-
ლზე ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ამხ. მ. ბოჭორიძე და განმიცხადა:
«სოლომონ, ჩვენ გადავწყვიტეთ თქვენთან მოვაწყოთ არალეგალუ-
რი სტამბაო. სხვაგან ბინა ძნელი საძებნელია და მართალია წერილ-
შვილიანი კაცი ხარ, მაგრამ შენი სარდაფი ძლიერ მოსახერხებელია
და საშიში არ არისო». მე მაშინვე დავთანხმდი. მეორე დღეს სტა-
მბის მოწყობილობა ხელით მოიტანეს რკინიგზის დეპოს მუშებმა
გიგო ლელაშვილმა და ხარატმა სამსონ წეროძემ...“ შემდეგ მოგო-
ნებაში მოთხრობილია სტამბის საქმიანობაზე, პროკლამაციების ბე-
ჭდვასა და გავრცელებაზე. ს. აზმაიფარაშვილი ადასტურებს, რომ
მთელ ამ საქმიანობას მ. ბოჭორიძე ხელმძღვანელობდა, ამასთან
აღნიშნავს, სტამბა ჩემს სახლში იყო, სადაც ახლაც ვცხოვრობო
(ლოტკინის ქ. № 19)¹.

სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილად ითვლება ის, რომ
სოლომონ აზმაიფარაშვილის სახლში არალეგალური სტამბა არსე-
ბობდა. ჩვენთვის ეს ფაქტი აი, რით არის განსაკუთრებით საინტე-
რესო: „მუშაში“ თანამშრომლობით გათვითცნობიერებული კაცი
რევოლუციური მოღვაწეობის გზას დასდგომია, და როგორც ამას
შემდგომში არაერთხელ ვნახავთ, ეს გამონაკლისი შემთხვევა როდღ
იყო.


ს. აზმაიფარაშვილს ეურნალ „მუშაში“ მოთავსებული აქვს
სტატია „ხელოსნების გარემოება“ (1889 № 1).

6. არაქელა ოქუაშვილი (1865-1946). ამ ცნობილი პროფე-
სიონალი რევოლუციონერის ფსევდონიმი იყო ა. დ. დ. ი. უ. რ. ა. შ. ვ. ი. -
ლ. ი. „მუშაში“ მოთავსებულია მისი შემდეგი წერილები: „ავტორე-
ბის შენიშვნა“ (1889, № 2), „ერთი ჩვენი სიღარიბის მიზეზი“
(1889, № 3), „თბილისის გალავა“ (1889, № 4), „ბოდიში დღიურა-
შვილისა“ (1890, № 1)², „წერილი ჩვენი ყმაწვილების მიმართ“
(1890, № 2); აგრეთვე ლექსები: „ეურნალ «მუშას»“ (1889, № 2),
„მუქთად მულაპაენი“ (1889, № 2), „ნიგლისტის ანდერძი“ (1889,
№ 2), „მთავრობა ძლიერ გვაწუხებს“ (1889, № 3).

7. შიხეილ ბოჭორიძე (1873-1813). იგი გამოჩენილი პროფე-
სიონალი რევოლუციონერი იყო, წერდა მ. თ. ე. ლ. ა. ვ. ე. ლ. ი. ს.

¹ მლისტა, ფონდი 8, აღწ. 2, ნაწ. 1, შენახვ. ერთ. 1, გვ. 238-241; შტრ.
ზ. გეგე შიძე. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური
სტამბები. 1965, გვ. 24-25.

² წერილში ჩართულია სამი ლექსი: „წამოვიდა მუშამ“, „პასუხი მუშებისა
ქარხნიდან“, „სიტყვა რევოლუციონერისა ბრძოლის ველზედ“.



ჟურნალ „მეშქა“ 1890 წლის მე-4 ნომრის გარეკანი.

ფსევდონიმით (თელავში დაიბადა, ალბათ, ეს ფსევდონიმი ამიტომ აირჩია).

ბევრი მკვლევარი აღიარებს არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალ „მეშქაში“ მიხეილ ბოკორიძის თანამშრომლობას¹, მაგრამ, სამწუხარ-

¹ იხ. სოველოლიტური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (კრებული). 1961, გვ. 143-145; ზ. გეგეშიძე. მიხეილ ბოკორიძე. 1957, გვ. 3. სხვათა შორის, ზ. გეგეშიძე აღნიშნავს, რომ მიხეილ ბოკორიძე ლიტერატურაში ზოგჯერ ჩსენიება ბოკორიძეილად და რომ მისი ზედმეტი პარტიული სახელი იყო მიხ.

როდ, არც ერთი მათგანი არ ასახელებს, თუ რა ნაწარმოებებს ათავსებდა იგი ჟურნალში ან რა ფსევდონიმი ჰქონდა მას. არც საარქივო მასალებში მოიპოვება საჭირო ცნობები — იქაც უბრალოდ აღნიშნულია მიხეილ ბოჭორიძის „მუშაში“ მონაწილეობის ფაქტი. ეს არის და ეს. ამ საკითხს შუქი მოჰფინა წიგნმა: „ლექსთა კრება. თქმულნი მკედლის მიხეილ ბოჭორიძის მიერ. გამოცემა ზ. კიკინაძისა, ტფილისი, 1895“.

როგორც ცნობილია. ზ. კიკინაძე მუშა-პოეტების არა მარტო პირადი მეგობარი, არამედ მათი ნაწარმოებების ერთადერთი პოპულარიზატორი და გამომცემელიც იყო. ამ წიგნის შენიშვნაში (გვ. 4) იგი წერს: „ეს ლექსთა კრება ეკუთვნის მიხა ბოჭორიშვილს, რომელსაც ქართული კითხვა „დედა-ენით“ უსწავლია, პირველდაწყებითი გონება „ბუნების კარით“ განავითარა და შემდეგ ქართულ წიგნების კითხვით წადგა წინ ფეხი. ამ ლექსთა კრებით ვრწყებ მე ჩვენი ხელოსანი კაცების ნაწერების ბეჭდვას და როგორც დრო და გარემოებაც შემიწყობს ხელს, ისეც დავბეჭდავ ხსენებულ პირების ლექსებსა და სხვა ნაწერებს. ზ. კ.“¹

უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ ბოჭორიძის ლექსები „გლეხი“ და „მუშა“, რომლებიც ამ წიგნშია დაბეჭდილი (გვ. 10-11 და 16-17). თავის დროზე მოთავსებული იყო ჟურნალ „მუშაში“ (1890, № 3; 1891, № 2) მ. თ ე ლ ა ვ ე ლ ი ს ხელმოწერით. ამრიგად, ცხადი ხდება, თუ რა იყო მიხეილ ბოჭორიძის ფსევდონიმი „მუშაში“. აქვე დავძენთ, რომ ხსენებული ლექსების წიგნისეული და ხელნაწერ ჟურნალისეული ტექსტები ცალკეულ ვარიანტულ სხვაობებს იძლევიან.

ზაქარია კიკინაძე რომ ახლო ურთიერთობაში იყო მუშა-პოეტებთან და პირველ რიგში მიხეილ ბოჭორიძესთან, ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტიც. როგორც ცნობილია, ზ. კიკინაძემ 1895 წელს გამოსცა პლატონ იოსელიანის წიგნი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, რომელსაც ბოლოში დაურთო თავისი წერილი „ძველი წიგნების ბეჭდვის გამო“. წერილის ავტორი სხვა პირებთან ერთად, რომლებიც წიგნების გავრცელებაში ეხმარებოდნენ, მადლობას

¹ საგულისხმოა ამავე წიგნის გარეკანის ბოლო გვერდზე მოთავსებული ცნობა: „მომზადებულია დასაბეჭდად შემდეგი წიგნები ქართველ ხელოსან მუშებისა: ლექსნი, თქმულნი მეჩექმე აბრამ ცხიშანაურისა
ლექსნი, თქმულნი მეჩექმე ე. დოლმაზაშვილისა
ლექსნი, თქმულნი ყაზარ მერაბიშვილისა
ლექსნი, თქმულნი მიხა ბოჭორიშვილისა, მეორე წიგნი
ლექსნი, თქმულნი დურგლის მ. ჩოღრიშლისა (ჩოღრიშვილისა. — ზ. კ.)“.

უნდის „სახალხო კილოთი ლექსების მწერალს მიხა ბოჭორიძეს“¹. წერილი მთავრდება იმათი სიით, ვინც ამ წიგნის შექმნა მოისურვა. საგულისხმოა, რომ სიაში მიხვილ ბოჭორიძესთან ერთად დასახელებული არიან სხვა მოწინავე მუშებიც: სოლომონ აზმაიფარაშვილი, მიხვილ, სანდრო და ზაქარია ჩოდრიშვილები.

„მუშაში“ მიხვილ ბოჭორიძის ზემოაღნიშნული ორი ნაწარმოების გარდა შემდეგი ლექსებია მოთავსებული: „უტრნალ ამუშას“ (1890, № 1), „დროა გავმხნევედეთ“ (1890, № 2), „ქარი“ (1890, № 3), „პოეტი“ (1891, № 2).

8. ვასო ყულიჯანაშვილი. მისი ფსევდონიმი — ვ. ჯ ე რ ე თ ხ ე ვ ე ლ ი. ეს ფსევდონიმი, როგორც ზემოთ ითქვა, ი. დოლმაზაშვილმა განმარტა თავის გამოუქვეყნებელ მოგონებებში. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ვასო ყულიჯანაშვილი ყოფილა ქართლელი ღარიბი გლეხკაცის შვილი სოფელ ვაყის მკვიდრი. თბილისში პატარა ჩამოუყვანიათ და მეჩექმე პავლე ჭიხვაძისათვის მიუბარებიათ ხელობის შესასწავლად. „იქ ცხოვრობდა იოსებ დავითაშვილი, — წერს ზ. ჭიჭინაძე, — პავლე ჭიხვაძეს ჩექმის სამუშაო ხიდის ყურეზედ აქვდა, სადაც დავიარებოდი ხშირად და მუშებში ლექსების კითხვას ვმართავდი... აი, ასეთი მოძრაობისა და ზეგავლენის ქვეშ გამოიზარდა ვასო ყულიჯანაშვილი და ბოლოს იგი გამოდგა კარგი სოციალისტი. ამით მან თავის ოსტატს გადააჭარბა. იგი გამოვიდა მუშებსა და ხელოსნებში კარგი პროპაგანდისტი და ქართული წიგნების კითხვაში ისე დაწინაურდა, რომ მან მუშების ცხოვრების შესახებ ლექსების წერაც დაიწყო. იცოდა ქართული წერა მშვენიერის ხელით“². ზ. ჭიჭინაძის თქმით, ვასო ყულიჯანაშვილი მუშათა პარტიის წევრი 16 წლისა გამხდარა, დაუპატიმრებიათ 1903 წელს, ჩაუვდიათ სველსა და ბნელს საკანში, თურმე ხშირად სცემდნენ, რომ გამოეტეხათ, მაგრამ თავისი ამხანაგები არ გაუცია. ციხეში ბნელად დამართია და ამიტომ გაუთავისუფლებიათ. წასულა სოფელში, სადაც გლეხთა შორის პროპაგანდას ეწეოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. გარდაიცვალა 1905 წელს, სრულიად ახალგაზრდა.

„მუშაში“ მოთავსებულია ვ. ყულიჯანაშვილის ორი სტატია — „რა ცხოვრებაა მუშის ცხოვრება“ (1889, № 3) და „ღლიურაშვილის ბოდიშის გამო“ (1890, № 4), აგრეთვე ლექსები: „ბუნება“, „გლეხი“ (1889, № 1), „გამოვიღვიძოთ“, „ბერიკაცი“ (1889, № 2), „ჩემს

¹ დასახ. წიგნის დამატება, გვ. 1.

² საქართველოს გ. ლონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 4667.

მოძმეებს“ (1889, № 3), „მუშის ტანჯვები“ (1889, № 4), „უურნალის სადღეგრძელო“ (1890, № 1), „ჩვენი ოფლით ვინა ძლება (მუშის ნაამბობი)“ (1890, № 2), „მეცხვარე“ (1890, № 3).

9. ტატო ქობულაშვილი. მისი ფსევდონიმია ტ. რუი-სელი¹. ხელობით ისიც მეჩემე ყოფილა. ზ. კიკინაძე წერს, რომ ხელოსნებსა და განსაკუთრებით შეგირდებში ტ. ქობულაშვილი „სოციალურ პროპაგანდას ეწეოდა... როცა ქართველ მუშათა ხელნაწერი უურნალი „მუშა“ დაიბადა, აქ იგი აღმოჩნდა ამ უურნალის დიდი პატივი-სმეკმეელი და შიგ ათავსებდა თავის წერილებს მუშათა და პროლეტართა შესახებ. გარდაიცვალა ერთობ ადრე“². სააქივო მასალებში, სამწუხაროდ, ტ. ქობულაშვილის შესახებ სხვა ცნობები არ გვხვდება.

ტ. ქობულაშვილს „მუშაში“ მოთავსებული აქვს წერილები: „რა დღეში არიან მუშა ხალხი“ (1889, № 1), „შემოკლებული სტატია“ (1890, № 1), აგრეთვე ლექსები: „მეგობარს“ (1889, № 1), „გუთნის დედა“ (1889, № 3), „მართლის ბედი“ (1889, № 4), „ტოლ-ამბანავა“ (1890, № 2), „გლუხის ფიქრი“ და „უწინათლო“ (1890, № 4).

10. მოსე თოიძე (1871-1953). მისი ფსევდონიმია მ. თბილელი, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, გაშიფრულია თვით უურნალ „მუშის“ 1890 წლის მე-4 ნომერში, სადაც ლექსს „თავს მოვუაროთ განვითარებით“ აქვს ასეთი ხელმოწერა: „მ. თოიძეი“, სარჩევში კი ავტორად მითითებულია „მ. თბილელი“. გარდა ამისა, „მუშის“ 1891 წლის 1-ლ ნომერში მოთავსებული ლექსიც „ახალი წელი“, რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით: „მ. თ.“, ჩვენი აზრით, მოსე თოიძეს უნდა ეკუთვნოდეს.

11. ვახო ცაბაძე. მისი ფსევდონიმია უჩინარიძე. „მუშაში“ მოთავსებული აქვს ლექსები: „მომაკვდავი“, „ჩემი ფიქრები“, „ჩრდილი და მომკალი“ (1891, № 1) და „სეტყვა“ (1891, № 2).

12. გიორგი ივანეს ძე დიაროვი. ზაქარია კიკინაძის ცნობით იგი დაბადებულია 1867 წელს ქ. თბილისში. ქართული და რუსული წერა-კითხვა სიონის ეკლესიის სამრევლო სკოლაში შეუესწავლია. სწავლა ვერ გაუგრძელებია, რადგან მშობლები ძალზე და-

¹ ეს ფსევდონიმი ი. დოლმაზაშვილს აქვს განმარტებული. მხოლოდ გვარი იწვევია. ერთგვარ ექვს. ი. დოლმაზაშვილის მოგონებებში ქუბიაშვილი წერია. ზ. კიკინაძე კი მას ყველგან ქობულაშვილად იხსენიებს. ვფიქრობთ, მისი სრული სახელი ესტატე უნდა ყოფილიყო, რადგან „მუშის“ 1890 წლის მე-2 ნომერში მოთავსებული ლექსის „ტოლ-ამბანავს“ ხელს ასე აწერს: ე. რუისელი.

² საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 4667, გვ. 38; № 5339, გვ. 26.

რიბები ჰყოლია. პატარა გიორგის განუზრახავს ჯაგრისების მკეთებელი გამხდარიყო და ამ საქმეში მალე დახელოვნებულა, დაუწყია სახლში ჯაგრისების დამზადება და კვირაობით გაჰქონდა თურმე იარმუკაზე გასაყიდად, თუმცა საამისო ნებართვა არა ჰქონდა აღებულნი. ამიტომ პოლიცია დევნიდა, რამდენჯერმე ჩამოართვეს დამზადებული პროდუქცია და იარაღებიც, გ. დიაროვი დაუახლოვდა თბილისში მცხოვრებ გერმანელებს, რომლებიც საუკეთესო ჯაგრისებს ამზადებდნენ ევროპულ ყაიდაზე და მათგან უფრო სრულყოფილად შეისწავლა ეს საქმე. შემდეგ გახსნა სახელოსნო იარმუკაში, სადაც იკრიბებოდნენ მოწინავე მუშები და სოციალურ საკითხებზე მსჯელობდნენ. მათთან ხშირად დადიოდა ზაქარია ჭიჭინაძე და უკითხავდა აკრძალულ წაგნებს. აქ გაიცნო მან მოწინავე მუშები მ. ბოჭორიძე, ა. ოქუაშვილი, ი. დოლმაზაშვილი, პ. პეტრიაშვილი და სხვები. გ. დიაროვთან მუშების ხშირი თავშეყრა ჟანდარმერიას გაუგავს, 1884 წელს გ. დიაროვი დაუპატიმრებიათ, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ გამოუშვიათ. ჟანდარმები მეორეჯერ დასცემიან თავს კვირა დღეს. გაუჩნრეკიათ სახელოსნო, მაგრამ „კრამოლური“ ვერაფერი უპოვიათ. ზ. ჭიჭინაძის თქმით, გ. დიაროვი აქტიურად მონაწილეობდა მუშათა ხელნაწერ ჟურნალ „მუშის“ გამოცემაში.¹ მას ჟურნალ „მუშაში“ მოთავსებული აქვს წერილი „თვით კომიკები. ჩვენი კომიკები“ (1889, № 2).

სხვა ავტორები. ზემოთ ჩვენ ვილაპარაკეთ „მუშის“ იმ ავტორებზე, რომელთა ფსევდონიმების გაშიფვრაც მოხერხდა. ახლა კი ჩამოვთვლით გაუშიფრავ ფსევდონიმებსა თუ ინიციალებს იმ ნაწარმოებებთან ერთად, რომლებაც ჟურნალში ამ ფსევდონიმებით არის ხელმოწერილი.

1. ა. — ლექსი „მუშებს“ (1890, № 4).

2. ა ლ ა ზ ე ლ ი მ.² — ლექსები: „დრო“ (1890, № 4) და „ჩვენს ამხანაგობას“ (1891, №1).

3. ვ. — ლექსი „ზოგი ნათლია“ (1890, № 4).

4. ვ ა კ ა რ ი ლ. — ლექსები: „დრო“ (1889, №3), „ჭიანური“ (1890, № 2), „ვუძღვნი გლეხის შვილს“ (1891, № 1) და „განთიადი“ (1891, № 2).

5. ვ ი ს რ ა მ ი ა ნ ო ვ ი. — წერილი „სტატია ვისრამიანოვისა“ (1890, № 2).

¹ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის № 4731, 4665, 4666 და № 4667 ხელნაწერები.

² შესაძლოა ეს ფსევდონიმი მიხეილ ბოჭორიძეს ეკუთვნოდეს.

6. ზედურელი ტ. — ლექსები: „თავადის ჩივილი“ (1891, №1) და „ყვავი და ბულბული“ (1891, №2).

7. ო. დ. — ლექსი „ნაკრული ლექსი“ (1889, № 4).

8. კასარელი ნ.—წერილი. „მოწინავე სტატია“ (1890, № 1).

9. მდინარელი ე. — ლექსები: „სწავლა“ (1889, № 3), „გლები“ (1889, № 4), „გლები იმედით“ (1890, № 4) და „ქირი-სუფალი“ (1891, № 2).

10. ნ. ო. — ლექსები: „ვუძღვნი დღაურაშვილს“ (1890, № 3) და „პატარა გლები“ (1890, № 4).

11. უბოტელი ვ. (ზოგან: ეებოტელი) — ლექსები: „მოღრუბლული ცა“, „მეძროხე გიგო“ (1891, № 1) და „მუშა“ (1891, № 2).

12. ქემერტელი ე. (ზოგან: გემერტელი) — ლექსი „ეურნალის აღზრდა“ (1891, № 1).

13. ცხინვალელი ა. — ლექსი „მშრომელი მუშა“ (1891, № 2).

ჩვენ ჭერჭერობით ვერ დავადგანეთ ვის ეკუთვნის ეს ფსევდონიმები. მივაკვლიეთ მხოლოდ ერთ საინტერესო ცნობას, რომლის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი მათგანი (სახელდობრ, ე. მდინარელი ან ე. ქემერტელი) ეფრემ მაისურაძეს უნდა გულისხმობდეს. ზაქარაა ჭიჭინაძე თავის გამოუქვეყნებელ წერილში „სოციალური აზროვნების მიმდევარი პროგრესული საქართველოს მუშები და ხელოსნები“ აღნიშნავს, რომ ეფრემ მაისურაძე ხელობით დურგალი იყო, თვითონ შეისწავლა წერა-კითხვა, „მისდევდა ქართული წიგნების კითხვას და ჰკრეფდა სოფელში გლეხურ სახალხო ლექსებს“. იგი თურმე ლექსებს თვითონაც წერდა და იმდროინდელ ქართულ ეურნალ-გაზეთებში ბეჭდავდა. მისი ნაწარმოებები მიძღვნილი ყოფილა მუშათა და გლეხთა მძიმე ცხოვრებისადმი. ეფრემ მაისურაძე, როგორც ზ. ჭიჭინაძე ამბობს, იყო „ეურნალ «მუშის» თანამშრომელიც. ეს მას ვუწოდებ შეტ სახელად «ოყალ ჯაღო»¹ მისი ფსევდონიმიც ეს გახდა შემდეგ დროში ლექსების წერაში. გარდაიცვალა (1898 წ.) 40 წელს მიღწეული“². ხოლო სხვა წერილში „ქართველი რევოლუციონერი მუშები და ხელოსნები“ (არც ეს არის გამოქვეყნებული) ზ. ჭიჭინაძე ეფრემ მაისურაძეზე ამბობს, რომ „ესევე იყო თანამშრომელი მუშათა იმ ეურნალის, რომ-

¹ ოყალ-ჯაღო „ყარამანიანის“ ერთ-ერთი ვმირის სახელია. როგორც ზ. ჭიჭინაძე შენიშნავს, ეფრემ მაისურაძე ოყალ-ჯაღოსავით კოკლი ყოფილა.

² საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული პუბლეის ხელნაწერი № 5339.

ელიც 1889 წ. თბილისში ხელთნაწერობით გამოდიოდა მიხეილ მეტეხელის გადამწერლობით¹. ეფრემ მაისურაძის თანამშრომლობა „მუშაში“ უეჭველია, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ფსევდონიმებიდან რომელი ეკუთვნის მას, ეს ჯერჯერობით გაურკვეველია. ჩვენი ფიქრით, ეს უნდა იყოს ერთ-ერთი ამ ფსევდონიმთაგან: ემდინარელი, ან ე. ქემერტელი (სახელის ინიციალების დამთხვევის გამო).

გარდა ამისა, „მუშაში“ მოთავსებულია შემდეგი ხელმოუწერილი წერილები, რომელთა ავტორები ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ:

1. „სიტყვა თქმული დიდ ხუთშაბათს ზელინსკის მიტროპოლიტიისაგან“ (1889, № 3 და 4).
2. „ნაკლუვანება ჩვენი ჟურნალისა“ (1890, № 3).
3. „წარსული წლის მიმოხილვა“ (1891, № 2).

პუბლიცისტიკა. ჟურნალში პუბლიცისტიკას საკმაოდ დიდი ადგილი უკავია და, რაც მთავარია, იგი ძირითადად სოციალური საკითხებისადმი არის მიძღვნილი.

ჟურნალის პირველსავე ნომერში (1889 წ.) მოთავსებულია ვ. დორელის (ვანო დოლმაზაშვილის) წერილი „სამიოდე სიტყვა“. ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მშრომელი ხალხი მივიწყებულია, მასზე არაფერს ზრუნავს. „დიდი ხანია მას აქეთ გასული, — წერს ვ. დორელი, — რაც საქართველოში ხეირიანი პირები არ აღმოჩენილან, რომ ჩვენისთანა მდაბიო ხალხიც ეცნოთ და ჩაეგონებინათ რამე“. კიდევ კარგი, ჩვენ შორის მოიძებნებიან ნიჭიერი ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ გამოხატონ მშრომელთა უბედური ცხოვრება და გვიჩვენონ, თუ რატომ არიან ისინი დაბეჩავებული. მაგრამ ეს ცოტაა, უნდა გავარკვიოთ ჩვენი უბედურების მიზეზები „უნდა მივცეთ მხარი და დავეხმაროთ გაჭირვებულს მუშა ხალხს, რომ უფრო გაჭირვებაში არ ჩავარდეთ“. ავტორი იმედოვნებს, რომ მუშა ხალხი „ასპარეზზე გასვლას“ დაიწყებს, „ამოაგდებენ უსამართლობის ძირს, დასცემენ იმ ბოროტებას, რომელიც გვაგდებს ამ უბედურებაში და... გვწოვს ჩვენ, მუშა ხალხს ტვინს“. ვ. დორელი თავს ესხმის მრავალსავე. რატომ მათ გულღვიძლში დანა არ გაუღლვებთო, როდესაც ისინი „ჩვენი ჰისხლის პურითა ძლებიან“, გარშემო მათ თავიანთი დამქაშები შემოუკრებიან და „ვინც კრინტს დასძრავს იმათზე, იმ წამსვე მივარდებიან და აუგებენ ანდერძს: ან ჩამოალაჩობენ, ან კიდევ საპყრობილეში ჩააგდებენ და ამოახრჩობენ, ვინც კი იტყვის სიმართლეს“.

¹ საქართველოს გ. ლენინის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 5339.

ამავე ნომერშია მოთავსებული ტ. რუისელის (ტატო ქობულა-შვილის) წერილი „რა დღეში არიან მუშა ხალხი“, რომელიც ძირითადად ეძღვნება გლეხების აუტანელ მდგომარეობას. „გლეხი კაცის ტანჯვა, ვაება და ფუჭი შრომა ვის აუწერია, ან რა კალამი იქნებოდა, რომ დაწერილებით ასწეროს მათი გარემოება და ტანჯვით ცხოვრება“, — კითხულობს ავტორი, — რომ გლეხს უჩვენოს კეთილი ცხოვრების გზა, მძიმე ტვირთი შეეუმსუბუქოსო. მშრომელი ხალხის მტრებს საქმე ისე გამოჰყავთ, თითქოს გლეხებს ბედით დაჰყოლოდეთ მიწაში ცქერა და ტანჯვით ლუკმის მოპოვებაო. ავტორი აღშფოთებულია იმით, რომ ექსპლოატატორები ამ ცრუ აზრის ჩაგონებით ცდილობენ გლეხები მორჩილებაში იყოლიონ, მათ უკმაყოფილებას ლაგამი ამოსდონ, უბიძგებენ პასიურობისაკენ და ისინიც გამოჰაჯალს ვერ პოულობენ „ვერ მოუფიქრიათ და ვერ უგრძობნიათ, რანაირად ერთმევათ თავიანთ უსწავლელობით პირიდგან ლუკმა და რანაირად არიან დაჩაგრულ-დამარცხებულნი თავიანთი უსწავლელობით“. ავტორის შეხედულებით, თუ მშრომლებში წიგნიერება გავრცელდება, ისინი უფრო კარგად მოიხმარენ თავიანთი შრომის ნაყოფს და ისე უბრალოდ აღარ წაერთმევათ, როგორც დღესო. ასეთი უტოპისტური დასკვნების გამოტანის შემდეგ ავტორი განაგრძობს: „ცარიელი შრომით პირუტყვი საქონელიც მუშაობს... მაგრამ რასა ხედავს, წლით წლამდის უნდა უღელი სწიოს მხოლოდ ცარიელი ჩალა და ბზისთვის; ეგრე არიან მიწის მუშებიც: წლით წლამდის უნდა იშრომონ, წლისთავზე კი უნდა მომკონ, გაღეწონ და გაუნაწილონ მოვალეებს, მოღალეს, ხარჯს, მღვდელს, მტერს, მოკეთეს და თვითონ რაღა დარჩება. უნდა წავიდეს სხვასთან, დღიურად იმუშაოს და ისე არჩინოს თავისი ცოლ-შვილი“.

ტ. რუისელი ლაპარაკობს გლეხების მძიმე მდგომარეობაზე ბატონყმობის დროს, მაგრამო, დასძენს იგი, არც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მინიჭებით გლეხებს ნამდვილი თავისუფლება, აბა, ეს რასა ჰგავს, არც ერთი გლეხისათვის არ დაუბრუნებიათ ბატონისაგან წართმეული მამული. გლეხი იძულებულია ისევ ბატონთან მივიდეს, იჯარით მიწა სთხოვოს და ღალა გადაუხადოს, თვითონ კი მშვიერი რჩებაო. „მაშ, ჩანს არ მინიჭებით გლეხებს თავისუფლება, — დაასკვნის ავტორი, — არც მგონია მიენიჭოთ... ვიდრე არ დაუბრუნდებათ მამულები და არ მოშორდებიან მტრები, რომლებიც გლეჯავენ პირიდან ლუკმას. მანამ ქვეყნად მეფობენ მუქთამყლაპველები, მანამ გლეხებს არა ეშველებათ რა“. ავტორის ის აზრი, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც გლეხთა ცხოვრება კვლავ მძიმე რჩებოდა და ფაქტიურად არაფერი არ შეიცვალა, უდა-

ვოდ მართებულია. მაგრამ ამასთანავე შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს იგი აშკარად არასწორი პოზიციებიდან განიხილავს. საჭიროაო, ამბობს ტ. რუისელი, მშრომელები კარგად ჩაუფიქრდნენ და გაერკვნენ თავიანთ მდგომარეობაში, რომ სხვისი მოწინააღმდეგე არ დაჩინდნენ. იგი იმედს გამოთქვამს, რომ თუ მათში „ფესვი გაიდგა სწავლა-განათლებამ, მაშინ შეუძლიათ ეძიონ თავისუფლება და აღარ სცემდნენ თავყვანს სხვებს; მაშინ იქნებიან თავისუფლები, სახლშივე დარჩებათ ნაწვავ-ნაღაგი და აღარ გაუნაწილებენ სხვებს“

რა თქმა უნდა, აქ განმანათლებლურ და ხალხოსნურ იდეოლოგიასთან გვაქვს საქმე. ვ. დორელი რომ წერს მშრომელთა განთავისუფლება სწავლა-განათლების შეტანით არის შესაძლებელიო, ეს წმინდა წყლის წვრილბურჯუაზიული თეზისია და იგი ხალხოსნურ კონცეფციას ემყარება. როგორც შემდეგ დავინახავთ, „მუშის“ ავტორთა დიდი ნაწილი ექსპლოატაციის მოსპობისათვის აუცილებლად საჭიროდ თვლის შეიარაღებულ ბრძოლას, რადგან მათ უკვე კარგად ესმოდათ, რომ სოციალური თავისუფლების მოპოვებისათვის სხვა გზა არ არსებობს და, საერთოდ, მუშათა ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებში არცთუ ისე ცუდად ერკვეოდნენ, ხოლო ის ფაქტი, რომ ამის პარალელურად აქა-იქ ვ. დორელის მსგავსი წვრილბურჯუაზიული შეხედულებებიც გვხვდება, მეტყველებს „მუშის“ ავტორთა შემადგენლობის არაერთგვაროვნებაზე, იმაზე, რომ ზოგიერთი მათგანი ფაბრიკა-ქარხნის მუშა, პროლეტარი კი არ იყო, არამედ ხელოსანი, რომელიც გუშინ მოვიდა სოფლიდან და, ბუნებრივია, რომ ეს უკანასკნელნი უფრო მეტად განიცდიდნენ გლეხური, ხალხოსნური იდეოლოგიის გავლენას და, სხვათა შორის, ეს ვითარებაა ასახული „მუშის“ პუბლიცისტიკაში.

აქვეა მოთავსებული წერილი „ხელოსნების გარემოება“, რომლის ავტორის გვარი წაშლილია (თუმცა გაჭირვებით შეიძლება კაცმა ამოიკითხოს: ს. აზმაიფარაშვილი). სარჩევში ამ წერილის ავტორად გამოცხადებულია: ს. ზ.¹

წერილში მოთხრობილია თბილისის ქარხნების მუშათა მძიმე მდგომარეობაზე, მეტადრე იქ მომუშავე რუსი, ქართველი, სომეხი, პოლონელი, გერმანელი და სხვა ეროვნების შეგირდების უღიმღამო, გაჭირვებულ ცხოვრებაზე: საწყლებს მთელი ოთხი წლის განმავლო-

¹ როგორც ზემოთ ითქვა, ი. დოლმაზაშვილის ცნობით, ს. ზ. არის სოლომონ აზმაიფარაშვილის ფსევდონიმი (იხ. მლისფა, ფონდი 8, აღწ. 2, ნაწ. 1, შენახვის ერთ. 15, გვ. 219-227). სხვათა შორის, ა. ოქუაშვილიც „მუშის“ ამავე წლის მე-3 ნომერში მოთავსებულ თავის წერილში „ავტორების შენიშვნა“, რომელშიც ყურანალის გამოსულ ნომრებს არჩევს, ორ ადგილას აღნიშნავს, რომ ს. აზმაიფარაშვილი ამ სტატიის ავტორია.

ბაში კაპიკებს, თვეში თითო აბაზს უხდიანო, მეხუთე წელს კი — თვეში ექვს შაურს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთელი ძალით მუშაობენ და უფროსების ტოლფასოვან პროდუქციას ქმნიანო. ავტორი ასეთ მდგომარეობას სამართლიანად უწოდებს უსინდისო ძარცვას ფაბრიკა-ქარხნების მფლობელთა მხრივ. გარდა ამისა შევირდებს საშინელი საბინაო პირობებიც ჰქონიათ, 8-10 კაცი ერთ პატარა ოთახში ცხოვრობს სივიწროვესა და სიბნელეში. როგორც მუშების, ისე შევირდების დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინანია, ხოლო ისინი, ვინც კითხვა იცის „კითხულობენ წიგნებს გივიშვილის საყვარლებზე, ან... «ყარამნიანს» თუ რამდენი მღევი მოკლა ყარამნიანო“. ავტორი მუშებს მოუწოდებს საპარტებლო წიგნებს მიაპყრონ თვალი, გაიფართოვონ ცოდნა, ამაღლონ კლასობრივი თვითშეგნება, რათა წარმატება მოიპოვონ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. დასასრულ, აღწერილია ქარხანაში სოფლიოდან ჩამოსული ახალგაზრდების უმწეო მდგომარეობა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც „მუშის“ ყურადღების ცენტრში დგას, უმუშევრობაა. ამ საკითხს ეძღვნება ანონიმური სტატიების სერია, რომლის სათაურია „ცუდა ხალხი (მიმოხილვა)“¹. აქ გამოთქმა „ცუდა ხალხი“ ავტორს უმუშევრების მნიშვნელობით აქვს ნახმარი.

მართალია, ავტორი დასახელებული არ არის, მაგრამ, ჩვენი აზრით, წერილი ზაქარია ჰიჭინაძეს უნდა ეკუთვნოდეს². საქმე იააა, რომ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ზ. ჰიჭინაძის ხელით დაწერილი ერთი დოკუმენტი, სადაც ავტორი მოგვითხრობს, თუ როდის დაიწყო მან მუშათა საკითხებზე წერა. იგი დაწერილებით ჩერდება ამ თემაზე თავისი პირველი ნაშრომის შესახებ. ზ. ჰიჭინაძე თურმე სერიოზულად ჩაუფიქრებია იმას, რომ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევართა რიცხვი. ზ. ჰიჭინაძეს გადაუწყვეტია ამის თაობაზე წიგნი დაეწერა. შეუგროვებია ცნობები მუშათა დაუსაქმებლობის შესახებ და მრავალი სხვა მასალა, რომლებიც ამ საკითხს ეხებოდა.

მართლაც დაეწერე ასეთი წიგნიო, აღნიშნავს ზ. ჰიჭინაძე, და დაუპირებია კიდევ მისი გამოცემა. ხელნაწერი საცენზურო კომიტეტში წარუდგენია, ნება მიუციათ და ზ. ჰიჭინაძესაც 1500 ცა-

¹ „მუშა“, 1889, № 2, 3, 4.

² პირველად ეს ვარაუდი გამოთქვა ს. ხუნდაძემ თავის წიგნში „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ (ტ. 2, 1927, გვ. 115), მაგრამ რაიმე დამადასტურებელი საბუთი არ მოუყვანია.

ლი დაუბეჭდავს. მაგრამ ცენზურაში უკვე დაბეჭდილი წიგნი რომ უნახავთ, აუკრძალავთ, ინსპექტორი გაუგზავნიათ, სტამბიდან ყველა ეგზემპლარი წამოუღიათ და დაუწვავთ. ზ. კიკინაძეს დავა დაუწყია ზარალი ამინაზლაურეთო, თუ ნებართვას არ მაძლევდით რაღას დამაბეჭდვინეთ და ხარჯი გაააწვევინეთო. საცენზურო კომიტეტში დამუქრებიან: თავი დაგვანებე, თორემ მთავრობის საწინააღმდეგო წიგნის დაწერისათვის შენს საქმეს ეანდარმერიასა და სასამართლოს გადაცემთო.

ზ. კიკინაძეც, რაღას იზამდა, შერიგებია მდგომარეობას. მას თურმე ამ წიგნის მხოლოდ ორი ეგზემპლარი დარჩენია, ამათგან ერთი გიგო თოიძისათვის (მხატვარ მოსე თოიძის ძმისათვის) მიუცია რკინიგზის მუშათა ბიბლიოთეკისათვის, მეორე კი მიხეილ სიმონიძისათვის უთხოვებია, რომ მისი ტექსტი ხელნაწერ ეურნალ „მუშაში“ მოეთავსებინა: „... ეს წიგნი მივეცი „მუშის“ დამწერს მიხ. მეტეხელს (სიმონიძეს). ამან გადასწერა ეურნალ „მუშაში“ და ამის შემდეგ ის დაბეჭდილი წიგნიც დამეკარგა მიხ. ჰიმონიძესთან. დღეს ამ ეურნალ „მუშის“ ზსენებაც არსად არის“, იგი ლონდონში ვარლამ ჩერქეზიშვილმა წაიღო და, ამრიგად, ეს ჩემი შრომა საქართველოს მუშათა უმუშევრობის შესახებ დაკარგულად უნდა ჩაითვალოსო!

ყოველივე ზემოთქმული უეჭველს ხდის, რომ „მუშაში“ მოთავსებული წერილების სერია „ცუდა ხალხი“ ზაქარია კიკინაძეს ეკუთვნის.

როგორია ნაწარმოების შინაარსი? მის პირველ წერილში („მუშა“. 1889, №2) ზაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ უკანასკნელ დროს უმუშევრობა ძალზე გაიზარდა, წინათ ასეთი მდგომარეობა არ იყო. ტყუილად ელოდება ასობით მუშა სამუშაოს, ყოველდღიურად ქუჩა-ქუჩა დადიან, რომ იქნება რამე საქმეს წავაწყდეთო, მაგრამ ამაოდ, გულდაწყვეტილები და შეწუხებულები ბრუნდებიან სახლში, სადაც მშვიერი ცოლ-შვილი ზღვებათო. მათი მდგომარეობა იმდენად უნუგეშოაო, მწარედ შენიშნავს ავტორი, რომ „ჩემისთანა კუსტიკაცის კალამი კი არა, ლასალის, პრუდონის ან ფლეროვსკის ნიჭისთანა კალამი“ უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ხალხს დაუხატოს ამ გაუ-

¹ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 4677. სხვათა შორის, ამ ფაქტს ადასტურებს ერთი წიგნიც: „ზაქარია კიკინაძე“ (ტფილისი, 1922), რომლის ავტორია ნ. ნ. (როგორც ამ ბოლო დროს დადგინდა, ეს ფსევდონიმი გალაკტიონ ტაბიძეს ეკუთვნის). აღნიშნულ წიგნს ბოლოში დართული აქვს სია „ზ. კიკინაძის ნაწერი დაბეჭდილი წიგნებისა“, რომელშიც ბოლოს მითითებულია: „ცუდათ მოსიარულე მუშა ხალხი (1500 ცალი ცენზურაში დასწვეს)“ (გვ. 48).

ბედურებული მუშების ცხოვრებაო. მუშებს სილატაკეში ბევრად არ ჩამორჩებიან ხელოსნები და წვრილი ვაჭრებიც, რომელთაგანაც წლეულს, მაგალითად ხუთასზე მეტმა შეწყვიტა ვაჭრობა, უმუშევრად დარჩა და ლუკმაპურიც კი ენატრებაო. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ „წვრილმანი ვაჭრები ისპობიან თავიანთი შეუძლებლობითა და ფართოვდებიან მდიდარი კაპიტალისტი ვაჭრები“. ზოგიერთი უმუშევარი ამ გაჭირვების გამო ცუდ გზას ადგებაო. ამა-სთანავე ავტორი კიცხავს იმათ, ვინც მუშათა დაბეჩავებულ მდგომარეობას თვით მუშებს აბრალებს და მათ უსვინდისოდ ლოთობასა და სიზარმაცეს სწამებს. ზ. ჭიჭინაძის აზრით, ასე იქცევიან მქონებელი კლასები და მათი დამქაშები.

ამ სერიის მეორე წერილში, რომელიც „მუშის“ ამავე წლის მე-3 ნომერშია მოთავსებული, გაკრიტიკებულია სენ-სიმონის არასწორი შეხედულებები სოციალურ საკითხებზე. ავტორი წერს, რომ ლასალმა, პრუდონმა, ლუი ბლანმა და სხვა გამოჩენილმა მოაზროვნეებმა სულ სხვანაირად ახსნეს მუშათა გალატაკების მიზეზებიო. იგი იმუშებს ინგლისელი ეკონომისტისა და მწერლის ვატსონის აზრს, რომ გასაკიცხ პიროვნებებსაც კი, რომლებიც ცუდ საქციელს სჩადიან სილატაკის გამო, გარკვეული გარემოებანი ამართლებენო. ავტორი განსაკუთრებით მკაცრად ესხმის თავს „გამოჩენილ და უსინდისო ბურჟუაზიულ მწერალს“¹, ემილ დე ლაველს, რომელიც თურმე ამბობდა, რომ მუშების სილატაკე მათი სიზარმაცის ბრალიაო. ზ. ჭიჭინაძე სწორ დასკვნას აკეთებს: მუშათა დავრდომის მიზეზთა მიზეზად მდიდარი კაპიტალისტები ჩაითვლებიანო, რომ უმუშევრობა და მუშათა სილატაკე ბურჟუაზიული საზოგადოების დამახასიათებელი ნიშნებიაო. შემდეგ აღწერილია გაჭირვებული მუშების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის სურათები: მათი შეურაცხყოფა, სახლის პატრონების მიერ სასამართლოებში ჩივილი, მუშის უკანასკნელი ნივთების საჭარო ვაჭრობით გაყიდვა ვალების დასაფარავად და სხვ.

წერილების ეს სერია თავდება „მუშის“ მე-4 ნომერში. აქ ლაპარაკია უმუშევართა სხვა კატეგორიებზე: წვრილ მოსამსახურეებზე, მსაპურეებზე, ლაქიებზე, თეთრეულის მრეცხავეებზე, შინამრეწველებზე და სხვ. საგულისხმია, რომ ავტორი მათ გამოყოფს მუშებისაგან და პირველ რიგში მას პროლეტარიატის უმუშევრობის პრობლემა აინტერესებს, აღნიშნულ წერილში ნახსენებია განათლებული პირებიც, რომლებსაც სამუშაო არა აქვთ და ამიტომ

¹ საგულისხმია, რომ „მუშის“ ავტორებმა უკვე იციან, რომ მათ მტერს — ბურჟუაზიას თავისი მწერლებიც კი პყაეთ, რომლებიც კაპიტალის დამცველთა როლში გვევლინებიან.

თავიანთი სავალალო მდგომარეობით არ განსხვავდებიან უმუშევარი მუშებისაგანო. ავტორის რწმენით კაპიტალიზმს უბედურება მოაქვს არა მარტო მუშებისათვის, არამედ სხვა სოციალური ფენებისთვისაც.

თანაც ავტორს მოჰყავს უმუშევრობის საინტერესო სტატისტიკური მონაცემები და დასძენს, რომ ეს უმუშევრობა თავისი არსით მოგვაგონებს საფრანგეთის მუშა ხალხის მდგომარეობას, ასევე ხდება ინგლისშიც — იქაც მუშები დიდად შევიწროებული არიანო, და შენიშნავს: არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საქართველოში უმუშევრობა და მშრომელთა უკმაყოფილება დღითიდღე იზრდება, რადგან კაპიტალისტების მიერ მუშების ჩაგვრა და ექსპლოატაცია ყველგან ერთნაირიაო.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ზ. ჰიჭინაძე თავისი წერილების სერიაში „ცუდა ხალხი“ უმუშევრობის — კაპიტალიზმის ამ განუკურნებელი წყლულის ახსნას ძირითადად სწორად იძლევა და, რაც მთავარია, პრობლემას განიხილავს სოციალური პოზიციებიდან.

გ. ღიაროვის წერილში „თვით კომიკები. ჩვენი კომიკები“ („მუშა“, 1889, № 2) მოთხრობილია ხელოსანთა დუქნების ახალი იჯარადრის ადამიანი თუთაევის გაუმადლობაზე. მას თურმე დიდად გაუზრდია ქირა და საწყალი ხელოსნები წელში წყდებიანო. ეს ადამიანი თუთაევი ადრე თურმე კომედიებს წერდა და დრამატურგად ითვლებოდა. ამ კომედიებში იგი საწყალი ხალხის საქმეს ესარჩლება, ცხივრებაში კი ამავე საწყალ ხალხს ტყავს აძრობსო¹.

მწვავე სოციალურ საკითხებს ეძღვნება ვ. ღორელის (ვანო დოღმაშაშვილის) წერილი „რამდენიმე სიტყვა“, რომელიც ამავე ნომერშია მოთავსებული. წერილს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ნ. ბარათაშვილის სიტყვები ასეთი ოდნავ შეცვლილი სახით: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელსა მან არა არგოს“. ავტორი აღწერს მუშათა აუტანელ მდგომარეობას მყველფელების ხელში და აღმფოთებით ამბობს, რომ მუშებს საშუალება არა აქვთ თავისუფლებაზე ილაპარაკონ, მათ სწავლა-განათლების გზას უღობავენო. ავტორს სწამს, რომ მოვა დრო, როცა მუქთახორებს ცუდი დღე დაადგებათ — მუშები მათ ძირს ჩამოყრიან და შესძახებენ: „მოკვდი, შე ქვეყნის მკვამელო!“ ჩვენი შრომა მაშინ დაგვიფასდება, როცა თავისუფლებას მოვიპოვებთო. ვ. ღორელი პათეტიკურად აცხადებს: „ვინც კომუნის მომხრეა, გაუმარჯოთ!“! რა თქმა უნდა, ავტორს ბუნდოვა-

¹ ადამიანი თუთაევის პიესები გამოცემულია წიგნბადაც.

ნი წარმოდგენა აქვს სოციალიზმსა და კომუნისმზე, მაგრამ მისი აზრების მიმართულება სწორია.

ამავე ნომერში მოთავსებულია ა. დლიურაშვილის (არაქელა ოქუაშვილის) საყურადღებო კრიტიკული წერილი „ავტორების შენიშვნა“, რომელშიც განხილულია „მუშის“ წინა ნომრის მასალები. დასაწყისში ავტორი გადმოგვცემს მუშათა აღფრთოვანებას ეურნალის გამოშვების გამო. შემდეგ იგი არჩევს იქ მოთავსებულ ნაწარმოებებს და განსაკუთრებით მკაცრად აკრიტიკებს ვ. ჰერეთხველის (ვასო ყულიჯანაშვილის) ლექსს „ბუნება“, სადაც, მისი თქმით, ბუნება „ერთობ ხელოვნურად არის აღწერილი“ და, რაც მთავარია, არ მოიპოვება მოქალაქეობრივი მოტივები. „აბა რა გამოიტანე ამ ლექსიდან, საყვარელო მკითხველო,—წერს ა. დლიურაშვილი, — სრულებით არაფერი... არ მიეკარა შენს იარიან გულს, რადგან მაგ ლექსში არ არის გამოხატული შენი უსამართლო ტანჯვა“. ლექსის ავტორს ავიწყდება ფრანგი მოღვაწის პრუდონის სიტყვები, რომ ამგვარი უსაგნო ხელოვნებიდან რაიმე აზრს ვერ გამოვიტანთ და რომ საჭირო არც არის ამგვარი ხელოვნება. ა. დლიურაშვილს საჭიროდ მიაჩნია მწერალმა აღწეროს ის, რაც ხალხს აწუხებს, ანდა გამოხატოს მასების ისეთ შესანიშნავ წინამძღოლთა ღვაწლი, როგორიც იყვნენ დანტონი და მარატი „...საფრანგეთის გამოჩენილი რევოლუციონერები“.

შემდეგ ავტორი პოეტს უსაყვედურებს, ბუნებას რომ ეხვეწები, მან რა უნდა მოგანიჭოსო. „ბუნება რომ ხალხს შევლას აძლევდეს, — განაგრძობს იგი, — მაშინ ამდენი უბედურება აღარ იქნებოდა და მრავალ მართალ კაცს აღარ გააყოფინებდნენ თავს სახრჩობელაში. ჩვენ, მუშა ბიჭები იმ ცრუ აზრს კი არ უნდა გავუვებო, რომელთაც დავიწყებიათ მუშა ხალხი... და დაეძებენ ძველ კოშკებს... სურთ იმ კოშკებიდან დაბადონ ხალხის ბედნიერება...“ ამას ეოსდევს ერთსტროფიანი ლექსი, რომლის სათაურია „ამ ქვეყნიდან განაგაქცეულს პოეტებს“. აი, ეს ლექსიც:

„სჯობს ამ ქვეყნად მოხელოთ,
დააკვირდეთ ლატაც ხალხსა,
ვისთვის ვშრომობთ მუშა ხალხი,
პროლეტარი ვერ სდგამს სახლსა“.

იქვე ა. დლიურაშვილი განმარტავს სიტყვა „პროლეტარის“ მნიშვნელობას.

როგორც ვხედავთ, პოეზიისადმი კლასობრივი მიდგომის, მუშებისათვის საჭირო მხატვრული ლიტერატურის შექმნის შესახებ იმ დროს ჩვენში ა. ოქუაშვილს სხვებზე ბევრად აღრე გამოუთქვამს მეტად საგულისხმო პროგრესული შეხედულებანი.

ა. ოქუაშვილი განიხილავს აგრეთვე ვ. ღორელის წერილს „სამიოდე სიტყვა“. კრიტიკოსის გულისწყრომა გამოუწვევია მეტადრე ამ წერილის ერთ ადგილს, სადაც ნათქვამია: „მადლობას ვცემ ზეციურსა მონიჭებულს ბუნებას, რომ მოგვცა თითო-ოროლა ნიჭიერება გამოგვებატა გლეხი კაცის ცხოვრება და უბედურება“. ასეთი ნიჭიო, ამბობს ა. ოქუაშვილი, ადამიანს ზეცოდან რომ ეძლეოდეს, მაშინ რაღა გვიჭირსო. მაშ დაიკეტოს სტამბები, მეცნიერებმა შეწყვიტონ შრომა, თუკი ზეცა უფრო შეგვაგნებინებს შრომელთა გაჭირვებასო. მაგრამ ეს მცდარი აზრია — ცხოვრების გარჩევა მეცნიერული თხზულებების გარეშე შეუძლებელიაო. ცხადია, ა. ოქუაშვილი ამით მუშათა მოძრაობაში სტიქიურობას უცხადებს ბრძოლას და მოითხოვს, რომ მუშებმა შეგნება აიმაღლონ, დაეუფლონ თავისუფლებისათვის ბრძოლის მეცნიერებასო. რა თქმა უნდა, ავტორი აქ აშკარად არ ლაპარაკობს პროლეტარიატის მიერ მეცნიერული სოციალიზმის დაუფლების აუცილებლობაზე, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სწორედ ეს იგულისხმება.

ექსპლოატატორთა ხელში მშრომელების მიძიმე მდგომარეობას ეხება „მუშის“ 1889 წლის მე-3 ნომერში მოთავსებული ვ. ჰერეთხეველის (ვასო ყულოჯანაშვილის) წერილი „რა ცხოვრებაა მუშის ცხოვრება“. ავტორი აღნიშნავს, რომ „ბევრნი არიან ჩვენში დაჩაგრული ხალხი და მიწასთან გასწორებულნი მდიდარი ხალხისაგან“. იგი ხაზს უსვამს, რომ მქონებელთა კლასების წარმომადგენლები მუშებს ექსპლოატაციას უწევენ, უმოწყალოდ ავიწროებენ, აწვალევენ, ლუკმაპურს ანატრებენო. მდიდარს კისერი გასქელებული და მუცელი გაბერილი აქვს „საწყალი ხალხის ოფლის ჭამისაგან“, მშრომელებს კი შიმშილისაგან კისერი გაწვრილებიან და ფერდები ჩასცივიანიანო. მათ სწავლა-განათლება არა აქვთ და ამიტომ ადვილად იმონებენო, რადგან მდიდრები „გამოცდილნი არიან ყვლეფა-გლეჯაში“. ავტორი ექსპლოატატორებს ღორებსა და გარეულ მხეცებს უწოდებს და წყევლა-კრულვას უთვლის მათ: „ოხ, გასწყდეს მდიდარი ხალხი, რომ მტარვალებათ და მწვალებლებათ არ გაჩენილიყვნენ მუშა ხალხისათვის“.

ვ. ჰერეთხეველი ლაპარაკობს აგრეთვე წერილ ხელოსანთა გაპროლეტარებაზე, რომლებიც „მდიდარი ქარხნის მქონებელთა“ უმოწყალო კონკურენციას ვერ უძლებენ და კოტრდებიან, რის გამოც იძულებული არიან თავიანთი სახელოსნოები დაკეტონ და „ნახევარ ფასად“ დაიწყონ მუშაობა კაპიტალისტის საწარმოებში, სადაც „ქარხნის პატრონები თანდათან ისქელებენ ჯიბეს და მუშებზე კი რჩებიან ცარიელი“. ავტორი მოუწოდებს მუშებს შეებრძოლონ მეპატრონეებს თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იგი

განმარტავს, რომ ექსპლოატატორები დამოკიდებული არიან მშრომელებზე: „თუ რომა მუშამ არ იმუშავა და არ გააკეთა, ქარხნის პატრონს სად შეუძლია მისი გაკეთება“, ე. ი. პროლუქციის შექმნაო. ავტორი უსაყვედურებს მუშებს: თქვენივე შეუგნებლობით არის, რომ უკანასკნელ ლუკმას გტაცებენო. გამოსავალს იგი ხედავს იმაში, რომ მშრომელ ხალხში სწავლა-განათლება გავრცელდეს. „განვეითარდეთ გონებით, რომ სწავლით მანც წაეწიოთ წინ ჩვენი ცხოვრება“. გვეყოფა, რაც მდიდრებმა ჩვენზე იპარპაშეს, მათ მეტი აღარ ვემონოთ, ვიყოთ თავისუფლად, ჩვენთვის ვიშრომოთო, რომ „ჩვენს ნაშრომს მოცილენი აღარ ჰყავდეს“.

ავტორი ამასთანავე ყურადღებას ამახვილებს მშრომელთა პოლიტიკურ უუფლებობაზე. ექსპლოატაციის გარდა, ვ. ჰერეთხეველის აზრით, მუშები და გლეხები, მთელი „დაბალი ხალხი“ დაჩაგრული და შეწუხებულია მაღალი წოდების წარმომადგენლებსაგან, რომლებიც მშრომელებს ადამიანებად არ თვლიან და ყოველმხრივ ხელს უშლიან იმაში, რომ ცხოვრების ასპარეზზე გავიდნენო.

მართალია, აქ არ არის მოცემული მეცნიერული ახსნა ექსპლოატაციის არსისა და არც პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლებზეა გამახვილებული ყურადღება, მაგრამ თავისთავად ეს წერილი წარმოადგენს მძლავრ პროტესტს მჩაგვრელების, ექსპლოატატორების, მაღალი წოდების მიმართ.

ანალოგიური აზრებია ჩაქსოვილი ა. დლიურაშვილის (ა. ოქუაშვილის) წერილში „ერთი ჩვენი სიღარიბის მიზეზი“, რომელიც „მუშის“ ამავე ნომერშია მოთავსებული. ავტორი სვამს კითხვას: რატომ არის, რომ ღარიბი ხალხი წლიდან წლამდე შრომობს და მაინც მუდამდღე მშიერია, ზოგიერთები კი უშრომლად მუშებზე უკეთესად, განცხრომით ცხოვრობსო? ძალზე საინტერესოა ამ კითხვაზე ავტორისავე პასუხი, რომელშიც არ შეიძლება არ დავინახოთ სოციალისტური შინაარსის ლიტერატურის გავლენა. აქ ა. ოქუაშვილი პრიმიტიულად გადმოგვცემს, თუ როგორ ართმევს ექსპლოატატორი მუშას მის მიერ შექმნილ დოვლათს. „ეგ მიტომაო... რომ მექარხნე სრულათ არ აძლევს მუშას შრომის ფასსა, იმის შრომის ნაწილი ამ მექარხნესთან რჩება, რომელთანაც რამოდენიმე ათასი კაცი მუშაობს. რასაკვირველია ეს დიდ თანხას შეადგენს მექარხნისათვის“. ა. ოქუაშვილის აზრით, ექსპლოატატორთა მიერ დაგროვილი დიდი ქონება — „...ეს სულ იმ მუშების შრომაა, რომელნიც თავიანთ უცოდინარობის გამო მექარხნის იარაღად გადაქცეულან“.

საგულისხმოა, რომ ავტორი მარტო ფაბრიკა-ქარხნების მეკა-

ტრონებსა და ვაჭრებს როდი მიიჩნევს მშრომელთა ექსპლოატატორებად: „მრავალნიც სხვანი არიან, რომელნიც მუშის შრომით ცხოვრობენ და მუშას კი კაცათ არა სთვლიან“. მაგალითისათვის დასახელებულია მღვდლები და მოხელეები, რომლებიც თურმე მშრომელთა ყველფაში პირველებს არ ჩამორჩებიან. შთამბეჭდავად ელფრს ავტორისეული ბრალდება:

„მღვდლო, ეგ დიდი ოქროს ჯვარი რომ გკიდია... ეგ იმ მუშების შრომისაა, რომელნიც დღემულამ მშოიერნი არიან! ჩინოვნიკო! ეგ დიდი ტელმაკები რომ დაგიკერებია მხრებზე და გულზედაც სისხლის ჯვრები ჩამოგიმწკრივებია, რას ფიქრობ, საიდან მოგდის ეგ დიდი ჯამაგირი. რომლითაც კარგს სკამ, კარგს სვამ, კარგათ იცვამ და კარგათ იხურამ... ეგ სულ... მუშების ოფლია“.

ამასთანავე, ა. ოქუაშვილი თავს ესხმის როგორც თვითმპყრობელობას საერთოდ, ისე მეფის საგვარეულოს წარმომადგენლებსაც. იმ დროს თურმე საქართველოში „ჩინოვნიკების პაპა“ (იგულისხმება რუსეთის მეფე) უნდა ჩამოსულიყო, გულუბრყვილო ხალხს ეგონა, რომ გადასახადებს შეგვიმციერებსო, მაგრამ, დასძინს ავტორი, ღალხს იმედი გაუცრუვდა, პირიქით, ხარჯებიც გადასახადები მოემატაო.

დასასრულ, ა. ოქუაშვილი დაასკვნის, რომ მშრომელი ხალხის სიღარიბის მიზეზი ყოფილა საზოგადოების მუქთახორული ფენები, „რომლებიც ხალხს მოჰხვევიან თავზე — გინდათ თუ არა გვაცხოვრეთო“. ავტორი კვლავ ხაზს უსვამს მღვდლებისა და მოხელეების გაუმადლობას, უკანონობას, აღვირახსნილობას. იგი თავს ესხმის აგრეთვე ე. წ. „აქციზნი ჩინოვნიკებს“, რომლებიც მშრომელებს, განსაკუთრებით კი გლეხებს სულს ზდიანო.

ავტორი სამარცხვინო ბოძზე აკრავს იმ სახელმწიფოს, სადაც მუშას უკანასკნელ ლუკმას სტაცებენ პირიდან სხვადასხვა ჯურის ექსპლოატატორები და მის ხარჯზე ფუფუნებით ცხოვრობენ, ურცხვად პარპაშობენ.

ასეთსავე შეხედულებებს გამოთქვამს ტ. რუისელი (ტატო ქობულაშვილი) წერილში „შემოკლებული სტატია“ („მუშა“, 1890, № 1). დასაწყისში ავტორი მიმართავს თავის თანამოძმეთ, რომ თქვენ კარგად იცითო, რა ცხოვრება აქვს მშრომელ ხალხს, „რა გარემოებაში ვიმყოფებით, ან კი როგორა ვცოცხლობთ ამდენი მოუშორებელი სევდა-ვარამისაგან, რამდენნაირად გვეყოფა და გვეგლიჯება ჩვენი საკუთარი ლუკმა“, ტ. რუისელის აზრით, მარტო ამის შეგნება არ არის საკმარისი. იგი მშრომელებს მოუწოდებს გამოიძიონ მთავარი საკითხი — „რათა ვართ სხვისი მუშები“. ჩვენ ურთიერთ შორის ძმობა და ერთობა: აღვადგინოთ; ავი. კარგისაგან

გავარჩიოთ და მაშინ ცხადად დაინახავთ, თუ „ვისგან გვერთმევა ლუკმა“. ავტორი ამითაც არ კმაყოფილდება და აცხადებს: აუცილებელია გავიცნოთ ახალგაზრდობის ერთი წრე და ავუხსნათ, თუ რა მდგომარეობაში ვართ, და „ის, რაც ჩვენთვის საჭიროა“. ტ. რუსელი იმედს გამოთქვამს, რომ ეს ახალგაზრდები დაგვეზარებინან „ავისა და კარგის“ გარჩევაში, ძმობისა და ერთობის განმტკიცებაში, თავისუფლების მოპოვებაში. ბუნებრივია, ამ „ყმაწვილკაცებში“, როგორც მათ ავტორი უწოდებს, იგულისხმებიან მოწინავე იდეებით შეიარაღებული პროგრესული ახალგაზრდები, რომლებიც რევოლუციური სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული და უკვე იწყებდნენ მეცნიერული სოციალიზმის პროპაგანდას მუშათა შორის. შემდეგ ავტორი ლაპარაკობს მდიდრებთან და მუქთახორებთან დამოკიდებულებაზე. ჩვენ მათი ქონება კი არ უნდა გვშურდესო, ეს სისულელე იქნებოდაო, არამედ იმას უნდა ჩაუფიქრდეთ, რომ ჩვენი უცოდინარობით მათ ძალაუფლება მივეცით და ისინიც დღეს, რაც უნდათ, იმას გვიშვრებიანო. აი, ამაში ვართ დამნაშავენი. რომ გამგებლობა მუქთაყლაპველებს ჩავაბარეთ, რომლებიც „შვეყანას თავის სურვილისამებრ ატრიალებენო. ასე იღუპებოდნენ ჩვენი მამა-პაპანი და ჩვენიც, მშრომელი ხალხის შვილები, აქვთსავე დღეში ვართ ჩაცვივნილიო. ავტორი ბოლოს საინტერესო აზრს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ არსებული უვარგისი წესწყობილება უნდა მოისპოსო, ოღონდ ეს თავისთავად, სტიქიურად კი არ მოხდება, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი შეგნება ამადღდება. სწავლა-განათლებას ვეზიარებითო. ე. ი. ტ. რუსელი მშრომელთა განთავისუფლების საქმეს განმანათლებლური, უტოპისტური პოზიციებიდან განიხილავს.

საღირბოროტო საკითხებს ეხება ზ. ახალსოფელის (ზაქარა კიკინაძის) წერილი „მუშა ხალხი“, რომელიც 1891 წლის პირველ ორ ნომერშია მოთავსებული. აღსანიშნავია, რომ ჟურნალის ამ მე-2. უკანასკნელ ნომერში წერილს მიწერილი აქვს: „შემდეგი იქნება“. ამ წერილის გაგრძელება გამოქვეყნებით კი გამოქვეყნდა, მაგრამ უკვე სხვა ორჯანოში — მუშათა მეორე ხელნაწერ ჟურნალ „განთიადში“, რომლის რედაქტორი და გამომცემელი იყო მიხეილ სიმონიძე. ეს ჟურნალი, როგორც ზემოთ ითქვა, 1891 წელს გამოდიოდა თბილისის სახელოსნო სკოლაში¹. წერილის ძირითად შინაარსს შეადგენდა მშრომელთა შვილების უნუგეშო ყოფა როგორც ბატონყმობის პერიოდში, ისე მისი გადავარდნის

¹ შტრ.: რ. კალაძე. მუშათა ქართულ ჟურნალ-გაზეთის ჩანასახი (80-90 წწ). ჟურნ. „რევოლუციის მატინე“, 1923, № 2, გვ. 14-17; გრ. გიორგაძე. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. თბ., 1928, გვ. 517.

შემდეგაც. მოყვანილია საშინელი ფაქტები, თუ როგორ ჰყიდდნენ მებატონეები თავიანთი ყმების ქალიშვილებს სამიკიტნობისა და დუქნების საროსკიპობისათვის. ამ მხრივ დღესაც არ არის კარგი მდგომარეობაო, გარყვნილობასა და ზნედაცემულობას თანამედროვე საზოგადოებაშიც ღრმად გაუდგამს ფესვიო, იუწყებოდა ავტორი.

მიუხედავად რელიგიური შეფერილობისა, საკმაოდ პროგრესული სოციალური აზრების მქადაგებელია „მუშის“ 1889 წლის მე-3 და მე-4 ნომრებში მოთავსებული „სიტყვა თქმული დიდ ხუთშაბათს ზალინსკის მიტროპოლიტისაგან“. დასაწყისში ლაპარაკია იმაზე, რომ „ქვეყნის შექმნიდანვე დაითესა კაცობრიობაში ერთმანეთის მტრობა და ძარცვა-გლეჯა“. იყო ერთი გაუთავებელი ჩხუბი და სისხლის ოარაო. შეუგნებელი ხალხი წინდაუხედავად მიმართავდა ხოლმე ბრძოლებში დაწინაურებულ პირებს, გვიხელმძღვანელო, და მათ გასუსაზღვრელ უფლებას ანიჭებდნენ, ისინიც სარგებლობდნენ შემთხვევით; თავის მხეცურ ბრძკუალებში აქცევდნენ ხალხს და „წურბელასავით სწოვდა სისხლს მისი კისრიდან“. ხალხი ბოლოს გრძნობდა თავის შეცდომას, მაგრამ, დაბეჩავებულსა და დამონებულს, მას ძალა აღარ ჰქონდა მოეშორებინა თავიდან მისი შემავიწროებელი.

ავტორის აზრით, ასე გაჩნდნენ ამქვეყნად მეფეები და ხელში ჩაიგდეს „ხალხის ყოფაცხოვრება“, თავიანთ გარშემო შემოიკრბეს ურიცხვი მოსამსახურენი, მცველები, გამართობები, მსმელნი, მოქეიფენი და „ყოველგვარი უმზგავსები“. მთელ ქვეყანასა და მის სიმდიდრეს მეფეები და მათთან დაახლოებულები დაეპატრონნენ. ავტორი ამ პრიმიტიულ ისტორიულ ექსკურსს ამთავრებს საზოგადოების კლასებად დაყოფის აღწერით: „ყოველი სამეფოები გაიყვნენ ორად, მაღალ წოდებად და დაბალ წოდებად“, პირველმა მეორეს დაუწყო დაჩაგვრა, „ულმობლად... ძარღვებიდან სისხლის წოვა“, იგი მონად და ყმად გაიხადაო. მაგრამ ეს მარტო წარსულში როდი იყო, „საუბედუროდ დღესაც ეს ბედივე აღგია... კაცობრიობას და ვერ მოუხმარია... ჭკუა-გონება, ძალი და ღონე თავის დასახსნელად...“

ავტორის მიერ დახატული ეს სურათი ფრიად გულუბრყვილოა. მაგრამ რაინც იგი ჭეშმარიტებასთან ახლოს არის. ავტორი, მართალია, გრძნობს, რომ ქვეყნად გამეფებული უსამართლობის მოთმენა შეუძლებელია, მაგრამ მშრომელთა სოციალური განთავისუფლების უტოპიურ გზას ვეთაუზობს:

თუმცაო, ნათქვამია წერილში, არსებობს საშუალება, რომ ხალხმა თავისუფლება მოიპოვოს, — ეს არის „მრავალი ძალის

ერთად შეეკავშირება“. ასეთი გაერთიანების შემდეგ საკმარისია „ერთი გრგვინვა, ერთი გმირულად შეყვირება და ყველა გათავდა! მის ფეხთა მტვრად იქცევიან, უსულოდ დაეცემიან მის წინ ყველა მტარვალები და სისხლის მწოვლები“. თავისთავად ცხადია, რომ „ერთი გრგვინვისა“ და „ერთი გმირული შეყვირების“ იდეა წვრილბურჯუაზიულ-ხალხოსნური კონცეფციებიდან მომდინარეობს და მას საერთო არაფერი აქვს ექსპლოატაციის მოსაპობისათვის მუშათა კლასის ორგანიზებულ ბრძოლასთან.

ანონიმ ავტორს რატომღაც გულწრფელად სჯერა, რომ თითქოს თანასწორობა და თავისუფლება ღვთისაგან აქვს ნაბოძები ადამიანს, რომ თითქოს ეს უცნაური ღმერთი ერთობას, ძმობასა და სიყვარულს უქადაგებდა ხალხს, რომ „ყოველი კაცი ერთად მიაჩნდა და უპირატესობას აძლევდა მუშა ხალხს, შრომის უღლის მწვეველს“, „რომ მიწა მუშა ხალხს ეკუთვნის და არა ამოდ მკამელებს, რომ უფლება ყველას თანასწორი აქვს ქვეყანაზედ ცხოვრებისა“.

როგორც ვხედავთ, ავტორის შეხედულებები მცდარ წანამძღვრებზეა აგებული. მაგალითად, როდის იყო, რომ რელიგია იცავდა ექსპლოატირებული მასების ინტერესებს (პირიქით, იგი ყოველთვის მჩაგვრელებს ემსახურებოდა)? ანდა როდის იყო, რომ რელიგია წყვეტდა საკითხს, ვის უნდა ეკუთვნოდეს მიწა — გლეხებსა თუ თავადაზნაურობას? საერთოდ იქმნება შთაბეჭდილება, რომ აქ გამოყვანილი ღმერთი სოციალური საკითხებით არის დაინტერესებული, ოღონდ მას არაფერი აქვსო საერთო სასულიერო წოდებასთან, რომელსაც ავტორი ზიზღითა და სიძულვილით იხსენებს მშრომელი ხალხის სხვა მჩაგვრელებთან ერთად: „ძალადე წოდების ხალხი, თავადაზნაურობა, მეფეები და მეტადრე სასულიერო წოდება... მხოლოდ ერთმანეთთან დაურღვეველის და თანხმობის კავშირით იყვნენ მაგარნი, ჰქონდათ ერთმანეთში შეკრული პირობა, რომ თუ ერთმანეთს უღალატეთ, ყველა ერთიანად დავეცემითო“.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამღვდლოებას მჩაგვრელები ყოველთვის თავის იარაღად იყენებენ ხალხის დამონებისათვის: „სასულიერო წოდება ხალხს უქადაგებდა მორჩილებაზედ, უფროს-უნცროსობაზედ, უფლებათა განსხვავებაზედ და მეფეებს ხალხის თვალში ხატავდნენ «ქვეყნის ღმერთებად». მეფეები ხალხს ეუბნებოდნენ სასულიერო წოდების შესახებ, რომ ესენი ღვთის თანაშემწენი არიანო, და თავადაზნაურობა მათ შუა იყვნენ მომწყვდეულნი და ამნაირად შეერთებულნი ძალით, დაურღვეველ: კავშირის წყალობით ეს სამი წოდება ერთად ჰყვლეფავდნენ ხალხს“.



ქურნალ „მუხის“ 1891 წლის 1-ლი ნომრის გარეკანი.

მიუხედავად ასეთი ეკლექტიზმისა, პრიმიტიულობისა და თვით რელიგიის მოშველიებისა, რაც, ცხადია, ამ წერილის სოციალურ მნიშვნელობას ამცირებს, მასში, როგორც ზემოთ ვთქვით, არაერთი პროგრესული აზრია გამოთქმული. განსაკუთრებით ყურადღებას

ღმწრობას მიუყვება. თავადაწნაურობისა და სასულიერო წოდების მიერ მშრომელთა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის აღწერა გულმართლად და მოიცილი პირდაპირობით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტორს ამ აზრების ქადაგება განზრახ მიუწერია სინამდვილეში არარსებულ მიტროპოლიტისათვის (ალბათ, კონსპირაციის მიზნით).

ყურნალი დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობას, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მის მიერ სწავლა-განათლების შექმნას. ამ საკითხებზე იქ სპეციალური სტატიებიც კი არის მოთავსებული, როგორცაა, მაგალითად, ა. დლიურაშვილის „წერილი ჩვენი ყმაწვილ კაცების მიმართ“ („მუშა“, 1890, № 2) და მ. ხიდისთაველის „ახალი აზრის ყმაწვილები“ („მუშა“, 1890, № 3).

დლიურაშვილის ერთ-ერთი კორესპონდენცია „თბილისის გალავა“ („მუშა“, 1889, № 4) დედაქალაქში გამეფებულ ანტისანიტარიას ეხება. მაგრამ ეს როდია მთავარი. ვაკრიტიკებულ არიან ქალაქის მმართველები, რომლებიც არავითარ ზომებს არ იღებენ სისუფთავის დასაცავად, საამისოდ გამოყოფილ ფულს თვითონ იჭიბავენ და პოლიციის დახმარებით საწყალ მუშებს აიძულებენ ქუჩები მუქთად დაგავონ და ნაგავი გადაყარონ. ვინც კი ურჩობას გაბედავს, მას აპატიმრებენ და სცემენო. ამაზე მეტი უსამართლობა ქვეყნად სად გაგონილაო, დაასკვნის ავტორი.

„მუშაში“ მრავალი წერილია მოთავსებული თვით ყურნალის საშინაო საქმეებზე: „ბოდინში დლიურაშვილისა“ (ავტორია ა. ოქუაშვილი, 1890 № 1), „ნაკლუფანება ჩვენი ყურნალისა“ (ანონიმური, 1890, № 2), „დლიურაშვილის ბოდინის გამო“ (ავტორი ვ. ყული-ჯანაშვილი, 1890, № 3), „წერილი რედაქტორთან“ (ავტორი მ. სიმონიძე, 1890, № 3) და სხვ. ეს წერილები მოგვითხრობენ ყურნალის ამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ავტორებთან რედაქციის ურთიერთობაზე და ა.შ.

„მუშის“ პუბლიცისტიკის მიმოხილვა გვინდა დავამთავროთ ყურნალის უკანასკნელ ნომერში (1891, № 2) მოთავსებული ხელმოუწერელი წერილის „წარსული წლის მიმოხილვის“ გარჩევით.

ავტორი სვამს კითხვას, თუ რა სარგებლობა მოუტანა გასულმა წელმა ჩვენს ქვეყანას ან ევროპას. ევროპაო, ამბობს იგი, ვერ დაემდურება წარსულ წელს, ჩვენ კი რა მოგახსენოთო. შემდეგ ლაპარაკია საზრანგეთის ამბებზე, კერძოდ, ბულანეზე (ტექსტშია — ბლანე), იმაზე, თუ როგორ გააძევეს ეს პოლიტიკური

მოღვაწე პარიზიდან და პაერში როგორ გაიბნა მისი ჩანაფიქრი.¹ წერილში სწორად არის მხილებული ბულანჯეს ცდა სამხედრო დიქტატურის დამყარებისა, რომ მას სურდაო „გაეახლებინა ის შავი და უბედური იქაურ მცხოვრებთათვის დღენი, რა დღეშიც იყვნენ ნაპოლეონის დროს..“, ე. ი. რესპუბლიკურ წყობილებას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდაო.

გერმანიის შესახებ საუბრისას ავტორი ხაზს უსვამს „რკინის კანცლერის“ ოტო ბისმარკის დაცემას². ავტორის თქმით, იგი თავის პოლიტიკას ისე ატარებდა გერმანიაში, რომ „ჩვენში გამოცდილი კინტო ვერ დაატარებს ისე თაბახსა... ბისმარკი ისე ატრიალებდა მთელ ევროპას ხელში, როგორც კარგი ცუგრუმელა პატარძალი თითისტარსა“. შაგრამ ბედმა მასაც უმუხთლაო: ბულანჯეს კრახის შემდეგ მან დაწერა თხოვნა — გამათავისუფლო: თანამდებობიდანო.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბრაზილიის ამბებს. მუშა ხალხმა, რომელიც ძალიან შევიწროებული იყო, ამბობება მოაწყო და დაამხო მეფის ხელისუფლებათ.³ ასეთივე ამბები იშხდაო ლონდონშიც: მუშები „აჯანყდნენ ხელმწიფის საწინააღმდეგოდ და კიდევ გაიმარჯვეს ზოგიერთ საქმეებში“.

ასე და ამრიგად, დაასკვნის ავტორი, მუშათა მდგომარეობა ევროპაში ერთგვარად გაუმჯობესდა წარსულ წელს, მაგრამ რა ვქნათ, რომ ჩვენ ევროპელები არა ვართო. იმათ ამდენი წყალობა ერგოთ, ჩვენ კი, ქართველებმა, რა დავაშავეთ, რომ წარსულმა წლებმა ჩვენზე ხელი აიღო და არც დიდი და არც პატარა არ დაგვიწდო. ზარალი მოგვივიდა იმათაც, რომ დაიწვა „წინამძღვარი იშვილის შკოლა“⁴, რომელიც ჩვენში ერთადერთი იყო, სადაც უფასოდ სწავლობდნენ ღარიბი ხალხის შვილებიო. შემდეგ ავტორი

¹ ლაპარაკია ეოჩე ერნესტ ბულანჯეზე (1837-1891), ფრანგ გენერალსა და პოლიტიკურ მოღვაწეზე. 1886-1887 წლებში იყო სამხედრო მინისტრი. 1887-1889 წლებში მოხერხებულად იყენებდა ნაციონალისტურ დემაგოგიას, ქადაგებდა რევანშიზმს (გერმანიის მიმართ), სათავეში ედგა შოვინისტურ მოძრაობას. როდესაც 1889 წელს მონარქისტებთან მისი კავშირი გამოაშკარავდა, ბელგიაში გაიქცა და თავი მოიკლა.

² როგორც ცნობილია, ბისმარკის გადადგომის (1890 წელი) ძირითადი მიზეზები იყო: მუშათა მოძრაობის დათრგუნვის პოლიტიკის გაკოტრება და საგარეოპოლიტიკური კურსის ჩავარდნები.

³ ბრაზილიაში, განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იან წლებში ფართო ხასიათი მიიღო სახალხო ანტიმონარქიულმა გამოსვლებმა. 1889 წლის 15 ნოემბერს ჩამოაგდეს იმპერატორი პედრუ II და ბრაზილია ფედერალურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

⁴ ლაპარაკია წინამძღვრიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაზე, რომელიც დაიწვა 1889 წლის 12 დეკემბერს.

ირონიულად შენიშნავს, რომ გასულმა წელმა კინალამ ქუთაისის ბანკსაც გამოუთხარა ძირიო, კიდეც კარგი, ახალმა წელმა მოუწრო და ბანკი გადარჩა, თორემ რა ეშველებოდათ იქაურ თავადებს, ქეიფებს როგორღა გამართავდნენო.

დასასრულ, წერილი მოგვითხრობს საქართველოში მუშების სიღარიბეზე, მათ გაჭირვებულ ცხოვრებაზე.

მართალია, წერილში მწვავე სოციალური პრობლემები არ არის აღძრული, მაგრამ იგი ყურადღებას იპყრობს იმით, რომ მუშა-ავტორები თავისუფლად ერკვევიან საერთაშორისო ცხოვრების საკითხებში, იცნობენ ევროპის წამყვანი სახელმწიფოების საგარეო-პოლიტიკურ კურსს, არჩევენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში დესპოტური წყობილების დამხობას შეეხება, და, რაც მთავარია, ხაზგასმით აღნიშნავენ თავიანთი უფლებებისათვის იქაურ მუშათა ბრძოლის წარმატებებს. ამასთანავე, უდავოდ საინტერესოა წერილის ირონიული სტილი. ავტორი უნარიანად ხმარობს აგრეთვე შედარებებს, ეპითეტებსა და მეტაფორებს, რაც იმაზე მეტყველებს, თუ „მუშის“ ჟურნალისტები თანდათან როგორ ეუფლებოდნენ პუბლიცისტურ ოსტატობას.

პოეზია. ჟურნალ „მუშაში“ მხატვრულ ნაწარმოებთაგან გვხვდება ნხოლოდ ლექსები, რომელთა უმრავლესობა მუშისა და გლეხის აუტანელ ცხოვრებას, ქვეყნად გამეფებულ სოციალურ უსამართლობას, მშრომელთა გაჭირვებას შეეხება. ჟურნალის ნომრებში 50-მდე ლექსია მოთავსებული.

შ. გოზალიშვილი სწორად შენიშნავს, რომ „საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში, მუშათა რევოლუციური მოძრაობის დასაწყისიდანვე, მკვეთრად გაისმა ქართული... რევოლუციური პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელების, დამწყები მუშა-პოეტებისა და მწერლების მებრძოლი ხმა“¹. და ამ დამწყებ მუშა-პოეტებსა და მწერლებში ერთ-ერთი პირველი ადგილი უეჭველად ხელნაწერ ჟურნალ „მუშის“ ავტორებს უკავიათ. თუმცა აქაც უნდა ვავიმეოროთ ამ თავის შესავალში გამოთქმული აზრი, რომ ლექსები მხატვრულობის თვალსაზრისით დაბალ დონეზე დგას. სამაგიეროდ თემატიკის თვალსაზრისით ეს ნაწარმოებები უეჭველად ყურადღებას იმსახურებენ.

სოციალური პრობლემატიკა „მუშის“ პირველსავე ნომრებში მოთავსებულ ლექსებში გვხვდება. „ნორიელი სლესარი“ (გიგო ბასილაშვილი) ლექსში „თავადების გლოვა“ (1889, № 1) თავის თანამომემებს მოუწოდებს:

¹ შ. გოზალიშვილი. ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის. 1963, გვ. 7.

„მხარი მომეცით, გავშალოთ თავისუფლების დროშა“.

საგულისხმოა, რომ ავტორი მუშათა ინტერნაციონალურ სოლიდარობას ქადაგებს და პირდაპირ ამბობს — უსამართლობას, ექსპლოატაციას ჩვენ ისევე უნდა შევებრძოლოთ და მოვსპოთ, როგორც ამას რუსეთის მუშები აკეთებენო. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი მუშებისათვის კარგად ყოფილა ცნობილი იმ პერიოდში რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა და „მუშის“ ავტორებიც ცდილობენ არა მარტო პროპაგანდა გაუწიონ მათ საქმეებს, არამედ აქტიურადაც დაუჭირონ მხარი და მათი მაგალითისამებრ თავგანწირვით იბრძოლონ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

მ. თელაველის (მიხო ბოჭორიძის) ლექსი „დროა გავმხნევედეთ“ (1890, № 2) მეტრძოლი სულისკვეთებითაა გაქლენთილი. იგი პირდაპირ მოწოდებით იწყება:

„მოდით და, ძმანო, ავიღოთ
შვების ფარ-ხმალი ხელშია
და ნულარავის დაუთმობთ
თოკის მოჭერას ყელშია“.

ცხკრებად ნუ გადავიქცევითო, ამბობს პოეტი, რომ მტერმა ტყეში გაგვრეკოს, მოწამლული ბალახი გვაძოვოს და შემდეგ ბოლო მოგვიღოსო. ახალ აზრს უნდა დავადგეთ, ჩვენი მოძმე და მომხრე მუშებისათვის სული და გული არ უნდა დავზოგოთ და ჩვენს დამჩაგვრელებს საკადრისი პასუხი გავცეთო. ჩვენ თუ ვერ მოვესწრებით უსამართლობის მოსპობას, მომავალ თაობას მაინც გავუადვილოთ ბრძოლაო.

ზევით ლაპარაკი გვქონდა ზ. ჭიჭინაძის ლექსზე „დრო იცვლება და მასთან მისი ერი“. მასში ავტორი იცავს ღარიბების ინტერესებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს მდიდრებს, რომლებიც მუშებსა და გლეხებს ყვლეფენ, მათი ექსპლოატაციით მდიდრდებიან. ავტორს სწამს, რომ დადგება დრო, „როს აღვდგებით მკვდრეთით მუშა-ღარიბნი“ და მტანჯველებს სამაგიეროს მიეგუზღავთ, მყვლეფელე-ბის წინააღმდეგ აღვმართავთ იარაღს და გავიმარჯვებთო.

ლექსში „გლეხი და აზნაური“ მ. ხომიზუროვი (მიხეილ სიმონიძე) აღწერს ცხოვრებას იმდროინდელი გლეხისას, რომელსაც აზნაური ედავება — მომეცი შენი მოწეული მოსავლის მეოთხედო, თუ ამას ნებით არ იზამ, ჯარს დაგახვევ და აგაწიოკებო. გლეხი არ ეპუება გათავხედებულ აზნაურს: მე ჭაპანს ვეწევი, ოფლსა ვღვრი და ვიდაც გადამთიელი კი თავს დამდგომიხარ, მეოთხედი მიწილადეო. დასასრულ, პოეტი მიმართავს გლეხს, რომ მაგრად დაუხვდეს თავის შემავიწროებელს. აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ

მ. სიმონიძე მარტო გლეხის ტანჯვა-ვაებასა და მის ჩაგვრას კი არ აღწერს, არამედ აქტიური ბრძოლისაკენ მოუწოდებს მას.

ეს ბეჭდობლი სულისკვეთება კიდევ უფრო მძაფრად არის გამოთქმული ე. მდინარელის ლექსში „გლეხი იმედით“ (1890, № 4). მდიდრებს უხარიათ, რომ შშრომელები მათი მონები არიან, მაგრამო. ათქმევეინებს პოეტი გლეხს, მოვა დრო, წელში გავსწორდები ო, გავმაგრდებით და მაგ დიდებას ჩამოგართმევთო:

„გამოგეცლებათ ეგ დროი,
დაგიბნელდებათ ნათულო...
გადმოგიჩაყამთ ერთი-ორად,
რაც რომ სისხლო სწოვეთ ჩვენი,
უსამართლო ტახტს დაგინგრევთ,
აღარ იყოს ძალა თქვენი“.

ამ მხრივ დამახასიათებელია აგრეთვე მოსე თოიძის ლექსი „თავს მოუარეთ განვითარებით“ (1890, № 4), რომელშიც პოეტს თავის თანაგრძნობას უცხადებს მუშებს:

„ოფლში ნაწრთობო საწყალო მუშაე,
შენთვის პატრონი არავინ ჩნდება,
ისევ ჩვენ, ძმანო, თავს ვუპატრონოთ,
თორემ ლამპარი მთლად ჩაგვიქრება“.

ჩვენი სანთელი ჩვენვე უნდა ვანათოთ და სიმართლის გზა მოვძებნოთო, ამბობს მ. თოიძე:

„მარჯვენას, ძმანო, ცოდნა დაურთოთ,
რომ გავგიბრწყინდეს სხივი ნათლისა“.

მ. დუდუჩავა, რომელიც მ. თოიძის ამ ნაწარმოებს ეხება, სამართლიანად შენიშნავს, რომ „ამ ლექსის იდეური არსი, რა თქმა უნდა, უპირატესად განმანათლებლურია. 20 წლის მომავალი მხატვარი ჯერ კიდევ არ იყო ზიარებული ჰეშმარიტ რევოლუციური იდეებს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, იგი მიინც მთლიანად მუშათა კლასის ინტერესებითა და მომავლის რწმენით არის გამსჭვალული“¹.

ასეთი განმანათლებლური იდეები თავს იჩენს „მუშის“ სხვა პოეტების ნაწარმოებებშიც. ისინი ყურადღებას ამახვილებენ სწავლის საჭიროებაზე, ცოდნის შეძენის აუცილებლობაზე. მათი აზრით, ეს საშუალებას მისცემს შშრომელ ხალხს გაერკვეს ვითარებაში და გამოიხატოს გზები თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

განსაკუთრებით უნდა შევეჩერდეთ ა. დიდირაშვილის ლექსებზე, როგორც შედარებით მეტი სოციალური ქლერადობის ნაწარ-

¹ მ. დუდუჩავა. დიდი ქართველი მხატვარი. თურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1971, № 12.

მოებებზე. მათში ძალუმად იგრძნობა გამოღვიძებული მუშის კლასობრივი თვითშეგნება. ავილოთ თუნდაც მისი „ლექსი“ (1889, № 3). მასში ავტორი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ მთავრობა ძლიერ გვაწუხებს, ლატაკ მშრომელებს არავინ იბრალებს, თუ წინააღმდეგობა გაუწიე, თავს გაგიხეთქენო. პოეტი მოუწოდებს:

„რას დავარდნილხართ, მუშებო,
რისთვის მოხრილხართ წელშია,
აღსდექით, დაეცეთ ყივინა,
ხმალი ავილოთ ხელშია“.

დროს ნულარ ვკარგავთ, მტერს იარაღით ვეკვეთოთ და გავანადგუროთო. რაკი სიტყვით არაფერი გამოდის, ხელჩართულ ბრძოლაში უნდა ჩავებათ და ისე მოვიპოვოთ თავისუფლებაო.

ა. დლიურაშვილის წერილს „ბოდიში დლიურაშვილისა“ რომელიც ზემოთ იყო ანახსენები, ახლავს ლექსებიც. მათში დახატულია ტირანის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ფანტასტიკური სურათები. კერძოდ, ნათქვამია, რომ ქურნალმა „მუშა“ ახალი აზრის ნაწარმოებებით ქარხნებს ჩამოუარა და მუშებს შესძახა: „ადექით, რასა გძინავთო“. ქურნალი მოუწოდებს მუშებს, რათა მათ შური იძიონ: ჩვენი გულისთვის ბევრი თავს წირავს, თქვენ კი უმოქმედოდ ხართ და მექარხნისათვის მონურად შრომობთო. ქარხნის მუშებმა უპასუხეს, რომ ოღონდ კი ვინმე წინ გაგვიძღვეს და თავს არც ჩვენ დაეზოგავთო. გამოვიდნენ მუშები საბრძოლველად და მათ მხარში ამოუდგნენ „ახალ თაობის გმირები“. ?-შინდა მთავრობა და სამღვდელეობა:

„წინ მიუძღვიან მუშებსა
გულადი პროპაგანდონი,
ლხინში მუშასთან მოლხინე
და კირშიაცა სანდონი“.

ამრიგად, მუშებს უკვე თავიანთი წინამძღოლები გასჩენიათ — პროპაგანდისტები. სოფლებზეც ჩამოიარესო და „ყველგან ააჯანყეს ერი“, ე. ი. გლეხებიც; შემოუერთებიან. ხმა გავარდა, რომ მუშა ხალხი აჯანყდა და ყველა ჩაგრულმა ბრძოლის ველს მიაშურაო:

„დასცეს თავზარი მთავრობას,
ბრძოლა გამართეს ცხარეა“.

აბობოქრებულმა მუშებმა მიანგრ-მონაგრის ციხე-კოშკები, მთავრობა და მისი დამქაშები სოროებში მიიმალნენ:

„ვერაფერი გაუმაგრდა,
გაბრაზებულ ჩაგრულს ერსა“.

მეფის სასახლეს ალყა შემოარტყეს. გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. ბევრმა მუშამ თავი შესწირა თავისუფლებას, ბრძოლის ველზე დაეცა, ბევრიც დაიჭრა, მაგრამ გამარჯვებას მაინც მიაღწიესო:

„მღვდელი, მთავრობა შეიპყრეს,
სულ ბორკილებით შეპყრესა“.

ჩაგრულები გამარჯვებას დღესასწაულობენ: მიწები მშრომელებს დაუბრუნეს, მმართველობა ჩააბარეს ხალხის ღირსეულ შვილებს, ვინც მუშებისა და გლეხების ერთგულიაო.

ასე ჰქონდათ წარმოდგენილი „მუშის“ პოეტებს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, აქ ბევრი რამ გულუბრყვილო და უტოპიურია, მაგრამ არ შეიძლება არ აგვალეღვოს თავისუფლების ბრძოლით მოპოვების იმ დაუოკებელმა სწრაფვამ, რაც ამ ალალი სტრიქონებიდან გაისმის.

მუშებისა და გლეხების ტანჯულ ცხოვრებას, მათ აუტანელ შრომასა და გაჭირვებას, უკიდურესად მძიმე მდგომარეობას ასახავს სხვა ლექსებიც: ე. მდინარელის „გლეხი“ (1889, № 4), ვ. ჰერეთხეველის „მუშის ტანჯვები“ (1889, № 4) და „ჩვენი ოფლით ვინაძლება“ (1890, № 2), ვ. უბოტელის „მუშა“ (1891, № 2), მ. მეტეხევილის „გლეხის ჩივილი“ (1890, № 4) და სხვ.

მწვავე სატირული კილო აქვს „ნორიელი სლესარის“ (გიგო ბასილაშვილის) ლექსს „სცენა მინისტრის ჰახლის წინ“ (1891, № 1). უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ფორმის პოეტური ნაწარმოები სხვაგან არსად შეგვხვდებოდა (შედგება ორი პარალელური ლექსისაგან: პირველში კითხვებია დასმული, მეორეში კი პასუხებია გაცემული), ამ ორიგინალურ ნაწარმოებში გამათრახებულია მეფის მოხელეები და საერთოდ თვითმპყრობელობა.

ნიშანდობლივია, რომ ისეთ თემებზე დაწერილი ლექსებიც კი, რომელთაც ერთი შეხედვით სოციალურ საკითხებთან უშუალო კავშირი არა აქვთ, მაღალ მოქალაქეობრივ, პროგრესულ იდეებს შეიცავენ. ასეთია, მაგალითად, მ. თელაველის (მიხობოჭორიძის) ლექსი „პ.უ.ე.ი“. ავტორი პოეტს მოუწოდებს, რომ მან გმირობა გამოიჩინოს. საფრთხეს არ შეუშინდეს, ზალხში სიმაართლეს ავრცელებდეს და ზაროტს სდევნიდეს. სიცრუე უნდა მოისპოს და სიკეთე აღდგეს ამქვეყნად — ეს არის მწერლობის დანიშნულებაო. პოეტმა ჩაგრულები უნდა გაამბნოს, ცხოვრების გზა გაუკვალოს, ახალი თაობა აღზარდოსო. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჰქმარიტმა შემოქმედმა ხალხის სიყვარული დაიმსახუროსო:

„მაშინ იქნები საქებრათ
აწყო და მომავალთათვის
და მოსაგონათ დარჩები
პროლეტარისა დასათვის“.

მ. ბოჭორიძე მუშათა კლასის, პროლეტარიატის ინტერესების დაცვას მიიჩნევს პოეტის მოღვაწეობის უმაღლეს და უკეთილშობილეს მიზნად. ეს კონცეფცია, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად განსხვავდება თერგდალეულთა შეხედულებებისაგან პოეზიის დანიშნულებაზე. საქმე ისაა, რომ მ. ბოჭორიძე პოეტისაგან მოითხოვს ეპოსურს ერის გარკვეულ ნაწილს—დაჩაგრულ და ექსპლოატირებულ მშრომელებს და არა მთელ ერს, როგორც ამას მოითხოვდნენ ქართველი სამოციანელები. ხოლო ეს კი იმ დროისათვის უეჭველად ახალ სიტყვას წარმოადგენდა პოეზიის, ლიტერატურის როლის შეფასებაში. ამასთანავე ძნელი არ არის მ. ბოჭორიძის აღნიშნულ შეხედულებებში დავინახოთ ლიტერატურის პარტიულობის იდეის ჩანასახი.

მუშა-პოეტები ხშირად თავიანთ ჟურნალსაც უძღვნიან ლექსებს. ამ მხრივ საყურადღებოა ა. დლიურაშვილის „ლექსი ჟურნალ «მუშას»“ (1889, № 2), რომელშიც ნათქვამია: საიდუმლო ჟურნალი „მუშა“ დაგვებადა და საჭიროა თანამშრომლებმა მას არ უღალატონ, თავიანთ ნაწერებში ახალი თაობის შესაფერი აზრები გამოთქვან მუშებისათვის გასაგები ენით, იქადაგონ თავისუფლების-მოყვარე იდეები, ის, რომ ამქვეყნად მალე დამკვიდრდება ძმობა და ერთობაო. ავტორი ხსნის სიტყვის — კომუნისტობის მნიშვნელობას: „სიტყვა Communus — კომუნისტობა წარმოსდგება ლათინურიდან და ქართულად ნიშნავს ერთიანობას ანუ ერთობას“. საგულისხმოა ისიც, რომ ლათინურად ეს სიტყვა ზუსტად, უშეცდომოდ არის დაწერილი, რაც მოწინავე მუშების ერთგვარ განსწავლულობაზე მეტყველებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არცერთ მათგანს ხეირიანი სასკოლო განათლება არ ჰქონდა მიღებული. ყოველივე ეს თვითგანათლების შედეგი იყო.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კომუნიზმზე და კომუნისტობაზე ავტორს ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. მას ჰგონია, რომ მდიდრებისათვის ქონების წართმევა და ღარიბებისათვის განაწილება, ე. ი. ქონებრივი თანასწორობა-საზოგადოების წევრებს შორის ეს თითქოს კომუნისტური აქტია და იგი საკმარისი იქნება სოციალური პ.ზ.ბ.ლემების გადასაწყვეტად, რაც ცხადია, უტოპიური შეხედულებაა და მეცნიერულ სოციალიზმთან მას საერთო არა აქვს. რა. ავტორს, სამწუხაროდ, წარმოდგენა არა აქვს მთავარზე ამ

საქმეში — წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციის უცილებლობაზე და სხვ.

ქურნალ „მუშისადმი“ არის მიძღვნილი აგრეთვე მ. თელაველის (მიხო ბოქორიძის) „ქურნალ «მუშას»“ და ვ. კერეთხეველის (ვასო ყულიჯანაშვილის) „ქურნალის სადღეგრძელო“ (1890, № 1). პირველ ლექსში ავტორი ქურნალს მოუწოდებს, იქნებ შენ შეძლო, რომ მუშებმა მონობის უღელი გადააგდონ, უნდა ჩააგონო თითოეულ მათგანს, რომ ძალა მათ ხელშია და ძალუბთ მოიშორონ საბელი, რომელიც ყელში უჭერთო. ამ ბოლო დროს შეირყა ძველის, ბოროტის საძირკველი და ქურნალმა „მუშამ“ მას ძირი საბოლოოდ უნდა გამოუთხაროსო. თუმცა ძნელი საქმეაო, მაგრამ

„ქურნალო, შექი შეისხი
და გაგვინათე ბნელია“.

მეორე ლექსში გამოთქმულია სურვილი, რომ ქურნალმა მკვიდრად გაიდგას ფესვები ხალხში და თანამშრომლები არ მოაკლდეს, მასწავალთ მძიმე ტვირთი შეუქმნებულქოს, თავისი კეთილშობილური აზრები უკუწას ძმურად გაუზიაროს. ერთმანეთს მხარი მივცეთ და მუშების დამტანჯველებს სამაგიერო მივეუზღოთო — ასეთია ლექსის დედააზრი.

„მუშისადმი“ მიძღვნილი ლექსებიდან აღსანიშნავია აგრეთვე უ. გემერტელის (სარჩევშია: ე. ქემერტელი) „ქურნალის აღზრდა“ და მ. ალაზნელის „ჩვენა ანხანაგობას“, რომლებიც ქურნალს 1891 წლის პირველ ნომერში არის მოთავსებული.

თბილისის მუშების ამ არალეგალური ხელნაწერი ქურნალის ანალიზმა გვიჩვენა. რომ საქართველოს პროლეტარიატი სულ უფრო ფართოდ ებმებოდა რევოლუციურ ბრძოლაში, მნიშვნელოვნად მალღებოდა მისი კლასობრივი შეგნება, მზადღებოდა ნიადაგი მეცნიერული სოციალიზმის, მარქსიზმის გასაერცელებლად. ქურნალი „მუშა“ ქართველი მუშების თვითმყოფი ქურნალისტური შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშია. მიუხედავად იმისა, რომ მის ავტორთა გამოსვლებში ზოგჯერ განმანათლებლური, უტოპიური და ხალხოსნური იდეების, წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენა შეინიშნება, ძირითადად ისინი სწორი პოზიციებიდან ეხმაურებიან პროლეტარიატის საკიროებებს, უნერგავენ მათ რწმენას მეფის თვითმპყრობელობისა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. „მუშაში“ უფრო მეტად თვალსაჩინოდ, ვიდრე იმ პერიოდის სხვა ანალოგიურ ორგანოებში იგრძნობა კლასობრიობა და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა — მშრომელთა სოციალური განთავისუფლების ერთადერთ გზად შეიარაღებული ბრძოლაა

აღიარებული. ეს კი, ცხადია, უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

დასასრულ, არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს, რომ ეურნალი „მუშა“ არა მარტო მუშა-ლიტერატორების სამკედლო იყო, არამედ გარკვეული თვალსაზრისით სოციალ-დემოკრატიული, ბოლშევიკური პარტიის მრავალი მომავალი მოღვაწის აღზრდის სკოლაც.

8. შურნალი „სხივი“

მუშათა არალეგალური ხელნაწერი ეურნალი „სხივი“ გამოდიოდა 1892 წელს მიხეილ სიმონიძის (სიღამონიძის) ხელმძღვანელობით. იგი იყო მისი რედაქტორიც და გამაწერიც. სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაო ცნობები მოიპოვება ამ ეურნალის შესახებ. სხვადასხვა დროს მას ახსენებდნენ მკვლევარები: რ. კალაძე¹, გრ. გიორგაძე², გ. ბაქრაძე³, ზ. გეგეშიძე⁴, ლ. გორგილაძე⁵ და სხვები. შედარებით ფართო მსჯელობა „სხივის“ შინაარსის შესახებ მოცემულია რ. კალაძისა და გრ. გიორგაძის ნაშრომებში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, მისი სრულყოფილი ანალიზი ჯერჯერობით მაინც არ მოგვეპოვება.

ეურნალი „სხივი“ დაწერილია კარგი კალიგრაფიული ხელით. გამომცემელი მ. სიმონიძე ცდილა, რომ იგი ნაბეჭდი ეურნალისათვის დაემსგავსებინა — ეურნალს აქვს გარეკანი და სატიტულო ფურცელი. დღემდე მოაღწია „სხივის“ ოთხმა ნომერმა, ისინი დაცულია საქართველოს კვ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის—სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ბიბლიოთეკაში⁶.

„სხივის“ თითოეულ ნომერს ასეთი წარწერა ახლავს: „საყოველთვეო ეურნალი გამოცემული მ. სიმონიძისა, 1892 წ., ქ. თბილისი“. ასევე ყოველი ნომრის სატიტულო ფურცელზე ეპიგრაფად მოთავსებულია შემდეგი ოთხსტრიქონიანი ლექსი:

¹ რ. კალაძე. მუშათა ქართულ ეურნალ-გაზეთის ჩანასახი (80-90 წწ.). ეურნ. „რევოლუციის მატთან“. 1923, № 2, გვ. 17-18.

² გრ. გიორგაძე. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. 1928, გვ. 517-520.

³ გ. ბაქრაძე. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1947, გვ. 205.

⁴ ზ. გეგეშიძე. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბები. 1965, გვ. 9.

⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V, 1970, გვ. 730-732.

⁶ ეურნალი ერთსვეტიანია. დაწერილია მელნით. თითოეული ნომერი დაახლოებით 40 გვერდს შეიცავს (ზომა 17 სმ X 21 სმ).

„გამოდვიძეთ, მოძმენო,
გეყოთ ხანგრძლივი ძილია,
იგემეთ ყველამ ის ხილი,
სხივისგან დატკობილია“.
მ[იხეილ] ს[იმონიძე]“

აღსანიშნავია, რომ ამ სტრიქონების ვარიაციები გვხვდება აგრეთვე ჟურნალის სხვა მასალებშიც, სახელდობრ, მოთხრობაში „სხივი“ (1892, №1) და ლექსში „მესტიერის სათხოვარი“ (1892, №3), ამ ნაწარმოებების ავტორია იგივე მ.სიმონიძე, რომელსაც, როგორც ეტყობა, ზემოთ მოყვანილ სტროფში ჩაქსოვილი აზრი თავისი ჟურნალის დევიზად მიაჩნდა.

„სხივი“ გამოდიოდა თბილისის საბაღოსნო სკოლაში (ჟურნალი მას „სამეურნეო სასწავლებელს“ უწოდებს). ჟურნალში მოთავსებულ მასალებში ხშირად გვხვდება გამოთქმები: „ჩვენი სასწავლებელი“, „ჩვენი სასწავლებლის მოზარდი თაობა“ და ა. შ. თვით მიხეილ სიმონიძე, ჟურნალის რედაქტორი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადრე ამ სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი აქვე ერთ ხანს მუშად მუშაობდა. საბაღოსნო სკოლის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ერთი წერილი „წარსული შევირდების მოგონება“, რომლის ავტორია პ. ლატაძე. მასში ნათქვამია:

„ექვსი წელიწადია, რაც თბილისში სამეურნეო სასწავლებელი დაარსდა. ამ სასწავლებელს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში. პირველად როცა მოწაფეები იყვნენ, მაშინ მასწავლებლათ იყო ოსი არდასენოვი და ერთიც დირექტორი ასტაპოვიჩი. ეს ასტაპოვიჩი იყო ფრანგი და ბოლოს მოინათლა რუსის რჯულზე¹. მოწაფეები მასწავლებელთან იდგნენ სარაიაში და დირექტორი გარედან დადიოდა. ეს იმიტომ, რომ შენობას მერე შეუდგნენ აშენებას. დირექტორი იყო ერთობ ძალიან გლახა ხასიათისა. მოწაფეებს ჯერ არ ემუშავათ ბაღში, რომ მისვლისთანავე დაეწყებინებინათ სასწავლებლის საძირკვლის თხრა. საწყალ მოწაფეებს არა ჰქონდათ მოსვენება მთელი დღე და ღამე. სუყოველ დღეს ოფლში იწურებოდნენ ხოლმე. მოწაფეებს ძალიან ეძნელებოდათ, რომ ჯერ ახლები იყვნენ და ვერას ამბობდნენ ვერც მასწავლებლებთან, ვერც მშობლებთან თავიანთ ასეთ წვალებას და ტანჯვას, ჩუმათ კი ბევრჯერ ჰქონდათ მოწაფეებს

1 როგორც ცნობილია, წინათ მართლმადიდებელ საქართველოში საერთოდ ყველა კათოლიკეს, მათი ეროვნების მიუხედავად, ფრანგებს უწოდებდნენ (თვით ქართველ კათოლიკეებსაც). ცხადია, ვ. ასტაპოვიჩის მიმართაც საქმის ვითარება ანალოგიური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. იგი, რა თქმა უნდა, სინამდვილეში არავითარი ფრანგი არ იქნებოდა. უბრალოდ იგი აღბაჟ, კათოლიკე იყო და, როგორც ჩანს, შედეგ მიუღია მართლმადიდებლობა.

ამის შესახებ ბაასი და რჩევა. ერთხელ გაბედეს და მივიდნენ რამდენიმე მოწაფე დირექტორთან სათხოვნელად და უთხრეს, რომ ღრო მოგვეცით დასვენებისაო, მაგრამ ის ყურსაც არ ათხოვებდა ხოლმე იმათ თხოვნას... ამ წვალეებაში იყვნენ მთელი ორი წელიწადი, მანამ შენობას გაათავებდნენ.“¹

ეს წერილი, ჯერ ერთი, მოგვითხრობს იმაზე, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდათ ახალგაზრდა მუშებს ხელობის შესწავლა, და ამასთანავე ადასტურებს, რომ აღნიშნული ჟურნალი წამდვილად თბილისის საბაღოსნო სკოლაში გამოდიოდა, რადგანაც მასში მოხსენიებული ვ. ოსტაპოვიჩი, როგორც ეს საარქივო მასალებით დასტურდება, სწორედ ამ სასწავლებლის დირექტორი იყო 1892 წლამდე. ამ საკითხზე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ აუცილებლობა მოითხოვდა წამდვილად დაგვედგინა „სხივის“ გამოცემის კოორდინატები, რადგან ზოგიერთი ავტორი ჟურნალის გამოსვლის ადგილად სახელოსნო სასწავლებელს ასახელებს², ხოლო ზოგი მას საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდობის ორგანოდ მიიჩნევს³, რაც არასწორია.

თბილისის საბაღოსნო სკოლა გაიხსნა 1886 წელს მუშტილის ბაღის მახლობლად. სწავლება რუსულ ენაზე წარმოებდა და ქართული ენა ცალკე საგნადაც კი არ ისწავლებოდა. თუ თავდაპირველად სკოლაში 32 მოსწავლე ითვლებოდა, 1892 წლისათვის მათი რიცხვი 62-მდე გაიზარდა, თანაც ამათგან უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. სკოლა ძირითადად ამზადებდა მუშა-მებაღეებს.

„სხივის“ პირველი ნომრის სარედაქციო წერილში „წინასიტყვაობაში“, რომელსაც ხელს აწერს „მა-ყვა-ლი“ (გაუშიფრავი ფსიქიკონიმი), ლაპარაკია ჟურნალის დაარსების მიზნებზე და განსაზღვრულია მისი ამოცანები:

„ჟურნალ «სხივის» დაარსება გამოიწვია იმ სამწუხარო მდგომარეობამ, რომელშიც არის ჩავარდნილი ჩვენი სასწავლებლის ქართველი ახალგაზრდობა.

იგი ახალგაზრდობა, რომელზედაც არის დამყარებული ბედობალი თავის სამშობლოსი, რომელზედაც არის დამოკიდებული მთელი მომავალი საქართველოსი, ჩავარდნილია იმ მდგომარეობაში, რომ ვერ შეუძლიან მას შეასრულოს თავისი მოვალეობა და

¹ „სხივი“, 1892, № 2. წერილს მიწერილი აქვს: „შემდეგი იქნება“, მაგრამ გაგრძელება ჟურნალის შემონახულ ნომრებში არ გვხვდება.

² რ. კალაძე. დასახ. შრომა, გვ. 17-18.

³ ფრ. გორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 517-520.

განახორციელოს იმედი თავის სამშობლოსი, ამასთანავე იგი ხდება ბარალად, რომლის შემწეობით მტარვალებს შეუძლიანთ მიახწონ თავიანთს მიზანს. იქნება იკითხოს მკითხველმა, თუ რით აიხსნება ეს? ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ საერთოდ თვით ჩვენის სამშობლოს და, კერძოდ, ჩვენი სასწავლებლის წეს-წყობილებებში, რომელნიც არიან დამყარებულნი ჩვენთა არამოკეთეთაგან. თუ რაში მდგომარეობს საერთოდ ჩვენი სამშობლოს წეს-წყობილება, ამის განმარტვას აქ არ მოუნდები, რადგანაც მას უნდა ეძღვნას საკუთარი სტატია ჩვენს ჟურნალში. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ იგი არის დამყარებული სრულიად სხვა საფუძველზედ, ვინემ მოთხოვს ჩვენი სამშობლოს ისტორიული მიმდინარეობა, მისი ზნე-ჩვეულება და ყოფა-ცხოვრება. იგი არის დამყარებული იმ აზრზედ, რომ სრულიად შესცვალოს ეროვნება და მით უფრო ადვილად დააკმაყოფილოს ჩვენი სამშობლოს არამოკეთეთა კერძო ინტერესები. რასაკვირველია, მკითხველს ეცოდინება, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასწავლებელს ხალხისათვის. სასწავლებელი არის იმისთანა ძალა, რომელსაც შეუძლიან სრულებით გამოსცვალოს რომელიმე ერი, სასწავლებელს შეუძლიან გაანათლოს ერი, მას შეუძლიან მისცეს ერს სულ სხვანაირი ფერი, გამოუცვალოს ხასიათი, შეუძლიან აგრეთვე მისცეს ერს სულ სხვანაირი მიმართულება. იციან რა ჩვენთა არამოკეთეთა, რა ჭარღვია სასწავლებელი ხალხის ორგანიზმში, აძლევენ მას იმნაირ მიმართულებას, რომლითაც უფრო ადვილად შეასრულებენ თავიანთს მიზანს. იგინი აძლევენ მოსწავლეებს ნებას კერძო ინტერესებისადმი მისწრაფებისას, უძლიერებენ ეგოისტურს¹ გრძნობებს, უკლავენ გრძნობას საზოგადო საქმისადმი მისწრაფებისას, უზნობენ კაცურს ღირსებებს და სხვა.

გარდა ამისა იგინი უხსნიან მეცნიერებას სრულებით უცხო ენაზედ, უკრძალავენ სამშობლო ენის შესწავლას და მაზედ განვითარებას...².

ამ ვრცელი ამონაწერიდან ცხადი ხდება, რომ ავტორი იზიარებს თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ კონცეციებს, აკრიტიკებს მეფის მთავრობის რუსიფიკატორულ პოლიტიკას. ის განსაკუთრებით აღაშფოთებს ის, რომ ქართველი ბავშვები მონაწილეები არიან თავის მშობლიურ ენაზე სწავლების საშუალებაში. აქვე ხაზგასმულია იმდროინდელ სასწავლებლებში გამეფებული-

1 ეგოიზმი — თავის თავზე ზრუნვა (სტატიის ავტორის შენიშვნა).

2 საბაღოსნო სკოლაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწავლება რუსულ ენაზე იყო.

ლი ანტიჰუმანური და ანტიდემოკრატიული წესები. წერილში შემდეგ ნათქვამია:

„ჩვენი სასწავლებლის მოზარდი თაობა ჰგრძნობს რა ამ ზემოთ ნათქვამს შემადრწუნებელს კემშარიტებას, იძულებულია დააარსოს ჟურნალი „სხივი“, რომელსაც აქვს აზრად შეძლებისამებრ: აღუძრას ჩვენი სასწავლებლის ქართველ მოზარდ თაობას სურვილი საწმობლოს სიყვარულისა; მისცეს მას სახსარი საწმობლო ენის შესწავლისა; გაუღვიძოს გრძნობა საზოგადო საქმისადმი მისწრაფებისა; დაუახლოვოს ყოველი ქართველი მოსწავლე ერთმანეთს, ჩაუნერგოს მას ძმობა, ერთობა და შეერთებულის ძალით გამოიყვანოს იგი საქვეყნო ასპარეზზედ“.

რა თქმა უნდა, ჟურნალის ამ საპროგრამო მონახაზში ნაკლებად იგრძნობა კლასობრივი სულისკვეთება, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა, მაგრამ „სხივის“ შინაარსის გაცნობა დაგვანახვებს, რომ ამ ჟურნალში წამოჭრილია სოციალური საკითხებიც, თუმცა ისინი უფრო მეტად ხალხოსნური და განმანათლებლური პოზიციებიდან არის გაშუქებული, ვიდრე ეს შეინიშნებოდა მუშათა ზემოთ განხილულ არალეგალურ ხელნაწერ ორგანოებში — „ნაპერწყალსა“ და „მუშაში“.

შემდეგი ნომრის „წინასიტყვაობაშიც“, რომელიც მ. სიმონიძეს ილექსად დაუწერია (1892, №2), აქცენტი გადატანილია სწავლავანათლებლაზე. მასში ნათქვამია, რომ ყოველი კაცი კეთილ საქმეს უნდა ეძებდეს, მოყვარეს ეხმარებოდეს, სწავლასა და ცოდნას ეტანებოდესო. აქვე ავტორი ლაპარაკობს ჟურნალის მიზანდასახულობაზე. იგი აღნიშნავს, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ უნაკლო შეიძლება არ იყოს მასში, მაგრამ მისი მთავარი დამსახურება ისაა, რომ შეუძლია ცოტა რამ მაინც გადასცეს მშრომელებს, ამაღლოს მათი შეგნებაო.

ამრიგად, „სხივის“ მიმართულებას ძირითადად განმანათლებლური, წვრილბურჟუაზიული იდეები განსაზღვრავენ, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს ჟურნალში მოთავსებულ მსატვრულ ნაწარმოებებში.

ამ მხრივ დამახასიათებელია შ. ქართლელის მოთხრობა „ერთობა, როინ“, რომლის ტექსტიც გრძელდება ოთხივე ნომერში.¹ მოთხრობაში დახატულია ლიახვის ხეობისა და გორის სილამაზე. მოქმედება ვითარდება დაბა ტყვიავში, სადაც, ავტორის თქმით,

¹ ბოლო ნომერში (№4) მოთხრობას მიწერილი აქვს: „შემდეგი იქნება“. სამწუხაროდ, „სხივის“ სხვა ნომრები, როგორც უკვე ვთქვით, არ არის შემონახული.

რეაქსამდე კომლი გლუხკაცი, ორი კომლი თავადიშვილი და რამდენიმე კომლი აზნაური ცხოვრობს. ამასთან ავტორი დასძენს, რომ „როგორც უმეტესი ნაწილი თავადიშვილებისა და როგორითაც განთქმულია [მათგან] გლუხების ყვლეფა და ამნაირათ შეძენილი ქონება, ესეთივე თავადიშვილი ცხოვრობს დაბა ტყვიავეში, რომლის ავკაცობაც მოდებულია გორის მახრაშიდ“. ეს თავადი ყოფილა მ. ერ. შვილი. შემდეგ აღწერილია სალამო ხანი ტყვიავეში, თავადის მდიდრული კარ-მიდამო, რომლის კონტრასტად გვევლინება ტყვიავის განაპირას ცალკე მდგარი პატარა სახლი. აქ, ამ სახლში შეკრებილიყვნენ ახალგაზრდა თბილისელები როინ მეცხვარიშვილი, დომენტი შოშიტაშვილი, ქუთაისელი ბახვა წითლიძე და სხვები. მათ გაცხოველებული კამათი ჰქონდათ „რალაც სასარგებლო საქმეზედ“. ყურადღებას იმსახურებს როინის შემდეგი ნათქვამი, რომელშიც სინამდვილეში ჩაქსოვილია ურუნალს მესვეურთა მრწამსი:

„ჩვენ შევყრილვართ იმისათვის, რომ მოვილაპარაკოთ, თუ რა გაკირვებულ მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა ჩაუარდნილი და რით შეიძლება გამოიხსნას თავი ამ გაკირვებისაგან. ჩემის აზრით, ძმანო, იგი იტანჯება იმ დრომდის, ვინემ არ გაახელს იგი თვალებს და არ დაინახავს, თუ რა ქსელშია გაბმული თავის მტრისაგან. თვალის გახელა და საქმის კარგად გასინჯვა შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მიიღებს განათლებას და საკმაოდ გაიხსნის გონებას“.

როგორც ვხედავთ, „სხივის“ ავტორები ხალხონების გავლენას განიცდიან და კლასობრივი ბრძოლის მაგიერ განმანათლებლობას ქადაგებენ. „განათლება და გონების გახსნა, — დაასკვნის როინი, — შეიძლება სწავლით და წერა-კითხვის გავრცელებით“. იქვე იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მთავრობა ხალხს სწავლა-განათლების საშუალებას არ აძლევს და ეს საქმე ჩვენ თვითონ უნდა გავაყეთოთ.

ამ ახალგაზრდებს შეუგროვებით წიგნები და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, დაუარსებიათ „ხელნაწერი ურუნალი «მოწყვეტილი ფოთოლი», რომელშიაც მოთავსებულია უმეტესად ეხლანდელი გლუხის მდგომარეობა და დარიგება, თუ როგორ შეიძლება თავისი სულით დაცემულობა ისევ აღადგინოს.“

შემდეგ როინი ამბობს, რომ ჩვენს ამხანაგობაში უნდა ჩავაბათ ვინმე შეძლებული კაცი, რომ მატერიალური დახმარება გავვიწიოს ჩვენი მიზნების განხორციელებაში. საამისოდ იგი შესაფერისად მიიჩნევს ტყვიავის თავადის ახალგაზრდა ვაჟს, სტუდენტ შამშე ე-შვილს, რომელიც თითქოს სათნო აღამიანია, მაგრამ მამამისი არის გაუმამლარი, მომხვეჭელი და შვილი დამორჩილე-

ბული ჰყავსო. ეს, რა თქმა უნდა, გულუბრყვილო და უტოპიური მსჯელობაა და მოკლებულია კლასობრივ სიმახვილეს.

მომდევნო თავებში მოთხრობილია, რომ შამშეს ღამე ტყეში დათვი დაეცა თავს, იქვე როინი აღმოჩნდება და გადაარჩენს თავადიშვილს. როინმა სახელი არ გაუმხილა და უთხრა მასთან მისულიყო სახლში მეორე დღეს. შამშეც მივიდა მასთან იმ დროს, როცა როინი შეკრებილ ხალხში ქადაგებდა სწავლა-განათლების საჭიროებას.

ამ მოთხრობის იდეური შინაარსი მოკლედ ასე შეიძლება გადმოიციეს: ქალაქელი ინტელიგენტი ხალხოსნური იდეების ზეგავლენით „ხალხში დადის“ და ცდილობს განათლება შეიტანოს სოფლის მცხოვრებლებში.

ავტორი ნიმუშად ასახელებს პოლონეთს და ამბობს, რომ პოლონელები ჩვენზე უფრო დიდი ერია, უფრო განათლებული, მაგრამ ჯერ კიდევ თავისი თავი ვერ დაუხსნიათო. ისინიო, დასძენს ავტორი, თავგადადებულნი ავრცელებენ განათლებას ერში, „რადგანაც დარწმუნებული არიან, რომ განათლებულს ხალხს თავისთავად (sic!) ჩაუვარდება ხელში თავისუფლება“. სანამ საქართველოშიც სწავლა-განათლება არ გაიდგამს ფესვებს და გლეხკაცს არ გავუნათლებთ გონებას, მანამ თავისუფლება ჩვენგან კიდევ შორსააო, დაასკვნის შ. ქართლელი.

დაახლოებით ასეთივე ხასიათისაა საანალიზო მოთხრობაში გამოთქმული სხვა აზრებიც. როგორც ვთქვით, ისინი წმინდა წყლის ხალხოსნური და განმანათლებლურია. ზოგჯერ კი ავტორი აშკარად არასწორ მსჯელობებს გეთავაზობს. განსაკუთრებით სცოდავს იგი, როდესაც სწავლა-განათლებას ყოველისშემძლედ აცხადებს და თანაც მისი გავრცელება მხოლოდ გლეხებში მიაჩნია საჭიროდ, მუშათა კლასის ინტერესები კი მის მიერ ამ მხრივ უგულებელყოფილია.

„სხივის“ ერთ-ერთი ავტორის მცხეთელის ლექსიც „სწავლა“ (1892, №1) არსებითად სარედაქციო წერილის მთავარ იდეას ეხმაურება — მიძღვნილია სწავლის საჭიროებისადმი. ლექსი შეიცავს ასეთ მიწოდებასა და გაფრთხილებას: ვინც ახლანდელ დროში წიგნი იცის, კაციც ის არის, წერა-კითხვის უცოდინარი კი ცხოვრებაში ყრუ და ბეცია, უნდა განათლებას დავეწაფოთ, რომ მტრებმა არ დაგვძლიონო.

მშრომელების მიერ სწავლა-განათლების შექმნის დიდ მნიშვნელობას ეხება აგრეთვე მ.სიმონიძის ლექსები „სწავლული კაცის თხოვნა“ (1892, №2), „მამულიშვილებს“ (1892, №2) და სხვა ნაწარმოებები.

პატარა მოთხრობა „სხივი“ (ავტორი მიხეილ სიმონიძე)¹, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ჟურნალის დევიზად გამხდარი ერთსტროფიანი ლექსი: „გამოიღვიძეთ, მოძმენო...“, როგორც თავისი მხატვრულობით, ისე იდეური თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესოა ჟურნალში. მასში აღწერილია სინათლის ბრძოლა სიბნელესთან და უნდა ითქვას, რომ ეს თემა ავტორს სოციალურ ელერადობამდე აქვს აყვანილი. სიბნელე მბრძანებლობს ირგვლივ, ქვეყანა ღრმა ძილს მისცემია და, აი, დაინახა ალიონმა ჩაძინებული ქვეყანა, მასზე გაბატონებული სიბნელე, კიდევ უფრო მომატებულად შეანათა მას თავისი ბრჭყვიალა თვალები და შესძახა: „შენ, ჰეი, ბოროტების მეფე! გაგივიდა ყველი მბრძანებლობისა. გირჩევნია შენის ნებით ანებო თავი ქვეყანაზედ ბატონობას“, თორემ მალე ამობრწყინდება შუე, რომელიც „გაგაქრობს შენ და სრულიად აღმოგვხერის ქვეყნის პირისაგან“.

სიბნელე შეკრთა, შიშის ჟრუანტელმა დაუარა. სიბნელე რომ იმდროინდელი დესპოტური, რეაქციული ხელისუფლების სიმბოლოა, ეს კარგად ჩანს მის ასეთ დახასიათებაში: სიბნელემ „მთელი ქვეყანა თავის ყმად გაიხადა... მოაჯადოვა და ჩააგდო ღრმა ძილში... გზას უხსნიდა და ნებას აძლევდა ყოველს სიაყვაცეს და ბოროტებას“. მოთხრობა მთავრდება სიბნელეზე სინათლის გამარჯვების აპოთეოზით.

როგორც ვხედავთ, ამ ნაწარმოებში ავტორმა მხატვრული ხერხებით გამოხატა სოციალური შინაარსის იდეა. იგი მიზნად ისახავს გამოაფხიზლოს თვითმპყრობელობის სიბნელით მოცული ქვეყანა, მშრომელებს თვალები აუხილოს და უჩვენოს გაბატონებული კლასების ძალმომრეობა, ჩაუხერგოს მათ რწმენა, რომ გარდუვალია ყველა ჭურის მჩაგვრელებს, უსამართლო საზოგადოებრივი წყობილების მოსპობა.

უნდა შევჩერდეთ აგრეთვე მიხეილ სიმონიძის ლექსზე „ახალი თაობა“ (1892, №1), რომელშიც ავტორი ახალი თაობის იდეალებზე ლაპარაკობს, რომ მისი წარმომადგენლები პატრიოტულად არიან განწყობილი, უარყოფენ ცხოვრების ყოველგვარ სიმანჩინჯეს და მათი სანუკვარი ოცნებაა სოციალისტები გახდნენ.

მართალია მ. სიმონიძე ერთმანეთში ურევს „პატრიოტობისა“ და „სოციალისტობის“ ცნებებს, გამოკვეთილი არა აქვს კლასობრივი პოზიცია, მაგრამ ლექსი იმით არის საინტერესო, რომ გვიჩვენებს „ახალი თაობის“ გამოჩენას საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. მ. სიმონიძე ჭერ კიდევ კარგად ვერ ერკვევა, თუ რა

¹ „სხივი“, 1892, № 1.

იდეურ პოზიციებზე დგას ეს „ახალი თაობა“, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამის შესახებ, მაგრამ ერთი რამ ნიშანდობლივია: ავტორი ინტუიციით გრძნობს, რომ მომავალი ამ თაობას ეკუთვნის, რომ, ვისაც თავისუფლების მოპოვება სურს, მას უნდა დაუგდონ ყური და მის კვალს გაჰყვნენ. უეჭველია, რომ „ახალ თაობაში“ აქ იგულისხმება ის რევოლუციური ახალგაზრდობა, რომელიც ის-ის იყო მუშებს შორის ფართოდ იწყებდა მარქსიზმის, მეცნიერული სოციალიზმის პროპაგანდას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორი ჭერ კიდევ კარგად არ არის გარკვეული მის საქმიანობაში.

„სსივში“ მოთავსებულია მუშის და გლეხის ცხოვრების მძიმე პირობების ამსახველი მრავალი მხატვრული ნაწარმოები. ასე, მაგალითად, „ბეროს მოთხრობაში“, რომლის ავტორია მ. ხიდისთაველი (მიხეილ სიმონიძე)¹, აღწერილია ბერო ახალბედაშივისა და მისი ცოლის, მელანიას, გაჭირვებული მდგომარეობა. ისინი ერთ პატარა ოთახში ცხოვრობენ რვა შვილთან ერთად. ბერო დაავადდება და ლოგინად ჩავარდება. ოჯახს მელანია იხსნავს. ბავშვები მშივრები და შიშველ-ტიტველნი არიან. ერთი სიტყვით, მოთხრობაში მშრომელი ხალხის საშინელი სიღატაკეა დახატული. სამწუხაროდ, ნაწარმოებში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა გამოსავალი უნდა ნახონ ამ უნუგეშო მდგომარეობიდან მშრომელებმა. ანალოგიურ თემაზეა დაწერილი ლექსები: მ. მცხეთელის „პატარა გლეხის ჩივილი“, ვ. სვანელის „ობოლი“ (1892, №3) და სხვები.

არსებული წყობილებისადმი მძაფრი პროტესტით გამოირჩევა მ. სიმონიძის ლექსი „ჩემი თხოვნა“ (1892, №3). მასში ავტორი ამბობს, რომ ბოლმით მევესებაო გული, რადგან ყველაფერი წაგვართვის, რაც კი გვებადა, რაც ძველი, პაპისეული იყო, სახლის კარი გამოგვიკეტეს მტრებმა და ლამპარი ჩაგვიქრესო. აღმფოთებულნი პოეტი თანამოძმეთ მოუწოდებს:

„ყოველი კაცი არის მერყველი,
სხვას ნუ ემონვით როგორც ცხოველი,
მტარვალებსა თქვენ არვინ ემონოთ,
დაპკარით იმათ ყველასა ხელი“.

გ. აბვისელის „დედის დარიგებაში“ (1892, № 3) დედა ავალებს შვილს, რომ იყოს საშობლოს ერთგული, წინ გაუძღვეს მშრომელ ხალხს, ობლებსა და გაჭირვებულებს გზა გაუკვალოს და მჩაგვრელს მძლავრი ხელით გულში ლახვარი ჩასცეს. იგი გულმხურვალედ მოუწოდებს მას:

¹„სსივი“, 1892, №1. მოთხრობის ბოლოს მიწერილია: „შემდეგი იქნება“, მაგრამ მისი გაგრძელება სხვა ნომრებში არ გვხვდება.

„მუდამ არჩევდეს სამართალს,
შველოდეს ჩაგრულ მუშებსა“

მაშინო, დასძინს დედა, მადლიერი ქვეყანა, მერწმუნე, არ დაგი-
ვიწყებსო.

მ. სიმონიძის ლექსი „მოდის მიმდევარნი და უდიარნი“ (1892, № 1) მდიდრების წინააღმდეგ არის მიმართული. ის აზრი, რომ მშრომელი ხალხის ექსპლოატაციით გასუჭებული და განებვირებული მჩაგვრელები მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობენ და არ იბრალებენ „ოფლით ნაქეჯს და ტანჯულს“ ადამიანებს, მთელ ლექსს წითელ ზოლად გასდევს.

„სხივის“ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პატრიოტულ ლირიკას, საიდანაც ცალკე აღნიშვნის ღირსია მ. სიმონიძის ლექსი „გლეხის შვილს“ (1892, № 3). ავტორი მიმართავს მას, რომ გამოიღვიძოს, თავი მალა ასწიოს, სამშობლოს მიხედოს და მეგობარს ნუგეში სცეს. კარგად უნდა გახსოვდესო სამშობლოს წარსული, ქართველების ვაჟკაცობა, ფეხზე დადექ, მტერს ხმალი ჰკარ და შემუსრეო. სამწუხაროდ, ავტორი აქ არაფერს ამბობს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ასევე პატრიოტულ მოტივზე დაწერილი ლექსებია: პ. ლატაძის „ქართველებს“ (1892, № 3), უცნობი ავტორის „ხევსურული სიმღერა“ (1892, № 3), მ. სიმონიძის „მესტიერის სათხოვაჟი“ (1892, № 4) და სხვები.

ხელნაწერი ჟურნალი „სხივიც“ არ დალატობს თავის თანამომეტა ტრადიციებს და ცენზურის მიერ ქართველ მწერალთა აკრძალულ ნაწარმოებებს ისიც ათავსებს, კერძოდ, ჟურნალის მე-4 ნომერში გვხვდება აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსი „ხანჯალს“. მასში ლექსის ავტორი არ არის დასახელებული. საინტერესოა, რომ მ. სიმონიძეს იგი დაუსურათებია კიდევ: დაუხატავს ახალგაზრდა ვაჟი, რომელსაც წელზე ქარქაში ჰკიდია, ხოლო მარჯვენა ხელში გაშიშვლებული ხანჯალი უჭირავს. ნახატი სიმბოლურად გამოხატავს ნაწარმოების დედაზრს.

როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელმა ეს ლექსი დაახლოებით 1882 წელს დაწერა და პირველად მხოლოდ 1905 წელს დიბეკდა „ივერიამში“. ე. ი. „სხივიც“ პოეტის ეს ნაწარმოები საზოგადოებას 13 წლით ადრე გააცნო. გ. აბზიანიძე ამ ლექსის დასათარიღებლად იმოწმებს ქუთაისის მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალს „სალამურს“ და შენიშნავს, რომ „ხელნაწერი ჟურნალი 1886 წლისად ითვლება.“ შემდეგ კი მოჰყავს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ აკაკის „ხანჯალს“ დაბეჭდვამდეც ძლიერ გავრცელებული ყოფილა ხალხში¹. დ. მესხის მოგონებიდან იქვე მოყვანილია ერთი

ა. წ ე რ თ ე ლ ი. თხზულებათა სრული კრებული. 1950, ტ. 5, გვ. 467-469.

ადგილი, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ გაზეთ „დროების“ დახურვის გამო პროტესტის ნიშნად რედაქციის მუშაეებს ეს აკრძალული ლექსი ფარულად დაუბეჭდავთ ცალკე ფურცლებზე და მთელ ქალაქში მოუფენიათო. ლექსისათვის საგანგებოდ მიუწერიათ საძულველი ცენზორის ლუკა ისარლოვის გვარი¹. ამ ნაწარმოების პოპულარიზაციას, როგორც ვხედავთ, ხელს უწყობდნენ არალეგალური ხელნაწერი ქურნალებიც „სალამური“ და „სხივი“.

დაბეჭდილთან შედარებით „სხივში“ მოთავსებული ლექსი მცირეოდენ ვარიანტულ სხვაობას იძლევა.

„სხივში“ ფოლკლორული ხასიათის ნაწარმოებებიც გვხვდება, მაგალითად: „ხალხური ზღაპარი“ (1892, № 2), „მელა და მეწისქვილე“ (იქვე) და სხვები. ქურნალის ფურცლებზე მოუთავსებიათ იგავ-არაკებიც: „თხა და მელა“ (1892, № 2), „ჩიტი და ჭიანჭველა“ (1892, № 3); ცალკე უნდა აღვნიშნოთ „მელა-რეინიოკე“ შალიკოსი (ზოგჯერ ხელს აწერს ასეც: შ. შიოდაშვილი), რომლის ტექსტიც ქურნალის პირველ ნომერში იწყება და მეოთხეში მთავრდება. ჩვენი აზრით, მის პირველწყაროს უეჭველად გოეთეს ცნობილი პოემა „მელა-რაინეკე“ („Reineke Fuchs“) წარმოადგენს, რომელიც პოეტმა 1794 წელს დაწერა. ეს ნაწარმოები რუსულადაც იყო თარგმნილი და სავარაუდოა, რომ „სხივში“ მოთავსებულ ზღაპარს იგი დაედო საფუძვლად.

დასაძრულ, უნდა აღვნიშნოს, რომ „სხივში“ თავსდება აგრეთვე სხვადასხვა რჩევა-დარიგებანი ჯამბლოსო სკოლის მოსწავლეთა დასახმარებლად. მათ შორის საყურადღებოა გ. თორელის „ვაზის მოშენება“ (1892, № 2) და მისივე „წყობილება ვაზისა“ (იქვე, ორივე მასალა საქმის ცოდნით არის დაწერილი და იმაზე მეტყველებს, რომ ავტორი კარგად ერკვევა ვაზის აგროტექნიკაში.

ქურნალში თანამშრომლობდნენ: მ. სიმონიძე (მ. ხიდისთაველი, მ. მეტეხელი), ვ. ცაბაძე (ვ. უჩინარიძე), პ. ლატაძე, აგრეთვე სხვა ავტორები, რომელთა ფსევდონიმები ჭერჭერობით ვერ გავშიფრეთ. ესენია: კ. ხელთუბნელი, ს. შალიკო (იგივე შ. შიოდაშვილი), შ. ქართლელი, მცხეთელი, გ. თერელი, ა. ათაია, ბელურა, პ. ბახველი, გ. აბვისელი, კ. ხვითელი, სარაძე.

ასეთია მიხეილ სიმონიძის არალეგალურ ხელნაწერ ქურნალ „სხივის“ შინაარსი. როგორც ზემოთ ვთქვი, ეს ქურნალი ძირითადად განმანათლებლური, ხალხოსნური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით საზრდობს. ამასთანავე მასში არცთუ მცირე ადგილი აქვს დათმობილი სოციალურ მოტივებს, თუმცა ამ

¹ დ. მ. ე. ს. ხ. ო. მოგონებები. 1940, გვ. 93.

თემატიკისადმი მიძღვნილ მასალებში წვრილბურჟუაზიული შეხედულებები ქარბობს.

4. მუშათა ხელნაწერი შურნალები „განთიადი“ და „სინათლე“

მუშათა ამ ორი ხელნაწერი ჟურნალის დედნები ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი. ადრე ორივე მათგანის ეგზემპლარები რევოლუციის მუზეუმში იყო დაცული, როგორც ეს აღნიშნული აქვთ ფ. მახარაძეს¹, ს. ხუნდაძეს², გრ. გიორგაძეს³, ვინმე „გ“-სა⁴ და სხვებს. მას შემდეგ, რაც რევოლუციის მუზეუმი დაიხურა, მიწი ფონდების ნაწილი საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივს გადაეცა, ნაწილი კი საქართველოს კვ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს. სამწუხაროდ, ვერც ერთში და ვერც მეორეში ამ ჟურნალების კვალს ვერ მივაგენით.

დღესდღეობით ერთადერთ წყაროს, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ აღნიშნული ჟურნალების შინაარსის შესახებ, წარმოადგენს მათი აღწერილობა, რაც მოცემული აქვთ გრ. გიორგაძეს⁵ და რ. კალაძეს⁶.

„განთიადი“. იგი გამოდიოდა თბილისის სახელოსნო სკოლაში მიხეილ სიმონიძის „რედაქტორობით და გამომცემლობით“ 1891 წელს. რევოლუციის მუზეუმში დაცული ყოფილა 5 ნომერი (მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისისა). ჟურნალს დევიზად ჰქონია მ. სიმონიძის ერთსტროფიანი ლექსი:

„გამოიღიძეთ, არს განთიადი,
მზეც აღმობრწყინდა ცხოველ-ღიადი,

¹ ფ. მახარაძე. თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა. თბ., 1925, გვ. 10-11; შტრ. ჟურნ. „რევოლუციის მატთან“, 1925, №1(11), გვ. 11.

² ს. ხუნდაძე. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. თბ., 1927, ტ. 2, გვ. 114-115.

³ გრ. გიორგაძე. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. თბ., 1928, გვ. 512.

⁴ საქართველოს რევოლუციის მუზეუმი ამიერკავკასიის ბეკდუთი სიტყვის ჯამოფენაზე. ჟურნ. „რევოლუციის მატთან“, 1923, №5, გვ. 372.

⁵ გრ. გიორგაძე. დამახ. წიგნი, გვ. 512-517 და 526-529.

⁶ რ. კალაძე. მუშათა ქართულ ჟურნალ-გაზეთის ჩანასახი (90-80 წწ.). ჟურნ. „რევოლუციის მატთან“, 1923, № 2, გვ. 14-17.

თქვენც მოიშორეთ თავიდან ძილი,
ბნელით მოცული შავი წყვილიაი“¹.

მოწინავე წერილის ადგილას მოუთავსებიათ ლექსი „განთიადის“ სათხოვარი“, რომელშიც ლაპარაკი ყოფილა მაშინდელი ახალგაზრდობის დაუცხრომელ სწრაფვაზე სწავლა-განათლების შეძენისადმი, აგრეთვე იმაზე, რომ მუშებმა უკვე გამოლვიძება დაიწყეს, შექმნეს თავიანთი ორგანო „მუშა“² და ჩვენც მათ უნდა მივბაძოთო.

ეურნალში მოთავსებული ყოფილა მასალები გლეხკაცის გაჭირვებაზე, მის ექსპლოატაციაზე, მდიდრების გახცხრომით ცხოვრებაზე. ერთ-ერთ ლექსში მ. ხიდისთაველს (მიხეილ სიმონიძეს) აღწერილი ჰქონია უქნარა მდიდრების ფუფუნებით ცხოვრება. აეტორი წყევლა-კრულვას უთვლიდა მათ:

„ეცხლიც ედინოთ იმათ შვილებსა,
ჩენის ოფლითა გამაძღარებსა“³.

იმავე მ. სიმონიძის მეორე ლექსშიც სოციალური უსამართლობის საკითხი გარკვევით და ნათლად ყოფილა დაყენებული. გავეცნოთ ამ ლექსის ნაწყვეტს:

„ერთი ქეიფობს, ასი — კი
შიშნულითა არის მკვდარი,
კაცი დაებერდი ტანჯვაში,
ეს ვერ გავიგე რა არი?!“⁴

გრ. გიორგაძეს თავის წიგნში მოჰყავს აგრეთვე ადგილები ვ. ყებიტელის⁵ ერთი ლექსიდან, რომელშიც აღწერილია გლეხის უნუგეშო მდგომარეობა, მისი მძიმე შრომა და გაჭირვებული ცხოვრება, ის, რომ პარაზიტული კლასების წარმომადგენლები მას როგორ ცარცვავენ და უმოწყალოდ ჩაგრავენ⁶. მკვლევარი იქვე სავსებით სწორად შენიშნავს, რომ „განთიადს“ კავშირი ჰქონდა დამყარებული „მუშის“ თანამშრომლებთან, რომლებიც ხშირად ამ უკანასკნელშიც ათავსებდნენ თავიანთ მასალებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი

¹ „განთიადი“, 1891, მარტის ნომერი (გრ. გიორგაძის დასახ. წიგნი, გვ. 512).

² არალეგალური ხელნაწერი ეურნალი „მუშა“ ამ დროს გამოდიოდა.

³ „განთიადი“, 1891, მარტის ნომერი (ი. ხ. გრ. გიორგაძის დასახ. წიგნი, გვ. 514). უნდა ითქვას, რომ „სხივიც“ გვხვდება ამ ლექსის სხვა ვარიანტი.

⁴ იქვე.

⁵ ვ. ყებიტელი (ყებოტელი), როგორც ზემოთ ვნახეთ, „მუშაშიც“ თანამშრომლობდა.

⁶ გრ. გიორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 514-515

ავტორი თავისი წერილის ერთ ნაწილს „მუშაში“ აქვეყნებდა, გაგრძელებას კი — „განთიადში“. საგულისხმოა, რომ ზ. ახალსოფლელი (ზაქარია ჭიჭინაძე) „განთიადის“ ნომრებში მოთავსებული წერილების სერიას „მუშა ხალხი“ ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ამის პირველი წერილი შეგიძლიათ წაიკითხოთ «მუშაში»“¹. ჩვენ ზევითაც გვეკონდა ამაზე საუბარი, როდესაც „მუშის“ პუბლიცისტიკას განვიხილავდით). უნდა აღვნიშნოთ, რომ „განთიადში“ მოთავსებული ყოფილა ორი ლექსი, რომლებიც „მუშაშიც“ გვხვდება. ეს არის ზ. ახალსოფლელის (ზაქარია ჭიჭინაძის) „ლექსი“ („დრო იცვლება და მასთან მისი ერი“) და მ. თ.-ის (მოსე თოიძის) „თავს მოუარეთ განვითარებით“. აქვე დავძენთ, რომ ზ. ჭიჭინაძეს, რომელსაც „მუშაში“ თავისი ეს ლექსი ხელმოუწერლად მოუთავსებია, „განთიადში“ ფსევდონიმი მოუწერია.

ასეთია ის ცნობები, რაც ლიტერატურაში მოიპოვება მუშათა ხელნაწერი ჟურნალის „განთიადის“ შესახებ.

„სინათლე“. გრ. გიორგაძის ცნობით, იგი გამოდიოდა 1899 წელს თბილისში და ეკუთვნოდა „მეჩქემთა ამხანაგობას“. მის ნომრებს ყდაზე ასეთი წარწერები ჰქონია: „მეჩქემთა ჟურნალი“ და „საამხანაგო თვიური ჟურნალი“. გადამწერი მ. სიმონიძე ყოფილა, ხოლო რედაქტორი — ვილაც „მწყემსი“². სახსრები ჟურნალის გამოსაშვებად გროვდებოდა ამხანაგობის წევრთა შორის — თითოეული მათგანი საამისოდ ყოველთვიურად 10 კაპიკს იხდიდა. ეს ამხანაგობა, ეტყობა, საკმაოდ ორგანიზებულ ჯგუფს წარმოადგენდა, სისტემატურად, თვეში ერთხელ, იმართებოდა კრებები, უშვებდნენ თავის ჟურნალს და სხვ.

„სინათლის“ შესახებ შემონახული ცნობებიდან ვიტყობთ, რომ იმ პერიოდში სხვა ხელნაწერი არალეგალური ჟურნალებიც არსებობდა. გრ. გიორგაძის თქმით, „სინათლეში“ მოთავსებულ ერთ-ერთ წერილში ჩამოთვლილია როგორც ძველი, ისე ახალი ხელნაწერი ორგანოები და გაკრიტიკებულია ისინი, კერძოდ, მათი მიმართულება. წერილის ავტორს მკაცრი მსჯავრი დაუდვია მათთვის: „გადაათვალიერეთ შემდეგი გამოცემანი: «ზარი», «კოკორი», «განთიადი». «თარი», «სხივი» და დარწმუნდებით, ჩემო მკითხველო, რომ მათში არარაობის მეტი არა იყო რა“³.

¹ „განთიადი“ 1891, აპრილის ნომერი (იხ. გრ. გიორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 515.).

² იგი, სხვათა შორის, „სხივიც“ თანამშრომლობდა.

³ „სინათლე“, 1899, მკათათვის (ივლისის) ნომერი (იხ. გრ. გიორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 526).

ქურნალს ეპიგრაფად ლექსი ჰქონია წამძღვარებულის, რომელ-
შიც განმარტებულია ამ ორგანოს სახელწოდების მნიშვნელობა:

„სანთელი მისთვის ჩამოგქნეს,
რომ ბნელი ფანტო, ანათო...“

ყველგან მოჰფინე სხივები,
სადაც კი მიგიწვდებოდეს,
რომ შენის სხივით ჩაგრულნი
თვალებს ახელდეს, დგებოდეს“¹.

ქურნალის მოწინავეში, რომლის სათაური ყოფილა „წესი“, რედაქცია თურმე მკითხველებს აუწყებდა თავის პროგრამას: „სინათლეში“ მოთაველებათ „მოთხრობები მუშათა ცხოვრებიდან ნათარგმნიცა და ორიგინალიც... ისტორიული წერილები, თუ ესენი შეეხება მოქალაქეობრივ ბრძოლას, რევოლუციას“² (ხაზგასმულია ჩვენ მიერ — შ. გ.) და სხვა.

მოწინავეში შემდეგ უფრო დაზუსტებული ყოფილა ქურნალის წინაშე მდგომი ამოცანები: „ჩვენ გვსურს გავეცნოთ ერთმანეთს და ძასთან ერთად ჩვენს თანამედროვე ცხოვრების პირობებსაც, ამით გვსურს უფრო დავუახლოვოთ ჩვენს ახალგაზრდა ხელოვნების³ (sic!) ცოდნა-მიმართულებას... განა ჩვენ უდიდეს და მიუტევებელ ცოდვათ არ უნდა ჩაგვეთვალოს, ერთი მუჟა კავკასიის მუშების [უმოქმედობა] შედარებით უცხო ქვეყნის მუშებთან, როდესაც ისინი ასი ათასობით იბრძვიან წინააღმდეგ თავიანთ სისხლისმწოველ კაპიტალისტებისა და ჩვენში კი ერთი-მეორის გაუტანლობისა და ღალატის მეტი კი არა არსებობდეს?.. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს მუშები ვართ და მხოლოდ მუშებსავე შეგვიძლია გამოვიხსნათ ჩვენი მოძმე საშინელ სიღატაკისაგან და პირდაღებულ სიმშობისაგან... ძმობა, ერთობა არის ძალა და განცალკევება კი — სისუსტე“⁴.

ეს მოწოდება, რომ კავკასიის მუშებმა თავი უცხოელ თანამოძმეთა მიბაძვით იბრძოლონ კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგო, მკაფიოდ მეტყველებს იმაზე, რომ იმ დროს ჩვენს მუშებში თანდათან იღვიძებს კლასობრივი თვითშეგნება მათ შორის მარქსიზმისა და მეცნიერული სოციალიზმის იდეების გავრცელების

¹ გ. რ. გიორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 528.

² „სინათლე“, 1899, მკათათვის (ივლისის) ნომერი (იხ. გ. რ. გიორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 527).

³ თუ ხელოსნები? (შ. გ.).

⁴ „სინათლე“, 1899, მკათათვის (ივლისის) ნომერი, გვ. 2-3. (იხ. გ. რ. გიორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 527).

კეთილისმყოფელი გავლენის შედეგად. ამასთანავე, უთუოდ საყუ-
რადღებოა ის ფაქტი, რომ წერილის ავტორი მოწოდებით მიმარ-
თავს არა მარტო ქართველ მუშებს, არამედ მთელი კავკასიის მუ-
შებსაც. მას უკვე კარგად ესმის, რომ წარმატება კაპიტალიზმის
ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიიღწევა ყველა ეროვნების
მუშების გაერთიანებული ძალებით, რომ მშრომელთა სოციალუ-
რი განთავისუფლება — ეს ინტერნაციონალური აქციაა. როგორც
ვხედავთ, „სინათლე“ აგრძელებს „ნაპერწყლისა“ და „მუშის“
პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ხაზს, რაასაც, ცხადია, უდი-
დესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მუშათა არალეგალური
ხელნაწერი პრესის საქმიანობისათვის, არამედ აგრეთვე საერთოდ
მუშათა მოძრაობისათვისაც საქართველოში.

ეურნალს ძირითადად მუშათა მდგომარეობა აინტერესებდა
და უმთავრესად ამ თემებზე წერდა, როგორც ამას მოწმობს ის.
რომ მასში მოთავსებული ყოფილა წერილები: „წუმწუმის ქარხანა
და შიგ მომუშავე მუშების ყოფნა-მდგომარეობა“¹, „თამბაქოს
ფაბრიკის გამგებელნი და მუშები“², „მუშების გაფიცვა ინგლის-
ში“³ და სხვ. „სინათლე“ თავრა მკითხველებს თურმე სხვადასხვა
ქვეყნის შესახებ სტატისტიკურ ცნობებსაც აწვდიდა, მაგალითად,
„ამერიკაში ქალების მდგომარეობის შესახებ“⁴ და ა. შ.

გრ. გიორგაძე, რომელსაც ხელთ ჰქონია ეურნალ „სინათლის“
ნომრები, გამოთქვამს აზრს, რომ „სინათლე“ „მესამედასელთა“ გავ-
ლენითა და უშუალო ხელმძღვანელობით იცემოდაო. მას მოჰყავს
შემდეგი საინტერესო ამონაწერი მ. სიმონიძის ერთი ესკიზიდან,
რომელშიც აღწერილი ყოფილა განთიადის მოახლოება, სიბნელის
დამარცხება და სინათლის, მზის გამარჯვება: „თუმცა სიბნელისა-
გან მოჯადოებული ქვეყანა ღრმა და გამოურკვეველ შიშში იყო და
ვერა ფხიზლობდა, მაგრამ 1892 წელს იგრძნო რაღაც მომასურეი-
ლებელი ნექტარი, სიცოცხლის ძალა და გაახელინა მზემ ძალით და-
სიებული თვალები მომძინარე ქვეყანას“⁵. გრ. გიორგაძე გამოთქ-
ვამს ვარაუდს, რომ „ავტორს მხედველობაში აქვს 1892 წელს
ზესტაფონში მომხდარი „მესამედასელთა“ პირველი კრება, რო-

¹ „სინათლე“, 1899, მკათათვის (იელისის) ნომერი, გვ. 7 (იხ. გრ. გიორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 527).

² „სინათლე“, 1899, თიბათვის (იენისის) ნომერი, გვ. 7 (იხ. გრ. გიორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 527).

³ იქვე, გვ. 25 (იხ. გრ. გიორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 527).

⁴ „სინათლე“, 1899, მკათათვის (იელისის) ნომერი, გვ. 25 (იხ. გრ. გიორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 528).

⁵ გრ. გიორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 528.

მელსაც ის აკუთვნებს დიდ მნიშვნელობას და ხალხის გამოღვიძების ხანის დასაწყისად აღიარებს¹.

გრ. გიორგაძე შემდეგ წერს, რომ „საქართველოს სარევოლუციო მუზეუმში შენახულია ამ ჟურნალის მხოლოდ სამი ნომერი: მკათათვის, თიბათვის და ენკენისთვის. როგორც სხვა ხელნაწერ ჟურნალებში, ისე ამ ჟურნალშიაც ალაგ-ალაგ მოთავსებულია სურათები: ბავშვები, რომლებიც წიგნებს ჰკითხულობენ, სწავლას ესწრაფებიან, გლეხი, მუშა და სხვა“².

ჟურნალის თანამშრომლებად მოხსენიებული არიან: მ. სიმონიძე, ა. დღიურაშვილი (ა. თქუაშვილი), ვ. უჩინარიძე (ვ. ცაბაძე)³, ტებილ-მწარიაშვილი, ისარი, სიმართლის მოყვარე, ემიგრანტი და ლასალიძე⁴.

ჩვენ დავიმოწმეთ ყველა ის ცნობა, რაც ლიტერატურაში გვხვდება მუშათა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალების „განთიადისა“ და „სინათლის“ შესახებ. რაკი ამ ჟურნალების არც ერთი ნომერი დღემდე აღმოჩენილი არ არის, იძულებული ვართ ჭერჯერობით ამით დავკმაყოფილდეთ.

5. ივანე სულხანიშვილის მუხრანლი „განთიადი“

იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულია თბილისის მუშათა კიდევ ერთი საინტერესო ხელნაწერი ჟურნალი „განთიადი“, რომლის „რედაქტორი და გამომცემელი“ იყო ივანე სულხანიშვილი⁵. შემონახულია სამი ნომერი: 1893 წლისა № 1 (სექტემბერი), №2 (ოქტომბერი) და 1894 წლისა №3 (თვე არ არის აღნიშნული). „განთიადის“ ქვესათაურია: „სალიტერატურო და საამხანაგო ყოველთვიური ჟურნალი“.

როგორც ი. გრიშაშვილის ჩანაწერებიდან ირკვევა, ი. სულხანიშვილი ასოთამწყობი ყოფილა, მუშაობდა ე. სულაძისა და ა. კალანდაძის სტამბებში. დაბადების წელი ვერ დავადგინეთ. გარდაცვლილა 1917 წელს. ი. სულხანიშვილი თხზავდა ლექსებსაც. თავის ნაწარმოებებს ხელს აწერდა ასე: „ვანო სულ-შვილი“. ი. გრი-

¹ გრ. გიორგაძე. დასახ. წიგნი, გვ. 528.

² იქვე.

³ სამივე აქტიურად მონაწილეობდა მუშათა სხვა არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებშიც.

⁴ ჩვენი ვარაუდით, ნაწარმოები უნდა იყოს გვარიდან ლასალი, რათა ავტორს აღენიშნა თავისი ლასალიანობა.

⁵ იხ. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ხელნაწერების ფონდი, საინვენტარო წიგნი 11, განყოფილება 1, №2436.

შაშვილის თქმით, ი. სულხანიშვილის ნაწერები იბეჭდებოდა „იანქოს“¹ ფსევდონიმითაც.

ი. სულხანიშვილი 900-იან წლებში აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით 1901 წლის აგვისტოში „მთაწმინდაზე სტამბის მუშების — გ. მაისურაძისა და ი. სულხანიშვილის ბინებში ჩატარდა თბილისის სტამბების მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეების წევრთა არალეგალური კრებები. პროპაგანდისტები მუშებს უკითხავდნენ რევოლუციურ ლიტერატურას, აცნობდნენ საზღვარგარეთის მუშათა მდგომარეობას“².

რა საკითხებზე იყო მსჯელობა „განთიადის“ ფურცლებზე? ამის გასარკვევად პირველ რიგში საჭირო იქნება განვიხილოთ ის ხელმოწერილი (სარედაქციო) თუ ხელმოწერილი მასალები, რომლებიც ჟურნალის საქმიანობას, მის პროგრამას ეხება.

დავიწყოთ „განთიადის“ 1893 წლის პირველი ნომრის მოწინავე წერილით, რომლის სათაურია „რედაქციისაგან“. ავტორი აღნიშნავს, რომ „ჩვენს ამხანაგობაში“³ სწავდასხვა ჟურნალი დაარსდა. მათი საქმე ერთხანს კარგად მიდიოდა, მაგრამ ბოლოს „უმტყუნა ბედმა და დაიკეტა“ ისინიო. ახლა „ჩვენს ამხანაგობას“ აღარა აქვს არც ერთი გამოცემა და ამიტომ შევუდექით ახალი ჟურნალის „განთიადის“ გამოშვებასო. როგორც ჩანს, მოწინავეს ავტორს „ამხანაგობა“ ვერ წარმოუდგენია არალეგალური ხელნაწერი ორგანოს გარეშე. ავტორი იქვე შენიშნავს, რომ ჟურნალის პირველ ვარიანტში ამხანაგობის წევრთა ნაწერები უცვლელად და გაუსწორებლად მოთავსდებოდა, ასე გამოვა რამდენიმე ნომერი, შემდეგ კი შეირჩევა ისეთი მასალები, რომლებიც „ღირსი იქნება“ და გაუშვებენ ახალ ჟურნალშიო.

გამოდის, რომ „ამხანაგობა“ ჯერ სასინჯი ხელნაწერი ორგანოს გამოცემას აპირებდა, ხოლო შემდეგ — უკვე ყოველმხრივ გამართულისას. ეს ჩანს მოწინავე წერილის სხვა ადგილიდანაც, სადაც ვკითხულობთ: „იმ ჟურნალის (და არა „ამ ჟურნალის.“ —

¹ ივანე სულხანიშვილს ჰყავდა ვაჟი, რომელიც ლექსებსა და მოთხრობებს წერდა. მისი /ფსევდონიმი ყოფილა „არჩილ იანქო“, თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულში“ (იხ. „ნაკადული“, 1915, №4 და სხვ.).

² ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში (მნიშვნელოვან მოვლენათა მატრიანე). 1883-1921. თბ., 1974, გვ. 51.

³ გამოთქმები „ჩვენი ამხანაგობა“, „სამხანაგო ჟურნალი“ და მისთანანი იმაზე მეტყველებს, რომ ნამდვილად არსებობდა მოწინავე მუშათა გარკვეული გაერთიანება. ალბათ, შემდგომში მის საფუძველზე აღმოცენდა სტამბის მუშათა ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატიული წრე.

შ. გ.) დანიშნულება მაშინ იქნება ის, რომ წაახალისოს ახალი თაობა წერაში და დაკბადოს მომავალი მწერლები“.

დასასრულ, ავტორი მკითხველებს აცნობს ჟურნალ „განთიადის“ პროგრამას:

„1. წერილები წავა პროზად, როგორც ორიგინალური ქართული თხზულებები, აგრეთვე ნათარგმნები.

2. ისტორიული წერილები, რომლებიც შესდგება შესახებ კავკასიისა და სხვა ქვეყნების წარსულ ცხოვრებიდგან.

3. კრიტიკული წერილები, რომლებშიაც იქნება გარჩევა როგორც ადგილობრივის, აგრეთვე სხვა ქვეყნების სალიტერატურო თხზულებებისა.

4. ადგილობრივი წერილები, რომლებშიაც იქნება განხილული კავკასიის მხარის საზოგადოებრივი მოვლენები.

5. აგრეთვე რუსეთისა.

6. საპოლიტიკო წერილები, რომლებიც შესდგება რუსეთის და სხვა ქვეყნების საყურადღებო პოლიტიკური მოვლენების მიმოხილვისაგან.

7. დანარჩენ ჟურნალის მიმართულების შესატყობად მითითებულ რედაქტორს“¹.

როგორც ვხედავთ, ჟურნალის პროგრამა მეტად მრავალმხრივია და, რაც უაღრესად საყურადღებოა, იგი ითვალისწინებს სოციალური და პოლიტიკური საკითხების გაშუქებასაც. ამასთანავე ხ. ბ. გასმულია, რომ „განთიადი“ არ დაკმაყოფილდება შინაური პოლიტიკური მოვლენების აღწერით, არამედ იგი მკითხველს ჰპირდება საერთაშორისო ცხოვრების საკითხების გაშუქებასაც. შემორჩენილი სამი ნომრის მიხედვით ძნელია დავადგინოთ, თუ როგორ გაართვა თავი ჟურნალმა ამ ამოცანებს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ რედაქცია ცდილობდა პირნათლად მოეხადა თავისი ვალი მკითხველთა წინაშე.

სოციალურ პრობლემებს ეხება, მაგალითად, ამავე ნომერში მოთავსებული დუშელის სტატია „ორიოდე სიტყვა მკითხველეთადმი“², რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „ბევრმა წლები გაიარეს უსარგებლოდ და ნუთუ დრო არ არის, რომ ხალხმა გაიღიძოს ღრმა ძილისაგან და დაინახონ თავიანთი უნუგემო მდგომარეობა“. ავტორი არ ეთანხმება იმ აზრს, თითქოს საქართველოში სწავლა-განათლება შემოვიდა და ხალხი განათლდაო. დუშელი შეიშნავს, რომ სწავლა-განათლების სიკეთით მხოლოდ საზოგადოების

¹ „განთიადი“, 1893, № 1.

² „განთიადი“, 1893, № 1. წერილს ხელს აწერს: Nezi.

გარკვეული წრეები — შეძლებულები სარგებლობენ, მშრომელები კი ამ სიკეთეს მოკლებული არიანო.

„... მე სულ სხვას ვნატრულობ და სხვას ვითხოვ, — აცხადებს ავტორი, — რატომ ის განათლება ღირს ხალხში არ უნდა იყვეს? რატომ ჩინი არ უნდა მიწაწრაფებოდნენ იმ ერის გამადიდებელ შუქისაკენ! რატომ არ უნდა ჰფიქრობდნენ, რომ ჩვენც ხალხნი ვართ და ქვეყანაზე ვცხოვრობთ? რა ვქნათ, რომ ჩვენ ღირებები ვართ და ისინი კი მდიდრები? განა ღირებებს კი არ უნდათ სწავლა-განათლება და თავისუფალი ცხოვრება!..“ ავტორი მოუწოდებს თავის ანამოაზრეთ, რომ ეს უსამართლობა ძირფესვიანად აღმოფხვრას აერთო ძალებით. მაგრამ, სამწუხაროდ, პირდაპირ არაფერს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ამ მიზნის მიღწევისათვის, პირველ რიგში, აუცილებელი იყო არსებული ექსპლოატატორული წყობილების დამხობა.

სტატიის ბოლოს ჟურნალ „განთიადის“ დანიშნულებაზე საუბარი, ქება-დიდებათ იხსენიებს ავტორი მის საქმიანობას: „აქნობამდის შავი ნისლით და ბურუსით შემოსილმა ცამ დაჰკარგა დღეს წყველიანი სიბნელისა და დავინახეთ ქვეყნის განმანათლებელი «განთიადი», — ამბობს ავტორი და იქვე დასძენს, რომ მართო აღფრთოვანება არ კმარა ამ სასარგებლო საქმის გამო, საჭიროა ვუერთგულოთ და ვუპატრონოთ ჭერჭერობით სუსტ ჟურნალს, არ გადაეუხვიოთ ქვეშარიტებისა და სიმართლის გზიდან, ვიწრომთ დაცემული ერის აღდგენისათვის და მოვა დრო, როდესაც ეს ჩვენი მეცადინეობა კარგ ნაყოფს გამოიღებსო.

„განთიადის“ საქმიანობას ეხება აგრეთვე წერილი „ჟურნალის დაარსების შესახებ“¹. მასში აღნიშნულია, რომ „განთიადს“ ჰყოლია წინამორბედი ჟურნალი „ზარი“. გამოთქმულია საყოველთაო სურვილი, რომ „განთიადმა“ სვეტად და ბოძად იქონიოს „ქვეშარიტი მიმართულება“, იქნეს დღეგრძელი და მისმა წინსვლამ ყველა გაახაროს. „ჟურნალი არის ჩვენი... გონების სარბიელი... და მუდამ შეგვეძლება მასში ვიპოვოთ სარკე, რომელიც დაგვანახებს ჩვენის სულის სიღრმეს“, — პათეტიკურად აცხადებს ავტორი და დასძენს, რომ ეს მხოლოდ მაშინ განხორციელდება, „უკეთუ ამგვარ დიად საქმეში დღეს-ხვალობა არ გამოერევა“ და შრომას არ დავიზარებთო. ჭერჭერობით ჟურნალზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ ვიცითო „რანაირი ნაყოფის აღმოცენება სურს... რედაქტორს“. წერილი მთავრდება ორიგინალური აფორიზმით: „ქვეასთან

¹ „განთიადი“, 1893, № 1. ამ წერილს ხელს აწერს: Nezi.

შრომა შეეშუბეშია“, — რომელიც, ალბათ, ქალაქური ფოლკლორიდან მომდინარეობს.

ამავე ავტორის ეკუთვნის „განთიადის“ 1893 წლის მე-2 ნომერში მოთავსებული სტატიაც „კრიტიკული ესკიზი“, რომელიც აგრეთვე ჟურნალის საქმიანობას ეხება. ავტორი აღნიშნავს, რომ იგი მოუთმენლად ელოდა მის გამოცემას, დიდი სიამოვნებით გადაუციტხავს კიდევ პირველი ნომერი. განსაკუთრებით მოსწონებია ჟურნალის სახელწოდება — იგი უკეთესი მომავლის სიმბოლოდ მიუჩნევია. ავტორის აზრით, „ჟურნალს არა უჭირს რა ჭერჭერობით, თუ შემდეგში არ დაივიწყებენ თანამშრომელი თავიანთ მოვალეობას“. მას მოსწონს რედაქტორის გადაწყვეტილება, რომ პირველ ხანებში ავტორთა მიერ მოწოდებული მასალები შეუსწორებლად გამოუშვას: ეს გაზრდის ავტორთა პასუხისმგებლობასო. ამასთან ერთად სტატიაში კრიტიკული შენიშვნებიც არის გამოთქმული „განთიადის“ პირველ ნომერში მოთავსებული ზოგიერთი წერილის მიმართ. მაგალითად, ავტორი უსაყვედურებს დუშელს, რომ მან თავის სტატიაში „ორიოდე სიტყვა მკითხველებისადმი“ დაამახინჯა შოთა რუსთაველის აფორიზმი. იგი იწუნებს გან-სანის მიერ სომხურიდან თარგმნილ მოთხრობას „ბუზს“ და აცხადებს, რომ ამნაირ მდარეხარისხოვან ნაწარმოებს „ადგილი არ უნდა ჰქონდეს საამხანაგო ჟურნალში“ და რომ, თუ „განთიადი“ ასეთ ნაწარმოებთა მოთავსებას განაგრძობს, მას უეჭველად „ზარის“ დღე დაადგებაო¹.

ჟურნალში მოთავსებულია „განთიადისადმი“ მიძღვნილი რამდენიმე ლექსი. ი. ივანიშვილის ლექსში „განთიადს“² ლაპარაკია ამ ორგანოს წინამორბედებზე, მოხსენიებულია ხელნაწერი ჟურნალი „ზარი“, რომელიც ახალთაობას სასიქადულოდ მოეცლინაო: მას სურდა მძინარე ერისათვის ზარის ხმით სათნობა „ჩამოერეკა“, მაგრამ „სოფლის ღელვამ და ცისა სივრცემ“ წაართვა „ზარს“ ხმა — შეწყდა მისი გამოცემაო. მას მოჰყოლია ჟურნალი „კოკორი“, მაგრამ აღარ დასცლია გადაშლილიყო და გაუცნობლად გამჭრალა. ახლა კი ჟურნალი „განთიადი“ მოგვევლინა, რომელიც არემარეს გვინათებსო. ავტორი გზას ულოცავს ახალ ჟურნალს, მოუწოდებს მას ჰეშმარტების გზით იაროს.

„განთიადისადმი“ არის მიძღვნილი აგრეთვე ფ. გურულის ლექსი „მილოცვა“ (1893, № 2) და რ. სალაყაიას უსათაურო ლექსი (1893, № 1).

¹ „ზარი“ — ხელნაწერი ჟურნალი, რომელიც „განთიადზე“ ადრე გამოდიოდა.

² „განთიადი“, 1893, № 1. ი. გრიშაშვილის ხელით ლექსს მიწერილი აქვს: „სოსო ივანიძე“.

როგორც ეტყობა, „განთიადთან“ ერთად პარალელურად სხვა ხელნაწერი ჟურნალიც გამოდიოდა. მოწინავე სტატიაში „რედაქციისაგან“ (1894, № 3) საყვედურია გამოთქმული „განთიადის“ ერთ-ერთი ავტორის ი. ივანიშვილის მიმართ, რომელსაც ახალი ხელნაწერი ჟურნალის — „თარის“ გამოცემა დაუწყია. იგი თურქე აცხადებდა, რომ მისი გამოსვლა „განთიადს“ ხელს არ შეუშლის, რადგან იგი სულ სხვა წრეს განეკუთვნება და სხვა თანამშრომლები პყავსო, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ გამოსულა: თურმე „თარში“ ძირითადად „განთიადის“ ავტორები მონაწილეობდნენ (საამო, ბაჭიაშვილი, სოზიაშვილი და თვით რედაქტორიც კი — ი. სულხანიშვილი). ბუნებრივია, რომ ამ გარემოებამ სერიოზული ზიანი მიიყენა „განთიადის“ გამოცემის საქმეს. მოწინავეში გაკრიტიკებულია „თარში“ მოთავსებული ზოგიერთი მასალა (მაგალითად, „ძველ გალაუნელის“ წერილი და სხვ.).

„განთიადში“ ბევრი საინტერესო წერილი გვხვდება ცოდნის სხვადასხვა დარგიდან. ფილოსოფიის საკითხებს ეხება, მაგალითად, 1893 წლის მე-2 ნომერში მოთავსებული წერილი „სოკრატე (ბერძენების მასწავლებელი)“, რომელშიც ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემასთან ერთად ავტორი ლაპარაკობს სოკრატეს მოძღვრების ძირითად მომენტებზე. ჟურნალში ვხვდებით აგრეთვე მასალებს რუსი და უკრაინელი მწერლების შესახებ. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ რედაქციას ძირითადად აინტერესებს ის ლიტერატორები, რომლებიც გამოსული არიან მშრომელთა წრიდან. ამიტომ იყო, რომ „განთიადმა“ სპეციალური წერილები მიუძღვნა ტარას შევჩენკოსა¹ და თედორე სლეპუჟკინს². ორივენი, როგორც ცნობილია, გლეხის შვილები იყვნენ. ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ბევრი საზოგადო მოღვაწე, მწერალი თავის სიცოცხლეს ტანჯვა-წამებაში ატარებსო, ქმნის შესანიშნავ ნაწარმოებებს და ყველასაგან მიტოვებული, გაჭირვებაში კვდებაო.

ჟურნალის რედაქცია ნაბეჭდი წყაროებითაც საჩვენებლობს — ათავსებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილ საინტერესო ინფორმაციებს. ასეთებია, მაგალითად, „უცნაური ამბავი“ (1893, № 1) და „წერილი ამბავი“ (1893, № 2). განსაკუთრებით ეს უკანასკნელია საინტერესო. მასში კუროზული ცნობებია მოყვანილი ამერიკული პრესის შესახებ: დამოწმებულია ერთი უცხოური გაზეთი, რომელშიც თურმე წერია, რომ ამერიკაში „შვიდი ჟურნალი იბეჭდება ცხვირსახოცზე ... სამი ჟურნალი იღებს ფოტოგრა-

¹ „განთიადი“, 1894, № 3. ავტორია: N.

² „განთიადი“, 1893, № 1. ავტორია: Nezi.

ფიულ სურათს უფასოდ; ხუთი ჟურნალი უმართავს სადილს ყოველ თვე; ორასსამოცი — ყოველგვარი ექიმებით და წამლებით ეხმარება და სამი ჟურნალი — ასაფლავეებს სიკვდილის შემდეგ ხელის მომწერლებს“. ავტორი შენიშნავს, რომ ბურჟუაზიული პრესა გახრწნილი და გადაგვარებულია. მის მესვეურთ კონკურენცია, მკითხველის მოზიდვისათვის ბრძოლა აიძულებს ათასგვარ მაქინაციებს მიმართონო. ამას მოსდევს „ერთი ამერიკული გაზეთიდან“ ამოღებული ცნობები იმის შესახებ, თუ დედამიწაზე რომელ ქვეყანაში რამდენი გაზეთი გამოდის. ჟურნალს აქვს აგრეთვე რუბრიკა „დამაკვირდი“ (აფორიზმების კრებული).

„განთიადში“ საკმაო რაოდენობით გვხვდება მხატვრული ნაწარმოებები, მეტწილად ლექსები¹, რომელთა უმრავლესობა, როგორც ეს ამ თავის შესავალში აღვნიშნეთ, მხატვრულობის თვალსაზრისით დაბალ დონეზე დგას. პირველ რიგში აქ უნდა მოვიხსენიოთ სოსო ივანიძე (ფსევდონიმით — „აზიელი“), რომლის ლექსებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „წამებული მოხუცი“². მასში ნათქვამია, რომ ოთხმოცი წლის მოხუცმა საკადრისი პასუხი გასცა ერთ პიროვნებას, რომელმაც საქართველო დაწყევლაო. ამის გამო ბერიკაცე გადაასახლეს და იქ მოკლესო. აშკარაა, ამ მოხუცში დიმიტრი ყიფიანი იგულისხმება.

ს. ივანიძის მეორე ლექსიც „დაკარგული დრო“³ პატრიოტული ხასიათისაა. ავტორი წუხს, რომ დიდი ხანია, რაც ქართველმა ერმა შხამით სავსე ფიალა დაცალა, ქართული დროშა ჰაერში აღარ ფრიალებს, ქართველ ვაჟკაცთა აბჯრის ჩხრიალი აღარ ისმის, მტრის შესამუსრავად, მისი სისხლით ველ-მინდვრის შესაღებავად მათ ხანჯალი აღარ დაუტრიალებიათო. ქართველი ერი დაჩაგრულიაო, ამბობს პოეტი, თამარის წმინდა ტაძარი შელახულია და წარსული დიდება დაკარგულიაო.

ს. ივანიძის ლექსი „მჩაგვრელს“ სოციალურ მოტივს ეძღვნება. რას შემომბლვერი და რას მაშინებ, რომ ხმალი მოგიღერებია ჩემთვისო, მიმართავს მჩაგვრელს ავტორი, რომელსაც სჯერა, რომ ავკაცობა, სხვისი ძარცვა-გლეჯა არავის შერჩება. შართალა, ჯერ კიდევ ძალა გაქვს და იმუქრებიო, მაგრამ ხალხი მალე გაიგებს შენს სიმუხთლეს, წამოიზრდებიან მებრძოლები, რომლებიც სამაგიეროს

¹ პროზა „განთიადში“ წარმოდგენილია ორად ორი სუსტი მოთხრობით: „ბუზი“, რომელიც ვან-სანს სომხურიდან უთარგმნია („განთიადი“, 1893, № I) და „მსხვერპლი უგუნურებისა“ (უავტორო. „განთიადი“, 1894, № 3).

² „განთიადი“, 1893, № 2.

³ „განთიადი“, 1893, № 2. ვინმე ს. მერაბიშვილს მასზე მიუწერია: „ეს ლექსი ფრიალ მომწონს“.

მოგიზღავენო. ცხადია, აქ დაკონკრეტებული არ არის ჩაგვრისა და ექსპლოატაციის კლასობრივი არსი, მაგრამ ლექსი მაინც საყურადღებოა იმიტომ, რომ მასში მშრომელთა სტიქიური პროტესტია გამოთქმული გაბატონებული კლასების ძალმომრეობის გამო.

თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლა თავისებურად არის აღწერილი ლექსში „ლოცვა“, რომელიც „კალმის“ ფსევდონიმით არის მოთავსებული¹. ავტორი ნატრულობს, რომ განთავისუფლდნენ ტყვედქმნილი მოძმენი, მოისპოს ღალატი და მშრომელები განათლებას დაეწაფონ:

„მეცი ნიჟი სწავლისა
გლეხის შვილს დაღონებულსა,
რომ ასარგებლოს შემდეგში
თვისსა დაღუპულ მამულსა“.

ი. ივანიშვილი ლექსში „ნატვრა“² მკითხველებს მოუწოდებს — „წამხდარ აწმყოს“ მანამდე ებრძოლონ, სანამ მის ბედშობას ბოლოს არ მოუღებენ. ავტორი დაჰაკენიან, რომ მსურს ვიყო.

„პირში მთქმელი ერთგული
ქეშმარიტის მცნებისა,
სამკურნალო მალამო
დაჩაგრულთა სენისა“.

ქურნალი განსაკუთრებით ხაზს უსვამს დაჩაგრულთა ერთობის მნიშვნელობას. ამ მხრივ დამახასიათებელია Nezi-ს იგავი „ლომი და მელა“. მისი შინაარსი ასეთია: სიცხისაგან მოთენთილ ლომს ჩაეძინება. გამოივლის მელა და ფეხს თავში ჩასცემს — მძინარეს მაინც მოვერიოო. ლომს გამოეღვიძება და მელას იფრენს. მელა ლომს ემუქრება:

„ღღის შემდეგ სულ სტავგარად
მოვახერხებთ ყველაფერსო,
დაგესევით, ამოგვლიტავთ
ჩვენ სუსტები, შენ ძლიერსო“.

„განთიადში“ ლირიკული ლექსებიც არის მოთავსებული: ა. სალაყაიას „ჩემს სატრფოვს“ (1893, № 1), „მთვარეს“ (1893, № 2), ი. ივანიშვილის „ბოროტი კაცი“ (1894, № 3) და სხვები, რომელთაყ რაიმე სოციალური ღირებულება არ გააჩნიათ და არც მხატვრულობით გამოირჩევიან.

¹ „განთიადი“, 1893, № 2.

² „განთიადი“, 1893, № 2.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ი. სულხანიშვილის „განთიადი“ ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მუშათა არალეგალურ ხელნაწერ ეურნალ-გაზეთებთან შედარებით უფრო სუსტად გამოხატავს მუშათა საარსებო ინტერესებს, მოკლებულია კლასობრივ სიმძაფრეს, მასში გაცილებით მკრთალადაა ასახული სოციალური პრობლემატიკა.

ბოლოსიტუაცია

ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში დიდი რაოდენობით (70-ზე მეტი დასახელებისა) გამოდიოდა ცენზურაგაუვლელი ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები. მათი რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბეჭდურ ორგანოებს. ეს იმით აიხსნება, რომ მკაცრი ცენზურის გამო ბეჭდურ პრესაში ძალიან ძნელი იყო თავისუფალი მსჯელობა საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ, საკიბოროტო საკითხებზე. ცენზურაგაუვლელი არალეგალური ხელნაწერი ორგანოები კი აშკარად ილაშქრებდნენ თვითმპყრობელობის, ექსპლოატატორული კლასების, სოციალური უსამართლობის, ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ამდენად, საზოგადოების მოწინავე, პროგრესულ წარმომადგენლებს შეეძლოთ დაუფარავად გამოეთქვათ თავიანთი აზრები ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებში, რომელთა მომრავლებას ჩვენში ერთგვარად ხელს უწყობდა ქართული პერიოდული ბეჭდური ორგანოების სიმცირეც. საქმე ისაა, რომ მთელ რუსეთის იმპერიაში გაშლილი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლებით დაშინებული მეფის ხელისუფლება ყოველნაირად აბრკოლებდა პროგრესული მიმართულების პრესის ახალი ორგანოების გამოცემის საქმეს, მეტადრე განაპირა მხარეებში; პირიქით არსებულსაც დევნიდა და ხშირად ხურავდა კიდევ. ამ ხარვეზის შესავსებად ხალხის მოწინავე შეილები სულ უფრო მეტად იყენებდნენ ხელნაწერ პრესას. მთავარი და არსებითი კი ის იყო, რომ ცენზურაგაუვლელი ხელნაწერი პრესის ჩასახვა-განვითარება ამ პერიოდში ძირითადად გაპირობებული იყო რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა და შესაბამისად ქართველ სამოციანელთა იდეური ზეგავლენით.

როგორც დავინახეთ, წაშრომში განხილული ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1) მოსწავლეთა ხელნაწერი პრესა, რომელიც თბილისის, ქუთაისის, გორის, ხონის სასწავლებლებში გამოდიოდა; 2) ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც უშვებდნენ კერძო პირები, ინტელიგენციის მოწინავე წარ-

მომადგენლები; 3) მუშათა არალეგალური პერიოდული ხელნაწერი პრესა.

მეტად დამახასიათებელია, რომ ამ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორთა და თანამშრომელთა შორის ცოტანი როდი იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც შემდგომ ცნობილი მოღვაწეები გახდნენ: ლადო კეცხოველი, ფილიპე მახარაძე, მოსე თოიძე, შალვა დადიანი, მიხეილ ბოჭორიძე, ნიკო მარი, ანდრია ბენაშვილი, სილოვან ხუნდაძე, პეტრე მირიანაშვილი, გიორგი თუმანიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, არტემ ახნაზაროვი და სხვები. ხელნაწერ პრესას გარკვეული „ტირაჟი“ გააჩნდა, ფართოდ ვრცელდებოდა საქართველოში და მკითხველთა დიდი რაოდენობა ჰყავდა.

პრესაზე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება გვასწავლის, რომ მთავარ კრიტერიუმს ჟურნალ-გაზეთების შეფასებისას წარმოადგენს მათი კლასობრივი ღირებულების განსაზღვრა. ამ ფუძემდებლური პრინციპის შუქზე არის წიგნში განხილული ცენზურაგაუვლელი ხელნაწერი პრესის საქმიანობა, რომლის ანალიზი გვიჩვენებს, თუ რა გზა განვლო მან, ვიდრე „საერთო-დემოკრატიული“, ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციებიდან პროლეტარული, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პოზიციებამდე ამაღლდებოდა. ეპოქის მოწინავე იდეები, რომლებიც გამოხატული იყო პროგრესული მიმართულების ბექდურ ორგანოებში, პარალელურად აისახებოდა ხოლმე ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ, თუ პირველნი ცენზურის გამო ხშირად პირდაპირ და აშკარად ვერ ქადაგებდნენ რადიკალურ, რევოლუციურ შეხედულებებს, მეორენი ამ შეზღუდვისაგან თავისუფალი იყვნენ და საკმაოდ მკაცრად ილაშქრებდნენ თვითმპყრობელობის, სოციალური უსამართლობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ამრიგად, ბექდური და ხელნაწერი პრესის ურთიერთობაში უაღრესად საინტერესოა ამ ასპექტის გარკვევა. ნაშრომში ხაზგასმულია ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ „საქართველოს მოამბის“, „დროების“, „კრებულის“, „ივერიის“, „შრომის“, „კვალის“ პროგრესული მწერლები და პუბლიცისტები ბევრ მტკივნეულ სოციალურ და ეროვნულ საკითხს აშუქებდნენ, მაგრამ ზემოაღნიშნული მიზეზის გამო (ცენზურა) მათ ნაწარმოებებს ზოგჯერ აკლდათ კონკრეტულობა, ყოველთვის არ იყო ხოლმე დაზუსტებული კრიტიკის „მისამართი“, იძულებული იყვნენ მიემართათ ეზოპეს ენისათვის და ა. შ. ამ ხარვეზს კი ერთგვარად ავსებდა ცენზურაგაუვლელი არალეგალური ხელნაწერი პრესა, რომელსაც უამრავი კონკრეტული ფაქტი მოჰყავდა მეფის თვითმპყრობელობის დესპოტურობაზე, მოხელეების უსამართლობაზე, მათ ბიუროკრატიზმსა და

მექრთამეობაზე, სამღვდლოების გამომძალველობასა და წამგლე-
ჯელობაზე, მშრომელთა აღვირახსნილ ექსპლოატაციაზე, უმუშევ-
რობაზე, მუშათა და გლეხთა გაჭირვებულ, აუტანელ მდგომარეობა-
ზე, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სხვა მა-
ხინჯ მოვლენაზეც. ᄂ

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ხელნაწერი პრესის განვითა-
რებას იგივე კანონზომიერებანი ახასიათებს, რაც ბექტლურს. სახე-
ლდობრ, ამ უკანასკნელის მსგავსად, ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთე-
ბშიც შეინიშნება კლასობრივი დიფერენციაცია: ერთი მხრივ,
გვხვდება როგორც განმანათლებლური, რევოლუციურ-დემოკრატი-
ული და ხალხოსნური მიმართულების ორგანოები, ისე მუშათა არა-
ლუგალური ხელნაწერი პრესაც.

გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია ბექტლურ პრესაში ცენზუ-
რის მიერ აკრძალულ მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებთა
ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსების ფაქტი. ზაგულისხმოა,
რომ ამას შემთხვევითი ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ ხელნაწერი
პრესის საქმიანობის ერთ-ერთ არსებით მხარეს შეადგენდა (მაგა-
ლითად, „ნაპერწყალში“ სპეციალური რუბრიკაც კი იყო შემოღებუ-
ლი: „ცენზურის დარკვეული“). დადგინდა, რომ ხელნაწერი ჟუ-
რნალ-გაზეთების თანამშრომლები უშუალოდ რედაქციებში ან სტა-
მბებში შოულობდნენ აკრძალულ თხზულებებს და დაუყოვნებლივ
ათავსებდნენ მათ თავიანთ ორგანოებში. ხელნაწერი და ნაბეჭდი პრეს-
ის ამგვარი თანამეგობრობა უდავოდ ნიშანდობლივია. მკითხველებს
პირველად ხელნაწერმა პრესამ მიაწოდა ისეთი შესანიშნავი ლექსე-
ბი, როგორცაა: აკაკი წერეთლის „სიმართლე“ და „ხანჯალს“, ვა-
ჟა-ფშაველას „დაე აყროლდეს სოფელი“ და „ყორანმა ყორანს გა-
სძახა“, მამია გურიელის „ალავერდის“ სრული ტექსტი და სხვა ავ-
ტორთა არაერთი საყურადღებო ნაწარმოები.

მეფის ხელისუფლება სასტიკად დევნიდა ცენზურაგაუვლელ
არალუგალურ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს როგორც მთავრობის
საწინააღმდეგოდ მიმართულთ — რევოლუციური იდეების გამა-
ვრცელებელთ. ამიტომ იყო, რომ არა მარტო ოფიციალური განკა-
რგულებებით იკრძალებოდა ხელნაწერი პერიოდული ორგანოების
გამოშვება, არამედ სასამართლო პროცესებიც კი ეწყობოდა მათი
მესვეურების დასაჩვენებლად. მაგრამ მთავრობის ეს მკაცრი ღონისძიე-
ბები საქმეს ვერ შველოდა — ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების რაო-
დენობა განუხრელად იზრდებოდა და მათი მიმართულება სულ
უფრო რადიკალური ზდებოდა (თვით მოსწავლეთა ხელნაწერმა ორ-
განოებმაც კი დაიწყეს მარქსიზმის პროპაგანდა), ამასთან იხვეწე-
ბოდა და ძლიერდებოდა მათი გამოცემისა და გავრცელების კონსპი-

რაცია. ალბათ, კონსპირაციული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი ის, რომ არალეგალური ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა თავის ნაწარმოებებს ნამდვილ სახელსა და გვარს არ აწერდა. წიგნში შესაძლებლობისდა მიხედვით გახსნილია მრავალი ფსევდონიმი, მათ შორის: შ. დადიანის, ნ. მარის, გ. თუმანიშვილის, მ. ბოჭორიძის, ზ. კიკინაძის, ა. ახნაზაროვის, ა. ოქუაშვილის და სხვათა.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი პროლეტარული პრესის სათავეების — მუშათა არალეგალური ხელნაწერი პრესის შესწავლას, რამაც ერთხელ კიდევ ცხადყო ვ. ი. ლენინის იმ დებულების სრული ჭეშმარიტება, რომ მუშათა პრესის ისტორია განუყრელად დაკავშირებულია დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობის ისტორიასთან¹. წიგნში მოცემულია ცდა შესწავლილ იქნეს მუშათა პრესის წინაისტორია. დიდძალი ფაქტებით დადასტურებულია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიული, ლენინურ-ისკრული მიმართულების პრესის უშუალო წინამორბედებია მუშათა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები: „მუშა“, „განთიადი“, „სხივი“, „ნაპერწყალი“, „სინათლე“ და სხვ. ამასთან ერთად ხელნაწერი პრესა იყო რევოლუციური აღზრდის პირველი სკოლა მრავალი ავტორისათვის, რომლებიც შემდგომ ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები გახდნენ.

შეძლებისდაგვარად წიგნში ნაჩვენებია, თუ რაოდენ მეტად მრავალმხრივი იყო ხელნაწერი პრესის პუბლიცისტიკა. ავტორები თავისი დროისათვის მრავალ აქტუალურ პრობლემას განიხილავენ და პროგრესულ შეხედულებებს გამოთქვამენ. მაგალითად, ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ ბატონყმობის გაუქმებით გლეხობის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და სოფლის მშრომელები კვლავ მონურ შრომას ეწევიან ექსპლოატატორთა სასარგებლოდ. ავტორებს განსაკუთრებით აღელვებთ მიწის საკითხი და აცხადებენ, რომ მიწა უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვინც მას ამუშავებს, ე. ი. გლეხს, ხოლო თავადაზნაურობას ჩამოერთვასო. ბევრი მასალა ასახავს მუშათა მძიმე მდგომარეობას, მათი შრომის აუტანელ პირობებს, ექსპლოატაციის სისასტიკეს, მშრომელი მასების უუფლებობასა და აბუჩად აგდებას. ✓

✓ მართალია, ხელნაწერი პრესის ავტორებს სათანადოდ ჯერ კიდევ ვერა აქვთ გათვალისწინებული, თუ როგორ და რა გზით უნდა მოიპოვონ მშრომელებმა თავისუფლება, მაგრამ ბევრი ავტორი მაინც საკმაოდ პროგრესულ პოზიციებზე დგას და მოითხოვს რადიკალ-

¹ იხ. ვ. ი. ლენინი. თხ., ტ. 20, გვ. 301.

ლური ზომების მიღებას — თვითმპყრობელობისა და ექსპლოატატორთა ბატონობის დამხობას იარაღის, ძალის გამოყენებით, პრესისა და სიტყვის თავისუფლებას, რესპუბლიკური წყობილების დამყარებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მოთხოვნები ძირითადად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და წვრილბურჟუაზიულ-ხალხოსნური ხასიათისაა. ✓

✓ არალეგალური ხელნაწერი პრესა ამასთანავე მკაცრად აკრიტიკებდა მეფის ხელისუფლების დიდმპყრობელურ, შოვინისტურ პოლიტიკას, მოითხოვდა სკოლებში ეროვნულ ენებზე სწავლების შემოღებას, საერთოდ სწავლების დემოკრატიზაციას, უმაღლესი სასწავლებლების გახსნას და სხვ. ამრიგად, ხელნაწერი პრესა აქტიურად ეხმარებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საარსებო პრობლემებსაც. ✓

ცენზურაგაუვლელი ხელნაწერი პრესის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ინტერნაციონალისტური იდეების ფართო პროპაგანდა მის ფურცლებზე. ავტორები დაბეჭითებით აყენებდნენ საკითხს, რომ ქართველებმა, სომხებმა, უკრაინელებმა, პოლონელებმა და რუსეთის იმპერიის სხვა ჩაგრული ხალხების შვილებმა მხარი უნდა მისცენ რუს მშრომელებს, ერთიანი ძალით შეუტიონ თვითმპყრობელობასა და ექსპლოატატორებს და უკომპრომისო ბრძოლაში მოიპოვონ თავისუფლება. ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს წითელ ზოლად გასდევს ის აზრი, რომ რუსი მშრომელებიც არანაკლებ არიან შევიწროებული მჩაგვრელების მიერ და რომ სწორედ რუსი ხალხის საუკეთესო შვილებმა პირველებმა დაიწყეს ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, სოციალური განთავისუფლებისათვის, საჭიროა ყველა ერის შვილები გვერდში ამოვუდგეთ მათ, რათა საერთო მტერზე გამარჯვება ვიზეიმოთო. ეს განაპირობა იმან, რომ ცენზურაგაუვლელი ქართული ხელნაწერი პრესა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით ეზიარა 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, ხოლო XIX საუკუნის დასასრულისათვის — სოციალისტურ იდეებსაც.

✓ მართალია, ქართულ ხელნაწერ პრესაში მოთავსებული ლექსები და მოთხრობები არ გამოირჩევა მაღალი მხატვრული დონით, მაგრამ იდეური შინაარსით საკმაოდ მდიდარი და შთამბეჭდავია. ამ ნაწარმოებთა ძირითად თემატიკას შეადგენს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, მუშათა და გლეხთა დუხჭირი ცხოვრება და სხვა მისთანანი, მაშასადამე, იგივე საკითხები, რომლებიც ამ პრესის პუბლიცისტიკაშია გაშუქებული. ✓

✓ არალეგალური ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე

საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული მხატვრული ლიტერატურის დანიშნულების შესახებაც. იქ არაერთგზის და ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ მწერლები და პოეტები უნდა ემსახურებოდნენ პროლეტარიატს, გამოხატავდნენ მის ინტერესებს. ეს იყო მანამდე არგაგონილი ლიტერატურული კრედო (ცნობილია, მაგალითად, რომ თერგდალეულები მოითხოვდნენ არა ამა თუ იმ კლასის, არამედ, „მთელი ერის“ სამსახურს). ამასთანავე ხელნაწერი პრესა აშკარად ილაშქრებს უსაგნო პოეზიის წინააღმდეგ, მწერლობის უმაღლეს დანიშნულებად მიიჩნევს ნაწარმოებთა შექმნას მოქალაქეობრივ მოტივებზე. ნამდვილი შემოქმედი ის არის, ვინც სოციალურ ფუნქციას ასრულებს, მშრომლებს ეხმარება თავისუფლების მოპოვებაში, აცხადებენ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების ავტორები. ეს კიდევ ცოტაა. მათი აზრით, მწერალმა არა მარტო თავისი ნაწარმოებებით უნდა მოახდინოს გავლენა მკითხველზე, არამედ თავისი პირადი ცხოვრების მაგალითითაც — იგი თვითმპყრობელობისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში უნდა ჩადგეს.

რა თქმა უნდა, ქართულ არალეგალურ ხელნაწერ პრესას ბევრი ნაკლიც ჰქონდა, რაზედაც ზემოთაც მივუთითებდით. იმის გამო, რომ მარქსისა და ენგელსის, მეცნიერული სოციალიზმის იდეებს მასები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაუფლებული (ეს პროცესი საქართველოში ინტენსიურად მხოლოდ XIX საუკუნის დამლევს დაიწყო), ბუნებრივია, რომ ამ პრესის ავტორები ბევრ საკითხში ეკლექტიკურ და უტოპისტურ მოსაზრებებს გვთავაზობენ და, როგორც ზემოთ ითქვა, ხშირად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პოზიციებსაც უახლოვდებიან. თვით მუშათა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთებიც წვრილბურჟუაზიულ-ხალხოსნური იდეების გავლენას განიცდიან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში მუშათა მოძრაობაზე ხალხოსნურ შეხედულებებს გარკვეული გავლენა ჰქონდა და რევოლუციურ მარქსისტებს უადრესად დაძაბული ბრძოლა დასჭირდათ ხალხოსნური იდეოლოგიის გასანადგურებლად და მუშებში მარქსისტული იდეების გასავრცელებლად.

ამრიგად, წიგნში გადმოცემულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცენზურაგაუვლელი, არალეგალური ქართული ხელნაწერი პრესის ისტორია მისი ძირითადი ასპექტების მიხედვით. ხაზგასმულია, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად (ბეჭდური პროგრესული ჟურნალ-გაზეთებისა და ეპოქის მოწინავე მოაზროვნეთა საქმიანობა) მათაც მოამზადეს წინადაგი ნამდვილი პროლეტარული, მარქსისტული პრესის შექმნისათვის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია,

აღზარდეს მუშა-ლიტერატორთა კადრები, რომლებიც შემდგომ წარმატებით მოღვაწეობდნენ ქართულ ლენინურ-ისკრული მიმართულების არალეგალურ გაზეთებში. ამასთანავე წიგნში ყურადღება გამახვილებულია ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების წარმოქმნისა და განვითარების ძირითად პირობებსა და მიზეზებზე, მათი მუშაობის მეთოდებსა და ფორმებზე, მათ როლზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. ეფექტობთ, ჩვენი ნაშრომი ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ადასტურებს იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ ხელნაწერი პრესის შესწავლა საშუალებას იძლევა უფრო ღრმად გავე-რკვეთ ქართული საზოგადოებრივი აზრის, კულტურისა და განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების, მეტადრე კი ჟურნალი-სტიკის ისტორიის საკითხებში.

ИСКРЫ СВОБОДНОГО СЛОВА

Резюме

Вооруженная марксистско-ленинскими идеями печать Советской Грузии, так же как и всей Страны Советов, последовательно продолжает и неуклонно развивает славные традиции дореволюционной большевистской печати, которая в мрачные годы господства царского самодержавия и буржуазии воодушевляла пролетариат на борьбу за социальное освобождение, за осуществление социалистической революции.

В грузинской литературе достаточно полно изучена история большевистской печати дооктябрьского периода, а также целый ряд вопросов работы печати советского периода. В то же время сравнительно мало внимания уделено предистории рабочей прессы, что затрудняет осмысление в целом процесса становления грузинской социал-демократической печати.

Еще в 1914 году В. И. Ленин говорил: «Рабочая печать в России имеет за собой почти вековую историю — сначала подготовительную, т. е. историю нерабочего, непролетарского, а «общедемократического», т. е. буржуазно-демократического освободительного движения, — а затем свою собственную, двадцатилетнюю историю пролетарского движения, пролетарской демократии или социал-демократии»¹.

В. И. Ленин подчеркивал, что история рабочей печати в России неразрывно связана с историей демократического и социалистического движения². По ленинскому определению, для освободительного движения характерны три главных этапа: дворянский период (1825 — 1861 гг.), разночинный, или буржуазно-демократический, период (1861 — 1895 гг.) и пролетарский период (с 1895 года). Таким образом, возникновение рабочей печати в России было подготовлено всем предшествующим развитием русской общественной мысли, ростом рабочего движения.

¹ В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 25, стр. 100.

² Там же, стр. 93.

С другой стороны, в истории освободительного движения в России большая роль принадлежит революционно-демократическим изданиям, выходявшим под руководством В. Белинского, А. Герцена, Н. Чернышевского, Н. Добролюбова и др. Традиции революционно-демократической журналистики, в особенности таких журналов, как «Колокол», «Современник», «Отечественные записки», нашли свое дальнейшее развитие в рабочей печати. Наряду с этим, рабочая пресса России переняла боевой опыт революционных органов, издаваемых К. Марксом и Ф. Энгельсом.

В России издание первых газет для рабочих было предпринято народниками, но эти органы не имели успеха среди рабочих, ибо им были чужды интересы пролетариата.

Передовые представители рабочего класса, хорошо сознавая вредность народнической идеологии, приступили к созданию своих организаций, своей рабочей прессы. В этом отношении следует подчеркнуть значение предпринятого С. Халтуриним в 1880 году издания газеты «Рабочая заря», которая, хотя и не была полностью свободной от влияния народничества, по своей классовой сознательности стояла значительно выше тех органов, которые издавались народниками для рабочих.

В подготовке рабочей печати в России значительная роль принадлежит созданной в 1883 году за границей группе «Освобождение труда», осуществившей в 1888 году издание первого русского марксистского журнала «Социал-демократ». А зимой 1883—1884 гг. группа Благоева непосредственно в России, в Петербурге начала выпускать газету «Рабочий».

Издание вышеказанных органов явилось значительным событием в жизни рабочих, ибо на их страницах русские марксисты проповедовали идеи научного социализма. Тем не менее эти органы, а равно и издававшие их организации не были связаны с рабочим движением; поэтому можно считать, что рабочая печать в полном смысле этого слова появилась лишь в 1895—1896 гг., когда на арену политической жизни страны выступила новая общественная сила — русский рабочий класс. В деле соединения массового рабочего движения с теорией научного социализма выдающаяся роль принадлежит созданному В. И. Лениным в 1895 году петербургскому «Союзу борьбы за освобождение рабочего класса», являющемуся зачатком пролетарской партии в России. Под влиянием «Союза» аналогичные марксистские организации были созданы и в других городах страны: в Москве, Киеве, Иваново-Вознесенске, Тбилиси.

Таковы вкратце главные вехи создания и развития рабочей печати в России. Какова же история создания рабочей прессы в Грузии?

Присоединение Грузии к России в начале XIX века, явившееся прогрессивным событием в жизни грузинского народа, оградило его от экспансионистских устремлений иноземных — иранских и турецких — захватчиков, спасло от физического истребления. Грузия получила возможность быстрыми темпами развивать свою экономику и культуру. В то же самое время, в условиях царизма, на окраинах России (например, в Закавказье) бедственное положение рабочих и крестьян, подвергавшихся бесчеловечной эксплуатации и лишенных каких бы то ни было политических прав, усугублялось национальным угнетением.

Свободолюбивый грузинский народ, который связывали прочные узы дружбы с русским народом, борющимся против «собственного» самодержавия, не мог примириться с политикой национально-колониального угнетения. Борьба передовых, прогрессивных сил грузинского общества за свои гражданские права протекала под непосредственным идеологическим воздействием русских революционных демократов. Особенно обострилась эта борьба во второй половине XIX века, когда ее возглавила группа «Тергдалеули». 80 — 90-е годы характеризуются сравнительно быстрым развитием капитализма и усилением процесса образования новых классов. Все больше ширится рабочее движение. На арену общественной жизни выступают социал-демократы («Месаме даси»). К началу XX века образовались партии грузинской национальной буржуазии и пролетариата, что свидетельствовало о начале в Грузии нового, пролетарского периода классовой, освободительной борьбы.

Естественно, что в тогдашней грузинской прогрессивной периодической печати («Сакартвелос моамбе», «Дрозба», «Иверия», «Кребули», «Квали» и др.) в той или иной мере отражались этапы развития грузинской общественной мысли, нарастание освободительной борьбы. Объективно все вышесказанное можно считать подготовительным периодом возникновения рабочей печати в Грузии. Но этого недостаточно, ибо в данном случае мы имеем дело с подцензурной печатью, а, как уже отмечалось, В. И. Ленин особо подчеркивал опромную роль бесцензурной прессы в деле создания рабочей печати.

Как обстояло дело в этом отношении в Грузии? Издавались ли здесь, как в России, бесцензурные газеты и журналы?

Несмотря на то, что в научной литературе встречаются отдельные сведения, подтверждающие существование бесцензурной прессы и в условиях Грузии, к сожалению, в целом эта проблема не только не была разрешена, но и не ставилась вообще. В соответствии же с основополагающим ленинским тезисом, невозможно осмыслить историю грузинской

рабочей печати без изучения нелегальной издательской деятельности на различных этапах освободительного движения до создания социал-демократической, ленинско-искровой грузинской прессы.

В такой ситуации, когда, в сущности, проблема совершенно не разработана, особое значение приобретает максимальное выявление и использование первоисточников. Понятно, что чем большее количество бесцензурных нелегальных рукописных газет и журналов будет основательно изучено, тем больше возможность избежать элемента случайности при оценке тех или иных взглядов (нашедших отражение на страницах прессы), как характерных для данного периода революционного движения.

В книге установлено, что во второй половине XIX века в Грузии бесцензурные, нелегальные рукописные газеты и журналы выходили в большом количестве (более 70 наименований). Их было намного больше, чем печатных органов.

Какие социально-политические причины обусловили возникновение бесцензурной прессы в Грузии? Анализ имеющихся материалов дает возможность заключить, что подобные издания были обусловлены прежде всего размахом революционно-демократического движения в России. Царская цензура всячески подавляла прогрессивные мысли и, следовательно, в грузинских демократических периодических органах о злободневных социальных или национальных вопросах писать прямо было невозможно. Это обуславливало стремление передовой части общества высказываться о наиболее важных вопросах каким-то иным, «бесцензурным» путем. Создавшаяся политическая обстановка способствовала широкому распространению рукописной прессы.

В марксистско-ленинском учении о печати подчеркивается, что главным критерием в оценке деятельности газет и журналов является их классовая сущность. Огромное значение грузинской бесцензурной рукописной прессы заключается именно в том, что она развивалась от «общедемократического» или буржуазно-демократического направления к пролетарскому, социал-демократическому направлению. Передовые, прогрессивные идеи эпохи гораздо более широко пропагандировались в рукописной нелегальной прессе, нежели в легальных печатных органах, она более резко выступала против царского самодержавия, социальной несправедливости и национального гнета. Вместе с тем, в ее развитии наблюдаются те же закономерности, которые присущи печатным газетам и журналам. В частности, здесь также намечается классовая дифференциация: встречаются как органы просветительского, революционно-демократического и народнического характера, так и органы истинно народные, пролетарские.

Грузинские бесцензурные рукописные газеты и журналы выпускались разными социальными группами — учащимися (в Тбилиси, Кутаиси, Гори, Хони), частными лицами, представителями прогрессивной интеллигенции (Ш. Дадиани, А. Ахназаров и др.) и передовыми рабочими. Более того, некоторые из них нелегально выходили даже в тюрьмах.

Характерно, что среди редакторов и сотрудников рукописных газет и журналов немало людей, которые впоследствии стали известными политическими и общественными деятелями: Л. Кецохвели, Ф. Махарадзе, М. Бочоридзе, М. Тоидзе, Н. Марр, Ш. Дадиани, Г. Ласхишвили, С. Мгалоблишвили, В. Деканозишвили, А. Ахназаров и др. Рукописная пресса имела определенный «тираж», широко распространялась в Грузии и имела большое количество читателей.

Рукописные газеты и журналы учащихся были самыми многочисленными. Это вполне естественно, поскольку нелегальные рукописные органы являлись одной из форм протеста прогрессивно мыслящей молодежи против великодержавно-шовинистической политики царизма. Учащиеся особенно остро переживали запрещение преподавания в школах на грузинском языке. Вот почему одной из главных проблем, обсуждавшихся на страницах рукописных газет и журналов, выходивших в учебных заведениях, являлась проблема изучения родного языка и литературы. Вместе с тем, ученическая рукописная пресса освещала и многие другие злободневные вопросы: учащиеся свободно высказывали свое мнение о различных явлениях общественной жизни, об актуальных вопросах истории и этнографии, литературы и искусства и т. д. На ученические нелегальные органы весьма сильное влияние оказывала русская революционно-демократическая мысль России и идеология грузинских шестидесятников — «Тергдалеули». И. что очень важно, уже к началу XX века, когда учащаяся молодежь активно начала приобщаться к марксистским идеям, рукописная пресса отражает это важнейшее явление в общественной жизни Грузии.

Особый характер имеют рукописные нелегальные газеты и журналы частных лиц — представителей передовой интеллигенции. Эти лица не были связаны с определенными группами людей, объединенных в школах, кружках и т. д. Они выпускали бесцензурные органы на свой страх и риск. Кроме того, если ученические органы отводили большое место жизни учебных заведений, рукописные газеты и журналы частных лиц были свободны от этой «специализации» — их диапазон был гораздо шире, хотя по своей идейной направленности эти органы идентичны с ученической прессой — им всем в основном присуще буржуазно-демократическое мировоззрение. Изучение рукописной прессы частных лиц пред-

ставляет определенный интерес и в том смысле, что дает возможность изучить раннее творчество известного советского писателя Ш. Даднани, журналиста А. Ахназарова и др.

Особое значение приобретает изучение истоков грузинской пролетарской печати — первых рабочих нелегальных рукописных газет и журналов. Анализ их деятельности с новой силой продемонстрировал истинность вышеотмеченного ленинского положения, что история рабочей печати неразрывно связана с историей демократического и социалистического движения. В книге предпринята попытка подробно рассмотреть предысторию грузинской рабочей прессы. Целый ряд фактов свидетельствует, что непосредственными предшественниками грузинской социал-демократической прессы ленинско-искровского направления являлись нелегальные рукописные газеты и журналы: «Наперцкали», «Муша», «Гантнади», «Схивни», «Синатле» и др. Рукописная пресса была первой школой революционной закалки для многих авторов, которые в дальнейшем стали видными деятелями большевистской партии.

Одной из значительных заслуг нелегальных рукописных газет и журналов является публикация произведений, запрещенных к печати цензурой. Характерно, что эти публикации носили не случайный характер, а представляли собой одну из существенных сторон деятельности редакций (например, в рабочей газете «Наперцкали» была введена даже постоянная рубрика «Просеянные цензурой»). Именно рукописная пресса познакомила впервые читателей с такими замечательными стихотворениями, как «Правда» и «К кинжалу» Акакия Церетели, «Пусть сгинет мир» и «Ворон призывал ворона» Важа-Пшавела, полным текстом «Алаверди» Мамиа Гуриели и т. д.

Царское правительство жестоко преследовало нелегальные рукописные газеты и журналы. Их выпуск был запрещен официальными циркулярами, против их издателей возбуждались судебные процессы. Но эти жесткие меры не могли сломить передовых людей эпохи, не могли приостановить процесс повсеместного возникновения новых нелегальных рукописных газет и журналов. Количество их неуклонно росло, а направление становилось все более радикальным. Наряду с этим усиливалась также коопирация, связанная с их выпуском и распространением. Из конспиративных соображений абсолютное большинство авторов нелегальных газет и журналов не подписывали свою настоящую фамилию. В книге по мере возможности расшифрованы многие псевдонимы (Н. Марра, М. Тоидзе, Ш. Даднани, М. Бочоридзе, А. Окуашвили, З. Чичинадзе, Г. Туманишвили, А. Ахназарова и др.). Без подобной расшифровки невозможно было бы установить социальный состав сотрудников нелегальной ру-

копистой прессы. Разрешение данной проблемы во многом способствовало определению истинного лица каждого бесцензурного органа, его идейной ценности.

Публицистика рукописной прессы весьма многогранна. Авторы рассматривают актуальные проблемы и высказывают прогрессивные для того времени мысли как по социальным вопросам, так и по вопросам национально-освободительного движения. Например, рукописные газеты и журналы единогласно заявляют, что после отмены крепостного права положение крестьян ничуть не улучшилось и сельские труженики по-прежнему влачат жалкое существование, а дворянство и буржуазия их бесчеловечно эксплуатируют. Авторы особенно волнует вопрос о земле; они заявляют, что земля должна принадлежать тому, кто ее обрабатывает, т. е. крестьянину, и все угодья должны быть изъяты у дворянства насильственным путем.

Во многих материалах описывается тяжелое положение рабочих, невыносимые условия труда, их безжалостная эксплуатация промышленниками. Со всей прямотой вскрываются неизлечимые язвы капитализма: безработица, обнищание пролетариата и др. В этом отношении особую ценность представляют выступления рабочей прессы. Характерна, например, статья одного из авторов журнала «Муша» А. Окуашвили, из которой явствует, что он находится под влиянием социалистических идей, хотя и излагает их несколько примитивно. «...Владелец завода, — пишет А. Окуашвили, — полностью не оплачивает рабочему затраченный труд, часть его труда присваивает владелец... и богатство, накопленное им, создано трудом рабочих, превратившихся в орудия производства капиталиста». Конечно, нельзя утверждать, что автор хорошо разбирается в теории прибавочной стоимости, но направление его мыслей правильное. По мнению автора, рабочих эксплуатируют не только владельцы заводов и фабрик и торговцы, но и священники и чиновники. А. Окуашвили делает вывод, что в бедности трудящихся повинны паразитические классы общества.

Или же возьмем, к примеру, высказывания другого автора этого же журнала Т. Кобулашвили, который утверждает, что недостаточно понимать, как отнимают у рабочих заработанное тяжелым трудом добро, необходимо еще вникнуть в главную проблему: «Почему мы работаем для других?». По мнению Т. Кобулашвили, рабочим необходимо познакомиться с молодыми людьми, которые помогут им правильно оценить свое положение, просветят их умы, будут способствовать укреплению братства и единства всех угнетенных для достижения свободы. Естественно, что под этими, несколько расплывчатыми формулировками, автор подразумевает прогрессивную молодежь, вооруженную револю-

ционными идеями, которая уже приступила к пропаганде марксизма среди рабочих.

Для рукописной прессы характерна также непримиримая борьба против религии. Во многих материалах вскрывается классовая сущность религии, обличается алчность и вымогательство духовенства.

Большой заслугой нелегальной рукописной прессы является пропаганда интернационалистических идей. Она выдвигает требование объединить усилия всех рабочих — грузин, русских, украинцев, армян и других национальностей — для борьбы против общего врага — царского режима и эксплуататоров, что, в сущности, являлось зачатком идеологии пролетарского интернационализма, который противопоставил буржуазному и мелкобуржуазному шовинизму, реакционной идеологии и политике национальной и расовой обособленности. Авторы рукописных газет и журналов неоднократно подчеркивают огромное значение революционного движения русского народа, акцентируют мысль о том, что русский рабочий класс является ведущей революционной силой в освободительном движении страны и его боевой опыт должен служить примером для трудящихся всех наций. Совершенно очевидно, что именно под влиянием русского революционного движения в грузинской цензурной рукописной прессе на различных этапах освободительной борьбы выдвигались просветительские, буржуазно-демократические, народнические и уже к концу XIX века — социалистические идеи.

Наряду с этим, рукописная пресса резко критиковала царское правительство за проведение политики великодержавного шовинизма, выдвигала требование ввести в школах обучение на родном языке, демократизировать школы вообще, открыть на Кавказе высшие учебные заведения и т. д. Таким образом, рукописные газеты и журналы активно участвовали и в развернувшемся в Грузии национально-освободительном движении.

Несмотря на то, что авторы цензурной рукописной прессы еще не до конца разбираются в путях социального освобождения трудящихся, многие из них требуют проведения радикальных мер: свержения царского самодержавия и господства эксплуататоров путем вооруженной борьбы, установления республиканского строя, осуществления свободы печати и слова и др. Однако следует отметить, что эти требования в основном имеют буржуазно-демократические и мелкобуржуазно-народнические оттенки.

При том, что стихотворения и рассказы, помещенные в грузинской цензурной прессе, не отличаются высоким художественным уровнем, их характеризует высокое идейное содержание и гражданственность. Основная их тематика:

борьба против социальной несправедливости и национального гнета, тяжелая участь рабочих и крестьян и т. д., т. е. в художественных произведениях разрабатываются те же проблемы, что и в публицистике. Стихи некоторых авторов, опубликованные в рукописной прессе (М. Бочоридзе, М. Симонидзе, Я. Андрианова и др.), впоследствии были изданы отдельными книгами, хотя многие из них в сильно искаженном цензурой виде.

Интересные мысли высказываются нелегальной прессой и о назначении литературы. Авторы нелегальных рукописных газет и журналов считают, что литература должна служить трудящимся, выражать их насущные интересы. Это было невиданное ранее литературное кредо (известно, например, что «Тергдалеули» требовали, чтобы литература служила всей нации, не учитывая ее классовый состав). Таким образом, в рукописной прессе, хотя и в примитивной форме, но со всей принципиальностью, выдвигается мысль о партийности литературы. Наряду с этим, бесцензурные газеты и журналы выступают против беспредметной, лишенной гражданственности поэзии и высоким назначением писателя считают создание идейных произведений, проникнутых революционным духом эпохи. По мнению авторов, настоящий писатель лишь тот, кто выполняет социальную функцию, помогает трудящимся завоевать свободу. Более того, они считают, что писатель должен оказывать влияние на читателей не только своими произведениями, но и личным примером — он должен находиться в первых рядах борцов против царского самодержавия и социальной несправедливости.

Безусловно, как уже говорилось выше, грузинская бесцензурная рукописная пресса имела и свои недостатки. В ней, наряду с правильными взглядами, встречаются эклектические, утопические высказывания, порой приближающиеся к буржуазно-демократическим позициям. Даже рабочая нелегальная рукописная пресса по целому ряду вопросов находилась под влиянием мелкобуржуазных, народнических идей. Это и не удивительно, т. к. в 80-х годах прошлого века в Грузии среди рабочих были распространены народнические взгляды, и революционерам-марксистам впоследствии пришлось вести напряженную борьбу для разгрома народнической идеологии и утверждения марксистских идей. Изучение истоков рабочей прессы со всей очевидностью свидетельствует о том, что ее деятельность в основном совпадала с периодом, когда рабочее движение еще находилось вне научного социализма, лишь позднее, к концу XIX века, развились интенсивная пропаганда идей марксизма.

Таким образом, в книге впервые рассматриваются многие вопросы истории грузинской бесцензурной, нелегальной рукописной прессы. Подчеркивается, что, наряду с другими

факторами (деятельность прогрессивных легальных печатных газет и журналов и передовых мыслителей эпохи), она обеспечила подготовку почвы для создания подлинно пролетарской, марксистской прессы в Грузии и, что весьма важно, воспитала кадры рабочих-литераторов, в дальнейшем успешно сотрудничавших в грузинских нелегальных газетах ленинско-искровского направления.

В книге заострено внимание также на основных условиях и причинах возникновения и развития нелегальных рукописных газет и журналов, на формах и методах их работы и на их роли в формировании общественного мнения.

Настоящая работа подтверждает неоспоримую истину о том, что бесцензурная рукописная пресса дает возможность более глубокого изучения вопросов истории общественной мысли, культуры и просвещения, литературы, искусства и в особенности журналистики.

ხ ა ძ ი ე ზ ე ლ ი

- აბაშიძე ა. 135
 აბაშიძე გრ. 121
 აბაშიძე ე. 156, 228
 აბაშიძე კ. 82
 აბზიანიძე გ. 347
 ავალიანი დ. 88
 აზიანი ნ. 147
 აზმაიფარაშვილი ს. 220, 287, 289,
 306, 307, 316
 ალაზნელი მ. 337
 ამაშუკელი ე. 109
 ანდრიანოვი ი. 234, 344, 274, 275,
 276
 ანდრონიკაშვილი 167
 ანთელაეა ი. 37, 38, 56, 210, 211
 ანჩაბაძე მ. 167
 არაგვისპირელი შ. 67, 221
 ახვლედიანი გ. 94
 ახნაზაროვი ა. 18, 137, 138, 139,
 140, 141, 142, 143, 144, 145,
 146, 147, 148, 149, 150, 151, 154,
 155, 156, 157, 176, 231, 265, 364,
 366
 ბაგრატიონ-მუხრანსკი 41
 ბაგრატიშვილი ქ. 298
 ბაირონი 53
 ბარათაშვილი ნ. 53, 178, 190, 195,
 273, 320
 ბასილაშვილი გ. (ნორიელი სლესარი)
 285, 286, 304, 306
 ბაქრაძე გ. 19, 121, 291, 338
 ბაქრაძე ი. 65, 82
 ბაბტაძე ს. 33
 ბებურიშვილი ე. 71
 ბელიაშვილი ი. 91
 ბელინსკი ბ. 5, 10
 ბენაშვილი ა. 18, 36, 59, 60, 364
 ბეენიშვილი ი. 214
 ბლაგოვეი დ. 7
 ბლანი ლ. 58
 ბოცვაძე ი. 54
 ბოკორიძე მ. (მ. თელაველი) 18,
 220, 223, 306, 307, 309, 310, 312,
 332, 336, 337, 364
 ბრეენევი ლ. ი. 3
 ბულანგე 330
 ბურთიკაშვილი ა. 36
 გაბაშვილი ე. 147, 186, 193
 გაბიჩვაძე ვ. 159
 გაბუნია ს. 88
 გაგოშიძე შ. 71
 გაგუა ლ. 167
 გამეზარდაშვილი დ. 68
 გეგეშიძე ზ. 16, 68, 307, 308, 338
 გეგეშიძე თ. 33
 გემერტელი ე. 337
 გერსამია ს. 106, 165 227
 გერცენი ა. 5, 10, 26
 გიორგაძე გრ. 66, 284, 285, 325,
 338, 340, 349, 350, 351, 352, 353,
 354
 გიუნაშვილი დ. 66
 გოგეშაშვილი ი. 26, 145, 159, 192
 გოკიელი ივ. 102
 გოთე 242
 გოზალიშვილი შ. 69, 331
 გორგილაძე ლ. 285, 293, 338
 გორდენიანი მ. 66
 გორდიევსკი 123
 გოციროძე 95
 გომიაშვილი ნ. 305
 გოჭიაშვილი დ. 213, 214

¹ ჩაბიებელი შეადგინა ლ. გ ა მ ც ე მ ლ ი ძ ე მ .

კრიშაშვილი ი. 138, 150, 294, 301,
302, 305, 354

გრძელიშვილი 167

გუგუშვილი პ. 11, 13, 71, 291

გუნცაძე ი. 95

გურიელი მ. 269

გურული დ. 233, 241, 242, 253,
254, 259 276, 277

გურული ფ. 358

გუცკოვი ვ. 224

დადიანი-ანჩაბაძისა მ. 200

დადიანი ნ. 176, 206

დადიანი შ. 18, 137, 138, 160, 161,
162, 163, 165, 166, 167, 169, 170,
171, 172, 173, 174, 175, 177, 178,
179, 183, 184, 185, 188, 190, 191,
192, 193, 194, 195, 196, 197, 199,
200, 201, 202, 203, 204 205, 206,
209, 366, 390

დავითაშვილი შ. 210, 211

დავითაშვილი ნ. 228

დარიელი ს. 278

დეკანოზიშვილი ვ. 210, 211, 213

დემურია მ. 147

დიაროვი გ. 286, 289, 311, 312

დობროლიუბოვი ნ. 5, 10, 25

დოღმაშაშვილი ვ. [ი.] (ვ. დორელი),
223, 285, 286, 287, 289, 302,
303, 311, 312, 316

დუღუჩავა მ. 333

ევდოშვილი ირ. 67, 145, 222, 223

ეკალაძე ი. 67

ენგელსი ფ. 5, 6, 11, 12, 259

ერისთავ-ხოშტარია ა. 221

ერისთავი გ. 51, 52, 53

ერისთავი დ. 227, 281

ერისთავი ლ. 42

ერისთავი რ. 118

ვაჟა-ფშაველა 32, 191, 193, 262,
265, 267, 268, 278, 286, 365

ვართაგავა იპ. 67, 68, 142, 144, 166

ვაკრიძე პ. 27, 34, 71, 73, 75, 87,
88, 89, 90, 91, 107, 115, 116, 164

ვახვახიშვილი 167

ვეფხვაძე ნ. 137

ვოლსკი გ. 148

ზასლავსკი ე. 6

თავზადაშვილი ი. 25

თავნიშვილი გ. 65

თაქთაქიშვილი 167

თაყაიშვილი 98, 102

თოიძე ა. 298

თოიძე გ. 284

თოიძე მ. (თბილელი მ.) 237, 240,
298, 311, 318, 364

თოფურია ა. 65, 71

თუმანიშვილი ან. 186, 190

თუმანიშვილი გ. 24, 37-59

თუმანიშვილი ვ. 36, 37, 38, 41, 42

თუმანიშვილი კ. 36, 37, 38, 42, 59

თუმანიშვილი ლ. 27, 73, 74, 75, 76,
87, 88

თუმანიშვილი მ. 37, 39

იანოვსკი კ. 29

იაროვი გ. 312

ივანიშვილი ი. 359, 361

ივანიძე ს. 240, 360

იმედაშვილი გ. 240

იმედაშვილი ი. 226, 240, 283, 285,
299, 300

ინგურელი გ. 136

იოსელიანი გ. 65

კავსაძე ლ. 228

კავსაძე ს. 228

კაკაბაძე ვ. 225

კალანდაძე ა. 34, 35, 354

კალანდაძე ნ. 33

კალაძე რ. 16, 283, 290, 291, 325,
338, 340, 349

კარაშინი ნ. 119

კეკელიძე კ. 94

კელენჯერიძე ბ. 162

კერესელიძე ივ. 40, 44

კეცხოველი ე. 68

კეცხოველი ლ. 12, 18, 64, 68, 69,
70, 286, 364

კეცხოველი ნ. 93

კვასხვაძე შ. 238

კიზირია პ. 121

კინწურაშვილი ა. 32
კლდიაშვილი დ. 221
კონტი ო. 51
კოსტავა ი. 69

დავრენკო 25
ლალიაშვილი მ. 138
ლასხიშვილი გ. 18, 76, 79, 80, 120,
121, 124, 364
ლატაძე პ. 348
ლალიაშვილი ი. 65, 285
ლენინი ე. ო. 3, 4, 6, 7, 12, 14, 20,
21, 215, 366

ლერმონტოვი 119
ლოლუა ე. 79, 81
ლომოური ნ. 65
ლორთქიფანიძე ელ. 186
ლორთქიფანიძე ი. 122, 124, 125,
132
ლორთქიფანიძე კ. 197
ლორთქიფანიძე შ. 167
ლორთქიფანიძე ს. 90

მაისურაძე ი. 72
მანსვეტაშვილი ი. 143
მარი ნ. 18, 77, 78, 79, 114, 115,
116, 117, 118, 119, 120, 121, 134,
364

მარქსი კ. 5, 6, 11, 12, 26, 90, 259
მარტაშვილი ლ. 137
მაყაშვილი 167
მაჩხანელი დ. 148
მაკავარიანი კ. 167
მახარაძე ფ. 12, 15, 18, 64, 68,
290, 291, 349, 364
მგალობლიშვილი ს. 31, 65, 149,
211, 212, 213, 229

მდინარელი ე. 333
მეგრელი დ. 82, 148, 161, 164,
167, 172, 200, 202
მეგრელიძე ი. 115, 116
მეგრელიშვილი გ. 26, 33
მელიქიშვილი ს. 138
მერაბიშვილი ხ. 360
მესხი დ. 347, 348
მესხი ს. 10, 26
მესხიშვილი ა. 227
მეუნარგია ი. 65, 176
მეცხარიშვილი რ. 343

მირიანაშვილი პ. 18, 77, 91, 92, 93,
94, 95, 96, 101, 102, 109, 113,
132, 192, 199, 200, 364
მიქაძე გ. 145, 149
მიქელაძე დ. 146
მიქელაძე ი. 43
მიხანკოვა ე. 115
მღვდლიშვილი 77
მღვიმელი შ. 297
მჭედლიშვილი ი. 18, 223, 226, 227,
228, 229, 232, 242, 257, 258, 266

ნავოზოვი 45
ნახუცრიშვილი გ. 33
ნეზიერძიძე ა. 154, 155, 157, 227
ნიკოლაძე ნ. 9, 10, 23, 26, 55, 190,
262
ნიკოლეიშვილი მ. 90
ნინოშვილი ე. 12, 222
ნიჟარაძე დ. 104

ობნორსკი ე. 6
ოგარევი ნ.
ორბელიანი გრ. 55, 107, 199
ორბელიანი სულხან-საბა 199
ორბელიანი ყაფ. 138
ოსტაპოვიჩი ე. 339, 340
ოქუაშვილი ა. (ა. დლიურაშვილი)
18, 220, 285, 287, 289, 296, 366

პაპავა ნ. 36, 38, 56
პეტრიაშვილი პ. 284, 312
პიატკოვსკი ა. 263
პლუხანოვი გ. 6
პოკროვსკი 70
პოლუმორდვინოვი ივ. 69
პუშკინი 119, 230, 279

ჟელოხოვსკი ე. 25
ჟუკოვსკი 242

რადიანი შ. 221
რაზიკაშვილი ს. 32
რამიშვილი ი. 117
რუსთაველი შ. 201
რუხაძე 32

ხაგინაშვილი მ. 147
სარაჩიშვილი ა. 60

სანებლიძე მ. 65
საფაროვი ზ. [შ.] 139, 223, 226, 228,
233, 235, 241, 243
საფაროვა მ. 139, 156
სიგუა ა. 166
სიმონიძე მ. (მეტეხელი, ხიდისთავე-
ლი, მეტეხლოვი, ხომიზუროვი,
ახალსოფლელი) 216, 284, 285,
286, 289, 290, 293, 295, 304, 325,
329, 332, 338, 339, 344, 345, 346,
349, 350, 353
სირაძე ნ. 287
სიხარულიძე გ. 224, 225
სპიტი ა. 46
სტალინი ი. ბ. 12, 64, 117
სტეფანოვი 66
სტოიანოვი 30, 117
სულაძე ე. 354
სულხანიშვილი ბ. 147
სულხანიშვილი ი. 18, 216, 354, 355,
359
სურგულაძე ა. 9
ტაბიძე გალაქტიონი 284
ტაბიძე ნ. 54, 107
ტერ-მარკუზაშვილი ალ. 41
ტკაჩოვი 58
ტოგონიძე ბ. 60
ტოლსტოი ლ. 203
ტურგენევი ი. 48, 203
უთურგაული გ. 65
ფანიანელი ვ. 243
ფანცხავა ბ. 145
ფანცხავა ი. 82, 83, 84, 85, 86, 167
ფანცხავა რ. (ხომლედი) 68, 82
ფირალიშვილი ო. 238
ფირცხალავა ს. 87
ფლობერი გ. 203
ფოცხვერაშვილი კ. 301
ფურცელაძე ა. 286, 291
ფურცელაძე ლ. 287
ჭართველიშვილი 195
ქეიტყირელი ა. 102
ქიქოძე გ. 90, 194

ქობულაშვილი ტ. (რუისელი ტ.)
311, 315, 316, 324, 325
ქუჩიშვილი გ. 228

ყაზბეგი ა. 155
ყიფიანი დ. 34, 162, 185
ყიფიანი ნ. 34, 35, 36, 38
ყიფიანი ს. 167
ყიფშიძე გ. 141
ყულიჭანაშვილი ვ. (კერეთხვეელი ვ.)
285, 286, 310, 329, 337

შანიძე ა. 94
შანიძე გ. 107
შველიძე ზ. 26, 38
შექსპირი 227, 242
შილერი ფ. 227, 242
შიუკაშვილი შ. 65
შოშიტაშვილი დ. 343
შუბაშოვი მ. 42

ჩარკვიანი გ. 226
ჩაჩავა ნ. 94
ჩერნიშევსკი ნ. 5, 10, 25, 26, 58
ჩერქეზიშვილი ე. 140, 147
ჩერქეზიშვილი ვ. 228, 318, 293
ჩიტაძე გ. 286, 287, 291
ჩიტაძე შ. 32
ჩიქვინიძე გ. 66
ჩიქოვანი მ. 26, 102
ჩოდრიშვილი 286
ჩოლოყაშვილი 167
ჩუღეცი პ. 65, 66, 285
ჩხენკელი პ. 81

ცაბაძე ვ. (უჩინარიძე) 285, 286

ძიძიგური შ. 116

წერეთელი ა. 10, 54, 118, 144, 190,
192, 194, 197, 228, 262, 265, 347,
365
წერეთელი გ. 10, 26, 52, 146
წერეთელი ვ. 83
წითლიძე ა. 193
წითლიძე ბ. 343
წულუკიძე ა. 12
წულუკიძე ნ. 25

ქვეკვათე ი. 10, 26, 41, 53, 54, 145,
148, 190, 192, 199, 225, 251, 262,
265, 273, 278, 279
ქალადიდელი გ. 273
ქანტურია 121
ქითავა ნ. 33
ქილაია ს. 221
ქიქინაძე ზ. (ახალსოფლელი ზ.) 190,
226, 234, 283, 284, 286, 287, 289,
291, 296, 298, 299, 300, 301, 303,
305, 309, 310, 311, 313, 317, 318,
319, 332, 351, 366
ქოლოშვილი ს. 73, 74, 75, 76, 87,
88
ქონქაძე დ. 283
ქრელაშვილი ს. 179
ქუმბურიძე ზ. 266
ხალტურიანი ს. 6
ხარკოვი ნ. 225

ხაბანაშვილი ალ. 285, 287
ხელთუბნელი მ. 39, 121
ხერხეულიძე ბ. 147
ხიზანიშვილი ნ. 140
ხმალაძე ზ. 44
ხოშტარია დ. 167
ხუნდაძე ს. 16, 18, 33, 77, 102, 104,
105, 106, 107, 108, 109
ხუნდაძე ტ. 66, 117
ჯაბადარი ი. 26
ჯავახიშვილი ი. 94
ჯავახიშვილი ლ. 214
ჯაჭანაშვილი 287
ჯაჭანიძე ა. 70
ჯიბლაძე გ. 53
ჯორჯაძე 167
ჯულელი ს. 68, 145.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
თ ა ვ ი I. მოსწავლეთა ხელნაწერი პრესა	23
1. ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები თბილისის სასწავლებლებში	33
2. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ხელნაწერი პრესა	70
თ ა ვ ი II. კერძო ბირთა მიერ გამოშვებული ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები	137
1. არტემ ახნაზაროვი (ჩიორა) და მისი „ნაბიჯი“	137
2. შალვა დადიანის ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“	160
3. ციხეში გამოცემული არალეგალური გაზეთი „ჭანაბა“	209
4. დავით გოჯიაშვილის „თიანეთის ფურცელი“	213
თ ა ვ ი III. მუშათა პრესის სათავეებთან	215
1. თბილისის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის ხელნაწერი გაზეთი „ნაპერწყალი“	223
2. ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ხელნაწერი ჟურნალი „მუშა“	282
3. ჟურნალი „სხივი“	338
4. მუშათა ხელნაწერი ჟურნალები „განთიადი“ და „სინათლე“	349
5. ივანე სულხანიშვილის ჟურნალი „განთიადი“	354
ბოლოსიტყვაობა	363
Искры свободного слова (резюме)	370
საძიებელი	380

გამომცემლობის რედაქტორი ლ. გამცემლიძე
შხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ი. ჭუციშვილი
კორექტორი ც. კვანტალიანი

სბ 270

გადაეცა წარმოებას 9. 01. 78

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 12. 78

საბეჭდი ქაღალდი № 60×90.

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 24,25

სააღრ.-საგამომც. 23,19

ტირაჟი 1000 უე 14033 შეკვეთა № 237

ფასი 2 მან. 58 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი 380028, ი. კავკავაძის პროსპექტი, 14
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси 380028, пр. И. Чавчавадзе 14
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография изд-ва ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.

Гагошидзе Шота Евстафьевич
ИСКРЫ СВОБОДНОГО СЛОВА
(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1978